ჩარევა სასურველია:

საჯარო დებატები
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში
2012

ჩარევა სასურველია:
საჯარო დებატები ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში 2012

გამომცემელი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო
რედაქტორი: ნინო ბექიშვილი

MEDDLING IS DESIRABLE:
Public Debates at the Heinrich Böll Foundation 2012

Publisher: Heinrich Böll Foundation South Caucasus Regional Office
Editor: Nino Bekishvili

© Heinrich Böll Foundation South Caucasus Regional Office, 2012
© ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო, 2012

ზოვრეთის ქ. 38, თბილისი 0160, საქართველო
T +995 32 238 04 67/68, +995 32 291 37 39 | F +995 32 291 28 97
E info@boell.ge | W www.boell.ge | F www.facebook.com/hbf.caucasus

ISBN 978-9941-0-5125-8

სარჩევი

დემოკრატიული განვითარების შიდა და გარე ვექტორები

საქართველო და მისი მომავალი ევროპაში 11

ქართული პოლიტიკის პოლუსები: სად არის ზომიერების რესურსი 30

საარჩევნო გამოწვევები საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის: ტესტი ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ეფექტიანობის გასაზომად 46

დემოკრატიზაციის კრიზისი და ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში 59

საქართველოს კულტურის პოლიტიკა წარსულსა და მომავალს შორის 77

ძალაუფლება და თავისუფლება

მოქალაქის როლი პოლიტიკაში – რას ნიშნავს სამოქალაქო აქტივიზმი 96

იდეის დისკრედიტაცია: რას ნიშნავს ლიბერალიზმი საქართველოში? 114

ინტერნეტის პოლიტიკური არქიტექტურა საქართველოში 133

„ვარდების რევოლუციის“ მემკვიდრეობა: რეტროსპექტული ანალიზი და ხედვა მომავალი განვითარებისთვის 151

ქუჩის პროტესტის ესთეტიკა: ახალგაზრდობა პოლიტიკაში 174

მრავალფეროვნება, თანასწორობა და სამართლიანობა

სიძულვილი, როგორც დამამძიმებელი გარემოება:
ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში 192

საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება
საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა
დაცვის მდგომარეობის შესახებ – 2011 წელი 207

თავისუფლება და შიში 224

პოლიტიკა და რელიგია: დესეკულარიზაციის ტენდენცია 239

ქალური ტრადიცია ქართულ ლიტერატურაში: ახალი სახეები
და მემკვიდრეობითობა 258

ადამიანის უფლებების პრიორიტეტი: სახალხო დამცველის როლი
და მისია – საზოგადოებრივი მოლოდინები და შესაძლებლობები
ცვლილებისათვის 272

საბჭოთა წარსულის გააზრება: კოლექტიური მეხსიერება და იდენტობა

ადამიანი და ადამიანობის სივრცე ტოტალურ ერთობაში:
რა ცოდნას გვაძლევს არქივები 296

ნაციონალურის კონტურები საბჭოთა იმპერიაში:
საქართველოს აღქმა რუსული ლიტერატურის ნაწარმოებებში
1920-1930-იან წლებში 317

დემოკრატიული განვითარების შიდა და გარე ვექტორები

საქართველო
და მისი მომავალი ევროპაში

მომხსენებლები:

თორნიკე გორდაძე
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე

გიუნტერ ვერჰოიგენი
ევროკომისიის ყოფილი ვიცეპრეზიდენტი და კარლ ფრიდრიჰ გიორდელერის სახელობის ეფექტური მმართველობის კოლეჯის დირექტორი

ქეთევან ციხელაშვილი
აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე

მოდერატორი:

ნინო ლეჟავა

1 მარტი, 2012

დისკუსია გაიმართა რობერტ ბოშის ფონდის
კარლ ფრიდრიჰ გიორდელერის სახელობის
ეფექტური მმართველობის კოლეჯის პრეზენტაციის ფარგლებში

ნინო ლეჟავა – დღევანდელი დისკუსიის თემაა საქართველო და მისი მომავალი ევროპაში. დისკუსია იმართება გერმანიის საგარეო პოლიტიკის საზოგადოების, რობერტ ბოშის ფონდის და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ერთობლივი ინიციატივით და ეძღვნება კარლ ფრიდრიჰ გიორდელერის სახელობის ეფექტური მმართველობის კოლეჯის პრეზენტაციას საქართველოში.

მინდა შეგახსენოთ საერთაშორისო კონტექსტი, რომელშიც გვიწევს დისკუსიის გამართვა. გასული კვირა ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო იყო. მოგეხსენებათ, 27 თებერვალს ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭომ მიიღო დასკვნა, რომელიც მხარს უჭერს აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას. ეს დასკვნა შეიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებსაც – საუბარია დემოკრატიული ტრადიციის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა საქართველოში კონსოლიდირებული დემოკრატიის არსებობის აუცილებლობა, პლურალიზმის და შეკრების თავისუფლების გარანტია, მედიის თავისუფლების უზრუნველყოფა, ასევე, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის გაძლიერება. დასკვნაში საუბარია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საკითხებზე, დღემდე გადაუჭრელი კონფლიქტების პრიზმაში.

გიუნტერ ვერჰოიგენი – დღევანდელი თემა ეხება საკითხს, თუ რა ევროპული მომავალი აქვს საქართველოს. ევროპელებმა სათანადო დონეზე არ იციან, თუ როგორ შეიძლება იმოქმედონ საქართველოსთან მიმართებაში. იმაზე, რა თქმა უნდა, არ არის ლაპარაკი, რომ საქართველო ევროპის ნაწილია. ძალიან ბევრმა ადამიანმა, თუ ჰკითხავთ საქართველოს, მოლდოვის, სომხეთის შესახებ, შეიძლება გიპასუხოთ, რომ ეს ქვეყნები ევროპის ნაწილი არაა, მაგრამ, ეს, რა თქმა უნდა, შეცდომაა. საქართველო არა მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობის გამოა ევროპის ნაწილი, არამედ ისტორიის, კულტურის და ტრადიციე-

ბის გამოც. ამიტომ საქართველო ძალიან მნიშვნელოვანი ევროპული ქვეყანაა. ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ საქართველოს გეოგრაფიული ან კულტურული დისტანციის გამო არა აქვს უფლება თანასწორუფლებიანი წევრის სახით იყოს ჩართული ევროპაში მიმდინარე პროცესებში, შემიძლია ცალსახად ვუთხრა, რომ საქართველო მრავალი საუკუნის განმავლობაში იყო ქრისტიანული სახელმწიფო, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დღევანდელი ევროპის ბევრი ქვეყნის მცხოვრებლები ჯერ კიდევ ტყეში ცხოვრობდნენ. თუნდაც, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია იმის თქმა, რომ სამხრეთ კავკასია ნამდვილად წარმოადგენს ევროპის ნაწილს.

გარკვეული სირთულეები, მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, არსებობს. არსებობს კონკრეტული და ზოგადი ხასიათის მიზეზები. ზოგად მიზეზებს შევეხები. ევროკავშირისთვის იშვიათი შემთხვევა იყო, როდესაც მან აღმოსავლეთისკენ გაიხედა, განსაკუთრებით 2004-2007 წლებში. ეს საკმაოდ მძიმე და ხანგრძლივი პროცესი იყო და ეს პოზიცია დღემდე დავის საგანია. დღემდე არ მესმის, რატომ დუმან ევროპის სახელმწიფოები იმის თაობაზე, რომ ევროკავშირის აღმოსავლეთისკენ გაფართოება წარმატებული ისტორიაა. ძალიან ბევრი მაგალითის მოყვანა შემიძლია, თუ რა შიშები არსებობდა ევროკავშირის ძველ წევრ სახელმწიფოებში იმასთან დაკავშირებით, რამდენი საშინელება შეიძლებოდა მომხდარიყო ევროკავშირის აღმოსავლეთისკენ გაფართოების შემთხვევაში, დაწყებული ემიგრანტების უზარმაზარი მასებით, გაგრძელებული ადამიანებით, რომლებიც წაართმევდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს სამუშაო ადგილებს, გაჩნდებოდნენ ყაჩაღები და ქურდები, რომლებიც „დაიპყრობდნენ“ ჩვენს ქვეყნებს, მოხდებოდა ფულის გადინება და ა.შ. უამრავი სტერეოტიპია ამ საკითხებზე, რომლებიც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, ან ვერც კი წარმოვიდგინოთ. ძალიან ბევრ ადამიანს უჩენდა საფიქრალს, იყვნენ თუ არა აღმოსავლეთის ქვეყნები მოწიფულები საიმისოდ, რომ ჩართულიყვნენ იმ პროცესებში, რომლებშიც ძველი ევროპული სახელმწიფოები იყვნენ ჩართულები, რამდენად შეძლებდა 27 წევრი სახელმწიფო პროდუქტიულად გადაწყვეტილების მიღებას და ა.შ. ეს პროცესები დაახლოებით 2005 წლიდან იწყება. ამგვარი სტერეოტიპები დღეს უკვე აღარ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, დღის წესრიგის პირველ საკითხს რომ აღარ წარმოადგენს, ამის თქმა ნამდვილად შემიძლია.

რა თქმა უნდა, არ იქნება შორსმჭვრეტელური, თუ ვიტყვით, რომ მსოფლიო პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ევროკავშირმა მხოლოდ საკუთარ მომავალზე უნდა იფიქროს. ძალიან რთულია საქართველოს მომავლის გამიჯვნა ევროკავშირის მომავლისგან. ევროპული ინტეგრაციის კლასიკური მოტივი იმაში მდგომარეობდა, რომ ევროპაში შექმნილიყო მდგრადი და გრძელვადიანი მშვიდობა და ეს მოტივაცია დღემდე არსებობს. უფრო მეტიც, 21-ე საუკუნეში ამ მოტივაციას ისიც ემატება, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენ ირგვლივ მიმდინარე ცვლილებებს. მსოფლიო ძალიან სწრაფად იცვლება. პირველ რიგში, იგულისხმება გლობალიზაციის პროცესი. რამდენიმე დღის წინ, გაზეთში წავიკითხე, რომ ათ წელიწადში ეკონომიკური მოწყობა ისეთი იქნება, რომ ათი მმართველი ხელისუფლებისგან, ათი მმართველი ძალისგან მხოლოდ ერთი დარჩება ევროპაშიო. ამას თუ თურქეთს დავუმატებთ, ორი ასეთი ძალა იარსებებს ევროპის მასშტაბითო. ეკონომიკური ცენტრები მუდმივად ინაცვლებს და, რა თქმა უნდა, ეს დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკურ სივრცეზე. მსოფლიო მულტიპოლარულ სისტემად ყალიბდება. ერთი დომინანტი სუპერხელისუფლების, სუპერძალაუფლების ეპოქა წარსულს ჩაბარდა. ჩვენმა ამერიკელმა კოლეგებმა ეს იციან, მაგრამ, არ სურთ აღიარონ, თუმცა, რაღაც ხანში მოუწევთ აღიარება. კარგად ვხედავთ, რომ გლობალური განვითარების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანი ხდება თანამშრომლობა, რადგან მცირერიცხოვან აქტორებს, რომლებიც ჩართულები არიან პროცესში, თუნდაც მცირერიცხოვანი კონფლიქტების დარეგულირების ძალა არ შესწევთ.

თუკი ევროპა არ გარდაიქმნება, არ გადახედავს პერსპექტივებს, შეიძლება ისე მოხდეს, რომ სხვათა გადაწყვეტილების ანაბარა დარჩეს. ევროპა დღეს მზად არის ერთი ხმით ილაპარაკოს და ყოველივე ამან, შესაბამისი სახე უნდა შეიძინოს. იმისათვის, რომ ვიქცეთ პოლიტიკურად ქმედით ძალად, ეკონომიკური ძალაც უნდა გვქონდეს და პოლიტიკურადაც აქტიურები უნდა ვიყოთ. ამას ვერ მივაღწევთ, თუ დავუშვებთ ჩვენს წარმოდგენაში ვირტუალური საზღვრების გავლებას ევროპის გარშემო.

რა თქმა უნდა, საჭიროა არსებობდეს წინაპირობები, რომლებიც თითოეულმა სახელმწიფომ უნდა შეასრულოს იმისათვის, რომ ითანამშრომლოს ევროკავშირთან. უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი ბიძგი ნებისმიერ სფეროში და

პოლიტიკურ სფეროშიც. ეს გულისხმობს წინსვლას სოციალურ და ეკონომიკურ სფეროშიც. თუკი ვისაუბრებთ აღმოსავლეთის სახელმწიფოებზე, რომლებიც ევროკავშირის წევრები გახდნენ, 1999 წელს, მაგალითად, ამ ქვეყნებში ძალიან განსხვავებული სიტუაცია იყო. თუმცა, როგორც კი გაჩნდა პერსპექტივა ევროკავშირში გაერთიანებისა, სიტუაცია ძალიან დინამიკურად განვითარდა. სწორედ ამ პერიოდში ვიყავი ევროკომისარი ევროკავშირის გაფართოების საკითხებში და შემიძლია ცალსახად ვთქვა, რომ, რაც უფრო ძლიერია ორიენტაცია ევროკავშირისა სახელმწიფოებზე, რომლებიც ცდილობენ ევროკავშირში გაერთიანებას, მით უფრო ინტენსიურად მუშაობენ ეს ქვეყნები იმ წინაპირობების შესაქმნელად, რომლებიც საამისოდ აუცილებელია. არ არის სავალდებულო ველოდოთ სიგნალს ბრიუსელიდან, თუმცა, ამაზე დღეს ვერ ვილაპარაკებთ. თუმცა, შეიძლება იმის ცალსახა დასაბუთება, რომ არ არის საპატიო იმისი თქმა, რომ ევროპის გაფართოება დაუშვებელია. შეიძლება ბევრი მაგალითი მოვისმინოთ, მათ შორის, ეკონომიკური კრიზისის და ბევრი გადაუჭრელი საკითხის შესახებ, მაგრამ მათზე აპელირება არასწორად მიმაჩნია. ეს არის ის ზოგადი მოტივები, რომლებიც თავშეკავებას და ყოყმანს, გარკვეულ შიშებს იწვევს. გავიმეორებ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რაც გაკეთდა 2004-2007 წლებში. თუმცაღა განწყობილება, რომელზეც ვსაუბრობ, ძალიან მალე შეიძლება შეიცვალოს. შეიძლება კვლავ გაიღოს ურთიერთთანამშრომლობის ფანჯარა, გაიხსნან სახელმწიფოები ერთმანეთის მიმართ და თავშეკავების პოლიტიკა შეიცვალოს. ამას არ სჭირდება ძალიან დიდი დრო, ეს შეიძლება რამდენიმე წელიწადში მოხდეს. სიტუაცია შეიძლება განსხვავებულად გამოიყურებოდეს, მაგრამ ამისთვის საჭიროა მზადყოფნა, რომ როდესაც იარსებებს შესაძლებლობა, შანსი ოპტიმალურად იქნას გამოყენებული. მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა, ინტენსიურად უნდა მოხდეს მზადება იმ დღისთვის, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებლად დადგება, საიმისოდ, რომ დაკმაყოფილდეს რიგი წინაპირობებისა, რომლებიც შესაძლებელს გახდის ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას. შეგვიძლია, ამ შემთხვევაში, კონკრეტულად საქართველოზეც ვილაპარაკოთ.

გარდა ამისა, საქმე გვაქვს პრობლემასთან, რომელიც ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ვგულისხმობ რუსეთის გავლენას. ლაპარაკია ადამიანებზე, რომლებიც ამბობენ, რომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია ურთიერთობა

მოსკოვთან, რომ გვჭირდება რუსები, რუსეთი, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური პარტნიორი, როგორც გასაღების ბაზარი, როგორც მომწოდებელი ბუნებრივი რესურსებისა – ნავთობისა და გაზისა. რა თქმა უნდა, აქვე უნდა გავითვალისწინოთ რუსეთის ინტერესები. ეს ქმნის კონფლიქტს, რომლის მოწმენიც საქართველოში არაერთხელ გავხდით. ეს ორი ნაკადი, ორი მიმართულება, რომელიც ევროკავშირში არსებობს, ერთმანეთს საკმაოდ უშლის ხელს. პირველ ნაკადში მოიაზრებიან ევროპელები, რომლებიც ამბობენ, რომ ისინი უნდა იცავდნენ ღირებულებებს და ტრადიციულ ფასეულობებს მაშინაც კი, როდესაც ამისათვის წინააღმდეგობა არსებობს, ანუ, იქნება ეს თვითგამორკვევის უფლება, დემოკრატია, ადამიანის უფლებები, თავისუფლება, თუ თანასწორობა... სინამდვილეში, საკმაოდ ოპორტუნისტულად ვიქცევით. მხოლოდ საქართველო არ აღიქმება, როგორც რუსეთთან ურთიერთობების თანამდევი პროდუქტი. ამგვარი პრობლემა სხვა სახელმწიფოებშიც არსებობს, მაგალითად, უკრაინაში. მაგრამ საქართველოში ამ სიტუაციას ოდნავ განსხვავებული ფორმა აქვს. მოლდოვასთან დაკავშირებით სიტუაცია ასევე განსხვავებულად გამოიყურება. საქართველოს აქვს უსაფრთხოების პრობლემები და, რა თქმა უნდა, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, რომელიც, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია და შემიძლია ცალსახად და უშიშრად ვთქვა, რომ საქართველოს ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ამას ვამბობ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს თეზისი არ არის ისეთი დიპლომატიური, როგორიც უნდა იყოს. საქართველო ოკუპირებულია. თქვენთვის არ იქნება სიურპრიზი, თუკი ჩემგან მოისმენთ ამ ფრაზას და თუ ვიტყვი იმას, რომ დაუშვებელია ძლიერ სახელმწიფოებთან ოპორტუნისტული თანამშრომლობა და ქმედებები. აუცილებელია, ქვეყნებმა დაიცვან თავიანთი ღირებულებები და ინტერესები. სწორედ ამით მიიღწევა გრძელვადიან პერსპექტივაში თითოეული სახელმწიფოს ინტერესების დაცვა.

დასასრულ დავძენ, რომ ყველა იმ სირთულის ფონზე, რომელზეც ვისაუბრე, საქართველომ აუცილებლად უნდა განაგრძოს ის გზა, რომელიც დაისახა. მოვა სხვა დროც, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, როდესაც ევროპა არ იქცევა გარკვეულ ექსკლუზიურ ფენომენად, რომელიც მხოლოდ დასავლეთის პრივილეგიას წარმოადგენს, არამედ ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება, ვინც კი საკუთარ თავს ევროპელად მიიჩნევს.

თორნიკე გორდაძე – გასული კვირა ძალიან ინტენსიური იყო ევროკავშირთან ურთიერთობის თვალსაზრისით და მინდა რამდენიმე მაგალითი მოვიხმო. დავამატებდი, რომ ბრიუსელში ასოცირებაზე შეთანხმების მოლაპარაკების მორიგი რაუნდი გვქონდა. ნინომ მართებულად აღნიშნა, რომ საგარეო საქმეთა საბჭომ ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი მიიღო და დაასახელა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. კიდევ რამდენიმეს დავამატებდი: მაგალითად, ამ დოკუმენტში პირველადაა ძალიან აშკარად ნათქვამი, რომ ევროკავშირი აღიარებს საქართველოს მისწრაფებას ევროკავშირისადმი და საქართველოს ევროპულ არჩევანს, რაც არ არის საქართველოს ევროპული პერსპექტივა პირდაპირ, მაგრამ ეს უკვე პროგრესია და აღსანიშნავია ისიც, რომ ეს მხოლოდ საქართველოზეა ნათქვამი.

ამავე დოკუმენტში არის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ადამიანების გადაადგილებასა და უვიზო მიმოსვლის პერსპექტივასთან დაკავშირებით. ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის მინისტრები ამბობენ, რომ ეს არის ჩვენი საერთო მიზანი. აქამდე ეს იყო საქართველოს მიზანი და ისინი გვიყურებდნენ, როგორ მივდიოდით ამ მიმართულებით. დიდი ნაწილი აქვს დათმობილი კონფლიქტის თემას. აშკარად არის ხაზგასმული, რომ რუსეთმა უნდა შეასრულოს თავის თავზე აღებული ვალდებულებები, გაიყვანოს ჯარები და შეწყვიტოს გამალებული შეიარაღება. სიტყვა „ოკუპირებული“ ნახსენები არ არის, მაგრამ, იმედი გვაქვს, რომ ბატონი ვერჰოიგენი დაბრუნდება ევროკავშირის დიდ პოლიტიკაში და თავის წვლილს შეიტანს ამ მხრივ... თუ არა და, გარედანაც შეიძლება აზრის გამოთქმა და ჩვენ ძალიან გვესიამოვნა მისი აზრის მოსმენა. არის კიდევ სხვა მთელი რიგი მნიშვნელოვანი დებულებები ამ დოკუმენტში.

მეორე იყო ბატონ დე ჰუხტის ვიზიტი, რომელიც ასევე მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ ჩვენ ფაქტობრივად უკვე დაწყებული გვაქვს მოლაპარაკება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე ევროკავშირთან. ნულოვანი რაუნდი უკვე შედგა იანვარში. ეს უფრო ტექნიკური ხასიათის რაუნდია, სადაც ჯგუფები თანხმდება... ჩვენი მხრიდან სამოცამდე ექსპერტი იქნება ჩართული ამ პროცესში, დაახლოებით ამდენივე იქნება ევროკავშირის მხრიდანაც. უკვე გაწერილია 2012 წლის პროგრამა. სულ ოთხი რაუნდი იქნება, თითო რაუნდი ერთ კვირას მოიცავს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ იმ სამუშაოს ნაყოფს ვიმკით, რაც წინა წლებში შევასრულეთ.

შარშანდელი წელი ძალიან პოზიტიური იყო. გარდა იმისა, რომ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ვაკმაყოფილებთ ყველა წინაპირობას საიმისოდ, რომ დავიწყოთ მოლაპარაკებები სავაჭრო შეთანხმებაზე, ნოემბერში ევროპარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ძალიან მნიშვნელოვანი რეზოლუცია. ეს არის, ალბათ, ევროპარლამენტის მიერ საქართველოს შესახებ მიღებული ყველაზე მნიშვნელოვანი რეზოლუცია. დაწვრილებით არ შევჩერდები ამ რეზოლუციაზე, ერთს ვიტყვი, რომ, დღესდღეობით, ევროპარლამენტის როლი, განსაკუთრებით, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ძალიან გაზრდილია, რაც გვიტოვებს იმედს, რომ ევროპარლამენტის რეზოლუცია აისახება ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაზე და ევროკომისიის გადაწყვეტილებებზეც.

2011 წელს რამდენჯერმე გაჟღერდა იდეა და სულ უფრო და უფრო ხშირად მეორდება, რომ საქართველო და მოლდოვა არიან აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის ლიდერები და ამას ამბობენ არა მარტო ჩვენი დიდი ხნის მეგობრები ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნებიც და ესეც მისასალმებელია. რამდენჯერმე გავიგონეთ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერებისგან, მაგალითად, ბატონი სარკოზისგან, სულ ახლახან ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრ შტუბმაც აღნიშნა მიუნხენში, რომ საქართველო უნდა გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი, რაც ამდენ ხანს მხოლოდ ბალტიელებისგან, პოლონელებისგან, ჩეხებისგან გვესმოდა. მაგრამ, ვიმეორებ, რომ დღეს ამ თემის შესახებ ევროკავშირში არ არის კონსენსუსი, თუმცა, ეს პროცესი დაძრულია. მოგეხსენებათ, ევროკავშირი თავისთავად ძალიან რთული მექანიზმია.

შარშან მიღწეული წარმატებები და 2012 წლის დასაწყისიც გვაფიქრებინებს, რომ ეს იქნება საკმაოდ მნიშვნელოვანი წელი. ველოდებით ძალიან მნიშვნელოვან ვიზიტებს მარტში და ივნისში ე.წ. მობილობის კუთხით. 2012 წლის ზაფხულამდე უნდა დაიწყოს ე.წ. ვიზა-დიალოგი საქართველოსა და ევროკავშირს შორის, რომლის საბოლოო შედეგიც უნდა იყოს უვიზო მიმოსვლა საქართველოსა და ევროკავშირს შორის. ივნისში ან ივლისის დასაწყისში ამ საკითხებზე ველით ევროკომისრის ჩამოსვლას საქართველოში, რათა გაჟღერდეს ეს გადაწყვეტილება. იმედი გვაქვს, რომ წლის ბოლომდე ასოცირების შეთანხმების თავების უმეტესობას შევათანხმებთ, დღეისთვის, უკვე შეთანხ-

მებულია 75-80% თავებისა. რაც შეეხება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ შეთანხმებას, ისიც, ალბათ, საკმაოდ სწრაფად წარიმართება იმის გათვალისწინებით, რომ ორწელიწად-ნახევრის განმავლობაში ვმუშაობდით ამ მოლაპარაკებების დასაწყებად. წამოყენებული გვქონდა საკმაოდ სერიოზული წინაპირობები, რასაც არ ჰქონია ადგილი ზოგიერთი სხვა ქვეყნის შემთხვევაში. მაგრამ, თუკი ამ ქვეყნებს მოლაპარაკებების წარმართვისთვის 3-4 წელი დასჭირდათ, ჩვენს შემთხვევაში, თავად ევროკავშირის წარმომადგენლების თქმით, სავაჭრო კომისიის ნათქვამს მოგახსენებთ, ეს მოლაპარაკებები არ უნდა გაგრძელდეს ძალიან დიდხანს... იმედი გვაქვს, რომ მას ორ წელზე ნაკლები დასჭირდება.

ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ შორეულ თუ საშუალოვადიან პერსპექტივაში ევროპის საკითხი გადაწყვეტილია. ჩვენი დისკუსიის თემაა: საქართველოს ევროპული მომავალი. ჩვენზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. მაქსიმალურად უნდა გავაკეთოთ ყველაფერი იმისთვის, რომ არ მივცეთ საბაბი სკეპტიკურად განწყობილ ქვეყნებს და ადამიანებს, მიგვითითონ იმაზე, რომ საქართველო არ არის მზად წევრობისათვის. უნდა განვაგრძოთ რეფორმები და ჩვენი ქვეყანა უნდა გავხადოთ კიდევ უფრო დემოკრატიული, კიდევ უფრო განვითარებული ეკონომიკური თვალსაზრისით და კიდევ უფრო მიმზიდველი. ეს შეიძლება ბრტყელ სიტყვებად მოგესმათ, მაგრამ, ამ პროცესში, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. მაგრამ, როგორც ბატონმა ვერჰოიგენმა აღნიშნა, მხოლოდ ეს არ არის საკმარისი... ძალიან მნიშვნელოვანია თავად ევროპის კავშირის შიგნით მიმდინარე პროცესები და იდეოლოგიური, პოლიტიკური დებატები ევროკავშირის მომავალსა და გაფართოების თემაზე. ეს კრიტიკად არავინ უნდა მიიღოს, საქართველოში, როგორც ყველა ქვეყანაში, გარკვეული ეთნოცენტრიზმია. ჩვენ გვაინტერესებს, თავად რას ვაკეთებთ, რას აკეთებს ჩვენი მთავრობა, რაც ძალიან ბუნებრივია, ძალიან ჯანსაღია მიდგომა, რომ შენს მთავრობას უფრო მეტი მოსთხოვო. მაგრამ, კარგი იქნება, მიმდინარე პროცესების ერთიანი სურათი შეიქმნას და უფრო მეტად დავინტერესდეთ, და დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი შეხვედრის მიზანიც ეს უნდა იყოს, რომ გავიგოთ, რა აზრზე არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები გაფართოებასთან დაკავშირებით.

სავსებით ვეთანხმები ბატონ ვერჰოიგენს იმაში, რომ ეს არ უნდა იყოს ჩვენთვის პესიმიზმის მიზეზი, იმიტომ, რომ ყველაფერი იცვლება. თუკი და-

ვაკვირდებით 90-იან წლებში მიმდინარე პროცესებს, მაგალითად, 1994 წელს, ვერცერთი ის ქვეყანა, რომელიც 2004 წელს გახდა ევროკავშირის წევრი, ვერ იფიქრებდა, რომ ათ წელიწადში ევროკავშირის წევრი გახდებოდა. ენა, რომელსაც იყენებდნენ ბრიუსელში ამ ქვეყნების მიმართ სხვადასხვა დოკუმენტში, ბევრად უფრო მოკრძალებული იყო იმასთან შედარებით, რაც ჩვენ, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს დღეს გვაქვს. რა თქმა უნდა, კონიუნქტურა გაფართოების თვალსაზრისით ძალიან ცუდია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ათ წელიწადში, ან ცოტა უფრო ნაკლებში ან მეტში, იგი არ შეიცვალოს. დღეს დომინირებს კონსერვატიული მიდგომა, რომ გაფართოება პრობლემაა, რომ ევროკავშირი უნდა იყოს კლუბი მდიდარი ხალხისთვის და კარგად აღზრდილი ჯენტლმენებისთვის. მაგრამ, ამავე დროს, როდესაც მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს ვაკვირდებით, ვხედავთ, რომ ევროკავშირს სერიოზული გამოწვევა აქვს ნაკლებად უფრო დემოკრატიული პოლუსებისგან, ავიღოთ, მაგალითად, რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი, და ამ ქვეყნებს, ეკონომიკური განვითარების ტემპები ბევრად უფრო სწრაფი აქვთ და ბევრად უფრო ნაკლებად მოკრძალებულები არიან საგარეო პოლიტიკაში, ვიდრე ევროკავშირი.

ჩვენთვის, ისევე როგორც აღმოსავლეთის პარტნიორობის ნებისმიერი ქვეყნისთვის, ძლიერი, ამბიციური ევროპა არის შანსი. ყველაფერი, რაც ხელს შეუწყობს ინტეგრაციულ პროცესებს ევროპის შიგნით, ევროკავშირის სტრუქტურების გაძლიერებას და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კიდევ უფრო მეტად ამბიციურად გადაქცევას, ჩვენთვის მისაღებია. იმიტომ, რომ სხვა რეგიონი ინტეგრაციული თვალსაზრისით არ გვაინტერესებს. ევროპის ნაწილი ვართ არამარტო გეოგრაფიულად, და არც ამის შესახებ ყოფილა კონსენსუსი თხუთმეტიოდე წლის წინ...

ქეთევან ციხელაშვილი – 2009 წლის მაისში, როდესაც პრაღის სამიტზე გაცხადდა აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიცირების შესახებ, ევროკავშირმა ერთ-ერთ ამოცანად დაასახელა სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაფართოება, მისი გაძლიერება და სამოქალაქო საზოგადოებასა და, შესაბამისად, აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების ხელისუფლებებს შორის პარტნიორობის ხელშეწყობა. აღმოსავლეთის პარტნიორობის ექვსივე ქვეყანაში ჩამოყალიბდა ეროვნული პლატფორმა, რომელიც წარმოადგენს ძა-

ლიან ბევრი განსხვავებული პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციის გაერთიანებას. საქართველოს შემთხვევაში ის აერთიანებს საერთაშორისო ფონდებსაც. დღევანდელი ჩვენი მასპინძელი, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის რეგიონული ოფისიც ეროვნული პლატფორმის წევრია. ამ ორგანიზაციებს აერთიანებს ორი რამ: ძირითადი მიზანი, ევროინტეგრაციაში, ევროინტეგრაციის პროცესების ხელშეწყობაში გამოიხატება, ყოველ შემთხვევაში, ორგანიზაციების უმრავლესობა ამ მიზანს იზიარებს, და მეორე – ეს ორგანიზაციები მუშაობენ სხვადასხვა მიმართულებებით, რაც ეხმიანება აღმოსავლეთის პარტნიორობის პოლიტიკურ პრიორიტეტებს. ფუნქციონირებს ოთხი ძირითადი თემატური პლატფორმა: 1. სტაბილურობა, დემოკრატია და კარგი მმართველობა; 2. ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის ნორმებთან და რეგულაციებთან ჰარმონიზაცია; 3. ენერგეტიკული უსაფრთხოება და გარემოს საკითხები; 4. ადამიანებს შორის კონტაქტი, რომელიც ძალიან ფართო სფეროს მოიცავს, მათ შორის, განათლებას, კულტურას და ა.შ.

ეროვნულ პლატფორმებს ექვსივე ქვეყანაში, ძალიან განსხვავებული კონტექსტი და სივრცე აქვთ მოქმედებისათვის. როდესაც სივრცეზე ვსაუბრობ, ვგულისხმობ წვდომას პოლიტიკასა და პოლიტიკის ფორმირებაში თანამონაწილეობისათვის. ზოგიერთ ქვეყანაში ეს გარემო ძალიან რთულია და ხშირად – რეპრესიულიც. ზოგან თავისუფლების მეტი ხარისხია სამოქალაქო საზოგადოების სექტორისათვის, მაგრამ ევროკავშირის ინიციატივა და მზარდი მხარდაჭერა ეროვნული პლატფორმებისა და მათი დამატებითი ინსტრუმენტებით აღჭურვა მიანიშნებს, რომ გარკვეული გამოწვევები ყველა ქვეყანაში არსებობს და ეს სივრცე უნდა გაიზარდოს.

საქართველოს ეროვნულ პლატფორმაში დღეისათვის 98 ორგანიზაციაა გაწევრიანებული. არის მსურველების დიდი ნუსხაც. ინტერესი სულ უფრო იზრდება. საკმაოდ ხშირად, პლატფორმა პლურალისტური დისკუსიების ადგილია. მოსაზრებები განსხვავებულია და ეს ძალიან კარგია. ზოგადად, ეროვნული პლატფორმა სარკისებურად ასახავს საზოგადოებაში არსებულ განწყობებს. ვგულისხმობ იმას, რომ საქართველოში წლების განმავლობაში ევროპას, ევროკავშირს და ევროინტეგრაციას ძალიან დიდი მხარდაჭერა აქვს. ბოლო გამოკითხვებით, რომლებიც 2009-2011 წლების შედეგებს ასახავდა, მოსახლეობის 79-80%-მა უპასუხა, ხვალ რომ ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ რეფე-

რენდუმი ტარდებოდეს, ისინი ამას პოზიტიურად უპასუხებდნენ, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. ბატონმა თორნიკემ ახსენა, რომ ამ პროცესებში მოლდოვა და საქართველო ლიდერებად ითვლებიან, მაგრამ, მოლდოვაში ანალოგიური მაჩვენებელი 68%-ია, რომელიც ასევე მაღალია, თუმცა, საქართველოში ამ პროცესს გაცილებით მეტი ადამიანი უჭერს მხარს. პლატფორმა ეხმიანება არა მარტო საზოგადოებრივ აზრს, არამედ მის ინტერესსაც. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა ძალიან დიდმა ნაწილმა ბევრი რამ არ იცის ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესზე. მოთხოვნა და დაკვეთა, რომ მიიღონ მეტი ინფორმაცია და გაზარდონ თავიანთი ჩართულობა, ნამდვილად არსებობს.

ის, რომ საქართველოში ამდენი ორგანიზაციაა დაინტერესებული ევროპული ინტეგრაციით, არ არის გასაკვირი, იმიტომ რომ პოლიტიკურ დონეზე იგი ცალსახად არის გაცხადებული, როგორც საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი. ამ საკითხზე კონსენსუსი არსებობს საზოგადოების სხვა სეგმენტშიც. მაგალითად, პოლიტიკური პარტიებისთვისაც, რომლებიც საქართველოში ხშირად არ გამოირჩევიან აზრთა თანხვედრით, ევროპული ინტეგრაცია ალბათ ერთადერთი თემაა, რაზეც თანხმდებიან.

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სექტორის ძალიან დიდი ნაწილი, რომელსაც მეც მივეკუთვნები, საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციას უკავშირებს იმ ღირებულებებს, რაზეც, ალბათ, საზოგადოებაში კიდევ უფრო ფართო კონსენსუსი არსებობს და ეს არის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების კურსი, დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა. სპეციალურად ვახსენე „კურსი“ და არა „მოდელი“, იმიტომ, რომ მოდელებზე ძალიან ბევრი დისკუსია იმართება საქართველოში და ვიცით, რომ თავად ევროკავშირშიც მრავალი მოდელი არსებობს... როდესაც ძირითადი პრინციპები დაცულია, საქართველოსათვის, ევროპასთან ინტეგრაციისა და დემოკრატიული განვითარების პროცესები სამოქალაქო საზოგადოების პერსპექტივით, ანალოგიურია. ეს საკითხი უკავშირდება უსაფრთხოებასაც, მით უმეტეს, ისეთ რთულ გარემოში, როგორშიც გვიწევს ყოფნა. უსაფრთხოებას არ მოვიაზრებ მისი, მხოლოდ, ხისტი გაგებით. ცხადია, არსებობს საფრთხეები. ევროკავშირი სხვადასხვა ფორმატით არის ჩართული კონფლიქტების მოგვარებაში, არსებობს მონიტორინგის მისია, რომელიც გაგრძელდება. აქვე არ შემიძლია არ ვთქვა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს მისია ძალიან წარმატებულია საქართველოს

კონტროლირებად ტერიტორიაზე, მაინც რჩება ნახევრად ამოქმედებულ მექანიზმად საკუთარ მანდატთან მიმართებაში, რამდენადაც არა აქვს წვდომა კონფლიქტის რეგიონის მეორე მხარეს. თუმცა, იმედია, რომ ევროკავშირის პოტენციალი ამ მიმართულებით გაცილებით უფრო დიდია და, ალბათ, მომავალში მისი ჩართულობა კიდევ უფრო გაიზრდება. მაგრამ, უსაფრთხოებაზე საუბრისას სხვა ტიპის საფრთხეებსაც ვგულისხმობ. სამეზობლოში ძალიან ბევრ ადგილას განვითარება და მოდერნიზაცია ნამდვილად აღარ გულისხმობს დემოკრატიზაციას. ამიტომ, ჩვენთვის, ევროპული ინტეგრაციის მხარდამჭერი ორგანიზაციებისათვის, ევროპისაკენ სწრაფვა, ფაქტობრივად, არის ის მაკავშირებელი რგოლი, რაც ამ პროცესს ერთმანეთთან აკავშირებს. გნებავთ, დავარქვათ ამას მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიზაციის გადაზღვევის სტრატეგია. აქედან გამომდინარე, იგი უალტერნატივოა.

დღეისთვის, ის სტიმული, რომელიც თავის დროზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაწევრიანებისთვის არსებობდა, გვესმის, რომ არ არსებობს, მაგრამ, მაინც ვფიქრობთ, რომ არსებული ინსტრუმენტებისა და ფორმატების გამოყენების შემთხვევაში, ნამდვილად შეიძლება ევროპის ძალიან ძლიერი ე.წ. „რბილი ძალაუფლების“ გამოყენება იმისათვის, რომ კონკრეტული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური შედეგები იქნეს მიღწეული საქართველოს მოქალაქეებისათვის მრავალმხრივ თუ ორმხრივ ფორმატებში... მით უმეტეს, რომ ევროკავშირი დაგვპირდა „მეტი მეტისთვის“ პრინციპით თანამშრომლობას. რაც, ცხადია, მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ევროპულ მისწრაფებას პრიორიტეტულად განიხილავენ.

ეროვნული პლატფორმა და მისი განახლებული საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც პლატფორმის კოორდინირება ევალება გარკვეული პერიოდით, უკვე განიხილავს სტრუქტურული დიალოგის ჩამოყალიბების სამმხრივი – ევროკავშირი, საქართველოს ხელისუფლება, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება – ფორმატის შესაძლებლობას. ჩვენ ასევე ვართ დაინტერესებულნი, რომ შესაბამის უწყებებთან, როგორიც არის სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, სადაც ბატონი თორნიკე ხელმძღვანელობს ამ მიმართულებას, ასევე, პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტთან რეგულარული გაცვლა გვქონდეს. იგივე პროფილურ სამინისტროებთან, სადაც არიან პასუხისმგებელი პირები და ა.შ. მინდა ვისარგებლო დღევანდე-

ლი შეხვედრით და ბატონ თორნიკეს ვთხოვო, მხარი დაუჭიროს ამ ინიციატივას, რათა გავაფართოოთ ჩვენი თანამშრომლობა. მით უმეტეს, რომ ძალიან დატვირთული წელი მოდის და ეს წელი მნიშვნელოვანია საქართველოსათვის არა მხოლოდ ევროპასთან ინტეგრაციის თვალსაზრისით, არამედ იმიტომაც, რომ მოდის არჩევნები და ყველას გვესმის, რომ ეს არის საეტაპო მნიშვნელობის პერიოდი.

ის დასკვნა, რომელიც დღეს არაერთხელ ახსენეს, ძალიან კარგად გამოხატავს ყველა იმ პრიორიტეტს, რაზეც საქართველოს სამოქალაქო სექტორი განსაკუთრებულ ფოკუსირებას გააკეთებს. ცხადია, დემოკრატიის კონსოლიდაციის თემა, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები, მედია და სასამართლო, ასევე იქნება ფოკუსში. მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს შეხვედრა ეროვნული პლატფორმის წევრ რამდენიმე ორგანიზაციასა და საქართველოს ხელისუფლებას შორის იმ საკანონმდებლო წინადადებების პაკეტზე, რომლითაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა ცოტა ხნის წინ მიმართეს პარლამენტს. კამპანიაში, სახელწოდებით „ეს შენ გეხება“, რომელიც ახლაც მიმდინარეობს, ძალიან ბევრი არასამთავრობო და მედიაორგანიზაცია მონაწილეობს და იგი მიმართულია იმისკენ, რომ საქართველოში შეიქმნას თავისუფალი და კონკურენტული საარჩევნო გარემო. ხვალ კიდევ იმართება ერთი შეხვედრა და ძალიან კარგია, რომ ხელისუფლების მხრიდან არსებობს მზაობა, მოისმინოს მოსაზრებები და არგუმენტები, რაც არსებობს სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან. იმედია, მზაობას შედეგებიც მოჰყვება. სამოქალაქო საზოგადოებას, ყოველ შემთხვევაში, ეროვნული პლატფორმის ძალიან ბევრ წევრს, რომელიც შეუერთდა ამ კამპანიას, არ ამოძრავებს პოლიტიკური, სუბიექტური მოსაზრება. ეს არ არის პოლიტიკური გემოვნების საკითხი. ეს არის მხოლოდ ერთი რამ – ყველა პოლიტიკური სუბიექტისათვის, ყველა მოქალაქისათვის იყოს თავისუფალი გარემო აზრისა და სიტყვის გამოხატვისათვის, შეკრების თავისუფლებისათვის და ა.შ.

გარდა ამისა, სამოქალაქო საზოგადოება იმუშავებს იმ მიმართულებებით, რომლებიც დღის წესრიგში დგას ევროპასა და საქართველოს შორის. მოხარულები ვართ, რომ მოლაპარაკებები დაიწყო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე. საქართველოსთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, იმიტომ რომ ევროკავშირი საქართველოსთვის ნომერი

პირველი სავაჭრო პარტნიორია. ფაქტობრივად, ჩვენი ექსპორტისა და იმპორტის 20-30% ევროკავშირზე მოდის. აქედან გამომდინარე, მომავალში სატარიფო და არასატარიფო ბარიერების გარეშე 500-მილიონიან ბაზარზე წვდომა საქართველოს განვითარებადი ეკონომიკისათვის ძალიან მნიშვნელოვანი სტიმულია. გვესმის, რომ მოლაპარაკებები ძალიან კომპლექსური პროცესია და შედეგის მიღწევა, გარდა პოლიტიკური ნებისა, რომელიც უკვე გამოიხატა, დამოკიდებულია იმ პროგრესზე, რომელიც საქართველოს კონკრეტული რეფორმების შედეგად მიიღწევა.

სამოქალაქო საზოგადოებამ წინა წლების განმავლობაში ძალიან დიდი მონაწილეობა მიიღო იმ საკითხების განხილვაში, რომლებიც ცოტა პრობლემურად განიხილებოდა და სასიხარულოა, რომ პროგრესი ამ მიმართულებით არსებობს. ეს ეხება სურსათის უვნებლობის, კონკურენციის კანონმდებლობას და ა.შ. სამოქალაქო სექტორი მომავალშიც აპირებს ამ მიმათულებით ღრმა თანამშრომლობას...

როდესაც პროცესების მონიტორინგზე ვსაუბრობთ, გასათვალისწინებელია, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაში ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველო უფრო მეტად არის დაინტერესებული, ვიდრე ევროკავშირი, ეს იმიტომ, რომ საქართველოსთან ვაჭრობის წილი თვითონ ევროკავშირის ვაჭრობის სტრუქტურაში ძალიან მცირეა და, შესაბამისად, პასუხისმგებლობის ტვირთი მოდის საქართველოს ხელისუფლებაზე. მაგალითად, არის ზოგიერთი სხვა შეთანხმება, სადაც ასეთი ტვირთი მოდის ევროკავშირის მხარეზე. დღეს ვსაუბრობდით მობილურობისა და უვიზო მიმოსვლის პერსპექტივებზე, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ ყველა მოქალაქეს ეხება და ხელშესახები შედეგი იქნება თანამშრომლობის ფორმატიდან გამომდინარე. დღეისთვის გვაქვს გამარტივებული სავიზო რეჟიმი ევროკავშირთან. ზუსტად ერთი წლის წინ ამოქმედდა ეს ხელშეკრულება რეადმისიის ხელშეკრულებასთან ერთად. ჩვენი ორგანიზაცია აკვირდება ამ პროცესებს, თუ როგორ სრულდება ეს ხელშეკრულება, რა ტიპის პრობლემებია და მინდა გითხრათ, რომ პროგრესთან ერთად არსებობს გამოწვევებიც... მაგალითად, ის, რომ ევროკავშირის სამი ქვეყნის საკონსულო საერთოდ არ არის საქართველოში და არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი წესით არ ემსახურება საქართველოს მოქალაქეებს, ძალიან აძვირებს და ართულებს სა-

ვიზო აპლიკაციებს ჩვენი მოქალაქეებისათვის. არის პრობლემები, როგორც ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ისე ე.წ. ევროპის სავიზო კოდექსიდან გამომდინარე, რომელიც 2010 წლის აპრილში ამოქმედდა და განსაზღვრავს სავიზო პროცედურების ძირითად წესებს. ისევ გვაქვს პრობლემები იმასთან დაკავშირებით, რომ ხელმისაწვდომი არ არის მომსახურება მშობლიურ ენაზე, რაც სავიზო კოდექსითაა გათვალისწინებული. იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც არ ფლობენ ინგლისურ ან ევროკავშირის რომელიმე სხვა ენას, ეს ძალიან ართულებს ვიზაზე განაცხადის შეტანის პროცედურას. ზოგიერთ საკონსულოში არ არის მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, არის ცოცხალი რიგები და ა.შ. როგორც ჩანს, ამასაც დრო სჭირდება, რომ ევროკავშირის მხარემ იმპლემენტაცია სრულად შეიყვანოს ძალაში და თუნდაც იმ კატეგორიებისათვის, რომლებიც არის სავიზო ხელშეკრულებით გათვალისწინებული, გაამარტივოს ვიზების გაცემა, როგორც ეს, ჩვენი კვლევის თანახმად, ხშირად არ ხდება.

დაბოლოს, კიდევ ერთი საკითხი ვიზებთან დაკავშირებით. ბატონო თორნიკე, ალბათ, თქვენც წამოჭრით ამ საკითხს მარტში კომისიაზე – საქართველოში ვიზაზე უარის თქმის სტატისტიკა ძალიან შემაშფოთებელია. 2009 წლის მონაცემებით, იგი 17,2%-ია, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. 2010 წელს იგი 14,6% გახლდათ. საქართველო ამ მაჩვენებლით მთლიანად აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში და რუსეთთან შედარებითაც ლიდერია. რუსეთსა და ბელარუსში ეს მაჩვენებელი 1%-ზე ან მის დაბლა მერყეობს. ჩვენი მაჩვენებელი არ ასახავს თანამშრომლობის პოლიტიკურ პრიორიტეტს. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია ასეთი ტიპის საკითხებით და კვლევებით დაკავდეს და რეკომენდაციები და წინადადებები გაუზიაროს გადაწყვეტილებების მიმღებ მხარეებს. პროცესს, ეს ალბათ, მხოლოდ წაადგება. ჩვენ კონსულტაციას გავდივართ როგორც ევროკავშირთან, ისე საქართველოს ხელისუფლებასთან... ცოტა ხანში უფრო კონკრეტული წინადადებებით მოგმართავთ, რა ტიპის ფორმატი შეიძლება მოვძებნოთ ამ სტრუქტურული დიალოგისათვის, იმიტომ რომ ნამდვილად არის მზაობაც და შესაძლებლობაც იმისათვის, რომ აქტიური როლი ვითამაშოთ ამ პროცესში.

ივლიანე ხაინდრავა – ჩემი შეკითხვა უშუალოდ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობას არ შეეხება, მაგრამ ევროკავშირს კი ეხება. როგორ მოიქ-

ცევა ევროკავშირი, თუ შოტლანდიელებმა რეფერენდუმზე მხარი დაუჭირეს გასვლას გაერთიანებული სამეფოდან და, საერთოდ, რა პროცესის მომასწავებელი იქნება ეს გადაწყვეტილება ევროკავშირისთვის?

და ერთი რეპლიკა ბატონი თორნიკეს ერთ-ერთ პასაჟზე – რატომღაც მგონია, რომ საზღვარი ევროპასა და აზიას შორის ბოსფორზე და, თუ გნებავთ ურალის მთებზე უფრო ბუნებრივი რამ არის, ვიდრე საქართველოს სინგაპურიზაცია, რომლითაც ტვინს უმღვრევენ როგორც საქართველოს მოსახლეობას, ისე ბევრ ევროპელს, რომელზეც დამოკიდებულია ჩვენი ევროპასთან ინტეგრაცია.

გიუნტერ ვერჰოიგენი – შოტლანდია ვერ გამოვა ევროკავშირიდან. ამ შემთხვევაში გასაუქმებელი იქნება მთლიანად გაერთიანებული სამეფო, სხვადასხვაგვარი რეგულაცია იქნება მისაღები. აუცილებელი იქნება უელსის, შოტლანდიის, ირლანდიის დაშლა. თეორიულად, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. ვისაც გასვლა უნდა, შეუძლია გავიდეს, ჩვენ არავის ვიჭერთ. ეს გაწერილია კიდეც ხელშეკრულებაში, რომ ვისაც არ სურს დარჩენა, ვერავინ დააძალებს. ჩვენ არ წარმოვადგენთ იმპერიალისტურ წარმონაქმნს, რომელიც ძალადობით ცდილობს თავისი წევრების შეკავებას. ჩვენთან, მაგალითად, არის ასეთი პოზიციაც – მოისროლეთ საბერძნეთი, რაში გჭირდებათ, მხოლოდ პრობლემებს გვიქმნის. ვინც ამას ამბობს, ჩემი აზრით, ის ვერ აზროვნებს ნორმალურად. გაჭირვებულის ხელისკვრა და გაგდება გაუმართლებელი იქნებოდა.

ივლიანე ხაინდრავა – დავაზუსტებ, გაერთიანებული სამეფოდან გასვლაზე ვიკითხე და არა ევროკავშირიდან.

გიუნტერ ვერჰოიგენი – მივხვდი, რაც იგულისხმეთ. შეუძლია დატოვოს დიდი ბრიტანეთი. თუ დიდი ბრიტანეთი დაიშლება, და თუ ეს მათთვის მისაღები იქნება, ვერაფერს გავაწყობთ ამის წინააღმდეგ. თუ ხალხი გადაწყვეტს გაერთიანებული სამეფოს დაშლას, როგორც იუგოსლავია დაიშალა, ალბათ, ამას ვერაფრით შევეწინააღმდეგებით. თუკი ევროკავშირის წევრი სახელმწიფო თავის სტრუქტურას, პოლიტიკურ მოწყობას ცვლის, ეს ჩვენთვის მისაღები იქნება. თუმცა, ეს არ არის დღეს ჩვენთვის აქტუალური პრობლემა.

ბოსფორთან და ურალთან დაკავშირებული კითხვა ჩემთვის არ დაგისვამთ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ბოსფორი ნამდვილად არ არის საზღვარი. ეს არის ყველაზე დიდი სისულელე, რაც გამიგია, რომ ვითომ ბოსფორი საზღვარია ევროპასა და აზიას შორის. აბსოლუტური უაზრობაა. ბოსფორი არაფერს არ ჰყოფს, პირიქით, აერთიანებს.

გიორგი თაბაგარი – ჩემი შეკითხვა ასევე არ შეეხება საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს, უფრო ევროკავშირს ეხება. მაინტერესებს, მზარდი ევროსკეპტიციზმის, არსებული კრიზისის თუ ულტრამემარჯვენე ძალების მომძლავრების ფონზე, მიგაჩნიათ თუ არა, რომ არსებული ან ძველი ნარატივები საჭიროებს გადახედვას ან, როგორც მინიმუმ, ახალი ევროპული ნარატივის შექმნას, რომელიც ევროკავშირს ხელახალ ლეგიტიმაციას მოუტანს.

გიუნტერ ვერჰოიგენი – თუკი შევხედავთ სიტუაციას, დავინახავთ, რომ გარკვეული მანიფესტირებული და აღმავალი ტალღა მემარჯვენე ექსტრემიზმისა ან რასიზმისა, ევროკავშირში თვალსაჩინო არ არის. არსებობს წევრ სახელმწიფოებში ამგვარი ტალღა, რომელიც პერიოდულად მატულობს, მაგრამ შემდეგ კვლავ იკლებს. თუკი სწორად ვაფასებ სიტუაციას, მხოლოდ უნგრეთშია ამ მხრივ პრობლემა გამოკვეთილი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ უნგრეთი ამ პრობლემას გადაჭრის. მსგავსი პრობლემა გვაქვს პოლონეთში. პოლონეთის ხელისუფლებამ გვითხრა, არ ჩავერიოთ. ჩვენც დავეთანხმეთ, რომ არ ჩავერევით და თვითონ გადაწყვეტენ ამ პრობლემას. დანიაშიც იყო ცოტა ხნის წინ მთავრობა, რომელიც ცდილობდა პოპულისტური განცხადებებით მოეგროვებინა ქულები და გამოდიოდა ნაციონალისტური დევიზებით... არსებობს ამგვარი პრობლემები, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ გლობალური ხასიათისაა. ჩემს უნივერსიტეტშიც მიმდინარეობს კვლევები ამ მიმართულებით და კვლევები გვაჩვენებს, რომ ნაციონალისტური მოძრაობები ხშირად უფრო ინტენსიურად თავს იჩენს ახალ წევრ სახელმწიფოებში. ნაციონალური ღირსების ან ნაციონალური თვითგამორკვევის მცდელობები სწორედ ახალი სახელმწიფოებისთვის არის რატომღაც უფრო აქტუალური. გეთანხმებით, რომ არის ტენდენციები ამ მიმართულებით, თუმცა, შემიძლია ცალსახად ვთქვა, რომ ევროკავშირის არცერთ წევრ სახელმწიფოში ვერ ვხედავ ტენდენციას დეზინ-

ტეგრაციისკენ. დიდ ბრიტანეთზე უკვე ვისაუბრეთ. პროპაგანდით, რომელსაც ამერიკის მასმედია ავრცელებს ევროკავშირის და ევროზონის წინააღმდეგ, შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩეთ, რომ დღეს ევროზონა დაიშლება და ხვალ ევროკავშირი საერთოდ აღარ იარსებებს. ამგვარი ინფორმაცია ჩემთვის არ არის საინტერესო, იმიტომ რომ საფუძველს და ლოგიკას მოკლებულია. რა თქმა უნდა, ამ პროცესებს თვალი უნდა მივადევნოთ, მაგრამ ამ პრობლემაში არ უნდა დავინახოთ ჩვენი არსებობისთვის საშიში ფენომენი.

ქართული პოლიტიკის პოლუსები: სად არის ზომიერების რესურსი

მომხსენებლები:

იაგო კაჭკაჭიშვილი
სოციოლოგი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ჩარლზ ფერბენქსი
პოლიტოლოგი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ჰუდსონის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი

თამარ ჩუგოშვილი
იურისტი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე

მოდერატორი:

ნინო დანელია

4 ივლისი, 2012

ნინო დანელია – ზომიერების დისკურსის არსებობა თუ არარსებობა, რაზეც დღეს თქვენთან ერთად ვიმსჯელებთ, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება თქვენი აზრი, საერთოდ, გვჭირდება კი, ზომიერება პოლიტიკაში, თუ სწორედ რადიკალური გადაწყვეტილებები, რადიკალური დისკურსია გამოსავალი. ეს თემა განსაკუთრებით აქტუალური ბოლო პერიოდში გახდა. „ქართული ოცნებისთვის" მისი მოსვლისთანავე გაცხადდა ის, რომ „შუა უნდა გაიკაფოს", ანუ ქართული ელექტორატი მხარეების მიმართ პოლიტიკური ლოიალობების მიხედვით უნდა იყოს დალაგებული. ამას, ასევე განსაკუთრებულად, ხელს უწყობს ხელისუფლება, რომლის რიტოკირაც ეფუძნება კატეგორიებს – მომხრე, ჩემიანი, სხვისიანი. სხვისიანი თუ არის, მტერია.

რას ნიშნავს „ჩემიანი" და „სხვისიანი", – ამაზეც შეიძლება ვიმსჯელოთ.

სამეცნიერო, აკადემიურ ლიტერატურაში პოლიტიკური ზომიერების დისკურსი არის სწორედ მიუკერძოებლობის დისკურსი და რაც უფრო მეტია ასეთი ადამიანი, რაც უფრო ძლიერი და მყარია ასეთი ფენა საზოგადოებაში, პოლიტიკური რყევები ნაკლებად ხდება. და მით უფრო სტაბილურია ხოლმე დემოკრატიები ასეთ ქვეყნებში.

ჩარლზ ფერბენქსი – დავიწყებ შეკითხვით, ექსტრემისტულია თუ არა პოლიტიკური დისკურსი და ქმედება საქართველოში? ალბათ, უმეტესობა თქვენგანი ფიქრობს, რომ პოლიტიკური დისკურსი და ქმედება საქართველოში ექსტრემისტულია, ამიტომ ამ საკითხზე საუბარს დიდ დროს არ დავუთმობ. აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ საქართველოს მთავრობაში განხორციელებული ბოლოდროინდელი ცვლილებები სწორედ ამის დასტურია. ბატონი მერაბიშვილი კარგი უნარებისა და კომპეტენციების ადამიანია. თუკი არის ვინმე, ვისაც სამი თვის განმავლობაში ბევრი სამუშაო ადგილის შექმნა შეუძლია, მაშინ ეს ადამიანი მერაბიშვილია. ხოლო სხვა ბოლოდროინდელი სამთავრობო ცვლილებები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ძალოვანი სამინისტროებისათვის ერთგული და ულმობელი კანდიდატები შეირჩნენ. ეს დანიშვნები ორ შესაძლებლობაზე მიანიშნებს, ესენია: მუქარა შესაძლო ქუჩის რევოლუციების წინააღმდეგ, ან მთავრობის მზადება მოსალოდნელი დაპირისპირების მოსაგერიებლად.

ახალი დანიშვნები ძალიან უცნაურია, რადგან მთავრობას ჰქონდა ძალიან კარგი შანსი, რომელიც მან არ გამოიყენა. რადგან ბევრია ისეთი, ვისაც არ მოსწონს მთავრობა, მაგრამ ამავე დროს, არც ივანიშვილი მოსწონს, ანდა არჩევნებში ივანიშვილის გამარჯვების შემთხვევაში, გაურკვეველი შედეგების შიში აქვს. ამ ჯგუფის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად მთავრობისთვის უფრო მომგებიანი იქნებოდა ისეთი კანდიდატების დანიშვნა, რომლებიც საზოგადოებაში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ, თუმცა ნაციონალური მოძრაობის მიმართ ნაკლები ერთგულებით გამოირჩევიან. ამ შესაძლებლობის გამოყენების ნაცვლად, რაც მთავრობისგან ზომიერი გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვდა, მთავრობამ ორიენტაცია აიღო ყველაზე ცუდი მოსალოდნელი შედეგისთვის მზადყოფნაზე – სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველაზე ექსტრემალურ ალბათობაზე.

აქამდე ოპოზიციისთვის დამახასიათებელი იყო ექსტრემიზმი, რადგან მთავრობისაგან განსხვავებით, ის არც ქვეყანას მართავს და არც დასავლურ ზეგავლენას განიცდის. ამის მაგალითია ძველი ოპოზიცია. ერთხელ გიორგი გაჩეჩილაძემ თქვა, რომ სააკაშვილს დაიჭერდა. ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ივანიშვილმა ეს ტრადიცია დაარღვია – როგორც კი მოვიდა პოლიტიკაში, განაცხადა, რომ „რევოლუციისა“ და „ქუჩის“ გაგონებაც კი არ სურს, მიუთითა რა იმაზე, რომ ეს ცნებები მთავრობის მხრიდან წამოსული პროვოკაციებია. მიუხედავად ამისა, დროთა განმავლობაში, მთავრობის მხრიდან მის საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედებების შედეგად, ივანიშვილის გამოსვლები უფრო ექსტრემისტული გახდა. მაგალითად, ივანიშვილმა თქვა, რომ სააკაშვილი ხელს არ უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას, იმიტომ რომ ურჩევნია, ხალხი მთავრობაზე დამოკიდებული იყოს. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ივანიშვილის მიერ მერაბიშვილისა და მთავრობის სხვა წევრების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებზე. ივანიშვილმა თქვა, რომ მთავრობის წევრებმა მეტად არ უნდა მოიჭრან უკან დასახევი გზები, რადგან ბევრი დრო აღარ დარჩათ და იმგვარად უნდა მოიქცნენ, რომ შემდეგ შესაძლებლობა ჰქონდეთ თავიანთ ქვეყანაში იცხოვრონ. ცხადია, ზემოთ აღნიშნული გამონათქვამები არის მუქარა მისი ოპონენტების, მათი თავისუფლების და ქონების წინააღმდეგ. ასეთი სახის განცხადებები ეწინააღმდეგება დემოკრატიზაციისკენ ტრანზიციის სხვა ქვეყნების მაგალითებს, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წინა მთავრობის წევრებისათვის უსაფ-

რთხოების გარანტიების მიცემას. ამის ქართული მაგალითია შევარდნაძისა და „ვარდების რევოლუციის“ ლიდერთა შეთანხმება.

ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, ვისაუბროთ, თუ რა არის ამ ექსტრემიზმის წყაროები საქართველოში, ქართულ პოლიტიკაში. დარწმუნებული ვარ, კოლეგები ამაზე ისაუბრებენ, მაგრამ მინდა ხაზი გავუსვა ერთ ზოგად შეხედულებას, რომელზეც ბატონი გია ნოდია თავის კვლევაში „დემოკრატიზაციის კრიზისი საქართველოში“ საუბრობს. მოვიყვან ციტატას ამ კვლევიდან: „ამ პროექტის ფარგლებში განხორციელებული დისკუსიების მიხედვით, სოციალურად ყველაზე აქტიური მოსახლეობა, რომელიც პირდაპირ არ არის პოლიტიკაში ჩართული, საქართველოში დემოკრატიის დეფიციტის მთავარ მიზეზად დემოკრატიის პოლიტიკური კულტურის ნაკლებობას ასახელებს“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კვლევაში მონაწილეთა აზრით, მთავარი პრობლემა პოლიტიკურ კულტურაშია. ამაში სიმართლის მარცვალი ნამდვილად დევს, მაგრამ საქართველოში დემოკრატიის განვითარებას, ჩემი აზრით, უფრო ხელს უშლის ეს რწმენა, რომელიც ქართველებს აქვთ, თითქოს პრობლემა პოლიტიკური კულტურის ნაკლებობაა. თვითმმართველობა მოითხოვს საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენას და ეს რწმენა არის ის, რაც, ჩემი აზრით, ყველაზე მეტად აკლიათ ქართველებს.

ექსტრემიზმის ასეთი ახსნა, რომელიც პოლიტიკურ კულტურაზე ფოკუსირდება, პრობლემას კიდევ უფრო ზოგადს ხდის და გაურკვეველ ფორმას აძლევს. პოლიტიკურ კულტურაზე აპელირება ხელს უწყობს ქართულ „მაზოხიზმს“, რაც განსაკუთრებული ფენომენია. მაგალითად, საქართველოში როდესაც რამე პრობლემას წააწყდები, ხშირად გაიგებ ასეთ ფრაზას: „სხვას რას უნდა მოელოდე ქართველებისაგან!“. რა თქმა უნდა, პრობლემები, რომელზეც ხალხი საუბრობს, რეალურია, მაგრამ მსგავსი პრობლემები მხოლოდ საქართველოსთვის არაა დამახასიათებელი. იგივე პრობლემები არსებობს სხვა პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც. მაგალითად, რუმინეთში ამას „რუმინულ მომენტს“ ეძახიან, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ რაიმე უარყოფითი ხდება, რუმინელები ამაზე ამბობენ: „ეს მხოლოდ რუმინეთში შეიძლება მოხდეს!“.

ეს ფენომენი ქართველებშიც არსებობს – ქართველები საერთო პოსტკომუნისტურ გამოცდილებას საკუთარ თავზე იღებენ და ამბობენ, რომ პრობლემა

ქართულ ბუნებაშია. ქართველების ეს შეხედულება არაჯანსაღია. ქართულ ექსტრემიზმს ბევრი სხვადასხვა წყარო აქვს, მაგრამ ნათელია, რომ ერთ-ერთი წყარო საბჭოთა პოლიტიკური დისკურსია. ლენინი ხშირად ამბობდა, რომ არ არსებობს შუალედი და რომ ყველაფერი ან შავია ან თეთრი. ლენინის აზროვნების მოდელის საილუსტრაციოდ რუსულ ფრაზას „кто кого"-ს მოვიყვან. ლენინის აზროვნების ამ მოდელის მაგალითად ასევე გამოგვადგება 1907 წელს მენშევიკების მისამართით გამოთქმული სიტყვები: „ამგვარი მტრების წინააღმდეგ, ადრე გავაჩაღე ..... (და) მომავალშიც ყოველთვის გავაჩაღებ გამანადგურებელ ბრძოლას".

რა თქმა უნდა, სააკაშვილი და ივანიშვილი ლენინის მიმდევრები არ არიან, ყოველ შემთხვევაში, შეგნებულად, მაგრამ დიქოტომიური ანუ შავ-თეთრი აზროვნების მოდელი საბჭოთა პოლიტიკის დისკურსის გარდაუვალი მახასიათებელი იყო, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა ადამიანის ფუნდამენტურ შეგრძნებებზე პოლიტიკასთან მიმართებაში.

უმეტესობა თქვენგანი იმ ასაკისაა, რომ უნდა ახსოვდეს საბჭოთა დიქოტომიური აზროვნების მაგალითები: საბჭოთა აგენტს ერქვა „разведчик", ხოლო უცხოელ აგენტს – „шпион"; გლეხთა და მუშათა აჯანყებას ან სპარტაკის მეთაურობით განხორციელებულ მონების აჯანყებას ერქვა „восстание", ბურჟუა ნაციონალისტების (1924 წ.) და თეთრგვარდიელების აჯანყებებს კი „мятеж" ეწოდებოდა. ასეთი აზროვნების საფუძველს წარმოადგენდა განსხვავება „ჩვენიანსა" და „თქვენიანს" შორის და მათ შორის ისეთივე განსხვავება იყო, როგორც კარგსა და ბოროტს შორის. როგორც ანდრეი ჟდანოვი ამბობდა: „სამყარო დაყოფილია ორ ბანაკად". მოკლედ, ყველა საბჭოთა დისკურსი ამგვარად იყო სტრუქტურირებული – არსებობდა აბსოლუტური კარგი და აბსოლუტური ბოროტი, აბსოლუტური სიკეთე და აბსოლუტური სისასტიკე.

ადამიანები, რომლებიც ასეთ კულტურაში იზრდებოდნენ, როგორც წესი, ენდობოდნენ თავიანთ მეგობრებს, ოჯახის წევრებს და უნდობლობით იყვნენ განწყობილნი ყველა სხვა ადამიანის მიმართ. ამის შედეგია, რომ სამოქალაქო საზოგადოება ან შუამავალი ასოციაციები ძალიან სუსტია საქართველოში. აქედან გამომდინარე, იბადება კითხვა – როგორ შეიძლება ეს გარემოება ესადაგებოდეს დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის ნორმებს?

რასაკვირველია, საბჭოთა, თანამედროვე საქართველოსა და დემოკრატიული პოლიტიკური კულტურები ერთმანეთისაგან განსხვავდება. არსებობს ზოგადი შეხედულება, რომ დემოკრატია დამოკიდებულია შემწყნარებლობასა და ეთნიკური და რელიგიური განსხვავებების მიღებაზე. სამწუხაროდ, ამ მოსაზრების საწინააღმდეგო ორი გამონაკლისი არსებობს: პირველი, ეს არის ამერიკის სამხრეთი შტატები, სადაც მე გავიზარდე და სადაც, მაგალითად, სხვადასხვა რასის წარმომადგენლებს ეკრძალებოდათ ერთი და იგივე ტუალეტით სარგებლობა; ხოლო მეორე მაგალითია – აპარტეიდული სამხრეთ აფრიკა. ორივე შემთხვევაში, საზოგადოებაში გარიყული ჯგუფები არსებობდნენ, მაგრამ სხვა მხრივ, ორივე სახელმწიფო რესპუბლიკური ან პლურალისტური მმართველობის მაგალითებს წარმოადგენდა. შეუწყნარებლური დამოკიდებულება ის რესურსია, რომლის მობილიზებაც ავტორიტარულ ლიდერებს შეუძლიათ. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეუწყნარებლობა დემოკრატიისათვის, შესაძლოა, დამაბრკოლებელი ფაქტორი იყოს, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის.

ვერ ვიტყვით, რომ ექსტრემიზმი დემოკრატიულ საზოგადოებაში არ არსებობს. ავიღოთ ბრიტანეთი, რომელიც დემოკრატიის კლასიკური მაგალითია, ხოლო ბრიტანეთის პოლიტიკური პარტიები, 1642 წლის სამოქალაქო ომში დაპირისპირებული მხარეების ნაშთებზე აღმოცენდნენ. ავიღოთ ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი. რესპუბლიკელთა პარტია ის პარტიაა, რომელიც შეიქმნა იმისთვის, რომ ებრძოლა მონობის წინააღმდეგ. რესპუბლიკური პარტიის ბრძოლა მალე გადაიზარდა სამოქალაქო ომში. დემოკრატიული პარტია შეიქმნა იმისთვის, რომ 1800 წლის არჩევნები მოეგო და ჯორჯ ვაშინგტონის მომხრეები დაემარცხებინა. დემოკრატიული პარტია მიიჩნევდა, რომ ფედერალისტებმა უღალატეს ამერიკული რევოლუციის პრინციპებს და ქვეყანა ბრიტანელებს მიჰყიდეს.

ექსტრემიზმის მაღალი დონე არსებობს დასავლური დემოკრატიული სახელმწიფოების პოლიტიკაშიც. დემოკრატიული ქვეყნების მოქალაქეები ჩხუბისთავები არიან, ცდილობენ თავი აარიდონ გადასახადების გადახდას და ერთმანეთს გამუდმებით უჩივიან სასამართლოში. თუმცა, ზემოთ ჩამოთვლილი ყველა გარემოება ხელს უწყობს თავისუფლების კულტურის ჩამოყალიბებას. შეიძლება ქართველებისთვის მანუგეშებელიც იყოს ის ფაქტი, რომ პოლი-

ტიკურ კულტურას ბევრი ნეგატიური მახასიათებელი აქვს, თუნდაც, ამერიკის შეერთებულ შტატებში. იტალიაც წარმატებულ დემოკრატიად ითვლება, თუმცა იტალიელები და უცხოელები ხშირად უკმაყოფილებას გამოთქვამენ ამ სახელმწიფოს პოლიტიკური კულტურის შესახებ. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დემოკრატია შეიძლება არსებობდეს დაბალი პოლიტიკური კულტურის პირობებშიც.

ექსტრემიზმს შეიძლება საზღვრები დაუწესდეს შეთანხმებული კანონებისა და წესების მეშვეობით. ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონის უზენაესობა. ამიტომაც დემოკრატიულ ქვეყნებში კანონის დაცვის აუცილებლობას პოლიტიკური დაპირისპირება კომპრომისამდე და თანამშრომლობამდე მიჰყავს. ამის საპირისპირო მდგომარეობაა იმ ქვეყნებში, სადაც კანონის უზენაესობის დეფიციტი უკონტროლო ექსტრემიზმის განვითარებას უწყობს ხელს.

ჩემი აზრით, ისეთ გარემოებებში, როდესაც კანონის უზენაესობის დეფიციტს ემატება მთავრობის ჩარევა კერძო ბიზნესში, იქამდე მივდივართ, რომ ვადის ამოწურვის შემდეგ მთავრობის მიერ თანამდებობის დატოვება უსაფრთხო აღარ არის, რადგან არსებობს რისკი, რომ არჩევნებში წაგების შემთხვევაში მთავრობა ძალაუფლებასთან ერთად დაკარგავს ყველაფერს.

იაგო კაჭკაჭიშვილი – ვისაუბრებ ზომიერების არსებულ რესურსზე ქართულ რეალობაში, აგრეთვე იმ წინაღობებზე, რომლებიც ამ ზომიერების რესურსს ამცირებს და ასევე შევეცდები ვილაპარაკო ზომიერების პოტენციურ რესურსზე, რომელიც ჯერჯერობით არ არსებობს, მაგრამ შესაძლებელია, რომ იარსებოს. დავარქვათ ამას ზომიერების ვირტუალური რესურსი. ასევე მინდა ვთქვა, რომ რაღაც დებულებები ჩემს პრეზენტაციაში დაეყრდნობა გამოკითხვის შედეგებს, ოღონდ თავს შევიკავებ კონკრეტული შედეგების და ციფრების დასახელებისაგან. საქართველოში პოლიტიკური პროცესები იმდენად დინამიურად ვითარდება, რომ შესაძლოა ერთი ან ორი თვის წინ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები მოძველებულიც კი აღმოჩნდეს ამ სიტუაციაში. თუმცა ტენდენციების აღსაწერად გამოსადეგი იქნება.

დავიწყებ ჩემთვის ყველაზე უფრო ტრივიალური ფაქტით, თუმცა ეს სრულიადაც არ არის ასეთი ცხადი მოცემულობა საზოგადოების გარკვეული ნაწი-

ლისთვის და, მით უფრო, არ არის ცხადი მოცემულობა ხელისუფლებისთვის. დღეს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ნამდვილად არსებობს ორი პოლიტიკური ცენტრი. ქართული პოლიტიკური სივრცე ორპოლუსიანია. ვგულისხმობ ხელისუფლებას დ პოლიტიკურ კოალიცია „ქართული ოცნებას". ეს არის საპირისპირო იმისა, რასაც NDI და IRI კვლევები აჩვენებს, და რომელსაც აქტიურად ეყრდნობა ხელისუფლება და მის მიმართ ლოიალურად განწყობილი ექსპერტული საზოგადოება. 10 ან თუნდაც 15%-იანი რეიტინგი ოპოზიციური პოლიტიკური ძალისა, არ მეტყველებს ორპოლუსიანი პოლიტიკური სივრცის არსებობაზე. არადა, ალტერნატიული კვლევები, მათ შორის, ჩვენი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული, აჩვენებს, რომ ასეთი ორპოლუსიანობა ნამდვილად არსებობს. რა მიზეზები განაპირობებს იმას, რომ სხვადასხვა საერთაშორისო გამოკითხვებში ვერ ვიღებთ რეალობის ადეკვატურ სურათს, ეს ცალკე პრობლემაა და ახლა მასზე მსჯელობას არ დავიწყებ. თუმცა, თუ შეკითხვა გაჩნდება, მაქვს ჩემი მოსაზრებები, რამ გამოიწვია გამოკითხვის შედეგების ერთი შეხედვით ოდიოზური ან მართლაც ოდიოზური შედეგების მიღება.

დავიწყებ ზომიერების არსებული რესურსით. ვფიქრობ, რომ ძირითადი ოპოზიციური აქტორის, ანუ კოალიცია „ქართული ოცნების" დიზაინის განმსაზღვრელი ფაქტორი დღეს არ არის ამომრჩეველთა ნეგატიური მობილიზაცია, რომელიც წამყვანი ფაქტორი იყო თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად გავლენიანი ოპოზიციური კოალიციის შექმნისას. ყველას გვახსოვს 2008 წელს მძლავრი ოპოზიციური კოალიცია, რომელიც არსებითად შეიქმნა ერთი პრინციპით – გავერთიანდეთ არსებული ხელისუფლების სიძულვილით, მიშას წასვლის გამო ყველას ყველასთან გაერთიანება ღირს. რასაკვირველია, იმის თქმა, რომ ეს პრინციპი ახალი პოლიტიკური კოალიციის შემთხვევაში საერთოდ არ მუშაობს, ტყუილია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ განმსაზღვრელია. მართალია, „ქართული ოცნების" შექმნას საფუძვლად დაედო ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის დიფერენციაცია ისეთი ბინარული ოპოზიციის ფარგლებში, როგორიც არის ნამდვილი ოპოზიცია და კვაზიოპოზიცია, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ეს არ არის განმსაზღვრელი ფაქტორი ამ ოპოზიციური კოალიციისთვის. ამის მაგალითია თუნდაც ის, რომ არსებობენ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც, კოალიციაში გაერთიანების სურვილის მიუხედავად, მასში ვერ მოხვდნენ, მიუხედავად იმისა, რომ კვაზიოპოზიციის სტიგმა არ აიკიდეს. პირველ

რიგში, ვგულისხმობ ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურ გაერთიანებას და სხვა პოლიტიკურ პარტიებს. ასე რომ, ვფიქრობ, დღევანდელი ოპოზიციური კოალიციის გაერთიანების საფუძველი გარკვეული ღირებულებითი თანხვედრაა, ცხადია, არ არის ტოტალური ღირებულებითი თანხვედრა და ამის თაობაზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებ. მაგრამ თანხვედრა თუნდაც ისეთი ღირებულების მხრივ, როგორიც პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკის არჩევაა, არაერთმნიშვნელოვნად არის გაცხადებული – ისინი პოლიტიკაში ძალისმიერი მეთოდებით მოსვლას გამორიცხავენ და არჩევნებია ერთადერთი ლეგიტიმური გზა ხელისუფლებაში მოსასვლელად. სწორედ ეს მიმაჩნია ზომიერების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რესურსად. სხვათა შორის, ამ სულისკვეთებას ეხმიანება თავად ბიძინა ივანიშვილის მიერ არაერთხელ ნათქვამი, ეს ფრაზა მან დაწერა კიდეც, რომ ისინი მოდიან არა სააკაშვილის დასამარცხებლად, არამედ ქვეყნის გადასარჩენად.

ზომიერების მეორე რესურსი, ჩემი აზრით, არის კოალიცია „ქართული ოცნების“ სიჭრელეში. ეს კოალიცია ნაკლები ალბათობით ჩამოყალიბდება ერთ მონოლითად, როგორც ეს მოხდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ნაციონალური მოძრაობის ერთ მონოლითად ჩამოყალიბების შემთხვევაში. ის არსებითად საარჩევნო მიზნებისთვის შეიქმნა და, ჩემი აზრით, დიდი ალბათობით, დაიშლება, როგორც კი ძალაუფლებაში ამა თუ იმ დოზით მოვა. ამის საფუძველს მაძლევს მის შიგნით მნიშვნელოვანი ღირებულებითი განსხვავებები, ისეთი დიქოტომიური პარადიგმების კონტექსტში, როგორიცაა მემარჯვენეობა, მემარცხენეობა, ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი და ა.შ. ეს შეუთავსებლობები ნამდვილად არსებობს ამ კოალიციაში, და ეს საზოგადოებისთვის ცნობილია. ასეთი ღირებულებითი განსხვავებები, ჩემი აზრით, არ ტოვებს იმის შესაძლებლობას, რომ „ქართული ოცნება“ ერთ პოლიტიკურ მონოლითად ჩამოყალიბდეს და მოახდინოს ძალაუფლების ან ხელისუფლების უზურპაცია, როგორც მოხდა ეს ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში.

ზომიერების შემდეგი რესურსი არის კომპრომისები, რომლებიც ხელისუფლებამ მძაფრი კონკურენციის პირობებში დაუშვა მთავარ კონკურენტთან გამკლავების გზაზე. ამის მაგალითებად შეგვიძლია დავასახელოთ „მასთ ქერის“ პრინციპის ამოქმედება, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში შესული ცვლილებები. მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონის მიმართ

პრეტენზიები დღესაც არის, ფაქტია, რომ მასში ოდიოზური ფრაგმენტები გასწორდა. ასევე, ვთქვათ, ივანიშვილის მეუღლისათვის ჩამორთმეული მოქალაქეობის აღდგენა და ა.შ. ამ შემთხვევაში არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა იმას, ეს დათმობები ზეწოლით გაკეთდა თუ იძულებით, მთავარია, რომ გაკეთდა, ხელისუფლება ამ კომპრომისებზე წავიდა, ცხადია, მას შეიძლებოდა სხვა არჩევანიც ჰქონოდა პოლიტიკური დაპირისპირების გამწვავების ფონზე.

ზომიერების შემდეგი და, ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო რესურსი არის ის, რომ ბიძინა ივანიშვილის საკმაოდ სოლიდური სოციალური კაპიტალის გამო, რასაც ძირითადად მისი საქველმოქმედო წარსული და მეტ-ნაკლებად არააგრესიული პოლიტიკა განსაზღვრავს, ივანიშვილის და მისი პოლიტიკური ძალის მიმართ სახელისუფლებო ამომრჩევლების მნიშვნელოვან ნაწილშიც გაჩნდა კეთილგანწყობა. ვფიქრობ, დღეს ამ პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე შეიქმნა ძალიან საინტერესო ფენომენი, რომელსაც შეიძლება დავარქვა „ორაზროვნების დისკურსი“. ეს არ არის ამომრჩევლის ყოყმანი, თუ ვის მისცეს ხმა, ეს არის დაახლოებით ასეთი პოზიცია, მაგალითად, ხმას მივცემ საააკაშვილს, მაგრამ მგონია, რომ ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლა ჩვენს ქვეყანას აგრეთვე წაადგება. ან, ჩემი პირველი არჩევანი სააკაშვილია, მაგრამ მეორე არჩევანი რომ მქონდეს, ივანიშვილს მივცემდი ხმას. ეს ჩვეულებრივი ამბავია გამოკითხვებში, როდესაც ამომრჩეველს ვეკითხებით პირველი, მეორე ან დამატებითი არჩევანის შესახებ და აღმოჩნდა, რომ ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ორი დაპირისპირებული პოლიტიკური ძალის შემთხვევაში ერთმანეთს ფარავს. მონაცემებიც კი შემიძლია მოგიყვანოთ. ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველთა შორის 44%-ია ისეთი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის პერსონის მიმართ კეთილგანწყობილია. ეს, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია. მეორე მხრივ, კოალიცია „ქართული ოცნების“ ამომრჩეველთა შორის დაახლოებით 36%-ია მიხეილ სააკაშვილის მიმართ კეთილგანწყობილი. ანუ არსებობს გადაფარვა ამომრჩევლებში, რაც მნიშვნელოვანი რესურსია იმისთვის, რომ სამოქალაქო დაპირისპირება, თუ გაუვნებელყოფილი არა, შესუსტებული მაინც იყოს.

რაც შეეხება იმას, თუ რა აბრკოლებს ზომიერების რესურსს, ეს პირველ რიგში არის დაძაბულობის ზრდა ძირითად პოლიტიკურ ოპონენტებს შორის. არცერთ პოლიტიკურ ოპონენტს არ სურს იმის აღიარება, რომ სერიოზული

კონკურენტი ჰყავს. ხელისუფლებას სჯერა, რომ NDI-სა და IRI-ის გამოკითხვების მიხედვით ერთპიროვნული ლიდერია, მეორე მხრივ, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ბოლომდე გაკოტრებულია. ყველას გვახსოვს ივანიშვილის ფრაზა, რომ სააკაშვილი ისეთ დღეშია, საკუთარი დედაც კი აღარ დაუჭერს დღეს მხარს. ამ პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლები ასევე აცხადებენ, რომ ხელისუფლება სრულ აგონიაშია. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა იმას, მათ მართლაც სჯერათ თუ არა იმისი, რასაც ამბობენ, ანუ სჯერათ თუ არა, რომ მთავარი პოლიტიკური აქტორები არიან. მთავარია მათი პოზიციის საჯარო რეპრეზენტაცია. ის კი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არიან წამყვანები, მეორე მხარე კი – ქვემდებარე.

ერთ-ერთი დამაბრკოლებელი მიზეზი ზომიერების რესურსისა არის მთავარი პოლიტიკური ძალების სურვილი იმისა, რომ სამოქალაქო სექტორში, სამოქალაქო საზოგადოებაში, ვგულისხმობ, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებს, ისე მედიას, მათ მხოლოდ თავისიანები იპოვონ. ეს არის ჩემი საყვედური ორივე მხარის მიმართ. ხოლო თუ თავისიანებს არ იპოვიან, თუ ეს ძებნა რაღაც კონკრეტულ შემთხვევაში წარმატებით არ დაგვირგვინდა, ჩნდება უნდობლობა სამოქალაქო სექტორის ამა თუ იმ წარმომადგენლის მიმართ. პოლიტიკური ძალები, როგორც ხელისუფლებაში, ისე ოპოზიციაში, და მათი ლიდერები ვერ ეგუებიან იმას, რომ სამოქალაქო საზოგადოება თავისი არსით მათთვის „უცხოა“, როგორც ეს ტერმინი აღწერა ზიგმუნდ ბაუმანმა ან უფრო ადრე გეორგ ზიმელმა. კერძოდ, ეს არის საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც არც ბოლომდე „შენიანია“ და არც ბოლომდე „არაშენიანი“. საზოგადოების ეს ნაწილი „შენიანია“ იქ, სადაც ამის საჭიროებას ხედავს, მაგრამ დისტანციას ინარჩუნებს, „არაშენიანი“ ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმეს აშავებ. ეს განცდა სამოქალაქო სექტორის მიმართ არა აქვს არც ხელისუფლებას, არც ოპოზიციურ ძალას და ჯერ კიდევ მყარია მათში იმის გაცნობიერება, რომ ესა თუ ის მედია, ან ესა თუ ის არასამთავრობო ორგანიზაცია დაალაგონ „მეგობრისა“ და „მტრის“ ოპოზიციის პოლუსებზე.

ზომიერების რესურსის გასაზრდელად ძალიან მნიშვნელოვანი სიტყვა უნდა თქვას სამოქალაქო სექტორმა. მან უნდა გააცნობიეროს ის, რომ დღევანდელი ვითარებით არცერთ გავლენიან პოლიტიკურ აქტორს არა აქვს იმის რეალუ-

რი შესაძლებლობა, რომ მოიპოვოს კონსტიტუციური უმრავლესობა მომავალ პარლამენტში. ეს ორი ძალა მართლა ერთმანეთის საპირწონეა, ამიტომ შესაძლოა აზრი ჰქონდეს იმას, რომ სამოქალაქო სექტორმა ძირითად ოპოზიციურ აქტორებს მოუწოდოს თანამშრომლობისაკენ გარკვეული სოციალური პროექტების განხორციელების საქმეში, მოუწოდოს დებატებისკენ, მით უფრო, რომ ლამის ერთი ერთზე თანხვდება „ქართული ოცნების“ და ხელისუფლების წინასაარჩევნო დაპირებები. თითქოს კალკით გადაწერა ხელისუფლებამ ოპოზიციის დაპირებები, ან პირიქით. ასევე შესაძლოა გაჟღერდეს იდეა კოალიციური მთავრობის შექმნის პერსპექტივის შესახებ, რომელიც, ჩემი აზრით, სრულიად არ არის ახლო მომავალში უტოპიური პოლიტიკური პროექტი. სულ ეს არის, რისი თქმაც მინდოდა ზომიერების რესურსთან დაკავშირებით. სიამოვნებით ჩავერთვები დისკუსიაში.

თამარ ჩუგოშვილი – ვისაუბრებ, როგორც საარჩევნო პროცესებზე დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი. პირველი მოვალეობა, რაც გააჩნია არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციას, არის ის, რომ იყოს მიუკერძოებელი. მაგრამ მუდმივად იგრძნობა, რომ დაკვეთა ამაზე არ მოდის. არც პარტიების მხრიდან, თუმცა მათი მხრიდან ეს ბუნებრივია, იმიტომ რომ მხარეები არიან და თავიანთი პრაგმატული ინტერესები აქვთ, და არც საზოგადოების მხრიდან. ისეთი განცდა მაქვს, რომ ფართო საზოგადოებისთვის ძალიან რთულად წარმოსადგენია ის, რომ შეიძლება იყო გარკვეული ღირებულებების ერთგული და იყო მათ სამსახურში და არა მხარეების სამსახურში. როგორც ჩანს, ქართულ საზოგადოებას ამისი აღქმა ძალიან უჭირს და თუ ამბობ რაღაცას, რაც არის ერთი მხარის ინტერესში, გეწებება იარლიყი, რომ ხარ ამ მხარის მხარდამჭერი, და – პირიქით. ახლა ალბათ უკვე ორივე იარლიყი გვაქვს, იმიტომ რომ, აქამდე ხშირად მესმოდა ორგანიზაციის ასოცირება „რესპუბლიკურ პარტიასთან“, ახლა უკვე მესმის ნაციონალებთანაც, გააჩნია როგორი განცხადება გაკეთდება ორგანიზაციის მიერ და ვის მოეწონება ან არ მოეწონება ეს განცხადება. ის, რასაც აქამდე ხელისუფლება აკეთებდა, კიდევ უფრო წაახალისა ახალმა ძალამ. ეს ნებისმიერი ორგანიზაციისთვის სერიოზული დისკომფორტი და პრობლემაა. ის, რომ, როგორც პოლიტიკური პარტიების, ასევე მათი მხარდამჭერების მხრიდან, მუდმივად მოდის აგრესიაც კი,

ძალიან ართულებს სამოქალაქო საზოგადოების მუშაობას. თუმცა, ამასთან შეგუებულები ვართ.

ასევე მნიშვნელოვანია, როგორ აღიქმება თანამშრომლობა და მიღწევები. საინტერესო იყო, როგორ განვითარდა „მასთ ქერის“ მიღებასთან დაკავშირებული მოვლენები. ამ პრინციპის დანერგვის საჭიროებაზე დიდი ხანი მიმდინარეობდა საუბარი. როდესაც ამის აუცილებლობაზე დავიწყეთ საუბარი, იყო ირონია, რომ ამას მაინც არ მიიღებდნენ და რა აზრი ჰქონდა დროის კარგვას. და მერე, როცა მიიღეს, იყო უკმაყოფილება, და ადამიანები, რომლებიც თავის დროზე ძალიან ლობირებდნენ, სოციალურ ქსელებში აკრიტიკებენ ამ პროცესს, ოღონდ ვერ გავიგეთ – რატომ. მრჩება შთაბეჭდილება, რომ საზოგადოების ნაწილს აქვს კრიტიკის და არა შედეგების მიღების მოთხოვნილება. თუმცა, ალბათ ესეც ნორმალურია, რომ სხვადასხვა აზრები და პოზიციები არსებობდეს სხვადასხვა საკითხის მიმართ.

რამდენიმე შემთხვევა მინდა გავიხსენო, როდესაც ჩვენი ორგანიზაცია აღმოჩნდა განსაკუთრებული სირთულეების წინაშე იმის გამო, რომ კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. ეს პრობლემები ძირითადად ხელისუფლებას უკავშირდება. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ იყო, როდესაც „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ სტრასბურგში შეიტანა სარჩელი, რომელიც უკავშირდებოდა ეთნიკური ოსების ინტერესების დაცვას და ეს იყო ომის შემდეგ ძალიან მოკლე პერიოდში და ამან დიდი აგრესია გამოიწვია ხელისუფლების მხრიდან. სერიოზული კრიტიკის ნაკადი მოდის ხოლმე მედიიდან. საუბარი იყო იმაზე, რომ რუსული ინტერესების გატარება ხდებოდა მხოლოდ იმის გამო, რომ ეთნიკურ ოსებს ვიცავდით, არადა, ამ ადამიანებს თვეების განმავლობაში უკანონოდ ჰქონდათ აღკვეთილი თავისუფლება, და მიმაჩნია, რომ ორგანიზაციას ადამიანის უფლებები უნდა დაეცვა, მიუხედავად მათი ეთნიკური კუთვნილებისა და არსებული პოლიტიკური კონიუნქტურისა.

ასევე ძალიან ნეგატიური კრიტიკა იყო, როდესაც 26 მაისის შემდეგ გარდაცვლილ ადამიანებზე სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა გამოვაქვეყნეთ. მედიის მეშვეობით იყო საუბარი იმაზე, რომ ეს ორგანიზაციის მხრიდან პარტიებთან ერთად დადგმული სპექტაკლი იყო. ბოლო შემთხვევა, რომელიც იყო „რუსთავი2“-ის მხრიდან, ეხებოდა ჩვენი ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ პოლიტიკური პარტიისთვის შეწირულობების გაკეთებას. ტელეკომპანიამ

ეს ნეგატიურად გააშუქა, რაც ორგანიზაციის იმიჯზე უარყოფით გავლენას ახდენდა. თუმცა ტელეკომპანია არ დაინტერესდა იმით, ამ ადამიანებს რა გავლენა აქვთ საარჩევნო პროექტებზე, მონაწილეობენ თუ არა საარჩევნო პროექტებში და რაიმე გავლენის მოხდენა შეუძლიათ თუ არა გადაწყვეტილების მიღებაზე.

იგივე შემთხვევა იყო „ქართული ოცნების“ მხრიდან, როდესაც გავაკეთეთ განცხადება ფონდ „ქომაგთან“ დაკავშირებით. მოთხოვნაც მოჰყვა, რომ შეგვეცვალა განცხადება, მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე დარწმუნებულები ვიყავით მის სისწორეში და, რა თქმა უნდა, არ შეგვიცვლია. იმის თქმა მინდა, რომ იმ სიგნალის პირველი ნიშნები, რომელიც მანამდე ხელისუფლების მხრიდან მოდიოდა, ახლა უკვე მოდის ოპოზიციის მხრიდანაც.

ალბათ ბევრი საუბარი არ არის საჭირო იმაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ყოველთვის არსებობდეს მიუკერძოებელი თვალი და მიმდინარე პროცესებს აკვირდებოდეს. ეს შეცდომა ქართულმა სამოქალაქო საზოგადოებამ 2003 წელს უკვე დაუშვა, როდესაც მიუკერძოებლობა და ბალანსი დაკარგა, რაც მომდევნო წლების განმავლობაში საკმაოდ ძვირი დაგვიჯდა. ვისაც გამომაფხიზლებლის როლი უნდა ეთამაშა, ძალიან შესუსტებული იყო, ან ასეთი საერთოდ არ არსებობდა. წლების განმავლობაში ვუშვებდით შეცდომებს, მაგრამ ამაზე არავინ საუბრობდა. ამ ყველაფერმა, გარკვეულწილად, ალბათ განაპირობა დღევანდელი მოცემულობა.

ერთ-ერთი საკითხი, რაზეც მთხოვეს საუბარი, არის ის, თუ სად გადის წყალგამყოფი და რა არის ჩვენთვის იმის ინდიკატორი, რაზე უნდა ვისაუბროთ და რა არის ჩვენი როლი. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისთვის“, ვფიქრობ, ეს არის საკმაოდ მარტივი, ჩვენთვის არსებობს ღირებულებები, როგორიც არის ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის უზენაესობა, და თუკი მათ მიჰყვები, თავად გკარნახობენ ჩარჩოს და არ გჭირდება გადახრა – ეს ძალიან მარტივია. ჩარჩო ჩვენთვის განსაზღვრულია და ვინაიდან შინაგანი განწყობაც არის, რომ ეს ჩარჩო სრულად დავიცვათ, პრობლემებს ამ კუთხით ვერ ვხედავ.

გია არეშიძე – გამიკვირდა, რომ უფრო მეტად არ გამოიკვეთა, რომ ზომიერების რესურსი ყველაზე მეტად არის ხალხში. ჩემი ეს დასკვნა გაამყარა იაგო კაჭკაჭიშვილის ნათქვამმა, რომ გადამფარავია მხარდამჭერთა სიმრავლეები.

ნებისმიერ საზოგადოებაში წინა პლანზე დგას სტაბილურობა, ხალხი სტაბილურობას ირჩევს უფრო მეტად, ვიდრე სხვა ღირებულებას.

მართალია, იმ პერიოდში, რომელზეც მინდა ვილაპარაკო, სოციოლოგიურ გამოკვლევას არ ვატარებდი, მაგრამ კარგად მახსოვს საბჭოთა კავშირის დანგრევის წინა პერიოდი, მისი შემდგომი პერიოდიც და, ჩემი აზრით, ხალხის უდიდეს ნაწილში, მაშინაც მისწრაფება იყო სტაბილურობისკენ და არა ექსტრემიზმისკენ. მას უფრო ცალკეული ჯგუფები ავლენდნენ. მგონი, დღესაც ასეა. როდესაც ვლაპარაკობთ ჩვენი ხალხის ნების გამოვლენაზე, კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ეს შეზღუდულია როგორც შიდა ფაქტორებით, ისე საერთაშორისო კონტექსტით.

რამდენად იყო კულტურის ან ხალხის თვისებების ნაკლებობით გამოწვეული ექსტრემიზმი, თუ ის შეინიშნებოდა პოსტსაბჭოთა საქართველოში. იქნებ სხვა ჯგუფებშია ამის სიმცირე და რადიკალიზმის სიჭარბე.

ხატია ნადარაია, სტუდენტი – რა იგულისხმება ზომიერებაში? მაინტერესებს, რატომ არის რადიკალიზმი ცუდი და ხომ არ გვერევა ზომიერება რაციონალიზმში. როდესაც სამოქალაქო საზოგადოებაზე ვსაუბრობთ, რატომ მოვიაზრებთ მასში მხოლოდ არასამთავრობო სექტორს, ან რატომ უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოება ნეიტრალური მსაჯული, უნდა ჰქონდეს თუ არა მას ღირებულებითი პრეფერენციები? ითქვა, რომ თქვენი ფუნქციაა კანონის ფარგლებში, კანონის ჩარჩოში მოქმედება. სრულდება თუ არა კანონი? ყველამ კარგად იცის, რომ სამართლიანობა და უსამართლობა ღირებულებითი პრეფერენციის საკითხია და არა იმისა, რა არის ნორმატიულად გაწერილი.

ვგულისხმობ იდეოლოგიურ ორიენტაციებს და მათი თვალსაზრისით განსხვავებას. ასევე მაინტერესებს, როგორ უნდა იყოს გაგებული სამოქალაქო საზოგადოება, არასამთავრობო ორგანიზაციებია თუ მთელი საზოგადოება. რა არის სამოქალაქო საზოგადოება, ამაზე არ არსებობს ერთიანი აზრი აკადემიურ ლიტერატურაშიც კი.

იაგო კაჭკაჭიშვილი – ალბათ მართლაც აჯობებდა ამით დაგვეწყო, რა შინაარსი დევს ამ ცნებებში. ზომიერება და რადიკალიზმი წარმოვიდგინოთ არა როგორც კონტრადიქტორული ცნებები, რომლებიც ერთმანეთს გამო-

რიცხავს, არამედ წარმოვიდგინოთ სიბრტყეში, როდესაც რადიკალიზმის პირობებში შესაძლებელია ზომიერების შენარჩუნება. შესაბამისად, ჩემი აზრით, რადიკალიზმის ორი კონტექსტი უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან, ერთი პოზიტიური და მეორე – ნეგატიური. რადიკალიზმის ნეგატიური კონტექსტი არის დაპირისპირება, ამ შემთხვევაში, პოლიტიკურ აქტორებს შორის, როდესაც ეს დაპირისპირება სცდება როგორც ღირებულებით, ასევე სამართლებრივ ჩარჩოებს. ანუ როდესაც ექსტრემიზმი გადის რაციონალური დისკურსის გარეთ და ხდება ირაციონალური. ხოლო ისეთი რადიკალიზმი, რომელიც ტოვებს სივრცეს მათ შორის თანამშრომლობისთვის, დისკუსიისთვის და გულისხმობს სამართლებრივი და ღირებულებითი პრინციპების ერთგულებას, არის რადიკალიზმის პოზიტიური კონოტაცია. ჩემთვის რადიკალიზმი და ზომიერება არის ორი, არა ურთიერთგამომრიცხავი, არამედ პოლიტიკური კულტურის კონტექსტში მოთანამშრომლე ცნებები.

თამარ ჩუგოშვილი – ჩემთვის რადიკალიზმი პრობლემა ხდება, როდესაც გადადის დესტრუქციულ ფორმატში, უკანონო ფორმატში, რის ნიშნებსაც ვხედავთ ჩვენს საზოგადოებაში. საბოლოოდ, ყველაფერი, რაც ხდება, აქეთკენ მიდის, დესტრუქციული და უკანონო ფორმისკენ და ეს არის, ჩემი აზრით, პრობლემა. დებატები რომ მიმდინარეობდეს, როგორ და რა ფორმით გამოიხატება ეს ყველაფერი, ამასაც აქვს მნიშვნელობა. რომ იყოს საუბარი იმაზე, რომ რადიკალურად განსხვავებულ აზრებს ვახვედრებთ ერთმანეთს, ეს არის სხვა მოცემულობა, მაგრამ როდესაც ეს გადადის ფიზიკურ აგრესიასა და დაპირისპირებაში, რომელსაც ჩვენ ვხედავთ და ის არის წახალისებული, ეს უკვე სერიოზული პრობლემაა.

შემიძლია ჩემი გამოცდილებიდან გითხრათ, რომ შედეგების მიღწევა, რაც ჩემთვის მთავარია, არის ყველაზე წარმატებული კონსტრუქციული და არა რადიკალური ფორმით, თუმცა ესეც არჩევანია და ადამიანმა თავისი მიზნების მისაღწევად შეიძლება ექსტრემისტული გზები აირჩიოს.

საარჩევნო გამოწვევები საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის: ტესტი ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ეფექტიანობის გასაზომად

მომხსენებლები:

თამარ ჩუგოშვილი
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია,
თავმჯდომარე (თბილისი, საქართველო)

გიორგი კანდელაკი
საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (თბილისი, საქართველო)

ვიოლა ფონ კრამონი
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის წევრი, ფრაქცია „კავშირი 90/მწვანეები“ (ბერლინი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა)

მოდერატორი:

ქეთევან ციხელაშვილი

17 სექტემბერი, 2012

ქეთევან ციხელაშვილი – დღევანდელი დებატები ძალიან საინტერესო თემას ეხება, რას ნიშნავს ეს არჩევნები და რატომ არის იგი მნიშვნელოვანი საქართველოსათვის ევროინტეგრაციის პირობებში. რა მდგომარეობა გვაქვს არჩევნების წინ და რა შეიძლება მოხდეს უახლოეს მომავალში?

თამარ ჩუგოშვილი – აქცენტს წინასაარჩევნო გარემოს შეფასებაზე გავაკეთებ. რთულია ამ სურათის აღწერა, ძალიან ინტენსიური და დატვირთული პერიოდი იყო. ბევრი რამ მოხდა და წინასაარჩევნო პერიოდი არა პირველ ოქტომბრამდე ორი თვით ადრე, არამედ გაცილებით ადრე, შეიძლება ითქვას, შარშან ოქტომბერში დაიწყო.

მნიშვნელოვანია, რომ ყველა პოლიტიკურ პარტიას აბსოლუტურად თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდეს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში რთული იქნება სამართლიანი წინასაარჩევნო გარემოს შექმნა, და აი, სწორედ ამასთან დაკავშირებით ბევრი კითხვის ნიშანი ისმის. ჩვენ ეს წუხილი რამდენჯერმე უკვე გამოვხატეთ. წინასაარჩევნო პერიოდში არ იყო კონკურენტული გარემო პოლიტიკურ პარტიებს შორის. ეს უფრო იმაში გამოიხატებოდა, რომ სახელმწიფო ებრძოდა ოპოზიციურ პარტიებს. შესაბამისად, შეუძლებელია გქონდეს თანაბარი შესაძლებლობები, თუ სახელმწიფო რომელიმე ერთ მოთამაშეს, ერთ პოლიტიკურ პარტიას უწყობს ხელს.

ძალიან ბევრი დარღვევა აღმოვაჩინეთ როგორც ოპოზიციის, ისე სახელისუფლებო პარტიის მხრიდანაც. სახელმწიფო ინსტიტუციები კი, რომლებსაც რეაქცია უნდა გამოეხატათ ამ ყველაფერზე, შერჩევითი პრინციპით მუშაობდნენ. ზოგიერთ ფაქტზე რეაგირებდნენ, ზოგიერთზე – არა. ყველაზე დიდი პრობლემა ამ წინასაარჩევნო პერიოდში ალბათ ეს იყო.

ასევე მნიშვნელოვანი პრობლემა იყო ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, რაშიც არ ვგულისხმობ ამ სიტყვებს ვიწრო გაგებით. ვგულისხმობ იმას, რომ ადმინისტრაციული რესურსები ხელისუფლების სასარგებლოდ გამოიყენებოდა. სახელმწიფო ბიუჯეტი მოიხსენიება როგორც კონკრეტული პოლიტიკური პარტიის პროგრამა. თუ ეს არის რომელიმე პოლიტიკური პარტიის პროგრამა და ის იმავე სახელს ატარებს სახელმწიფო ბიუჯეტში, ეს დიდ დარღვევად მიგვაჩნია. ყველაფერი, რასაც სახელმწიფო აკეთებდა, აღიქმებოდა, როგორც ერთი პოლიტიკური პარტიის გაკეთებული. ეს არის ძალიან

დიდი რესურსი. შემიძლია ერთი მაგალითი მოვიყვანო, სტუდენტებისათვის საზაფხულო პროგრამის ფარგლებში, ასობით სტუდენტი ჩავიდა ერთი კვირით საკმაოდ ძვირადღირებულ სასტუმროში ზღვის პირას და ამის ირგვლივ მიმდინარეობდა კამპანია, რომელიც ცალსახად სახელისუფლებო პარტიის სასარგებლოდ იმართებოდა. კონტროლის პალატას ამაზე რეაგირება უნდა მოეხდინა, ზუსტად ისე, როგორც უნდა მოეხდინა რეაგირება ოპოზიციური პარტიის მოქმედებაზე, მაგრამ ამ ფაქტს რეაქცია არ მოჰყოლია. ასევე არის ძალიან ბევრი საბიუჯეტო პუნქტი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსდა, მაგრამ გაშუქდა ისე, თითქოს ეს გაკეთდა ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური პარტიის მიერ.

რაც შეეხება მასობრივ მონაწილეობას კამპანიაში, სამწუხაროდ, სახელმწიფო მოხელეები ძალიან ხშირად ადამიანებს მათი სურვილის წინააღმდეგ რთავენ კამპანიაში. მაგალითად, ხელმძღვანელი გავალებს შეაგროვო ხელმოწერები პარტიის სასარგებლოდ. ასევე აიძულებენ აგიტაციას მმართველი პარტიის სასარგებლოდ. ჩვენ მრავალი მაგალითი გვაქვს იმისი, რომ ადამიანებს აძალებდნენ ამის გაკეთებას.

კიდევ ერთი პრობლემა პოლიტიკური პარტიებისთვის შემოწირულობების მიმართ დამოკიდებულებაში ჩანს. აუდიტი, სახელმწიფო მონიტორინგი, თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს, როგორც ოპოზიციაზე, ისე მმართველ პარტიაზე, და პოლიტიკური მოტივაციის გარეშე უნდა ხორციელდებოდეს. 2012 წლის იანვრიდან ბევრჯერ ვნახეთ, რომ სახელმწიფო აუდიტი „მისდევს“ ოპოზიციურ პარტიებს და შესაბამის რეაგირებას არ ახდენს მმართველი პარტიის მიმართ დარღვევებით განხორციელებულ შემოწირულობებზე. ჩვენ ასეთი ბევრი მაგალითი გვაქვს. ბევრი უკანონო ხარჯი აღმოვაჩინეთ მმართველი პარტიის შემთხვევაში, მაგრამ მას რეაგირება არ მოჰყოლია. ასევე თავს იჩენს სხვა დარღვევებიც. ათეულობით მილიონი ლარის ჯარიმა დაეკისრა ოპოზიციურ პარტიებს, რაც სრულიად დისპროპორციულია ანალოგიურ გადაცდომებზე მმართველი პარტიის მიმართ დაკისრებული სანქციების თვალსაზრისით. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მსგავს სანქციებზე საბოლოო გადაწყვეტილება სასამართლოში კეთდება და ამ პერიოდში არცერთი გადაწყვეტილება არ მიღებულა ოპოზიციური პარტიის სასარგებლოდ. სამწუხაროდ, ძალიან ხშირად სასამართლოები პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებას იღებენ.

რამდენიმე სიტყვით მოგახსენებთ უწყებათაშორის კომისიაზე, რომელიც რეაგირებას უნდა ახდენდეს ასეთი ტიპის დარღვევებზე, ადმინისტრაციული რესურსების არასწორ გამოყენებაზე. მათ კონტროლის პალატაზე უკეთესად იმუშავეს. რამდენიმე დადებითი რეკომენდაცია შეიმუშავეს, მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლებისაგან მოითხოვეს, რომ არ ჩაერთონ აგიტაცია-პროპაგანდაში და არ გაავრცელონ წინასაარჩევნო მასალები თავიანთ ვებ-გვერდებზე. მაგრამ მაინც, მიუხედავად ამ კომისიის საქმიანობის დადებითი შედეგებისა, ვხედავთ, რომ დარღვევებთან მიმართებაში ჩარევა არ იყო პროპორციული და თანაბარზომიერი. მათ რეაგირება მოახდინეს უმნიშვნელო საკითხებზე, მაგრამ არ არიან ეფექტურები, როდესაც ადმინისტრაციული რესურსის მასობრივ გამოყენებაზეა საუბარი. შეგვიძლია კონკრეტული მაგალითებიც განვიხილოთ, როდესაც მათ უფრო ეფექტურად მუშაობა ვთხოვეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება მაინც ვერ უზრუნველყვეს.

ბოლოს რამდენიმე სიტყვით მედიაგარემოსაც მინდა შევეხო, რომელიც ძალიან პოლარიზებულია. აბსოლუტურად ყველა ტელევიზიიდან გვესმის პროპაგანდა. ზოგი ტელეარხიდან ოპოზიციური პროპაგანდა, ზოგიდანაც – მმართველი პარტიის. მედია არ არის დაბალანსებული. ტელევიზია დიდი პრობლემაა. მედიას იყენებენ პოლიტიკური პარტიები. პროსამთავრობო მედიას ქვეყნის დიდი დაფარვა აქვს და მოსახლეობის დიდ წილს მოიცავს, ხოლო ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ მედიას ბევრი პრობლემა აქვს. მცირე ცვლილება იყო ის დადებითი გადაწყვეტილება, რომელიც ამასთან დაკავშირებით იქნა მიღებული წინასაარჩევნო პერიოდში, რომ უნდა იყოს თანაბარი პრინციპები გათვალისწინებული და მცირე არხებს უნდა გაუუმჯობესდეს აუდიტორიის მოცვა და, შესაბამისად, საზოგადოებას ხელი უნდა მიუწვდებოდეს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროზე. საუბარია MUST CARRY – MUST OFFER პრინციპებზე, რომლებიც მხოლოდ არჩევნების დღემდე მოქმედებენ. არჩევნების დღეს ხელისუფლებისადმი „არალოიალური“ მედიასაშუალებების სიგნალი გამოითიშება, მაშინ როდესაც მნიშვნელოვანია, მათ მუშაობა მაშინაც განაგრძონ, როდესაც გამოსაცხადებელია შედეგები. თუ ეს არხები არ იქნება ჩართული არჩევნების მერე, ეს ძალიან ცუდი იქნება. ამიტომ მოვუწოდებთ პარლამენტს, რომ ამ მცირე ტელევიზიების სიგნალი არ გაითი-

შოს არჩევნების დღეს და გაგრძელდეს არჩევნების დღის შემდეგაც რამდენიმე წლით, ვიდრე ქვეყანა არ გადავა მაუწყებლობის ციფრულ პრინციპზე.

ამასთან დაკავშირებით, კიდევ ერთი დეტალია გასათვალისწინებელი, რაც ტელეკომპანია „მაესტროს“ და „გლობალ ტვ“-ს სატელიტურ ანტენებს ეხება. მოგეხსენებათ, ხელისუფლებამ მათი კონფისკაცია მოახდინა. მიგვაჩნია, რომ ეს უსაფუძვლოდ და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დარღვევით მოხდა. პროცესი დარღვეულია და ეს არის ერთი კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტის ნების გამოხატულება.

წინასაარჩევნო კამპანიისას ხალხის დაშინებასა და პოლიციის მონაწილეობაზე, დროის სიმცირის გამო, დაწვრილებით არ შემიძლია ვისაუბრო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცოტა დრო დარჩა არჩევნებამდე, დარჩენილ დღეებში მაინც უნდა მოვახერხოთ, რომ მსგავსი რამ აღარ მოხდეს.

გიორგი კანდელაკი – საქართველოს მთავრობას აქვს ხედვა, რესურსები და მექანიზმები, რომლებიც გვაძლევს ევროკავშირთან თანამშრომლობის საშუალებას. იმედი მაქვს, რომ ეს არჩევნები კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ საქართველო დგას ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე. ჩვენთან დაკავშირებით ბევრი კლიშე არსებობდა დასავლეთ ევროპასა და რუსეთში, და ეს არ არის სიახლე, მსგავსი ხედვა ყოველთვის იყო და ხშირად საქართველოს შიგნით საზოგადოებრივი დაპირისპირების მიზეზიც გამხდარა. როდესაც საქართველო ევროპულ მომავალს ირჩევდა, ამის შესახებ მთავრობას არ დასჭირვებია ამ პერსპექტივის შესახებ საკუთარი მოსახლეობისთვის კითხვა დაესვა, რადგანაც ამ საკითხზე საყოველთაო კონსენსუსი არსებობდა. დღეს ეს პერსპექტივა უკვე გამოწვევის წინაშე დგება.

იყო ანგარიშები სერიოზული საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, დამკვირვებლების მხრიდან, უპირველეს ყოვლისა, ეს არის ეუთო, ევროკავშირის წარმომადგენლობა, რა თქმა უნდა, NDI და IRI, და ის საერთაშორისო ინსტიტუტები, რომლებსაც აქ ჰყავთ წარმომადგენლობები. მათი ანგარიშებიდან გამომდინარე, განსხვავებული სურათი ისახება იმასთან შედარებით, ვიდრე ჩემმა კოლეგამ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან“ ისაუბრა.

მინდა ვისაუბრო ოთხ ძირითად გამოწვევაზე, რომელიც დღეს ჩვენს წინაშე დგას. მათ დავახასიათებდი გრძელვადიან და მოკლევადიან გამოწვევებად.

ორი მოკლევადიანი გამოწვევა გამომდინარეობს მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიიდან, გრძელვადიანს უფრო ღრმა მიზეზები აქვს და სერიოზული შედეგების მომტანია. დავიწყებ მოკლევადიანით. პირველი შეეხება პოლიტიკაში ფულის შემოდინებას, როცა არ ვიცით საიდან და რამდენი ფული შემოდის. ის ფული, რომელიც დღეს ერთი პოლიტიკური მოთამაშის მაგიდაზე დევს, ორჯერ აღემატება საქართველოს მთლიან ბიუჯეტს. ამ დროს, დაპირება, რომ საკუთარ ფულს სახელმწიფოს სასარგებლოდ დახარჯავენ, ცოტა უცნაურად ჟღერს. მით უმეტეს, როდესაც ამას არჩევნებამდე აკეთებ, ეს ვერცერთ პოლიტიკურ და სამართლებრივ ნორმაში ვერ ჯდება. ეს არის სერიოზული გამოწვევა სახელმწიფო ინსტიტუციების მდგრადობის მიმართ. როდესაც ეს ფული შემოვიდა საქართველოში, ბატონმა ივანიშვილმა, არ მინდოდა სახელის თქმა, მაგრამ ვიტყვი, პირადად თქვა, რომ ყველაფერს დააფინანსებენ, სადაც დაფინანსების საჭიროება იქნება. ქალბატონმა ხიდაშელმა, რომელიც „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერია, თქვა, რომ არსებულ კანონმდებლობას არ დაემორჩილებიან და ამ ფულს მაინც დახარჯავენ. ამაზე მათ მიიღეს პასუხი, რომ ეს განზრახვა არაა სამართლებრივი, და რომ ისინი უნდა დაემორჩილონ კანონს.

მეორე მოკლევადიანი შემაშფოთებელი გამოწვევა არის ის, რომ ძალიან დიდი კამპანია მიმდინარეობს იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი არ დაეთანხმებიან არჩევნების შედეგებს, როგორიც არ უნდა იყოს ის. წინასწარ არავინ ვიცით, როგორი იქნება შედეგები. ევროკომისარი ფულე მოუწოდებს ბატონ ივანიშვილს, რომ აღიაროს არჩევნების შედეგები, რომელსაც დადებს ცენტრალური საარჩევნო კომისია და თუ მათ დადებითად შეაფასებენ საერთაშორისო დამკვირვებლები.

ჩვენი ოპონენტები მანიპულირებენ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებით, ჩვენ გვაქვს გამოკითხვის შედეგები, რომლებიც განსხვავებულია მათი გამოკითხვებისგან. შემოვიდა ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია „ღია დემოკრატიის კომიტეტი“, რომელიც რეგისტრირებულია ფლორიდაში [ამერიკის შეერთებული შტატები]. მათ არა აქვთ გამოცდილება, მაგრამ ამბობენ, რომ არიან მოლდოვასა და უკრაინაში გამოცდილი ორგანიზაცია, თუმცა, ჩვენ არ გვაქვს ამის მტკიცებულება. არც ის ვიცით, ვინ აფინანსებს ამ ორგანიზაციას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მას ბატონი ივანიშვილი აფინანსებს. ამ ყველაფერს

იმისთვის აკეთებენ, რომ არსებული სურათი შეცვალონ და გაამრუდონ, ადამიანები დააბნიოს ამდენმა განსხვავებულმა ანგარიშმა, შექმნან აურზაური ამ ყველაფრის ირგვლივ. ეს არის ის მოკლევადიანი გამოწვევები, რაზეც თქვენი ყურადღების გამახვილება მინდოდა.

გრძელვადიანი გამოწვევები უფრო სერიოზულია. უპირველეს ყოვლისა, ეს არის საერთო ღირებულებების მიზანმიმართული ეროზია. ეს არის ის მიმდინარე კამპანია რამდენიმე ფუნდამენტური კონსენსუსის წინააღმდეგ, რომელიც გვქონდა ქვეყანაში და რომელსაც მივაღწიეთ უკანასკნელი წლების განმავლობაში. ერთ-ერთი საკითხი, რაზეც საყოველთაო კონსენსუსი არსებობდა, არის ის, რომ მოხდეს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია. მოგახსენებთ, რომ საქართველოს ოკუპაციის დღიდან, 1921 წელს, საქართველოში ეთნიკურმა უმცირესობებმა არც იცოდნენ, რომელ ქვეყანაში ცხოვრობდნენ. საბჭოთა პერიოდში ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ეთნიკური უმცირესობები მოეწყვიტათ საქართველოსგან. ეს სურათი ბოლო წლების განმავლობაში შევცვალეთ, მაგრამ დღეს, ჩვენ ვისმენთ ჩვენი ოპონენტების ძალიან ბევრ გამოსვლას უმცირესობების წინააღმდეგ. შემიძლია მაგალითებიც მოგიყვანოთ. მაგალითად, ქალბატონმა კობახიძემ, რომელიც არის „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, თქვა, რომ მთავრობის მიზანია ებრძოლოს მართლმადიდებელ ეკლესიას, იმისთვის რომ ასიამოვნოს ამერიკას. ძალიან საინტერესო ახსნაა. ბატონი ბრეგაძე, რომელიც მათი მოკავშირეა, ამბობს, რომ კარგი იქნებოდა მოეგროვებინათ ყველა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანი და ზღვაში ჩაეყარათ, როგორც ეს ჰიტლერმა გააკეთა. ქალბატონმა დოლიძემ, რომელიც მათ კამპანიაში მონაწილეობს, შარლ აზნავურის ჩამოყვანა სომხური გავლენის გაზრდას დაუკავშირა.

კოალიცია „ქართული ოცნება“ არის ანტიდასავლური. „ეროვნული ფორუმი“, რომელსაც სათავეში უდგანან ბატონები სანიკიძე და შარტავა, თავიანთ რიტორიკაში დღემდე ანტიდასავლურები არიან და ნატოს წინააღმდეგ გამოდიან. კოალიციის ის წევრები, რომლებიც უფრო პროდასავლურები არიან, მაგალითად, ბატონი ალასანია ამბობს, რომ ნატოსკენ გზა რუსეთზე გადის. ჯერ რუსეთთან ურთიერთობა უნდა მოვაგვაროთ და მხოლოდ ამის შემდეგ შევუერთდეთ ნატოს. მაგრამ ეს ალოგიკურია. იმიტომ რომ ნებისმიერი მაგალითი საწინააღმდეგოზე მიგვითითებს. ურთიერთობის გაუმჯობესება რუსეთთან

შესაძლებელია მხოლოდ ნატოში შესვლის შემდეგ. ამაზე მიგვითითებს სხვა ქვეყნების მაგალითი.

ვიოლა ფონ კრამონი – საარჩევნო პერიოდში გერმანიაშიც საინტერესო დისკუსიები იმართება და საქართველოშიც. ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ ევროკავშირის მხრიდან გაგვიხარდებოდა საქართველოში გვენახა სტაბილური პარტნიორი, ჩამოყალიბებული ქვეყანა. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება მმართველი პარტია, ვინ იქნება ქვეყნის სათავეში. მთავარია, რომ არსებობდეს გრძელვადიანი პარტნიორობის შესაძლებლობა. თუ ვიფიქრებთ „აღმოსავლეთის პარტნიორობაზე", საქართველოში ჩამოსული იყვნენ ჩვენი შვედი, პოლონელი მეგობრები, ვინც ამ ინიციატივას სათავე დაუდო. რას ველით ამ ინიციატივისგან? უფრო მეტ წევრს, ინოვაციებს. თუ შეხედავთ, რა ხდება ბელარუსში, იქიდან დიდი მოლოდინი არ გვაქვს. ალბათ იმავეს თქმა შეიძლება აზერბაიჯანზეც. რა ხდება იქ, თქვენ ჩემზე უკეთესად იცით.

საქართველო გვჭირდება როგორც დიდი პოტენციალის მქონე და სტაბილური პარტნიორი. დღეისთვის პარლამენტარების 75% მმართველი გუნდის წევრია. ისინი აკონტროლებენ პარლამენტს, იმიტომ რომ უმრავლესობაში არიან. სააკაშვილს და მის პარტიას აქვს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური ძალა. თქვენ ისედაც ხვდებით, სად არის ძალა ამ ქვეყანაში, ვის აქვს ძალა. ჩვენ გვინდა საქართველოში დავინახოთ მრავალპარტიული სისტემა, ცოცხალი და დინამიური პოლიტიკა, ჩვენ გვინდა ოპოზიციის დანახვაც პარლამენტში, რომელიც გააკონტროლებს მთავრობას.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ნამდვილი დემოკრატიის მიმართულებით წავიდეთ? ახლა რასაც ვხედავთ, ისაა, რომ სააკაშვილი ქვეყანას ემოციებით და არა კანონით მართავს. ის ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებებს ისე, რომ კონსულტაციებს არ გადის პარლამენტთან და მინისტრთა კაბინეტთან. შესაბამისად, გადაწყვეტილება, რომელიც ახლა უნდა გაკეთდეს, და რომელიც უნდა მიიღოს ახლა მმართველმა პარტიამ და მისმა ხელმძღვანელმა, ჩვენი თვალთახედვით, არის ის, რომ არსებული ვითარება სამუდამოდ არ უნდა გაგრძელდეს. შიდაპარტიულ სტრუქტურაშიც კი უნდა დაუშვან პლურალიზმი. ეს შექმნის სისტემას, რომელიც არ იქნება პერსონალიზირებული, ანუ ერთი პირის ხელში. რას ვხედავთ ახლა საქართველოში – ბატონი გიორგი კანდელაკი არ დამეთანხმება,

მაგრამ ვხედავთ, თუ როგორ იქცევა ბატონი სააკაშვილი და ეს გვახსენებს რეგიონში სხვა ლიდერების ქცევას, მაგალითად, ნაწილობრივ ბატონ ალიევს, ნაწილობრივ ბატონ პუტინს. ჩვენ კი გვინდა, დავინახოთ დემოკრატი. მინდა, ამ არჩევნებში ვნახო, თუ როგორ დაამტკიცებს ბატონი სააკაშვილი, რომ ის განსხვავდება ტიპური პოსტსაბჭოთა ხელმძღვანელისაგან. ამავდროულად, მართალია, ამ წინასაარჩევნო კამპანიაში, NDI-ს და სხვა ავტორიტეტულ სადამკვირვებლო მისიებს ზომიერი ანგარიშები აქვთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თუკი ყურადღებით დააკვირდებიან პროცესს, უფრო კრიტიკულები გახდებიან.

ის, თუ რა ნაბიჯებს გადადგამს ბატონი სააკაშვილი, მნიშვნელოვანია ამ ქვეყნის მომავლისათვის. რა მოლოდინი გვაქვს ევროპელებს – გვინდა ვხედავდეთ დამოუკიდებელ ბაზარს მედიისთვის. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ ეს უნდა იყოს მხოლოდ არჩევნებამდე. ანუ რა პრინციპი დგას ამის უკან? ეს არ არის ერთი თუ ორი არხი, რომელიც დომინირებს ბაზარზე და რომელიც არის სახელმწიფოს ან ოპოზიციის ხელში. ეს გაცილებით უფრო ფართო უნდა იყოს. არ ვფიქრობ, რომ ეს ხვალვე გაკეთდება, მაგრამ ამ მიმართულებით ნაბიჯები მაინც უნდა გადაიდგას.

ფული, რომელიც ახსენეთ, არ იყო პრობლემა. პრობლემა იყო ის, რომ როდესაც ბატონი ივანიშვილი ბატონი სააკაშვილის მხარეზე იყო, არავის აინტერესებდა მისი ფულის წარმომავლობა. არავინ აკრიტიკებდა მას. რა თქმა უნდა, მე არ ვიცავ ბატონ ივანიშვილს, მას არც ვიცნობ. არც ის ვიცი, რა მიზნები აქვს. რა თქმა უნდა, ყველა ყველას მიმართ კრიტიკული უნდა იყოს. ვფიქრობ, ძლიერი და კონკურენტუნარიანი ოპოზიცია უნდა შეიქმნას ქვეყანაში, მაგრამ არც ეს არის საკმარისი.

პრობლემებს ვხედავ იმაში, რასაც თქვენ კანონდარღვევებს ეძახით, და თანხაში, რომლის დახარჯვის უფლებაც აქვთ პარტიებს. ფინანსების რეგულაცია – ეს აბსოლუტურად სწორია. ეს ყველაფერი, ცხადია, უნდა გავაკრიტიკოთ. მაგალითად, ჩვენი პარტია, „მწვანეების პარტია“ 30 წლის წინ შეიქმნა და პატარა ფულით დავიწყეთ, მაგრამ ამ მცირე თანხებით მოვახერხეთ თვალსაჩინო კამპანიის ჩატარება. იმიტომ, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი იყო მედია. მაშინ სოციალ-დემოკრატებს არ მოვწონდით. გვებრძოდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოგვეცა შანსი, ლიმიტი, წუთები მედიაში და პარლამენტშიც მოგვეცა ჩვენი წარმომადგენლობა.

ბატონმა კანდელაკმა ძალიან სკეპტიკურად აღნიშნა საგარეო პოლიტიკაში ალტერნატიული მიდგომის შესახებ. შეიძლება ცუდია, რომ ასეთი გეოგრაფია გაქვთ, მაგრამ ეს არის რეალობა და ამ რეალობაში უნდა იმოქმედოთ. რაღაცნაირად უნდა დაელაპარაკოთ მეზობლებს. თუ მეზობლებთან ურთიერთობაზე უარი თქვით, ჩათვალეთ, რომ ხაფანგში გაებით. ქვეყნის პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, თუ რომელიმე პოლიტიკური პრობლემის გადაწყვეტა გინდათ, ჩემი რჩევა იქნება, თუმცა არა ვარ პრორუსული, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ გეოგრაფიულ მდგომარეობაში, რაც საქართველოს აქვს, არ შეიძლება რუსეთის იგნორირება.

მარიონ ყიფიანი – კითხვა მაქვს ბატონ კანდელაკთან წინასაარჩევნო სიტუაციასთან და კონსენსუსთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, თქვენ მიერ აღნიშნული სიძულვილის ენა სერიოზული პრობლემაა, რაც საზოგადოებრივი დებატების შემაფერხებელი უფროა, ვიდრე ამ დებატების შედეგად საერთო აზრის მიღწევის საშუალება. მე ავსტრიიდან ვარ და ავსტრიის პოლიტიკურ დებატებშიც არის ძალიან ბევრი რამ, რაც პირადად მე არ მომწონს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ესეც დემოკრატიის ნაწილია და უნდა მივიღოთ. თქვენ ისაუბრეთ კონსენსუსზე, მაგრამ საქართველოს რეალობა უჩვენებს, რომ მის შექმნაში საზოგადოების დიდი ნაწილი მონაწილეობას არ იღებს, მას ელიტა გვთავაზობს. თვლით თუ არა, რომ ეს კონსენსუსი ერთ აზრზე უფრო მეტს უნდა ეფუძნებოდეს?

ნინო ელიზბარაშვილი, „ქალი და ბიზნესი“ – მეც ბატონ გიორგისთან მაქვს კითხვა. თქვენ ისაუბრეთ იმ გამოწვევებზე, რომელიც დღეს არსებობს. ჩვენ შევიკრიბეთ იმისთვის, რომ ანალიზი გავუკეთოთ, თუნდაც სიძულვილის ენასთან ბრძოლის კუთხით რა კეთდება. მაინტერესებს მმართველი პარტიის ხედვა, როგორ ავიცილოთ ის საფრთხეები, რომლებიც ჩვენ წინ დგას ამ ორი კვირის განმავლობაში. როგორ დავიცვათ დემოკრატია ჩვენს ქვეყანაში?

გიორგი კანდელაკი – რაც შეეხება კონსენსუსის საკითხს, თუ როგორ იქნა მიღწეული, და რატომ არ ვეთანხმებით ამ მიდგომას საჯარო დისკუსიაში, ამას მივაღწიეთ თანმიმდევრული კამპანიების და მუშაობის შედეგად. იმ კამპანიე-

ბის შედეგად, რომლის ფარგლებშიც მოვუწოდებდით ეთნიკური უმცირესობების ინტეგრირებისაკენ. გვქონდა საპროტესტო დემონსტრაციები ქუჩებში, ამას ეწინააღმდეგებოდა ეკლესიაც. ოპოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ოპოზიციაში ჩაუდგა მთავრობას. მაგალითად, ალასანიამ თქვა, რომ ვეტო უნდა დაედო მთავრობას ამ კანონზე. არ შეიძლებოდა პატრიარქის გარეშე ამის გაკეთება. ნატოსთან დაკავშირებით ცოტა აკადემიური დისკუსია იმართებოდა. ამას თავისი ისტორიული საფუძვლებიც აქვს, თუნდაც 1921 წელი რომ ავიღოთ, უკვე მაშინ არსებობდა სრული თანხმობა იმაზე, რომ საქართველო ევროპისკენ უნდა მიდიოდეს. 2008 წლის იანვარში ჩატარდა რეფერენდუმი და მოსახლეობის 77%-მა ხმა მისცა საქართველოს ევროინტეგრაციას. ეს ძალიან მაღალი პროცენტია.

საქართველოში გაცილებით უფრო ლიბერალური კანონმდებლობაა გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ნებისმიერ აზრს აქვს არსებობის უფლება. მაგრამ აქ ერთ საკითხთან მივდივართ, ადამიანები, რომლებიც სიძულვილის ენით მეტყველებენ, ბატონი ივანიშვილის მხარეს არიან.

ქეთევან ციხელაშვილი – რა უნდა გავაკეთოთ დარჩენილ ორ კვირაში, რომ გავაუმჯობესოთ სიტუაცია? შესაძლებელია თუ არა სიტუაციის გაუმჯობესება? რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოების წუხილს, ეთანხმებით თუ არა ამ წუხილს და ფიქრობთ თუ არა, რომ მთავრობას ან ოპოზიციას აქვს შესაძლებლობა გააუმჯობესოს გარემო?

გიორგი კანდელაკი – რა თქმა უნდა, საქართველოში ძალიან ლიბერალური კანონმდებლობაა სიტყვის თავისუფლების შესახებ, რომელიც 2004 წელს მივიღეთ. ჩვენ ახალი დემოკრატია ვართ.

შევეცდები თანმიმდევრულად მივყვე დასმულ კითხვებს. საბიუჯეტო ხარჯების წარმოჩენა, როგორც პოლიტიკური პარტიის მიღწევა, ჩემი აზრით, არაპროპორციული განცხადება იყო. ნებისმიერი მთავრობა არჩევნების წინ ცდილობს, ყურადღება გაამახვილოს იმაზე, რაც უკვე გაკეთდა. რაც შეეხება შეწირულობებს, არის მცდელობები პარტიებმა ბრალდებები წაუყენონ ერთმანეთს. არის შემთხვევები, როდესაც ადამიანს სამსახური და ფული არა აქვს, უცებ ათასობით ლარის შეწირულობას აკეთებს და როგორ ავხსნათ ეს? კონ-

ტროლის პალატა და უწყებათაშორისი კომისია ამაზე რეაგირებს, და მიუკერძოებლად რეაგირებს.

რაც შეეხება მედიას, ჩვენ წავიკითხეთ ყველა დოკუმენტი და ძალიან გამაკვირვა ქალბატონ ფონ კრამონის სიტყვამ, რომ უფრო მკაცრ წესებს ელოდება მომავალში. ვნახოთ, რა დოკუმენტებს მივიღებთ ამ ორგანიზაციებიდან ახლო მომავალში. მაგრამ რაც შეეხება მედიას, ევროკავშირს შვიდი თვით ადრე ვთხოვეთ მედიამონიტორინგის ჩატარება. ის მაისში დაიწყო. თვეში ერთხელ ქვეყნდება ანგარიში. კი, აღიარებენ პოლარიზაციას, მაგრამ საზოგადოებრივი მაუწყებელი ძალიან დაბალანსებულია. ყველამ ასე შეაფასა.

ვიოლა ფონ კრამონი – ბატონ კანდელაკს მინდა ვუპასუხო სიძულვილის ენასთან დაკავშირებით. ჰომოფობიური გამოსვლები არ არის ახალი. ეს მთელი საზოგადოების პრობლემაა. თუ გინდათ თქვათ, რომ ჩვენ განსხვავებულები ვართ, და მოვახდენთ ეთნიკური და სექსუალური უმცირესობების ინტეგრირებას, ეს ძალიან კარგი იქნება. კი ბატონო, გააკეთეთ, უჩვენეთ ამომრჩევლებს, რომ თქვენ განსხვავებულები ხართ, რომ არ ხართ იმათგანი, ვინც სიძულვილის ენას იყენებს, ეს თქვენი პლუსი იქნება. მაგრამ ამის ნაცვლად, თქვენ სხვებზე ლაპარაკობთ. კი, აკეთებენ სხვებიც, არის საზოგადოებაც, რომელიც ამას მოიწონებს, მაგრამ თქვენ, როგორც მმართველ პარტიას, ცოტა უფრო განსხვავებული პროგრამა უნდა შემოგეღოთ სკოლებში, უფრო მეტი მრავალფეროვნება უნდა შემოგეღოთ. თუნდაც პოლიციელებს შორის. ეს იქნებოდა ჩემი რეკომენდაცია.

თქვენ ბრძანეთ, რომ 20-იან წლებში უკვე იყო კონსენსუსი საქართველოს ევროპული მიმართულებით სვლის შესახებ. მგონი, ამას არავინ უარყოფს. ადამიანებს, ვისაც ველაპარაკები, ძალიან უნდათ ამ ამბიციური გზის გავლა. ევროკავშირში ყველა ხელს შეუწყობს ამას და მასთან ინტეგრაციას კითხვის ნიშნის ქვეშ არავინ აყენებს.

თამარ ჩუგოშვილი – მთავრობა და, მაგალითად, ცენტრალური საარჩევნო კომისია, პოლიცია, პროკურატურა, სასამართლოები – ერთად მუშაობენ პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ. გარკვეული შემთხვევების ანალიზის დროს ეს ძალიან მკაფიოდ ჩანს. კონტროლის პალატის სანქცია ორ-სამ

საქმეზე მმართველი პარტიის წინააღმდეგ, სავსებით არაპროპორციულია იმ დარღვევებთან შედარებით, რომლის მტკიცებულებებიც რეალურად არსებობს მასთან მიმართებაში. სამწუხაროდ, ამ დარღვევებს რეაგირება არ მოჰყოლია. შეგვიძლია მოგიყვანოთ უამრავი მაგალითი, როდესაც სახელმწიფო აუდიტი ოპოზიციურ პარტიებს დაუსაბუთებლად აკისრებდა დიდ ჯარიმებს. ახლა შეუძლებელია კონკრეტული შემთხვევების განხილვა, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს პოლიტიკური მოთამაშე, რა ცუდი პოლიტიკური მიზნებიც არ უნდა ჰქონდეს მას, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მთელი სახელმწიფო კანონის დარღვევით, კონსტიტუციის დარღვევით უნდა ეომებოდეს ასეთ ოპონენტს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თანასწორუფლებიანი გარემო პოლიტიკური პარტიებისათვის, რათა ისინი თვითონ შეეჯიბრონ ერთმანეთს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ იქნება პოლიტიკური კონკურენცია, არამედ ყოველთვის იქნება დისპროპორციული ძალა ხელისუფლებაში.

დემოკრატიზაციის კრიზისი და ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში

მომხსენებლები:

მარინა ელბაქიძე
მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (თბილისი, საქართველო)

თომას დე ვაალი
კარნეგის ფონდი საერთაშორისო მშვიდობისთვის, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ვაშინგტონი კ/ო, ამერიკის შეერთებული შტატები)

გიორგი კანაშვილი
კავკასიური სახლი, აღმასრულებელი დირექტორი (თბილისი, საქართველო)

ლორენს შითსი
საერთაშორისო კრიზისების ჯგუფი, პროექტის დირექტორი სამხრეთ კავკასიაში (თბილისი, საქართველო)

მოდერატორი:

გოგი გვახარია

18 სექტემბერი, 2012

გოგი გვახარია – ჩვენი დღევანდელი შეხვედრის თემაა – „დემოკრატიზაციის კრიზისი და ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში“. წარმოგიდგენთ მომხსენებლებს: მარინა ელბაქიძე „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინსტიტუტს“ წარმოადგენს, თომას დე ვაალი „კარნეგის ფონდის“ წარმომადგენელი გახლავთ, გიორგი კანაშვილი – „კავკასიური სახლის“ აღმასრულებელი დირექტორია, ლორენს შითსი კი „საერთაშორისო კრიზისების ჯგუფს“ წარმოადგენს. ამ ადამიანების პუბლიკაციებს კარგად ვიცნობთ და ეს, თუ არ ვცდები, ამ ადამიანების პირველი შეხვედრაა ამ თემაზე.

თომას დე ვაალი – არ მჯერა ცნების – „ეთნიკური შეუთავსებლობა“, რომელზეც ზოგიერთი არგუმენტაციის დაფუძნებას ცდილობს. ბევრი ადამიანი სწორედ ამ მიმართულებით საუბრობს, თუმცაკი ვხედავთ მტკიცებულებებს, რომ ამ კონფლიქტის მონაწილე ხალხი ერთმანეთს კარგად ეწყობა. შარშან მარნეულის რაიონის სოფელ ხოჯორნში ვიყავი, სადაც ერთად ცხოვრობენ აზერბაიჯანელები და სომხები. ისინი ძალიან კარგად ეწყობიან ერთმანეთს, ერთმანეთზეც ქორწინდებიან, დადიან ერთმანეთის ქორწილებში, პანაშვიდებზე, ქუჩაში ერთმანეთს ელაპარაკებიან, ერთმანეთის ენაზე საუბრობენ. ამ დონეზე ყველაფერი კარგად არის.

ზუგდიდის რაიონშიც ვიყავი რამდენიმე დღის წინ. ვიყავი სოფელ ორსანტიაში, რომელიც მდებარეობს აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან. შეგიძლიათ აფხაზურნომრიანი მანქანები ნახოთ ზუგდიდში, იმიტომ რომ ხალხი სამკურნალოდ ან სავაჭროდ ჩამოდის. ყველამ კარგად იცის საქართველოში ამ ფაქტების შესახებ, მაგრამ ნაკლებად ცნობილია ის, რომ არსებობს მეგრული სოფლები, რომლის მკვიდრნიც აფხაზეთში, გაგრაში ან ბიჭვინთაში მუშაობენ. ვიმეორებ, არსებული რეალობა არ მიესადაგება ზემოთ აღნიშნულ სტერეოტიპს.

ხალხთა შორის ურთიერთობის დონეზე ყველაფერი კარგად არის. თუმცა ძალიან მიამიტურადაც ვერ მივუდგებით ამ საკითხს. თუ პოლიტიკური კონტექსტი მოითხოვს, ეს ადამიანები შეიძლება ახალ კონფლიქტშიც ჩაებან. ეს არის მეორე ჩარჩო, რომელსაც შეიძლება პოლიტიკური დავარქვათ, ანუ პოლიტიკურ დონეზე, პოლიტიკური კონსტრუქციის დონეზე ინტერაქცია.

არსებობს ერის ჩამოყალიბების ელემენტი ამ კონფლიქტებში. აქ არის გარკვეული ტერიტორიის ფლობის საკითხი, რომელიც მიესადაგება ეროვნულ იდეებს და ამ ტერიტორიის დაკარგვა ეროვნული იდეის დაკარგვას უტოლდება. ამას ვხედავთ, როდესაც ვესაუბრებით სომხებს და აზერბაიჯანელებს, ამიტომ როდესაც ყარაბაღზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია მათი გადარწმუნება. ყარაბაღი ძალიან პატარა ტერიტორიაა მცირეოდენი მოსახლეობით და ვერ ხერხდება შეთანხმების მიღწევა. 95% მოსახლეობისა, რომელიც ახლა იქ არ ცხოვრობს, ვერ თანხმდება ამ საკითხზე, იმიტომ, რომ ეს არის ეროვნული იდეა, ნაციონალური იდეა და ვერ ეგუებიან ყარაბაღის დაკარგვას.

ეს მოსაზრება ძალაშია საქართველოს კონფლიქტებთან მიმართებითაც. საქართველოში, დამატებით, ეს არის ანტიკოლონიური ელემენტი იმ გაგებით, რომ აქ რუსეთიც ფიგურირებს და ისიც მტრად მიიჩნევა.

ავიღოთ არჩევნების თემა საქართველოში. წარმოდგენილია ორი ძლიერი პიროვნება, რომლებზეც ყოველდღე საუბრობენ, და საუბრობენ სრულ გამარჯვებაზე. 9 მაისს ყარაბაღში, სტეპანაკერტში, რუსულ სატელევიზიო არხზე ვნახე ფილმები ომზე, გერმანიაზე გამარჯვებაზე. მაშინ ვიფიქრე, ესეც ხომ არ არის პრობლემის ნაწილი, იმიტომ რომ ესენი არიან მოქალაქეები, რომლებიც საბჭოთა პერიოდში ცხოვრობდნენ, როდესაც მარტო ერთი მხარის ტოტალურ გამარჯვებაზე იყო საუბარი. მნიშვნელოვანია, კონფლიქტის მხარეები რამდენად მიელტვიან ერთი მხარის სრულ გამარჯვებას.

უფრო ფართო ჩარჩო გეოპოლიტიკური კონტექსტია, რომელშიც ეს კონფლიქტები არის მოთავსებული. მინდა განვასხვაო ერთმანეთისგან ყარაბაღისა და საქართველოს კონფლიქტები. ყარაბაღის კონფლიქტის შემთხვევაში გეოპოლიტიკური კონკურენციაა. მაგრამ ძირითადად არის კონსენსუსი ევროპას, ამერიკასა და რუსეთს შორის. ეს კონფლიქტი უნდა გადაიჭრას. შეიძლება უთანხმოება იყოს სამშვიდობო ძალების მიმართ, მაგრამ ძირითადი შეთანხმება არსებობს. ამერიკელები აქ მოწინავე როლს ასრულებენ. ასევე ფრანგები და რუსებიც. არ ვიზიარებ იმ იდეას, თეორიას, რომ თითქოს რუსეთი ამ კონფლიქტის ბლოკირება ახდენდეს. ვსაუბრობ იმაზე, რომ ალბათ იქნება გრძელვადიანი და ინტენსიური მოლაპარაკებები აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერებთან. ჩემი აზრით, რუსეთს უნდა ამ კონფლიქტის გადაჭრა. ყარაბაღის პრობლემას არ განაპირობებს მარტო თანხმობის ნაკლებობა,

აქ ძალისხმევის, სურვილის ნაკლებობაც არის. აქ არიან ადგილობრივი მონაწილეები, რომლებიც უკუაგდებდნენ საერთაშორისო ზეწოლას. საერთაშორისო თანამეგობრობაც რომ ავიღოთ, მათთვის ეს არ არის ნომერი პირველი საკითხი. ეს არის შუალედური დონის საკითხი და, შესაბამისად, ადგილობრივი სურვილი, რომ ისე დარჩეს ყველაფერი, როგორც არის, ანუ სტატუსკვო შენარჩუნდეს, ძლიერია.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი გეოპოლიტიკურია. ეს სამგანზომილებიანი კონფლიქტებია. არის ქართული მხარე, აფხაზური ან ოსური, და არის რუსული მხარეც, რაც ამ კონფლიქტს უფრო ამძიმებს. 2006-2008 წლებში ამერიკა დიდ მხარდაჭერას უცხადებდა საქართველოს მთავრობას. შეიძლება ითქვას, რომ 2008 წლის ომი „წარმომადგენლობითი“ ომი იყო რუსეთსა და ამერიკას შორის, მაგრამ ეს არის გეოპოლიტიკური საკითხი. ეს იმდენად ძლიერად არ არის წარმოჩენილი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში. სამხრეთ ოსეთში რუსეთს არ გააჩნია მთავარი სტრატეგიული ინტერესი. მათთვის სამხრეთ ოსეთი ინსტრუმენტია.

რაც შეეხება აფხაზეთს, აქ უკვე სტრატეგიული ინტერესი არსებობს. სწორედ ეს ართულებს ამ კონფლიქტის გადაჭრას. ალბათ საერთაშორისო ინტერესი ამ პრობლემების გადასაჭრელად საკმარისი არ არის. ერთი პატარა ამბით დავასრულებ გამოსვლას, რომელიც ჩემმა უფროსმა მიამბო, ის გახლდათ ამერიკის ელჩი რუსეთში [ჯეიმს ქოლინზი, კარნეგის ფონდი საერთაშორისო მშვიდობისთვის – რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის დირექტორი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რუსეთის ფედერაციაში 1997-2001 წწ.]. 1996 წელს, როდესაც ევგენი პრიმაკოვი ცდილობდა მოეგვარებინა აფხაზეთის კონფლიქტი, აფხაზებმა პრინციპში მიიღეს მისი მიდგომა, ვინაიდან საუბარი კონფედერაციულ მოწყობაზე იყო, მაგრამ საქართველოსთვის მიუღებელი იყო ამგვარი შეთანხმება. საუბარი იყო გაეროს სამშვიდობო ძალების შეყვანაზე აფხაზეთში. მაგრამ ვაშინგტონს არ აინტერესებდა მხარი დაეჭირა ამ პროცესისთვის, რადგანაც ძალიან რთული საკითხი იყო და ძალიან ძვირი დაჯდებოდა სამშვიდობოების გაგზავნა ამ ტერიტორიაზე. ეს არის 90-იანი წლების სიტუაცია. ათი წლის შემდეგ დასავლეთის ქვეყნები უკვე სასოწარკვეთილები ცდილობდნენ საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შეყვანას აფხაზეთში. მაგრამ უკვე ძალიან გვიანი იყო.

ლორენს შითსი – რა არის ამ დისკუსიის მიზანი? ჩემი აზრით, შეკითხვა შეიძლება ასე დავსვათ: არის თუ არა პრობლემა ის, რომ ამ რეგიონში სრული დემოკრატია არ არსებობს? თუმცა კი ვიღვწით დემოკრატიის მისაღწევად. ეს ხომ არ არის კონფლიქტების მოუგვარებლობის მიზეზი?

მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები საბჭოთა კავშირის პერიოდში ლატენტურად არსებობდა, ნებისმიერმა ადამიანმა, ვინც ამ საკითხებს იკვლევს, იცის, რომ 1970-90-იან წლებში იყო მოწოდებები აფხაზების მხრიდან. ისინი ითხოვდნენ, აფხაზეთის მთავრობა ცალკე სუბიექტად ყოფილიყო წარმოდგენილი საბჭოთა კავშირში, და მათ, ვინც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მუშაობდნენ ამ წლებში, ხშირად უხდებოდათ შეხება ამ კონფლიქტთან, მაგალითად, სოფლების სახელები იცვლებოდა, აფხაზურის მაგივრად ქართული სახელები ერქმეოდა.

იგივე შეიძლება ითქვას მთიან ყარაბაღზეც, სამხრეთ ოსეთზეც. მაგრამ მაშინ ეს დემოკრატიასთან არ ყოფილა დაკავშირებული, საბჭოთა კავშირი არ იყო დემოკრატიული ქვეყანა. ძალიან ძნელია ახლა იმის თქმა, თუ რა მოხდა 1980-იანი წლების ბოლოს ან 1990-იან წლებში დემოკრატიის მხრივ. ეს იყო ქუჩის დემოკრატია, როდესაც შეხედულებების უმეტესობა მოსახლეობის უმეტესობის მიერ ქუჩაში გამოიხატებოდა. ამ დროს მე, როგორც ჟურნალისტი, 90-იანი წლების თბილისის მოვლენებს აღვწერდი. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის კონფლიქტს, იგი იმ პერიოდში მალევე დაიწყო. ეს იყო მოვლენები, რომლებიც არ იყო მხოლოდ მასების ემოციების ნაწილი. შეიძლება ამას დავარქვათ დემოკრატია? რასაკვირველია, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს იყო ის პროცესი, რაც კონფლიქტში ნაკლებად რეპრესიულ გარემოში ტრანსფორმირდა, „პერესტროიკის“ ბოლო პერიოდში. ამიტომაც ერთ-ერთი საკითხი, რასაც მინდა ხაზი გავუსვა – ეს კონფლიქტები დაიწყო იმ რეჟიმებით და მთავრობებით, რომლებიც უფრო და უფრო წარმოადგენდნენ იმას, თუ რას ფიქრობდა ხალხი იმ დროს. ეს გახლდათ ემოციური ასპექტების ერთგვარი პოლიტიკური გამოვლინება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოხდა ამ ემოციების გამოშვება მაშინ, როცა მოსკოვმა კონტროლი დაკარგა და საბჭოთა კავშირი დაშლის პირას აღმოჩნდა. ამგვარად, მაშინ ეს არ იყო მხოლოდ ეთნონაციონალისტური სენტიმენტები. ეს იყო ქუჩის დემოკრატია და არა განვითარებული დემოკრატია, რომელზეც შეიძლება სახელმძღვანელოებში ვკითხულობდეთ.

თუ შევხედავთ 1990-იანი წლების ადრეულ პერიოდს, როცა ეს ომები ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, ამ პერიოდში დემოკრატიულად იქნა არჩეული აზერბაიჯანის პირველი პრეზიდენტი, აიაზ მუტალიბოვი და სომხეთის პირველი პრეზიდენტი, ლევონ ტერ პეტროსიანი. ეს უკანასკნელი ნაკლებად იყო დაკავშირებული მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან, ვიდრე ქოჩარიანი. გაყალბდა არჩევნები 1996 წელს [საპრეზიდენტო არჩევნები], რომელსაც ტერ პეტროსიანი საგარეო საქმეთა მინისტრ ვაზგენ მანუკიანთან აგებდა. 2008 წელს სომხეთში გამართულ არჩევნებში მონაწილე ლევონ ტერ პეტროსიანი და სარქისიანი [სერჟ სარქისიანი, სომხეთის მოქმედი პრეზიდენტი] ერთმანეთს ადანაშაულებდნენ ყარაბაღის კონფლიქტში. ეს არ არის ავტორიტარული მთავრობისთვის დამახასიათებელი ამბავი, რომელსაც შეუძლია ნაციონალისტური ტენდენციები ან ეთნონაციონალისტური მიდგომები გამოხატოს. და რომ ვისაუბროთ დემოკრატიაზე ან დემოკრატიის ჩამოყალიბებაზე, ან განვითარებად დემოკრატიაზე, ამასაც შეუძლია კონფლიქტში წვლილი შეიტანოს.

2008 წელს, როდესაც დავბრუნდი სომხეთში, თვალში მომხვდა ტერმინოლოგიის ცვლილება. 1996 წელს შევხვდი მთიანი ყარაბაღის დე ფაქტო პრეზიდენტს [რობერტ ქოჩარიანი, მთიანი ყარაბაღის დე ფაქტო პრეზიდენტი 1994-1997 წწ; სომხეთის პრეზიდენტი 1998-2008 წწ.]. საკმაოდ ვრცელი საუბარი გვქონდა. მანამდე შევხვდი ლიბანელი სომხების წარმომადგენლებს. ისინი ამ ტერიტორიას ოფიციალურად ეძახდნენ „ოკუპირებულ ტერიტორიას“, რომელსაც ისინი არ დააბრუნებდნენ. აქ იყო დამოუკიდებლობაზე, ან სომხეთთან გაერთიანებაზე საუბარი. პრესაში ამ ტერიტორიებს „გათავისუფლებულ ტერიტორიებად“ მოიხსენიებდნენ, მაგრამ ზოგისთვის ეს „ოკუპირებული ტერიტორიები“ იყო.

შემდეგ აზერბაიჯანშიც მქონდა შეხვედრები. შევხვდი ადამიანებს, რომლებსაც სხვადასხვანაირი გაგება ჰქონდათ ამ ტერმინებისა. ადამიანი, რომელსაც შევხვდი, პარლამენტის ერთ-ერთ კომიტეტს წარმოადგენდა, იმ პოლიტიკური კლასის წარმომადგენელი იყო, რომელიც ეთნიკური აზერბაიჯანელებისაგან შედგება. ესენი არიან ერევნიდან წამოსული აზერბაიჯანელები, რომლებიც 1980-იან წლებში აიძულეს დაეტოვებინათ ერევანი. ეს ადამიანი მმართველი პარტიის წევრი იყო, მაგრამ საკმაოდ თავისუფლად და ღიად საუბრობდა. მცირეწლოვანი ვაჟიშვილი ჰყავდა. როცა მისი შვილი 6-7 წლის გახდა, მამამისმა

აუხსნა ბავშვს, რომ ის აზერბაიჯანელია, მაგრამ წარმოშობით ერევნიდან იყო. ბავშვი აღაშფოთა მამის სიტყვებმა და თქვა, „როგორ, შენ სომეხი ხარ?! სომხები ხომ ჩვენი მტრები არიან. ჩვენ გვძულს ისინი, რადგან მიწა წაგვართვეს". ეს ამ ისტორიის სამწუხარო ნაწილია. მაგრამ ეს პარლამენტარი ამბობდა, ავტორიტარული რეჟიმი იქნება თუ დემოკრატიული, ამის გადასაჭრელად უკან უნდა დავბრუნდეთ, და ვისაუბროთ იმ პროპაგანდაზე, რაც გენერირებული იყო მთავრობის და მოსახლეობის მიერ, და საჭიროა ისტორიის გადაფასება. აზერბაიჯანში პასუხი შეიძლება იყოს ის, რომ უნდა მოვამზადოთ ხალხი კომპრომისისთვის, დემოკრატიისთვის. ძალიან ცოტაა საამისოდ ფინანსური და პოლიტიკური სტიმული. ხალხი ალბათ იკითხავს, რატომ სთავაზობენ განსხვავებულ შეხედულებას 15 წლის შემდეგ. გაიკვირვებენ, ადრე თუ არ საუბრობდნენ, ახლა რატომ უნდა იყოს საუბარი კომპრომისზე. უარი ვთქვათ ყარაბაღზე და ვისაუბროთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე თუ როგორ?

ამას შეიძლება წლების განმავლობაში დასჭირდეს მომზადება. ჩვენ შეიძლება ვისაუბროთ სამოქალაქო საზოგადოებაზე, როგორც საშუალებაზე იმისათვის, რომ ხალხს შორის დამყარდეს ურთიერთობა და ამან პროგრესი მოიტანოს. არცერთ ჩვენგანს ამასთან დაკავშირებით პრობლემა არ ექნება. პრობლემა დგება მაშინ, როდესაც ცდილობთ გააანალიზოთ სამოქალაქო საზოგადოების როლი ამ პოლიტიკური ბერკეტების დონეზე. სამოქალაქო საზოგადოება კი ამასთან შეიძლება მჭიდროდ არ იყოს დაკავშირებული, არც სომხეთში, არც აზერბაიჯანში. საფაროვის საქმე რომ ავიღოთ, ამან სომხეთში გამოიწვია კანონპროექტის ინიცირება სომხეთის მიერ მთიანი ყარაბაღის აღიარების შესახებ.

გიორგი კანაშვილი – ალბათ გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ საქართველო რეგიონში ამჟამად ერთ-ერთ იმ ქვეყანათაგანია, რომელიც ღიაობის პოლიტიკაზე ყველაზე მეტად არის ორიენტირებული.

თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოს პოლიტიკური ღიაობა მთავრდება იქ, სადაც იწყება კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. საქართველოს პოლიტიკა ამ კონფლიქტური რეგიონებისადმი ყოველთვის იყო გადამეტებული შიშებისა და კომპლექსების ერთობლიობა. რაც არ უნდა უცნაური იყოს, ბოლო დროს, რუსეთთან კონფლიქტის შემდეგაც, საკმაოდ გაბედულად,

თვითდაჯერებულად ვმუშაობთ და ვდგამთ პოლიტიკურ ნაბიჯებს. თუმცა, რატომღაც მუდმივად გვეშინია აფხაზების, უფრო სწორად, გვეშინია აფხაზეთის დაკარგვის. ზუსტად ეს შიში და დამოკიდებულება, და დაგვიანებული სტრატეგიები, არის ძირითადი მკვებავი მუდმივად გენერირებადი ომის ნარატივისა აფხაზურ საზოგადოებაში. იმაზეც შეგვიძლია ვისაუბროთ, რატომ არის ესა თუ ის პოლიტიკური სტრატეგია დაგვიანებული.

ომის დამთავრებიდან ოცი წლის თავზეც კი ვერ შევძელით ამ ნარატივის შესუსტება. საქართველოსთან კონფლიქტმა განსაზღვრა ის პოლიტიკური მოწყობის ტიპი, რომელიც დღეს არის აფხაზეთში და შელამაზების გარეშე შეგვიძლია პოლიტიკური სისტემის მოწყობის ამ ტიპს ეთნოკრატია ვუწოდოთ. შეგახსენებთ, რომ გარკვეულწილად მოწყობის ეს ტიპი ასახულია კონსტიტუციაშიც, რადგანაც აფხაზეთის პრეზიდენტად, მოგეხსენებათ, შეიძლება იყოს არჩეული მხოლოდ ეთნიკური აფხაზი. დაახლოებით იგივე სიტუაციაა აფხაზურ პარლამენტში. ბოლო საპარლამენტო არჩევნებში 35 დელეგატიდან მხოლოდ სამია არააფხაზური წარმოშობის. აფხაზური სახელმწიფოს იდეის მატარებლები, აფხაზების აზრით, საკუთრივ ეთნიკური აფხაზები არიან. აფხაზეთში მცხოვრები არც რუსები, არც სომხები და არც ქართველები, არ მიიჩნევიან აფხაზური იდეის შემოქმედებად და, შესაბამისად, მატარებლებად. ამიტომ აფხაზები დაუშვებლად მიიჩნევენ დემოკრატიის ყველა სიკეთით დანარჩენი ეთნიკური ჯგუფების მიერ სარგებლობას, ვგულისხმობ მართვაში მათ ჩართვას. სრულყოფილი დემოკრატია ან ის ფორმა, რომელშიც შეიძლება იყოს ჩართული არააფხაზური მოსახლეობა ქვეყნის მართვაში, თუ ამ ლოგიკას გავყვებით, აღიქმება სერიოზულ გამოწვევად უსაფრთხოებისთვის. ამ ლოგიკით, დემოკრატია, შეიძლება ითქვას, არის გამოწვევა აფხაზეთის უსაფრთხოებისა და დემოკრატიისთვის, რადგან სრულყოფილი ჩართვის შემთხვევაში არ არსებობს მათთვის ლეგიტიმური შიშები, რომ შეიძლება ქვეყნის საგარეო ორიენტირი მნიშვნელოვანწილად შეიცვალოს.

კონფლიქტის პირობებში დემოკრატიის მშენებლობისათვის, აფხაზებისათვის მინიმალური პირობაა დემოგრაფიული სიტუაციის მნიშვნელოვანი ცვლილება. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზები აცნობიერებენ იმას, რომ არც მუჰაჯირების მასობრივი ჩამოსვლა მოხდება ახლო მომავალში და მოსახლეობის ეთნიკურად აფხაზურ ნაწილში არც დემოგრაფიული ბუმი იწინასწარმეტყვე-

ლება. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სამწუხაროდ, უახლოეს მომავალში აფხაზურ დემოკრატიაში ხარისხობრივ, მნიშვნელოვან ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ. თუ დღევანდელი საქართველოს კონტექსტში ძალიან უპრიანი იქნებოდა ფორმულა „ჯერ სახელმწიფო“, უფრო სწორად, „ძლიერი სახელმწიფო და შემდეგ დემოკრატია“, აფხაზეთის კონტექსტში შეიძლება მივიღოთ „ჯერ დემოგრაფია და შემდეგ დემოკრატია“. შესაბამისად, სახეზეა ეთნოკრატია, როგორც გარდამავალი ფორმა დემოკრატიისაკენ.

დღეს აუცილებელია საქართველოს პოლიტიკის ფუნდამენტური ცვლილება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში. აუცილებელია აფხაზეთის გახსნა არა მარტო საქართველოს მიმართ, არამედ ზოგადად სამყაროსათვის. შეგვიძლია ძალიან კონკრეტული ნაბიჯები გადავდგათ უახლოეს მომავალში. მაგალითად, ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში კანონმდებლობაში საკმაოდ იოლად შეიძლება შეიცვალოს გადაადგილების თავისუფლების საკითხი. აუცილებელია გაუცხოების ამ ფაქტორის მოხსნა, რაც, სხვათა შორის, მიბმულია საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიურ პოლიტიკასთანაც, და რაც, ამ მხრივაც, ძალიან მომგებიანი ნაბიჯი იქნება. აუცილებლად უნდა მივცეთ ჩვენს აფხაზ მეგობრებს ღირსეული და თანამედროვე განათლების მიღების საშუალება. არის მედიცინის და კიდევ ბევრი სხვა საკითხი, აღარაფერს ვამბობ ეკონომიკური ტიპის ურთიერთობებზე. დარწმუნებული ვარ, რომ შეიძლება საქართველოში ბევრს დარჩეს უმადურობის განცდა, იმიტომ რომ ეს პოლიტიკა შეიძლება გაგრძელდეს 5-10 წელი და შემხვედრი ნაბიჯი ვერ მივიღოთ აფხაზებისაგან. მაგრამ ასევე უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ოცი წლის განმავლობაში, სხვა არაფერს, გარდა იზოლაციისა, არ ვთავაზობდით მათ. ამიტომ შემხვედრ ნაბიჯებს 2-3 წელიწადში ვერ მივიღებთ. ღიაობის ის პოლიტიკა, რომელსაც პირადად მე დადებითად ვაფასებ და ხორციელდება ჩვენი მეზობლების მიმართ, აუცილებლად უნდა გავრცელდეს ჩვენი თანამემამულეების მიმართ. თვითონ საქართველომაც ნელ-ნელა უნდა დაიწყოს მოძრაობა უკეთესი დემოკრატიისაკენ, რაც იმედია, დამთავრდება საქართველოს დემოკრატიის კონსოლიდირებით.

მარინა ელბაქიძე – როგორია დემოკრატიზაციის ხარისხი სამხრეთ კავკასიაში? მოდით, სამხრეთ კავკასია განვიხილოთ საერთო პოსტსაბჭოთა სივ-

რცის ფარგლებში. თუ დავესესხებით საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებს, ე.წ. ინდექსებს და ინდიკატორებს განვითარების შეფასებისთვის, რიცხვების მოყვანის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კავკასია პოსტსაბჭოთა სივრცეში სადღაც შუაშია. გასაგები რომ იყოს, ვიტყვი, ბალტიისპირეთის ქვეყნები ბევრი ინდიკატორის მიხედვით მოწინავე პოზიციებზე არიან. შუა აზიის ქვეყნებზე თუ ვისაუბრებთ, ზოგიერთი ქვეყანა გარკვეული ინდიკატორებით სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე გაცილებით უკან დგას.

თუ ამოსავლად მივიღებთ იმას, რომ სამივე ქვეყანა დემოკრატიის რაღაც ხარისხზე თანაბრად ვართ, განსხვავება დემოკრატიის ხარისხის მიხედვით ამ სამ ქვეყანას შორისაც არის. შეიძლება საქართველოში საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილო იყოს, მაგრამ ამ ფორმალური შეფასებებით, საქართველოს აქვს გარკვეული წარმატება და „დემოკრატიის შუქურა“ თუ არ არის, ცოტათი წინ მაინც დგას სომხეთსა და აზერბაიჯანზე. ამ კონტექსტში მინდა განვიხილო კონფლიქტების წარმოქმნის და მოგვარების შემდგომი პერსპექტივები.

თუ ისევ ავიღებთ ბალტიისპირეთის ქვეყნებს, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს და ცენტრალური აზიის ზოგიერთ ქვეყანას, ბალტიისპირეთი მშვიდობიანად დაემშვიდობა საბჭოთა წარსულს და შექმნა დემოკრატიული საზოგადოება, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და ასევე აზიის ქვეყნები, სადაც დემოკრატიის ხარისხი ნაკლებია, მაინც გაებნენ კონფლიქტის მახეში. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ კონფლიქტების წარმოქმნა მართლაც დემოკრატიის ხარისხზეა დამოკიდებული? არ ვიცი, შეიძლება პერსპექტივაში სხვა ქვეყნებთან მიმართებაში ასეც იყოს, მაგრამ ეს არ არის ერთმნიშვნელოვანი მიმართება. მაშინ, როდესაც კონფლიქტები დაიწყო ამ ტერიტორიებზე, ეს იყო პირველი ნაბიჯი დამოუკიდებლობისაკენ და დემოკრატიის ხარისხი დიდად არ განსხვავდებოდა. ასე რომ, ერთმნიშვნელოვანი არ არის წინაპირობა, რომ დემოკრატიის დაბალმა ხარისხმა წარმოქმნა კონფლიქტი. მაგრამ თუ დემოკრატიაზე ვსაუბრობთ, აქვე შეგახსენებთ ბანალურ განმარტებას, რა არის დემოკრატია – სიტყვის თავისუფლება, თავისუფალი სასამართლო, კორუფციისგან თავისუფალი სისტემა, ადამიანის უფლებები და ა.შ. ამ კრიტერიუმებზე ვისაუბრებთ და არა ზოგადად დემოკრატიაზე, ასევე მართვის სტილსა და ქვეყნის მშენებლობის იდეაზე. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში 1990-იან წლებში მართ-

ვის სტილიც ავტორიტარული იყო. სამოქალაქო ცნობიერება მიმართული იყო არა იმაზე, რომ აეშენებინა მოქალაქეობაზე დამყარებული დამოუკიდებელი ქვეყანა, არამედ ძირითადად ეს იყო ქვეყნის ეთნიკურ პრინციპებზე აგების იდეა. ამან ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაძაბულობა გამოიწვია. რადგან ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა ეთნიკურად მეტ-ნაკლებად მრავალფეროვანი იყო. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს კონფლიქტები ცალსახად ეთნიკური იყო. ეს არის გარკვეული ფაქტორების კომბინაცია, რომელთა ერთობლიობამ მიგვიყვანა კონფლიქტამდე. ცხადია, არსებობდა ეთნიკური სენტიმენტები, დამოკიდებულება ისტორიისადმი, წარსულისადმი, საკუთარი იდენტობისადმი, და ეს გახდა მნიშვნელოვანი წინაპირობა იმისათვის, რომ წარმოქმნილიყო კონფლიქტი. თუმცა გადამწყვეტი ფაქტორი იყო მაინც პოლიტიკური მდგომარეობა. სახელმწიფოს მშენებლობის იდეა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაფაქტორი იყო და იმაზე, თუ რა ფორმით იყო ის წარმოდგენილი სხვადასხვა საზოგადოებებში, დამოკიდებული იყო კონფლიქტების გაშლაც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

როგორ აღიქმება თავად კონფლიქტები? აქ ორი მომენტი უნდა გამოვყოთ, ერთი – დეკლარირებული შეფასება პოლიტიკურ და ოფიციალურ დონეზე, მეორე – რას ფიქრობს ხალხი, როგორია საზოგადოების დამოკიდებულება ამ კონფლიქტებისადმი. იქიდან გამომდინარე, როგორ აღიქმება კონფლიქტი, საზოგადოებას უჩნდება წარმოდგენა, როგორი უნდა იყოს კონფლიქტის მოგვარების გზა.

არ მინდა, მარტო ჩემი მოსაზრებები წარმოგიდგინოთ, მინდა დავეყრდნო კვლევებს. ბევრი კვლევა ტარდება. მაგალითად, CRRC-ის [კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი] კვლევებია, „კავკასიური ბარომეტრი“, რომელიც ტარდება ამ სამ ქვეყანაში და ის გვაძლევს იმის საშუალებას, შევადაროთ განწყობები და დამოკიდებულებები. ასევე რამდენიმე კვლევაა ჩატარებული, რომელშიც თავადაც ვმონაწილეობდი, „შერიგების რესურსების“ მიერ, სადაც სწორედ ეს საკითხი დაუსვეს რესპონდენტებს, თუ ვინ არის კონფლიქტის მხარე. ეს ეხებოდა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს. რესპონდენტების უმრავლესობამ კონფლიქტის მხარედ და მიზეზად დაასახელა რუსეთი, მაგრამ ეს უფრო პროპაგანდის მიერ დამკვიდრებული შეხედულებაა და არის მოსაზრებაც, სოციალურად და ასაკობრივად განსხვავებულ ჯგუფებში, რომ უნდა ვაღიაროთ ქართველებისა და აფხაზების კონფლიქტი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ

ქართველებს და აფხაზებს ტოტალურად სძულთ ერთმანეთი, მაგრამ უნდა დავინახოთ ის, რომ სწორედ ქართველები და აფხაზები იბრძოდნენ და, ციტატას მოვიყვან, „ესროდნენ და კლავდნენ ერთმანეთს“. ამიტომ, როცა ამ ფაქტის იგნორირებას ვახდენთ, ამით კონფლიქტის შეფასების ადეკვატურ გზას ვკარგავთ და მისი ტრანსფორმაციის პერსპექტივებს არაადეკვატურად ვგეგმავთ.

ეს საკითხი აფხაზურ მხარესაც არის შესწავლილი და იქაც მსგავსი შეხედულებაა. აფხაზები „შეურაცხყოფილადაც კი გრძნობენ თავს იმის გამო, რომ მათ, როგორც მხარეს, არ ცნობენ“. საბჭოთა პერიოდშიც არათანაბარ პარტნიორად მიიჩნეოდა აფხაზეთი სხვადასხვა კონტექსტში და ეს იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი. მათ ურჩევნიათ, როგორც მხარე აღიარონ და მათ ელაპარაკონ, და არა რუსეთს.

პოტენციურ კონფლიქტებზეც მინდა ვისაუბრო. აქაც პირობითად მხარეებად თუ მოვიხსენიებთ, მაგალითად, სომხურ და ქართულ საზოგადოებას. სომხური საზოგადოება არის ძირითადად ჯავახეთში მცხოვრები სომხური მოსახლეობა, რომელიც ნაკლებად ინტეგრირებულია ენობრივი თვალსაზრისით. აქ, ცხადია, არ არის საუბარი კონფლიქტურ მხარეებზე. აქ საუბარია ორ მხარეზე, რომელთა შორის ერთ-ერთს, ამ შემთხვევაში სომხურს, სჭირდება აღიარება მეორისგან. აფხაზეთიდან ამ თემაზე იმიტომ გადავინაცვლე, რომ საკითხი, რომელიც დღეს დგას და აწუხებს აფხაზებს, შეიძლება სხვა ეთნიკურ ჯგუფსაც აწუხებდეს საქართველოში. ეს არ ეხება მთელ ქართულ საზოგადოებას, ცხადია, ნაწილშია ეს დამოკიდებულება, სადაც კვლავაც ჩანს სხვადასხვა ჯგუფთან მიმართებაში პარიტეტულობის და პარტნიორობის არათანაბარი მიმღებლობა. ანუ ერთგვარად „დაბალკატეგორიულად“ აღიქმება არაქართული ეთნიკური ჯგუფი. შეიძლება ვინმე შემომედავოს და თქვას, რომ ჩვენ ტოლერანტულები ვართ. არ უარვყოფ, ვართ კიდეც, მაგრამ რჩება საზოგადოების ნაწილი, რომელშიც ეს ღირებულებები არ არის ცალსახად მიღებული, და პერიოდულად სომხურ საზოგადოებას უწევს საუბარი იმაზე, რომ არის ქსენოფობიური გამონათქვამები და ა.შ.

მხარეების ურთიერთაღქმა, უკვე კონფლიქტში მყოფის, ან პოტენციურ კონფლიქტში მოაზრებული მხარეების, ძალიან მნიშვნელოვანია და კონფლიქტის ტრანსფორმაციაში გათვალისწინებული უნდა იყოს. ამიტომაც გვაშინებს ზოგიერთი ექსპერტი, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში ამ-

ბობს, რომ კიდევ ერთი კონფლიქტი გველის და ამ კატეგორიაში ჯავახეთი მოიაზრება ხოლმე. თუმცა პირადად მე კონფლიქტის საფუძველს ვერ ვხედავ, უბრალოდ მომყავს არსებული მოსაზრებები.

CRRC-ის კვლევების მიხედვით, დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი, პრეზიდენტისადმი და მთავრობისადმი, 2011 წლის მონაცემებით, სამივე ქვეყანაში წინა წელთან შედარებით გაცილებით დაბალია. მოსახლეობა ნაკლებად ენდობა ხელისუფლებას და პრეზიდენტს. ჩვენს რეალობაში ეს ძალიან აქტუალურია, მაგრამ არ გადავერთვებით წინასაარჩევნო დისკუსიაში. მინდა ერთი შეხედვით ცოტა პარადოქსული მონაცემი გითხრათ, საუბარია ჯავახეთზე. საქართველო არის მკაფიოდ დეკლარირებულად ორიენტირებული დასავლეთზე, ჯავახეთის სომხური მოსახლეობა, რომელიც ძირითადად რუსულენოვანია, ორიენტირებულია რუსეთზე. მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქართულ-რუსული ურთიერთობების დალაგება. მიუხედავად იმისა, რომ მათი შეხედულება საგარეო პოლიტიკის შესახებ, მაინცდამაინც არ სწყალობს საქართველოს ნატო-ში შესვლის იდეას. მათთვის არჩევანივითაა – ან ნატო, ან რუსეთი. მიუხედავად ამისა, ისინი უფრო კეთილგანწყობილნი არიან საქართველოს პრეზიდენტისადმი და ხელისუფლებისადმი, ვიდრე ქართული საზოგადოება. მათ ხელი არ ეშლებათ დაუჭირონ მხარი ხელისუფლებას, მაშინ როდესაც განსხვავებული შეხედულებები აქვთ სხვა საკითხებში, ამ შემთხვევაში, საგარეო პოლიტიკასთან მიმართებაში.

მინდა კიდევ ერთი კვლევის შედეგები ვახსენო. ეს არის „უსაფრთხო მსოფლიოს“ მიერ აფხაზეთში ჩატარებული კვლევა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ უსაფრთხოების განცდამ იმატა. მოსახლეობა უფრო უსაფრთხოდ გრძნობს თავს, ვიდრე ადრე. ეს ეხება სამივე რაიონის გამოკითხულებს. თუმცა მაინც უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზები უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ თავს, ვიდრე ქართველები. გალშიც კი განსხვავებაა, მოგეხსენებათ, გალი იყოფა ქვედა და ზედა ზონად. თვითონ გალში გამოკითხულები უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ თავს, ვიდრე ქვედა ზონაში. ამ გრადაციას აქვს თავისი წინაპირობა.

ქართულ მხარეზე ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენა ცოტა სხვაგვარია. მეორე მხარის აღქმას – როგორ ცხოვრობს, რას ფიქრობს ჩემზე – სხვადასხვა შინაარსები და გამოვლენები აქვს. ერთი წლის წინ CRRC-იმ „შერიგების რესურსების“ შეკვეთით დევნილებს შორის ჩაატარა გამოკითხვა. საზოგადოე-

ბაშიც არის ეს აზრი, არის ასეთი შეფასება, რუსეთი რომ არ იყოს, ჩვენ უცებ შევრიგდებოდით. ჩვენ ბევრი გვაქვს საერთო, და აფხაზები ელიან, როდის დავბრუნდებით. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის და აფხაზებს იგივე კითხვა რომ დაუსვათ, მათ არ სურთ ქართველების დაბრუნება და ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს. იმის თქმა მინდა, რომ მხარეების წარმოდგენებში აცდენაა.

რაც შეეხება იმას, თუ რას ვთავაზობთ კონფლიქტის მხარეს. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მაგალითს ავიღებ. სახელმწიფო სტრატეგიაში [საქართველოს სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით] გაწერილი შეთავაზებები რომ წაიკითხოთ, თავისთავად არ არის ურიგო, თუ რას ვთავაზობთ მეორე მხარეს იმისათვის, რომ კონფლიქტი მოგვარდეს. მაგრამ, სხვა საკითხია, თუ როგორ არის ის შეფუთული და როგორ აღიქმება ის აფხაზური და ოსური მხარის მიერ. გარდა იმისა, რომ იქ არის სიტყვები „ოკუპირებული ტერიტორია“, თუმცა თავად აფხაზები არ თვლიან თავს ოკუპირებულად, ასევე არის მნიშვნელოვანი ფრაზა, სადაც ნათქვამია, რომ ამ შეთავაზებების საფუძველზე უნდა მოხდეს რეინტეგრაცია ამ ტერიტორიების, რაც აფხაზური მხარისათვის ასევე მიუღებელია. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ ბევრი რამ, რასაც ეს დოკუმენტი აფხაზებს სთავაზობს, შეიძლება სრულიად მისაღები ყოფილიყო კონფლიქტის მხარისათვის, თუ ის არ იქნებოდა პოლიტიკურად ამ სახით შეფუთული.

უამრავი მაგალითია, როგორ წყვეტენ ჯანმრთელობის პრობლემებს. აფხაზებს და იქ მცხოვრებ ქართველებს ხშირად უწევთ ქართულ ტერიტორიაზე გადმოსვლა ჯანმრთელობის პრობლემების მოსაგვარებლად. საქართველო ამას ხვდება დადებითად და სიხარულით, იმიტომ რომ ეს არის ჩვენი სტრატეგიის ნაწილი. აფხაზური მხარე მისთვის პოლიტიკურად მიუღებელ საკითხებზე ხუჭავს თვალს და თავის მოსახლეობას, რომელიც აქეთ გადმოდის სამკურნალოდ, ამაში ხელს არ უშლის. ნეიტრალური პასპორტებიც, რომელიც ერთი შეხედვით კარგი იდეა და შეთავაზება იყო, უნდა გითხრათ, რომ იგივე იდეა რამდენიმე წლის წინ თავად აფხაზებს გაუჩნდათ, ოღონდ საუბარი იყო არა ქართული მხარის მიერ გაცემულ დოკუმენტზე, არამედ რომელიმე საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ გაცემულ დოკუმენტზე, სამწუხაროდ, ესეც ცოტა დაგვიანებული ნაბიჯია. ცხადია, არიან ისეთებიც, ვინც ასეთ პასპორტს იღებს, თუმცა ამაზე ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს. მაგრამ, როგორც ოფი-

ციალურ, ისე არაოფიციალურ დონეზე, ეს იდეაც მიუღებელია აფხაზური მხარისათვის. იმიტომ რომ ეს დოკუმენტი გაიცემა ქართული სახელმწიფოს მიერ. თუმცა მსგავს დოკუმენტს ისინი სიხარულით აიღებდნენ, სხვაგვარად რომ იყოს გაფორმებული.

ბოლოს ერთ ფრაზას ვიტყვი იმის შესახებ, თუ რამდენად არსებობს საზოგადოებრივი დაკვეთა, რომ ეს კონფლიქტი მოგვარდეს და რამდენად არის ამის პოტენციალი. შემიძლია ვთქვა, რომ ერთიც არის და მეორეც. არ არსებობს მსოფლიოში საზოგადოება, რომელსაც მშვიდობა არ უნდოდეს. ნებისმიერი საზოგადოების შეკვეთაა, იცხოვროს მშვიდად. აქედან გამომდინარე, ცხადია, გარკვეული პოტენციალი არსებობს მშვიდობისათვის, მაგრამ ერთს დავძენ, CRRC-ის გამოკითხვაში, რომელიც „შერიგების რესურსების“ ეგიდით ჩატარდა, კითხვაზე, თუ რამდენ ხანში ელიან ტრანსფორმაციას, კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივას, გამოკითხულთა უმრავლესობამ, საუბარია დევნილებზე, უპასუხა, რომ კონფლიქტი 50 წლის შემდეგ მოგვარდება, ან არასოდეს, ან არ იციან. ვისაც სჯერა, რომ კონფლიქტი დღეს ან ხვალ მოგვარდება, ასეთი გამოკითხულთა შორის ძალიან ცოტაა. ეს რაზე მეტყველებს, თავად გადაწყვიტეთ.

მარიამ ნასყიდაშვილი, სტუდენტი – პირველი კითხვა ქალბატონ მარინასთან მაქვს. თქვენ თქვით, რომ მუდმივად ხდება აფხაზი ხალხის, როგორც მხარის იგნორირება და ეს არ ხდება მხოლოდ მედიაში. მაინტერესებს, რატომ? ეს არის თვალის დახუჭვა არსებულ პრობლემაზე, რომ რეალურად პრობლემა არსებობს ხალხებს შორის?

მეორე კითხვა მაქვს ბატონ შითსთან. ხომ არ არსებობს კონფლიქტის გადმოსვლის საფრთხე ჩრდილოეთ კავკასიიდან? დღეს არ გისაუბრიათ ამ თემაზე. ლაფანყურის ოპერაციის მერე კი საკმაოდ დაიძაბა სიტუაცია პანკისის ხეობაში. თქვენი აზრით, რა საფრთხეს შეიცავს დღეს ეს რეგიონი და თუ არსებობს ახალი კონფლიქტის საშიშროება?

სალომე ასათიანი, რადიო „თავისუფლება“ – კითხვა ალბათ უწინარესად ბატონ დე ვაალთან მექნება. რამდენიმე ჩარჩო, რომელიც მან ასე საინტერესოდ მოხაზა, მაინტერესებს ერთმანეთთან რა ურთიერთმიმართებაშია. ერთი მხრივ,

ადამიანებს შორის ურთიერთობები, მეორე მხრივ, ამ კონფლიქტების პოლიტიკური კონტექსტი და მათი ინსტრუმენტალიზაცია. უშლის თუ არა ამჟამინდელი ფორმით ეს ჩარჩოები ხელს ერთმანეთს. ვინაიდან მოგეხსენებათ, მოსაზრება, რომ ჩვენ, ქართველებს და აფხაზებს, გასაყოფი არ გვქონია და რუსეთია მთავარი აქტორი, არის ნაწილი დომინანტური ნარატივისა, რომელიც მომდინარეობს ჩვენი ამჟამინდელი ხელისუფლებისგან. მეჩვენება, რომ ეს შემდეგ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ვინაიდან სადისკუსიო სივრცეც იკეტება. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ალბათ სადღაც ხვდებიან ერთმანეთს და საუბრობენ, მაგრამ მედიაში, რომელსაც უნდა უსმენდეს საზოგადოება, ამ თემის განხილვა არ ხდება. სწორედ იმიტომ, რომ გავლენიან მედიას ჩვენთან ხელისუფლება აკონტროლებს, ხელისუფლება კი კონფლიქტის სწორედ ამ ვერსიას გვთავაზობს.

მარინა ელბაქიძე – კითხვა ეხებოდა იმას, რატომ ხდება კონფლიქტის მხარის იგნორირება. და რატომ არ ვაღიარებთ, რომ კონფლიქტი არის ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური. ცხადია, ხელისუფლება ამას აღიარებს, უბრალოდ მიაჩნია, რომ ამ განაცხადში ძირითად მხარედ მაინც ჩანს რუსეთი. რა მოტივაცია აქვს ამისთვის ხელისუფლებას? ძირითადი მოტივაცია არის პოლიტიკური განაცხადი, რომ რუსეთი არის მთავარი მტერი და მჩაგვრელი, საქართველო არის დაჩაგრული და საერთაშორისო საზოგადოებამ მხარი უნდა დაუჭიროს და მიეხმაროს საქართველოს ამ კონფლიქტების მოგვარებაში. 2008 წლის ომის შემდეგ განსაკუთრებით ცხადი გახდა ეს განაცხადი, გაჩნდა ასეთი ფრაზაც, რომ მოხდა ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური კონფლიქტის საერთაშორისო დონეზე გატანა. თითქოს საერთაშორისო დონეზე გატანა დააჩქარებდა ამ კონფლიქტების მოგვარებას. თუმცა, ჩემი აზრით, ამან უფრო შორი გახადა მოგვარების პერსპექტივები. არ ვიცი, ხვალ და ზეგ რა მოხდება მსოფლიო პოლიტიკაში, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან, 2008 წლის მოქმედებების გამო, ამ საკითხის მოგვარების თვალსაზრისით უფრო რთული მდგომარეობა გვაქვს, ვიდრე მანამდე იყო.

ქართული კონფლიქტების შემთხვევაში რუსეთის როლი აქტიურად განიხილება. სომხურ-აზერბაიჯანულ კონტექსტში ის ასე ხშირად არ მოიხსენიება. მაგრამ რამდენიმე ექსპერტის მოსაზრება წამიკითხავს, სადაც სწორედ რუსეთს სდებენ ბრალს, რომ მოახდინა ყარაბაღის კონფლიქტის პროვოცირება.

უფრო სწორად, მაშინ, როდესაც იწყებოდა ეს კონფლიქტი, რუსეთს შეეძლო აერიდებინა ის, მაგრამ მან ხელი არ შეუშალა და ცოტა წაახალისა კიდეც. მინდა ყურადღება მივაქციოთ, რა საერთო აქვს ან რა განასხვავებს ამ კონფლიქტებს, სამივე საზოგადოებაში საზოგადოების დიდი ნაწილი, დაახლოებით 50%, არის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მომხრე. ეს არის ერთგვარი პოტენციალი. ამ მზაობის დროს აუცილებელი არ არის, მან მესამე აქტორზეც იფიქროს. საზოგადოების დონეზე ეს ხედვა არსებობს. თუმცა სამივე საზოგადოებაში არსებობს მცირე ნაწილი, რომელიც ფიქრობს, რომ ეს კონფლიქტები მშვიდობიანად არ მოგვარდება და ძალისმიერად უნდა გადაწყდეს.

გიორგი კანაშვილი – ქალბატონმა სალომემ აღნიშნა, რომ რატომღაც ამ ნარატივების კულტივაცია მაინცდამაინც დღევანდელ ხელისუფლებას გადავაბრალეთ. გეთანხმებით იმაში, რომ რუსული ნარატივი ქართულ-რუსული ანტაგონიზმისა განსაკუთრებულ სიმძაფრედ წარმოგვიდგინა დღევანდელმა ხელისუფლებამ. თუმცა, თუ შევხვდებით იმ ადამიანებს, რომლებიც მონაწილეობდნენ საომარ მოქმედებებში აფხაზეთში, მათი უმეტესობა იტყვის, რომ ის არ ყოფილა აფხაზებთან საომრად, რომ ომობდნენ რუსებთან ან ჩრდილოკავკასიელებთან. რა თქმა უნდა, ჩვენმა ხელისუფლებამ ამას წაკრა ხელი კიდევ ერთხელ, მაგრამ, ჩემი აზრით, ფსიქოლოგიური მომენტებიც არის. რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ არაკომფორტულია, როგორც ყარყარაშვილი იტყოდა, „ერთ სტადიონ ხალხთან“ ომის წაგება. ეს ნარატივი აქამდეც საკმაოდ იყო გამჯდარი. ეს კარგად გამოიყენა ჩვენმა ხელისუფლებამ და კიდევ უფრო გაამძაფრა და სხვა ჭრილში გადაიყვანა.

რაც შეეხება სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტში რუსეთის ფაქტორს, ვფიქრობ, რომ შეიძლება ეს პოლიტიკურ დონეზე არ არის გამოტანილი და ალიევს მგონი ყოფნის გამჭრიახობა საიმისოდ, რომ ჩვენი ხელისუფლების მსგავსად, არ ეცადოს კონფლიქტში რუსეთის შემოყვანას, თუმცა საზოგადოებრივ დონეზე რუსეთის ფაქტორს აზერბაიჯანშიც ხშირად უსვამენ ხაზს. ასე რომ, რუსეთი გარკვეული დოზით ყველგან ფიგურირებს.

თომას დე ვაალი – მოკლე კომენტარს გავაკეთებ. სხვადასხვა თემებია. ნაბიჯი, რომელიც აუცილებლად დაიმსახურებს საერთაშორისო კრიტიკას.

„მემკვიდრეობის პარტიას“ [სომხეთი] ჩამოყალიბებული აქვს პროექტი საფაროვთან დაკავშირებით. ორი მიმართულებაა. ერთ ჯგუფს მიაჩნია, რომ უნდა აღიარონ ყარაბაღის დამოუკიდებლობა, მეორე ჯგუფს მიაჩნია, რომ ეს ტერიტორია უნდა აღიარონ როგორც სომხეთის ისტორიული ნაწილი. 1989 წელს სომხეთმა გამოაცხადა კავშირი. ორი წლის მერე ყარაბაღმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ხუმრობენ, სომხეთისგან გამოაცხადეს დამოუკიდებლობაო? რა აფერხებს აზერბაიჯანს? ალბათ თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება მისი მხრიდან ომის წამოწყება. მუქარა ადვილია, მაგრამ ამ ნაბიჯზე თუ წახვალ, შეიძლება ყველაფერი დაკარგო.

მარინა ელბაქიძე – არანაკლებ მნიშვნელოვანია, არის თუ არა პირველი რანგის მნიშვნელობის საკითხი საქართველოში კონფლიქტების მოგვარება. ჩემი აზრით, რასაც დღეს ვხედავთ პოლიტიკურ დონეზეც და საზოგადოების დონეზეც, კონფლიქტის მოგვარება, როგორც ჩანს, დღეს არ არის პირველი რანგის მნიშვნელობისა.

ეს არც საზოგადოებისთვის არის პირველი რანგის პრობლემა. პირველ ადგილზე სოციალურ-ეკონომიკური საკითხები მოდის. ამიტომაც არის, რომ ხელისუფლება და პოლიტიკური პარტიებიც შესაბამისად რეაგირებენ. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს საკითხი საერთოდ გვერდზეა გადადებული. ეს მტკივნეული და მნიშვნელოვანი თემაა, განსაკუთრებით დევნილებისთვის, რომლებიც საკმაოდ რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან. რაც შეეხება იმას, საიდან უნდა წამოვიდეს ინიციატივა, ქვემოდან თუ ზემოდან, ზემოთ ჯერ-ჯერობით არაფერი ხდება. ჟენევის შეხვედრები, თავისთავად კარგია, რომ არის და მიმდინარეობს, მაგრამ იქ არაფერი წყდება. ამის მიუხედავად, მაინც სჯობს, რაღაც ფორმით იყოს პოლიტიკურ დონეზე შეხვედრები, ვიდრე საერთოდ არ იყოს.

საქართველოს კულტურის პოლიტიკა წარსულსა და მომავალს შორის

მომხსენებლები:

სოფიო კილასონია

კულტურის კვლევისა და კოორდინირების ცენტრი,
დამფუძნებელი

ნიკო ნერგაძე

რადიო „თავისუფლება“, ჟურნალისტი

გურამ ოდიშარია

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი

ნინი სანადირაძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, პროექტების მენეჯერი

მოდერატორი:

გოგი გვახარია

12 ნოემბერი, 2012

გოგი გვახარია – ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოში“ ამავე თემაზე შეხვედრა 2004 წელსაც მოეწყო. აქაც ვხედავ ადამიანებს, რომლებიც იმ შეხვედრას ესწრებოდნენ. როგორც მახსოვს, მაშინ შეხვედრაში კულტურის მინისტრი გოკა გაბაშვილი მონაწილეობდა და ძალიან ბევრ მნიშვნელოვან ცვლილებას დაგვპირდა. ის დისკუსია ჩაწერილი მაქვს და ხშირად ვუსმენ. დარწმუნებული ვარ, დღესაც იმავეს ვეტყვით კულტურის მინისტრს, რასაც მაშინ ვეუბნებოდით.

სოფიო კილასონია – შევეცდები გამოვკვეთო მთავარი აქცენტები იმ სივრცისა, რომელსაც კულტურის პოლიტიკის სივრცე დავარქვით. მაგრამ მანამდე მინდა რამდენიმე სიტყვით შევეხო ბოლო პერიოდის დისკუსიებს, რომლებიც იმართებოდა ტელევიზიებში, წერილებს, რომლებშიც ხელოვნების კრიტიკოსები და ხელოვანები მომავალ მინისტრს და სამინისტროს კადრებს ვთხოვდით, მათი ინსტიტუციები პროფესიონალებით დაკომპლექტებულიყო და გამორიცხულიყო პარტიული ნიშნით დანიშვნა, მომხდარიყო კულტურის დეპოლიტიზება, აღარ შეგვემჩნია ფავორიტიზმი და ა.შ. სატელევიზიო დისკუსიებში, ფორმატიდან გამომდინარე, ჩვენი შეხედულებები ხშირად მხოლოდ რამდენიმე სიტყვით გამოხატულ პრეტენზიებად მოჩანდა. ამიტომ პასუხად ყოველთვის გვეუბნებოდნენ, რომ კულტურაში ძალიან ბევრი პროექტი ფინანსდებოდა. სწორედ ამ თემით დავიწყებ ჩვენი უახლოესი წარსულის კულტურული პროცესების მიმოხილვას.

პროექტები ნამდვილად ფინანსდებოდა. 2003 წლიდან დღემდე არსებობს ძალიან დიდი ჩამონათვალი იმისა, თუ რა დაფინანსდა. ჩამოთვლილია კონცერტები, პროექტები, გამოფენები, კულტურული ძეგლების რეაბილიტაცია. ჩამონათვალი ძალიან დიდია, ამიტომ ოპონენტები სუსტები ვიქნებით, თუკი პოლემიკის ზედაპირულ შრეზე დავრჩებით. როდესაც ვამბობთ, რომ არა გვაქვს კულტურის პოლიტიკა და სტრატეგია, არ ვგულისხმობთ იმას, რომ მოგვაკლდა „ივენთები“ და ღონისძიებები, კონცერტები და შოუები ან წირვა-ლოცვები ახლადაშენებულ და „რეაბილიტირებულ“ ტაძრებში. საქმე ეხება იმას, რომ კულტურის პოლიტიკა არ არის მხოლოდ სხვადასხვა მიმართულებებით დახარჯული ბიუჯეტი. მასში ჩვენ ვგულისხმობთ საზოგადოებაში, კულტურულ სივრცეში მომწიფებული აუცილებლობებისადმი რეაგირებას. ამი-

ტომ ვმიჯნავთ ერთმანეთისგან პროექტებს, რომლებიც ფინანსდებოდა და იმ აუცილებლობას, რომელიც იყო კონკრეტულ დროსა და სივრცეში კულტურის სფეროში. კულტურის პოლიტიკა სწორედ ამ აუცილებლობებზე რეაგირების სისტემური, თანმიმდევრული სტრატეგიული მუშაობაა.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რამაც პოლემიკაში ჩაგვითრია, იყო კულტურის პოლიტიზება. ნებისმიერი დარგი შეგვიძლია დავასახელოთ, სადაც გადამწყვეტი იყო არა პროფესიონალების აზრი, არამედ პოლიტიკოსების გადაწყვეტილება. რამდენიმე მაგალითს მოვიყვან. ავიღოთ თუნდაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფერო. ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლების რეაბილიტაციის დროსაც კი, როდესაც პიკს აღწევდა პოლემიკა, გადაწყვეტილებას მაინც პოლიტიკოსები იღებდნენ, ანდა რომელიმე დეპარტამენტის ან სამსახურის უფროსები, და ეს გადაწყვეტილებები იშვიათად იყო პროფესიონალური. ახლაც, როდესაც ვარაუდობდნენ, თუ ვინ უნდა დაენიშნათ მინისტრის მოადგილეებად, ხაზი ესმებოდა იმას, რომ ესა თუ ის ადამიანი განათლებით ხელოვნებათმცოდნე იყო. მაშინ მომივიდა აზრად, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვას განათლებით ხელოვნებათმცოდნეები ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ ბაგრატის ტაძრისა და სვეტიცხოვლის რეაბილიტაციის დროს, ტაო-კლარჯეთის საკითხის განხილვისას, დავით გარეჯის შემთხვევაში მათ გადაწყვეტილებები არ მიუღიათ, როგორც ხელოვნებათმცოდნეებსა და რესტავრატორებს. გადაწყვეტილებები მიიღეს, როგორც ადამიანებმა, რომლებიც წავიდნენ კომპრომისზე საპატრიარქოსთან, პოლიტიკურ და პარტიულ ინტერესებთან. პოლიტიზებული იყო სახელოვნებო განათლების სფეროც.

შეიძლება გავიხსენოთ ქალაქების განაშენიანება, ახალი მონუმენტები. კულტურის სამინისტროს სხვადასხვა თანამდებობის პირები ამბობდნენ, რომ ისინი მუშაობდნენ როგორც ერთიანი გუნდი. თუმცა, გუნდურ მუშაობაში, სამწუხაროდ, პარტიული და პოლიტიკური ინტერესებით გაერთიანებული ადამიანების გუნდური მუშაობა იგულისხმებოდა და არა პროფესიული ინტერესებით და აუცილებლობებით გამოწვეული გუნდურობა.

კულტურის პროცესებისათვის ასევე დამახასიათებელი იყო ფასადურობა და ზედაპირულობა. შეიძლება გავიხსენოთ დიდი რესურსის ჩადება კონცერტებში ან ისეთი სახის რეაბილიტაცია-რესტავრაციებში, სადაც სამუშაოების

განხორციელება ფუნდამენტური კვლევების საფუძველზე არ მიმდინარეობდა და მიზანი ზედაპირული ეფექტის მოხდენა იყო.

როდესაც რომელიმე მნიშვნელოვანი პრობლემის გადასაჭრელად თანხების მოძიებაზე იყო საუბარი, საპასუხოდ ამბობდნენ, რომ ამისთვის ქვეყანას არ ეცალა და არც საამისო ბიუჯეტი არსებობდა. სტატისტიკა ძალიან ზედაპირულია, ინფორმაცია ყოველთვის ღია არ ყოფილა. იგი გვიჩვენებს, რომ კულტურაში ბოლო წლებში ძალიან ბევრი ფული იხარჯებოდა, საქმე ეხება ათეულობით მილიონს. თანხა იყო, მაგრამ ის მიემართებოდა სახალხო დღესასწაულების ორგანიზებაში ან საინტერესო სტუმრების ჰონორარებში. ამის წინააღმდეგი შეიძლება არ ვიყოთ, მაგრამ როდესაც სახელოვნებო სასწავლებლებისთვის წლიდან წლამდე მცირდებოდა ბიუჯეტი, საქართველოს ბიუჯეტიდან ძალიან ხელგაშლილად მიემართებოდა თანხა ამ ტიპის ღონისძიებებისაკენ, რაც ალოგიკურად გვეჩვენება.

ფასადურობის კიდევ ერთი გამოვლინებაა კულტურის პროცესები რეგიონებში, უფრო სწორად, მათი არარსებობა. ყველაზე ნიშანდობლივი ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისთვის, რეგიონებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობისას ის იყო, რომ დიალოგი საერთოდ შეუძლებელი იყო იმ უწყებებთან, რომლებსაც ამ საკითხების გადაჭრა ევალებოდათ.

კულტურა, თანამედროვე ხელოვნება, რომელიც დისკუსიების, ახალი სააზროვნო სივრცის შექმნის მაპროვოცირებელი უნდა იყოს, ამას ვერ ახერხებდა. კულტურა იყო დეკორაცია, რომელშიც ვითარდებოდა გარკვეული პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი პროცესები.

კულტურა რომ მხოლოდ მასკულტურად აღიქმებოდა, ამაზე თქვენს ყურადღებას არ შევაჩერებ, რადგან ეს თემა მრავალგზის იქნა განხილული. ყველაზე რთული ხელოვანებისთვის ალბათ ის იყო, რომ საქართველოში წლების განმავლობაში არ შექმნილა სივრცე ახალი თაობის შემოქმედთათვის. კულტურის პოლიტიკის სახელმწიფო სტრუქტურებისთვის უფრო საინტერესო იყო დიალოგი ავტორიტეტებთან. რაც არ იყო ყოველთვის წარმატებული, მაგრამ მაინც. ზოგიერთ „ცნობად სახესთან“ მაინც იმართებოდა თანამშრომლობა. სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს რესურსი, რომელიც წაახალისებდა ახალგაზრდა ხელოვანს. ამას უკავშირდება ის, რომ ვერ შეიქმნა კონკურენტული გარემო. აქვე აღსანიშნავია, რომ სამინისტროსა და მუნიციპალიტეტებს შო-

რის დღემდე არ არის გამიჯნული ფუნქციები კულტურის მენეჯმენტთან მიმართებით. ადამიანებმა, რომლებიც ამ სფეროში მუშაობენ, ხშირად არ იციან, კონკრეტული სპეციფიკის პროექტი რომელ ინსტიტუციას დააინტერესებს ან ვის აქვს რესურსი. ამიტომ, ხშირად, ფავორიტულ პროექტს ყველა ერთად აფინანსებს და არაფავორიტულ ჩანაფიქრს – არავინ.

რადგან შევეხე ინსტიტუციების სტრუქტურას, არ შეიძლება არ ვისაუბრო იმაზე, თუ რას წარმოადგენს ზოგადად კულტურის სამინისტრო. საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ არ არის ცხადი, რა ინსტიტუციასთან აქვს საქმე. ის ასრულებს ფონდის როლს, რომელსაც უჩნდება ხოლმე სურვილი, პერიოდულად დააფინანსოს ესა თუ ის გამოფენა თუ პროექტი. ეს ცხადად ჩანს ხელოვნების დარგში, სადაც არ არის ჩამოყალიბებული კრიტერიუმები, სისტემა და კონკურენტული გარემო. კინოხელოვნების განვითარების სფეროს მიმართულებით ინსტიტუციის საკითხი შეიძლება უფრო მკაფიო იყოს, სადაც არსებობს ისეთი ქვეინსტანცია, როგორიც არის ეროვნული კინოცენტრი.

ამ ბოლო დროს ხშირად საუბრობენ იმაზე, უნდა არსებობდეს თუ არა საერთოდ კულტურის სამინისტრო. საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ ის უნდა გაუქმდეს. ვფიქრობ, რომ მისი გაუქმება მხოლოდ იმიტომ, რომ ფუნქციები ვერ შეასრულა, არ შეიძლება. ევროპულ ქვეყნებში, სადაც კულტურის სამინისტროს ფუნქციები მინიმუმამდეა დაყვანილი, მათ მოახერხეს შეექმნათ ფონდები და ქვესტრუქტურები, რომლებიც ემსახურებიან სხვადასხვა სფეროში ჩართულ ადამიანებს და ჭრიან სხვადასხვა ამოცანებს. რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილებას, გასათვალისწინებელია თავად შტატების, გუბერნიების როლი და მათი კულტურის პოლიტიკა. ამ ქვეყანას კულტურის პოლიტიკის მოწყობის სხვა სისტემა აქვს.

ნიკო ნერგაძე – პირველი პრობლემა, რომელსაც ვხედავ, და აქ მნიშვნელობა არა აქვს ვინ იქნება მთავრობაში, ყველა წააწყდება მას, ის არის, რომ ინვესტიცია ამ სფეროში ყოველთვის არ იძლევა ადეკვატური უკუგების საშუალებას, ანუ მეტი ფულის ჩადება არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად უკეთეს პროდუქტს მიიღებ. არის მთელი რიგი სფეროები, დავარქვათ მასკულტურა, შოუბიზნესი, ხელოვნების ქვესფეროები, რომლებიც ბიზნესთან არის გაიგივებული. რა შეიძლება გააკეთოს კულტურის სამინისტრომ მათ წასახალი-

სებლად? მგონი, სახელმწიფოს აქ მართლაც აქვს გარკვეული როლი, მაგრამ შეიძლება ეს ეკონომიკის სამინისტროს უფრო ეხებოდეს, ვიდრე კულტურის სამინისტროს, იმდენად რამდენადაც ბიზნესის განვითარება ძალიან კარგი იქნება მეტი სამუშაო ადგილის გამო, ფულის მეტი მიმოქცევის გამო, მაგრამ სხვა მხრივ, შოუბიზნესი თუ იქნება, ძალიან კარგი, მაგრამ თუ არ იქნება, არც ეს იქნება უბედურება, ძალით მისი შენარჩუნება არ ღირს.

რაც შეეხება ღონისძიებების მოწყობას, კულტურის სამინისტროს დიდი ნაწილი ერთგვარ „ფრედო კორლეონედ" იყო გადაქცეული. შეიძლება სახელმწიფოს სჭირდებოდეს, ჩამოსული სტუმარი გაართოს, ან აქ მყოფს უმასპინძლოს, მაგრამ ეს კულტურის პოლიტიკის ნაწილი არ არის. საუბარია ხოლმე იმაზე, რომ სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ალტერნატიული ხელოვნების განვითარებას, მუსიკა იქნება თუ სხვა, მაგრამ არ ვიცი, რა უნდა გაკეთდეს. თუ არის მეამბოხე სული, რომელსაც უნდა დაწეროს რაიმე ისეთი, რაც დაუპირისპირდება საზოგადოების მიდგომას ამა თუ იმ საკითხის მიმართ, თუ არის მუსიკოსი, რომელსაც უნდა, რომ სისტემას კიდევ ერთი ბზარი მიაყენოს, ძალიან კარგია და ამით ვითარდება ყველაფერი. მაგრამ მეორე საკითხია, რამდენად შეძლებს ამის გაკეთებას ხელოვანი, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს. პირიქით, მგონია, რომ რაც უფრო მეტად გაფინანსებს სახელმწიფო, მით უფრო ნაკლებად გაქვს თუნდაც მორალური უფლება, მის წინააღმდეგ ამბოხდე.

რაც შეეხება პოლიტიკის გატარებას, რაც პრობლემა იყო წინა ხელისუფლებასთან დაკავშირებით და ახლაც გრძელდება, მოელიან ხოლმე, რომ სახელმწიფომ უნდა განავითაროს გემოვნება და დანერგოს, რა არის სწორი და რა არა. ბევრი ამბობდა კიდეც, რომ წინა ხელისუფლება ცდილობდა შეექმნა ახალი ტიპის ადამიანი, ძალით დაენერგა რაღაც ფასეულობები, რომლებსაც შეიძლება, მე ვიზიარებდე და ვფიქრობდე, რომ სწორია, მაგრამ არა მგონია, ის მეთოდები, რომლითაც ეს ხდებოდა, ეფექტიანი ყოფილიყო. ავიღოთ თუნდაც ინგლისურ ენაზე ფილმების ყურება. პირადად ჩემთვის ეს მართლაც უფრო კომფორტულია, კარგად ვიცი ინგლისური ენა და მირჩევნია ფილმს ინგლისურად ვუყურო და არა რუსულად, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ, თავად ტელევიზიების წარმომადგენლების თქმით, ეს პრობლემას ქმნის ტელევიზიებისთვის, როგორც ბიზნესისთვის, იმიტომ რომ ხალხი აღარ უყურებდა გაუხმოვანებელ სერიალებს.

ხშირად აკრიტიკებენ მედიას, რომ სწორედ ის ნერგავს ცუდ გემოვნებას. სხვები ამბობენ, რომ პირიქით, ხალხისგან არის ამაზე მოთხოვნა. ჩაკეტილი წრეა, რომელმა დაიწყო, ვერ გაიგებ. ამაზე პასუხი არა მაქვს, რამდენად შესაძლებელია, ვინმე ხელოვნურად ჩაერიოს და ჩაუნერგოს ადამიანებს, რას უყურონ.

ჩემი აზრით, თვითმმართველობა და დეცენტრალიზაცია არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეიძლება მოხდეს. რაც შეეხება მონუმენტურ ხელოვნებას, სტალინის ძეგლზე იყო ხოლმე საუბარი, უნდა აეღოთ თუ არა. ახლა ლაპარაკობენ იმაზე, უნდა დადგან თუ არა. ჯერ აღების წინააღმდეგი ვიყავი, ახლა დადგმის წინააღმდეგი ვარ. შეიძლება დეცენტრალიზება, ვანდოთ თავად მოსახლეობას, გადაწყვიტონ, რა უნდათ და რა – არა. ბოლოს და ბოლოს, კულტურის სამინისტროსთვისაც კარგი იქნება, თითი მაინც ექნება გასაშვერი, რომ ეს თვითონ ქალაქმა გადაწყვიტა. თუმცა ესეც დასაბალანსებელია. მარტო ხალხს რომ მივანდოთ, შეიძლება წინ არ წავიდეს ეს ყველაფერი.

გურამ ოდიშარია – ამჯერად მე არ ვარ მინისტრი, არამედ ბიოლის ფონდის პროექტის ერთ-ერთი განმხორციელებელი. ეს პროექტი რამდენიმე წლის წინ განვახორციელე და კულტურა ჩვენსა და აფხაზებს შორის ურთიერთობის საშუალებად გამოვიყენე და ამის შემდეგაც ასე იქნება. ჩვენ დაგვაკლდა კულტურული ურთიერთობები არა მარტო სხვებთან, არამედ თავად ჩვენს საზოგადოებაშიც. მეგობრებმა უკვე ბევრი ისაუბრეს იმ პოლიტიზებასთან დაკავშირებით, როდესაც საზოგადოება „ჩვენიანად“ და „იმათიანად“ იყოფოდა. ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

არაერთგზის გვითქვამს, რომ ყველანი ერთად გავიმარჯვებთ და კულტურის სამინისტრომ აუცილებლად უნდა თქვას თავისი სიტყვა. ძალიან ბევრი პრობლემაა ჩვენ წინაშე. რამდენიმეზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას. მე მქონდა პატივი შევხვედროდი ახალგაზრდებს, ნიკოლაძის 5-ში, „დივანში“, დღევანდელი შეხვედრაც პატივია ჩემთვის, და ყველა ამ შეხვედრაზე გამოითქმებოდა საყვედური იმის გამო, რომ პროცესები არ იყო გამჭვირვალე. ბაგრატის ტაძარი იქნებოდა თუ თბილისის უბნების მშენებლობა, არ ყოფილა შეთანხმება არც სპეციალისტებთან, არც ხალხთან. როდესაც ფაქტის წინაშე დგებოდა ადამიანი, შესაძლოა პროექტი თავისთავად არც ყოფილიყო ცუდი,

მაგრამ დაძაბულ ვითარებაში მაინც ცუდ როლს თამაშობდა. შეიძლება, სხვა ადგილას უკეთესი ყოფილიყო რომელიმე ნაგებობა ან ხიდი, მაგრამ ეს ყველაფერი არ ხდებოდა იმისათვის, რომ უფრო გაგვეგო ერთმანეთისთვის, პირიქით, გვაშორიშორებდა ასეთი ქმედება.

გპირდებით, რომ მეტი მრგვალი მაგიდა მოეწყობა, მეტი კონფერენცია იქნება. ნოემბრის ბოლოსთვის აუცილებლად გავმართავთ მრგვალ მაგიდას კულტურული ძეგლების დაცვასთან დაკავშირებით. რამდენიმე დღის წინ მივიღეთ არასამთავრობო ორგანიზაციების წერილი, რომელშიც გვწერდნენ, რომ 1999 წლიდან არცერთი განაცხადი არ ყოფილა „იუნესკოში“ შესული რომელიმე ძეგლის დაცვასთან დაკავშირებით. წერილში იმაზეც იყო საუბარი, რომ არ ეკითხებიან ადამიანებს, რომელი პროექტი სად და როგორ ხორციელდება. იმისათვის, რომ მუშაობა უფრო გამართული იყოს, შეიქმნება კომისიები, შეიძლება საბჭო ვუწოდოთ, და დღესვე მინდა ვთხოვო რამდენიმე ადამიანს ამ საბჭოში მონაწილეობა. იქნებიან კულტურის სამინისტროს თანამშრომლები და არა მარტო გულშემატკივარი, არამედ საქმის მცოდნე ადამიანები. ჩამოვწერთ ჩვენს წესებს და შემდეგ ჩამოვაყალიბებთ საბჭოებს სხვადასხვა მიმართულებით, რათა ყველამ მივიღოთ მონაწილეობა. მაგალითად, გვყავს ათი თანამედროვე კარგი მხატვარი, მაგრამ გვაქვს საშუალება სამი მათგანი დავაფინანსოთ. ეს საკითხი ამ საბჭომ უნდა გადაწყვიტოს, რომელშიც იქნებიან სხვადასხვა გემოვნების და ასაკის ადამიანები.

ჩვენს მუშაობას მინდა მეტი გამჭვირვალობა მივანიჭოთ. გამჭვირვალობა იქნება ფინანსებთან დაკავშირებით. აქ ითქვა დიდ პროექტებზე, წელს არის საშიშროება, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ არ დააკლდეს თანხა და პირიქით, გავზარდოთ. როდესაც აფინანსებ კულტურას და ხელოვნებას, ამით ყველაფერს აფინანსებ. შეიძლება ასე ვთქვათ, მეტი კულტურა ჩვენს ცხოვრებაში და ნაკლები პოლიტიკა. ყველანი გადაგვღალა ამ გადახურებულმა სივრცემ, დავაკლდით ერთმანეთს. ასეთი ინტერესი კულტურის სამინისტროს მუშაობის მიმართ ალბათ იმითაც არის განპირობებული, რომ ადრე ბევრს არ ჰქონდა აზრის გამოთქმის და ქვეყანაში მიმდინარე დიდ თუ მცირე პროექტებში თანამონაწილეობის საშუალება. ისევე როგორც ძალიან ბევრ ადამიანს არ ჰქონდა შეგრძნება, რომ ის აშენებს ქვეყანას, მასაც მოაქვს ერთი თუ ორი აგური. ამიტომ ყველანი ვიქნებით მონაწილენი.

პერიოდულად მზად ვართ ანგარიში ჩავაბაროთ საზოგადოებას, რა და როგორ გავაკეთეთ და თუ რაიმე ვერ გამოგვივიდა, რა იყო ამის მიზეზი და როგორ შეგვიძლია გამოვასწოროთ. ყველაფერი მოხდება თქვენს თვალწინ, ჩვენ ვართ ის საზოგადოება, სადაც მრავალეროვნული კულტურაა და ყოველთვის ვამაყობდით ამ ურთიერთობებით. ჩვენს დიად კულტურას კი, რა თქმა უნდა, ვითანამგზავრებთ კონფლიქტების დარეგულირებაში, ადამიანთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესებაში. ამიტომ ვამბობ, ასი ტანკით ნაკლები და ასი კონცერტით, ასი ფილმით მეტი და ა.შ.

თითქოს ყველა საქმეს ადვილად ვძლევთ, მაგრამ გვაქვს ერთი რთული მომენტი და ის ადამიანთა ურთიერთობებს ეხება. გვაქვს ორგანიზაციები, სადაც ვერ არის დალაგებული ურთიერთობები. ისეთ ცნობილ ორგანიზაციაში, როგორიც არის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, ამდენ ხანს ორხელისუფლებიანობა იყო, ახლა, როგორც მეუბნებიან, გადაწყდა ეს საკითხი. კონკურენციის შეგრძნება ყველა ქვეყანაში არის, არიან ადამიანები, რომლებსაც ერთმანეთი არ უყვართ ან არ მოსწონთ სხვადასხვა მიზეზის გამო, მაგრამ არის კანონმდებლობა, რომელიც აწესრიგებს ყველაფერ ამას. თუ სახელმწიფო დარბაზი არსებობს, იქ სხვადასხვა სიმფონიურ ორკესტრს შეუძლია კონცერტის ჩატარება. ამას კანონი უნდა აწესრიგებდეს. ამიტომ, პარალელურად ვიწყებთ მუშაობას იმ კანონებზე, რომლებიც უნდა შეიცვალოს გინდა განათლების და გინდა კულტურის სფეროში. იმედი მაქვს, თქვენი დახმარებით შევიმუშავებთ მათ და ამაში დაგვეხმარება ახლადარჩეული პარლამენტიც. სიამოვნებით ვუპასუხებ თქვენს შეკითხვებს.

ნინი სანადირაძე – კულტურა ღირებულებათა სისტემაა და კულტურის პოლიტიკაც სახელმწიფო პოლიტიკასთან პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს. ის დაკავშირებულია საგანმანათლებლო პოლიტიკასთანაც. ღირებულებათა სისტემა, როგორც კულტურა, ის სფეროა, რომელიც შედგება უამრავი სხვადასხვა მიმართულებისგან, და კულტურის სფერო თავისი კულტურის პოლიტიკით ძალიან მჭიდრო კავშირშია საგადასახადო სისტემასთან, კანონმდებლობასთან, სპონსორობის ინსტიტუტის შექმნასთან და შეღავათებთან ბიზნესში, წახალისებების სისტემასთან. კულტურისა და ბიზნესის სფერო თანამედროვე სამყაროში მჭიდროდ არის გადაჯაჭვული.

როდესაც ლაპარაკია იმაზე, რომ კულტურის სფერო არ არის კომერციულად საინტერესო, და ეს აზრი გაბატონებულია საქართველოში, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ დასავლეთში შოუბიზნესი ყველაზე მძლავრად განვითარებადი ინსტიტუტია.

ჩვენთან, გარდა იმისა, რომ არ არსებობს სხვადასხვა ტიპის წახალისებები საკანონმდებლო სფეროში, ვეთანხმები წინა გამომსვლელებს ეკონომიკის სამინისტროსთან დაკავშირებით, მაგრამ ეკონომიკის კრიტერიუმები, რომ ბაზარზე იზრდება მოთხოვნა და იზრდება მიწოდებაც, კულტურაში, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არ გამოგვადგება და ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს, ვინც ამ მიმართულებით იმუშავებს.

თეონა ჯაყელი, კულტურის კვლევისა და კოორდინირების ცენტრის დამფუძნებელი; ეროვნული მუზეუმის პროექტების მენეჯერი – მინდა შევეხო კულტურის და მედიის საკითხს. რა თქმა უნდა, კულტურის პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი სეგმენტი უნდა იყოს მედია. იმიტომ რომ მისი მეშვეობით ხდება კულტურის პოლიტიკის პროპაგანდა. ბუნებრივია, ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში მისაღები იქნებოდა კულტურის არხი, ჰოლდინგი, მაგრამ როდესაც საქართველოს დღეს არ აქვს ეკონომიკური რესურსი, მხოლოდ იმის მოთხოვნა შეგვიძლია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერის თუნდაც მეოთხედი მოვითხოვოთ კულტურისთვის.

ბატონ გურამთან მაქვს შეკითხვა. როგორც ჩემთვის ცნობილია, კულტურის პოლიტიკის შესამუშავებლად საბჭოები შეიქმნება. რამდენად გვექნება მათთან წვდომა იმ ადამიანებს, რომლებსაც რაღაც პერიოდში გვქონდა ამ თემაზე მუშაობის გამოცდილება?

თამარ ამაშუკელი, ხელოვნებათმცოდნე – კულტურულ მემკვიდრეობაში დღეს ინსტიტუციური ქაოსი გვაქვს. შექმნილია სააგენტო, რომელსაც რაღაცები ეხება და რაღაცები – არა. რაღაცები ეხება თბილისის მერიას, მაგრამ ვის ეხება ბათუმის და თელავის ურბანული ნაწილი, უცნობია. ფიქრობთ თუ არა, რომ ძეგლთა დაცვა, როგორც ადრე იყო, განახლდეს, სააგენტო გამოეყოს სამინისტროს და ჩამოყალიბდეს ცალკე ორგანოდ, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს მთელ კულტურულ მემკვიდრეობას?

ბრძანეთ, რომ არსებული პრობლემები ადვილად შეიძლება გადაწყდეს, პრობლემა, რომლის წინაშეც დღეს კულტურული მემკვიდრეობის სფერო დგას, კულტურის სამინისტროს არ ეხება. ის მთლიანად ეხება თბილისის მერიას. საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებამდე, ვიდრე ახალ ინსტიტუციურ რგოლს მოიფიქრებდეთ, ვდგავართ ფაქტის წინაშე, რომ მიმდინარეობს გუდიაშვილის მოედნის გარშემო არსებული შენობების ნგრევა, იმელის უკან აშენებენ 135-მეტრიან შენობას, მიმდინარეობს მშენებლობა რიყეზე. ხორციელდება რამდენიმე ძალიან ოდიოზური პროექტი. ჩვენ შევიმუშავეთ წერილი, რომელიც შემოვა როგორც სამინისტროში, ასევე გაეგზავნება პრემიერმინისტრს, ვინაიდან გაირკვა, რომ მხოლოდ მას აქვს მშენებლობების შეჩერების უფლება. მაინტერესებს, გვიშუამდგომლებთ და დაგვეხმარებით თუ არა ომში თბილისის მერიასთან. ასევე მაინტერესებს, რამდენად გვექნება წვდომა იმ საბჭოსთან, რომელსაც ალბათ შექმნით კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართებით.

მაია შენგელია, თეატრის რეჟისორი – ბატონო გურამ, არ შემიძლია არ შევეხო თქვენ მიერ წარმოთქმულ ერთ ფრაზას, რომელიც ერთი მხრივ ძალიან მისასალმებელია, მაგრამ არის ერთი დეტალი, რომელიც არ შემიძლია არ გამოვყო. ბრძანეთ, რომ არ ყოფთ ხელოვანებს თაობებად და მივესალმები ამას, მაგრამ უნდა აღვნიშნო 90-იანელების პრობლემა, ადამიანებისა, რომლებიც ასპარეზზე გამოვიდნენ 90-იან წლებსა და 2000-იანი წლების დასაწყისში. ეს არის ომების, უშუქობის, უგაზობის პერიოდი. ეს თაობა წინა ხელისუფლებამ ამოჭრა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. რა ეშველება ამ ხალხს, განსაკუთრებით კინოსა და თეატრში?

რაც შეეხება მართვას და მენეჯმენტს, ეს ისეთი საკითხებია, რომლის მოუგვარებლადაც წინსვლა შეუძლებელია. კანონებზე უნდა ვთქვა, რომ თეატრის შესახებ კანონი კრიტიკას ვერ უძლებს. არ ვიცი რატომ გამოითქვა პრეტენზიები მეცენატობის შესახებ კანონთან დაკავშირებით. მესმის, რომ ყველგან შეიძლება იყოს მაქინაციები, მაგრამ მგლის გამო შეიძლება ცხვარი გაწყდეს?

მარიამ მანჯგალაძე, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე – მაინტერესებს, იქნება თუ არა კულტურის სამინისტროს სტრატეგი-

ის ნაწილი ქართული ენის შეტანა არამატერიალური კულტურის ძეგლთა ნუსხაში. თუ აპირებთ ამ მიმართულებით მუშაობას.

მარიამ თათარაშვილი, რუსთავის სამუსიკო სკოლის პედაგოგი – მინდა შევეხო განათლების საკითხს კულტურის სფეროში. რუსთავში არის ოთხი სამუსიკო სკოლა და ერთი მუსიკალური სასწავლებელი. ის ოთხი სამუსიკო სკოლა ქალაქის დაარსებიდან ფუნქციონირებს, მაგრამ დღეს სავალალო მდგომარეობაშია. მაინტერესებს, ხომ არ დგას განათლების სფეროს პედაგოგებთან ჩვენი გათანაბრების საკითხი.

ჩვენს სასწავლებელში უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე სკოლაში, რადგანაც ის კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, მაგრამ შეზღუდულია მოსწავლეთა რაოდენობა. ეს პრობლემას წარმოადგენს შემდგომ უკვე კონსერვატორიისთვის. იმის გამო, რომ ჩვენთან შეზღუდულია ბავშვების ასაკი, კონსერვატორიაში საფორტეპიანო და სავიოლინო განყოფილებაზე წელს საერთოდ არ ყოფილა მიღება.

გიორგი კალატოზიშვილი, კინომცოდნე, ჟურნალისტი – განათლების კუთხით, თეორიას ვგულისხმობ, ძალიან ცუდი მდგომარეობა იყო და დღესაც ასეა, თეატრალურ უნივერსიტეტში. ლიტერატურა ფაქტობრივად არ არსებობს. თუკი ახალგაზრდა თაობის განათლებაზე ვსაუბრობთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ მიმართულებასაც. საქართველოში საბჭოთა პერიოდში ოთხმოცამდე კინოთეატრი არსებობდა. რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ მუნიციპალური კინოთეატრების შექმნა?

ნინა გუნია-კუზნეცოვა, ევროპის საბჭოს კულტურის პოლიტიკის ექსპერტი – ჩემი შეკითხვა მედიის წარმომადგენლებს ეხება. ფასილიტატორით მინდა დავიწყო. მაინტერესებს, მედიისა და კულტურის პოლიტიკის მიმართებით, გრძნობენ თუ არა ჩვენი პატივცემული გამომსვლელები პასუხისმგებლობას, რადგან სამივენი ბოლო წლების განმავლობაში სწორედ ამ საკითხებზე მუშაობდნენ.

მეორე კითხვა ბატონ გურამს ეხება. მაინტერესებს კრიტერიუმების მეთოდოლოგია კადრების შერჩევისას და ბორდების ჩამოყალიბების პროცესში, რა პრინციპით შეირჩევიან ეს ადამიანები.

მესამე კითხვა კულტურული მემკვიდრეობის დაფინანსების წყაროებს ეხება. შარშანდელი კვლევის მონაცემების თანახმად, ცნობილი გახდა, რომ „ქართუ“ ჯგუფი საკმაოდ დიდი თანხებით აფინანსებდა კულტურის სხვადასხვა დარგებს. შედარებითი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ 2005 წლიდან, ყოველწლიურად „ქართუ“ ჯგუფის დაფინანსების წილი იზრდებოდა 2008 წლამდე. 2008 წელს კი უკვე 78% იყო, იმ დროს, როდესაც 22% იყო მთლიანად კულტურის სამინისტროს ბიუჯეტი. მაინტერესებს, იმ ფონზე, როდესაც სამინისტროს 30% ბიუჯეტისა ეჭრება, როგორ უნდა ამოავსოთ ეს დისბალანსი და როგორ აპირებთ ახალი წყაროების მოძიებას. იმიტომ რომ არსებული წყაროები არასაკმარისი იქნება და ალბათ არაკორექტულიც იქნება მათი ამგვარი გამოყენება.

ნანა ყიფიანი, ხელოვნების ისტორიკოსი – რა თანმიმდევრობით, რა სტრატეგიაზე დაყრდნობით აპირებთ მუშაობას, და როდის იწყებთ კულტურის სტრატეგიაზე მუშაობას, იმიტომ რომ შემდეგ ეს გაჩვენებთ, რომელი დარგებია პრიორიტეტული და რას უნდა მიაქციოთ ყურადღება. კულტურის სტრატეგიის გარეშე ძალიან ძნელი იქნება განათლებაში ცვლილებების შეტანა. ამ დროს, ალბათ არის შეტანილი და თან ძალიან სერიოზული, ხომ?

2004 წლიდან ქართული თანამედროვე ხელოვნება მონაწილეობს ვენეციის ბიენალეში. ახლა ვდგავართ იმ საფრთხის წინაშე, რომ წელს შეიძლება ეს ჩაიშალოს. არადა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. როგორ კეთდებოდა და ვინ მონაწილეობდა, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ იმისათვის, რომ ეს წელი არ ჩავარდეს, ამაზე ხვალიდანვე უნდა დაიწყოთ სერიოზულად ფიქრი.

გურამ ოდიშარია – დაისვა კითხვა, რამდენად გექნებათ წვდომა და შესაძლებლობა, გახდეთ იმ საბჭოების წევრები. რა თქმა უნდა, წვდომა ალბათ ექნება ყველა ჯგუფს. შეიძლება, ძალიან დიდი კომისია ვერ შეიქმნას, მაგრამ ამ კომისიაში რამდენიმე პროფესიონალის დელეგირება მოხდეს. თქვენთან ერთად, ათ-თხუთმეტ ადამიანთან ერთად, შევარჩევთ მათ ვინაობას, თუ ვინ უნდა იყვნენ ეს ადამიანები. ამასწინათ რატი ამაღლობელი იყო მოსული, ხვალ გიორგი შენგელაიას ველოდებით, ის სხვა თაობის კაცია, ვისაუბრებთ.

ვფიქრობ თუ არა, რომ განახლდეს ძეგლთა დაცვა და გუდიაშვილის მოედნის თემა? მოვაწყობთ მრგვალ მაგიდას. შევეცდებით მერიის წარმომადგენლებიც მოვიწვიოთ. ერთად ვიმსჯელებთ ამ თემაზე. საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე შესაძლებელია მოვამზადოთ განკარგულების პროექტი და მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე შევთავაზოთ პრემიერს და სხვებს. მაგრამ უფლებამოსილება მერიასა და კულტურის სამინისტროს შორის რაღაცნაირად უნდა დადგინდეს. კულტურის სამინისტროს აქვს ძეგლთა დაცვა, მაგრამ ვერანაირად ვერ ვეხმარებით თბილისის ძეგლებს. მერიამ შეიძლება ყველასთან შეუთანხმებელი გადაწყვეტილება მიიღოს, რაც გახდება ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ გაუბედურდეს ქალაქი.

მე შესაძლებლად მიმაჩნია ისეთი ტელეარხის არსებობა, როგორიც არის „კულტურა“. როდესაც ევროპაში ვიმყოფები, ყოველთვის ვაკვირდები მათ სატელევიზიო გადაცემებს. უნდა გამოვიყენოთ არსებული რესურსები. საბჭოს ერთ-ერთი გზავნილი ეს თემაც იქნება. თუ საჭირო იქნება ფულის ჩადება ამ საქმეში, ამისთვის მზად ვიქნებით. ეს ეხება კრიტიკული ჟურნალის გამოცემასაც. ქალბატონს ვეთანხმები, ბოლო წლებმა ყველა თაობა დააზიანა. როდესაც შევარდნაძის თაობას გაუჭირდა პოლიტიკური ცხოვრებიდან გასვლა, შვილიშვილების თაობა იძულებული გახდა გაეძევებინა ისინი, მაგრამ მამების თაობაც მიაყოლეს. გამოცდილების არქონის გამო მათ ბევრ რამეში იჩქარეს. ბევრი ფული დაიხარჯა სხვადასხვა პროექტზე. რამდენიმე საათით ჩამოსული ბოჩელის კონცერტზე ორმილიონ-ნახევრის დახარჯვა საზოგადოებას ალბათ არ მოეწონება, იმიტომ რომ ამ თანხით ბევრი პროექტის განხორციელება შეიძლება. ამისთანა ხარჯს არ გავწევდით ამ მიმართულებით და მივმართავდით მას სხვა მიმართულებით. ბოჩელი და სტინგი ევროპაშიც ჩადიან, მაგრამ ჩვენზე ბევრად უფრო ძლიერი ქვეყნები თავს არ აძლევს იმის უფლებას, რომ ბიუჯეტის ფულით გადაუხადოს ამ ხალხს ჰონორარი. მათ კონცერტებზე ხალხი ყიდულობს ბილეთებს, ასე რომ, ეს მიდგომა აუცილებლად შეიცვლება. ბევრი დაჩაგრული თაობა გვყავს და რომელიმეს გამოყოფა გამიჭირდება. პრიორიტეტი იქნება ნიჭი.

ერთი კვირა ვიყავი პარლამენტის წევრი და ვთქვი, რომ აუცილებლად უნდა დავიწყოთ მუშაობა მეცენატობის კანონთან დაკავშირებით. ეს კულტურის განვითარებას შეუწყობს ხელს. საზღვარგარეთის ქვეყნებში, სადაც ეს კანონი ამუშავდა, კულტურამ ყველგან იხეირა.

ვფიქრობთ, თქვენთან ერთად მოვიძიოთ გრანტები იმისათვის, რომ შევძლოთ იმ პროექტების სწრაფი დაფინანსება, რომლებიც დაეხმარება ჩვენს კულტურას და ხელოვნებას. ვესაუბრე კინოცენტრის ხელმძღვანელს, რომელმაც ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. „ევრიმაჟის“ წევრობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ვფიქრობთ, რომ მასთან ერთად ბევრი კარგი რამის გაკეთება შეგვიძლია. მაგრამ, ამავე დროს, ამ თემაზე ყველა განსხვავებული აზრი უნდა მოვისმინოთ. იმიტომ რომ საწინააღმდეგო აზრების მიუღებლობამ ძალიან დაგვაზიანა.

სახელოვნებო განათლება მართლაც ჩვენი ერთ-ერთი სუსტი მხარეა. ჩამოყალიბდა კომისია, რომელიც მუშაობს რეფორმებზე, და ეს რეფორმული ცვლილებები ჩვენც გვინდა განვახორციელოთ, ოღონდ 2013 წლიდან. ყველაფერს კარგად გათვლილი კანონი დაარეგულირებს.

თეატრებთან დაკავშირებით – გავიგე, რომ რუსთავის თეატრი, ისევე როგორც ბევრი სხვა დაწესებულება, შპს-დ არის გადაქცეული, გამოიყენებს სახელმწიფო ქონებას და მერიას შეუძლია როგორც დანიშნოს, ისე გაათავისუფლოს მისი ხელმძღვანელი. ასე რომ, ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია გარდა იმისა, რასაც აქამდეც აკეთებდა კულტურის სამინისტრო. ის თითო სპექტაკლს უფინანსებდა ასეთ თეტრებს. ჩემი პირველივე დღეები ამ თანამდებობაზე იმით დაიწყო, რომ რამდენიმე თეატრში იყო გაუგებრობა, მაგრამ მე მგონი თანდათან ჩავაქრობთ ამ ცხელ წერტილებს. ყველას გვჭირდება მომლაპარაკებლის ნიჭი.

სამუსიკო სკოლები ასევე ჩვენი ერთ-ერთი დიდი პრობლემაა. ჩემს ახალგაზრდობაში არსებობდა ტექნიკუმები, რომლებიც სამუსიკო სკოლასა და კონსერვატორიას შორის ხიდივით იყო, მაგრამ ეს რგოლი აღარ არსებობს. თუ სპეციალურ მომზადებას არ გაივლის ახალგაზრდა მუსიკოსი, ის ვეღარ შეძლებს კონსერვატორიაში ჩაბარებას. ჩვენთან არსებობს ნიჭიერთა ათწლედი, რომელიც არის ერთადერთი ორგანიზაცია, სადაც შეუძლია ახალგაზრდას ისწავლოს და შემდეგ კონსერვატორიაში უფრო თამამად მოხვდეს. მაგრამ ნიჭიერთა ათწლედს ადრე საცხოვრებელი ჰქონდა, სადაც რეგიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდები ცხოვრობდნენ. ამის საშუალება ახლა აღარ გვაქვს.

ადრე ოთხმოცამდე კინოთეატრი არსებობდა. ახლა თბილისში არის ორი დიდი კინოთეატრი, კინოთეატრი „საქართველო“ და ერთიც გლდანში, თუ არ

ვცდები. გასაგებია, ესეც არ მუშაობს. ერთიც ბათუმშია. მე ძველი კინოს მოყვარული ვარ. საქართველოს ქალაქებში არსად არ არის, მაგრამ დღეს სხვა საშუალება გვაქვს. ციფრული აპარატით შეიძლება ჩვენება. ჩემი ინფორმაციით, ოცდაათამდე კინოთეატრის აღდგენა ადვილი შესაძლებელია. ჯობია, ისინი სახელმწიფოს ეგიდის ქვეშ იყოს ან ქალაქმა მოუაროს თავის კინოთეატრს, იმიტომ რომ კინომესაკუთრეს ათასნაირად შეუძლია გაზარდოს ბილეთების საფასური, რეგიონებში კი ძალიან გვიჭირს. ეს კინოთეატრები შესაძლებელია დისკუსიებისთვის გამოიყენო, შეიძლება გაიმართოს ფილმებზე საუბარი ჩვენს კინომცოდნეებთან ერთად.

როგორ შევარჩევთ კადრებს? ჯერ მინდა რამდენიმე ადამიანთან ერთად შევიკრიბოთ და მოვილაპარაკოთ იმ სისტემაზე, თუ როგორ შევარჩიოთ ბორდების წევრები. ეს თქვენთვის, რა თქმა უნდა, გახდება ცნობილი.

რაც შეეხება „ქართუს“, ის კერძო ჯგუფია და ამიტომ ძალიან გამიჭირდება ახლა მასზე საუბარი, მაგრამ თუ ამდენს გვეხმარებოდნენ, ალბათ კიდევ დაგვეხმარებიან. აქ სახელმწიფოზეა საუბარი. მუდმივად ერთი და იგივე ჯგუფი ხომ ვერ დაგეხმარება. მთავარია, როგორ დავლაგდებით და როგორ მოვიზიდავთ. გვაქვს გეგმა, რომელიც ჯერ არ მინდა გავაჟღერო.

ყველანაირად შევეცდებით, პროფესიონალი ხელოვანები დაბრუნდნენ საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ბევრი მათგანი, ვინც საქართველოდან წავიდა, შემდეგ თვითონ გახდა მეცენატი და სხვებს ეხმარება. ოპერაში ბევრი ასეთი მაგალითი გვაქვს. ხელოვანებს პირობები უნდა შევუქმნათ, რომ დაბრუნდნენ.

მარინე მიზანდარი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე – გეთანხმებით, კულტურა უპირველესად ფასეულობათა ერთობლიობაა. იმაშიც დაგეთანხმებით, რომ უკეთეს შედეგს მივიღებთ, თუ ქალაქის, უბნის მოსახლეობას ჩავრთავთ იმ პროექტის განხილვაში, რომლის განხორციელებასაც ვაპირებთ. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები იქნება განსახორციელებელი. მნიშვნელოვანი იქნება დამოკიდებულების გარკვევა იმ უწყებებს შორის, რომლებიც ექვემდებარება სამინისტროს ან მის ირგვლივ ტრიალებს. უნდა გაირკვეს, ვის რა ფუნქცია და პასუხისმგებლობა აკისრია. ვიღებ შენიშვნას ხელოვნებათმცოდ-

ნეებთან დაკავშირებით. ჩვენ ნამდვილად გვაკლდა სამოქალაქო პოზიცია. კულტურული ორგანიზაციების პირველი მოვალეობა მაინც სამოქალაქო პოზიციების დაცვა უნდა იყოს.

რაც მთავარია, კულტურის პოლიტიკის შემუშავებაზე უნდა დავიწყოთ მუშაობა, ეს არის მთავარი და ყველაფრის განმსაზღვრელი. დღეს შევეცადე მომეპოვებინა კანონმდებლობა, რომლითაც რეგულირდება დღევანდელი საქმიანობა საქართველოში კულტურის სფეროში. ეს არის „საქართველოს კანონი კულტურის შესახებ“, რომელიც 1997 წლით თარიღდება და ძალიან მოძველებულია. ეს ეხება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კანონსაც. ესეც უნდა იყოს ნაწილი კულტურის პოლიტიკისა, რომელიც, ცხადად უნდა ვთქვათ, რომ არ არსებობს და რომლის შესამუშავებლადაც დაგვჭირდება ყველა ხელოვანის თუ ხელოვნებათმცოდნის, ამ სფეროში მოღვაწე ყველა გამოცდილი ადამიანის დახმარება.

ძალაუფლება და თავისუფლება

მოქალაქის როლი პოლიტიკაში – რას ნიშნავს სამოქალაქო აქტივიზმი

მომხსენებლები:

ზაალ ანდრონიკაშვილი
ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ბერლინის ლიტერატურისა და კულტურის შესწავლის
ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი

გია ნოდია
მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური
ინსტიტუტის თავმჯდომარე

თამარ გურჩიანი
იურისტი

მოდერატორი:

ნინო რობაქიძე

22 მარტი, 2012

ნინო რობაქიძე – დღეს ძალიან საინტერესო დისკუსია იქნება, იმიტომ რომ, ერთი მხრივ, თემა, რომელიც შევარჩიეთ, ძალიან აქტუალურია, მეორე მხრივ, ძალიან საინტერესო მომხსენებლები გვყავს.

დისკუსიის თემა გახლავთ „მოქალაქის როლი პოლიტიკაში – რას ნიშნავს სამოქალაქო აქტივიზმი". რა შეუძლია აქტიურ მოქალაქეს და რა ადგილი აქვს მოქალაქეს პოლიტიკურ სივრცეში. რა გამოწვევები დგას სამოქალაქო აქტივიზმის წინაშე – ამ თემებზე ვისაუბრებთ.

ზაალ ანდრონიკაშვილი – მსურს ჩემი წარმოდგენების შესახებ მოგიყვეთ, თუ რა მგონია სამოქალაქო აქტივიზმი და რატომ მგონია, რომ ეს თემა დღეს მნიშვნელოვანია. სახელმწიფოს მოქალაქეები ვართ. ჩვენ ვადგენთ, როგორი უნდა იყოს სახელმწიფო ან რა ოდენობის გადასახადებს გადავიხდით, როგორ დავაფინანსებთ, მაგალითად, კულტურას, განათლებას, ჯანდაცვასა თუ თავდაცვას. მაგრამ, ამას პირდაპირ ვერ ვაკეთებთ. ჩვენ ვართ წარმომადგენლობითი დემოკრატია და ამას ვაკეთებთ ჩვენი წარმომადგენლების მეშვეობით, რომლებმაც ჩვენი წარმოდგენები კანონების ენაზე უნდა გადათარგმნონ. სწორედ აქ იქმნება პრობლემები.

საქართველოში, ჩემი აზრით, სამი ძირითადი ტიპის პრობლემაა. პირველი – ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ თავისუფალ არჩევნებს. არცერთი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში ბოლომდე თავისუფალი არ ყოფილა და იმედია, რომ მომავალში იქნება. ვერ ვახერხებთ არჩევანის თავისუფლად გამოხატვას და, შესაბამისად, იმ ხალხის არჩევას, რომელიც ჩვენს ინტერესებს გამოხატავს.

მორე პრობლემა ისაა, რომ პოლიტიკური პარტიები საქართველოში შეიქმნა არა როგორც მოსახლეობის, მოქალაქეთა ინტერესების წარმომადგენელი კორპორაციები, არამედ შეიქმნა უჰაერო სივრცეში, ანუ, შეიძლებოდა შექმნილიყო ერთი ადამიანის, პოპულარული ადამიანის გარშემო, ყოფილი სამთავრობო პარტიების გარშემო და ა.შ. ეს იყო პარტიები, რომლებიც თავისი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ისე, რომ უშუალო შეხება ამომრჩევლის ინტერესებთან არ ჰქონიათ. იყო და დღესაც არის ძალიან დიდი აცდენა მოქალაქეთა ინტერესებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის.

მესამე პრობლემა, რომელიც დამახასიათებელია მთელი მსოფლიოსთვის, იმაში მდგომარეობს, რომ პოლიტიკური ცხოვრება მონოპოლიზებული აქვთ

მთლიანად პოლიტიკურ პარტიებს. თუ გსურს პოლიტიკურად აქტიური იყო, მეტ-ნაკლებად ერთადერთი არხი, რომელიც გრჩება როგორც მოქალაქეს, არის შეუერთდე რომელიმე პოლიტიკურ პარტიას და მის შიგნით შეეცადო შენი წარმოდგენების და ინტერესების განხორციელებას. ეს იმას ნიშნავს, რომ მოქალაქეების ძალიან დიდი რაოდენობა პოლიტიკის მიღმა რჩება. როგორ შეიძლება ვიმოქმედოთ ამ შემთხვევაში რიგითმა მოქალაქეებმა, რომლებსაც არ გვინდა პარტიული პოლიტიკური გზით სიარული, არ გვინდა გაწევრიანება არცერთ პოლიტიკურ პარტიაში, იმიტომ რომ, საკუთარ თავზე მოგახსენებთ, არცერთი მათგანი არ გამოხატავს ბოლომდე ჩვენს ინტერესებს. და რომელთანაც შევძლებდით საკუთარი თავის იდენტიფიკაციას იმდენად, რომ ამ პარტიის შიგნით შესაძლებლად მივიჩნევდით რაღაცის კეთებას. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი პრობლემა საქართველოში ძალიან ბევრ ადამიანს აქვს.

როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ არ გვსურს ვიყოთ რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი? მგონი, აქ არის რამდენიმე ნიშა. აქ არ არის საუბარი მაინცდამაინც დიდ პოლიტიკურ პრობლემებზე. ალბათ, თითოეულ თქვენგანს აქვს რაღაც საკითხი, რომელიც განსაკუთრებით აღელვებს და სტკივა. მაგალითად, თუნდაც ის, რომ თბილისში არ არის ადგილი, სადაც წაიყვანდი ბავშვს გასასეირნებლად. არცერთი პოლიტიკური პარტია ამ საკითხით არ ინტერესდება. ერთადერთ გზად რჩება, შეიკრიბოს ხალხი, რომელსაც ეს საკითხი აღელვებს და სამოქალაქო ინიციატივა გამოიჩინოს. სხვა მაგალითების დასახელებაც შეიძლება. გუდიაშვილის სკვერის ისტორია ყველას მოგეხსენებათ. არის თბილისში ჯგუფი ადამიანებისა, რომელსაც უნდა, რომ ამ ქალაქს შეუნარჩუნდეს თავისი ტრადიციული იერსახე და თბილისმა არ დაკარგოს ხიბლი. მათ აქვთ საკუთარი წარმოდგენა, როგორი უნდა იყოს თბილისი და არ აქვთ საკუთარი წარმოდგენების პოლიტიკური არხებით არტიკულირების საშუალება. იმიტომ რომ არცერთი პოლიტიკური პარტია ამ საკითხებით დიდად არ ინტერესდება და ერთადერთი გზა, რომელიც რჩება, სამოქალაქო ინიციატივებია. ასეთი სამოქალაქო ინიციატივები შეიძლება იყოს სპონტანური, როგორც გუდიაშვილის სკვერის ან კიკვიძის ბაღის შემთხვევაში და შეიძლება იყოს პერმანენტული, მაგალითად, როდესაც ეხება უმცირესობების დაცვას, საკითხებს, რომლებიც არ არის ერთჯერადი, არ ამოიწურება ერთი კონკრეტული შემთხვევით და რომელთა გადაწყვეტასაც დიდი დრო სჭირდება. მოქალაქეების ამგვარი

პერმანენტული გაერთიანება ასევე არის იმის საშუალება, რომ მათ პოლიტიკური პარტიების მიღმა შეძლონ საკუთარი ინტერესების გამოხატვა.

მესამე საშუალება, რომელიც უერთდება პოლიტიკური პარტიების ხაზს, არის ასეთი სამოქალაქო ინიციატივების გარშემო პოლიტიკური პარტიების შექმნა. საქართველოში მსგავსი რამ არ მომხდარა 90-იანი წლების მერე, როდესაც შეიქმნა „მწვანეთა პარტია", მაგრამ მან მალევე დაკარგა თავისი პირვანდელი სახე და გაითქვიფა სხვა დიდ ორგანიზაციაში. ასეთი მაგალითები გვაქვს გერმანიაში. გერმანიის მაგალითს იმიტომ ვასახელებ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხები სპეციალურად არ მიკვლევია, გამოცდილება მაქვს იმის სახით, რასაც ყოველდღე ვხედავ – ამჟამად იქ ვცხოვრობ. მაგალითად, იყო გერმანული „მწვანეთა პარტია", რომელიც შეიქმნა როგორც ეკოლოგიური მოძრაობა და შემდგომ შეძლო ჩამოყალიბებულიყო სრულფასოვან პოლიტიკურ მოძრაობად, რომლისთვისაც ეკოლოგია და გარემოს დაცვა დღემდე პრიორიტეტულია, მაგრამ სხვა თემებსაც ეხება. არის სულ ახალი მაგალითი საოცარი წარმატებისა, „მეკობრეთა პარტია". ესენი არიან ინტერნეტაქტივისტები, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისთვის ინტერნეტქსელში. გერმანული კანონმდებლობა ძალიან ხისტია ამ შემთხვევაში და მათ უნდათ, რომ მეტი თავისუფლება ჰქონდეთ, მაგალითად, საავტორო უფლებებით დაცული მასალა ინტერნეტში თავისუფალი იყოს. თუმცა ესენიც გასცდნენ თავიანთ პირვანდელ ინტერესს, ჩამოყალიბდნენ პოლიტიკურ პარტიად და საოცარი წარმატებით შევიდნენ ბერლინის საქალაქო პარლამენტში და შევლენ ფედერალურ პარლამენტშიც. ეს არის იმის მაგალითი, როდესაც მოქალაქეთა გაერთიანებებიდან შეიძლება შეიქმნას რაღაც, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს როგორც ლოკალურ პოლიტიკაზე, ერთი რომელიმე კონკრეტული სოფლის ან ქალაქის მასშტაბით, ასევე, შეიძინოს საქვეყნო მასშტაბიც. ყოველივე ამის წინაპირობაა ის, რომ მოქალაქემ შეიგნოს თავისი თავი ამ ქვეყნის პატრონად, ადამიანად, რომელსაც შეუძლია გაიღოს დრო და ენერგია იმისთვის, რომ რაღაც შეცვალოს თუნდაც მის საკუთარ მიკროგარემოში.

გია ნოდია – სამოქალაქო აქტივიზმის ნება ჩემთვის უკავშირდება ფუნდამენტური პოლიტიკის ფილოსოფიურ ნებას, როგორიც არის სამოქალაქო სიქველე, რომლის შინაარსიც იგივეა, რაზეც ბატონმა ზაალმა ისაუბრა,

რომ მოქალაქემ ქვეყნის პატრონად იგრძნოს თავი. ეს ცენტრალური მორალური ცნებაა დემოკრატიისთვის. მონტესკიე, დემოკრატიული აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენელი, ამბობდა, რომ დემოკრატიის არსი მორალური თვალსაზრისით არის სწორედ სამოქალაქო სიქველე, ის, რომ მოქალაქეები ზრუნავდნენ არა მარტო საკუთარი ოჯახისა და ახლობლებისთვის, არამედ თავის ქვეყანაზე. ეს მონარქიის ქვეშევრდომს არ მოეთხოვება, იმიტომ რომ მონარქიაზე მეფე ზრუნავს. ჩვენს საჯარო სივრცეზე, ჩვენს ქვეყანაზე ყველანი ვზრუნავთ. ამიტომ, სამოქალაქო სიქველე, რომლის გარეგანი გამომჟღავნებაც სამოქალაქო აქტივიზმია, არის არა უბრალოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, არამედ საკვანძო და გადამწყვეტი საკითხი იმისათვის, რომ ქვეყანაში დემოკრატია არსებობდეს. და როდესაც ზოგადად ვლაპარაკობთ, რომ დემოკრატიაში პრობლემები პოლიტიკურ კულტურას უკავშირდება, ალბათ, უპირველესად სწორედ ის უნდა ვიგულისხმოთ, რომ არსებობს გარკვეული პრობლემები და დეფიციტი სწორედ ამ სამოქალაქო სიქველის თვალსაზრისით, რომელიც მჟღავნდება სამოქალაქო აქტივობაში.

მეორე თეზისი არის ის, რომ სამოქალაქო აქტივიზმი პრაქტიკაში ნიშნავს ბევრ სხვადასხვა ტიპის სამოქალაქო აქტივიზმს, რომლებიც ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ეს შეიძლება ტრივიალურად მოგვეჩვენოს, მაგრამ, ჩემი აზრით, საქართველოში ნორმატიული თვალსაზრისით, მართალია ბევრი ადამიანი მიიჩნევს საჭიროდ სამოქალაქო აქტივიზმს, მაგრამ სამოქალაქო აქტივიზმების პლურალიზმის შეწყნარება და გაგება საკმაოდ ჭირს. ანუ, თუ მიმაჩნია, რომ დემოკრატიისთვის კარგია ისეთი საზოგადოება, სადაც ხალხი აქტიურია და მომწონს აქტიური საზოგადოება და არ მომწონს პასიური, მზად უნდა ვიყო იმისთვის, რომ ეს აქტივიზმი ხშირად ისეთი იქნება, როგორიც არ მომეწონება. ანუ, როდესაც ვიღაც გამოდის იმისთვის ან იმის წინააღმდეგ, რომ სომხურ ეკლესიას ჰქონდეს ისეთივე სტატუსი, როგორიც აქვს ქართულ ეკლესიას, ესეც სამოქალაქო აქტივიზმია. გამოსვლა ჰელოუინის აღნიშვნის წინააღმდეგ ასევე სამოქალაქო აქტივიზმია. უნდა ვაღიაროთ, რომ შეიძლება არ მოგვწონდეს სამოქალაქო აქტივიზმის ესა თუ ის კონკრეტული გამოხატულება, მაგრამ კარგია, რომ აქტივიზმია. ამის მიმართ დიალექტიკური დამოკიდებულება უნდა გვქონდეს.

საქართველოში ხშირად წუხან იმის გამო, რომ არა ვართ საკმარისად აქტიურები, ანუ, ყურადღება გადატანილია აქტივიზმის რაოდენობრივ მახასიათებლებზე და ვამბობთ, რომ მეტი აქტივიზმია საჭირო. არ მინდა ვთქვა, რომ ეს ასე არ არის, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არ არის მთავარი. რაღაცებში არ ვართ აქტიურები, თუმცა, რევოლუცია შედარებით ბევრი მოვახდინეთ ამ ოც წელიწადში და არჩევნებზე მისვლის თვალსაზრისითაც, ხშირად, ბევრ განვითარებულ დემოკრატიაზე უფრო კარგი შედეგები გვაქვს. არჩევნებზე წასვლაც სამოქალაქო აქტივობაა, ხომ? მიდიხარ არჩევნებზე, იწუხებ თავს, მაშინ როცა შეგიძლია ითევზაო ან სხვა რამე გააკეთო. მაგრამ, როდესაც ვსაუბრობთ, და ჩემი აზრით სამართლიანად, რომ ამ სფეროში ძალიან გვიჭირს, და ეს სფერო პრინციპულად პრობლემურია ჩვენთვის, უნდა ვილაპარაკოთ სამოქალაქო აქტივიზმის თვისობრივ პრობლემებზე.

ჩვენს სამოქალაქო აქტივობებს ახასიათებს ორი მთავარი თვისება: ნეგატივიზმი, პროტესტი რაღაცის წინააღმდეგ, როდესაც ბევრი ადამიანის თვალში სამოქალაქო აქტივიზმი გაიგივებულია პროტესტის გამოხატვასთან და ემოტივიზმი, ანუ ის, რომ სამოქალაქო აქტივიზმს სჭირდება ემოციური აღმაფრენა. როდესაც გაბრაზებული ხარ, მიდიხარ და ყვირი, მაგრამ, როგორც კი დამშვიდდები, აღარა ხარ აქტიური. შესაბამისად, ხანდახან როდესაც კარგად ვბრაზდებით, კარგადაც ვაქტიურობთ. როგორც კი გადაგვივლის გაბრაზება, ვსხედვართ და ვწუხვართ, რატომ ვართ ასეთი პასიურები. ვეთანხმები ზაალს, მაგრამ, შეიძლება ცოტა უფრო განზოგადებული ენით ვთქვა, ჩემი აზრით, გვჭირდება ამის საპირისპირო. ნიცშე ამბობდა, რომ თავისუფლება არის რაღაცისგან და არის რაღაცისთვის. ეს ნება სამოქალაქო აქტივიზმზე რომ გადმოვიტანოთ, იქნება სამოქალაქო აქტივიზმი რაღაცის წინააღმდეგ და სამოქალაქო აქტივიზმი რაღაცისთვის. ეს არ ნიშნავს იმას, რომ პროტესტს არ გამოხატავ, მაგრამ, როდესაც რაღაცას აპროტესტებ, რაღაცისთვის რომ იბრძვი და რაღაც პოზიტიური ღირებულება და ხედვა რომ გაქვს, როგორ მიაღწიო მიზანს, ამის გამო ებრძვი რაღაცას და არა მარტო იმიტომ, რომ გაღიზიანდი რაღაცის გამო. აი, ეს „აქტივიზმი რაღაცისთვის“ ჩვენში ნაკლებად არის. უფრო გვაქვს „აქტივიზმი რაღაცის წინააღმდეგ“. რაღაცისთვის ბრძოლას ჩვეულებრივ მოსდევს კონკრეტულობა. ზოგადად კარგი ცხოვრებისთვის კი არ იბრძვი, იბრძვი, მაგალითად, იმისთვის, რომ გასასეირნებელი ადგილი

ჰქონდეთ ბავშვებს, ან კონკრეტული დღის წესრიგი გაქვს და მისთვის იბრძვი და არ გაქვს არარეალისტური მოლოდინი, მაგალითად, ასეთი – „ცუდებს რომ გაყრი, მერე ყველაფერი კარგად იქნება“. ამ კონკრეტულობასთან ერთად, საჭიროა თანმიმდევრულობა. არ უნდა ჩავთვალოთ, რომ თუ ერთხელ რაღაც გავაკეთეთ, ამით ყველაფერი გადაწყდება. სამოქალაქო აქტივიზმი ნიშნავს იმის აღიარებას, რომ შენი მიზნები ეჯახება სხვა ადამიანების მიზნებს და არ უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ უცებ მივაღწევთ მიზანს. შეიძლება შენც რაღაც შეგეშალოს და სტრატეგია ან ტაქტიკა შეცვალო, შესაბამისად, სამოქალაქო აქტივიზმი უნდა იყოს სისტემური, თანმიმდევრული და ხანგრძლივი. ეს ნამდვილად გვაკლია. კონკრეტულობას და სისტემურობას მოსდევს ორგანიზებულობა. გვაქვს სამოქალაქო საზოგადოება, მაგრამ, როგორც პარტიები, ისინიც ზევიდან იქმნება. პარტიები იქმნება, როგორც პიროვნებების ან პატარა ჯგუფების ძალაუფლებისთვის სწრაფვის დამხმარე მექანიზმი. სამოქალაქო საზოგადოება შეიქმნა როგორც დონორების ერთგვარი გაგრძელება, დემოკრატიული სამყაროს საცეცები ჩვენს საზოგადოებაში. არ მიმაჩნია, რომ ეს სამარცხვინოა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს არ არის სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუციონალიზაცია, განსხვავებით იმისგან, რაც არის შედარებით განვითარებულ დემოკრატიაში. ჩემი დაკვირვება მაძლევს ფრთხილი ოპტიმიზმის საფუძველს, რომ ნელ-ნელა აქეთკენ, ასეთი ფორმების შექმნისკენ მივდივართ, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია ამ მიმართულებით.

თამარ გურჩიანი – ერთი ამბით დავიწყებ. 2011 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობა შეუერთდა ინიციატივას „პარტნიორობა ღია მმართველობისთვის“. ეს ინიციატივა გულისხმობს იმას, რომ სხვადასხვა ქვეყნები საკუთარ თავზე იღებენ ვალდებულებას და შემდეგ მას გაწერენ სამოქმედო გეგმაში, თუ როგორ გახდნენ უფრო ეფექტურები და ანგარიშვალდებულები, გამჭვირვალეები და როგორ გამოიყენონ ახალი ტექნოლოგიები იმისათვის, რომ უფრო მეტი კომუნიკაცია ჰქონდეთ საკუთარ ხალხთან და უფრო კარგი სერვისი მიაწოდონ საზოგადოებას. თუ ამის შესახებ არაფერი გაგიგიათ და ჩემგან იგებთ პირველად, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი მთავრობა არ ასრულებს თავის მოვალეობას, რომ შექმნას პლატფორმა საიმისოდ, რათა ამ პროცესში ჩაგრთოთ. ჩვენზეა დამოკიდებული პრიორიტეტები, თუ რა ვალდებულებებს

აიღებს მთავრობა შემდეგი ორი წლის განმავლობაში და შემდეგ როგორ შეასრულებს ამ ყველაფერს. მაგრამ, ახლა, ამ ინიციატივაზე საუბარს არ ვაპირებ.

რამდენიმე კვირის წინ საქართველოს მთავრობამ დააგზავნა ინფორმაცია, სადაც წერს, რომ პლატფორმა, რომელიც საჯარო კონსულტაციისთვის უნდა გამოეყენებინა, დააყრდნო უკვე არსებულ პლატფორმას, რომელიც არის უწყებათაშორისი ანტიკორუფციული საბჭო, სადაც მხოლოდ სამინისტროების მაღალი თანამდებობის პირები მონაწილეობენ, მაგრამ ჩართულია სამი არასამთავრობო ორგანიზაცია: „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და „თავისუფლების ინსტიტუტი“. საქართველოს მთავრობა ამ უკანასკნელს მოიხსენიებს, როგორც „ვოჩდოგ“ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც მუდმივ მეთვალყურეობას უწევს სახელმწიფოს გადაწყვეტილებებს. ეს ჩემთვის არ არის მხოლოდ სასაცილო ფაქტი, არ ვარ ადამიანი, რომელსაც უბრალოდ სძულს „თავისუფლების ინსტიტუტი“, რომელიც „ვოჩდოგი“ არასამთავრობო ორგანიზაცია არ არის. პირველი პრობლემა, რასაც მინდა ხაზი გავუსვა, ის არის, რომ სინამდვილეს თვალს არ ვუსწორებთ. ეს ჩვენი კულტურის პრობლემაა. არ ვარქმევთ სახელებს პრობლემებს. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მითები არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებით, როგორც ხედავთ, მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებზე ვაკეთებ აქცენტს, იმიტომ რომ ეს არის ჩემი გამოცდილება, ჯერ კიდევ ცოცხალია. ერთი იმაში მდგომარეობს, რომ რევოლუციამდე სამოქალაქო სექტორი გაცილებით უფრო აქტიური და ძლიერი იყო, არავინ ითვალისწინებს იმას, რომ რევოლუციამდე სახელმწიფო სექტორი გაცილებით სუსტი იყო. და მეორე მითი – სამოქალაქო მოძრაობის, „კმარას“, საქმიანობა გაცილებით უფრო მძლავრი და შედეგიანი იყო, ვიდრე ახლა არსებული, გუდიაშვილის სკვერთან დაკავშირებული თუ სხვა სამოქალაქო მოძრაობებისა. არც ეს შეესაბამება სინამდვილეს იმიტომ, რომ არავინ ითვალისწინებს იმ რეზისტენტულობის ხარისხს, რაც ჩვენს ახლანდელ ხელისუფლებას აქვს პროტესტების მიმართ.

ეს ორი მითი ჯერ კიდევ სულდგმულობს და ამას ბევრი ფაქტორი განაპირობებს, ბევრი პრობლემა, რომელიც არსებობს დღეს არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და რომლებიც იწვევს მათ დემორალიზაციას. არ ვფიქრობ, რომ არასამთავრობო სექტორი არაკომპეტენტურია, ასეთი ტერმინები ძალი-

ან მტკენს გულს, იმიტომ რომ, ჩემი აზრით, ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ კარგად არ გვაქვს გაცნობიერებული, როგორ ოცდაოთხსაათიან შრომაშია ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოში და რომ სწორედ მათი დამსახურებაა, რომ საქართველოს მოქალაქეებს თუნდაც მინიმალური ინფორმაცია აქვთ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ.

სხვადასხვა ფაქტორებს შორის გამოვყოფდი შემდეგს: დღეს ძალიან ბევრი სახიფათო ტენდენცია გვაქვს. მაგალითად, ის, თუ როგორ მონაწილეობს საჯარო რესურსი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფუძნებაში. ცოტა ხნის წინ გუდიაშვილის სკვერზე ვსაუბრობდით. ვინ აკეთებს ძველი თბილისის რეაბილიტაციას? ეს არის „ძველი თბილისის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი“, რომელიც არაკომერციული იურიდიული პირი ანუ არასამთავრობო ორგანიზაციაა. ამ ყველაფერს კი აკეთებს ისე, რომ პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ჩვენ წინაშე არ გააჩნია. იმიტომ, რომ კანონმდებლობა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მასზე არ ვრცელდება.

მეორე ფაქტორი: არასამთავრობო ორგანიზაციებს პირდაპირ აფინანსებს სახელმწიფო. ბევრს ჰგონია, რომ სახელმწიფოს მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება განვითარების შემდგომი ეტაპია და ეს აუცილებლად უნდა მოხდეს. პირადად მე ორ ამერიკულ არასამთავრობო ორგანიზაციაში ვმუშაობდი, მათ შორის ერთ-ერთი საქმიანობის ათეულობით წელს ითვლის და არცერთი ცენტი მთავრობისგან არ მიუღია. დღეს ჩემს გამოსვლაში აქცენტს ვაკეთებ არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებიც, დიახაც, აპოლიტიკურები არიან და არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს არ გამოხატავენ. ასეთი არასამთავრობო ორგანიზაციებიც არსებობენ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც და სხვაგანაც, მაგრამ მსგავსი პრობლემა, რომელიც ჩვენ გვაქვს პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებაში, ის არის, რომ მართლაც გვაქვს პრობლემა, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც არის აპოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც აქვს პოლიტიკური მიზნები. ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს Political action committee, რომელიც არის იგივე არასამთავრობო ორგანიზაცია, მაგრამ მისი მთელი საქმიანობა იმაზეა ორიენტირებული, რომ იმ საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, რასაც იგი ემსახურება, მხარი დაუჭიროს პოლიტი-

კურ სუბიექტებს და კანდიდატებს, რათა ისინი იყვნენ არჩეულები და შემდეგ ის საზოგადოებრივი ინტერესები გაატარონ, რის გამოც ეს ორგანიზაცია მათ უჭერდა მხარს. გამიჯნული უნდა იყოს ორგანიზაციები, რომლებსაც პოლიტიკური მიზნები გააჩნიათ და პირიქით.

ხშირად ვხედავთ, როგორ ახდენენ უსასრულო რაციონალიზაციას საეჭვო ექსპერტები, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებს წარმოადგენენ და მათ მედიაც მხარს უჭერს. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც არ წარმოადგენენ საზოგადოებას, ხალხს, ისინი წარმოადგენენ ხელისუფლების ინტერესებს. არ მინდა ძალიან რადიკალურად ჟღერდეს ეს ყველაფერი, თუმცა, მინდა, სინამდვილეს თვალი გავუსწოროთ.

კიდევ ერთი საკითხი – ვუშვებთ, რომ რეინკარნაცია მოხდეს ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციისა, რომლებსაც, მიუხედავად იმისა, რომ რელევანტურები აღარ არიან, მაინც ვანიჭებთ რელევანტურობას. ამას მთავრობა ღიად უწყობს ხელს. მხოლოდ პრობლემებზე საუბარს არ ვაპირებ. შევეცდები გამოსავლამდეც მივიდე. გარდა იმისა, რაზეც უკვე ვისაუბრე, პრობლემაა ისიც, რომ საკითხები, რომლებზეც ისინი მუშაობენ, არ მოდის ხალხისგან. მათ წარმომავლობაზე ხშირად თვითონაც არა აქვთ წარმოდგენა. პრიორიტეტები ზოგჯერ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ არის დადგენილი. ჩვენ გვაქვს ე.წ. საერთაშორისო დახმარებაზე დამოკიდებულება, რაც არასამთავრობო ორგანიზაციებს განვითარების საშუალებას არ აძლევს. რამდენიმე თვის წინ ძალიან საინტერესო სტატია წავიკითხე. შუა აღმოსავლეთში საერთაშორისო განვითარების ერთი ექსპერტი, რომელიც იქ სამუშაოდ იყო ჩასული, წერდა, რომ მათი საქმიანობა კედელზე სპაგეტის შეყრას ჰგავს და ელოდებიან, მიეწებება თუ არა. რა თქმა უნდა, არაფერი საწინააღმდეგო საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ არ მაქვს, მაგრამ, ჩემი აზრით, სპაგეტი მიეწებება თუ არა კედელს, ეს იმაზეა დამოკიდებული, როგორი კედელი დახვდება საერთაშორისო ორგანიზაციებს თითოეულ ქვეყანასა და კულტურაში.

შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ ჯერჯერობით საქართველოში პრობლემას არ წარმოადგენს დაფინანსების საკითხი. მართალია, როგორც საფრთხე, ისე დავხატე სახელმწიფოს მიერ დაფინანსების საკითხი და შეიძლება მართლაც არ ღირდა ამ თემის ასეთი რადიკალიზაცია, მაგრამ გული მწყდება, რომ დღეს საქართველოში სახელმწიფო არასამთავრობო ორგანიზაციებს მხოლოდ სერ-

ვისის მიმწოდებლად მოიაზრებს. არასამთავრობო ორგანიზაციების პასუხისმგებლობაა, რომ მათ ასე არ წარმოაჩინონ თავი. მაგრამ, რას აკეთებენ ისინი საიმისოდ, რომ სხვა რესურსები მოიპოვონ? მაგალითად, ძალიან ნაცადი ხერხია ყველა ქვეყანაში არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შემოწირულობების მიღება. საქართველოს კანონმდებლობა შემოწირულობებს, როგორც ლეგალური შემოსავლის წყაროს, იცნობს. მაგრამ არცერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, როგორც წესი, საწევროების გარდა, რომელიც მინიმალურია, შემოწირულობას არ იღებს. ხშირად მომყავს ერთ-ერთი მედიასაშუალების, „ნეტგაზეთის“ მაგალითი, რომელიც დაზარალდა 26 მაისის ცნობილი დემონსტრაციის დროს და სახსარი აღარ ჰქონდა თავისი საქმიანობის გასაგრძელებლად. მაგრამ, მერე შემოწირულობები მიიღო რიგითი მოქალაქეებისგან, თავისი მკითხველებისგან. მახსოვს გაზეთის რედაქტორის ინტერვიუ, სადაც ის ამბობდა, რომ ეს იყო ყველაზე მაღალი პასუხისმგებლობა, რაც კი მათ ოდესმე უგრძვნიათ. არასამთავრობო ორგანიზაციები ე.წ. ფანდრაიზინგის სისტემის დასანერგად არაფერს აკეთებენ, მაგრამ, უნდა გააკეთონ, ვიდრე ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას დაუსრულებია საქართველოში მისია და ვიდრე, ალტერნატიული დაფინანსების წყაროდ, სახელმწიფო არ ჩართულა ამ საქმეში.

გარდა აღნიშნულისა, ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია დგას პრობლემის წინაშე, რომელსაც იდენტობის კრიზისს ვუწოდებ. ანუ, მან არ იცის, „ვოჩდოგი“ ორგანიზაციაა, უნდა გააკონტროლოს სახელმწიფო, თუ უნდა დაეხმაროს მას რაღაც პოლიტიკის შემუშავებაში. ძალიან მცდარი წარმოდგენები არსებობს ამასთან დაკავშირებით და, სამწუხაროდ, სწორედ იმ იდეების ტირაჟირება ხდება, რომ აუცილებლად უნდა დაეხმარო და შენი არსებობის მიზანი და დანიშნულებაც ეს არის. მაგრამ, ამ დროს, სახელმწიფოს დღეს კონტროლი უფრო სჭირდება, ვიდრე დახმარება, იმიტომ რომ ყველანაირი რესურსი აქვს იმისთვის, რომ ყველაფერს თვითონ გაუმკლავდეს.

არ მინდა ჩემი გამოსვლა მხოლოდ ნეგატიურ მაგალითებს ეყრდნობოდეს. ბევრი პოზიტიური მაგალითის მოყვანაც შეიძლება, რომელიც გვიბიძგებს ვიფიქროთ, რამ განაპირობა მათი გამოჩენა. გუდიაშვილის სკვერის საკითხი უკვე ახსენეს. ამ მოვლენებში არ ყოფილა ჩართული მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები. მასში სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები და რიგითი მოქალაქეები იყვნენ ჩართულები. მაგალითად, ავიღოთ კამპანია „ეს შენ გეხება“, რო-

მელმაც მთელი სამოქალაქო სექტორის კონსოლიდაცია მოახდინა და პირველ შედეგს მიაღწია კიდეც. ისინი ჯერ კიდევ დეკემბერში კანონის მიღების პროცედურების მიმდინარეობისას იყვნენ ჩართულები ამ პროცესში. პრეზიდენტს ვეტოს გამოყენებაც მოსთხოვეს, იმპლემენტაციის დაწყებისთანავე ყველას აფრთხილებდა ეს კამპანია, თუ რა საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდნენ. ყველამ ვნახეთ მასობრივი და კოლექტიური გასაუბრებები საქართველოს რეგიონებში. რომ არა ხალხის მხარდაჭერა, ეს კამპანია ვერ მიაღწევდა იმ შედეგს, რომ დღეს უკვე ინიცირებულია პარლამენტში ამ კანონის ცვლილებების პროექტი. გუშინ სტუდიაში „რე", გადაცემის ერთ-ერთმა მონაწილემ თქვა, რომ სინამდვილეში ეს ჩვენი ძალისხმევის შედეგი კი არ იყო, არამედ ჯონ ბასის განცხადებას მოჰყვა. მაშინაც, დეკემბერში, როდესაც ამ კანონისთვის რეტროაქტიური ძალის მინიჭების საკითხი განიხილებოდა, სწორედ ამერიკის ელჩმა გააკეთა განცხადება. სკეპტიციზმი იყო იმასთან დაკავშირებით, რომ კანონის ცვლილება ჩვენი ძალისხმევის შედეგი კი არ იყო, არამედ ამერიკის ელჩის მიერ გაკეთებული მკაცრი კომენტარის. მე კი ვფიქრობ, რომ ამერიკის ელჩი სწორედ საზოგადოების მოთხოვნებს უწევს ანგარიშს. სხვა საკითხია ის, რომ ჯერ ამერიკის ელჩი იგებს, ჩვენ რა გვაწუხებს და მერე საქართველოს მთავრობა.

ვერ დავეთანხმები ბატონ გიას იმასთან დაკავშირებით, რომ პროტესტის იმდაგვარი კულტურა გვაქვს, რომ მუდმივად გაბრაზებულები უნდა ვიყოთ და სხვანაირად ვერ ვავლენთ სამოქალაქო აქტივიზმს. გუდიაშვილის სკვერთან დაკავშირებული სამოქალაქო მოძრაობა ზუსტად იმის მაგალითია, რამდენად სწორი მეთოდები გამოიყენეს მისმა ორგანიზატორებმა იმისათვის, რომ ხალხი დაინტერესებულიყო და მოსულიყო ამ აქციებზე, და სწორედ გართობის გზით გაეპროტესტებინა. თუმცა, ეს ის საკითხია, რომელიც გაბრაზებას ნამდვილად იმსახურებს. რომ არა გუდიაშვილის სკვერთან დაკავშირებული ეს სამოქალაქო მოძრაობა, დღეს, ალბათ, აღარ იქნებოდა ის ისტორიული მნიშვნელობის შენობები. მაგრამ, სამწუხაროდ, არავინ იცის რა ხდება პლეხანოვზე ან ქალაქის სხვა უბნებში და როგორ მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. როგორც უკვე გითხარით, „თბილისის განვითარების და რეაბილიტაციის ფონდი" არასამთავრობო ორგანიზაციაა და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ნაკლები პასუხისმგებლობა ჰქონოდა.

რაც შეეხება ტაქტიკას და ორგანიზებას, სადაც ასევე ვხედავ პრობლემას და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ამ კუთხითაც ნამდვილად უნდა იაქტიურონ, ვფიქრობ, აქაც არის ძვრები. მათ უნდა გამოიყენონ ონლაინსაშუალებები, რასაც ჯერჯერობით არ აკეთებენ. ძალიან ბევრი სამუშაოა ამ მიმართულებით ჩასატარებელი. ამ თემებზე ალბათ დისკუსიის დროსაც მომეცემა კომენტარის გაკეთების საშუალება. ახლა მხოლოდ ერთ რაღაცას დავამატებ, ძალიან მიყვარს ერთი პოპულარული გამოთქმა, If you are not at a table, you are in a menue, რომელსაც სულ ვიმეორებ – თუ არ უსხედხართ მაგიდას, მაშინ თქვენ ხართ ის, რასაც ამ მაგიდასთან შეექცევიან. რამდენადაც კანიბალურად არ უნდა ჟღერდეს, ზუსტად ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში ვიმყოფებით ახლა.

მაინც ვიმედოვნებ, რომ სამოქალაქო სექტორს აქვს პოტენციალი და მოქალაქეებს რეალურად აქვთ იმის საშუალება, რომ ჩაერთონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და გავლენა მოახდინონ პოლიტიკაზე. ყველას კარგად მოგეხსენებათ ის სექსისტური გადაცემა, რომელიც გადის ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში. მას „ქალური ლოგიკა“ ეწოდება. გუშინ დავწერეთ საჩივარი და გუშინ დილითვე დავიწყეთ ხელმოწერების შეგროვება. ახლა უკვე რვაასამდე ხელმოწერა გვაქვს, რომელიც ორშაბათს შევა ტელეკომპანია „იმედის“ თვითრეგულირების ორგანოში. ჩვენ შეგვიძლია მობილიზაცია და გავლენის მოხდენა არა მხოლოდ მთავრობის გადაწყვეტილებებზე, არამედ იმ გადაწყვეტილებებზეც, რომლებიც კონფლიქტშია ეთიკურ ნორმებთან, ადამიანის უფლებებთან და სხვა საზოგადოებრივ ინტერესებთან, ზუსტად ამ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით.

ცირა გვასალია, ჟურნალისტი – თამარ გურჩიანთან მაქვს კითხვა. მან ახსენა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ორი მოდელი, როდესაც თანამშრომლობ სახელმწიფოსთან და როდესაც აკონტროლებ და თვალყურს ადევნებ მის საქმიანობას. საქართველოში კრიტიკული დამოკიდებულება ძალიან რადიკალურად აღიქმება, თითქოს სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორი დაპირისპირებულები იყვნენ. შედეგად, ისინი ვერ თანამშრომლობენ. კრიტიკა რჩება კრიტიკად და არ იყენებენ მათ რაღაცის გაუმჯობესებაში. რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ ამ ორი ფუნქციის დაბალანსება?

თამარ გურჩიანი – ეს ტაქტიკის საკითხია. მესმის, რომ ეს დილემა არსებობს, მაგრამ ტაქტიკა არასამთავრობო ორგანიზაციებს, როგორც წესი, ასეთი აქვთ და ასეთი უნდა ჰქონდეთ კიდეც, ჩემი აზრით. მათ უკან ყოველთვის უნდა იდგნენ მხარდამჭერები, როგორც ძალა, და ძალა არ არის მხოლოდ მისი გამოყენება. ძალის არსებობა უკვე არის ძალა სახელმწიფოსთვის. ამ ტერმინებით იმიტომ ვსაუბრობ, რომ საკითხი ზუსტად ასე დგას. კითხვა, რომლითაც მთავრობა არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართავს, როდესაც ისინი რაღაცის ადვოკატირებას ეწევიან, არის „რამდენი ხართ?". მესმის, რომ ასეთი დილემა არსებობს. თუ საკითხის სწრაფად გადაჭრა მინდა, იქნებ მართლაც ჯობდეს ვითანამშრომლო. საქმე ის არის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს იდენტიფიცირებული უნდა ჰქონდეთ, ვინ არიან მათი მხარდამჭერები. ზოგჯერ ეს მათთვის საერთოდ უცნობია. ხალხი და მხარდამჭერები, როგორც ძალა თუ ჰყავთ, ასეთ შემთხვევაში ისინი ხდებიან იმდენად ანგარიშგასაწევები, რომ აქციების ორგანიზება კი არ უხდებათ, არამედ ნორმალურ რეჟიმში გააჩნიათ გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. იმის თქმა მინდა, რომ რასაკვირველია, სჯობს, მთავრობა ხვდებოდეს არასამთავრობო ორგანიზაციებს და ითვალისწინებდეს მათ აზრს, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციების უკან თუ არ იქნება ხალხი მათი მხარდამჭერების სახით, მთავრობა მათ აზრს არასოდეს გაითვალისწინებს.

ზაალ ანდრონიკაშვილი – ორ საკითხზე მინდა კომენტარის გაკეთება – ლეგიტიმურობასა და დაფინანსებაზე, ეს საკითხები ერთმანეთთან ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული. არ მგონია, რომ დაფინანსება ამოსავალი პრობლემა იყოს ენჯეოებსა და სამოქალაქო აქტივიზმში, ზოგადად. ყველას არ ეხება, მაგრამ ძირითადი ტრენდი ისეთი იყო, რომ „ენჯეოები" იქმნებოდა საერთაშორისო დონორების მიერ გამოყოფილი თანხების ასათვისებლად. ეს ყველამ კარგად ვიცით. სწორედ ეს დონორები განსაზღვრავდნენ რეალურად იმას, რა ტიპის „ენჯეოები" იქმნებოდა საქართველოში, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რას ფიქრობდა საქართველოს მოქალაქე ამის შესახებ, სჭირდებოდა მას ეს სფერო თუ არა. ამიტომ, თუ ამ ტიპის დაფინანსებას ცენტრში დავაყენებთ, ვერასდროს მივიღებთ ისეთ სამოქალაქო აქტივიზმს, რომელიც იქნება ჩვენს ინტერესებში. შესაბამისად, ასეთი „ენჯეო" ანგარიშვალდებულია იმის წინაშე, ვინც მას ფულს აძლევს და არა საკუთარი მოქალაქის წინაშე.

დილემის მეორე მხარე ის არის, რომ ასეთი ტიპის „ენჯეოები“ ვერ იარსებებენ დაფინანსების გარეშე. მაგრამ, რეალურად, თუ გვინდა მივიღოთ ისეთი სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც მეტ-ნაკლებად ადეკვატურად გამოხატავს ჩვენს ინტერესებს, მაშინ აზროვნებით, რომელიც დაფინანსების საკითხს აყენებს ცენტრში, ვერასოდეს შევძლებთ გრანტების ათვისების ძველი პარადიგმიდან გამოსვლას. ყოველთვის იქნება აცდენა მოქალაქეთა და სამოქალაქო საზოგადოების ინტერესებს შორის, რომ აღარაფერი ვთქვათ პოლიტიკურ პარტიებზე.

მამუკა ყუფარაძე, სტუდია „რე“ – ძალიან საინტერესოა ის პოლუსები, რომლებიც გამოიკვეთა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში, როდესაც ერთი აკრიტიკებს მთავრობას, მეორე შემთხვევაში კი, მთავრობის პროექტებზე მუშაობენ. მაგრამ, მინდა შეგახსენოთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებში არის კიდევ ერთი მიმართულება და ის არ არის მიმართული პირდაპირ სახელმწიფოზე. ის მიმართულია საზოგადოებაზე, მის განვითარებაზე ან მისი შეხედულებების შეცვლაზე. მაგალითად, კონფლიქტების თემა. ძალიან ბევრი ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ კონფლიქტების გადასაჭრელად საზოგადოებაში უნდა შეიცვალოს შეხედულებები, რომ თვითონ საზოგადოებაშია პრობლემა. ეროვნული უმცირესობების თემასთან დაკავშირებითაც ხშირად სახელმწიფო ინსტიტუტები უფრო პროგრესულები არიან, ვიდრე საზოგადოება. მინდოდა ორი სიტყვით ამ თემასაც შეხებოდით, რომ ამ მიმართულებითაც არის საჭირო დახმარება, კონსოლიდაცია, მეტი პასუხისმგებლობის აღება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მათი ლიდერების მხრიდან.

თამთა მიქელაძე, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ – მე იმ დისკურსს მინდა დავუბრუნდე, რომელზეც ბატონი გია საუბრობდა. სამოქალაქო სიქვეღლე გულისხმობს იმას, რომ იყო უანგარო და შენს აღქმაში იყოს ვიღაც, ვისთვისაც აკეთებ რამეს. იქნებ შევეცადოთ და გავაკეთოთ კონსტრუირება, ვინ იყო „მე“ და ვინ – „სხვა“ „ვარდების რევოლუციამდე“ და ვინ არის დღეს ამ პოლიტიკურ ვითარებაში მოქალაქისთვის. პირველ შემთხვევაში საზოგადოება იყო „მე, ჩვენ“ ვიწრო ჯგუფი, რომელიც ამ სისტემაში გადარჩენას ცდილობდა

და მას იდენტობა მთელ საზოგადოებასთან არ ჰქონია. სამოქალაქო აქტივიზმისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ შენ იყო თვითორგანიზებული, პასუხისმგებლობის მატარებელი და გქონდეს წესრიგის განცდა. ამის დეფიციტიც იყო მაშინდელ საზოგადოებაში.

გავიაზროთ დღევანდელი რეალობა. დღეს წესრიგზე საზოგადოების მოთხოვნილება ჩაანაცვლა სახელმწიფომ, რომელიც მას უზრუნველყოფს გარედან, მაგრამ ის არ შეხებია მოქალაქეებს. იდენტობა იმის მიმართ, რომ სახელმწიფოს მოქალაქე ხარ, გარედან მოდის და იძულების ნაწილია და არ არის არჩევანი, რომელიც გადააფასა საზოგადოებამ და ამ არჩევანამდე მივიდა. აცდენა საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის იმაშიც მდგომარეობს, რომ ხელისუფლება დღეს უფრო მოდერნულია, უფრო ეფექტურია, მას უფრო მეტად ესმის ლიბერალური დემოკრატიის პრინციპები, ვიდრე საზოგადოებას და შეიძლება ტოლერანტობის უფრო მეტ დეკლარირებასაც ახდენდეს. ამიტომ, საუბრის დაწყება ამ რეალობაში იმით, რომ საზოგადოებაში რაღაც უნდა შეიცვალოს, გასაგებია, მაგრამ რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ ამ პირობებში? გვესმის, რომ უნდა შევძლოთ თვითორგანიზება, უნდა ვიყოთ აქტიურები, მაგრამ, მოდით, შევეცადოთ ხელისუფლების კრიტიკას. კარგი ხელისუფლებაა, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში ფიქრობს, როგორ პოლიტიკას გაატარებდა სამოქალაქო საზოგადოებასთან მიმართებით და კულტურულ, პოლიტიკურ, სოციალურ გეგმას დასახავდა.

ეკა ჭითანავა, ჟურნალისტი – ბატონმა გიამ ახსენა, რომ ხშირად აქციებს და სამოქალაქო აქტივობას სპორადული ხასიათი და ემოციური აღმაფრენის სახე აქვს. ბატონმა ზაალმა თქვა, რომ არ გვაქვს სკვერები. ეს ყველამ ვიცით, მაგრამ არ გვახსენდება მანამ, ვიდრე რომელიმე ორგანიზაცია ან ჯგუფი ამ საკითხის ინიცირებას არ მოახდენს. პრობლემა, ჩემი აზრით, ის არის, რომ სამოქალაქო აქტივობა ხშირად გამოიხატება რეაქციაში ნაცვლად იმისა, რომ ვეძებოთ და წინ წამოვწიოთ ასეთი საკითხები. რადგან ჟურნალისტი ვარ, ამას შევადარებდი იმას, რომ ჟურნალისტები ძირითადად ვაშუქებთ იმას, რაც ხდება და არ ვეძებთ პრობლემატურ თემებს. ხშირად ბევრი რამ გვაწუხებს, მაგრამ ამაზე არ ვლაპარაკობთ, ვიდრე რომელიმე ორგანიზაცია არ დაიწყებს ამაზე ლაპარაკს.

ანიტა თვაური, ჟურნალისტი – მაინტერესებს, რატომ დადიან მოქალაქეები უფრო ხშირად პოლიტიკური პარტიების მიერ მოწყობილ აქციებზე და უფრო ნაკლებად არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ აქციებზე. ჩემი დაკვირვებით ასეა. მაინტერესებს, მეთანხმებით თუ არა და თუ ეს ასეა, რა არის ამის მიზეზი.

თამარ გურჩიანი – ეკას ვეთანხმები, რომ რეაქციული საქმიანობა აქვთ როგორც არასამთავრობოებს, ისე მედიას. ერთი სტატია წავიკითხე ამ თემაზე, სადაც ეწერა, რომ მაშინ როცა ჩვენ რეაქციას ვაკეთებთ იმაზე, რასაც აკეთებს ან აფუჭებს ხელისუფლება, აღარ ვაკეთებთ აქცენტს იმაზე, თუ რას უნდა აკეთებდეს ის. ვფიქრობ, რომ ეს ფუნდამენტური პრობლემაა, მაგრამ ამისთვის დრო არ რჩებათ არასამთავრობო ორგანიზაციებს, იმდენად ინტენსიურია გაფუჭების პროცესი ჩვენს ქვეყანაში.

რაც შეეხება თქვენს დაკვირვებას იმაზე, თუ რატომ დადიან პოლიტიკური პარტიების მიერ მოწყობილ აქციებზე უფრო ხშირად, შესაძლოა, მართალიც იყოთ. ძალიან კარგად აორგანიზებს ეკლესია მრევლის აქციებს. თქვენი აზრით, რატომ ხდება ეს? ხომ არ გვაქვს საქმე იმასთან, რომ გარკვეული სოციალური ჯგუფი, თუ ის ინდოქტრინირებულია რაღაც საკითხებთან დაკავშირებით, უკეთ არის ორგანიზებული და უკეთეს საპროტესტო აქციებს მართავს, ვიდრე სხვა? სამოქალაქო ღირებულებები არის ის თემა, რის გარშემოც ვერ ხერხდება ხალხის დარაზმვა? არა მგონია, ასე იყოს. ჩვენშია პრობლემა, ჩვენ გვაქვს ადამიანებთან ურთიერთობის პრობლემა. უნდა გავაკეთოთ იმის იდენტიფიცირება, თუ ვინ არიან ჩვენი მხარდამჭერები. რა თქმა უნდა, არ არის ნორმალური, რომ ამის კეთება ახლა უნდა დავიწყოთ, როცა ამდენი წელია არასამთავრობო ორგანიზაციების ინფრასტრუქტურა არსებობს. თუ არ ვიცით ვისთვის ვმუშაობთ, მის მობილიზებას ვერ შევძლებთ. მაგრამ არსებობს კარგი მაგალითები, როცა ეს შესაძლებელია. არ მახსოვს საქართველოს ისტორიაში დღემდე იმის მაგალითი, რომ ისეთი სამართლებრივი დოკუმენტი, როგორიც არის საჩივარი, 800 ადამიანის მიერ ხელმოწერილი შესულიყო სადღაც. ეს შეიძლება ყველაზე სრულყოფილი მაგალითი არ იყოს, იმიტომ რომ ეს თვითრეგულირების ორგანოა, კერძო კომპანიაა, მედიაორგანიზაციაა, მაგრამ თუ შეგვიძლია, სამართლის ენა, საჩივრის ენა გავაგებინოთ რვაას

ადამიანს, გამოდის, რომ შესაძლებელი ყოფილა ამისი გაკეთება. უბრალოდ, ამისთვის გვჭირდება კომპეტენცია და თარგმნა რაღაც ენაზე იმისა, რაზეც ვმუშაობთ. გვჭირდება ტაქტიკის ცოდნა, როგორ მოვახდინოთ მობილიზაცია, როგორ გამოვიყენოთ ინტერნეტი. როდესაც ამ საჩივარს ინტერნეტით ვავრცელებდით, ერთადერთი, რისი ცოდნაც გვჭირდებოდა, ის იყო, რომ გვქონოდა გუგლის ელექტრონული ფოსტა და ეს იყო ერთადერთი ინსტრუმენტი, რომელიც გამოვიყენეთ, მეტი არაფერი. ასე რომ, ყველას შეგიძლიათ ამის გაკეთება.

ერთი ძალიან კარგი მაგალითი მაქვს რეგიონებიდან. არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“ გააკეთა ორგანიზება და მობილიზაცია ხალხისა, ვისაც უშუალოდ ეხებოდა კაშხლის მშენებლობა სოფელ ხაიშში. სოფელ ხაიშში მცხოვრებმა ყველა მოქალაქემ გააკეთა განცხადება, მიიღო მონაწილეობა კონსულტაციაში ამ საკითხთან დაკავშირებით. ამ ყველაფერში „მწვანე ალტერნატივას“ ექსპერტიზამ და მუშაობამ დიდი როლი ითამაშა, მაგრამ ამ ადამიანების აქტიურობაც თვალშისაცემი იყო. ჩვენ გვყავს ასეთი ხალხი, ასეთი ორგანიზაციები, როცა საქმე ეხება გარემოს დაცვას, კაშხლების მშენებლობას, მაგრამ არ გვყავს ხელისუფლება, რომელიც ანგარიშს გაუწევდა ამ ხალხს. ეს არის პრობლემა.

იდეის დისკრედიტაცია: რას ნიშნავს ლიბერალიზმი საქართველოში?

მომხსენებლები:

სალომე ასათიანი

რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი

გელა ბანძელაძე

პარტიის „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ პოლიტიკური მდივანი

შორენა შავერდაშვილი

ჟურნალ „ლიბერალის“ რედაქტორი

მოდერატორი:

ნინო დანელია

30 მაისი, 2012

ნინო დანელია – უკანასკნელ წლებში ეს საკითხი ძალიან ხშირად ხდება განხილვის საგანი. ყველაზე თვალშისაცემი ის არის, რომ 2003 წლიდან მოყოლებული, ნელ-ნელა იცვლება ხელისუფლების დამოკიდებულება ძირითადი ლიბერალური ღირებულებების, დასავლური ღირებულებების მიმართ და ამ პროცესში ჩართულია როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციური ელიტაც, ასევე ძირითადი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები, მათ შორის, ეკლესიაც. ბოლო პერიოდში ბევრი იწერება ამ საკითხთან დაკავშირებით, დღევანდელი შეხვედრაც ამ დისკუსიის გაგრძელება იქნება.

სალომე ასათიანი – პირადად ჩემთვის საინტერესო და აქტუალურია არა იმდენად ლიბერალიზმის, როგორც კონკრეტული იდეოლოგიის, მისი კლასიკური თუ თანამედროვე ფორმით, ბედი დღევანდელ საქართველოში, რამდენადაც საკითხის სხვა ჭრილში დაყენება. პირდაპირ დავსვამ ასეთ შეკითხვას – როგორი ტიპის ტრანსფორმაცია ან ცვლილება განიცადა ჩვენი ქვეყნის კულტურულმა ცხოვრებამ, სააზროვნო სივრცემ, საზოგადოების სიმბოლურმა წყობამ ბოლო რვა წლის განმავლობაში? 2003 წლის რევოლუცია მოხდა განახლების, ახალი მენტალიტეტის და ღირებულებების სახელით, და რვა წლის გასვლის შემდეგ ნამდვილად შეგვიძლია ვიკითხოთ, სად ვართ და რა შეიცვალა, რა განვითარდა და რა – ვერა.

ეს თემა აქტუალური იმიტომ მეჩვენება, რომ ჩვენ ყველამ, მთელმა საზოგადოებამ, ძალიან მნიშვნელოვანი და, რაც მთავარია, უიშვიათესი მომენტი გავუშვით ხელიდან. 2003 წელს მართლა იყო მზაობა საზოგადოებაში, ქვეყანაში იმისთვის, რომ დაწყებულიყო დისკუსია. სხვა საკითხია, ის როგორ დამთავრდებოდა, რა შედეგს მოიტანდა, ვინ მიიღებდა მასში მონაწილეობას, თუმცა ეს რასაკვირველია ელიტის დონეზე დარჩებოდა, ამაში ვერ იქნებოდა ჩართული მთელი ქვეყანა, მაგრამ იმაზე ლაპარაკი, რა იდეოლოგიურ კონფიგურაციაში ვართ, რას ნიშნავს პოსტსაბჭოთა მენტალიტეტი, რომელზეც ყველა ამბობს, რომ უნდა შეიცვალოს, საით უნდა წავიდეთ, ამისთვის იყო მზაობა, იმიტომ რომ ჩვენი გარემო დიდი ოპტიმიზმით და სიახლისთვის ღიაობით იყო დამუხტული. ეს დისკუსია აუცილებელი იყო. მართლაც ვიმყოფებით პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელსაც არაერთი მანკიერი თვისება ახასიათებს, მათ შორის, შოვინიზმი, ეთნიკური ნაციონა-

ლიზმი, რელიგიური ობსკურანტიზმი, ქსენოფობია და ა.შ. ამას ობიექტური მიზეზები აქვს.

როგორ უნდა იცხოვროს სხვადასხვა სოციალურმა ჯგუფმა ერთად, თანაცხოვრების რა ფორმები უნდა მოვნახოთ, როგორ უნდა დარეგულირდეს მრავალფეროვნება, საბოლოო ჯამში, ლიბერალიზმი ხომ სწორედ ეს არის. რით განსხვავდება ის სხვა დიდი იდეოლოგიებისგან, ის არ ეძებს ერთიან გამოსავალს, გადაჭრის ერთიან გზას არ უძებნის საზოგადოებაში არსებულ სოციალურ, კულტურულ თუ ეკონომიკურ პრობლემებს. მხოლოდ გვთავაზობს გზას, როგორ დავარეგულიროთ, როგორ ვაკონტროლოთ და როგორ ვითანაარსებოთ ბევრმა ჯგუფმა. ასეთი დისკუსია სერიოზულ დონეზე არათუ არ დაწყებულა, ძალიან მალე მან გროტესკული, ჰიპერბოლიზებული სახეც მიიღო და დღეს უკვე გვაქვს ისეთი ეპითეტები, როგორიც არის „ლიბერასტები“, რომლებიც უპირისპირდებიან „გრუზინებს“ და ა.შ. ეს ყველაფერი სხვა სიბრტყეზე გადავიდა. სწორედ იმიტომ, რომ გარკვეული სახით დისკრედიტაცია მართლაც განიცადა ამ დისკუსიის იდეამ და დღეს ამის გაკეთება უფრო რთულია.

თუ რატომ მოხდა ასე, ამას ბევრი მიზეზი აქვს, მაგრამ ჩემი აზრით, პირველ რიგში, ეს არის ხელისუფლების ბრალი. ეს არის „ვარდების რევოლუციით“ მოსული ხელისუფლების ბრალი, რომელიც მოვიდა სწორედ სიახლის, დასავლური ფასეულობების, მათ შორის, ლიბერალიზმის სახელითაც, და ამ დეკლარირებული ორიენტაციის ფონზე, რეალურად, პირველივე დღეებიდან სულ სხვა ნაბიჯებს დგამს. ახლა უბრალოდ რიტორიკა შეიცვალა. ახლა გვაქვს ძალადობრივი, ავტორიტარული, თავაშვებული, სოციალურად უსამართლო რიტორიკა, რაც, ბუნებრივია, ამ ღირებულებების დისკრედიტაციას იწვევს. მათთვის რომ მართლა ღირებული ყოფილიყო განახლება, პოლიტიკური წინსვლა და ქვეყნის განვითარება, პირველ რიგში, პოლიტიკური თამაშის წესებზე უნდა შეთანხმებულიყვნენ და შემდეგ ერთგულად დაეცვათ ეს წესები. ამის ნაცვლად, ვხედავთ რაც მოხდა. სულ რამდენიმე ხელში მოხდა ძალაუფლების კონცენტრაცია, იმასაც ვხედავთ, რას მართებენ კონსტიტუციას, ყველამ კარგად ვიცით, რა დამოკიდებულება აქვს ძალაუფლებასთან და მის ცენტრალიზაციასთან ჩვენს მთავრობას. ორი დღის წინ ქართული პარლამენტარიზმის ტრადიციის ვეტერანმა გიგი წერეთელმა ისეთი რამ თქვა, გვაფიქრებინებს, რომ საერთოდ არ აქვს წარმოდგენა, რას ნიშნავს დემოკრატია და პლურალიზ-

მი, მან თქვა, რომ საჯარო მოხელეს არა აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს ოპოზიციის აქციაში და მხარი დაუჭიროს მას.

პირველ ეტაპზე, მეც ბევრივით მეგონა, რომ ეს კომუნიკაციის პრობლემა იყო. რომ ხელისუფლებას ჰქონდა ღირებულებითი ორიენტაცია, მაგრამ ვერ ხსნიდა ამას სათანადოდ, ვერ მიჰქონდა მოსახლეობამდე. შეიძლება ასეც არის, მაგრამ ახლა აღარა ვარ ამაში დარწმუნებული. ხანდახან მგონია, რომ უუნარობასთან და ფუნდამენტური ღირებულებების უცოდინრობასთან გვაქვს საქმე, როგორც ამ ბოლო მაგალითმა დაამტკიცა. რამდენი წელია, ეს ადამიანი პარლამენტის წევრია, ზუსტად არც ვიცი. რაც ჩვენი დისკუსიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ხელისუფლების ამ უუნარობასა თუ რეიტინგის დაკარგვის შიშში, ცოტა უფრო კონსპიროლოგიურად ორიენტირებული ხალხი მაკიაველისტურ გათვლებსაც ხედავს. ხელისუფლება ყველაზე მგრძნობიარე თემებთან, როგორიც არის ნაციონალიზმი, რელიგიური სენტიმენტები – მიმართებით განსაკუთრებით სიუხეშეს იჩენდა პირველივე დღეებიდან მოყოლებული ბოლო პერიოდის მაგალითებამდე. ყველას გახსოვთ რელიგიური ჯგუფების დარეგისტრირების ამბავი ერთი წლის წინ, როდესაც ვერ ახსნეს, რაში იყო საქმე. ამან გამოიწვია პროტესტი, სასულიერო პირებმაც მაშინვე ისარგებლეს და დაიწყეს პოპულისტური განცხადებების გაკეთება. დღესაც, დავით გარეჯის მაგალითი რომ ავიღოთ, ჯერ კიდევ არ არის საზოგადოება გარკვეული, თუ რა ხდება რეალურად. არის კომუნიკაციის პრობლემაც და უუნარობაც.

ამ სიღრმისეულ თემებზე დისკუსია ადგილიდან არ დაძრულა. ცხადია, ხელისუფლება არ არის ერთადერთი აქტორი, არც ფაქტორი და ღირებულებებზე დისკუსია მთელ საზოგადოებაში უნდა მიმდინარეობდეს. ზოგადი ფორმულა მართლა ასეთია. რასაც ახლა ვაკეთებთ, ეს არის საჯარო სივრცე, რასაც ემყარებოდა თავის დროზე ევროპის ყველა ქვეყნის დემოკრატიის განვითარება. იკრიბებოდნენ კაფეებში, ყავის სახლებში, საჩაიეებში. შემდეგ შემოვიდა მედია და მან ჩაანაცვლა ამ სივრცის თუ სფეროს ფუნქცია, და საზოგადოების აქტიური წევრები მსჯელობდნენ მათთვის აქტუალურ საკითხებზე და კონსენსუსის პოვნასაც ცდილობდნენ. მე კვლავ ელიტებზე ვლაპარაკობ. სამწუხაროდ, ეს არასოდეს მოიცავს მთელ საზოგადოებას, განსაკუთრებით ჩვენთან, მით უფრო არსებული სოციალური უსამართლობის ფონზე. მაგრამ იმით, რაც

ხელისუფლებამ მედიას დამართა საქართველოში, გარდა იმისა, რომ თვითონ უუნარო აღმოჩნდა დისკუსიის საწარმოებლად, სუსტ საზოგადოებას წაართვა სააზროვნო საჯარო დისკუსია. სატელევიზიო არხები გადაიქცა ვულგარულ პროპაგანდისტულ მანქანად და გამორიცხულია, მთელი ქვეყნის მასშტაბით სიღრმისეულ თემებზე ვინმემ დისკუსია მოისმინოს. ცალკეული რადიოსადგურები და გამოცემები ლოკალურ დონეზე ვრცელდება და ფართო საზოგადოებრივი თვალსაზრისით გავლენას ვერ ახდენს. ამიტომაც, ლიბერალური ღირებულებები ვერ გახდა ვერც საზოგადოებრივი, ვერც პოლიტიკური კონსენსუსის ნაწილი და მაინც მარგინალურ მოვლენებად რჩება. მეინსტრიმის ნაწილია ისევ ეთნიკური ნაციონალიზმი, შოვინისტური განწყობები, რელიგია. ლიბერალიზმთან ასოცირებულ ღირებულებებს, უფლებებზე დაფუძნებულ დისკურსს ხშირ შემთხვევაში აქვს ერთგანზომილებიანი უსიცოცხლო ელფერი, ისევე როგორც კომუნისტური იდეოლოგია აღიქმებოდა ლოზუნგების დონეზე საბჭოთა კავშირის ბოლო ათწლეულებში. უფრო ცუდ შემთხვევაში კი, ლიბერალურ დისკურსს ეროვნული ინტერესების საზიანოდ მიმართულად აღიქვამენ. ეს ხელისუფლების ვულგარული პიარის ბრალიც არის. განახლებას და სიახლეს ის გვაწვდის, როგორც ინგლისურის სწავლას, „ვინდოუსში“ ტრენინგს, საპოლიციო სტრუქტურების გაძლიერებას. ამაზე იქით არ მივდივართ და ბუნებრივია, ეს დაბნეულობას იწვევს. თან საჯარო სივრცეც წართმეული აქვს საზოგადოებას.

ყოველივე ამას თან ერთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი – ეკლესია, როგორც ინსტიტუტი. ვიცი, რომ შორენა არ მეთანხმება, მაგრამ ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ აქ არ არის ლაპარაკი ცალკეულ სასულიერო პირებზე, ლაპარაკია ინსტიტუტზე იმ სახით, როგორც აღიქმება ის დღეს გარედან, როგორც სოციალური და კულტურული აქტორი. ეკლესია მნიშვნელოვნად ანტილიბერალურ, ქსენოფობიურ, შოვინისტურ პოზიციებზე დგას და თავის რიტორიკაში ნაციონალიზმს ეყრდნობა. დაუკვირდით, გაიხსენეთ ქადაგებები, რამდენს ნახავთ იქ ქრისტიანულ ფილოსოფიაზე ნალაპარაკევს და რამდენს იმაზე, თუ როგორ გაბრწყინდება საქართველო. ნაციონალიზმი და რელიგია ჩვენთან განუყოფელია და ამასაც თავისი მიზეზები აქვს, და ესეც საბჭოთა პერიოდიდან მოდის. იმის გათვალისწინებით, რომ ეკლესია დღეს ჩვენს სივრცეში რეალურად არის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ინ-

სტიტუტი და სიმბოლურ სფეროს მართლაც ძალიან დიდ კვალს ამჩნევს, რასაკვირველია, ეს ფაქტორიც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ერი ჩვენს რეალობაში, ეკლესიის დიდი ძალისხმევითაც არ მოიაზრება ლიბერალური განსაზღვრებით, როგორც თანასწორი, მრავალფეროვანი ინდივიდების ერთობა, არამედ ეყრდნობა, გენს თუ არა, ისტორიას, ეთნოსს, მას უფრო ეთნიკური შეფერილობა აქვს. ეს დისკურსი სამოქალაქო ნაციონალიზმში ვერა და ვერ გადაიზარდა.

თუ ვლაპარაკობთ იმაზე, რა ბედი ეწია ჩვენში ლიბერალიზმს, მისი კონფიგურაციები ეთნიკურ ნაციონალიზმთან, რასაკვირველია, შეუთავსებელი გამოდის, იმიტომ რომ თუ ქართველობაში მხოლოდ ეთნიკურად ქართველს და მართლმადიდებელს ვგულისხმობთ, თავად განსაზღვრეთ, ეს რამდენი ჯგუფის მარგინალიზაციას და გაუცხოებას იწვევს. კარგი და ცუდი კი ძალიან უხეში და სწორხაზოვანი განმარტებებია. უფრო სიღრმისეულად თუ გვინდა რაღაცის გაგება, ანალიტიკურად უნდა მივუდგეთ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ეს თემები, ეს ღირებულებები მაინც ელიტისტური ამბავია. ვერ მოიცავს მთელ საზოგადოებას უწინარესად იმ სოციალური ფონის გამო, რომელიც ჩვენს რეალობაში არსებობს. რა არის ლიბერალიზმი, ის ინდივიდებს არჩევანის გაკეთების საშუალებას აძლევს იმაზე, თუ როგორ იცხოვრონ, თუ როგორ ითანაარსებოს სხვადასხვა ინდივიდმა, ელიტებს ართმევს იმის განსაზღვრის უფლებას და პრეროგატივას, ვიღაცას რაღაც უკარნახოს. იმ პირობებში, როდესაც ოფიციალური გათვლებით 20% და არაოფიციალურით საზოგადოების თითქმის ნახევარი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ლაპარაკი იმაზე, როგორ უნდა ავირჩიოთ ცხოვრების წესი და რა ღირებულებებს მივდიოთ, აბსურდია. იმიტომ რომ ადამიანს, რომელიც ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს მიღმა, სოციალური ყოფა და ყოველდღიური რეალობა, თუ ისევ არჩევანის ენით ვილაპარაკებთ, ძალიან ხშირად უბიძგებს ცუდი და მისთვის საზიანო არჩევანის გაკეთებისკენ. მემარჯვენე მხრიდან შეიძლება ისიც გითხრან, და ჩვენს საჯარო სივრცეში ასეთ მოსაზრებებსაც შეხვდებით, რომ როდესაც ლაპარაკია შრომითი ურთიერთობების ნორმალიზებაზე, აქაც ხშირად ამბობენ, რომ ლიბერალური კონფიგურაციით ესეც გარკვეული არჩევანია, კონტრაქტია დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის. თუ მხოლოდ თეორიულ ჭრილში შევხედავთ, შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ

ადამიანი, რომელიც ირჩევს მუშაობას სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში და კვდება, ეს მისი არჩევანია. ყოველთვის ვცდილობ, რომ სოციალური ფონისგან მოწყვეტილად ეს თემები არ განვიხილო და არ დამავიწყდეს, რომ მაინც ელიტისტურ მოვლენაზე ვსაუბრობთ.

ასეთ ვითარებაში, როდესაც განახლებაზე და მენტალიტეტის შეცვლაზე დისკურსი და ღირებულებები უსამართლო და ძალადობრივ ხელისუფლებას აქვს მიტაცებული და თავის თავთან გაიგივებული, თან მეორე მხრივ, სამოქალაქო სივრცეში ეთნო-ნაციონალისტური ეკლესია დომინირებს, საჯარო სივრცე კი არ არსებობს დისკუსიის საწარმოებლად, ძალიან რთული და შეუძლებელიც კია იმაზე ოცნება, რომ ლიბერალური ღირებულებები ჩვენი საერთო კონსენსუსის მყარი ნაწილი გახდეს. ამისთვის არ არსებობს არც ენა და არც კრიტიკული დისკურსი შემდგარა ჯერჯერობით. ცალკეული განცხადებები ვერ ცვლის რეალურ სურათს. ასეთ ადამიანებს ძალიან იოლად აკრავენ „ლიბერასტის“ იარლიყს და ეს ღირებულებები ვერ ხდება მიმზიდველი ნარატივი, რაც პირადად მე ძალიან საგანგაშო მგონია.

გელა ბანძელაძე – დღეს საქართველოში არა მარტო ლიბერალიზმზე, არამედ ზოგადად პოლიტიკურად აქტუალურ თემებზე საუბრისას, ხშირად ვლინდება დილემა, სად არის პრობლემა, რატომ არ მოგვწონს ის რეალობა, რომელშიც ვიმყოფებით. არის პრობლემა იმ ადამიანებში, რომლებიც ამჟამად არიან პასუხისმგებლები ამ ყველაფრის განხორციელებაზე, თუ პრობლემაა იმ ტენდენციაში, სისტემურ დისკურსში, რომელიც წარმოშობს ამ ადამიანებს. ანუ, მთავრობის ბრალია თუ მთავრობაა ლოგიკური შედეგი არასწორი განვითარების გზისა. უშველის ამას პერსონალური ცვლილებები თუ უფრო ღრმა და ფუნდამენტური ცვლილებებია საჭირო იმისთვის, რომ ჩვენთვის არასასურველი რეალობა გავაუმჯობესოთ. რასაც ჩვენ ვეძახით ლიბერალურ განვითარებას, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ეს გზა სწორი და კარგია, მაგრამ ცუდი მთავრობა გვყავს, რომელიც სპეკულირებს ამ ტერმინებით და სინამდვილეში სხვა რამეს აკეთებს და არა იმას, რაც უნდა გააკეთოს და ამიტომ გვაქვს ცუდი შედეგი, თუ პრობლემა ისაა, რომ ზოგადი განვითარების ტენდენცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დომინანტურია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, არ არის ის გზა, რომელიც იმ შედეგებამდე მიგვიყვანს, რაც გვინდა. და,

შესაბამისად, ესა თუ ის ხელისუფლება, რომელიც გვყავს, ავტომატურად ვერ გააკეთებს იმას, რაც ხალხს უნდა, იმიტომ რომ თავად გზა არის არასწორი.

ჩემი აზრით, საკითხის ამგვარად დასმა უფრო სიღრმისეულად დაგვანახებდა რეალობას, რომელშიც ვართ და პრობლემასაც უფრო კარგად გაგვაანალიზებინებდა. ჩემი მთავარი სათქმელი ის არის, რომ პრობლემა არ არის მხოლოდ ადამიანებში და ცუდ მმართველებში. პრობლემა არის არასწორ ტენდენციაში, დისკურსში. შევეცდები დავასაბუთო ჩემი მოსაზრება. ლიბერალიზმზე საუბრისას, ჩემი აზრით, უნდა გავყოთ მისი შინაარსი ორ თვისობრივად განსხვავებულ შემადგენლად – ლიბერალური ღირებულებები და ლიბერალური თამაშის წესები. ღირებულებებში ვგულისხმობ ინდივიდუალიზმს, შემწყნარებლობას განსხვავებულთა მიმართ, პლურალიზმს და ა.შ. ანუ ისეთი ტიპის ღირებულებებს, რომლებიც ადამიანის პიროვნების და სინდისის საქმეა. ლიბერალურ პროცედურებში ვგულისხმობ ეკონომიკის თამაშის წესებს, ანუ იმას, თუ როგორ არის მოწყობილი ეკონომიკა. და პოლიტიკური თამაშის წესებს, არის თუ არა დემოკრატია, როგორ იქმნება და იშლება ინსტიტუტები და ა.შ. როგორ ურთიერთობენ პოლიტიკურ ასპარეზზე მოქალაქეები ან მოქალაქეთა გაერთიანებები.

თანამედროვე აკადემიურ დისკურსში მთელ მსოფლიოში ტერმინი „ლიბერალიზმი“ იმ პროცესების ასასახად, რაც დღეს ხდება, აღარ იხმარება. კიდევ ერთი შეცდომა ის არის, რომ ლიბერალიზმი ჰგონიათ დღეს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების გაბატონებული ტენდენცია და ამის ალტერნატივად მოიაზრებენ განვითარების სოციალ-დემოკრატიულ გზას. სინამდვილეში, სოციალ-დემოკრატიაც, ნეოლიბერალური წესრიგიც არის ლიბერალიზმის, ერთი მშობლის მეორე შვილი, მისი განშტოება. ლიბერალიზმი კლასიკური გაგებით, ღირებულებათა ამ ორივე სისტემას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მსოფლმხედველობას თავის წიაღში წარმოშობდა.

დღეს ვინც ამბობს, რომ მათი პოლიტიკა, ეკონომიკა ლიბერალურია, სინამდვილეში ნეოლიბერალურ ეკონომიკას გულისხმობს. ვინაიდან დღეს არის ორი ვარიანტი, მათ შორის უამრავი გარდამავალი სტადიაც შეიძლება გამოიყოს, მაგრამ ლიბერალური პოლიტიკა და ეკონომიკა თანამედროვე სამყაროში შეუძლებელია, რადგან წარმოების საშუალებებია განსხვავებული, ეკონომიკა სხვანაირად იქმნება. სხვა თამაშის წესებია და საზოგადოების შიდა სტრუქტუ-

რა აბსოლუტურად განსხვავდება იმისგან, რაც იყო მე-20 საუკუნის დასაწყისში. შეუძლებელია, დღევანდელი ცხოვრება მკაცრი ლიბერალური წესრიგის ზუსტ ანარეკლად აღვიქვათ, როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ განზომილებაში. დღეს გვაქვს ევოლუციის შედეგად მოტანილი ახალი სტადია, და გვაქვს ორი ძირითადი ჯგუფი ლიბერალური მიმართულებებისა – ევროპული სოციალ-დემოკრატიული და ნეოლიბერალური დისკურსი.

რატომ მგონია, რომ თამაშის წესების ბრალია ის ჩვენთვის არასასურველი რეალობები, რომლებიც გვაქვს და არა პიროვნებების. ეს, ჩემი აზრით, პირველ რიგში არის ნეოლიბერალური თამაშის წესების უალტერნატივობა თანამედროვე მსოფლიოში. თუ ეს ყველაფერი დაიწყო 80-იან წლებში თეტჩერის და რეიგანის უკიდურესად მემარჯვენე პოლიტიკების და ნეოკონსერვატიული პოლიტიკების წინა პლანზე წამოწევით, ამას მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლა, მანიპულაციის თუ პროპაგანდის შედეგად, ფაქტია, რომ მემარცხენეობა დასავლეთში ასოცირდებოდა საბჭოთა კავშირთან. საბჭოთა კავშირი ითვლებოდა მემარცხენე იდეების და თანასწორობის იდეალის მთავარ პლაცდარმად.

საბჭოთა კავშირის და კომუნისტური წყობის კრახმა კიდევ უფრო გააძლიერა ნეოლიბერალურ ღირებულებათა სისტემის და თამაშის წესების უალტერნატივოდ აღქმა. ამას განსაკუთრებით რადიკალური ფორმები ჰქონდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. დღევანდელი ქართული ვითარება შეგვიძლია აღვიქვათ არა როგორც გამონაკლისი მთელ მსოფლიოში, არამედ მსოფლიოში ბოლო ოცი წლის განმავლობაში არსებული ტენდენციების ყველაზე რადიკალური და უკიდურესი გამოვლინება. უალტერნატივოდ აღქმა, უპირველესად, იმაში აისახა, რომ ერთადერთ წამყვან გაგებად სახელმწიფოს მიმართებისა საზოგადოებასთან, ჩაითვალა აბსოლუტურად მინიმალური სახელმწიფოს იდეა. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მინიმუმამდეა დაყვანილი. და კონკურენცია მიჩნეულია ერთადერთ საშუალებად, რომელიც ყველაფერს ყველაზე კარგად დაარეგულირებს. ამას ერთვის ის, რომ საზოგადოება აღარ არის კლასიკურად დაყოფილი კლასებად, როგორც იგი ყოველთვის იყო. პოლიტიკური ძალები, პოლიტიკური მსოფლმხედველობები, ღირებულებითი მსოფლმხედველობები, როგორც ყოველთვის მე-20 საუკუნის განმავლობაში, ვეღარ ახერხებენ ერთმანეთთან ტრადიციული, დემოკრატიული ინსტიტუტების მეშვეობით დაპირისპირებას. ანუ, პოლიტიკური პარტიები კარგავენ თავიანთ შინაარსს. თუკი

კონკურენციაა მთავარი მარეგულირებელი ეკონომიკურ, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უკიდურესი ინდივიდუალიზმია ერთადერთი ცხოვრებისეული რეალობა, აქ იგულისხმება ის, რომ მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული, გადავრჩები თუ არა, არავისი იმედი არა მაქვს და არცერთ სოციალურ ჯგუფთან არ ვასოცირდები, შესაბამისად, დაბალია მოტივაცია იმისთვის, რომ თანამოქალაქეებთან ერთად შევქმნა ინტერესთა ჯგუფები, პოლიტიკური პარტიები, მონაწილეობა მივიღო საერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ანუ, ადამიანები კარგავენ კონტაქტს პოლიტიკასთან. პოლიტიკა ხდება არა საჯარო საქმე, ისე როგორც ეს დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა იყოს, არამედ პოლიტიკა ხდება ვიწრო ჯგუფების, „პროფესიონალების“ საქმე. საზოგადოების დიდი ნაწილი კი თავის გადასარჩენად სხვა სფეროებში მიდის. სისტემა აღარ ახდენს კავშირების, ერთობის, როგორც მოქმედების წესის კულტურის სტიმულაციას.

კიდევ ერთი, რასაც პოლიტიკის და საზოგადოებრივი ცხოვრების პროფესიონალიზაცია იწვევს, ის არის, რომ კერძო სექტორის როლის განუწყვეტელი ზრდა სახელმწიფოს და საჯარო სეგმენტის მინიმუმამდე დაყვანის პარალელურად, იწვევს ისეთი სფეროების პრივატიზაციას, გაყიდვას, როგორიც არის დაზღვევა, განათლება. ეს იყო ის სფეროები, სადაც ადამიანები ერთმანეთს პოულობდნენ, საერთო ინტერესს აღმოაჩენდნენ და ერთობლივად მოქმედებდნენ, რაც ხელს უწყობს ლიბერალური ღირებულებების გაძლიერებას, ვინაიდან თანამშრომლობის კულტურას აჩენს. დღეს ასეთი სფეროების პრივატიზაცია ადამიანებს მარტოს ტოვებს საკუთარი პრობლემების წინაშე. ანუ, თუ არ მომწონს ფასი რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში, სახელმწიფოს ვერ მოვთხოვ ამ პრობლემის გამოსწორებას, იმიტომ რომ ყველა საგანმანათლებლო ინსტიტუტი კერძოა. შესაბამისად, ვერ გავერთიანდები სხვა ჩემსავით განაწყენებულ მოქალაქეებთან, რათა სახელმწიფოს მოვთხოვო შეღავათიანი განათლება. ასეთი სფეროების პრივატიზაცია მოქალაქეობრივი აქტივობის მოტივაციას კიდევ უფრო დაბლა აგდებს. განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც პოლიტიკური კულტურა და ელიტები არის ზუსტად ისეთივე სტილის ავტორიტარული მმართველობა, როგორიც იყო საბჭოთა კავშირში, და საჯარო დისკურსის გავლენა პოლიტიკის მაღალ ეშელონებზე სუსტია. ამას ემატება უკიდურესი ინდივიდუალიზაცია, რომელიც ინსტრუმენტი ხდება

პოლიტიკური ელიტებისათვის, იმისთვის, რომ მთლიანად მოახდინონ პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაცია საკუთარ ხელში და არ გაუზიარონ საზოგადოების ფართო ფენებს. თუ საბჭოთა კავშირის დროს ეს პირდაპირ იყო აკრძალული, დღეს საზოგადოების ფართო ფენებს დრო, საშუალება და მოტივაცია არა აქვს საიმისოდ, რომ გარდა პირადი პრობლემებისა, მონაწილეობა მიიღონ საერთო სამოქალაქო პროექტებში და იბრძოლონ ისე, როგორც ეს ხდებოდა დასავლურ დემოკრატიებში.

ეს ყველაფერი, ჩემი აზრით, არის თამაშის წესებში არსებული ის უარყოფითი მხარეები, რომლებიც იწვევს იმ პრობლემების განსაკუთრებულ არტიკულაციას, რომლებზეც სალომე საუბრობდა. როდესაც საზოგადოება გათიშული და გათითოკაცებულია, არა აქვს მოქალაქეობრივი თანამშრომლობის კულტურა, მით უმეტეს, რომ ამას ემატება განათლების ხელმიუწვდომლობა, ძალიან მძიმე ცხოვრების პირობები, ასეთ ვითარებაში, ის ლიბერალური ღირებულებებიც, რომლებიც თავიდან გავმიჯნე თამაშის წესებისგან, თავისთავად მახინჯდება. ვიღებთ შეუწყნარებლობას, განსაკუთრებით პრობლემაა უმრავლესობა-უმცირესობის საკითხში, ეს არ უკავშირდება მხოლოდ რელიგიურ ჯგუფებს და იდენტობის საკითხებს, უკავშირდება ეთნიკურ ჯგუფებს. გვაქვს ორი დაკარგული ტერიტორია. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, რომ ეს მხოლოდ ქართულ-რუსული კონფლიქტია, მხოლოდ პოლიტიკური მანიპულაციების შედეგად დავკარგეთ ეს ტერიტორიები, ფაქტია, ეთნიკური კონფლიქტი ადამიანების გონებაში მაინც არის.

ჩემი მთავარი სათქმელი ის არის, რომ მხოლოდ პიროვნებების ცვლილება, მხოლოდ მთავრობის ბრალი, ის ყველაფერი, რაზეც ვსაუბრობთ, არ არის, და განვითარების ის ტენდენციაა შესაცვლელი და გადასააზრებელი, რომელსაც ვადგავართ. ეს მთელ მსოფლიოში ხდება.

შორენა შავერდაშვილი – სრულად ვიზიარებ სალომეს პათოსს და არგუმენტებს. რამ გამოიწვია, რომ ლიბერალიზმის და მისი იდეის დისკრედიტაციაში ლომის წილი ხელისუფლებას მიუძღვის? ამის მიზეზი ის არის, რომ ისინი სწორედ ამ მანდატით მოვიდნენ: აბსოლუტურად გაიგივებული გვქონდა ლიბერალიზმი იმ იდეოლოგიასთან თუ მანდატთან, რომლითაც მოვიდა ეს ხელისუფლება და რაც უფრო დისკრედიტებული გახდა ხელისუფლება, ეს

პირდაპირპროპორციულად აისახა ლიბერალიზმის იდეაზე და გამოიწვია მისი დისკრედიტაციაც. ეს ყველაფერი გასაგებია და თითქმის სრულად ვიზიარებ. ასევე ვეთანხმები ბატონ გელას იმაში, რომ ერთია ლიბერალური პოლიტიკური დოქტრინა და მეორეა ლიბერალური ფასეულობები.

შევეცდები, ჩვენს დისკუსიას კიდევ ერთი ფაქტორი დავამატო. ეს არის თავად ჩვენი, საზოგადოების პასუხისმგებლობა. იმ ადამიანების, რომლებიც არ არიან ხელისუფლების ნაწილი, თუმცა მკაფიოდ არიან ასოცირებულნი ამ იდეასთან. მკაფიოდ აკეთებენ იდენტიფიცირებას ლიბერალობასთან და ლიბერალიზმთან. ვფიქრობ, რომ მანაც, როგორც ხელისუფლებამ, დაკარგა სოციალური პასუხისმგებლობა და მგრძნობელობა, როდესაც მისთვის ლიბერალიზმი გახდა ცარიელი რიტორიკა, რომელიც მოკლებულია კონკრეტულ პოლიტიკას თუ დამოკიდებულებას ნებისმიერი თემის მიმართ, იქნება ეს ადამიანის უფლებები თუ ეკონომიკური პოლიტიკა.

ძალიან რთულია მკაფიო კატეგორიზაცია, თუ ვინ არიან ლიბერალები. შევეცადოთ, ზოგადად მოვხაზოთ ეს საზოგადოება. სალომეს ვეთანხმები, რომ ეს უფრო მეტად ელიტისტური და ინტელექტუალური ჯგუფებია, ვიდრე სხვა ტიპის საზოგადოებრივი ჯგუფები. ამ ჯგუფმაც დავკარგეთ, თუ დაკარგა, სოციალური მგრძნობელობა და პასუხისმგებლობა, როდესაც ისევე გავუუცხოვდით ჩვენს საზოგადოებას და ქვეყანას და კონტექსტს, როგორც ხელისუფლება. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ჩვენზეც არის რაღაც ტიპის პასუხისმგებლობა, როდესაც ვლაპარაკობთ ლიბერალური იდეის დისკრედიტაციაზე. რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს მოვიშველიებ. მახსოვს, როდესაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის, „ლიბერალის“ დაწყება გვინდოდა, დიდხანს ვფიქრობდით სახელზე და გამიხარდა, რომ მოგვივიდა იდეა, დაგვერქმია „ლიბერალი“, რადგანაც ჩვენთვის ეს იყო მცდელობა, ეს სიტყვა, ღირებულებათა ეს სისტემა ამოგვეთრია პოლიტიკური ნანგრევებიდან, რომელშიც ის მოყვა მთელი ამ წლების განმავლობაში, და გვეთქვა, რომ ეს არ არის იდეოლოგია, პოლიტიკური პლატფორმა, არამედ ღირებულებითი პლატფორმა. არის ძალიან მარტივი ღირებულებები, რომლებიც ჩვენთვის ძვირფასია და ვფიქრობ, რომ ზოგადად ქვეყნისთვის შეიძლება იყოს ძალიან მნიშვნელოვანი სწორედ იმიტომ, რომ ის ძალიან მარტივი და ადგილად გასაგები რაღაცები, როგორიც არის პლურალიზმი, სხვადასხვა

ჯგუფების თანაცხოვრება, შემწყნარებლობა და ინდივიდუალიზმი, ეს ღირებულებათა სისტემა, შესაძლოა, ყველაზე უკეთ არეგულირებს ურთიერთობებს, განსაკუთრებით ამ კონტექსტსა და ქვეყანაში. ადამიანურ ენაზე რომ ვთქვათ, ეს არის ყველაზე მარტივი სისტემა, რომელმაც შეიძლება დაარეგულიროს ურთიერთობები სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებს შორის და საზოგადოებაში.

დავუბრუნდები „ლიბერალური ელიტების“ თემას. ვფიქრობ, რომ ეს ჯგუფი სამწუხაროდ ძალიან ჩაიკეტა საკუთარ თავში. მისთვის აბსოლუტურად უინტერესოა ის თემები, რომლებიც აწუხებს საზოგადოებას და ამ ქვეყნის უფრო დიდ ნაწილს. იგი საზრდოობს ზუსტად ისეთივე ან სხვა ტიპის კლიშეებით, როგორითაც საზრდოობენ ის ჯგუფები, რომლებსაც ჩვენ ვაკრიტიკებთ, მაგალითად, ეკლესია, როგორც ინსტიტუცია, რომელსაც მართლაც დიდი როლი მიუძღვის ჩვენს კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და ახდენს ამ დისკურსის არანაკლებ მონოპოლიზაციას. ლიბერალური საზოგადოებაც ზუსტად ისევე ჩაიკეტა საკუთარ თავში, როგორც ხელისუფლება და ეკლესია.

ჩემი განწყობა, დამოკიდებულება, ის წერილი, რომელსაც პოლემიკა მოჰყვა, ზუსტად ამას ამბობდა. ვეცადე თვითკრიტიკული ვყოფილიყავი. და ეს იმ გზით გავაკეთე, რომელიც ჩემთვის ყველაზე ბუნებრივი იყო. შევეცადე გულწრფელად მეთქვა ჩემი სათქმელი. ამ წერილის პათოსი ძალიან მარტივია. ეს არ ყოფილა ეკლესიის გამოქომაგება, როგორც ინსტიტუციის, და მისი გაკეთილშობილება, ან პირიქით, ლიბერალური საზოგადოების მანკიერებების დრამატიზება. ის იყო ზუსტად იმ დამოკიდებულების კრიტიკა, რომ საკუთარ წვენში ხარშვით თავადვე შევუწყვეთ ხელი ლიბერალიზმის იდეის მარგინალიზებას. იმიტომ რომ ვოპერირებთ კლიშეებით, მაგალითად ასეთით – „საზოგადოება ბნელია“, „ეკლესია ბნელია“, „ეკლესია გვექაჩება უკან“ და ა.შ. ეს კლიშეები მხოლოდ ხელს უწყობს ამ იდეის დისკრედიტაციას და მარგინალიზებას. იმის ნაცვლად, რომ ვეძებდეთ ამ სივრცის გაფართოების გზებს, და ვცდილობდეთ ამ დისკუსიაში, ურთიერთობაში იმ ინსტიტუციების ჩართვას, რომლებსაც ყველაზე დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე, იგულისხმება ხელისუფლება, ეკლესია, ჩვენი კარჩაკეტილობით გადავკეტეთ ეს გზები და ხიდები. თითქოს ვაკეთებთ იმის საპირისპიროს, რასაც ვქადაგებთ. ეს არის ჩემი ძალიან სუბიექტური განცდები თუ დაკვირვება.

აქ არის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი. თუ ვსაუბრობთ სოციალურ რეფლექსიებზე, ჩემთვის ეს სხვა არაფერია, თუ არა თანაგრძნობა და ადეკვატურობა, როდესაც ითვალისწინებ კონტექსტს, სოციალურ ფონს და იმ რეალობას, რომელშიც ეს ყველაფერი ხდება. ვფიქრობ, არაადეკვატურობაა, როდესაც არ ლაპარაკობ არაფერზე, არ გაწუხებს არაფერი, არ უთანაგრძნობ შენს თანამოქალაქეებს თუნდაც სამოქალაქო რეფლექსიების დონეზე. ხომ არ შეიძლება, ერთადერთი თემა, რომელიც, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელს მაწუხებს, მაგალითად, მუდმივად იდენტობის პრობლემები იყოს. რა თქმა უნდა, უნდა იყოს იდენტობის პრობლემები, მაგრამ როდესაც სხვა არაფერზე გაქვს რეაქცია, და ითხოვ საზოგადოების დანარჩენი წევრებისგან თანაგრძნობას, მას ვერ მიიღებ, რადგან თავად არასდროს უთანაგრძნობ მათ. დავივიწყოთ სამოქალაქო სექტორისათვის დამახასიათებელი ჟარგონი, ჩემთვის ეს ყველაფერი თანაგრძნობაზე დადის. აქ ურთიერთთანაგრძნობაზეა საუბარი. ვფიქრობ, ჩვენს საზოგადოებაში დიდწილად არის ამის ნაკლებობა, რაც ქმნის ფონს იმისათვის, რომ ლიბერალური იდეა, როგორც თანაცხოვრების მრავალფეროვნება, ვერ გაფართოვდეს.

ნინო დანელია – რამდენადაც ცნობილია, ლიბერალური ღირებულებები არის სწორედ თანაგრძნობა. რა ტიპის თანაგრძნობაზეა ლაპარაკი, განსაკუთრებით იმ ჯგუფებისგან, რომლებიც ახდენენ იმის დეკლარაციას, რომ მათი ღირებულებათა სისტემა არის ლიბერალურ ღირებულებათა სისტემა. რას უნდა უთანაგრძნონ და რაში არ არის ეს თანაგრძნობა გამოხატული?

შორენა შავერდაშვილი – ყველაფერს, რაც გვაწუხებს თითოეულ ჩვენგანს ყოველდღიურ ცხოვრებაში. გააჩნია ვის ვესაუბრებით, ეს შეიძლება იყოს მედიასთან დაკავშირებული პრობლემები, ადამიანის უფლებები, პატიმრების წამების თემა, გარემოსთან დაკავშირებული თემები, განათლებასთან დაკავშირებული თემები. ყველა ამ მიმართულებაში ეს არ არის ზოგადი კატეგორიები. ძალიან ადამიანური „ქეისები“ შეგვიძლია გავიხსენოთ. მაგალითად, 53-ე სკოლიდან გაგდებული მოსწავლის ამბავი, რომლის ფუნდამენტური უფლება შელახეს, წაართვეს მოსწავლის უფლება, ის არცერთმა სკოლამ აღარ მიიღო, ამჯერად მიმდინარეობს სასამართლო პროცესი და ა.შ. აღარაფერს ვამბობ

ქიმერიძის, დელიანიძის საქმეზე და იმ 140 „ქეისზე“, რომელიც დგას ამ საქმეების უკან. ოფიციალურად, ომბუდსმენის ანგარიშის მიხედვით, მხოლოდ 2011 წელს 140 პატიმარი იყო ძალადობის მსხვერპლი. აქედან 40 გარდაცვლილი პატიმარია. როდესაც ასეთი თემები შემოდის საჯარო სივრცეში, მეჩვენება, რომ ეს თემები რჩება „უმრავლესობის“ განხილვის საგნად, და იდენტობასთან დაკავშირებული თემები რჩება „უმცირესობის“ განხილვის საგნად.

სალომე ასათიანი – აქ პიროვნულზე არ არის საუბარი. მე და შორენა ძალიან ბევრ საკითხში ვიყავით და ვართ თანამოაზრეები, ოღონდ ეს ის შემთხვევაა, როდესაც არა მარტო არ გეთანხმები, მგონი, კარგად არც მესმის, რას ამბობ. კონტექსტი არ არის მხოლოდ სოციალური. თუ ღირებულებებზე ვლაპარაკობთ, კულტურული და სიმბოლური კონტექსტი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. ჩემი აზრით, ლიბერალები კი არ ჩაიკეტნენ და თავიანთ წვენში კი არ იხარშებიან, მათ არა აქვთ არც დისკურსი, არც ენა, სწორედ იმის გამო, რომ მოხდა საჯარო სივრცის მონოპოლიზაცია. კონტექსტზე საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს ის ძალთა გადანაწილება, რაც გვაქვს. დღევანდელ ჩვენს კულტურულ კონტექსტში, გრამშის ენით რომ ვთქვათ, რელიგიური ობსკურანტიზმი და ეთნიკური ნაციონალიზმი იდეოლოგიად კი არ აღიქმება, ეს არის ბუნებრივი მოცემულობა. ეს არის ის, რითიც უმეტესობა ჩვენგანი ვსუნთქავთ. ის განპირობებულია სხვადასხვა ობიექტური ფაქტორით. ამ რეალობასთან დაპირისპირება უაღრესად რთულია, მით უმეტეს, არსებული რეალობის გათვალისწინებით. იგივე ტიპის პრეტენზია, თუ რატომ არ ამახვილებენ ყურადღებას პატიმრების უფლებებზე ან ზოგადად ძალადობაზე საზოგადოებაში, რატომ არ შეიძლება გვქონდეს ისეთი გავლენიანი ინსტიტუტის მიმართ, როგორიც არის ეკლესია?

შორენა შავერდაშვილი – უმრავლესობას, თავისთავად, უფრო დიდი ძალაუფლება და გავლენა აქვს, უფრო დიდი სივრცე უკავია, ვიდრე უმცირესობას. ეს, რა თქმა უნდა, მოცემულობაა. მაგრამ უმცირესობა თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ ის უუფლებო და უუნაროა და ადგილი არ უჭირავს საჯარო სივრცეში და სასურველი არაა შემოვიტანოთ ახალი კონიუნქტურა, რომ არ შეიძლება უმცირესობის კრიტიკა, ან არ შეიძლება იმ იდეოლოგიების თუ ფასეულობათა სისტემის თუ დამოკიდებულებების კრიტიკა, რაც აქვს უმცი-

რესობას. მე მგონი, სამართლიანია ვაკრიტიკოთ დიდი ინსტიტუციები, ხელისუფლება, ეკლესია, უმრავლესობა თავისი ნაციონალიზმით, შოვინიზმით თუ ფაშიზმით, ისე როგორც საჭიროა, ასევე მნიშვნელოვანი მგონია, ვიყოთ თანაბრად კრიტიკულები უმცირესობებისადმი. სწორედ ეს იყო მთავარი პათოსი იმისა, რომ უმცირესობა რეაგირებს მხოლოდ ეკლესიის კრიტიკაზე, ან მხოლოდ სექსუალური უმცირესობების თემებზე, და სხვაზე არაფერზე რეფლექსია არა აქვს,..

ეს არის ძირითადად ინტელექტუალური ჯგუფები, რომლებიც, სხვათა შორის, არ არიან ისეთი უუფლებო და არაგავლენიანები. სამთავრობო ჯგუფები, რომლებსაც მედიასივრცე უჭირავთ, ინტელექტუალები, რომლებიც „ლიბერალშიც“ არიან და რადიო „თავისუფლებაშიც“, ჩემი მეგობრებიც არიან და ჩვენი ავტორებიც.

თუ გვინდა ლიბერალური სივრცის გაფართოება, იმ დამოკიდებულებებით და კლიშეებით, რაც გვაქვს, უბრალოდ არ გამოვა. მეც არ გავალ აქციაზე, რომლის პათოსიც არის „ძირს მიშას პირსისხლიანი რეჟიმი“, მაგრამ სამაგიეროდ ვდგავარ ბარიკადებზე, როდესაც ვითხოვთ დელიანიძის საქმის გამოძიებას და მედიის თავისუფლებას. ზუსტად ასეთივე დამოკიდებულება მაქვს ეკლესიისადმი ან ნებისმიერი სხვა ინსტიტუტისადმი, რომელთანაც მაქვს პრობლემები, რომლის წიაღშიც რაღაც მინდა შევცვალო, ან რომლისგანაც ვცდილობ დავიცვა ჩემი ინტერესები და ფასეულობები, და ჩემი, როგორც მოქალაქის უფლებები. როდესაც ეკლესიაზე ვლაპარაკობთ, რომ ის არის ბნელი, რომ თავის თავში ინახავს შოვინიზმს და ა.შ., და ასე ვცდილობთ მისგან მივიღოთ ის, რაც ჩვენთვის არის ფასეული, ვერ მივაღწევთ ამ შედეგს.

სალომე ასათიანი – ეკლესია ჩაებმება სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლაში?

შორენა შავერდაშვილი – ზუსტად ისეთივე იმედი მაქვს, როგორიც მაქვს ხელისუფლებისგან. მე, როგორც მოქალაქე, აქტივისტი თუ ჟურნალისტი, ვცდილობ, ხელისუფლებისგან მივიღო ის, რომ დავიცვა, გავიტანო ჩემი ინტერესები. როგორი ენითაც ვცდილობ მას ველაპარაკო – საქმიანი, ფაქტებზე დაყრდნობილი, იმისათვის, რომ გავიტანო ჩემი ინტერესი, ზუსტად

ასეთივე ადამიანური, ეთიკური ამბავია ის, რომ მით უმეტეს, თუ ვფიქრობ, რომ ეკლესია არის ძალიან გავლენიანი ინსტიტუტი, რომელიც თავის თავში ინახავს ბევრ პრობლემას, სიბნელეს, გაუნათლებლობას, ნაციონალიზმს, უბრალოდ, უნდა შევცალო მასთან სალაპარაკო ენა. მგონია, რომ საჭიროა, პირველ რიგში, ის ადამიანები, ვინც ვქადაგებთ ლიბერალიზმს, გვინდა დავიცვათ ლიბერალური იდეა და ლიბერალიზმი გავხადოთ ბუნებრივ ფასეულობათა სისტემად, ვესაუბროთ და დიალოგში ჩავაბათ ადამიანი, რომელიც არ არის ელიტის ნაწილი, რომ არ ეგონოს, რომ ეს არის თავსმოხვეული, „გრანტიჭამიების“ მიერ „მოთრეული“ იდეოლოგია, არამედ არის ძალიან ფასეული, ღირებული იდეა. აქ იმაზეა ლაპარაკი, რა მიზანი გვაქვს და რისი გაკეთება გვინდა.

გელა ბანძელაძე – მგონი ყველა ვთანხმდებით, რომ ზოგადი ფორმულირება პრობლემისა არის დაბალი სოციალური კაპიტალი. ანუ, სოლიდარობის დაბალი მაჩვენებელი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის. ისევე როგორც ფინანსურ კაპიტალს აგროვებს ადამიანი რაღაც ეკონომიკური თამაშის წესების შედეგად, სოციალური კაპიტალიც გროვდება და ილექება გარკვეული სოციალური და პოლიტიკური, მათ შორის, ეკონომიკური პრაქტიკების შედეგად. ანუ როდესაც ვსაუბრობდი ე.წ. ლიბერალურად მონათლულ, მაგრამ რასაც მე „ნეოლიბერალურს“ ვუწოდებდი, ეკონომიკურ და პოლიტიკურ თამაშის წესებზე, ამ რეალობების ბუნებრივი შედეგია, ჩემი აზრით, ისეთი სოციალური ფრუსტრაცია, რომელიც გვაქვს და რაც თავისთავად აისახება სოციალური კაპიტალის კატასტროფულ დონეზე. იქნებ ამ კუთხით შევხედოთ.

ლელა რეხვიაშვილი – ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო დისკუსია ლიბერალიზმსა და მის გადარჩენაზე და იმაზე, თუ როგორ არის ეს იდეოლოგია ჩაკეტილი ლიბერალურ წრეებში. მე მქონდა საკუთარი ვერსია იმისი, რაზეც ქალბატონი შორენა საუბრობდა, თუ რატომ ხდება საზოგადოებისაგან მისი იზოლაცია. ერთი რამ, რასაც ვივიწყებთ, არის ის, რომ პოლიტიკური ლიბერალური იდეების მისაღწევად ლიბერალური ეკონომიკა არ გვარგია. ამას ძალიან კარგად ვხედავთ ევროპაში, სადაც ეკონომიკური ლიბერალები არიან პოლიტიკურად კონსერვატორები. მათი კულტურულ-პოლიტიკური ღირებულებები

კონსერვატულია. სოციალისტები არიან ისინი, ვისაც შეუძლიათ ლიბერალური იდეების მეტ-ნაკლები მიღწევა. საქართველოში ლიბერალურ ღირებულებებში „შემოგვტენეს“ კაპიტალისტური ღირებულებები. ეს შეიძლება მრავალგვარი იყოს, მაგრამ ჩვენ შემოგვტენეს აღვირახსნილი კაპიტალიზმი, სადაც განუკითხაობაა. საქართველოში ლიბერალური ელიტები იმიტომ რჩებიან იზოლირებულები, რომ სწორედ ამ ეკონომიკურ და სოციალურ მხარეზე არასოდეს საუბრობენ. ახსენეთ პატიმრების საქმე, ქიმერიძის საქმე, სიღარიბე და სოციალური პოლიტიკაც ხომ ვახსენეთ, ე.ი. ის არ ყოფილა, რაზეც დღეს ვილაპარაკეთ. ამასობაში არავინ ვახსენებთ იმას, რომ წარმოუდგენელი შრომის კოდექსი გვაქვს.

ლევან აბაშიძე – სასულიერო აკადემია მაქვს დამთავრებული და, ამავე დროს, ვარ ლიბერალი. ჩემი მოწოდება იქნება, ნუ დავუთმობთ ამ თემას მხოლოდ სხვებს, იმიტომ რომ, ჩემი ღრმა რწმენით, ქრისტიანობა არის სწორედ თავისუფლების იდეა და რომ არ ყოფილიყო სახარება, დასავლეთ ევროპაში ლიბერალიზმი ალბათ არ განვითარდებოდა. ჯანსაღი კონსერვატიზმი და პატრიოტობაც ასევე სავსებით თავსებადია ლიბერალიზმთან.

აქ იყო ნეოლიბერალიზმის კრიტიკა. შეიძლება დავეთანხმო კიდეც, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ საქართველო განსხვავდება თეტჩერის ინგლისისგანაც და რეიგანის ამერიკისგანაც. იქ იყო გადახრა სოციალიზმისკენ, შემდეგ უფრო ლიბერალური ეკონომიკისკენ. ჩვენ თუ ახლა ზედმეტად ვაკრიტიკებთ ეკონომიკურ ლიბერალიზმს, არ ვიცი, სად დავბრუნდებით. თუ უარყოფით კონტექსტში ჩავსვამთ კონკურენციას, შეიძლება დაახლოებით დავბრუნდეთ იქ, სადაც იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, როდესაც ერთმანეთის გვერდზე იდგა ტრაბანტი და მერსედესი, იმიტომ რომ ერთგან იყო კონკურენცია და მეორეგან არ იყო. საერთოდ, თუ კონკურენციაზე ხშირად არ ლაპარაკობენ, როგორც თქვენ თქვით, ბატონო გელა, თუ ლიბერალიზმზე აკადემიურ დისკურსში არ ლაპარაკობენ, ეს დაახლოებით ისეთივე რამეა, რომ ჩვენ ახლა ჰაერზე არ ვლაპარაკობთ. იმიტომ რომ ჰაერი რომ გადაგვიკეტონ, მაშინვე გაგვახსენდება ჟანგბადი. კონკურენცია საჭიროა და უნდა იყოს. რასაკვირველია, არ ვამბობ, რომ კაპიტალიზმი სოციალური ელემენტებით არ უნდა იყოს დაბალანსებული.

მაგდა კალანდაძე, ორგანიზაცია „იდენტობა“ – მგონი, არსებობს ერთი მარტივი მექანიზმი, არსებობს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ძალიან ხშირად ირღვევა, იგივე მართლმადიდებელი აქტივისტებისგან, სასულიერო პირებისგან. მათი წაქეზებით არაერთი დისკრიმინაციული ქმედება განხორციელებულა. ამაზე არც ძალოვან სტრუქტურებს, არც ხელისუფლებას თითქმის არ მოუხდენიათ რეაგირება. მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო. კანონის დაცვის მოთხოვნა ძალიან ბევრ რამეს დააყენებს თავის ადგილზე სხვადასხვა ემოციების გვერდზე გადადებით. იმ ემოციების, რომლებსაც ადამიანები ერთმანეთს უპირისპირებენ. კანონის წინაშე ყველა თანასწორუფლებიანია.

ინტერნეტის პოლიტიკური არქიტექტურა საქართველოში

მომხსენებლები:

კორნელი კაკაჩია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიგა პაიჭაძე

სოციალური მედიის განვითარების ფონდი

დავით სიჭინავა

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი

მოდერატორი:

ნინო დანელია

31 ივლისი, 2012

ნინო დანელია – ბევრ სოციალურ თუ სამოქალაქო წამოწყებაში სოციალურ ქსელებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხოლმე და საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, სულ უფრო მეტად საუბრობენ სოციალური ქსელების და ინტერნეტის გაზრდილი როლის შესახებ ისეთ სფეროშიც კი, როგორიც პოლიტიკაა.

ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სოციალურმა მედიამ შეასრულა ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი იმაში, რომ ობამა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდა. ამ პერიოდიდან დაიწყო პოლიტიკურ სფეროზე ინტერნეტის და სოციალური მედიის გავლენის უფრო ინტენსიური შესწავლა. 2010 წლის კვლევებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში აჩვენა, რომ სურათი ცოტა შეცვლილია და ინტერნეტს 2008 წელთან შედარებით ნაკლები გავლენა აქვს პოლიტიკურ სფეროზე.

თუკი ადამიანები ინტერნეტში საუბრობენ პოლიტიკურ თემებზე, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი რეალურ სივრცეშიც ისეთივე აქტიურები არიან. სპეციალური ტერმინიც კი გამოიგონეს, „ინტერნეტაქტივიზმი“, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ინტერნეტსივრცეში ადამიანი შეიძლება ძალიან აქტიურად იქცეოდეს, რაც მის რეალურ ცხოვრებასთან არ იყოს პირდაპირპროპორციული.

ინტერნეტის და, განსაკუთრებით, სოციალური მედიის გაზრდილი როლი პირდაპირ შეეხო მედიის განვითარებას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში: გაჩნდა ინტერნეტით გავრცელებული ინფორმაციის გადამოწმების პრობლემა. ქვეყნებში, სადაც ტრადიციული მედიის თავისუფლება შეზღუდულია, ადამიანები მიუკერძოებელ ინფორმაციას სწორედ ინტერნეტის საშუალებით ავრცელებენ და იღებენ. „არაბული გაზაფხული“ ნათელი გამოხატულებაა იმისა, თუ როგორი გაზრდილი როლი აქვს სოციალურ მედიას რადიკალური პოლიტიკური განვითარებისთვის.

კორნელი კაკაჩია – სოციალური ქსელების როლი პოლიტიკაში მთელ მსოფლიოში და საქართველოშიც, მართლაც, მნიშვნელოვანია. მოკლედ მინდა გითხრათ პროექტის „სოციალური ქსელების როლი ქართულ პარტიულ პოლიტიკაში“ შესახებ. ეს ორწლიანი პროექტი მხარდაჭერილია შვეიცარიის აკადემიური კვლევების კავკასიური ქსელის მიერ. იგი ხორციელდება უნივერსიტეტში პატარა, ხუთკაციანი ჯგუფის მიერ. პროექტის მიზანია იმის

შესწავლა, თუ რა როლს თამაშობს სოციალური ქსელები კონკრეტულად ქართულ პარტიულ პოლიტიკაში. შევარჩიეთ 11 ძირითადი პოლიტიკური პარტია: „ქართული ოცნებიდან“ – „თავისუფალი დემოკრატები“, „ეროვნული ფორუმი“, „რესპუბლიკური პარტია“; „ახალი მემარჯვენეები“; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; „ლეიბორისტული პარტია“; „სოციალ-დემოკრატიული პარტია“ და „ქრისტიან-დემოკრატები“. თავიდან ათ პარტიას ვაპირებდით, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ „ქართული ოცნება“ არის ბლოკი და პროექტზე მუშაობის ორი წლის განმავლობაში, არ ვიცით, როგორ განვითარდება მოვლენები, შეიძლება ეს ბლოკი დაიშალოს კიდეც, ამიტომ „ქართული ოცნება“ ცალკე დაემატა ჩამონათვალს, როგორც პარტია.

ბოლო 9-10 თვის განმავლობაში ვაკვირდებოდით ამ პარტიების პლატფორმებს, მათ ვებგვერდებს, ასევე მათ აქტიურობას სოციალურ ქსელებში, „ტვიტერსა“ თუ „ფეისბუქზე“. ვცდილობდით აღგვენუსხა, არჩევნებამდე რა აქტივობები შეინიშნებოდა ვებგვერდებზე, როგორ შეიცვლებოდა სიტუაცია არჩევნების მოახლოებისას და არჩევნების შემდეგ. ასევე გვაინტერესებდა, რამდენად ინტერაქტიულები არიან პარტიები, შეუძლიათ თუ არა მოიზიდონ თავიანთი მხარდამჭერები და ახდენენ თუ არა მათ მობილიზებას სოციალური ქსელების მეშვეობით. გვაინტერესებდა ისეთი საკითხებიც, ადამიანს, რომელიც, ვთქვათ, ონის რაიონში იმყოფება, თუ აქვს რომელიმე პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანების სურვილი, შეუძლია თუ არა ეს ვებგვერდის მეშვეობით გააკეთოს. არის კიდევ უამრავი სხვა საკითხი, რომელიც ჩვენთვის საინტერესოა.

ჯერ კიდევ დასადგენია, რამდენი ინტერნეტმომხმარებელია საქართველოში. ოფიციალური, გაეროს მონაცემებით, 2010 წლის მდგომარეობით საქართველოში აღრიცხულია მილიონ სამასი ათასი ინტერნეტმომხმარებელი.

კვლევის დროს ჩავატარეთ ინტერვიუები, როგორც პოლიტიკურ პარტიებთან (თითო პარტიიდან 6 ადამიანთან), ასევე ბლოგერებთან და ადამიანებთან, რომლებიც მეტ-ნაკლებად ჩართულები არიან სოციალურ ქსელებში. აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრ პროფესიონალს ეჭვი ეპარება ამ ციფრებში და უფრო ნაკლები ჰგონია. რაც მთავარია, ინტერნეტის წვდომა არის 28, 3%, რაც არ არის ძალიან ცოტა. ამას გარდა, შევეცადეთ დაგვედგინა, თუ რამდენი მომხმარებელი ჰყავს „ფეისბუქს“ საქართველოში. 2011 წლის მონაცემებით,

„ფეისბუქის“ 779 ათასამდე რეგისტრირებული მომხმარებელია საქართველოში. ამ მონაცემების მიხედვით, საქართველო 87-ე ადგილზეა, სომხეთი 115-ეზე, აზერბაიჯანი კი 86-ე ადგილზე.

გარდა ამისა, ვცდილობთ გამოვიყენოთ ის მონაცემები, რომლებიც აქვს CRRC-ს. მათმა კვლევებმაც აჩვენა, რომ ინტერნეტმომხმარებლების რაოდენობა მზარდია და ყოველწლიურად მატულობს. მათ ასევე ჩაატარეს კვლევა, და მოგვიანებით ალბათ იქნება ამაზე საუბარი, რომ მოსახლეობის მხოლოდ 5% იყენებს ინტერნეტს, როგორც ინფორმაციის წყაროს, რაც ცოტა წინააღმდეგობაში მოდის წინა მონაცემებთან. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ქსელები თანდათან შემოვიდა ქართულ პოლიტიკაში, ისინი ჯერჯერობით მაინც ვერ უწევენ წინააღმდეგობას ტრადიციულ მედიას, განსაკუთრებით ტელევიზიას.

როგორც მოსალოდნელი იყო, „ფეისბუქი“ ყველაზე პოპულარულია. მის პოპულარიზაციას ხელი შეუწყო გაქართულებამაც. მანამდე უფრო აქტიური იყო „ფორუმ.ჯი“, რომელსაც ცოტა უფრო განსხვავებული დატვირთვა ჰქონდა. თუ გადავხედავთ ათივე პოლიტიკურ პარტიას, ყველაზე აქტიური, თავადაც შენიშნავდით, არის „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“. ასევე აქტიურები არიან „რესპუბლიკელები“, „ქრისტიან-დემოკრატები“ და კიდევ რამდენიმე პარტია, რომლებსაც მეტ-ნაკლებად კარგად ესმით სოციალური ქსელების მნიშვნელობა. თუმცა, ამ ინტერვიუების დროს ასევე გამოიკვეთა, რომ ხშირად, როდესაც ჩვენი ინტერვიუერი მიდიოდა პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან, სოციალური ქსელების მიმართ მათი ინტერესი იზრდებოდა.

ნინო დანელია – თქვენ ბრძანეთ, რომ ეს ორი პარტია გამორჩეულად აქტიურია. რას გულისხმობთ აქტიურობაში, სარეკლამო ბანერების სიხშირეს, საკუთარი ვებგვერდების ხშირად განახლებას თუ იმას, რომ პოლიტიკური პარტიების წევრები თავად აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკურ დისკუსიებში.

კორნელი კაკაჩია – რამდენიმე საკითხი შეიძლება გამოიკვეთოს. ამ ორ პარტიას აქვს ფასიანი რეკლამები „ფეისბუქზე“, შექმნილია მიხეილ სააკაშვილის და ბიძინა ივანიშვილის გვერდები, პროპაგანდის საშუალებადაც არის ქცეული, რათა ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენლებმა ხელი შეუშალონ თავიანთ

მოწინააღმდეგეებს. ასევე საინტერესოა, რომ არიან „ოფინიონ-ლიდერები“, ადამიანები, რომლებსაც ყველანი კარგად ვიცნობთ, ვინც „ფეისბუქზე“ ვართ და რომლებიც ან მთავრობის პოზიციას იზიარებენ ან ოპოზიციის, და თავიანთი პოსტებით და კომენტარებით ქმნიან ამინდს.

ვებგვერდებზე, ჩვენი დაკვირვებით, დიდი ცვლილებები არ შეიმჩნევა. პოლიტიკურ პარტიებს ბოლომდე არა აქვთ გააზრებული მათი მნიშვნელობა. იქ ძირითადად ან მოძველებული ან არაფრისმთქმელი ინფორმაცია აქვთ განთავსებული. რაც მთავარია, რომ არ ვიცოდეთ პარტიის სახელი, ამ ვებგვერდებზე ვერ მოვნახავთ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც დავადგენდით, თუ რა იდეოლოგიის მიმდევარია ესა თუ ის პოლიტიკური პარტია.

საინტერესო საკითხია, თუ როგორ იყენებენ პარტიები ბლოგერებს და არის თუ არა მათ შორის კავშირი. როგორც კვლევის პირველმა მონაცემებმა აჩვენა, დიდი კავშირი არ არის. საქართველოში არიან ბლოგერები, მაგრამ ისინი ძირითადად არ წერენ პოლიტიკაზე. თუმცა ვერ ვიტყვით იმას, რომ ასეთები საერთოდ არ არიან. მაგალითად, ჟურნალ „ტაბულას“ ბლოგერები. ისინი არ არიან კონკრეტულად პარტიის ბლოგერები, მაგრამ იდეოლოგიურად მოტივირებული ბლოგერები არიან. ეს ცოტა ახალი ფენომენია ქართულ პარტიულ პოლიტიკაში, რომელიც, ჩემი აზრით, საინტერესოა ანალიზისთვის.

საინტერესოა ჟურნალ „ლიბერალის“ მონაცემებიც. როგორც გავარკვიეთ, მას 20 ათასი მკითხველი ჰყავს კვირაში, რაც ცოტა არ არის.

ასევე გამოიკვეთა შემდეგი სიტუაცია, რომ ქართველი ინტერნეტმომხმარებელი ძირითადად ზარმაცია და დიდი ტექსტების კითხვას ვიდეოების ნახვას ამჯობინებს. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სოციალური ქსელები ჯერჯერობით ვერ თამაშობს ისეთ მნიშვნელოვან როლს ქართულ პარტიულ პოლიტიკაში, როგორსაც უნდა თამაშობდეს. თუმცა არც მთლად ასე ცუდად არის საქმე, იმიტომ რომ თუ გადავხედავთ ბოლო აქტივობებს, სოციალური ქსელების როლი ძალიან იზრდება. აქამდე თუ პოლიტიკური პარტიების ლიდერებს ჰქონდათ „ფეისბუქზე“ კომერციული რეკლამა, ახლა უკვე გამოჩნდა რამდენიმე მაჟორიტარი დეპუტატი, რომელიც თითქმის ყოველდღე ანახლებს თავის ვებგვერდს, იდება ვიდეოები.

მინდა შევეხო „ლაიქების“ თემასაც. მოგეხსენებათ, ზოგჯერ პოლიტიკური პარტიებისთვის ეს არის პრესტიჟის ამბავი. საინტერესო იყო რამდენიმე ლი-

დერის პასუხი „ლაიქებთან“ დაკავშირებით. ბევრი ექსპერტისთვის გაუგებარია, როგორ მოახერხა მაგალითად ბიძინა ივანიშვილმა ერთ დღეში 100 ათასი „ლაიქის“ მოგროვება. თავად ექსპერტების აზრით, არსებობს სხვადასხვა გზა, თუ როგორ შეიძლება ამის გაკეთება. „ლაიქები“ აუცილებლად არ ნიშნავს პარტიის პოპულარობას, უფრო პრესტიჟის საკითხია.

პროფესიული ბლოგერების ისეთი ტიპი, როგორიც დასავლეთში გვხვდება და რომელიც შეიძლება დაიქირავოს რომელიმე პოლიტიკურმა პარტიამ და დღეს ერთისთვის მუშაობდეს, ხვალ სხვისთვის, როგორც კვლევამ აჩვენა, საქართველოში ჯერჯერობით არ გვყავს. როგორც ჩანს, ამაზე მოთხოვნა არ არის.

მთლიანობაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციალური ქსელების როლი ელექტორატის მობილიზებაში ჯერჯერობით ბოლომდე არა აქვთ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს გააზრებული. მაგრამ ეს მარტო პოლიტიკურ პარტიებზეც არ არის დამოკიდებული. დამოკიდებულია ბევრ სხვა ფაქტორზე, იმაზე, თუ რამდენად შეაღწევს ინტერნეტი რეგიონებში. სოციალური ქსელები პოლიტიკური პარტიებისთვის ჯერჯერობით ვერ ცვლის ტრადიციულ ურთიერთობებს, როდესაც თავად ჩადიხარ სოფელში და პირადად ხვდები ადამიანებს. მას შემდეგ, რაც უფრო მისაწვდომი გახდება ინტერნეტი რეგიონებისთვის, სიტუაცია ალბათ თანდათან შეიცვლება.

ჩვენთვის საინტერესო იყო ასევე, თუ ჰყავდათ პარტიებს სოციალურ ქსელებზე პასუხისმგებელი ადამიანი. ინტერვიუების დროს იყვნენ პოლიტიკოსები, რომლებმაც „აიტიშნიკთან“ გაგვაგზავნეს. ეს უკვე მეტყველებს იმაზე, როგორ უყურებენ ამ პარტიაში სოციალურ ქსელებს. მათ ჰგონიათ, რომ ეს ტექნიკური საკითხია და „აიტიშნიკს“ ეხება. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ძალიან კარგად ესმით მათი მნიშვნელობა, მაგრამ მაინც მიაჩნიათ, რომ ცოტა ნაადრევია ამ თემის წინ წამოწევა.

გიგა პაიჭაძე – კლასიკური გაგებით, პოლიტიკური ბლოგი არის ის, სადაც ბლოგის ავტორი მიმდინარე მოვლენების ანალიზს აკეთებს. ჩვენთან, სამწუხაროდ, საგარეო პოლიტიკაზე საერთოდ არ არის საუბარი. ეს შეიძლება იმით არის გამოწვეული, რომ ყველა პოლიტიკურ პარტიას მეტ-ნაკლებად ერთნაირად წარმოუდგენია, თუ როგორ უნდა მოგვარდეს კონფლიქტები და ა.შ. პა-

ტარა ნიუანსებშია განსხვავება. ძირითადად დისკუსია მიმდინარეობს შიდა პარტიულ და კლანურ საკითხებზე. განვითარებულ ქვეყნებში პოლიტიკურ ბლოგერებს იმხელა გავლენა აქვთ, რომ შეიძლება ვიღაცის გადადგომაც კი გამოიწვიონ თანამდებობიდან, ჩვენთან ამას ადგილი არა აქვს.

დღეს გვყავს 3100 ბლოგერი, ერთ-ერთმა ჩვენმა კოლეგამ მეცნიერული კვლევა ჩაატარა. ამდენი კაცია დათვლილი ტექნიკურად და გადამოწმებულია. მათგან 99% პირადი ხასიათის ბლოგერები არიან, ანუ ისინი, ვინც თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაზე წერენ ან ისეთ თემებს ეხებიან, როგორიც არის კულინარია, ფოტოგრაფია და ა.შ.

პოლიტიკური ბლოგერი სულ ოთხი მახსენდება. რომლებიც არიან დამოუკიდებლები და ცდილობენ, უფრო კრიტიკული თემები წამოსწიონ წინ. შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი სრულად ვერ მოიცავენ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების სპექტრს. გარდა ამისა, არსებობენ ჟურნალისტები, რომლებიც პოლიტიკაზე წერენ. ესენი არიან, პირველ რიგში, რადიო „თავისუფლების“, ჟურნალების „ტაბულასა“ და „ლიბერალის“ ბლოგერები. შეიძლება სულ იყოს 25 კაცი, რომელიც წერს იმაზე, თუ რა ხდება ქვეყანაში, ოღონდ ვიმეორებ, ეს ძირითადად შიდა პოლიტიკურ საკითხებს ეხება და, ჩემი აზრით, არ წარმოაჩენს სრულ სურათს. ასე რომ, ჩვენი პოლიტიკური ინტერნეტსტრუქტურა ნაკლული და ხარვეზიანია.

რამდენიმე წელია ვცდილობთ, დავითვალოთ, რამდენი ადამიანია საქართველოში ინტერნეტში. „ფეისბუქს“ აქვს ყოველდღიური სტატისტიკა, რომლის შემოწმებაც ნებისმიერ წუთს შეგვიძლია. თქვენ სწორად ახსენეთ რიცხვი, დაახლოებით 779 ათასი ადამიანია დარეგისტრირებული „ფეისბუქზე“ საქართველოდან, ვინც ქართული „აიპიდან“ შედის და ვინც კვირაში ერთხელ მაინც აქტიურობს. ოფიციალურ წყაროებს თუ დავეყრდნობით, მაგალითად, კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას, საქართველოში დღეს არსებობს 300 ათასი მაღალსიჩქარიანი ინტერნეტშეერთება. ეს იმას ნიშნავს, რომ 300 ათას ოჯახს აქვს სხვადასხვა სახის ინტერნეტი. თუ საშუალოდ ჩავთვლით, რომ ოჯახში 2,7 კაცი უნდა ცხოვრობდეს, სწორედ მილიონ სამას ათასამდე ავდივართ.

ამასთან, მობილურ ოპერატორებსაც აქვთ თავიანთი საინტერესო სტატისტიკა. ისინი ამბობენ, რომ ჰყავთ უფრო მეტი აბონენტი, ვიდრე ქვეყანაში

ცხოვრობს, რაც გასაგებია, იმიტომ რომ ყველას ორი ტელეფონი აქვს. ამის მიხედვით თუ დავთვლით, 3 მილიონამდე ადამიანს გააქტიურებული უნდა ჰქონდეს ინტერნეტი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსახლეობის დაახლოებით 30%-ს ყოველდღიურად აქვს ინტერნეტთან შეხება.

დისკუსია, რომელიც მიმდინარეობს „ფეისბუქზე" და ბლოგებზე, არ გადმოდის რეალურ ცხოვრებაში. ყველანი შესულები ვართ „ფეისბუქზე", „ფორუმზე", „ვუკომენტებთ" და „ვუშეარებთ" ერთმანეთს მასალას, მაგრამ ყველაფერი იხარშება ერთ პატარა ქვაბში. ბლოგოსფეროზე თავად სოციალური ქსელების გავლენაზეც მინდოდა მეთქვა. ჩვენ ვამბობთ, რომ ბლოგებმა რაღაც უნდა გააკეთოს და მოსახლეობაში რაღაც შეცვალოს, მაგრამ გვავიწყდება, რომ „ფეისბუქმა" ჩაყლაპა ის პოტენციალი, რომელიც ბლოგოსფეროში უნდა წასულიყო. ადამიანები, რომლებიც გახდებოდნენ ბლოგერები და დაიწყებდნენ წერას ისეთ საკითხებზე, რომლებიც აინტერესებთ, ან რომელშიც ერკვევიან, გადასულები არიან „ფეისბუქზე", დისკუსია მიმდინარეობს იმ ფორმატში და მათ უკან ვეღარასოდეს წამოვიყვანთ. ბლოგოსფერო რუდიმენტულ დონეზე დარჩა და ალბათ დარჩება კიდეც საქართველოში.

სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს ვიტყვი პოლიტიკაზე ბლოგერებთან, რადგან, როგორც ვთქვი, ასეთი რამე არ არსებობს. თუმცა, პერიოდულად გვაქვს გამონათებები. ის ოთხი დამოუკიდებელი ბლოგერი და ჯამში 25, არის ხალხი, რომელიც ცდილობს კვირაში ერთხელ ან თვეში რამდენჯერმე განაახლოს თავისი ბლოგი და რაღაც მოგვაწოდოს, მაგრამ ყველაფერი ორ-სამ დღეში მთავრდება ხოლმე.

ნინო დანელია – რატომ არის საქართველოში ნაკლებად განვითარებული „ტვიტერი"? ამერიკის შეერთებულ შტატებში ის გაცილებით უფრო პოპულარულია, ვიდრე „ფეისბუქი".

გიგა პაიჭაძე – „ტვიტერის" პოპულარობა იმან განაპირობა, რომ პირდაპირ მობილური ტელეფონიდან, ინტერნეტში შეუსვლელად, შემეძლო სმს გამეგზავნა და ჩემი 5 ათასი მეგობრისთვის შემეტყობინებინა რას ვაკეთებ, ან რა მიჭირს. არის კიდეც შემთხვევები, როდესაც „ტვიტერის" საშუალებით გაუგიათ რომელიმე ქვეყანაში ჟურნალისტის დაჭერის ამბავი და შემდეგ გაუთავისუფლებიათ. ჩვენთან

ეს შეუძლებელი იყო და უნდა მჯდარიყავი ინტერნეტთან, რათა „ტვიტერზე“ შესულიყავი. დღეს სამივე მობილური ოპერატორიდან შესაძლებელია „ტვიტერზე“ სმს-ის გაგზავნა და პასუხების მიღება, მაგრამ, როგორც ვთქვი, „ფეისბუქმა“ ჩაყლაპა ის აქტიური ხალხი, რომელიც ყოველდღე ინტერნეტთან ზის. ამიტომ „ტვიტერის“ განვითარებაც შეფერხებულია ამ დიდი სოციალური ქსელის მიერ.

ჩემი აზრით, ცენზურა ყოველთვის ხელს უწყობს საინტერესო ინსტრუმენტების საინტერესოდ გამოყენებას და განვითარებას, დაწყებული იქიდან, როგორ ვითარდება მკაცრი ცენზურის ქვეშ კულტურა, ხელოვნება. დღეს ჩანს, როგორ შეიძლება განვითარდეს საზოგადოება და რა გზები შეიძლება გამოძებნოს თავის დასაღწევად. საქართველოში არ არის მკარი ცენზურა, ციხეში არავის სვამენ აზრის გამოხატვის გამო, როგორც მოხდა ეს რუსეთში, აზერბაიჯანში, ეგვიპტეში და სხვაგან. ამიტომ ჩვენთან სოციალური ქსელები ისე ვერ ვითარდება, საზოგადოება მათ ისე ვერ იყენებს, როგორც ეს მოხდა იმ ქვეყნებში, სადაც ცენზურამ ხალხი აიძულა, ეს ინსტრუმენტები გამოეყენებინა.

ნინო დანელია – ბევრს ლაპარაკობენ საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც იმის შესახებ, რომ შეიძლება, მედიის მიერ ინტერნეტსივრცის გამოყენებამ დაფაროს ჟურნალისტის ფუნქცია და მისი როლი საკუთარ თავზე აიღოს. სწორედ იმიტომ, რომ მომხმარებელს არა აქვს გარკვეული ტიპის განათლება, რა ინფორმაცია შეიძლება იყოს სანდო, რა შეიძლება ეფუძნებოდეს ფაქტებს და რა შეიძლება იყოს ბლოგერის სუბიექტური მოსაზრება. არა მგონია, ეს მარტო ინტერნეტის პრობლემა იყოს, იმიტომ რომ იგივე ხდება ტრადიციულ მედიაში. ფაქტის და მოსაზრების გარჩევა, სამწუხაროდ, ძალიან უჭირს მკითხველს, მაყურებელსა თუ მსმენელს.

ინტერნეტრესურსის გამოყენებამ კიდევ ერთი პრობლემა შექმნა, რასაც ჰქვია პირადი სივრცის შეზღუდვა. „ფეისბუქზე“, „გუგლზე“ დიდი სკანდალები ყოფილა იმასთან დაკავშირებით, რომ მესამე კომპანიებს აძლევენ თავიანთი მომხმარებლის შესახებ ინფორმაციას, რაც პრობლემებს ქმნის პირადი ინფორმაციის დაცვის თვალსაზრისით.

დავით სიჭინავა – ვისაუბრეთ პოლიტიკური კონიუნქტურის შესახებ ინტერნეტსივრცეში, მაგრამ ინტერნეტზე საუბრისას ალბათ არ უნდა დაგვა-

ვიწყდეს მთავარი ასპექტი, ინტერნეტმომხმარებლები, ადამიანები, რომლებიც სხედან კომპიუტერებთან, ინფორმაციას ეძებენ ან სოციალურ ქსელებში მოგზაურობენ.

მინდა წარმოგიდგინოთ აღწერილობითი ხასიათის პრეზენტაცია. ეს გახლავთ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ ჩატარებული ყოველწლიური „კავკასიის ბარომეტრის“ შედეგები, რომელიც ტარდება სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანაში. კვლევის ფარგლებში ვეკითხებით სხვადასხვა თემების შესახებ. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, 2011 წლის კვლევაში მოხვდა რამდენიმე კითხვა ინტერნეტისა და ინტერნეტმომხმარებლების შესახებ.

ვნახოთ, რა განსხვავებაა სამხრეთ კავკასიის შიგნით ქვეყნებს შორის. საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს გეოგრაფიული მდებარეობის გამო ერთ რეგიონად განიხილავენ, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 45%-ს გააჩნია მეტ-ნაკლები შეხება ინტერნეტთან. ბოლო სამი წლის განმავლობაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ზრდა იყო. ასევე იზრდებოდა მოსახლეობაში ინტერნეტმომხმარებლების რიცხვი სომხეთში. აზერბაიჯანში ეს ზრდა თითქმის მინიმალური იყო. თუმცა, შეიძლება დავა ამ მონაცემების შესახებ. არსებობს გაეროს მონაცემები, საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირის მონაცემები, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობის 37%-ს აქვს ინტერნეტთან წვდომა. ეს არის 2011 წლის მონაცემები. აზერბაიჯანში ამბობენ, რომ ასეთია მოსახლეობის 50%, მაგრამ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, ვინ გასცემს ამ ინფორმაციას. აზერბაიჯანის შემთხვევაში ეს არის სახელმწიფო სტატისტიკის სამმართველო, რომლის მონაცემებმაც შეიძლება კითხვები გაგვიჩინოს. ჩვენთან „ჯეოსტატი“ გასცემს, მაგრამ ალბათ ხვდებით, რომ ეს მეტ-ნაკლებად აკურატული ინფორმაციაა და მისი გადამოწმება შესაძლებელია სხვადასხვა წყაროებით.

მთავარი კითხვა, რომელიც დავუსვით ადამიანებს, არის, რამდენად ხშირად იყენებენ ინტერნეტს. ჩვენი მომდევნო ანალიზი დაფუძნებული იქნება ორი ჯგუფის, ინტერნეტის მომხმარებლების და ადამიანების, რომლებიც არ მოიხმარენ ინტერნეტს, შედარებაზე. განვიხილავთ დემოგრაფიულ, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ კითხვებს და ვნახავთ, თუ არის განსხვავება მათ მიმართ ამ ადამიანების დამოკიდებულებაში.

სამხრეთ კავკასიაში იმ ადამიანების რიცხვი, რომელიც არასოდეს იყენებს ინტერნეტს, ყველაზე მინიმალურია საქართველოში. აზერბაიჯანში ყველაზე მეტია ადამიანი, რომელმაც არ იცის, რას ნიშნავს ინტერნეტი.

დავუბრუნდეთ CRRC-ის კვლევის შედეგებს. საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობის 60%-ს აქვს წვდომა ინტერნეტზე, 51%-ს სხვა ქალაქებში. აქ იგულისხმება არა მარტო დიდი ქალაქები, არამედ საქალაქო ტიპის ყველა დასახლება. როგორც ხედავთ, სოფლის მოსახლეობა ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი ინტერნეტით და 20%-საც კი არ შეადგენს.

შემდეგ ვიღებთ მხოლოდ ინტერნეტმომხმარებლების ჯგუფს და ვარკვევთ, რომ მათი 66% საკუთარი კომპიუტერიდან შედის ინტერნეტში, ვხედავთ, რომ მნიშვნელოვანია მათი რაოდენობა, ვინც მეგობრის კომპიუტერით სარგებლობს ინტერნეტში შესასვლელად. სხვა ქვეყნების შემთხვევაში ეს ნიშნული მინიმალური იყო. მნიშვნელოვანი წილი მოდის სამსახურზე. მხოლოდ 5% შედის მობილური ტელეფონიდან.

მომდევნო და ალბათ ყველაზე საინტერესო კითხვა – რას აკეთებენ ინტერნეტმომხმარებელები ინტერნეტში შესვლისას. 50%-მა თქვა, რომ ინფორმაციას ეძებს, 40% ეტანება სოციალურ ქსელებს, ოღონდ „ფეისბუქს“ მხოლოდ 26% იყენებს.

საინტერესოა, რომ მესინჯერ-პროგრამების გამოყენება ძალიან აქტუალურია სომხეთში. შეიძლება ვიკამათოთ, რომ სომხეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ემიგრაციაშია და ეს ახლობლებთან დაკავშირების ერთ-ერთი წყაროა. საქართველოში ეს ფუნქცია შეიძლება „ფეისბუქს“ ჰქონდეს შეთავსებული.

ახლა ვნახოთ, ის ჯგუფი, რომელიც არ არის ინტერნეტმომხმარებელი, რატომ არ იყენებს ინტერნეტს. ამის მიზეზად უმეტესობა, დაახლოებით 35%, კომპიუტერის უქონლობას ასახელებს. 19%-მა განაცხადა, რომ არ აინტერესებს ან არ სჭირდება ინტერნეტი და 13%-მა აღიარა, რომ არ იცის, როგორ უნდა გამოიყენოს ინტერნეტი.

როგორია ამ ორი ჯგუფის დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხების მიმართ – ინტერნეტმომხმარებლების თითქმის 60% არის 18-დან 35 წლამდე ასაკის ადამიანები. 35% მოდის 36-დან 55 წლამდე ადამიანებზე, უფრო ხანშიშესულ ადამიანებზე კი – 8%.

ინტერნეტმომხმარებლების 48% დასაქმებულია. საქართველოში, ჩვენი კვლევის თანახმად, გამოკითხულთა დაახლოებით 35-40% აცხადებდა, რომ დასაქმებული იყო. ინტერნეტის არამომხმარებლების 70% მიიჩნევს, რომ დაუსაქმებელია.

ინტერნეტმომხმარებლების 39%-მა განაცხადა, რომ არა აქვს შემოსავალი. ამას შეიძლება მოვუძებნოთ რაციონალური ახსნა. რა თქმა უნდა, ამის გამოსარკვევად სხვადასხვა სტატისტიკური ტესტია საჭირო და ჩვენ არ ჩაგვიტარებია, რადგან ჩვენი პრეზენტაცია აღწერილობითი ხასიათისაა, მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ ასაკობრივ დაყოფას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახალგაზრდები, სტუდენტები უფრო აქტიური ინტერნეტმომხმარებლები არიან. თუ განვიხილავთ ოჯახის ან შიდამეურნეობის შემოსავალს, ინტერნეტმომხმარებლების ოჯახების შემოსავალი უფრო მაღალია, ვიდრე არამომხმარებლებისა. ინტერნეტის არამომხმარებლების ოჯახების ნახევარზე მეტის შემოსავალი არის 100 ამერიკულ დოლარამდე. მაშინ როცა ინტერნეტმომხმარებლების 9% აღნიშნავს, რომ 400 დოლარზე მეტი შემოსავალი აქვს მის ოჯახს. 18% – 250-დან 400 დოლარამდე. 27% – 100-დან 250 დოლარამდე. ეკონომიკური თვალსაზრისით, ინტერნეტმომხმარებლების ოჯახები შედარებით უკეთეს მდგომარეობაში არიან.

ასევე საინტერესოა განაწილება განათლების სტატუსის მიხედვით. მოსახლეობა დავყავით სამ ჯგუფად: ისინი, ვისაც გააჩნია საშუალო ან უფრო დაბალი განათლება, საშუალო ტექნიკური განათლება და უმაღლესი განათლება. ამ კითხვას თუ ინტერნეტის მოხმარების ჭრილში შევხედავთ, ვნახავთ, რომ არამომხმარებლების თითქმის ნახევარზე მეტს აქვს საშუალო ან უფრო დაბალი განათლება. ინტერნეტის მომხმარებლების 60%-ს აქვს უმაღლესი განათლება, ბაკალავრიატი ან უფრო მაღალი საფეხური.

ინტერნეტის მომხმარებლების 30% აცხადებს, რომ არ არის დაქორწინებული, რაც ადვილი ასახსნელია, თუკი გავითვალისწინებთ ახალგაზრდების წილს ინტერნეტმომხმარებლებს შორის.

რესპონდენტებს დავუსვით კითხვა, სურთ თუ არა საზღვარგარეთ დროებით წასვლა. ინტერნეტის მომხმარებლების 62% აცხადებს, რომ მას დროებით უნდა საზღვარგარეთ წასვლა, ასევე 62% არამომხმარებლებისა აცხადებს, რომ საერთოდ არ უნდა საზღვარგარეთ წასვლა, დროებითაც კი.

ინტერნეტმომხმარებლების 45% აცხადებს, რომ რელიგია მათ ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ასეთი პასუხი ინტერნეტის არამომხმარებლების მხოლოდ 37%-მა გასცა. ასევე გამოვიკვლიეთ დამოკიდებულება სხვადასხვა ინსტიტუციების მიმართ. იყო რამდენიმე პოლიტიკური კითხვაც, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავზომოთ დამოკიდებულება ამა თუ იმ პოლიტიკურ საკითხზე. თუკი შევხედავთ საქართველოში არსებული ინსტიტუტებისადმი ნდობას, მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოიკვეთება. განსხვავებები იკვეთება მხოლოდ საგანმანათლებლო სისტემისადმი, პრეზიდენტისადმი, ბანკებისადმი და სახალხო დამცველისადმი ნდობაში. პრეზიდენტისადმი ინტერნეტმომხმარებლები შედარებით უფრო ნეგატიურად არიან განწყობილები მათთან შედარებით, ვინც არ მოიხმარს ინტერნეტს. დანარჩენების შემთხვევაში საპირისპირო ტენდენცია გვაქვს – ინტერნეტმომხმარებლები უფრო დადებითად არიან განწყობილები ამ ინსტიტუტებისადმი.

გვქონდა კითხვა, რამდენად სამართლიანად ექცევა მთავრობა ხალხს. როდესაც ვსაუბრობთ პოლიტიკურ კითხვებზე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ინტერნეტის არამომხმარებლებში გვაქვს საკმაოდ მაღალი „არ ვიცის“ წილი. ინტერნეტის არამომხმარებლები შედარებით ნაკლებად არიან ინფორმირებულები ამ საკითხებთან დაკავშირებით და, შესაბამისად, არ აქვთ ჩამოყალიბებული საკუთარი აზრი. ინტერნეტმომხმარებლებში უფრო მეტს მიაჩნია, რომ მთავრობა სამართლიანად ექცევა ხალხს.

სასამართლოს მიმართ დამოკიდებულება – ინტერნეტის არამომხმარებელთა 44% აცხადებს, რომ არ იცის, როგორი სასამართლოა საქართველოში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტმომხმარებლების 42% აცხადებს, რომ სასამართლო მიკერძოებულია, რაც ყურადსაღები ფაქტია.

ასევე გვქონდა კითხვები, რომლებიც ზომავდა მოსახლეობის პოლიტიკურ ორიენტაციას. იყო ასეთი კითხვა – როგორია თქვენი დამოკიდებულება კონკურენციისადმი. ინტერნეტის მომხმარებლები უფრო აცხადებდნენ, რომ კონკურენცია კარგია.

ინტერნეტმომხმარებლების 58% მიიჩნევს, რომ საწარმოების უმეტესობა კერძო საკუთრებაში უნდა იყოს. ინტერნეტის არამომხმარებლების 26% ამბობს, რომ საწარმოების უმეტესობა უნდა იყოს მთავრობის ხელში.

ინტერნეტმომხმარებლების 35% აცხადებს, რომ ხალხმა უნდა მიიღოს საპროტესტო აქციებში მონაწილეობა, თუმცა გასათვალისწინებელია უარისა და „არ ვიცის“ საკმაოდ დიდი მოცულობა, განსაკუთრებით ინტერნეტის არამომხმარებლებს შორის.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად სწორი მიმართულებით ვითარდება საქართველოში პოლიტიკა, ინტერნეტმომხმარებლების 46% და არამომხმარებლების 45% აცხადებს, რომ საქართველოში პოლიტიკა სწორი ან მეტ-ნაკლებად სწორი მიმართულებით ვითარდება. მნიშვნელოვანია მოსახლეობის დამოკიდებულება პოლიტიკური აქტივობისადმი. ორივე ჯგუფის დაახლოებით 85%-მა თქვა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში, თუკი ის უახლოეს კვირაში ჩატარდებოდა, აუცილებლად მიიღებდა მონაწილეობას.

მნიშვნელოვანი განსხვავებები არც აქ გამოკვეთილა. ინტერნეტმომხმარებლების მხოლოდ 46% ფიქრობს, რომ საქართველოში არის დემოკრატია, მაგრამ დიდი პრობლემებით, მაშინ როცა ინტერნეტის არამომხმარებლების მხოლოდ 40% ფიქრობს ასე. აქაც არის „არ ვიცის“ საკმაო დიდი წილი.

კვლევის მონაცემები საჯაროა და შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებგვერდზე, ასევე შეგიძლიათ ნახოთ ჩვენი ბლოგი, სადაც ბევრი საინტერესო თემაა. შეჯამებისთვის ვიტყვი, რომ რეგიონული განსხვავება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში საკმაოდ გამოხატულია. საქართველოში ბევრად უფრო მეტი ადამიანი მოიხმარს ინტერნეტს. საკმაოდ ნიშანდობლივი იყო ის, რომ ინტერნეტის არამომხმარებლები ნაკლებად ინფორმირებულები არიან და, შესაბამისად, უჭირთ საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბება.

ნინო დანელია – ბატონო დავით, თქვენ ბრძანეთ, რომ ინტერნეტმომხმარებლები უფრო ინფორმირებულები არიან, ვიდრე ისინი, ვინც არ მოიხმარს და ეს გამოჩნდა კითხვებში კონკრეტულ სფეროებზე. გვაძლევს თუ არა ეს ინფორმაცია იმის თქმის და განზოგადების საშუალებას, რომ ინტერნეტის მომხმარებელი უფრო მეტად არის ინფორმაციის მაძიებელი ან უფრო მეტად აქტიური და დაინტერესებულია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ან არაპოლიტიკური პროცესებით?

დავით სიჭინავა – სამწუხაროდ, „კავკასიის ბარომეტრის“ მონაცემები საშუალებას არ გვაძლევს ვისაუბროთ იმაზე, რამდენად აქტიურია ან რამდენად

შეესაბამება პირის ინტერნეტჩართულობა მის ჩართულობას საზოგადოებრივ საქმიანობაში. თუმცა ამ შედეგების მიხედვითაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათი ინფორმირებულობის ხარისხი უფრო მეტია და რაც უფრო მეტი ინ-ფორმაცია გაქვს, მით მეტი გინდა მოიპოვო.

გიგა პაიჭაძე – ერთადერთი, იმის თქმა შემიძლია, რომ ადრე რომ უბნის ბირჟები გვქონდა, დღეს ეს ფუნქცია ოცდაოთხსაათიან რეჟიმში შეითავსა ინ-ტერნეტმა. ინტერნეტმომხმარებელი თავისდაუნებურად ხდება ინფორმაციის ნაკადის მონაწილე. ხშირად შეიძლება არც უნდოდეს ინფორმაციის მიღება, ბევრი უნივერსიტეტი სალექციო კურსებსაც სთავაზობს ინტერნეტით. ხში-რად ადამიანმა არც იცის ამის შესახებ, მაგრამ სოციალური ქსელის მთავარი პლუსი დღეს ის არის, რომ ჩემი მეგობრები განაპირობებენ იმ ინფორმაციის მოცულობას და ხარისხს, რასაც მივიღებ. ანუ, თუ „სწორი“ მეგობრები მყავს, მით უფრო სწორ და სასარგებლო ინფორმაციას მომაწვდიან და ბევრ საინ-ტერესო რამეს შევიტყობ. შეიძლება რაღაც ვერც კი წარმომედგინა, მაგრამ ავტომატურად ვიღებ ინფორმაციას. გვინდა თუ არა, ჩვენ თვითონ ვხდებით ამის მატარებელი, როდესაც „ვალაიქებთ“ და „ვაშეარებთ“ რაღაცას. აქედან გამომდინარეობს ის ტენდენცია, რომ ინტერნეტის მომხმარებლები ყოველთ-ვის მეტად ინფორმირებულები იმიტომ კი არ არიან, რომ უნდოდათ რაღაცის გაგება, უფრო მეტი რაღაცის შესახებ სმენიათ და უნახავთ.

ლაშა ქავთარაძე, ბლოგერი – ჩემი პირადი დაკვირვებიდან ვიტყვი, რომ დღეს გაცილებით უკეთ აცნობიერებს ინტერნეტის, როგორც რესურსის მნიშ-ვნელობას ხელისუფლება, ვიდრე ოპოზიცია. არა მხოლოდ „ფეისბუქის“ სა-შუალებით, არამედ ბლოგერებთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ათამდე შეხვედრა მახსენდება, როდესაც ბლოგე-რები დაპატიჟეს საგუნდაოდ, გასართობად და, თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან ბევრის კეთილგანწყობაც მოიპოვეს.

გიგა პაიჭაძე – პირადად ვარ ნამყოფი ორ მინისტრთან შეხვედრაზე. ერთი იყო არაფორმალური, სამუშაო დროისა და სივრცის გარეთ, ბრეინსტორმინ-გის ფორმატი იყო, შედეგად ბლოგზე არაფერი დამიწერია და არც ინფორმა-

ცია გამივრცელებია მის შესახებ. უნდოდათ იდეების შეგროვება იმის თაობაზე, თუ რა ფორმებით შეუძლია იმ კონკრეტულ სამინისტროს სოციალური მედიის გამოყენება თავისი მიზნების განხორციელებისთვის. ეს იყო ეკონომიკის განვითარების სამინისტროს შეხვედრა და ეხებოდა კონკრეტულად ტურიზმის თემას. მეორე შეხვედრა, ნიკა გილაურთან, მისი პრემიერმინისტრობის დროს იყო. ყველანი ვისხედით მრგვალ მაგიდასთან, დრო შეზღუდული იყო და მხოლოდ ორ-ორი კითხვის დასმის საშუალება გვქონდა. რამდენიმე მწვავე კითხვაც დაისვა. როგორც ხდება ხოლმე ქართველ პოლიტიკოსებთან შეხვედრისას, პირდაპირი პასუხები ამ კითხვებზე არ ყოფილა. ეს უფრო იყო პიარის მიზნით შეხვედრა. თუმცა მიმაჩნია, რომ მაინც ძალიან საინტერესო იყო და სახლში რომ მოვედი, დავწერე პოსტი ამის შესახებ, თუ რა გვითხრეს, რა ვკითხეთ და რა გვიპასუხეს ან არ გვიპასუხეს. ბლოგერებსაც აქვთ თავიანთი დაუწერელი კანონები, რომლებიც მეტ-ნაკლებად იმეორებს ჟურნალისტური ეთიკის სულისკვეთებას.

ბლოგერები ჰეტეროგენური ჯგუფია, ისევე როგორც ყველა, ვისაც გვაცვია ჯინსები. არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა, ვისაც ჯინსი აცვია, ერთნაირია.

ნინო დანელია – სულ არის ლაპარაკი იმაზე, რომ სოციალური ქსელების გაჩენასთან ერთად, რამაც ბევრი დადებითი მოიტანა ჩვენს ცხოვრებაში, ასევე წაიშალა ზღვარი პიარს, მარკეტინგსა და ინფორმაციას შორის. რამდენად არის რისკი, რომ ასეთი შეხვედრების დროს გახდეთ სხვადასხვა ორგანიზაციების პიარის ან მარკეტინგული გეგმის შემადგენელი ნაწილი. იქნებ ეს საერთოდ არ არის პრობლემა. საერთოდ, რამდენად განიხილავთ ამ საკითხებს ერთმანეთში.

გიგა პაიჭაძე – რა თქმა უნდა, ამაზე არის ხოლმე დისკუსიები. ყოველთვის მოიძებნება ხალხი, რომელიც უარს ამბობს ასეთ შეხვედრებში მონაწილეობაზე და პირიქით. სოციალურ მედიას თუ განვიხილავთ პიარის ინსტრუმენტად, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის არის კიდევ ერთი ახალი მედიუმი, ეს არის დამატებითი ინსტრუმენტი, რომელსაც ახლა ყველანი ერთად ვეჩვევით და ვცდილობთ გავიგოთ, სადამდე გადაიღუნება ეს ჯოხი და გატყდება თუ არა. შესაბამისად, ჯერ ბოლომდე არ ვიცით, როგორ უნდა გამოვიყენოთ იგი.

გუგა გოგია, სტუდენტი – ამერიკაში ვსწავლობ და თბილისში ზაფხულობით ჩამოვდივარ დასასვენებლად. ამიტომ ინტერნეტი ჩემთვის ინფორმაციის მთავარი წყაროა.

ქართული პოლიტიკური პროცესების შესახებ, მაგალითად, „ქართული ოცნების“ შესახებ ინფორმაცია ინტერნეტით მივიღე.

ერთ განსხვავებაზე მინდა მივუთითო, ამერიკაში იდეოლოგიებს შორის ომი მიმდინარეობს, საქართველოში კი პიროვნებებს შორის. ბლოგერებიც პიროვნებებზე ლაპარაკობენ და არა პოლიტიკურ შეხედულებებზე. საერთოდ, საქართველოში ნაკლებად აქვთ პოლიტიკური შეხედულებები, აქ უფრო იმაზეა ლაპარაკი, ერთი მესიის გჯერა თუ „მესია 2“-ის, რაც ბევრ პრობლემას წარმოშობს. ამის გამო ბლოგინგის შემოსვლა აქ ნაადრევია.

კორნელი კაკაჩია – რამდენიმე საინტერესო საკითხი წამოიჭრა. მაგალითად, შეიძლება თუ არა ბლოგერი ჩართული იყოს პოლიტიკურ ბრძოლაში. მე მგონი, „უბიწოების“ პრობლემა ბლოგერებმა საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაძლიონ, იმიტომ რომ არაფერი სამარცხვინო არ არის იმაში, თუ პოლიტიკური ბლოგერი იქნები. ასევე არ არის პრობლემა ის, რომ მიკერძოებული იყო. შეიძლება მოგწონდეს ესა თუ ის პარტია და ლიდერი, ეს არ არის პრობლემა. ამისგან არ უნდა შევქმნათ ტრაგედია.

გიგა ხოსიტაშვილი, ილიას უნივერსიტეტის სტუდენტი – ერთ-ერთმა მომხსენებელმა ახსენა, რომ ზოგჯერ ადამიანები გაურბიან სოციალურ ქსელში თავიანთი პოლიტიკური მოსაზრებების გამოქვეყნებას. იდენტიფიკაციის ხომ არ ეშინიათ? რამდენად დაცულია „ინტერნეტიუზერების“ პირადი მონაცემები საქართველოში?

ინფორმაციის სახით ვიტყვი, სხვაგან არ ვიცი, მაგრამ ილიას უნივერსიტეტში უკვე მესამე წელია არსებობს სავალდებულო საგანი „საინფორმაციო წიგნიერება“, სადაც სოციალური მედიის და ბლოგების გამოყენებას ასწავლიან.

გიგა პაიჭაძე – იმ კუთხით, რასაც თქვენ გულისხმობთ, პირადი ინფორმაცია კანონმდებლობით დაცული არ არის. შარშან რამდენიმე კანონში შევიდა ცვლილება. ერთ-ერთია „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანო-

ნი“, სადაც ეს ცვლილება რამდენიმე მუხლშია გაწერილი. საგამოძიებო ორგანოებს აქვთ უფლება, მოსამართლის წინასწარი ნებართვის გარეშე აწარმოონ თქვენი ინტერნეტტრაფიკის როგორც „ჰარდვერული“, ისე „სოფტვერული“ ფილტრაცია. ანუ პროვაიდერის მხარეს შეუძლიათ დააყენონ ისეთი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ჩაიწერს ყველა იმ ვებსაიტს და ინფორმაციას, რომელსაც ნახულობთ და გადასცემთ, ან შეუძლიათ ცალკე სერვერი დააყენონ, რომელიც მხოლოდ იმაზე იქნება მომართული, რომ თქვენი ტრაფიკი გაფილტროს. რა თქმა უნდა, აღარავის სჯერა იმ ლეგენდების, რომ „სკაიპი“ არ ისმინება და ა.შ. თუ ხართ სახელმწიფოებრივად საშიში ელემენტი, თქვენ შესახებ ყველაფერი, „იქ, სადაც საჭიროა“, უკვე იციან. ეს პრობლემა საერთაშორისო დონეზეც დგას. ამერიკის მთავრობა ეჭიდავება „გუგლს“, „მაიკროსოფტს“ და სხვებს – სთხოვს ინფორმაციას, ისინი არ აძლევენ, იხდიან უზარმაზარ ჯარიმას, და ა.შ. დღეს გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „სკაიპმა“ უკვე ოფიციალურად გააფორმა ამერიკის მთავრობასთან შეთანხმება, რომ ყველანაირ ინფორმაციას გადასცემს, როგორც კი ფედერალური საგამოძიებო ორგანოები მოსთხოვენ.

„ვარდების რევოლუციის“ მემკვიდრეობა: რეტროსპექტული ანალიზი და ხედვა მომავალი განვითარებისთვის

ძირითადი მომხსენებლები:

დავით ზურაბიშვილი

საქართველოს რესპუბლიკური პარტია

გიორგი მელაძე

თავისუფლების ინსტიტუტი

მანანა ნაჭყებია

ახალი მემარჯვენეები

ლაშა ჩხარტიშვილი

უფლებადამცველი

მოდერატორი:

გოგი გვახარია

21 ნოემბერი, 2012

გოგი გვახარია – დისკუსია, რომლის მომხსენებლებიც ომბუდსმენობის კანდიდატები იყვნენ, გაჭედილ დარბაზში ჩატარდა. დღეს ასე არ არის. როგორც ჩანს, ნიშანდობლივია, რომ ქართული საზოგადოება არ არის დაინტერესებული „ვარდების რევოლუციის“ თემით. ეს ცალკე საკითხია და თუ დრო დაგვრჩება, შეიძლება ამაზეც ვიმსჯელოთ.

მანანა ნაჭყებია – ცხრა წელი გავიდა, მაგრამ „ვარდების რევოლუციის“ თემა არ კარგავს აქტუალობას. ინტერესი ალბათ შენელდა, მაგრამ ასეა თუ ისე, „ვარდების რევოლუცია“ მაინც რჩება და ალბათ მომავალშიც დარჩება თემად, რომელიც იქნება განხილვის საგანი. თუმცა, ცალსახად შემიძლია განვაცხადო, რომ იმ პოლიტიკურმა პარტიებმაც კი, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულები „ვარდების რევოლუციის“ პროცესში, პირველებმა თვითონ გააკეთეს განცხადებები, რომ ეს არცთუ ისე „ვარდისფერი“ რევოლუცია იყო. თუ არ ვცდები, ბატონ ლევან ბერძენიშვილს მოხსენებაც ჰქონდა ამის თაობაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში. „ვარდების რევოლუციიდან“ ძალიან მალე, განიხიბლა ბევრი ისეთი ადამიანი, რომელიც უშუალოდ იყო მასში ჩართული.

მოგახსენებთ, რას ემყარებოდა „ახალი მემარჯვენეების“ მაშინდელი პოზიცია „ვარდების რევოლუციის“ მიმართ. მე არა ვარ „შეთქმულებების თეორიის“ მომხრე და ძალიან ნეგატიურად ვუყურებ საზოგადოებაში გავრცელებულ ხმებს. მერწმუნეთ, ძალიან ბევრი რამ არის ჭორი და ვარაუდი, რომელსაც ადამიანები ცდილობენ სათავისოდ მოაბან ყური. ჩვენს ოფისში დღესაც დგას მაგიდა, რომელსაც ისტორიულს ვუწოდებთ იმის გამო, რომ მასთან მჯდარა უკანასკნელი წლების თითქმის ყველა პოლიტიკოსი. ძალიან ბევრი რამ ახსოვს ამ მაგიდას, ბევრია ადამიანი, რომელიც აფიქსირებდა საკუთარ პოზიციას.

ცხადია, ქვეყანას სჭირდებოდა ცვლილებები, აუტანელი სტაგნაცია იყო. ფაქტობრივად, არ ჩანდა მომავალი. და სწორედ ამან განაპირობა, რომ „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენლები, არა როგორც „მოქალაქეთა კავშირის“ წევრები, არამედ როგორც „მოქალაქეთა კავშირის“ სიით გასული ლიდერები, ძალიან მალე გაემიჯნენ ამ სიტუაციას. მათ დაინახეს, რომ ახალი სახეები იმისთვის სჭირდებოდათ, რომ უფრო დიდი რაოდენობით მოსულიყვნენ პარლამენტში და არავის სჭირდებოდა მათი აქტიურობა, სიახლე და ცვლილებები. მათ გასაგებად უთხრეს, რომ არაფერს დაეკითხებოდნენ. ამიტომ ამ ადამი-

ანებმა, როგორც კი დაინახეს, რომ იყვნენ ერთგვარი ანტურაჟი, პროტესტი გამოხატეს და ოპოზიციაში გადავიდნენ.

„ვარდების რევოლუციის“ წინ „მოქალაქეთა კავშირს“ ხელში ჰქონდა ჩაგდებული ყველაფერი. მოხდა ის, რაც საბჭოთა პერიოდში ხდებოდა, როდესაც კომპარტია და სახელმწიფო ერთი იყო. ჩვენს შემთხვევაში „მოქალაქეთა კავშირი“ და სახელმწიფო გაერთიანდა და შეეზარდა ერთმანეთს, კლანურ-პარტიული მმართველობა ჩამოყალიბდა. ამის შესაცვლელად საჭირო იყო საარჩევნო გარემოს შეცვლა და ჩვენ ყველანი ერთად ვმონაწილეობდით ამ პროცესში. მაშინ „ხორუმის ბიჭებიც“ კი დაარქვეს მათ, ყველანი ხელებაწეულები რომ იდგნენ ერთად. ვერ გეტყვით, ის ფორმულა რამდენად სწორი იყო, ან რამდენად ქმნიდა „მოქალაქეთა კავშირის“ პოლიტიკური ასპარეზიდან გაშვების შესაძლებლობას, მაგრამ რეალობა ასეთი იყო – 2 ნოემბერს პარლამენტში გავიდა ექვსი პოლიტიკური ძალა – „ნაციონალური მოძრაობა“, „აღორძინება“, „მოქალაქეთა კავშირი“, „ბურჯანაძე – დემოკრატები“, „ლეიბორისტული პარტია“ და „ახალი მემარჯვენეები“. თუ არ ვცდები, 22% ჰქონდა „მოქალაქეთა კავშირს“, 18% – „ნაციონალურ მოძრაობას“, დანარჩენ პარტიებს გადალახული ჰქონდათ 7%-იანი ბარიერი.

ჩვენი პოზიცია ასეთი იყო – დავყაბულებულიყავით ამ მოცემულობას, მომხდარიყო პარლამენტის ლეგიტიმაცია, გაგვეგრძელებინა ბრძოლა ლეგიტიმურ ჩარჩოებში და არ ამოვვარდნილიყავით კონსტიტუციური ჩარჩოებიდან. იმიტომ რომ თავიდანვე ნათლად ჩანდა, რომ თუ ამ სიტუაციაში პოლიტიკურ ბრძოლას დავიწყებდით და არჩევნების შედეგების აუღიარებლობაზე წავიდოდით, აუცილებლად გამოჩნდებოდა რომელიმე პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელში ჩაიგდებდა სადავეებს და ყველაფერი განმეორდებოდა, უბრალოდ, „მოქალაქეთა კავშირის“ ნაცვლად სხვა ძალა მოვიდოდა და ქვეყანაში ერთპარტიული მმართველობა გაგრძელდებოდა. ჩვენ ვამბობდით, პარლამენტს თავი ლეგიტიმურად ეცნო, მაგრამ პირველივე სხდომაზევე გამოეცხადებინა, რომ რადგან არჩევნები ტოტალურად გაყალბდა, ახალი არჩევნები დაგვენიშნა. მაშინდელ პარლამენტს ამის ლეგიტიმური უფლება ჰქონდა. თუმცა, ჩვენი მეგობრები ამბობდნენ, რომ ეს ისეთი გაყალბება იყო, რომლის შედეგების ცნობაც არ შეიძლებოდა და არ უნდა გავჩერებულიყავით ამაზე. მოხდა ის, რაც მოხდა.

კარგად იცით, როგორ მიმდინარეობდა პროცესები 2-დან 22 ნოემბრის [2003 წლის] ჩათვლით. აქ მოხდა ის, რასაც ყველაზე მეტად ვუფრთხოდით. გამოიკვეთა ერთი პოლიტიკური ლიდერი, რომლის ირგვლივაც ყველა დაირაზმა. გამოიკვეთა ერთი პოლიტიკური ძალა. მართალია, ის მაშინაც კოალიციის სახით იყო წარმოდგენილი, კოალიცია მრავალპარტიულობას თავისთავად გულისხმობს, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ როგორც კი მოხდა „ვარდების რევოლუცია“ და წავიდა შევარდნაძე, ის მაჟორიტარი დეპუტატებიც კი, რომლებიც „მოქალაქეთა კავშირის“ მიერ იყვნენ გაყვანილები, ერთ დღეში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები გახდნენ და თქვეს, რომ „მოქალაქეთა კავშირთან“ წარსულის გარდა აღარაფერი აკავშირებდათ. შედეგად, პარლამენტში მივიღეთ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთპარტიული მმართველობა, რომელმაც, ჩემი აზრით, ქვეყანას ძალიან ბევრი ცუდი რამ მოუტანა.

დაახლოებით ექვს თვეში დაიწყო კოალიციის დაშლა. პირველმა კობა დავითაშვილმა გამოთქვა პროტესტი, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მიხეილ სააკაშვილი და ის გუნდი, რომელიც სათავეში ედგა „ვარდების რევოლუციას“, მყარად ინარჩუნებდა თავის პოზიციებს. ძალიან ბევრი ადამიანი ერთიანდებოდა მის ირგვლივ არა იმიტომ, რომ მასზე მზე და მთვარე ამოსდიოდა, არამედ იმიტომ, რომ ყველას გვახასიათებს ადამიანური სისუსტეები და ყველამ მიიჩნია, რომ „მოქალაქეთა კავშირის“ წევრობა მათ აღარაფერს მოუტანდა. ამ ძალამ, მიუხედავად იმისა, რომ „რესპუბლიკური პარტია“, „კონსერვატიული პარტია“, კობა დავითაშვილი გამოეყო, მაინც შეინარჩუნა ერთპარტიული მმართველობა ცხრა წლის განმავლობაში. ეს აღიქმებოდა ჩვენი მხრიდან ყველაზე სერიოზულ საფრთხედ და ეს საფრთხე გამართლდა.

მიგვაჩნია, რომ მიხეილ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ თუ ნებისმიერი სხვა პოლიტიკური ლიდერი, რომელიც მოვა ნდობის ასეთი დიდი მანდატით, რევოლუციური გზით, აუცილებლად ხელში ჩაიგდებს აბსოლუტურ ძალაუფლებას, და ქვეყანაში რეალობა, სამწუხაროდ, არ შეიცვლება.

ეს ყველაფერი ცხრა წელი გაგრძელდა. ბუნებრივია, დაუსრულებლად ვერ გაგრძელდებოდა. „ოქტომბრის რევოლუციის“, არჩევნების წინ მომწიფდა სიტუაცია ამ ყველაფრის შესაცვლელად. სიტყვა „რევოლუცია“ შემთხვევით არ წამომცდენია. არსებობს ასეთი შეფასებები საერთაშორისო მედიაში. ბევრი მიიჩნევს, რომ ის, რაც პირველ ოქტომბერს [2012 წლის 1 ოქტომბრის საპარ-

ლამენტო არჩევნები] მოხდა, „ელექტორალური რევოლუცია“ იყო. მოგახსენებთ, რა პოზიცია ჰქონდათ „ახალ მემარჯვენეებს“. ვინაიდან, სამწუხაროდ, ძალიან მწარე გამოცდილება გვაქვს იმისა, რომ ხისტად ვაკეთებთ ხოლმე აქცენტს პიროვნებაზე, არ გვინდოდა ხისტად გამოკვეთილიყო რომელიმე ერთი პოლიტიკური ლიდერის როლი, რაც მაინც მოხდა.

ჩვენ გვსურდა, რომ კოალიციის შემადგენელი პოლიტიკური პარტიები მხოლოდ ერთი ლიდერის ქვეშ გაერთიანებული პოლიტიკური პარტიები კი არ ყოფილიყვნენ, არამედ სხვა პოლიტიკური პარტიებიც, სხვა ლიდერებით და აქ ყოფილიყო კონსენსუსი და არა ერთი ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. რაც მთავარია, გვინდოდა მიგვეღო მრავალპარტიული პარლამენტი. რა თქმა უნდა, წინგადადგმული ნაბიჯია, რომ დღეს პარლამენტში არა ერთი, არამედ ორი პოლიტიკური ძალაა, ისევე როგორც უდავოა ისიც, რომ ქვეყანამ წინ გადადგა ნაბიჯი და მოსალოდნელია დემოკრატიული ინსტიტუტების ხელახლა აღდგენა და მშენებლობა, რისი პერსპექტივაც ნათლად გამოიკვეთა, მაგრამ საფრთხეები, სამწუხაროდ, მაინც დარჩა.

მიუხედავად იმისა, მმართველი კოალიცია შეინარჩუნებს თუ არა ერთიანობას, მაინც შეიძლება მოხდეს ის, რაც „ვარდების რევოლუციის“ დროს მოხდა. ბირთვი, რომელიც მაინც შეძლებს ძალაუფლების შენარჩუნებას, აღმოჩნდეს ბიძინა ივანიშვილის ხელში და მას ჰქონდეს უმრავლესობა. ვხედავ იმის საფრთხესაც, და ამის გამოხატვის უფლებას მაძლევს ზესტაფონში, წალკაში, თეთრიწყაროში მიმდინარე მოვლენები, რომ ადგილი აქვს სულსწრაფობას, ვიღაცებს სურთ, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზეც „ქართული ოცნება“ იყოს წარმოდგენილი. საუბარია იმაზეც, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმაც უნდა გადმოიწიოს.

მიმაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ძნელი ასატანია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ კოტე კუბლაშვილი, ერთგული უნდა დავრჩეთ იმისა, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არჩეული უნდა იყოს ან დიდი ვადით ან უვადოდ.

სამწუხაროდ, ის, რაც თავიდანვე ითქვა, რომ „შუა უნდა გაიკრიფოს“ და სხვა არავინ უნდა დარჩეს, გარდა ამ ორი პოლიტიკური ძალისა, შესრულდა და, ჩემი აზრით, შესრულდა ქვეყნისთვის არასასიკეთოდ. ამ საშიშროებას ვხედავ. ასეთივე საშიშროებას ვხედავ მედიასთან დაკავშირებითაც. შეიძლება პა-

რადოქსულ რაღაცას ვამბობ, მაგრამ აბსოლუტურად ვეთანხმები მერაბ მეტრეველს, რომელმაც ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში განავითარა აზრი, რომ „რუსთავი2“ უნდა დარჩეს „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის ქვეშ არსებულ ტელევიზიად. არ მგონია, რომ დღეს ქვეყანაში მისი თავდაპირველი მფლობელის ვინაობის გამორკვევის საჭიროება იყოს. მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა იყოს განსხვავებული აზრის მქონე ტელევიზიები, რომ არ დაგვემართოს ის, რაც თავის დროზე დაგვემართა „ნაციონალური მოძრაობის“ დროს.

დავით ზურაბიშვილი – შევეცდები, იმ თემატიკით შემოვიფარგლო, რაც ჩვენი დისკუსიით არის განსაზღვრული, ანუ ვისაუბრებ „ვარდების რევოლუციაზე“, მოლოდინებზე, რეალობაზე და შედეგებზე, რომელიც მივიღეთ. ვიდრე უშუალოდ „ვარდების რევოლუციაზე“ ვილაპარაკებდეთ, ალბათ უნდა ვისაუბროთ ზოგად ტენდენციებზე, იმაზე, თუ რა სიტუაცია იყო. ვიტყოდი, რომ ძალიან მძიმე სიტუაცია იყო. პრაქტიკულად, ქართული სახელმწიფოებრიობის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა იმ გაგებით, რომ მსოფლიოში თითქმის უკვე ჩამოყალიბებული იყო აზრი საქართველოზე, როგორც არშემდგარ სახელმწიფოზე.

ქალბატონმა მანანამ კი ბრძანა, რომ „მოქალაქეთა კავშირის“ შეზრდა მოხდა სახელმწიფოსთან, რასაც მე ვერ დავეთანხმები, ეს ალბათ „ნაციონალურ მოძრაობას“ უფრო შეეფერება. ის უფრო შეეზარდა სახელმწიფო სტრუქტურებს, როგორც ერთი ძალა. „მოქალაქეთა კავშირი“, მაშინ ასოცირებული იყო ზურაბ ჟვანიასთან, მიხეილ სააკაშვილთან, ამ ჯგუფთან. ბუნებრივია, შევარდნაძის პარტია იყო, მაგრამ ნაკლებად იყო ასოცირებული ისეთ ადამიანებთან, როგორებიც არიან მირცხულავა [დავით მირცხულავა, საქართველოს ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი], რეზო ამაშუკელი, თუმცა „მოქალაქეთა კავშირში“ ისინიც იყვნენ. ეს იყო ძალაუფლების ერთ-ერთი კომპონენტი. მას ჰქონდა თავისი სეგმენტი, ჰყავდა თავისი ხალხი, გამგებლების სახით, პოლიციაშიც ჰყავდა თავისი ხალხი, მაგრამ იყო სხვა ჯგუფებიც, რომლებსაც ასევე ჰყავდა თავისი ხალხი. ცენტრალიზებული ერთი ვერტიკალი ქვეყანაში არ ყოფილა. შევარდნაძე იდგა ამ ვერტიკალის სათავეში, ცდილობდა სხვადასხვა კლანებისთვის, მათ შორის, საკუთარი სანათესავო კლანისთვისაც, წილები მი-

ეცა, არავისთვის მიეცა განსაკუთრებულად გაძლიერების საშუალება, მაგრამ ეს პრაქტიკულად ანგრევდა ქვეყანას. ამას უნდა დავუმატოთ ასლან აბაშიძე, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ ცენტრალური მმართველობის გარეთ იმყოფებოდა. ჩოლოქი პრაქტიკულად საზღვარი იყო. ჩოლოქს იქით საქართველოს კანონები არ მოქმედებდა, მოქმედებდა ის კანონები, რასაც ასლან აბაშიძე მოისურვებდა. ასეთ რეალობაში ვიყავით.

ამ რეალობაში, 2003 წლის საპარლამენტო არჩევნები, ითვლებოდა, რომ გარდამტეხი უნდა ყოფილიყო. დემოკრატიის მთავარ რესურსად აღიქმებოდა „მოქალაქეთა კავშირის" ერთი ნაწილი, რომელშიც შედიოდნენ ზურაბ ჟვანია, მიხეილ სააკაშვილი, არასამთავრობო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოება, მედიის ნაწილი. დემოკრატიის რესურსს შესაძლოა ასევე შეადგენდა ის პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც საკმაოდ მკვეთრად უპირისპირდებოდა მიხეილ სააკაშვილს და ზურაბ ჟვანიას, მაგრამ ძირითადად, მაინც, როგორც ამ იდეალების ერთგულზე, ამ ჯგუფზე იდებოდა ფსონი. ასეთი კონფიგურაცია იყო მანამდე.

რასაკვირველია, ჯობდა ყველაფერი არჩევნების გზით მომხდარიყო. დამავიწყდა მეთქვა, ეს იყო ტოტალურად კორუმპირებული სისტემა. კორუფცია ყველა დონეზე იყო გამჯდარი და ამ მხრივ სრულიად აუტანელი ვითარება იყო შექმნილი. მეორე მხრივ, ასევე იყო კრიმინალური კლანების ძალაუფლებაც. შეგახსენებთ, ენერგოკრიზისის პერიოდში ქუთაისში ტერმინიც კი არსებობდა „ქურდების დენი". ძალიან მძიმე ვითარება იყო. ყოველივე აქედან გამომდინარე, პროტესტი საზოგადოების მხრიდან, რომელიც არჩევნების გაყალბებას მოჰყვა, ძალიან გულწრფელი იყო. ძალიან შორს ვარ „შეთქმულების თეორიებისგან", იმიტომ რომ შიგნიდან ვუყურებდი და კარგად ვიცი, როგორ ვითარდებოდა ეს პროცესები. მიხეილ სააკაშვილი არ ყოფილა თავიდან ორიენტირებული იმაზე, რომ ხელისუფლება მაინცდამაინც რევოლუციის გზით შეცვლილიყო. მისი მოთხოვნა არჩევნებში მისი გამარჯვების და პირველი ადგილის აღიარება იყო. ამას შევარდნაძე და ხელისუფლება ცოცხალი თავით არ დათანხმდა, უფრო მეტიც, ისე მოხდა, რომ მეორე ადგილზე „აღორძინება" გავიდა. აჭარიდან ჩამოსულმა ასლან აბაშიძის მომხრეთა ხმებმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა, რამაც გადაწყვიტა ძალიან ბევრი რამ. ამას მოჰყვა შევარდნაძის აშკარა გადახრა ასლან აბაშიძის მხარეს. ალბათ გახსოვთ აჭარიდან ჩა-

მოყვანილი ათი ათასზე მეტი ადამიანი. პრაქტიკულად, სამოქალაქო დაპირისპირებისკენაც კი გადაიდგა ნაბიჯი.

იმ დროში რომ დამაბრუნა, ალბათ ისევ იქ დავდგებოდი, სადაც მაშინ ვიდექი. მიუხედავად იმისა, რაც მაშინ და იმის მერე გადავიტანე, მაინც მაქვს განცდა, რომ მაშინ სხვა არჩევანს ნამდვილად ვერ ვხედავდი. ეს არ იყო არჩევანი ცუდსა და უარესს შორის. ვფიქრობდი, რომ ვაკეთებდი არჩევანს ცუდსა და კარგს შორის. ვფიქრობდი, რომ ის ძალა, რომელიც მოვიდოდა, მიუხედავად იმ მინუსებისა, რასაც მანამდეც ვხედავდით, მაინც შეძლებდა მთავარს.

საზოგადოების დიდ ფენებში სხვა მოლოდინი იყო. ჩვენ კი ბევრს ვლაპარაკობდით, მაგრამ მოლოდინი, რომ ეს ძალა იქნებოდა დემოკრატიული, ლიბერალური, ამ ღირებულებების ერთგული და ქვეყანას ევროპისკენ წაიყვანდა, უფრო ახალგაზრდულ ლიბერალურ ნაწილში, არასამთავრობო სექტორში, პოლიტიკური პარტიების ნაწილში იყო. მასობრივად ეს მოლოდინი მიხეილ სააკაშვილის მიმართ არ ყოფილა.

ზვიად გამსახურდიას მომხრეების დიდი ნაწილი „ვარდების რევოლუციის“ მხარეს ძალიან აქტიურად დადგა, მათ შევარდნაძის მმართველობის დასრულების შანსი დაინახეს. ერთი მოლოდინი ესეც იყო. გარდა ამისა, იყო პენსიონერების დიდი ნაწილი, მოგეხსენებათ, მაშინ ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენდა პენსიების დარიგება. ხელფასები და პენსიები თვეობით არ გაიცემოდა. ისიც კი მახსოვს, მანქანების კოლონის დროს ერთ კადრში გლეხი იყო გამოსული, რომელიც იძახდა, მიხეილ სტალინს გაუმარჯოსო. ის ასე ხედავდა, რომ უნდა მოსულიყო კაცი, რომელიც წესრიგს დაამყარებდა. სინამდვილეში, ის გლეხი უფრო მართალი აღმოჩნდა ჩვენთან შედარებით. იმის თქმა მინდა, რომ საზოგადოების დიდ ნაწილში მკაცრი ხელის მოლოდინი იყო და ამიტომ, როდესაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პირველი დაპატიმრებები დაიწყო, ძალიან ბევრი ამას კარგად შეხვდა. დღეს უკმაყოფილებაა იმის გამო, რომ უფრო მეტს არ იჭერენ, რაც დაუშვებელია. ეს აუცილებლად გადავა შემდეგ პოლიტიკურ ანგარიშსწორებაში. მაშინ ეს ძალიან ორიგინალურად ხდებოდა, იჭერდნენ, შემდეგ ფულს ართმევდნენ და უშვებდნენ. მიხეილ სააკაშვილს გაცხადებულიც ჰქონდა, რომ მთავარი ფულის ამოღება იყო.

მაგრამ ერთია მოლოდინი და მეორე, რეალურად რა კეთდებოდა. ამ მოლოდინების დაკმაყოფილება მეტ-ნაკლებად შესაძლებელი იყო ისე, რომ კურსი

დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის მშენებლობისკენ შენარჩუნებულიყო. მიმაჩნია, რომ შესაძლებელი იყო სამართლიანობის დამყარებაც, სოციალური შეღავათებიც. მით უმეტეს, რომ პირველ ხანებში „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი პოზიტიური შედეგი იყო ის, რომ სერიოზულად გაიზარდა გადასახადების ამოღების მენეჯმენტი და ბიუჯეტი. საკმაოდ სერიოზული წარმატება იქნა ამ მხრივ მიღწეული. პენსიები გაიცა და ხელფასის გაცემა აღარ გვიანდებოდა. ენერგოკრიზისიც დაიძლია, თუმცა კი ძალიან იოლად, ტარიფის გაძვირებით, რის გაკეთებასაც შევარდნაძე ვერ ბედავდა. დიდი სტრუქტურული გარდაქმნები არ მომხდარა. აშკარად სერიოზული რეფორმა იყო „პატრული“, რომელიც ალბათ, საბოლოო ჯამში, პოზიტიურ რეფორმად უნდა ჩაითვალოს. გარდა ამისა, დადებითი იყო ალბათ ისიც, რომ გამარტივდა პასპორტის აღების პროცედურები. ეს ყველაფერი ძალიან კარგია, რომ გაკეთდა და დღეს ხელისუფლებაში მყოფისთვის ძალიან კარგია, რომ ეს მემკვიდრეობად დარჩა. არც ვაპირებთ ამის დაშლას.

იყო ისეთი რაღაცებიც, რაც, ჩემი აზრით, საკამათოა. ერთი შეხედვით, თითქოს პოზიტიურია, მაგრამ აქვს ნეგატიური მხარეც, გააჩნია რის ხარჯზე იქნა მიღწეული. მაგალითად, კრიმინალის დაბალი დონე. ის, რომ ჩვენთან მანქანას არავინ იპარავს, რა თქმა უნდა, ყველას მოსწონს, მაგრამ მეორე მხრივ, იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 90% ღარიბია, სადაც უზარმაზარია უმუშევრობის რიცხვი და საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ეს ცოტა არაბუნებრივია და პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში პოლიციური რეჟიმია. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილია ციხეში და პოლიციური აპარატის ძალიან დიდი წნეხია. კრიმინალური მდგომარეობა არ გამოსწორებულა ეკონომიკური განვითარების ხარჯზე. ის მოხდა პოლიციური წნეხის განვითარების ხარჯზე. ეს წნეხი კი მარტო კრიმინალებზე არ ყოფილა, ის ყველაზე იყო, განსაკუთრებით პოლიტიკურად ანგაჟირებულებზე, ვისაც განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები ჰქონდა და ეს განსაკუთრებით საგრძნობი იყო რეგიონებში.

ცალსახად ნეგატიური იყო ის, რომ მთავარი ვერ მოხდა. დავრჩით იქ, სადაც ვიყავით, ანუ პოსტსაბჭოთა გაურკვევლობაში.

მთავარი პრობლემა, ჩემი აზრით, ის იყო, რომ ძალიან დიდმა ძალაუფლებამ მოიყარა თავი ერთი ადამიანის ხელში. ძალიან ბევრი რამე იყო ერთი ადამი-

ანის სუბიექტურ ნებაზე დამოკიდებული. და ამ ერთი ადამიანის სუბიექტურ ნებას ძალიან ბევრი აჰყვა თავის დროზე. საბოლოოდ, მივიღეთ ერთი კაცის ქვეყანა.

ახლანდელ რეალობას რაც შეეხება, რაღაცით წინ ვართ, რაღაც კი თავიდან არის გასაკეთებელი. წინ ვართ იმ გაგებით, რომ გვაქვს გამოცდილება, რას იწვევს ძალაუფლების ასე ერთი პოლიტიკური ძალის ხელში თავმოყრა. სხვათა შორის, ძალიან მიხარია, რომ ახალი ხელისუფლების მიმართ სამოქალაქო საზოგადოებაც და მედიაც გაცილებით უფრო კრიტიკული და ჩასაფრებულია, ვიდრე 2003-2004 წელს. მაშინ გაცილებით მეტი „ინდულგენცია“ გაიცემოდა, ახლა კი პატარა რაღაცასაც არ გპატიობენ, რაც კარგია. მეორე მხრივ, ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ კვლავ ბევრი რამეა დამოკიდებული ერთ ადამიანზე, მის პიროვნულ ნებაზე, იმიტომ რომ ისეთი სისტემა შეიქმნა, უზარმაზარ ძალაუფლებას იღებს პოლიტიკური ლიდერი. დღევანდელი ხელისუფლების ამოცანა გაცილებით რთულია. მან ძალაუფლების კონცენტრაცია არ უნდა მოახდინოს. თუ გინდა დემოკრატია აშენდეს, ძალაუფლება უნდა გასცე. გაცემა კი ყოველთვის უფრო ძნელია, ვიდრე აღება. ეს საკმაოდ რთულია ამოცანაა, მაგრამ დგას და გაცნობიერებულიც გვაქვს, რომ ძალაუფლება დასარიგებელია საზოგადოებაში. ეს ძალიან ართულებს დღევანდელ სიტუაციას, თუმცა გვაქვს სერიოზული გამოცდილება და ვიცით, საით მივყავართ ძალაუფლების კონცენტრაციას და ერთ ადამიანზე მიბმას.

„ვარდების რევოლუცია“ ალბათ უნდა დარჩეს გაკვეთილად, თუ რა მოსდევს ამას. იმის საჩვენებლად, კარგი განზრახვებით რა ცუდ შედეგამდე შეიძლება მივიდეთ. ეს გამოცდილება პოზიტიურად უნდა გამოვიყენოთ.

გიორგი მელაძე – უახლეს ისტორიაში „კმარა“ იყო ძალიან საინტერესო მოძრაობა, რადგან ის იყო პირველი მასობრივი, საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელმაც შეძლო მნიშვნელოვანი ცვლილებისთვის მიეღწია. „კმარა“ იყო მათი გამაერთიანებელი ფაქტორი, ვინც მანამდე იყო ჩართული რაღაც პროცესებში. დავეთანხმები ბატონ დავითს, რაც მოხდა, დაგეგმილი არ ყოფილა და „კმარასთვისაც“ ძალიან მოულოდნელი რეალობა აღმოჩნდა, მაგრამ ფსიქოლოგიურად თუ სხვა რესურსების მხრივ, მოძრაობა მზად აღმოჩნდა, რომ

გაეძლო იმ წნეხისთვის, რაც იყო სამი თვის განმავლობაში და ცვლილებებში მიეღო მონაწილეობა.

რაც შეეხება მიზნებს, თავისთავად ის ფაქტი, რომ შედეგი „კმარასთვისაც“ მოულოდნელი იყო, ბევრ რამეზე მეტყველებს. ბევრი რამ არ ყოფილა ბოლომდე გააზრებული და გათვლილი. ეს იყო მისთვის პირველი ნაბიჯი და მას უნდა მოჰყოლოდა სხვა ნაბიჯები. მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი გაცილებით სწრაფად მოხდა, ვიდრე იყო გათვლილი. ამ მოულოდნელობის პირობებში გაგრძელების რესურსი ამოწურული აღმოჩნდა და აღარც აზრი ჰქონდა, სრულიად ახალი რეალობა შეიქმნა.

რა მოხდა 2003 წლის შემდეგ? ჩემი აზრით, ბევრი საინტერესო რამ მოხდა, რადგან დღემდე არიან ადამიანები, რომლებიც რადიკალურად ეწინააღმდეგებიან ყველაფერს და ადამიანები, რომლებიც ბოლომდე ყველაფრის ერთგულები არიან. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ცვლილებები მართლაც ძირეული იყო. დავრწმუნდით, რომ ჩვენთვის კონსტიტუცია ჯერ ადრეა, იმიტომ რომ კონსტიტუცია ძალიან ხშირად იცვლებოდა. ჩვენ არ ვართ პირველები, ვინც ეს აღმოაჩინა. კონსტიტუცია არის შეთანხმება, რაც ჩვენთან არ არის. ამიტომ კონსტიტუცია კიდევ ბევრჯერ შეიცვლება. შეიცვალა ათასობით კანონი. ისეთი მნიშვნელოვანი კანონებიც, როგორიც არის სისხლის სამართლის კოდექსი და ა.შ. ეს არის რევოლუციური ცვლილებები კანონმდებლობაში. შეიცვალა ჩვენი პოზიციონირება საერთაშორისო რუკაზე. საქართველო გახდა ქვეყანა, რომლის მიმართაც გაჩნდა ინტერესი. გაჩნდა ძალიან ბევრი ადამიანი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რომელმაც ბევრი რამ იცის საქართველოზე. საქართველომ გამოიარა ომი. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია. საქართველოსთვის გაურკვეველი პოზიციის მქონე ტერიტორიები გახდა ოკუპირებული ტერიტორიები. ეს ოკუპირებული ტერიტორიები ცნო საერთაშორისო საზოგადოებამ. საქართველომ შეიძინა დაჩაგრული ქვეყნის იმიჯი და პოზიცია, საიდანაც შეეძლო დაეწყო თავისი საერთაშორისო კამპანია. ქვეყანამ ძალიან სერიოზული სწრაფვები გამოავლინა ნატოსკენ, რასაც მოჰყვა შესაბამისი რეაქციები. საბოლოო ჯამში, ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს. ვნახეთ, რომ ნატო იყო ერთ-ერთი სერიოზული მოდებატე უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ჩემი აზრით, ესეც ძალიან მნიშვნელოვანია.

სამწუხაროდ, ლიბერალური აზრისთვის ბევრი რამ არ შეცვლილა, რადგან ლიბერალები კვლავ უმცირესობაში რჩებიან.

ბევრი საინტერესო მოხდა ეკონომიკის ნაწილშიც. ეს ეხება ბიუჯეტს, რომელიც, როგორც იქნა, ბიუჯეტს დაემსგავსა. მგონი, ისიც მნიშვნელოვანი იყო პატარა ქვეყნისთვის, როდესაც საერთაშორისო რეიტინგში ქვეყანა, რომელიც მანამდე არსად რუკაზე არ იყო, ფიქსირდება, როგორც რეფორმატორი. თუმცა აღმოჩნდა, რომ ის, რაც ხდებოდა ეკონომიკის ნაწილში, არანაირად არ ასარგებლებდა ძალიან დიდ ნაწილს იმ ღატაკი მოსახლეობისა, რომელიც არის ამ ქვეყანაში და ეს დღემდე ჩვენი პრობლემაა. გვაქვს მრავალმილიარდიანი ინფრასტრუქტურული პროექტები, მაგრამ ამ ინფრასტრუქტურის პირობებში მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონე არ შეცვლილა. ცხოვრების დონე თითქმის იგივეა, რაც იყო ათი წლის წინ. არჩევნების პროცესზე ამან ძალიან საინტერესოდ იმოქმედა, რადგან იქ, სადაც ინფრასტრუქტურა მეტად იყო განვითარებული, მმართველმა პარტიამ ყველაზე ნაკლები ხმა აიღო. გვაქვს ძვრები სოციალურ ცხოვრებაშიც. მაგალითად, დავიწყეთ მასობრივად ინგლისურის სწავლა. მგონი, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებაა. წამოვიდა თაობა, რომლისთვისაც ინგლისური გახდა მეორე ენა. როდესაც ორენოვნებაზეა ლაპარაკი, ინგლისური და ევროპული ენები სულ უფრო მეტად მოიაზრება, იმიტომ რომ სულ უფრო მეტი ადამიანი მიდის ევროპაში განათლების მისაღებად.

ასევე დავიწყეთ ფრენა და მოგზაურობა სხვადასხვა მიმართულებით. საზღვრები გაიხსნა, ჩვეულებრივი ადამიანისთვის მსოფლიო გახდა ცოტა უფრო დიდი, ვიდრე იყო. ასევე მნიშვნელოვანია უსაფრთხოების თემაც. ეს ქვეყანა უსაფრთხო გახდა, რის ხარჯზე, ეს მართლაც კვლევის საგანია, დავეთანხმები ბატონ დავითს. ასევე საინტერესოა, რომ ეკლესია გახდა უფრო მეტად პოლიტიკური პარტია და პოლიტიკური პარტიები გახდნენ ეკლესიები. ბოლო არჩევნებს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ აქტიური „ზონდერჯგუფები“, ანაფორებში ჩაცმულები, ისევე აქტიურობდნენ არჩევნებზე, როგორც პოლიტიკური პარტიები წინა არჩევნებზე. რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს, ბევრი მათგანის დებატი არაფრით განსხვავდებოდა ბიბლიის ციტირებისგან, რადგან ლაპარაკი იყო აბსოლუტურ ჭეშმარიტებებზე და საუბრისას კრიტიკას არ იღებდნენ.

სამწუხაროდ, მივიღეთ ისიც, რომ კონსტრუქციული დებატი შეუძლებელი გახდა. ხელისუფლების პოზიცია, რომ მეორე მხარე არაკვალიფიციურია, და მეორე მხარის პოზიცია, რომ ხელისუფლება ყველაფერში მტყუანია, ამ დებატების სერიოზული დამაზიანებელი ფაქტორი იყო. დებატები ალბათ 2005 წელს დავკარგეთ. არც სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები გამოირჩეოდნენ ბოლო პერიოდში კონსტრუქციულობით. დათანხმება არც სამოქალაქო საზოგადოებაში ითვლებოდა კარგ ტონად.

რაც შეეხება პერსპექტივებს, ცვლილებების პირობებში მივიღეთ დაბნეულობა. პირადად მე არ ველოდი მოვლენების ამგვარ, ასე წყნარად განვითარებას. ველოდი ყველაფერს, გამომდინარე იმ გამოცდილებიდან, რაც წინა პოლიტიკური ბრძოლების დროს გვქონდა. საბედნიეროდ, ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. საშიში პოზიციები იკვეთება ამ საზოგადოების ლიბერალურად განწყობილი ნაწილისთვის, რადგან „სოფელს ჰკითხე“ პრინციპი დღეს გაჟღერებულია არა მარტო არაფორმალური ჯგუფებისგან, როგორიც არის სოფელი თუ ადგილობრივი ეკლესია, არამედ იუსტიციის მინისტრისგანაც [თეა წულუკიანი] მივიღეთ ასეთი განაცხადი. დარწმუნებული ვარ, ისინი შეეცდებიან ამის შეცვლას, რადგან ძალიან საშიში ტენდენციაა.

არის ერთი მნიშვნელოვანი ტენდენციაც. ახლახან გამოქვეყნებული ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, მოქალაქეების ძალიან დიდი ნაწილი, 60% მიიჩნევს, რომ მათი ოჯახების მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ამ არჩევნების შედეგად. ეს მაჩვენებელი სამჯერ აღემატება 2008 წლის მაჩვენებელს და აჩენს ძალიან სერიოზულ ზეწოლას ახალ უმრავლესობაზე იმისთვის, რომ მდგომარეობა გამოსწორდეს. არის დაკვეთებიც, რაც ამ კვლევით იკვეთება. მოლოდინები, ზოგადად, ძალიან მაღალია. ახალი ხელისუფლება ამ პირობებს, ალბათ როგორც სერიოზულ გამოწვევას, ისე უნდა იღებდეს.

ლაშა ჩხარტიშვილი – მიმაჩნია, რომ „მოქალაქეთა კავშირიც“ და შევარდნაძის მმართველობაც დანაშაულებრივი ხასიათის იყო, და ერთ-ერთი ნაკლი „ნაციონალური მოძრაობის“ მოქმედებებში ის იყო, რომ ძალიან ბევრი დამნაშავე დაუსჯელად იქნა დატოვებული. მათ ფული გამოსძალეს და ეს ფული ბიუჯეტში კი არ შეიტანეს, საკუთარ ჯიბეებში ჩაიწყვეს. დაუსჯელად გაუშვეს

კახა თარგამაძე, რომელსაც ძალიან ხშირად ახსენებდა მიხეილ სააკაშვილი. მასზე საქმეც კი არ აღძრულა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს არ მომხდარა უანგაროდ. გამოძიებას საჭიროებს, ეს პოლიტიკური თუ ფინანსური სარგებლისათვის მოხდა. ისევე, როგორც ჩემი მოგვარის, ვანო ჩხარტიშვილის შემთხვევაში.

გამოძიების საგანი უნდა გახდეს არა მარტო „ნაციონალური მოძრაობის“ მოქმედი თუ ყოფილი მოხელეებისა და უმაღლესი თანამდებობის პირების საქმიანობა და მათაც უნდა აგონ პასუხი, როგორც სამართლებრივად, ისე ფინანსურადაც. ასევე უნდა აგონ პასუხი წინა ხელისუფლების წარმომადგენლებმაც, იქნება შევარდნაძე, ვანო ჩხარტიშვილი თუ კახა თარგამაძე.

დავუბრუნდეთ „ვარდების რევოლუციის“ პერიოდს. მოკლედ მოგახსენებთ, რა ხდებოდა მაშინ და რატომ იყო შესაცვლელი ის ხელისუფლება და რატომ ვიყავი მე „ვარდების რევოლუციის“ მონაწილე. იყო ტოტალური კორუფცია, დემოკრატიულობის საკმაოდ დაბალი ხარისხი, თუმცა შემდგომ საკაშვილის მმართველობის პერიოდში ის კიდევ უფრო გაუარესდა. იყო ტერიტორიების დაკარგვის საკითხი და კიდევ ბევრი სხვა საკითხი, რომელიც იყო სახეზე შევარდნაძის მმართველობის შედეგად. თუმცა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, გარდა ცალკეული წვრილმანი შედეგისა, იმის ნაცვლად, რომ მისი ქმედებები სიტუაციის გაუმჯობესებისაკენ ყოფილიყო მიმართული, დაპირებების საწინააღმდეგო ღონისძიებები განახორციელა. გამამართლებელი განაჩენის მაჩვენებელი 2009 წელს 0,1%-ს, ხოლო 2010 წელს 0,04%-ს შეადგენდა. ეს მეტყველებს იმაზე, რომ სასამართლო უბრალოდ არ არსებობდა საქართველოში.

რაც შეეხება პარტიათა შორის ბალანსის პრობლემას, რაც მაშინაც შეიქმნა და ახლაც, ამ მხრივ ოდნავ განსხვავებული მოსაზრება მაქვს. რა თქმა უნდა, მრავალპარტიულობა მნიშვნელოვანია, მაგრამ ის ხელოვნურად არ მიიღწევა. არსებობს მექანიზმები მრავალპარტიულობის მისაღწევად, რომელიც აპრობირებულია დასავლეთში და ამ მექანიზმების გამოყენება, მათ შორის, სხვადასხვა ვადებში არჩევნების ჩატარება, სწორია. მაგრამ ამის გამო თუ რომელიმე გამგებელი და თუნდაც თბილისის მერი, რომლის წინააღმდეგაც პირადად მე 6 საჩივარი მაქვს შეტანილი, დავტოვეთ დაუსჯელი, არასწორია. შემიძლია, გიამბოთ, რას აკეთებდა გიგი უგულავა და როგორ ისვენებდა ლას-

ვეგასში, თბილისის სტრიპტიზ-ბარებში თავის თანამშრომლებთან ერთად და როგორ აფინანსებდა საკუთარ სიამოვნებას.

„ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსული ხელისუფლება ხასიათდებოდა იმიტირებული პროცესების დადგმის დიდი უნარით. მან არა მარტო იმიტირებული „ქრონიკა“ დადგა, რაც დიდი დანაშაული იყო, ზოგადად, მმართველობა იმიტირების მაღალი მაჩვენებლით და ფორმებით გამოიხატებოდა. იგივე შეიძლება ითქვას სტატისტიკური მონაცემების თაობაზეც. ყველაზე ხშირად საუბრობენ ბიზნესის გახსნის სტატისტიკაზე. გახსნა კი არ ნიშნავს წარმატებას, მით უმეტეს, როცა მცირე და საშუალო ბიზნესი დაახრჩვეს. იქამდეც კი მივიდნენ, რომ დაწყებული მცირე გამანაწილებელი კომპანიებიდან, დასრულებული გარემოვაჭრეებით, ყველას წაართვეს დამოუკიდებლად არსებობის, საკუთარი შრომით შემოსავლის მიღების საშუალება. გარევაჭრობის მონოპოლიზაცია, საქართველოს გარდა, არც ვიცი, სადმე მომხდარიყოს. არადა, ასეთ მოვლენებს ჰქონდა ადგილი.

იმიტირების შესახებ ბევრი შეგვიძლია ვისაუბროთ. „იმიტირებული კეთილდღეობის ქრონიკა“ შეგვიძლია დავარქვათ იმას, რაც ხდებოდა საქართველოს ქალაქების ქუჩებში, როდესაც შენდებოდა საეჭვო კულტურული ღირებულების შენობა-ნაგებობები სწორედ იმიტომ, რომ ყოფილიყო კეთილდღეობის იმიტაცია. ამის სიმბოლოა შუშის ხიდი, რომელსაც არა აქვს ფუნქციური დატვირთვა და ძველი ქალაქის იერსახეს ამახინჯებს. თუ ვინმეს ჩემს ობიექტურობაში ეჭვი ეპარება, „იუნესკოს“ შეუძლია ჰკითხოს, იყო თუ არა ქალაქის იმ ნაწილში, რომელიც „იუნესკოს“ კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეტანის კანდიდატი იყო, ადგილი ასეთი მასშტაბის და ასეთი ტიპის ნაგებობისთვის. სხვა ადგილზე ეს ნაგებობა, შესაძლოა, ვინმესთვის მეტ-ნაკლებად მისაღები ყოფილიყო, მაგრამ არა ძველ თბილისში. ეს ეხება იმ საკანალიზაციო მილებსაც, რომელთა მშენებლობაც ახლა მიმდინარეობს რიყეზე. ეს ნაგებობები უსამართლობის მაღალი მაჩვენებლის დასტური იყო, რომელშიც ასობით მილიონი იხარჯებოდა. ჩვენი ინფორმაციით, 110 მილიონია ამ ხიდზე დახარჯული.

ამდენივე დაიხარჯა იუსტიციის სახლის მშენებლობაზე, რომელიც აშენდა უნიკალური პარკის და საბავშვო კორტის ადგილზე, მაშინ როცა თანხები არ მოიძებნებოდა დევნილებისათვის და სოციალურად დაუცველი ადამიანე-

ბისათვის. არცერთი ბინა არ აშენებულა თბილისში სოციალურად დაუცველი პირებისთვის. ერთადერთი, შვეიცარიის განვითარების სააგენტოს ხარჯებით დაფინანსდა სოციალური სახლების მშენებლობა ვარკეთილში, თბილისის ბიუჯეტიდან ამ საქმეს კაპიკიც კი არ მოხმარებია. მცირედი თანხა, 70 ათასი ლარი იყო ჩადებული ამ პროექტის თანადაფინანსებაში, მაგრამ ისიც ადმინისტრაციული ხარჯებისთვის. რომელ სამართლიანობაზეა ლაპარაკი, როდესაც ბიუჯეტის 1/7 იყო გაწერილი სხვა ხარჯებში, რომელიც არ ყოფილა გაშიფრული.

გასაგებია, რომ „ვარდების რევოლუციის“ ბელადებმა, ყოველ შემთხვევაში, მიხეილ სააკაშვილმა, უღალატა ყველა იმ დაპირებას, რომელიც იყო გადმოცემული განცხადებების დონეზე, დაწყებული „კმარას 10 ნაბიჯიდან“, რომელიც დაპირებების დოკუმენტი იყო და, პირობითად, წინასაარჩევნო დოკუმენტიც შეგვიძლია დავარქვათ, თბილისელებთან ხელშეკრულებით საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნების წინ დადებული პირობებით დამთავრებული. ეს ეხება „სიღარიბის დაძლევის“ პროგრამასაც, სოხუმსა თუ ცხინვალში დაბრუნების პირობასაც.

შესაძლებელია, იყოს გარკვეული მსგავსება იმ ხელისუფლებისა და ამ ხელისუფლების ცვლილებას შორის, მაგრამ განსხვავებაც ბევრია და იმედია, ეს განსხვავებები განსხვავებულ შედეგს მოგვცემს.

რაც შეეხება დაპატიმრებებს, მათ შორის სხვაობა აშკარაა. ჯერჯერობით ყველაფერი პროცედურების ზედმიწევნით დაცვით ხორციელდება. საუბარია სამართლებრივ პროცედურებზე. ადრე შოუები იდგმებოდა, ვერტმფრენების თანხლებითაც კი დაუკავებიათ ადამიანები. მტკიცებულებების არარსებობაზე კი თუნდაც ის მეტყველებდა, რომ გენერალურ პროკურატურაში საქართველოს მასშტაბით სულ 43 გამომძიებელი იყო მაშინ, როდესაც იქ არჩილ კბილაშვილი დაინიშნა. ეს არის იმის დასტური, რომ წინა ხელისუფლება იჭერდა, მაგრამ იჭერდა გამოძიების გარეშე. მათთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონია მტკიცებულებების ქონა-არქონის ფაქტს. მთავარი ის კი არ არის, დავიჭერთ თუ არა, დიახაც, ყველა დამნაშავე უნდა იყოს დაჭერილი, მაგრამ სათანადო მტკიცებულებების, გამოძიების და სამართლიანი სასამართლოს არსებობის პირობებში და არა ისე ხელაღებით, როგორც ამას „ნაციონალური მოძრაობა“ აკეთებდა. ასევე, უნდა იყოს გამოყენებული

სათანადო პროცედურებით ფინანსური პასუხისმგებლობა და საქართველოს მოქალაქეებისათვის წართმეული და კორუფციის შედეგად მოპარული უზარმაზარი ქონება უნდა ჩამოერთვათ სასამართლოს მეშვეობით. ვფიქრობ, რომ ეს ქონება ერთი ხელისუფლების ჯიბიდან მეორის ჯიბეში არ გადავა, ის სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა გადავიდეს და ხალხს მოხმარდეს და არ უნდა დარჩეს იმათ, ვისი დანაშაულებრივი ქმედების გამო, თუნდაც სტრასბურგის სასამართლოდან გამომდინარე, უზარმაზარი ვალები დაედება ჩვენს ქვეყანას.

არ შემიძლია არ ვახსენო კახა ბენდუქიძე, რომელიც იყო ერთ-ერთი მთავარი იმიტატორი, ერთ-ერთი მთავარი მოდებატე წინა ხელისუფლებისა, რომელიც, გარდა იმისა, რომ უზრდელობით გამოირჩეოდა, ასევე გამოირჩეოდა ხელაღებითი მიდგომით ყველა იმ ღირებულებისადმი, რომელსაც შეიძლება სახელმწიფოებრივი ღირებულებები და ინტერესები დავარქვათ. მისი მიდგომა სტრატეგიული ობიექტებისადმი, სურსათის უვნებლობის საკითხისადმი და, შესაბამისად, ადამიანის სიცოცხლისადმი, ეკოლოგიისა და გარემოს დაცვისადმი, ადამიანის უფლებებისადმი, ჯანდაცვისადმი, უმძიმესი შედეგების მომტანი იყო. კახა ბენდუქიძეს კორუფციის კუთხით ბევრი დანაშაული აქვს ჩადენილი, რაც არ უნდა შერჩეს, მაგალითად, აგრარული უნივერსიტეტი, რომელიც დაახლოებით 300 მილიონი ღირს, მას 16 მილიონად აჩუქეს. არც რურუებს უნდა შერჩეთ იპოდრომი, 63 ჰექტარი მიწა, რაც მხოლოდ მიწა არ არის. ეს არის უმნიშვნელოვანესი ეკოლოგიური და სანიტარული ფუნქციების მატარებელი ობიექტი, რომელიც მათ 11 მილიონად აჩუქეს. 63 ჰექტარი მიწის ფასი საბურთალოზე ასევე დაახლოებით 300 მილიონს შეადგენს.

ბოლოს ერთი მაგალითი მინდა მოვიყვანო. ეს ის შემთხვევაა, რომელიც ვერაფრით დავიჯერე, მიუხედავად ჩემი დასაბუთებულად ნეგატიური განწყობისა. ვერ დავიჯერე, რომ ეს შეეძლო ქაღალდზე დაეწერა თუნდაც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს. ეს იყო ამა წლის 20 მარტით დათარიღებული კანონპროექტი გარემოს დაცვის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ვერ დავიჯერებდი, რომ შესაძლებელი იყო, ოდესმე საკანონმდებლო აქტში დაეწერათ, რომ ადამიანს აქვს უფლება, იყიდოს მკვლელობის უფლება. კანონში, რომელიც დღეს მოქმედია, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ გაუქმდება, წერია, რომ კერძო პირსა და ენერგეტიკის სამინისტროს შორის

შეიძლება გაფორმდეს შეთანხმება, რომლის ფარგლებში და მოქმედების პერიოდშიც, მის მიერ ჩადენილი და განხორციელებული ნებისმიერი ქმედება გარემოს დაცვისა და მოპოვების ნებისმიერ სფეროში, კანონიერად ჩაითვლება. ამას, თუ არა მკვლელობის ლიცენზიის დაკანონების, ლეგალიზაციის კანონი, სხვა არაფერი შეიძლება ერქვას. გარემოს დაცვის სფეროში განხორციელებული ქმედება რატომ შეიძლება გახდეს უამრავი ადამიანის სიკვდილის მიზეზი, ამას ახსნა-განმარტება ამ აუდიტორიაში, მე მგონი, არ სჭირდება.

გიორგი ამაშუკელი, განათლების ეროვნული კავშირის თავმჯდომარე – რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით ჩემი აზრი მინდა მოგახსენოთ. ქალბატონმა მანანამ განაცხადა ადგილობრივი მმართველობის შესახებ, რომ იქ არის მცდელობები გამგეობების და საკრებულოების არაკანონიერი გზით შეცვლის შესახებ. ვეთანხმები, შეიძლება არაკანონიერი იყოს, მაგრამ მეორე მხრივ, თუკი ვაღიარებთ, რომ წინა ხელისუფლება ამ არჩევნებს აყალბებდა, საკრებულოები გაყალბებით აირჩა და დანიშვნებიც არასწორი ფორმით მოხდა, ცვლილებები აუცილებელია, თუმცა სამართლებრივი და კანონიერი გზით.

ბატონი გიორგის სმენისას ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, როგორიც ჩვენი პრეზიდენტის სმენის დროს მრჩება. უფრო მეტიც, ის ამბობს იმას, რასაც ყვარყვარე თუთაბერი ამბობდა, რომ „იყო უკუნი, მოვიდა და გაანათა“.

თხოვნა მაქვს ბატონ დავითთან, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელთან, უკვე დროა, საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს დანაშაულის შერჩენის სინდრომი. ამიტომ, სამართლებრივი გზით უნდა გაგრძელდეს იმ პირთა არა მარტო მხილება, არამედ პასუხისგებაში მიცემა, ვისაც მიუძღვის წვლილი საქართველოს ნგრევაში. დაუსჯელობის სინდრომი ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღმოიფხვრას.

ალექსანდრე სახელაშვილი, „თავისუფალი დემოკრატები“ – ვეთანხმები აზრს, რომ „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსულ ხელისუფლებას ჰქონდა შანსი ქვეყანა სწორი გზით წაეყვანა, თუმცა ალბათ მთავარი პრობლემა მაშინ გაჩნდა, როდესაც ხელისუფლებამ იგრძნო, რომ მას არ შეეძლო არსებითი

ძვრების განხორციელება და დაიწყო ფასადური პოლიტიკის კეთება. ერთი ხელით ფოჩიან კანფეტებს გვიჩვენებდა, მეორე ხელით კი, სულ უფრო გვიჭერდა მარყუჟს და ყველას ერთად გვახრჩობდა. ამის შედეგი მივიღეთ 2012 წლის 1 ოქტომბერს.

ვერაფრით ჩავუთვლი ხელისუფლებას წარმატებად კონფლიქტების საკითხს. ზაფხულში ქართულ-აფხაზურ შეხვედრაზე ვიმყოფებოდი და ნამდვილად ვერ ჩავთვლი წარმატებად იმას, რომ იმისთვის, რათა გვესაუბრა, არ უნდა შევხებოდით აფხაზეთის სტატუსის თემას. მათ გაგონებაც კი არ უნდათ იმისა, საქართველოს შემადგენლობაში რა სტატუსით შეიძლება იყვნენ. ამიტომ იმას, რომ ოკუპირებულები ვართ, წარმატებად ვერ მივიჩნევ, ობიექტურები უნდა ვიყოთ.

დავით პატაშვილი, სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტი – ბატონ გიორგისთან მაქვს კითხვა. როდესაც ნახსენები იყო ინტერვენცია, 2008 წლის ომი. სახელმწიფო აცხადებს საერთაშორისო არენაზე, რომ მისი პოლიტიკური მიზანი არის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება. ამ დროს სახელმწიფო ომში ერთვება. რამდენად მოახდინა საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს პრესტიჟის აწევა თუ დაცემა, რა განვითარება ჰპოვა ამ ყველაფერმა და საბოლოოდ რა შედეგებამდე მიგვიყვანს.

ბატონ დავითთანაც მაქვს კითხვა. წინა ხელისუფლების უდიდესი შეცდომა იყო სამოქალაქო საზოგადოების დემორალიზება. ის უგულებელყოფილი იყო, არავინ ითვალისწინებდა მის აზრს. შესაძლებელია თუ არა ამ შეცდომის გამოსწორება. რამდენად რეალურია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა შემდგომ პოლიტიკურ პროცესებში.

გოგი გვახარია – კუკავას პარტიის [კახა კუკავა, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე] შეხვედრა იყო რუსებთან. იქ ნათქვამი იყო ფრაზა – „Девять лет жили в темноте“. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მუდმივად გვესმის, რომ ეს ცხრა წელი ჯოჯოხეთი იყო, თითქოს ყველა საშინელება „ვარდების რევოლუციიდან“ დაწყებულიყოს. დღევანდელმა საუბარმაც იგივე შთაბეჭდილება დამიტოვა, თითქოს მანამდე პროგრესს განიცდიდა ჩვენი საზოგადოება და 2003 წლის 23 ნოემბრიდან დაიწყო დაცემა.

ვთხოვდი ჩვენს მომხსენებლებს, განსაკუთრებით მათ, ვინც კრიტიკულები იყვნენ, რომ დღევანდელი გადასახედიდან ნუ შეხედავენ ისტორიას. მით უმეტეს, რომ 2003 წლის 23 ნოემბერს ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულები ამ პროცესებში, ქალბატონ მანანას არ ვგულისხმობ. ნუ დავკარგავთ ისტორიციზმის განცდას, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი კონიუნქტურა ამას თითქოს მოითხოვს.

ლაშა ჩხარტიშვილი – ბოლო შენიშვნას ვერ მივიღებ, იმიტომ რომ საკმაოდ ბევრი ვისაუბრე შევარდნაძის მმართველობის უარყოფით მხარეებზე. „ნაციონალური მოძრაობის“ ყველაზე დიდი დანაშაული სწორედ ის იყო, რომ მათ იმავე მიმართულებით განაგრძეს მუშაობა და გაცილებით დაამძიმეს სიტუაცია, მათ შორის, სასამართლოს დამოუკიდებლობის კუთხით, მედიის თავისუფლების კუთხით. ეს ეხება შეკრების და მანიფესტაციის თავისუფლებასაც. ამასთან, შერჩევითი სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, ძალიან ბევრი დამნაშავე დაინდეს ქრთამის ან პირადი ნაცნობობის სანაცვლოდ. შესაბამისად, ვერაფერ ცუდს ვერ ვხედავ იმაში, რომ ვაკრიტიკებთ „ნაციონალურ მოძრაობას“. ამის გამო ნამდვილად არ დაგვვიწყებია შევარდნაძის მმართველობის პრობლემები. სწორედ იმიტომ ვიყავი ამ რევოლუციის მონაწილე, რომ ის არ მომწონდა, მაგრამ ნამდვილად არ მდომებია სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესებულიყო.

„შრომის კოდექსს“ მე მონობის კოდექსს ვუწოდებ. მან საქართველოში მონობა დააკანონა. დაქირავებულ პირს უფლება არ ჰქონია. გასაგებია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ შესაძლოა ცდილობდეს თავისი ინტერესების გატარებას იმ პროცესებში, რომლებიც დაიწყო – გაფიცვებში, აქციებში, მაგრამ ამ პროცესების მიზეზი სწორედ მათი ქმედებებია. დღეს მათ თავი თავისუფლად იგრძნეს და საკუთარი უფლებების დაცვას ცდილობენ. გასაგებია, რომ ამის მანიპულირების საშუალება „ნაციონალურ მოძრაობას“ არ უნდა მიეცეს. საკუთარი დანაშაულის გამო აღშფოთებული ადამიანების გვერდით არც შეიძლება აღმოჩნდნენ. მაგრამ იმ ადამიანებს აქვთ საკუთარი უფლებების დაცვის უფლება, თუმცა უნდა გაითვალისწინონ დროითი ჩარჩოები, რომელიც საჭიროა თუნდაც იმის გასარკვევად, ახალი ხელისუფლება აპირებს თუ არა მათი პრობლემების მოგვარებას.

გიორგი მელაძე – ჩვენი დღევანდელი დისკუსია ფრაგმენტულობისთვის არის განწირული, იმიტომ რომ თემა ძალიან დიდია და თითოეულ ჩვენგანს იმ პრიორიტეტებზე და იმ სიჩქარით მოუწია ლაპარაკი, როგორც ეს გამოუვიდა. კონფლიქტების თემა, რომელზეც დაისვა შეკითხვა, გაცილებით ღრმა თემაა. მოკლედ ის შემიძლია გითხრათ, რომ პოლიტიკურად და უსაფრთხოების თვალსაზრისით ამან შექმნა არასტაბილურობის შეგრძნება პარტნიორებთან და ბევრი რამ გაართულა.

მე მხოლოდ შედეგებზე ვსაუბრობდი, ჩემი მიზანი არ ყოფილა მიღწევებზე მესაუბრა. იმ მოცემულობებზე ვსაუბრობდი, რაც გვაქვს ამ პერიოდში. ერთ-ერთი ძირითადი მოცემულობაა „ოკუპაციის“ შეტანა ტერმინოლოგიაში და დოკუმენტებში.

დავით ზურაბიშვილი – შევეცდები, მოკლედ ვუპასუხო შეკითხვებს და ნაკლებად ვეკამათო გამომსვლელებს, თუმცა ბევრი რამ იყო ისეთი, რაზეც ვისურვებდი რეაგირებას. ერთ-ერთი შეკითხვა ეხებოდა დანაშაულის შერჩენის თემას და დაუსჯელობის სინდრომის მოსპობას საქართველოში. ვეთანხმები ყველას, ვინც ამბობს, რომ დამნაშავე უნდა დაისაჯოს და დაუსჯელობის სინდრომი არ უნდა დამკვიდრდეს ქვეყანაში, მაგრამ როდესაც პოსტსაბჭოთა რეალობაში ხდება ხელისუფლების ცვლა, აქ ჩემი აზრით ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ დამნაშავეთა დასჯამდე ძალიან ბევრი უსამართლობაა დაგროვილი, მით უმეტეს, რომ წინა ხელისუფლებას სულ არ ჰქონია იმის განცდა, რომ 2012 წელს აღარ იქნებოდა ხელისუფლებაში. ამიტომ ბევრი რამ გამომწვევადაც კი კეთდებოდა. ვფიქრობ, თუ გვინდა სიტუაციის შეცვლა და ნორმალურ ქვეყანაში ცხოვრება, რა თქმა უნდა, დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიზარდოს ეს პოლიტიკურ ანგარიშსწორებაში და ასეთი ტიპის რევანშში. თუ აქეთ გადავიხრებით, ეს აუცილებლად გადავა ანგარიშსწორებაში და საბოლოოდ ისევ ძალიან ცუდ შედეგამდე მივალთ. ეს ყველაფერი უნდა მოხდეს თანდათანობით, თანმიმდევრულად, ეჭვმიუტანელი და მყარად გამაგრებული მტკიცებულებებით, და არა ისე, როგორც ხდებოდა „ვარდების რევოლუციის“ მერე.

რამდენად იქნება ჩართული სამოქალაქო საზოგადოება პროცესებში, ეს დიდწილად თვითონ სამოქალაქო საზოგადოებაზეა დამოკიდებული. სამოქა-

ლაქო საზოგადოება, არასამთავრობო სექტორი, თავისუფალი მასმედია შეიძ-ლება ითქვას, რომ წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური ოპოზიციის მოკავ-შირე იყო. მანამდეც, ფოტოგრაფების საქმე იყო თუ დაყადაღებების, ყოველთ-ვის სერიოზული მოკავშირე იყო. ამ დარღვევებმა საერთაშორისო რეზონანსი რომ შეიძინა, სამოქალაქო საზოგადოებამ ამაშიც დიდი როლი ითამაშა. ახლა ჩვენ უკვე ოპონირების რეჟიმში უნდა გადავიდეთ. ხელისუფლებასთან სამო-ქალაქო საზოგადოება ოპონირების რეჟიმშია, თანამშრომლობისაც და ოპონი-რებისაც. რა თქმა უნდა, ეს ხელისუფლებაზეც არის დამოკიდებული, რადგან ხელისუფლების ბუნებაა, რაც უფრო ნაკლებად აკრიტიკებენ, უფრო კარგი და კომფორტულია მისთვის.

„თავისუფლების ინსტიტუტის“ პასუხისმგებლობაზე ხშირადაა საუბარი. ამაზე საუბარი მე უფრო მეკუთვნის, გიორგი რომ „თავისუფლების ინსტი-ტუტში“ მოვიდა, მე იქ უკვე შვიდი წელი ვიყავი. მე ამ ორგანიზაციის დამ-ფუძნებელიც გახლდით და გამგეობის წევრიც და მიმაჩნია, რომ „ვარდების რევოლუციამდე“ ძალიან სერიოზული როლი შეასრულა ადამიანის უფლებე-ბის დაცვის საქმეში. რევოლუციის მერეც. ამ ორგანიზაციაზე გაცილებით მეტია ლეგენდა, ვიდრე რეალობა. თუმცა, 2003-დან 2007 წლამდე, ამ ინსტი-ტუტიდან გამოსული პოლიტიკური ლიდერების გავლენა საკმაოდ დიდი იყო. ქვეყანაში იმ დროს მიმდინარე პროცესებზე ამ ხალხს სერიოზული პასუხის-მგებლობა ადევს. 2007 წლის ნოემბრის დღეებამდე მათი გავლენა სერიოზუ-ლი იყო. ნოემბრის შემდეგ მათი გავლენა ბევრად შემცირდა. ჩაითვალა, რომ ეს ინსტიტუტი არაპოპულარული იყო. ამას მოჰყვა ის, რომ გიგა ბოკერიას [საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი] აღარ აჩენდნენ ტე-ლევიზიით. შეცვალეს კახა ლომაია და განათლების სამინისტროში სხვა ხალ-ხი მიიყვანეს.

საუბარი იყო სააკაშვილის რეჟიმის შეფასებაზე. პირადად ჩემთვის ეს იყო ტიპური ავტორიტარული რეჟიმი, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა გაეკონტრო-ლებინა ჩვენი ცხოვრების აბსოლუტურად ყველა სფერო. უამრავი დანაშაული იქნა ჩადენილი, პასუხისმგებლობა დიდია, თუმცა ამას არ გავაიგივებდი 1991-92 წლების გამოცდილებასთან. სხვა მოცემულობა იყო 2003-დან 2007 წლის ჩათვლით. ამის შემდეგ გაცილებით უფრო დამძიმდა სიტუაცია. გაძლიერდა პოლიციის ტოტალური კონტროლი. 2007 წლის 7 ნოემბერი იყო სერიოზული

გარდამტეხი. ეს იყო სიტუაცია, როდესაც ხელისუფლებას უნდა გამოეტანა სწორი დასკვნები არსებული რეალობიდან.

მანანა ნაჭყებია – ედუარდ შევარდნაძის მიმართ, ჩემი აზრით, თავის დროზე უნდა მიღებულიყო ზომები და უნდა დასჯილიყო. დღეს, ამდენი წლის მერე და ამ ასაკში, მორალურად რამდენად სწორი იქნება მისი დასჯა, ვერ გეტყვით. დღეს ეს თემა ნაკლებად აქტუალური მგონია, თუმცა, მაშინ მიმაჩნდა, რომ ძალიან აქტუალური იყო, მაგრამ წინა ხელისუფლებამ ეს არ გააკეთა.

ქუჩის პროტესტის ესთეტიკა: ახალგაზრდობა პოლიტიკაში

ძირითადი მომხსენებლები:

გიორგი კევლიშვილი
მხატვარი

ლევან ლორთქიფანიძე
ნარინჯისფერი კლუბი, დამფუძნებელი

ლალი პერტენავა
ხელოვნებათმცოდნე

ანი ჭანკოტაძე
ლაბორატორია 1918

მოდერატორი:

გოგი გვახარია

5 დეკემბერი, 2012

გოგი გვახარია – დღეს ქუჩის პროტესტის ესთეტიკაზე უნდა ვისაუბროთ. არსებობს აზრი, რომ პროტესტის ფორმები უნდა შეიცვალოს. მართალია, თითქოს შინაარსია მთავარი, მაგრამ ფორმა მოძველდა და ახალი რამ არის მოსაფიქრებელი. ამიტომ დღეს, როგორც ვხედები, სწორედ პროტესტის ფორმებსა და ესთეტიკაზე ვისაუბრებთ. გიორგი კევლიშვილს გადავცემ სიტყვას.

გიორგი კევლიშვილი – სტუდენტური აქტივიზმი, თუკი მისი პრობლემატიკის სრულად გაგება გვინდა, ფართო კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ეს არის საზოგადოებრივი ცნობიერების ევოლუციის პროცესი. ვფიქრობ, ყველა ჩვენგანი ამა თუ იმ ფუნქციით, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ვმონაწილეობთ ამ პროცესში, რომლის მიზანიც ჩვენი თანაცხოვრების მუდმივი სრულყოფა და იდეალთან მიახლოებაა.

მეორე მხრივ, აშკარაა, რომ სასურველისაგან ყოველთვის შორს ვართ და გაბატონებული წესრიგი არ არის სრულფასოვანი და საჭიროა განვითარება და ახალ მონაპოვარზე ორიენტირება. აქედან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი, პოლიტიკური, სამეცნიერო და კულტურული პროცესების ხასიათს ორი უმთავრესი რამ ამოძრავებს – შენახვის, გაფრთხილების სურვილი, რასაც კონსერვატიზმი შეიძლება ვუწოდოთ და ასევე ახლისაკენ, განვითარებისაკენ მისწრაფება. ერთი და იგივე ადამიანი შეიძლება ორივე ტენდენციის მატარებელი იყოს, მაგრამ უმთავრესად ადამიანები ერთი რომელიმე მათგანის მიდევნებას დაისახავენ ხოლმე მიზნად და სწორედ ამ ორ მიდგომას შორის კონკურენცია აყალიბებს პოლიტიკის ხასიათს. ეს ქმნის პოლიტიკურ დიაპაზონს იმ ორ უკიდურესობას შორის, რასაც პირობითად მემარცხენეობას და მემარჯვენეობას ვუწოდებთ.

აშკარაა, რომ საზოგადოებრივი ცნობიერების ევოლუციის პროცესი სხვადასხვა სფეროებში წარიმართება. ეს არ არის ერთგვაროვანი პროცესი. ეს სფეროები ურთიერთდაკავშირებულია მეტ-ნაკლებად სუსტი და ძლიერი ძაფებით და სიტუაციის ცვლილება ერთგან, სხვა სფეროებზეც ახდენს გავლენას. მოვიხმობ დევიდ ჰარვის მეტაფორას, რომელიც ამ პროცესს წარმოადგენს, როგორც გრძელ პერსპექტივაზე მიმართულ სპექტაკლს, რომელიც ერთდროულად ბევრ სხვადასხვა სცენაზე თამაშდება. ახალგაზრდული მოძრაობა, ჩემი აზრით, ამ სცენებიდან ერთ-ერთია.

ახალგაზრდული მოძრაობების როლი განსაკუთრებულია. თითქმის ყოველთვის ახალგაზრდობა მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების ავანგარდში იდგა და ეს ბუნებრივია. ახალგაზრდობა ხომ ყველაზე ხილვადი, ხელშესახები გამოხატულებაა იმისა, რასაც მომავალს, პერსპექტივას ვუწოდებთ. მომავალი თაობის უფლებაა, იცხოვროს მშვიდობიანად. მიუხედავად ამისა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ახალგაზრდობა მხოლოდ პროგრესს უკავშირდება, ხშირად ისინი უკვე არსებულის დასაცავად გამოდიან და ეს ზოგჯერ საზოგადოების აღფრთოვანებასაც იწვევს ხოლმე, მაგალითად, როდესაც ევროპაში პენსიების შემცირების წინააღმდეგ გამოვიდნენ, ან ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის სტუდენტური მოძრაობები გავიხსენოთ, რომელიც დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დაცვის მოთხოვნით დაიწყო. ასეთი მოძრაობები ხშირად ახალგაზრდების თვითდამკვიდრების სივრცედ იქცევა და მრავალი ადამიანი აქ საკუთარ მოწოდებას პოულობს. ამის მაგალითი ძალიან ბევრია.

მაგრამ სტუდენტობა ზოგადად მრავალფეროვანი და მრავალი ინტერესის გამაერთიანებელი სახელია და ბუნებრივია, რომ ყველა მათგანს არ ამოძრავებს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ სივრცეში თვითდამკვიდრების სურვილი. რა გზაც არ უნდა აირჩიონ სტუდენტებმა მომავლისათვის, მათ სჭირდებათ მშვიდობისა და კეთილდღეობის ელემენტარული პირობები და როცა ეს პირობები საფრთხის ქვეშ არის, ვცდილობთ ჩავერთოთ ამ პროცესებში, თუკი რაიმეს შეცვლა შესაძლებლად მიგვაჩნია. სწორედ იმის გაცნობიერება, რომ თავად ვმონაწილეობთ იმგვარი რეალობის ფორმირებაში, რომელშიც გვსურს ცხოვრება, ჩემი აზრით, ქმნის სტუდენტური მოძრაობის მთავარ მიზიდულობას, იმიტომ რომ ეს არის აქტიური შემოქმედებითი პროცესი, სადაც სასიამოვნოსა და სასარგებლოს შორის მკვეთრი ზღვარი არ არსებობს. ამის საპირისპიროდ, ადამიანებს ასეთი მოძრაობისაგან განიზიდავს სწორედ იმის გაცნობიერება, რომ ეს სულაც არ არის მათ მიერ მართული შემოქმედებითი პროცესი, არამედ რომელიმე პოლიტიკური ძალის მიერ მართული პროცესია.

ასეთი შიშის ლეგიტიმურობის შემთხვევაშიც კი, მაინც მგონია, რომ უფრო მეტი ჩართულობა, უფრო მეტი ხმამაღალი მონაწილეობა, საკუთარი იდეებისა და ფასეულობების დამკვიდრება ამ პროცესში, არის სწორი გზა და მას შეუძლია, სხვების მიერ მართულ პროცესებსაც კი შეუცვალოს მიმართულება.

ამგვარად, სტუდენტურ მოძრაობას ორი რამ განაპირობებს. ერთია იმის საფრთხე, რომ არსებული რეალობა გაუარესდეს ან არ განვითარდეს, და მეორე მხრივ, იმედი, რომ პოზიტიური ალტერნატივა შესაძლებელია.

ბოლო წლების ჩვენი სტუდენტური მოძრაობა, რომელიც „ლაბორატორია 1918“-ისა და სხვა ჯგუფების აქტივობას უკავშირდება, ჩემი აზრით, სწორედ ამ საფრთხის გამო დაიწყო. უმთავრესი მოთხოვნა დასაწყისისთვის იყო სწავლის ხელმისაწვდომობა, რადგან უამისოდ არცერთ საზოგადოებას არ შეუძლია ცივილიზებულ ხალხთა შორის ადგილის დამკვიდრება, მაგრამ სტუდენტები ამავე დროს აცნობიერებდნენ, რომ ეს სისტემური პრობლემა იყო და განათლების რეფორმა სხვა მნიშვნელოვანი რეფორმების გარეშე ვერ მოხდებოდა. ამიტომაც ისინი თავის ძალისხმევას სხვა პროცესებსაც უერთებდნენ ხოლმე და ხშირად თვითონაც იყვნენ ინიციატორები, იქნებოდა ეს 26 მაისის დარბევის გაპროტესტება თუ ციხეებში არსებული ვითარებისა და დევნილებისადმი სოლიდარობა. მაგრამ ფართომასშტაბიან მოძრაობაში ეს მაინც ვერ გადაიზარდა, ვიდრე არ გავრცელდებოდა ციხის ცნობილი კადრები. აქ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ყველაზე არსებითი, რაზეც საზოგადოების ყველა მხარე თანხმდება. ეს არის ადამიანის თავისუფლების, სიცოცხლის, ღირსების საკითხები. რადგან არ შეიძლება ეს საკითხები რომელიმე პოლიტიკური იდეოლოგიის კუთვნილებად გამოცხადდეს, ამ პრობლემამ განსხვავებული სტუდენტობა გააერთიანა.

ასეთ იმპულსზე დაფუძნებულ აქტივობას პირადად მე „მეტაპოლიტიკურ აქტივობას“ ვუწოდებ. ეს არის ჩემთვის ყველაზე ადეკვატური სახელი, პასუხი ინფანტილურ განცხადებებზე, რომელიც ხშირად გვესმის თავად სტუდენტებისგანაც, რომ მოძრაობა აპოლიტიკურია. თუკი ამგვარი მოძრაობის გავლენას ვიგულისხმებთ პოლიტიკურ პროცესებზე, იგი არათუ აპოლიტიკური, არამედ სწორედაც რომ პოლიტიკურია ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით.

ალბათ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ მხოლოდ ციხის კადრების გავრცელება იყო ამ აქტივობის მიზეზი. ბევრი სხვა ფაქტორიც უნდა დაემთხვეს, რომ ასეთი მოძრაობა შედგეს, მათ შორის ის, რომ ეს ყველაფერი არჩევნების წინა პერიოდს დაემთხვა. მაგრამ, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია პოზიტიური პერსპექტივის რეალურობის განცდა. სხვა საკითხია, რომ ეს ხშირად იმედგაცრუებით მთავრდება ხოლმე, მაგრამ იმ მოცემულ მომენტში რეალისტურად უნდა მიგვაჩნდეს პოზიტიური ალტერნატივის განხორციელება. იმან,

რომ სტუდენტებმა ეს ალტერნატივა გაიზიარეს, რასაც საზოგადოების ნაწილი მანამდეც იზიარებდა, ერთი მხრივ, თავად სტუდენტური მოძრაობის გაფართოებას შეუწყო ხელი, მეორე მხრივ, თავად საზოგადოებრივ პროცესებსაც მძლავრი სტიმული შემატა და ეს ყველაფერი იმით დამთავრდა, რასაც მე ვუწოდებ „რევოლუციას საარჩევნო ურნებთან“ ან „საარჩევნო რევოლუციას“.

ამ კადრების გავრცელებამ საფუძველი გამოაცალა სტერეოტიპს, რომელიც საბჭოური მენტალობის გადმონაშთია და იმაში მდგომარეობს, რომ პოლიტიკა ახალგაზრდების საქმე არ არის, ასევე შიშს, ნებისმიერი აქტივობის უკან პოლიტიკური ძალები და მართვადი პროცესები დაენახათ. ეს შიში, რომელიც სხვადასხვა კლიშეებში გამოიხატება, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა, ყველა პოლიტიკოსი გარეწარია და ა.შ., იყო ყველაზე დამაბრკოლებელი ფაქტორი, რაც მანამდე მოძრაობის გაფართოებას ხელს უშლიდა. თუმცა, ეს კლიშეები განაგრძობს არსებობას. დევიდ ჰარვი ყველაზე მძიმე პოლიტიკურ შეცდომად მიიჩნევს, გვეგონოს, რომ სწორედ ის სცენაა ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელზეც ჩვენ ვთამაშობთ. ეს ასე არ არის. ყველა სცენას, სადაც მოვლენები თამაშდება, დიდი მნიშვნელობა აქვს. ასე რომ, ჩემი აზრით, სასურველია, რომ ერთ მიზანზე ორიენტირებულ სხვადასხვა სცენაზე მიმდინარე პროცესებს შორის არსებობდეს თანამშრომლობა.

სტუდენტური აქტივიზმის პრობლემატიკა, ჩემი აზრით, დღეს იმ კითხვის ირგვლივ აიგება, დარჩება თუ არა მის ერთადერთ ფორმად მხოლოდ მეტაპოლიტიკური, სპონტანური პასუხები ეგზისტენციალურ-პოლიტიკურ ინციდენტებზე, რაც არც ისე ხშირად იქმნება, თუ შეძლებს გადაიზარდოს თანმიმდევრულ, მიზანმიმართულ პროცესში. თუ ასეთი პროცესი შედგა, მის წინაშე ორ მთავარ გამოწვევას ვხედავ: საკუთრივ ახალგაზრდული მოძრაობის გაძლიერება, მისი უფრო მეტად მონაწილეობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ეს ასევე არის მთელი საზოგადოების გამოწვევა და ვფიქრობ, რომ თუ ყველა ერთად გავართმევთ მას თავს, მაშინ შესაძლოა, სპექტაკლი, რომელიც ერთდროულად ბევრ სცენაზე მიმდინარეობს, ჩვენთვის სასურველი ფინალისკენ წავიყვანოთ.

ლალი პერტენავა – ახალგაზრდული პროტესტი და არტიკულაციის ის ფორმები, რომლითაც ის გამოიხატება, ძალიან მნიშვნელოვანი გახდა ბოლო

პერიოდში. ახალგაზრდული პროტესტი 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. ისინი მიმართული იყო პოსტტოტალიტარული სისტემის და საზოგადოებრივი ღირებულებების გაპროტესტებისკენ. დაიწყო მუსიკალური ღონისძიებებით, გამოფენებით აბრეშუმის ქარხანაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ქვეყანაში ისევ ჩამოყალიბდა ძალაუფლებრივი ცენტრალიზებული სისტემა და არტისტები, რომლებსაც ჰქონდათ გამოხატვის თავისუფალი ნება, ქვეყნიდან წავიდნენ და სხვაგან დაიწყეს არტისტული აქტიურობა.

რაც შეეხება ქუჩის პროტესტს და მის ესთეტიკას, ნებისმიერი მოძრაობა, დაწყებული ადამიანის დაბადებიდან გარდაცვალებამდე, პროტესტის გამოხატულებაა. ადამიანები ბევრ რამეს აპროტესტებენ, თუ აქვთ ამის საშუალება, ფონი და დისკურსი. გიორგიმ მემარცხენე და მემარჯვენე დისკურსები ახსენა, რომელიც ალბათ დასავლური ფილოსოფიური აზრის განვითარებიდან მომდინარეობს და მატერიალიზმის და იდეალიზმის დაპირისპირების დიალექტიკაა. ის, თუ როგორ ყალიბდება საქართველოში ეს დიალექტიკა, ალბათ საჯარო დებატების დამსახურებაა, თუმცა ესთეტიკიდან და გამოხატვის ფორმებიდან უფრო პოლიტიკაში გადავდივართ. ამ ეტაპზე ეს ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რადგან აქტივობებს ჩვენი ჩამოყალიბებული პოზიციები განსაზღვრავს. პირადად მე, ამ კონკრეტულ მოცემულობაში, რომელიც დღეს გვაქვს, ჩამოყალიბებული პოზიცია არ გამაჩნია. ერთადერთი ის არის, რომ ქალი ვარ და მაქვს გარკვეული ინტერესები და მოთხოვნილებები იმ ჩაგვრიდან გამომდინარე, რასაც ქალი განიცდის დღეს საქართველოში. მაგრამ არ ვიცი, მემარჯვენე ვარ, მემარცხენე, ლიბერალი მემარცხენე, რადიკალი მემარცხენე თუ სხვა დისკურსის მონაწილე. ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, ნაწილობრივ ალბათ ყველაფერში ვმონაწილეობ. იმაზეც ვაპირებდი ლაპარაკს, თუ როგორ დაიწყო ქუჩის პროტესტები დასავლეთში, როგორ შემოიტანა ხელოვნებამ კულტურაში პროტესტის დისკურსი, როგორ შეიქმნა ავანგარდი, მაგრამ ეს ლექცია ალბათ მოსაწყენი იქნება აქ მყოფი საზოგადოებისათვის. უბრალოდ ვიტყოდი, რომ უფრო აქტუალურია პროტესტის გამოხატვის ის ფორმები, რაც არის დღეს საქართველოში. აქტუალურია ამ ფორმის გააქტიურება.

მოწოდებასავით არ მინდა გამომივიდეს, მაგრამ როდესაც დღეს დილით სამსახურში მივდიოდი, გლდანის მეტრო, რომელიც ძველი ქალაქისაგან განსხვავებით ცოცხალი ურბანული სივრცეა, ზუსტად იმ პროცესში დამხვდა, რო-

გორშიც ვხედავდი „ვარდების რევოლუციის“ დროს, როდესაც იდგა ძალიან ბევრი პოლიციელი და იქ მოვაჭრე ბოშა ქალები მათ შექუჩებულები უყურებდნენ. მოხდა ძალაუფლების ჩანაცვლება. წინააღმდეგობამ ჩაანაცვლა წარმატებული ძალაუფლება, სისტემა არ დანგრეულა. ასე ადვილად არც დაინგრეოდა, მთელი დასავლეთი ამ სისტემაზეა აგებული, მაგრამ თუ დღევანდელობიდან, იქნება ეს ახალგაზრდობა, სტუდენტობა თუ პენსიონერები, არ დაიწყებენ საკუთარი მოთხოვნების არტიკულირებას, მხატვრული, დოკუმენტური თუ სხვა სახით, ჩვენთან ეს სისტემა ალბათ ყოველთვის რევერსული პრინციპით იმუშავებს.

1990-იან წლებში საკმაოდ ექსპრესიულად გამოიხატებოდა კულტურული პროტესტები. იყო რთველიაშვილი, რომელიც დადიოდა დანგრეულ მაღაზიებში და ლექსებს კითხულობდა. მაგრამ ეს ექსპრესიული გამომხატველობა არტისტულ ფორმებში იყო ჩაკეტილი. დღევანდელი ახალგაზრდობისგან გამიგონია მოსაზრება, რომ არტისტული ფორმები ზედმეტია დემონსტრაციებისა და პროტესტის გამოხატვისას, რადგან მაყურებელი სხვა მიმართულებით მიჰყავს. მე მიმაჩნია, რომ კარგად ჩამოყალიბებული, კონცეპტუალიზებული არტისტული ფორმა არის ზუსტად ის, რაც ქმნის პროტესტის კულტურულ დისკურსს და რასაც საუკუნეების განმავლობაში არტისტები ქმნიდნენ.

ანი ჭანკოტაძე – მოგახსენებთ, რას წარმოადგენს ჩემთვის „ლაბორატორია 1918“ და როგორ დაიწყო ეს მოძრაობა. „ლაბორატორიას“ მე არ განვიხილავ როგორც კონკრეტულ ჯგუფს. ვართ ადამიანები, რომლებიც ვმონაწილეობთ ამ ჯგუფის აქტივობებში, ვგეგმავთ და პრეზენტაციას ვაკეთებთ, მაგრამ ეს არ არის კონკრეტულ საზღვრებში ჩაკეტილი ჯგუფი. ჩემთვის ეს უფრო სოციალური პრაქტიკაა.

მახსოვს, როგორი ინდიფერენტულობა იყო გამეფებული სტუდენტებში, როდესაც მე და ჩემმა მეგობრებმა უნივერსიტეტში გავაკარით პლაკატები, რომლითაც ვაპროტესტებდით სტუდენტურ თვითმმართველობას და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას. ამან პირველი ვნებათაღელვა გამოიწვია. ამ შედეგების გარშემო გაერთიანდნენ სხვა სტუდენტებიც და აღმოვაჩინეთ, რომ პრობლემები ყველას გვაქვს. ჩვენ ვგრძნობდით დისკომფორტს ჩაკეტილ სივ-

რცეში ცხოვრების გამო, ვიღებდით უხარისხო განათლებას და, შესაბამისად, გვქონდა შეგრძნება, რომ ცხოვრებაში არ გვექნებოდა პერსპექტივები, ვიყავით დაბალი და საშუალო კლასის წარმომადგენლები და განწირულები ვიყავით იმისთვის, რომ მუდმივად შეგვესრულებინა მორჩილი ცხვრების ფუნქცია. ჩვენი პირველი პროტესტი ყოველივე ამან გამოიწვია. არ ვიყავით დარწმუნებულები, მოვახერხებდით თუ არა რაიმეს შეცვლას, მაგრამ მიუხედავად ამისა, დავაფიქსირეთ ჩვენი მიუღებლობა ყოველივე ამის მიმართ. ასე დაიწყო ყველაფერი.

რა არის „ლაბორატორია“, თვითრეალიზაცია თუ თვითგამორკვევა? ვფიქრობ, რომ არის თვითგამორკვევა, ოღონდ თვითრეალიზაციის მიზნით. როდესაც პრობლემებთან საბრძოლველად გავერთიანდით, აღმოვაჩინეთ, რომ საერთო მიზნებისთვის კოლექტიური მოქმედება იყო საჭირო. შეიძლება ითქვას, რომ თვითგამორკვევის სხვადასხვა ეტაპები გავიარეთ, ვიდრე ჯგუფად ჩამოვყალიბდებოდით.

სექტემბრის მოვლენები, რომელშიც ჩვენც ვითამაშეთ როლი, არ ყოფილა არც „ლაბორატორიის“ და არც ციხის კადრების დამსახურება. ეს იყო საზოგადოების ისეთივე პროტესტი, როგორიც თავის დროზე გაგვიჩნდა უნივერსიტეტში. საზოგადოება დიდი ხანი ცხოვრობდა დიდ დისკომფორტში, შემდეგ გაჩნდა კონკრეტული საბაბი ამ პროტესტის გამოსავლენად. ციხის კადრები არ ყოფილა მიზეზი, მხოლოდ საბაბი იყო. თუმცა, ამის შემდეგ საზოგადოებაში თვითგამორკვევის პროცესი არ გაგრძელებულა. ხალხმა თქვა, რა არ უნდა, მაგრამ რა სჭირდება, როგორ წარმოუდგენია მომავალი ცხოვრება, არ უთქვამს. „ლაბორატორიამ“ თქვა, რომ უნდა უფასო განათლება, რომელიც გულისხმობს სოციალური და პოლიტიკური სისტემების ცვლილებას, პრობლემები არ არის ცალკეული ხასიათის, ის სისტემასთან არის კავშირში. ცვლილებები არ მომხდარა, იმიტომ რომ ის სივრცე, სადაც ეს უნდა მომხდარიყო, ჩაკეტილია თვითშეფასების პროცესისთვის.

„ლაბორატორიას“ შეიძლება იმაზე მეტი პასუხისმგებლობა დავაკისროთ ან იმაზე მეტად შევაფასოთ მისი როლი, ვიდრე რეალურად არის. ჩემი აზრით, ყველაფერი სოციალური და პოლიტიკური მოვლენების თანხვედრის გამო მოხდა და არა „ლაბორატორიაში“ შემავალი ადამიანების პირადი მონაცემების გამო.

სექტემბრის დღეებში სისტემის ნგრევას ჩვენთან ერთად ის ასაკოვანი ადამიანებიც მოითხოვდნენ, რომლებიც სხვა დროს უცხოდ აღიქვამდნენ ამ ანარქისტულ ლოზუნგს და შორს დაიჭერდნენ თავს მისგან. მაგრამ ჩვენი სტუდენტური გამოხატვის ფორმას შეუერთდნენ, რადგან იმ მომენტში მთელ საზოგადოებას საერთო მიზანი ჰქონდა – კრიზისული რეჟიმის შეცვლა. მაშინ ამას „სისტემის ნგრევას“ უწოდებდნენ. მაგრამ სისტემა, რა თქმა უნდა, არ დანგრეულა. სისტემა არის მთელი, რომელიც შედგება ერთმანეთთან ფუნქციურად დაკავშირებული ელემენტებისგან. იქ ყველას ჰქონდა თავისი ფუნქცია, პარლამენტსაც – რომელიც ისეთ კანონებს იღებდა, რომლებიც მხოლოდ ბანკირებს და მსხვილ ბიზნესმენებს და პოლიტიკურ მმართველ გუნდს სჭირდებოდა, თავისი ფუნქცია ჰქონდა პოლიციას, რომელიც პატიმრებს აწამებდა და ამის ხარჯზე ხდებოდა რაღაცები, რაც საჭირო იყო ამ სისტემის არსებობისთვის და გვქონდა ჩვენც, ხალხს, ჩვენი ფუნქცია, როცა ვემორჩილებოდით და წყნარად ვიღებდით ამ ყველაფერს. ფუნქციები არ შეცვლილა, შეიცვალა პოლიტიკური მმართველობა. თუ ამ ფუნქციებს არ შევცვლით, ამ სისტემურ მთელს არ დავშლით, მანამდე ცვლილებებზე ვერ ვილაპარაკებთ. ვიდრე არ დაირღვევა კავშირი დამორჩილებულსა და დამმორჩილებელს შორის, მნიშვნელობა არ ექნება ვინ იქნება სათავეში. ამისთვის კი საჭიროა თვითგამორკვევის პროცესი, მაგრამ ამას მარტო „ლაბორატორია“ არ ეყოფა. ამას უფრო დიდი სივრცე და გახსნილობა სჭირდება. შეიძლება გამოჩნდეს კიდეც ახალი ჯგუფი უფრო რადიკალური მოთხოვნებით. ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად შეუძლია საზოგადოებას იმ პრობლემების აღქმა, რომელშიც იმყოფება, ადეკვატური პასუხის გაცემა და ორგანიზება ამ გამოწვევებზე საპასუხოდ.

ლევან ლორთქიფანიძე – ჩვენს მოძრაობას „ნარინჯისფერი კლუბი“ ჰქვია. ეს სახელი მეგობრებმა და სტუდენტებმა იმ პროცესების დროს დაგვარქვეს, რომელიც უნივერსიტეტიდან დაიწყო. ჩვენი მოძრაობაც უნივერსიტეტს და იმ პრობლემებს უკავშირდება, რომლებიც არის ჩვენს სასწავლებელში, სახელმწიფო სასწავლებლების უმრავლესობაში. ჩვენთვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო ის, რომ განათლება უხარისხო გახლდათ. სტუდენტებს არ ჰქონდათ სამეცნიერო-კვლევით პროცესში ჩართვის შესაძლებლობა, არ ჰქონდათ ხელმისაწვდომობა იმ ელემენტარულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, რაც აუცი-

ლებელია პროფესიონალად ჩამოყალიბებისათვის. ამასთან, ვხედავდით, რომ სტუდენტური წარმომადგენლობები, რომლებიც ოფიციალურად არსებობდა, არ ახორციელებდა ჩვენი უფლებებისა და ინტერესების დაცვას არა მარტო უნივერსიტეტის მასშტაბით, არამედ მის გარეთაც.

„ლაბორატორია 1918"-ის მიერ ჩატარებულ აქტივობებში პირველი კურსიდან ვმონაწილეობ. მადლობის მეტი არაფერი გვაქვს სათქმელი ამ მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი მოძრაობის მიმართ, მაგრამ ცხადია, როდესაც ჯგუფი აქტიურია და შედეგზე ორიენტირებული, ზემოდან იწყება მისი მარგინალიზების მცდელობა და ამ ჯგუფს ნათლავენ რადიკალებად, არარაციონალურ ადამიანებად. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, გაგვეხსნა ახალი ფრონტი იმ იდეის, იმ სისტემის მიმართ, რაც ჩამოყალიბებული გახლდათ უნივერსიტეტშიც და საზოგადოებაშიც და გადავწყვიტეთ სამართლებრივი და ფორმალური გზებით მოგვეპოვებინა შედეგები. ამიტომ 2012 წლის მაისში ჩატარებულ თვითმმართველობის არჩევნებში დავრეგისტრირდით დამოუკიდებელ კანდიდატებად და ჩამოვაყალიბეთ ჩვენი კლუბი. ბევრი დაგვცინოდა, რომ ვერაფერს მივაღწევდით, მაგრამ შევძელით ის, რომ უნივერსიტეტში პირველად, მას შემდეგ რაც თვითმმართველობის სტრუქტურები ჩამოყალიბდა, ორგანიზებული ჯგუფი 70%-იანი უპირატესობით გავიდა თავის კურსზე სტუდენტურ თვითმმართველობაში. ჩვენ დავამარცხეთ ერთიანი სტუდენტური მოძრაობა. ბევრი გაოცებული იყო, იმიტომ რომ ამ ჯგუფის დამარცხება საარჩევნო პროცესით შეუძლებლად მიაჩნდათ.

აინტერესებთ, რატომ დავირქვით ნარინჯისფერი. ჯერ ერთი, ისეთი ფერია, რომელიც კარგად ჩანს. ორკვირიანი საარჩევნო კამპანიის დროს ფიგურირებდა ამ ფერის ბუშტები, მუყაოს ქაღალდები ამ ფერის წარწერებით, ამასთან, ის სისრულის და განახლების ფერია და ჩვენი მთავარი ლოზუნგიც განახლება გახლდათ.

ჩვენი აქტივობის მთავარი სფერო არ განსხვავდება. ჩვენ ვითხოვთ უმაღლესი განათლების სრულყოფას, უმაღლესი განათლების სისტემაში სტუდენტის დაყენებას პირველ ადგილზე. გვინდა, სისტემა მორგებული იყოს არა კონკრეტულ ადამიანებზე, არამედ მუშაობდეს პროფესიონალი კადრის ჩამოყალიბებაზე. ძალიან საინტერესოა, როგორ ხდება ახალგაზრდობის ჩართვა და რა ხიბლავთ ჩვენს მეგობრებს ჩვენს მოძრაობაში. მიზეზი ძალიან მარტი-

ვია. ადამიანების დიდ ჯგუფს სურს, რომ მისი აზრი მნიშვნელოვანი იყოს, ითვალისწინებდნენ, და რეალურად მონაწილეობდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახლავთ ისიც, რომ გადაწყვეტილება არ მიიღოს ვინმე სხვამ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მთავარ როლს არ ასრულებდეს გარე ძალა, სისტემაში დაწინაურებული ელიტური ჯგუფები. გვსურს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მთავარი როლი ჩვენ ვითამაშოთ.

როგორ შეიძლება გაგრძელდეს მოძრაობა? საზოგადოებაში სამოქალაქო კულტურა ძალიან დაბალია. ბევრი სტუდენტი დღეს გადაქცეულია კრედიტებზე და დიპლომზე მონადირე არსებად და მათი მთავარი ინტერესი არის მხოლოდ ის, რომ ჩაეთვალოთ რაღაცა, ფორმალურად მიიღონ განათლება. მათ არ აინტერესებთ ხარისხი. ხშირად არც ის აინტერესებთ, ირგვლივ რა ხდება. შესაბამისად, ძალიან ძნელია მხოლოდ რამდენიმე სტუდენტურ ჯგუფზე გადავიდეს მთელი სამოქალაქო პასუხისმგებლობა. მინდა გამოვკვეთო ჩვენი ღირებულებები. ჩვენ ყველაფერს უნივერსიტეტთან ვაკავშირებთ. ჩვენ ვართ უნივერსიტეტის იდეაზე კონცენტრირებული ჯგუფი. ვფიქრობთ, რომ უნივერსიტეტი და განათლების სისტემა არის ყველაზე დიდი პოლიტიკა. ყველაზე დიდი პოლიტიკური პრიორიტეტი უნდა იყოს სწორედ განათლების სისტემა და უნივერსიტეტის სისტემის შეცვლისთვის საქმიანობა ჩვენ ყველაზე დიდ სამოქალაქო აქტივობად მიგვაჩნია, რაც კი შეიძლება სტუდენტურმა ჯგუფებმა გადადგან.

მოკლედ შევეხები სექტემბრის მოვლენებსაც. ეს მოვლენები ნამდვილად იყო სპონტანური რეაქცია, რომელიც ნებისმიერ სტუდენტს უნდა ჰქონოდა მომხდართან დაკავშირებით. უბრალოდ, აღსანიშნავია ის, რომ ამ მოძრაობის და პროტესტის ცენტრი გახლდათ უნივერსიტეტი. სტუდენტური აქტივობა საზოგადოების დაკვეთა გახლდათ. ჩვენს ქვეყანას აკლდა სამოქალაქო კონტროლი ჩვენი, ახალგაზრდების მხრიდან. აქციებზე გვქონდა ერთი ლოზუნგი, რომელსაც ჩვენი კლუბი თავიდან ბოლომდე იზიარებს და თავის ფუნდამენტურ ღირებულებად მიიჩნევს. ეს ლოზუნგი ასე ჟღერდა – „ჩვენი უზენაესი ღირებულებაა ადამიანი“. შევეცდებით ადამიანის დაცვას, როგორიც არ უნდა იყოს ის, რა შეხედულებებისა და მრწამსისაც არ უნდა იყოს. ადამიანი უნდა იყოს სისტემის და გარემოს მთავარი თემა და საზრუნავი.

მომავალი აქტივობების დაწყება რთულია, მაგრამ მაქვს პრეტენზია, რომ სტუდენტობა გახდეს საქართველოში ევროპული სტანდარტის დამამკვიდრებელი. ჩვენი სამომავლო პერსპექტივა სამოქალაქო ინიციატივების, იდეების, საკანონმდებლო პროექტების წარდგენა და ამ პროექტებისათვის სხვადასხვა მეთოდებით – აქციებით, დისკუსიებით, მხარდაჭერა და მიზნის მიღწევაა.

გოგი გვახარია – არ მახსოვდა ეს ლოზუნგი, „უზენაესი ღირებულება არის ადამიანი“. მახსოვდა „სისტემა უნდა დაინგრეს“. ალბათ, ისიც საინტერესოა, რომ ეს ლოზუნგი უფრო პოპულარული გახდა, ვიდრე პირველი. ამის მიზეზებზეც შეიძლება მსჯელობა. შეგიძლიათ დასვათ კითხვები.

სოფო ტაბატაძე – ყოველთვის მაღიზიანებდა პროტესტის გამოხატვის ფორმები. ჩემი აზრით, პროტესტები ზედმეტად თეატრალიზებულად გამოიხატებოდა. ამიტომაც ბევრი მათგანი არ ყოფილა წარმატებული. გამოფენილ სურათებსაც რომ ვუყურებ, „ყანწი მომართვით“ ჟესტიკულაცია იგრძნობა. გაუგებარია ინგლისური წარწერებიც, თითქოს ვიღაცისთვის საჩვენებლად არის გაკეთებული და არა ბუნებრივი სიბრაზის გამო. ბუნებრიობა აკლია ყველაფერ ამას.

ვერა გოგოხია, ლიბერალური განათლების ამერიკულ-ქართული ინიციატივა – ვფიქრობ, რომ არჩევნებამდეც ძალიან ცხელი პოლიტიკური პერიოდი იყო და არანაკლებ ცხელია არჩევნების შემდეგ. რატომ არის სტუდენტური მოძრაობა ჩაწყნარებული. რაღაცას ველოდებით? თუ ველოდებით, რას და როდისთვის?

არჩილ წერეთელი, „ლაბორატორია 1918“ – საზოგადოება კარგად არ ადევნებს თვალს მოვლენებს. დაჭერების საკითხი მაინც უფრო პოპულარულია. თუ გაიხსენებთ, ძალიან აქტიური იყო ჩვენი მოძრაობა ჭიათურის მოვლენების დროს, როდესაც მუშები გაიფიცნენ, რკინიგზელების გაფიცვის დროსაც. მაგრამ, გეთანხმებით, ტელევიზიებს არ აინტერესებდა ეს თემები და არ გაშუქებულა. პარლამენტის გახსნის დღესაც ძალიან მასშტაბური აქცია გვქონდა.

გიგა ბრეგვაძე – სოციალური მოძრაობისას იდეოლოგიური ეკლექტიზმი თუ არის კარგი და რატომ?

გოგი გვახარია – სოფოს კითხვას გავაგრძელებ, ძალიან მომეწონა. მეგონა, რომ დღევანდელი დისკუსია შეეხებოდა იმას, რაზეც სოფომ ისაუბრა. მოხსენებები ძალიან ზოგადი იყო. მე მგონი პროტესტის ფორმებზე უნდა გვესაუბრა. უნდა გვესაუბრა იმაზე, რამდენად იყო ეს თეატრი, ეს ცუდია თუ არა, სტატიაც დავწერე რიყეზე გამართულ კოცნის აქციასთან დაკავშირებით. საინტერესო იდეა ჰქონდა ამ აქციას, მაგრამ დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება ახალი იყო და ამდენად გაუგებარი. მაგრამ სინამდვილეში ასეთი, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო გადაწყვეტილებით შემდეგ უფრო მნიშვნელოვანი პროტესტები გვახსოვს ისტორიაში. ფორმის კრიზისი ხომ არ არის? ისიც უცნაურია, რომ გუდიაშვილის აქცია არ გიხსენებიათ. მაინტერესებს, თუ ფიქრობთ ახალი ფორმების ძიებაზე?

გიორგი კევლიშვილი – იყო აქციები, სადაც სტუდენტური მოძრაობის გვერდით იდგა პროფკავშირები. მაგრამ თუ კონკრეტულ წარმატებულ შედეგზე ვლაპარაკობთ, სწორედ იმის თქმა მინდოდა, რომ ასეთი პროცესი ჯერ არ გვქონია და ახლა ვდგავართ ამ ამოცანების წინაშე. თუმცა, სექტემბრის მოძრაობაში საზოგადოების ყველა მხარე იყო ჩართული. თანმიმდევრული თანამშრომლობა სტუდენტურ ჯგუფებს შორის ადრეც ყოფილა, მაგრამ უფრო ფართო თანამშრომლობა არ მახსენდება.

თეატრალიზებასთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით. მე ვთქვი, რომ ეს არის შემოქმედებითი, კრეატიული პროცესი და საჭიროა ახალი ფორმების გამოგონება სათქმელის გამოსახატავად. საზოგადოება ეჩვევა პროტესტის ფორმებს და ისინი აღარ მუშაობს. ასეთი პრობლემის წინაშე ყოველთვის დგას საპროტესტო მოძრაობა. ადამიანები ფიქრობენ, როგორ მიიტანონ თავიანთი სათქმელი საზოგადოებამდე. ახალი ფორმების მოძიება საჭიროდ მიმაჩნია.

არა მგონია, რომ სტუდენტებმა უნდა განაგრძონ მხოლოდ საპროტესტო მოძრაობა. ის არ უნდა იყოს მხოლოდ პასუხი გამაღიზიანებლებზე. ეს უნდა იყოს ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლებისა და უშუალო მონაწილეობისაკენ მიმართული პროცესი.

როდესაც მოძრაობა ფართომასშტაბიანია, იდეოლოგიური ეკლექტიზმი ყოველთვის გვაქვს, ადამიანები განსხვავებული ფასეულობების მატარებლები არიან, მაგრამ არის რაღაც, რაც ყველას აერთიანებს. ჩემი აზრით, ახლაც ასეთი მომენტი იყო, რომ განსხვავებული იდეოლოგიის ადამიანები ერთად დადგნენ. არც თავად „ლაბორატორიაშია“ იდეოლოგიური ერთგვაროვნება. ეს ძალიან კარგია და ქმნის პირობებს დისკუსიისა და კონსენსუსისათვის.

რაც შეეხება შრომის კოდექსის შეცვლას, ეს „ლაბორატორიის“ და მთელი საზოგადოების მოთხოვნა მანამდეც იყო, ვიდრე ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი გაჩნდებოდა. „ლაბორატორიის“ ერთ-ერთი პირველი გამოსვლა სწორედ არსებულ შრომის კოდექსს აპროტესტებდა. ეს მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, რომ ახალმა ხელისუფლებამ დადო მისი შეცვლის პირობა, მაინც ძალაშია.

ახალგაზრდობის მონაწილეობა უნდა გაიზარდოს საზოგადოებრივ პროცესებში. ის გამოცდილება, რაც სხვადასხვა სტუდენტურ მოძრაობას გააჩნია, კარგი დასაწყისია მოძრაობის გაფართოებისთვის. სწორედ ახალგაზრდებმა უნდა იბრძოლონ ახალი რეალობის შესაქმნელად. ეს გულისხმობს მონაწილეობას. ვიდრე იარსებებს საკითხი, რომელსაც სტუდენტები არ მიიჩნევენ თავიანთ საქმედ, ამ ქვეყანას არაფერი ეშველება. არცერთი ისეთი საკითხი, რომელიც სტუდენტის ბედს ეხება, არ უნდა წყდებოდეს სტუდენტების გარეშე.

ანი ჭანკოტაძე – ჩვენ განვაგრძობთ მუშაობას მთავარი მიზნისთვის, უფასო და ხელმისაწვდომი განათლების ეტაპობრივად მიღწევისთვის. ამ წუთას უნივერსიტეტის თვითმმართველობის მოდელზე ვმუშაობთ. შექმნილია ჯგუფები, რომლებიც სხვადასხვა მოდელებს შეისწავლის. ვმუშაობთ იმაზე, როგორ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ აღარ გვქონდეს ცენტრალიზებული მოდელი და როგორ გავაძლიეროთ ფაკულტეტების თვითმმართველობები, ასევე თითოეული სტუდენტის ჩართულობა უნივერსიტეტის მართვაში.

თვალყურს ვადევნებთ, თუ რა ხდება განათლების პოლიტიკაში, თუნდაც იმ ინიციატივას, რომ განათლების ბიუჯეტი ორჯერ გაიზარდა. გვაინტერესებს, რას მოხმარდება ეს ფული, განათლების ხელმისაწვდომობას თუ ხელს შეუწყობს განათლების უფრო ელიტურად გადაქცევას.

გულწრფელობის საკითხი გამოხატვაში მეც მნიშვნელოვნად მიმაჩნია. პრობლემაა, თითქოს ჰეროიკულ პათოსს ატარებს ჩვენთან აქციები. ადამი-

ანებს მიაჩნიათ, რომ აქცია და პროტესტი ვინმესთვის გაღებული წვლილია, სხვებისთვის საგმირო საქმეა და არა საკუთარი მიზნების მიღწევის საშუალება. შეიძლება ამას მოაქვს ის, რომ ეს ყველაფერი გმირულ იერს იღებს. აქცია, ცხადია, საინტერესო უნდა იყოს და არ უნდა იყოს მოსაწყენი. ზოგ შემთხვევაში რაოდენობაა მნიშვნელოვანი, ზოგ შემთხვევაში ფორმა და მისი კრეატიულობა, გააჩნია აქციის შინაარსს.

შრომითი გარემო, უფლებები და ექსპლუატაცია მნიშვნელოვანი პრობლემაა ყველა საზოგადოებაში. საქართველოში ის ვულგარული ფორმით არის წარმოჩენილი. ეს საკითხი ყოველთვის იყო ჩვენი ინტერესის საგანი. ველოდებით, რას იზამს ახალი პარლამენტი, თუმცა შესული კანონპროექტები მაინცდამაინც არ განსხვავდება მოქმედი შრომის კოდექსისგან და ესეც იმსახურებს ჩვენს ყურადღებას. საჭიროა უფრო რეალური ცვლილებები. პრობლემა ბევრია, მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ მოქმედი შრომის კოდექსი იძლევა ადამიანის ექსპლუატაციის და ჩაგვრის საშუალებას. არ არის მითითებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა. 37-ე და 38-ე მუხლები შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისა და ხელშეკრულების მოშლის საფუძვლად ლეგიტიმურად მიიჩნევს დამსაქმებლის ნებას. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის ისედაც დაუსაქმებელ მოსახლეობას მარადიული ტერორის მდგომარეობაში ვამყოფებთ. ადამიანები სოციალურად იმპოტენტები ხდებიან, ვერ იბრძვიან თავიანთი უფლებების დასაცავად იმის გამო, რომ ის ლუკმა-პურიც არ დაკარგონ, რაც აქვთ. ეს ზოგადად დიდ პრობლემებს უქმნის ქვეყნის წინსვლას.

ოთო კობახიძე, „ნარინჯისფერი კლუბის“ წევრი – წუხელ ვკითხულობდი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებას, სადაც ნათლად არის მითითებული, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 35 წევრიდან არანაკლებ 1/4-ს სტუდენტები უნდა შეადგენდნენ. დღეს საბჭოში მხოლოდ შვიდი სტუდენტია. აქედან გამომდინარე, დეკანის არჩევნები, რომელიც იქნება 21-ში, ლეგიტიმური და სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცეული არ იქნება.

სოფოს ნათქვამს გამოვეხმაურები. მე დამიწერია პლაკატები ფრანგულ, ესპანურ და ინგლისურ ენებზეც. ჩემთვის ეს პრობლემა არ ყოფილა. პრობლემა ის იყო, რომ ბოლოს ეს აქცია ნაციონალი ახალგაზრდების მიტინგს უფ-

რო დაემსგავსა. ორი დღის შემდეგ უკვე გაჩნდა მოთხოვნები, წავსულიყავით საპატრიარქოსთან, წავსულიყავით და გველოცა სამებასა თუ ქაშვეთში. რომ არა სტუდენტური ჯგუფები, ეს პროტესტი დაკარგავდა თავის სახეს. მაგრამ ბოლო დღეებში, როცა ეს მაინც მოხდა, იმის დამსახურება იყო, რომ ბოლოს ჩვენი აქცია „ჯოს, ჯოს“ აქციად გადაიქცა. ბევრისგან განსხვავებით, ჩემთვის ეს აქციები ნამდვილად არ იყო იმედისმომცემი. იქ მე დავინახე ის უამრავი პრობლემა, რომელიც არსებობს ქართველი სტუდენტის ცნობიერებაში. გვაკლია შედეგზე ორიენტირება და კიდევ ბევრი რამ. ჩემი ერთი ლექტორი ამბობდა, რომ 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ პროტესტი ნებადართულ ვაჟკაცობას ჰგავდა და ჩვენი აქციები სწორედ ამას დაემსგავსა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება შეიცვალა, მართლაც მნიშვნელოვანი აქციები იყო, მან მე უფრო მეტი კითხვა დამიტოვა, ვიდრე კმაყოფილება.

სანდრო ცაგარელი, „ლაბორატორია 1918“ – რთულია გარედან იმ მოვლენების შეფასება, რისი მონაწილეც თავად ხარ. არა მგონია ეს აქციები ზედმეტად თეატრალიზებული ყოფილიყო. იყო სიმბოლოები და მნიშვნელობები, რაც ზოგადად აქვს ხოლმე აქციებს. თუნდაც ის, რომ ყოველდღე სამ საათზე უნდა შევკრებილიყავით უნივერსიტეტის ეზოში, აქციებს აძლევდა ლეგიტიმურობის ფორმას. შეიქმნა მნიშვნელობები, რომლებიც კარგ ფორმებში სვამდა ჩვენს მოძრაობას. დროთა განმავლობაში უფრო დავიხვეწებით და უფრო მეტ მნიშვნელობებს და შინაარსს მივცემთ ჩვენს ქმედებებს.

თამარ ჯოხაძე, სტუდენტი – მეც ვიყავი აქციების მონაწილე და გამოგიტყდებით, მეც დავიყვირე რამდენჯერმე „ჯოს, ჯოს“. ისე გამოვიდა, თითქოს ამით რამე დამეშავებინოს. ეს ინტელექტუალების ჯგუფმა აიტაცა, რომ ახალი ფორმები უნდა მოვიფიქროთ.

გოგი გვახარია – მგონია, რომ საუბარია არა „ჯოსზე“ და ტრადიციაზე, არამედ ერთფეროვნებაზე. მახსოვს, „ვარდების რევოლუციის“ დროს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული აქცია იყო პარლამენტის ირგვლივ ხელიხელჩაკიდებული ადამიანების მიერ წრის შეკვრა. მაგრამ შემდეგ, როცა ეს განმეორდა, ვიღაცამ იკითხა, როდემდე უნდა გაგრძელებულიყო. ლაპარაკია ფორმის

ცვლილებასა და კრეატიულობაზე, თორემ ადამიანებს ვერ აუკრძალავ, იმ ენაზე გამოხატონ პროტესტი, რომელიც მათთვის ორგანულია.

ანი ჭანკოტაძე – აქციის ერთ-ერთმა წევრმა, დიტო ხუსკივაძემ სხეული დაისერა, რათა სისხლით სიმბოლურად გამოეხატა თავისი პროტესტი. ეს ძალიან ნეგატიურად აღიქვა ხალხმა. პუბლიკაც პრობლემაა რიგ შემთხვევაში. ხშირად სიახლესა და კონცეპტუალობაზე მნიშვნელოვანი ძალის დემონსტრირებაა.

ლევან ლორთქიფანიძე – დავიწყოთ ფარისევლობის მომენტებით, რომელზეც ისაუბრეთ. ცხადია, ფარისევლობა იარსებებს აქციაზე, რომლის შემადგენლობაც ძალიან დიდია. ძალიან ბევრი ადამიანი მონაწილეობდა ამ აქციაში, ზოგი გულწრფელად იყო მოსული, ზოგი ფარისევლურად, ზოგს ეკრანზე გამოჩენა უნდოდა. დიტოს პროტესტის ფორმისმაგვარი გინახავთ? ასეთი გულწრფელი და ორიგინალური, დამოუკიდებელი. დარწმუნებული ვარ, იცოდა, რა მოჰყვებოდა ამ ფორმას. ასეთი ფორმები აკლდა ჩვენს საზოგადოებას. მიუხედავად იმისა, რომ დიდი წნეხი იყო, დიტომ არ თქვა უარი საკუთარ გადაწყვეტილებაზე. შეიძლება არ მომწონდეს სისხლით დაწერილი ფრაზები, მაგრამ ვაფასებ მის თავისუფალ და გულწრფელ ნაბიჯებს.

თავად ისაუბრეთ პროტესტის გამოხატვის იმ პრაქტიკაზე, რაც ახასიათებდა საქართველოს წარსულში – ჯაჭვები, საკნები, ერთფეროვნება. ამ აქციებზე ბევრი ახალი და გულწრფელი ელემენტი შემოვიდა. თავიდან ჩემს სიტყვებსაც, რომ „ჩვენი უზენაესი ღირებულებაა ადამიანი“, უცნაურად შეხვდნენ. ყველა მოელოდა „ჯოს“ მსგავს მოწოდებას, მაგრამ საზოგადოება მალე ამ ფრაზასაც გაგებით მოეკიდა.

მრავალფეროვნება,
თანასწორობა და სამართლიანობა

სიძულვილი, როგორც დამამძიმებელი გარემოება: ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში

მომხსენებლები:

სოფიო ბენაშვილი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი,
მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

გიორგი გოცირიძე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია,
იურისტი

ზაურ ხალილოვი

სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი,
აღმასრულებელი დირექტორი

მოდერატორი:

ნინო ბექიშვილი

4 აპრილი, 2012

ნინო ბექიშვილი – დღევანდელი დისკუსია ეხება იმ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსში ახლახან შევიდა და რომლის მიხედვითაც დამამძიმებელ გარემოებად ჩაითვალა რასობრივი, ენობრივი, ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური ნიშნით ჩადენილი დანაშაული. დებატები იმართება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის, „სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში: ლაკმუსის ტესტი სოციალური ტოლერანტობისა და ადამიანის უფლებებისათვის“ ფარგლებში.

სოფიო ბენაშვილი – შევეცდები მოკლედ ვისაუბრო სისხლის სამართლის კოდექსში შესულ ცვლილებებზე და ყურადღება გავამახვილო აქამდე არსებული კანონმდებლობის ხარვეზებზე, ცვლილებების განხორციელების აუცილებლობასა და იმ სარგებლობაზე, რაც შეიძლება ამ ცვლილებებმა მოიტანოს.

2012 წლის 27 მარტს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც შეუწყნარებლობის მოტივი თითოეული დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად ჩაითვალა. მუხლი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „დანაშაულის ჩადენის დამამძიმებელ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, შეზღუდული შესაძლებლობების მოქალაქეების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა მადისკრიმინირებელი მუხლით ჩადენილი დანაშაული“. როგორც ხედავთ, მუხლი საკმაოდ ფართო მოცულობისაა და მაქსიმალურად ფარავს შეუწყნარებლობის თითქმის ყველა მოტივს. ამავდროულად, ტოვებს იმის საშუალებას, რომ შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ნებისმიერი სხვა დანაშაული დამამძიმებელ გარემოებად ჩაითვალოს. კანონპროექტის თავდაპირველი ვარიანტი მხოლოდ რასობრივი, ენობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური ნიშნით მადისკრიმინირებელ გარემოებებს ითვალისწინებდა. თუმცა სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობით ეს მუხლი განივრცო და ასეთი სახით იქნა შეტანილი სისხლის სამართლის კოდექსში.

კანონპროექტის მიღების ერთ-ერთი საფუძველი გახდა „რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპის კომისიის“ ზოგადი პოლიტიკის რეკო-

მენდაცია, რომლის თანახმადაც საქართველოს სახელმწიფოს მიეთითა, რომ მიზანშეწონილი იყო რასისტული შეუწყნარებლობის მოტივი დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება გამხდარიყო.

თავდაპირველ ვარიანტში შემოთავაზებული ცვლილებები არ ფარავდა შეუწყნარებლობის ისეთ მნიშვნელოვან მოტივებს, როგორიც არის შეუწყნარებლობა სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე. ამჟამინდელმა ფორმულირებამ თავიდან აგვაცილა ხარვეზები და საშუალებას გვაძლევს, დისკრიმინაციისგან მაქსიმალურად იყოს დაცული ყველა მოწყვლადი ჯგუფი.

რამ გამოიწვია ამ ცვლილებების აუცილებლობა, გარდა იმ რეკომენდაციებისა, რომლებსაც საერთაშორისო თანამეგობრობა და ორგანიზაციები აძლევდნენ სახელმწიფოს. უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე მოქმედ სისხლის სამართლის კანონში არსებობდა სპეციალური მუხლები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ებრძოდა დისკრიმინაციას. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს 142-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას, როგორც დანაშაულს, 142-ე პრიმა მუხლი, ანუ, რასობრივი დისკრიმინაციის აკრძალვა, 155-ე მუხლი, რომელიც რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლას ეხება, 156-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს დევნას, როგორც დასჯად ქმედებას და 258-ე მუხლი – მიცვალებულთა უპატივცემულობის შესახებ. თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველის პრაქტიკამ აჩვენა, რომ დანაშაულები და ქმედებები ამ მუხლებით არ კვალიფიცირდებოდა. მაგალითისათვის მთელი რიგი შემთხვევების მოყვანა შეიძლება.

მოგეხსენებათ, წლების განმავლობაში ძალიან ხშირად მოგვმართავდნენ იეჰოვას მოწმეები, რომელთა მიმართაც წინა წლებში ძალიან ხშირად ჰქონდა ადგილი ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებს. შესაბამის სტრუქტურებს ვუგზავნიდით ამ მასალებს, მაგრამ დანაშაულს ამ მუხლებით არ აკვალიფიცირებდნენ. გამოძიება, როგორც წესი, იწყებოდა სხეულის დაზიანების ან სხვა მუხლით და გარკვეული პერიოდის შემდეგ წყდებოდა, მაშინ როცა თავისუფლად შეიძლებოდა ესა თუ ის ქმედება დაკვალიფიცირებულიყო 155-ე მუხლად, გამოძიება ბოლომდე მისულიყო და სასურველი შედეგიც დამდგარიყო.

კვალიფიკაციის პრობლემებზე საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ ისაუბრა თავის საპარლამენტო ანგარიშებში. ბოლო პერიოდში იყო

რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მსგავსი ფაქტები სწორად დაკვალიფიცირდა, თუმცა, მსგავსი დამამძიმებელი გარემოების შემოღება სისხლის სამართლის კოდექსში თავიდან აგვაცილებს მსგავს შემთხვევებს და მაშინ, როცა გამოკვეთილი იქნება დისკრიმინაციის ფაქტი, შესაძლებელი გახდება მიზნის უფრო ეფექტურად მიღწევა.

სახალხო დამცველი რამდენჯერმე დაინტერესდა ამ კუთხით ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იუსტიციის სამინისტრო, კონკრეტულად კი, მთავარი პროკურატურა, სტატისტიკას არ აწარმოებს. ძალიან კარგია ამ ცვლილებების შემოღება, თუმცა, პრაქტიკა ძალიან ხშირად გვარწმუნებს, რომ თუ არ მოხდება ამა თუ იმ ცვლილების სწორად იმპლემენტაცია, რეალური შედეგი არ გვაქვს. აუცილებელია, საგამოძიებო ორგანოებს ჰქონდეთ სწორი ინფორმაცია. აუცილებელია, ფლობდნენ შესაბამის ცოდნას, რისთვისაც კარგი იქნება, ჩაუტარდეთ შესაბამისი ტრენინგები, რათა თითოეულ შემთხვევაში დააფიქსირონ მსგავსი ფაქტები. ერთია სრულყოფილი კანონმდებლობა, როგორიც გვაქვს ძალიან ბევრ სფეროში, მაგრამ მეორეა, რამდენად სრულყოფილად ხდება მისი იმპლემენტაცია პრაქტიკაში. საქართველოში ხშირად სწორედ იმპლემენტაციის პრობლემა და აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა დგას. როგორც სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელს, მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი საფრთხე, რომელიც შეიძლება დადგეს, ისევე როგორც 155-ე და სხვა სპეციალური მუხლების შემთხვევაში, დამამძიმებელი გარემოების პრაქტიკაში არასწორად ან არასრულად გამოყენებაა. სისხლის სამართლის კოდექსში გვაქვს რამდენიმე მკვდარი მუხლი, რომელიც წლების განმავლობაში არ გამოიყენებოდა. სწორედ ამიტომ, მიმაჩნია, რომ აუცილებელია შესაბამისი საგამოძიებო ორგანოების დატრენინგება და სპეციალური სწავლებების ჩატარება, რათა ამ ადამიანებს ჰქონდეთ საშუალება, მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენონ ეს ბერკეტი, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში დღეს გვაქვს.

გიორგი გოცირიძე – „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ საკონსტიტუციო სამართალწარმოების იურისტი ვარ და მივეკუთვნები იმ ადამიანთა ჯგუფს, რომელსაც ამ საკანონმდებლო წინადადებაზე მუშაობა მოუწია. ამ ცვლილებით ახალი დანაშაული კი არ დგინდება, არამედ კონ-

კრეტულად მოქმედ დანაშაულს ეხება და სასჯელს ამძიმებს. ავიღოთ, მაგალითად, პირისთვის ქონების დაზიანება ან განადგურება. ეს დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე, მაგრამ, თუ დადგინდება, რომ დამნაშავეს გააჩნია სიძულვილი დაზარალებულის მიმართ იმის გამო, რომ ის ეთნიკურ, რელიგიურ ან სხვა ტიპის უმცირესობას განეკუთვნება, და თუ ეს მოტივი დადასტურდება, მას უფრო მძიმე სასჯელი დაეკისრება, ვიდრე ასეთი მოტივის არარსებობის შემთხვევაში დაეკისრებოდა. ანუ ცვლილება ითვალისწინებს უკვე არსებული დანაშაულის სასჯელის დამძიმებას. ეს არის ამ კანონპროექტის მთელი არსი. ამ განმარტების გაკეთება იმიტომ დამჭირდა, რომ საზოგადოებაში არასწორი მოლოდინები გაჩნდა იმასთან დაკავშირებით, თითქოს აღნიშნული ცვლილებით დისკრიმინაცია გახდა დასჯადი. ვიმეორებ, ეს ეხება მხოლოდ სასჯელის დამძიმებას უკვე არსებულ დანაშაულზე.

ახლა ვისაუბრებ იმაზე, თუ როგორ მიიღებოდა აღნიშნული კანონპროექტი. როგორც სოფომ ახსენა, ეს კანონპროექტი არის ECRI-ის, ანუ „დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის“ რეკომენდაციის შედეგი. 2010 წელს მათ მორიგი ანგარიში შეადგინეს საქართველოს მიმართ და ერთ-ერთ წუხილს წარმოადგენდა ის, რომ ECRI-ის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებამ არ მოახდინა სიძულვილით ჩადენილი დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად მიჩნევა. ამიტომ, კიდევ ერთხელ გაიცა რეკომენდაცია, რომელშიც ასევე არის სიძულვილის ენის კრიმინალიზაციისკენ მოწოდება. ეს არის კონკრეტულად მე-11 პუნქტში. სწორედ ამ რეკომენდაციის შესრულებას ემსახურებოდა ეს ანგარიში. შესაბამისად, ამ რეკომენდაციის პასუხად, საქართველოს პარლამენტმა კანონპროექტი შეიმუშავა.

კანონპროექტის თავდაპირველი ვერსია შემდეგნაირად გამოიყურებოდა: „დანაშაულის ჩადენა რასობრივი, ენობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის მოტივით“. ამის მიზეზად მისი ავტორები ECRI-ის რეკომენდაციას ასახელებდნენ. ECRI-ის მანდატი საკმაოდ შეზღუდულია. მისი იურისდიქცია ქსენოფობიურ, ანტისემიტურ, უცხოელების მიმართ გამოვლენილ შეუწყნარებლობაზე ვრცელდება. რაც შეეხება ლგბტ თემს, ის არ ჯდება ECRI-ის რეკომენდაციაში, ამიტომ, ის ვერ მისცემდა საქართველოს ხელისუფ-

ლებას რეკომენდაციას, რომ ამ ჯგუფის მიმართ ჩადენილი დანაშაულიც დაემ-ძიმებინა სისხლის სამართლის წესით.

ECRI გახლავთ ევროპის საბჭოს ერთ-ერთი ინსტიტუტი. გარდა ამისა, არ-სებობს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რომელმაც 2010 წელს მიი-ღო რეკომენდაცია მისი წევრი ყველა სახელმწიფოს მიმართ. რეკომენდაცია მათ ავალდებულებს, სანქციების განსაზღვრისას უზრუნველყონ, რომ შეუწყ-ნარებლობის ისეთი მოტივი, როგორიც არის სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა, მიღებულ იყოს მხედველობაში, როგორც დამამძი-მებელი გარემოება. კანონპროექტის თავდაპირველ ვარიანტს, რომელშიც ეს ორი ნიშანი არ იყო გათვალისწინებული, მოჰყვა ლგბტ პირთა ჯგუფის უფლე-ბებზე მომუშავე ორგანიზაციების პროტესტი. არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობამ“ წერილობით მიმართა კანონპროექტის ინიციატორებს, საქარ-თველოში აკრედიტებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს და საელჩოებს და მოითხოვა აღნიშნულ კანონპროექტში ამ ორი ნიშნის შეტანა. მოგეხსენებათ, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ (საია) ჰყავს საპარლა-მენტო მდივანი და მუდმივად აწვდის პარლამენტს საკანონმდებლო წინადა-დებებს. „საიას“ გამოცდილებიდან გამომდინარე, მიგვაჩნდა, რომ იმისთვის, რათა აღნიშნული ცვლილების ლობირება მოგვეხდინა, საჭირო იყო პარლა-მენტისთვის მზა სახით შეგვემუშავებინა კანონპროექტი, ანუ, თავად როგორ წარმოგვედგინა, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული მუხლი.

მხოლოდ გენდერული იდენტობის და სექსუალური ორიენტაციის გათვა-ლისწინება არ ცვლიდა საქმის ვითარებას, არსებობს სხვა უამრავი ჯგუფი, მა-გალითად – პოლიტიკური. შეიძლება ადამიანის მიმართ დანაშაული ჩადენილ იქნას სწორედ პოლიტიკური შეუწყნარებლობის, მისი პოლიტიკური შეხედუ-ლებების გამო. პოლიტიკური ნიშანი კი არ ყოფილა თავდაპირველ ვერსიაში გათვალისწინებული. კანონპროექტის შექმნისას „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ კრიტერიუმად აიღო საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი. ამ მუხლით გათვალისწინებულია მთელი რიგი ნიშნები: რასა, კანის ფერი, სოციალური წარმოშობა, პოლიტიკური შეხედულებები. გარდა ამისა, კონსტიტუციის მე-14 მუხლი განმარტებულია საკონსტიტუციო სასა-მართლოს მიერ. კერძოდ, ის ამბობს, შეიძლება ნიშნები, რომლებიც პირდაპირ

არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით, იყოს დაცული მისი მე-14 მუხლით.

ჩვენ ვიხელმძღვანელეთ კონსტიტუციის მე-14 მუხლში მითითებული ნიშნებით, ასევე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით, გადმოვიტანეთ ეს ნიშნები, მათ შორის, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა და დავამატეთ მოქალაქეობის ნიშანი, რომელიც გახლდათ საქართველოს სახალხო დამცველის ინიციატივა და ამ სახით წარვუდგინეთ საქართველოს პარლამენტს. კანონპროექტი სამივე მოსმენით არის მიღებული და გადაგზავნილია საქართველოს პრეზიდენტისათვის ხელის მოსაწერად.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" მარტო არ ყოფილა ამ საკანონმდებლო წინადადების წარდგენისას. ეს წინადადება პარლამენტს მეორე ლგბტ ორგანიზაციასთან, „ლგბტ საქართველოსთან" ერთად წარვუდგინეთ. ამას ემატება სახალხო დამცველის ინიციატივა მოქალაქეობის ნიშანთან დაკავშირებით. ასევე გავითვალისწინეთ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ დისკრიმინაციის ნიშნები არ არის ამოწურვადი. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციაში არ არის ნახსენები ადამიანის დისკრიმინაცია სამუშაო ადგილის მიხედვით. თუმცა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა საქმე, როდესაც ადამიანს დისკრიმინაციას უწევდნენ იმის გამო, რომ ის დასაქმებული იყო არა ბათუმში, არამედ ქალაქ თბილისში.

ზაურ ხალილოვი – აქ ნახსენები იყო ECRI-ის რეკომენდაცია. ECRI მანდატი ეხება ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი გახდა, ცვლილებები შესულიყო სისხლის სამართლის კოდექსში. ბოლო ერთი წლის მოვლენები ალბათ ძალიან კარგი მაგალითია იმისთვის, რომ დავრწმუნდეთ, იყო თუ არა საჭირო საქართველოში ასეთი სახის საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა სისხლის სამართლის კოდექსში.

2011 წლის ივლისში განხორციელდა კიდევ ერთი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ეხებოდა რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის ფორმას. ცალკე თემაა და ამაზეც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რამდენად შეიცვალა სახელმწიფოს დამოკიდებულება ან რა სტატუსს მიანიჭებს, მაგრამ, მთავარი ის არის, რომ საზოგადოების მხრიდან ამ ცვლილებას სულ სხვა რეზონანსი

მოჰყვა. საკმაოდ ბევრი დისკრიმინაციული გამოვლინება იყო არა მარტო მედიაში, არამედ საზოგადოებაშიც და ამაზე მინდა ვისაუბრო. ეს არის ის ძირითადი თემები, რომლებიც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ბოლო ერთი წლის განმავლობაში, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების მიმართ ამ პერიოდში აგრესიამ იმატა. რამდენიმე თვის წინ ზუსტად ამ ორგანიზაციის ოფისში გაიმართა პრეზენტაცია კვლევისა, რამდენად არის ქართულ მედიაში დისკრიმინაცია სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა სოციალური ჯგუფების მიმართ და საკმაოდ მძიმე სურათი დაიხატა.

რაც შეეხება ზოგად დამოკიდებულებას, ცნობილია ორი მოდელი: ამერიკული და ევროპული. ამერიკული მოდელის მიხედვით, ამ საკითხებს, დისკრიმინაციულ და არატოლერანტულ დამოკიდებულებას სამოქალაქო საზოგადოება არეგულირებს. ევროპული მოდელის დროს ხდება კრიმინალიზაცია ამ სახის გამოვლინებებისა და ძალიან ბევრ ქვეყანაში ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული. საინტერესოა, როგორ მუშაობს ეს მოდელები. ბოლო ხანებში საკმაოდ საინტერესო მოვლენები განვითარდა ამერიკაში. რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი აფროამერიკელი პოლიციელმა იმის გამო მოკლა, რომ არასათანადოდ იყო ჩაცმული. ამან საზოგადოებაში დიდი მღელვარება გამოიწვია, დღესაც გადავამოწმე ეს ინფორმაცია, ბევრი ადამიანი დღემდე პროტესტის ნიშნად დადის ე.წ. კაპიშონიანი ქურთუკებით, იმის ნიშნად, რომ არასათანადოდ ჩაცმულობა არ ნიშნავს, რომ კრიმინალი უნდა იყო და შენ მიმართ უკანონო დამოკიდებულებას უნდა ჰქონდეს ადგილი. ეს არის იმის მაგალითი, რომ საზოგადოება ადეკვატურად გამოხატავს თავის სათქმელს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით.

ბოლო ერთი წლის მოვლენებმა კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ სამწუხაროდ, ვერც სამოქალაქო საზოგადოებამ და ვერც სხვადასხვა სოციალურმა ჯგუფებმა ეს გამოცდა ვერ ჩავაბარეთ. როდესაც ვახსენე რელიგიურ ორგანიზაციებთან დაკავშირებით მიღებული ცვლილებები, სულ რამდენიმე მედიასაშუალებამ და ორგანიზაციამ გამოხატა მკაფიოდ თავისი მოსაზრება. სახალხო დამცველთან არსებულმა ტოლერანტობის ცენტრმა მედიის მონიტორინგი გააკეთა. ყველას შეგიძლიათ იხილოთ ციტატები იმ პერიოდში სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ სამოქალაქო სექტორის მხრიდან გაკეთებუ-

ლი დისკრიმინაციული გამონათქვამებიდან. ეს მასალა არსებობს. ჩემთვის ის უფრო მნიშვნელოვანია, რატომ ვერ ჩააბარა გამოცდა სამოქალაქო სექტორმა და არა სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანა. იმიტომ რომ მხოლოდ სამართლებრივი გზით ამ პრობლემას ვერ მოაგვარებ.

ნინო ბექიშვილი – როდესაც ამბობთ, რომ სამოქალაქო სექტორმა გამოცდა ვერ ჩააბარა, მიგაჩნიათ, რომ ის არატოლერანტულად არის განწყობილი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ?

ზაურ ხალილოვი – არა მარტო ამ ჯგუფების მიმართ. ძალიან ბევრ სოციალურ ჯგუფს ვგულისხმობ.

ნინო ბექიშვილი – სამოქალაქო სექტორში ვის გულისხმობთ?

ზაურ ხალილოვი – კონკრეტული ფაქტები შემიძლია მოვიყვანო სხვადასხვა ორგანიზაციებთან დაკავშირებით. ამ საკითხების მიმართ დამოკიდებულება არაადეკვატური იყო. კვლავ ვიდექით იმ საფრთხის წინაშე, რომელმაც ძალიან ცუდი შედეგები მოგვიტანა ბოლო ოცი წლის განმავლობაში. არ მიგულისხმია მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები. ეს ეხება მედიასაშუალებებსაც. გაგახსენებთ სტუდია „ობიექტივის“ დისკუსიას, სადაც ჟურნალისტმა პირდაპირ თუ ირიბად ადამიანებს თავიანთი პოზიციის გამოხატვისკენ მოუწოდა. დამერწმუნებით, რომ ეს არ ყოფილა ტოლერანტული დამოკიდებულება. ამ თემაზე სხვა კონკრეტული ფაქტების მოყვანაც შეიძლება. როდესაც ვამბობ, რომ სამოქალაქო სექტორმა გამოცდა ვერ ჩააბარა, ამის არგუმენტები არსებობს. ამ დროს დუმილი არ ნიშნავს პოზიციის გამოხატვას.

ნინო ბექიშვილი – პირველი შეკითხვით სოფიო ბენაშვილს მივმართავ. საქართველოში ისედაც ძალიან მკაცრი სასჯელებია. არის ტენდენცია, რომ ჩვენი მოსამართლეები ყველაზე მაღალ სასჯელს უსჯიან. თუკი სასჯელი ითვალისწინებს 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ისინი ცდილობენ 9 ან 10 წელი მიუსაჯონ. ციხეებიც ისედაც გადატვირთულია. იმ პირობებში, როდესაც მოსამზადებელია პოლიციაც, პროკურატურაც, ალბათ სასამართლოც,

რამდენად ადეკვატური იყო ამ კანონის მიღება? რამდენად იდგა ამ ცვლილებების მიღების აუცილებლობა, გარდა იმისა, რომ ეს რეკომენდაცია იყო?

სოფიო ბენაშვილი – ძალიან რთული კითხვაა. არის საკითხები, რომელთა მიმართაც სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ მკაცრი პოლიტიკა ხდება ხოლმე გამოსავალი, რათა თავიდან ავიცილოთ ისეთი მნიშვნელოვანი უფლება-დარღვევები, როგორიც არის დისკრიმინაცია. ციხეების გადატვირთულობით ნამდვილად ვერ გავამართლებთ, მაგალითად, სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ადამიანის მკვლელობას. საზოგადოება უნდა ხედავდეს, რომ სახელმწიფო არასოდეს შეიწყნარებს შეუწყნარებლობას. ამავე დროს, ვგულისხმობთ სამოქალაქო განათლებას, აქტივობას და სამოქალაქო სექტორის სხვადასხვა კამპანიებს. ყველაფერი ეს საზოგადოებას გაზრდის საიმისოდ, რომ მსგავს ფაქტებს ადგილი აღარ ჰქონდეს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებობდა სპეციალური მუხლები, არ მინდა საზოგადოებას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, თითქოს აქამდე დისკრიმინაცია არ ყოფილა აკრძალული. ამ ცვლილებით, როგორც გიორგიმაც აღნიშნა, მხოლოდ დამძიმდა ის დანაშაული, რომელიც საქართველოშია აღიარებული. თუმცა, რამდენად ეფექტური იყო, ეს მეორე საკითხია. მაგალითად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წლების განმავლობაში შემოსული განცხადებები აჩვენებდა, რომ განსაკუთრებით რელიგიური უმცირესობების მიმართ, არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ ეს არ ეხებოდა სხვა უმცირესობებს, მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსში არსებობდა დისკრიმინაციასთან მებრძოლი ნორმები, არცთუ ისე ეფექტური იყო ის ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან ტარდებოდა.

ყოველთვის, როდესაც ცვლილებები შედის კანონმდებლობაში, ან ხდება რაღაც მოვლენა, მსგავსი დანაშაულების ტალღა იზრდება და ყოველთვის, როდესაც სახელმწიფო ატარებს მკაცრ პოლიტიკას, ეს ტალღა დაბლა იწევს. სახალხო დამცველი წლების განმავლობაში იძლეოდა რეკომენდაციებს სწორ კვალიფიკაციასთან და სათანადო და ეფექტურ გამოძიებასთან დაკავშირებით, მაგრამ პრაქტიკამ აჩვენა, რომ მხოლოდ ამგვარმა მიდგომამ გამოიღო ის შედეგი, რომ, მაგალითად, შარშან თითქმის არ დაფიქსირებულა რელიგიური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაცია. 2011 წლის განმავლობაში ერთადერთი შემთხვევა მოხდა.

გიორგი გოცირიძე – დაისვა შეკითხვა, გარდა რეკომენდაციისა, რით იყო განპირობებული სისხლის სამართლის კოდექსში ამ ცვლილებების შეტანა. ამ კანონის ოპონენტებს ორი არგუმენტი ჰქონდათ. ბატონმა ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, რომ ეს გამოყენებული იქნებოდა იმ ადამიანების წინააღმდეგ, ვინც აპროტესტებს აზიზიეს მეჩეთის აშენებას. მაგრამ, მას არ დაუსახელებია, თუ კონკრეტულად როგორ იქნება გამოყენებული. მეორე არგუმენტი კი ქრისტიან-დემოკრატებმა მედიაში განაცხადეს და თქვეს, რომ საქართველოში რეალურად ეს პრობლემა არ არსებობს. არ არსებობს სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა. და, თუკი, არც სტატისტიკა არსებობს და არც პრობლემა, რა საჭიროა ამ საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება. სოფომაც თქვა, რომ სახალხო დამცველის აპარატშიც, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით მიმართვიანობა ძალიან დაბალია და თუ არის, ის ძირითადად რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს ეხება.

სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ჩადენილ დანაშაულებებთან დაკავშირებით არათუ დაბალია, საერთოდ არ არსებობს მიმართვიანობა სახალხო დამცველთან. ალბათ ვერც ლგბტ ორგანიზაციების წარმომადგენლები დაიკვეხნიან იმას, რომ აქვთ კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველი ბევრი საქმე, სადაც დაზარალებული არის ლგბტ ჯგუფის წარმომადგენელი და დანაშაულიც სწორედ ამ მიზეზით მოხდა. კონკრეტულად ამ ჯგუფის სპეციფიკას გავუსვამ ხაზს. თუკი, დანაშაული ხდება ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლის მიმართ, ეს ადამიანები, როგორც წესი, მარტოები არ რჩებიან. მაგრამ, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები განსაკუთრებით დაუცველ მდგომარეობაში იმყოფებიან. ვინაიდან, დანაშაულის გაცხადება ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ ისინი აკეთებენ „ქამინგ აუთს“, რაც გამოიწვევს მათ მარტო დარჩენას და ოჯახის და დანარჩენი საზოგადოების მხარდაჭერის დაკარგვას. ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მასთან დაკავშირებით არ არსებობს ბევრი საჩივარი და სტატისტიკა, რომლის არქონასაც ამ კანონპროექტის ოპონენტები იშველიებდნენ.

ბექა მინდიაშვილი, სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი – ამ კანონის მიღებას წინ უძღოდა განხილვები სახალხო დამცველ-

თან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან და ეთნიკური უმცირესობების საბჭოსთან. კანონპროექტის ავტორებმა წარადგინეს კანონპროექტი, საკმაოდ ღია პროცესი იყო. რელიგიათა საბჭოც და ეთნიკური უმცირესობების საბჭოც მიესალმა უკვე შემდგომ შეტანილ დამატებას, რომელიც შეიტანა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ და „ლგბტ საქართველომ“. ცხადია, „და სხვა“ ამასაც ნიშნავდა, მაგრამ კარგია, რომ დაკონკრეტდა და მკაფიო ხასიათი მიეცა იმას, რომ საუბარი იყო სექსუალურ ნიშანზეც, იმიტომ რომ სექსუალური უმცირესობები ყველაზე დაუცველი ჯგუფია.

რაც შეეხება დინამიკას და იმას, თუ როგორ იცვლება ძალადობის, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკა, საქართველოს სახალხო დამცველს ბევრჯერ აღუნიშნავს თავის ანგარიშებში და თუ თვალს მივადევნებთ იქ მოყვანილ სტატისტიკას, ვნახავთ, რომ მაშინ, როდესაც სახელმწიფო, კანონდამცველები, სამართალდამცველები ადეკვატურად რეაგირებენ ამ ტიპის კანონდარღვევაზე, ეს ძირითადად იეჰოვას მოწმეებს ეხებათ, სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა იკლებს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს არის გარკვეული ჯგუფის მიერ წახალისებული დანაშაული, როგორც იყო ეს შევარდნაძის პერიოდში და ყველამ კარგად იცოდა, ვინ მართავდა ამ მოძრაობას. 2004 წლიდან, მას შემდეგ რაც ბასილ მკალავიშვილის ჯგუფი დააკავეს, 2008 წლის ჩათვლით, ამგვარი დანაშაულის რაოდენობა 80%-ით იყო შემცირებული. სულ ოცდაათამდე განცხადება იყო შემოსული. მათგან 17 შემთხვევასთან დაკავშირებით პასუხისგებაში იქნენ მიცემულები კონკრეტული ადამიანები და 9 შემთხვევაში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იხდიდნენ სასჯელს. ამან გამოიწვია ის, რომ 2008 წლის მეორე ნახევრისთვის საერთოდ აღარ იყო ამგვარი დანაშაული გამოვლენილი.

თუმცა, მას შემდეგ რაც პოლიტიკური რეალობა აიმღვრა, და გამუდმებით ისმოდა კრიტიკა ხელისუფლების მიმართ, რომ ისინი ებრძვიან მართლმადიდებლობას და მასონები არიან, ნაწილობრივ ამასაც ვუკავშირებ, 2008-დან 2010 წლის ჩათვლით სახალხო დამცველის სახელზე შემოსული განცხადებები იმის თაობაზე, რომ გარკვეული სამართალდარღვევები რეაგირების გარეშე დარჩა სამართალდამცველთა მხრიდან, უფრო მეტი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ დაწყებულია დევნა, კონკრეტული შედეგი არ არის. დაახლოებით ორმოცამდე ასეთი შემთხვევაა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. მოგეხსენებათ, რომ სახელმწიფო ძალიან წვრილმანი დანაშაულის მიმართაც კი ძალიან აგრესიულია და ადეკვატურად რეაგირებს, მაგრამ, სახალხო დამცველის და ერთი-ორი ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის გარდა, არავის დაუსვამს შეკითხვა, განსაკუთრებით მედიას ვგულისხმობ, რატომ არ ხდება რეაგირება ამ ტიპის დანაშაულებზე. მიუხედავად იმისა, რომ 2008-09 წლებში საჯარო განცხადებაც გააკეთა სახალხო დამცველმა იმასთან დაკავშირებით, რომ დევნიან იეჰოვას მოწმეებს და ამას რეაგირება არ მოჰყვება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი აღრიცხული იყო და წარმოდგენილი იყო სახალხო დამცველის ანგარიშებში, არც მედია და არც სამოქალაქო სექტორი არ იჩენდა ინტერესს, თუ რატომ მაინცდამაინც რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ ჩადენილი კანონდარღვევების შემთხვევები რჩება გამოუძიებელი. სხვა ასეთი შემთხვევები, თუ არ ჩავთვლით სექსუალური უმცირესობების თემას, რომელიც იმდენად არის სტიგმატიზებული, რომ დანაშაულის გაცხადება მყისიერად იწვევს სხვა რიგის პრობლემებს, არ გვხვდება. სხვათა შორის, ამგვარი პრობლემა დგას რელიგიური უმცირესობების მიმართაც, ოღონდ სკოლებში. სკოლებში სწავლობს უამრავი განსხვავებული რელიგიური მრწამსის მოსწავლე, მაგრამ ამის შესახებ არც თავად და არც მათი მშობლები არ აცხადებენ. შესაბამისად, ვერც საკუთარ უფლებებს იცავენ. ამიტომ, სახალხო დამცველი ხშირად საუბრობს, რომ სკოლაში არის ეს პრობლემა, სკოლაში არსებობს დისკრიმინაციული კლიმატი რელიგიური ნიშნით, თუმცა, კონკრეტული საქმეები არა გვაქვს. არა გვაქვს იმიტომ, რომ განცხადება ამასთან დაკავშირებით საფრთხის წინაშე დააყენებს მოსწავლეს და მის ოჯახს. ამაზე რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს ბევრჯერ უსაუბრიათ. ვფიქრობ, ეს საინტერესო თემა უნდა იყოს მედიისთვის.

პასიურია თუ არა სამოქალაქო სექტორი ამ მიმართულებით? ჩემი აზრით, ამ მხრივ არის სერიოზული პრობლემა და ეს კარგად გამოჩნდა რეგისტრაციის წესის ცვლილებასთან დაკავშირებით გაკეთებულ გამოხმაურებებში. იყო მასშტაბური არმენოფობიური ტალღა საზოგადოებაში, რომელსაც არ აღუდგა სამოქალაქო სექტორი წინ. პირველი რეალური განცხადება ამის წინააღმდეგ, თუმცა ძალიან სუსტი ხმით, სადაც ქსენოფობია იყო ნახსენები, გაკეთდა 29 ივნისს, როდესაც ეს თემა სინოდის განცხადებით 11 ივნისს დაიხურა. ეს სამწუხარო ფაქტია.

კიდევ ერთ საკითხს დავამატებ. ამჟამად მიმდინარეობს დისკუსია ოშკთან და აზიზიეს მეჩეთთან დაკავშირებით. რატომღაც ყურადღების მიღმა რჩება თურქოფობია და ისლამოფობია, რომელიც ამ დისკუსიებს თან ახლავს და ხშირ შემთხვევაში წინა პლანზეც გამოდის. არც ამის წინააღმდეგ რეალური პროტესტი გვესმის. იყო რამდენიმე ერთეული შემთხვევა, მაგრამ ორგანიზებული სახით არავინ დაპირისპირებია ამას. არც ის გაუპროტესტებია ვინმეს, რომ მედია ახდენს ამ თემის ტირაჟირებას. გაკეთდა დუმბაძის წინააღმდეგ განცხადება, მაგრამ რატომღაც ყველას გვავიწყდება, რომ ეს განცხადებაც მედიის მეშვეობით გაკეთდა. მედია წამახალისებელიც კი იყო ამ განცხადებისა.

ნინო ბექიშვილი – იყო ამის შესახებ განცხადება და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამაც დააკმაყოფილა საჩივარი.

მაგდა კალანდაძე, „იდენტობა“ – მაინტერესებს, უკურეაქცია ხომ არ ექნება ამ კანონს, ანუ ვარ რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი და ვიღაც დამესხა თავს ისე, რომ არ იცის ჩემი რელიგიური მიკუთვნებულობის შესახებ, და წამართვა ხელჩანთა. მივდივარ სასამართლოში და ვაცხადებ, რომ თავს იმის გამო დამესხნენ, რომ რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი ვარ. სპეკულაციას ხომ არ ექნება ადგილი?

გიორგი გოცირიძე – სისხლის სამართალში არსებობს ე.წ. დამნაშავის შეცდომა. მაგალითად, როდესაც ადამიანი კლავს ქალს, რადგან ფიქრობს, რომ ის ფეხმძიმედ არის, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდება, რომ შეცდა, კვალიფიკაცია, მიუხედავად ამისა, მაინც მძიმდება. მნიშვნელობა ენიჭება დამნაშავის სუბიექტურ აღქმას და არა ობიექტურ გარემოებას. ქმედების მოტივაცია გადამწყვეტია და დასჯა მისი მიხედვით ხდება.

ზაურ ხალილოვი – თუ რომელიმე ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელი ვარ და სამსახურიდან გამათავისუფლეს კვალიფიკაციასთან შეუსაბამობის გამო, შეიძლება ვთქვა, რომ სამსახურიდან ჩემი გათავისუფლების მიზეზი ის გახდა, რომ აზერბაიჯანელი ვარ. ამიტომ ვამბობდი, რომ

მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებით ამ პრობლემას ვერ მოვაგვარებთ. ეს არის სამოქალაქო განათლების საკითხი. ბევრი სხვა ღონისძიება უნდა ჩატარდეს იმისთვის, რომ სახელმწიფოს მხრიდან ზომების გამკაცრებამ სხვა სახე არ მიიღოს. მედია, ნაცვლად იმისა, რომ დამაბალანსებლის როლი ითამაშოს, პირიქით, სტიმულატორი ხდება შეუწყნარებლობისა.

არნოლდ სტეფანიანი, „მრავალეროვანი საქართველო“ – მეც მივესალმები ამ ცვლილებებს სისხლის სამართლის კოდექსში. ჩვენ მხარს ვუჭერდით ამ ინიციატივას 2006 წლიდან. მაგრამ ახლა სერიოზულ პრობლემასთან გვექნება საქმე. პოლიციაში არ იციან, როგორ უნდა მოხდეს ამ ნიშნით დანაშაულის იდენტიფიცირება. ვიდრე მივალთ ამ კანონის ამუშავებამდე, სერიოზული ტრენინგები უნდა ჩაუტარდეთ პოლიციის თანამშრომლებს.

საზოგადოება, როგორც ჩანს, კარგად არ იცნობს ამ საკითხს, იმიტომ რომ ბოლო ხანებში გამუდმებით მესმის, რომ ეს ცვლილებები შევიდა იმისათვის, რათა ეთნიკური უმცირესობები დაიცვას ეთნიკური უმრავლესობისგან. სამოქალაქო სექტორს მოვუწოდებ, უფრო აქტიურები ვიყოთ ამ თვალსაზრისით. იმიტომ რომ ამან ახალი სიძულვილი შეიძლება წარმოქმნას.

გიორგი გოცირიძე – ერთია, როცა რაღაც არის აკრძალული, და მეორე – როგორ შესრულდება ეს აკრძალვა. როდესაც ამ კანონპროექტზე მუშაობა მიმდინარეობდა, ვფიქრობდით, რომ კონკრეტული ქმედებები უნდა ყოფილიყო აკრძალული და მათთვის მძიმე სასჯელი უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. ეს არის კანონის ფუნქცია. რაც შეეხება იმას, როგორ აღვასრულოთ ეს კანონი, როგორ გამოვიძიოთ დანაშაული, როგორ გამოვავლინოთ სიძულვილის მოტივი, ეს უკვე გამოძიების ტექნიკის საკითხია. ამას კანონი ვერ მოაგვარებს. ეს კრიმინალისტიკის საკითხია.

საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ – 2011 წელი

მომხსენებლები:

გიორგი მშვენიერაძე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

თეა წულუკიანი

„თავისუფალი დემოკრატები“,

თავმჯდომარის მრჩეველი ადამიანის უფლებების დარგში

ზვიად ქორიძე

ჟურნალისტი

მოდერატორი:

გოგი გვახარია

2 მაისი, 2012

გოგი გვახარია – დღეს ვისაუბრებთ არა მარტო სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენებაზე, არამედ იმ წერილზეც, რომელიც კონტროლის პალატასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოქვეყნდა.

გიორგი მშვენიერაძე – ვიდრე ანგარიშის შინაარსზე ვისაუბრებდე, მინდა მის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებს შევეხო. სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენა პარლამენტში ყოველთვის პრობლემა იყო.

ანგარიში ტრადიციულად სხვადასხვა თავებს მოიცავს. ყველა ის თავი, რომელიც იყო წინა ანგარიშებში, აქაც შეგიძლიათ იხილოთ. ერთ-ერთი პირველია თავი სამართლიანი სასამართლოს შესახებ. ეს უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით და ის ორმაგად ძვირფასია, რადგან, ერთი მხრივ, თავად არის უფლება და მეორე მხრივ – სხვა უფლებების დაცვის გარანტია. თუ სახელმწიფოში სამართლიანი სასამართლოს უფლება არ არის უზრუნველყოფილი, ყველა სხვა უფლება რისკის ქვეშ დგება. ჩვენ პირველად ჩავატარეთ სასამართლო ორგანოთა მონიტორინგი. ჩვენი უფლებამოსილი თანამშრომლები, ისე, რომ ეს არ იყო ცნობილი სასამართლოსთვის, რეგიონებში ალბათობის პრინციპით შერჩეულ სხვადასხვა სასამართლო სხდომებს ესწრებოდნენ და იქ არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას აგროვებდნენ. ანგარიში მოიცავს როგორც სასამართლოს ფიზიკური ხელმისაწვდომობის მდგომარეობის აღწერას, ისე სამართალწარმოების სხვადასხვა დარგებში მხარეთა უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასებას. გამოკვეთილ პრობლემათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საჯაროობის პრობლემა. მაგალითად, ქუთაისში, ახალქალაქში მანდატურებმა ჩვენს წარმომადგენლებს მხოლოდ მაშინ მისცეს ქაღალდზე ჩანაწერების გაკეთების საშუალება, რაც მათ განაცხადეს, რომ სახალხო დამცველის წარმომადგენლები იყვნენ. ამისთვის მანდატურები დამატებით მოითხოვდნენ სასამართლოს ნებართვას, რაც კანონით არ არის გათვალისწინებული. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სხვა სასამართლოებში მსგავსი პრობლემა არ შეგვხვედრია. მეორე პრობლემაა სხდომათა საჯაროობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე. ეს საკითხი ყველაზე მწვავედ თბილისის საქალაქო სასამართლოში

დგას, სადაც პრაქტიკულად შეუძლებელია დაინტერესებული პირი მოხვდეს სხდომაზე. ეს იმითაც არის განპირობებული, რომ კორპუსი ადმინისტრაციული შენობის უკან მდებარეობს, სასამართლო სხდომის დარბაზები ძალიან პატარაა და იქ მხოლოდ მხარეთა მოთავსება თუ არის შესაძლებელი. ხოლო იმ შენობაში, სადაც ეს პროცესები იმართება, სპეციალური საშვის გარეშე პირები არ დაიშვებიან.

არის შინაარსობრივი პრობლემებიც გადაწყვეტილებებთან მიმართებაში. მოგეხსენებათ, სახალხო დამცველი სასამართლო ხელისუფლების კონტროლის დროს, ორგანული კანონის თანახმად, მხოლოდ პროცესუალური უფლებების დარღვევით შემოიფარგლება, მაგრამ იყო საკითხები, რომლებსაც არ შეიძლებოდა არ შევხებოდით. ასეთია, მაგალითად, ამნისტიის შესახებ კანონის გამოუყენებლობა, კანონით გათვალისწინებულზე ბევრად უფრო მძიმე სასჯელის დანიშვნა. რამდენიმე საქმე, რომელიც ჩვენს ხელში მოხვდა, აისახა კიდეც ანგარიშში. ერთადერთი გზა გახლდათ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსადმი მიმართვა, რათა დისციპლინური წარმოება დაწყებულიყო მოსამართლეების წინააღმდეგ, რაც საქართველოს სახალხო დამცველმა გამოიყენა. თუმცა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიღებული გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვას არ იწვევს, მხოლოდ მოსამართლის მიმართ შეიძლება იყოს გამოყენებული სხვადასხვა ზომა.

შემდეგი საკითხია საკონსტიტუციო კონტროლი სახელმწიფოში. ამ მხრივ 2011 წლის საანგარიშო პერიოდიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. სამი გადაწყვეტილება იქნა მიღებული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, რომელთაგანაც ერთის დაკმაყოფილებაზე უარი გვეთქვა, ერთი სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, ერთი კი – ნაწილობრივ. ერთ-ერთი ეხებოდა შეკრება-მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონს. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ჩვენი მოთხოვნა და გაუქმდა ამ კანონის არაერთი დებულება, რომლებიც საზოგადოებაში კამათს იწვევდა. ამას მოჰყვა საკანონმდებლო ცვლილებები პარლამენტშიც, რომლებმაც გაუქმებული ნორმების შემდეგ არსებული ხარვეზები კანონში შეავსო. ახლაც არის რამდენიმე საკამათო საკითხი, რომლებზეც, როგორც ჩემთვის ცნობილია, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ სარჩელი აქვს მომზადებული. ამავე მიმართულებით ჩვენი აპარატიც

მუშაობს. მეორე საკითხია მაუწყებლების ლიცენზირების საკითხი. საკაბელო მაუწყებლები საქართველოში ლიცენზირებას ექვემდებარებოდნენ. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ეს გაუქმდა. ეს სარჩელი შეტანილ იქნა მაშინ, როდესაც ლიცენზიის მიღებასთან დაკავშირებული პრობლემის წინაშე დადგა ტელეკომპანია „მაესტრო". პროცესი დროში საკმაოდ გაიწელა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ მიღებული გადაწყვეტილება ლოგიკური და სწორია და გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციიდან.

სარჩელი, რომელიც არ დაკმაყოფილდა, ეხებოდა არასრულწლოვანი მსჯავრდებულების ნაცვლად პასუხისმგებლობის დაკისრებას მათი კანონიერი წარმომადგენლობისთვის. აქ საუბარია ჯარიმაზე, სანქციაზე. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას დიდ პატივს ვცემთ, ეს ნორმა არაკონსტიტუციურად მიგვაჩნია. ეს წარუმატებელი საქმე იყო ადამიანის უფლებების თვალსაზრისითაც საქართველოსთვის.

შემდეგი საკითხია სამართალდამცავი ორგანოების მოსამსახურეთა მიერ ჩადენილი ქმედებების შეფასება, რომლებიც გამოიხატებოდა ადამიანის უფლებების დარღვევაში. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი 2011 წლის 26 მაისს განვითარებულ მოვლენებს. ჩვენი შეფასებით, სამართალდამცავი ორგანოების ქცევა, მათ მიერ გამოყენებული ძალა, ხშირ შემთხვევაში არ იყო პროპორციული. აქტიურად ვიყენებდით მედიასაშულებებით გავრცელებულ ვიდეოჩანაწერებს და მახსოვს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პირებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევას ადგილი არ ჰქონია, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ. სახალხო დაცველმა მთავარ პროკურატურას აღნიშნული საკითხის გამოძიებისკენ მოუწოდა. როგორც მათგან გვეცნობა, მასალები გადაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას და მათ მიერ 16 პირი დისციპლინური წესით იქნა დასჯილი. ოთხი მათგანი სამსახურიდანაც იქნა გათავისუფლებული. ანგარიშში ეს შეფასებულია, როგორც წინგადადგმული ნაბიჯი იმასთან შედარებით, რაც მანამდე ხდებოდა. ყველას გვახსოვს 2007 წლის 7 ნოემბერი, როდესაც არცერთი პირი არ მიუციათ პასუხისგებაში. ეს წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა არასაკმარისი. ჩვენი ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით ცალსახაა, რომ ბევრ შემთხვევაში სახეზე გვქონდა დანაშაულის ნიშნები და აღნიშნული პირების მიმართ უნდა განხორციელებუ-

ლიყო სისხლისსამართლებრივი დევნა. ამის შესახებ რეკომენდაციაც იყო გაგზავნილი პროკურატურაში, თუმცა, სამწუხაროდ, არ გაუთვალისწინებიათ.

ანგარიშის ამავე თავში მოხვდა ტელეკომპანია „მაესტროსთან“ დაკავშირებული მოვლენების შეფასება. ვგულისხმობ ტელეკომპანიაში მისი ერთ-ერთი მმართველი კომპანიის დამფუძნებლის, ბატონი ეროსი კიწმარიშვილის მცდელობას, მფლობელობაში აეღო შენობა, რომელშიც იყო განთავსებული მაუწყებელი. რადგან მოდავე მხარეები იყვნენ კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები, ჩვენი კომპეტენცია მაქსიმალურად იყო შეზღუდული. ჩვენი საქმიანობა შემოიფარგლა სამართალდამცავი ორგანოების ქცევის შეფასებით. მიგვაჩნია, რომ პოლიციის როლი ამ შენობის ტერიტორიაზე ხშირად გაურკვეველი იყო. ამ შემთხვევის შესახებ ასევე გაიგზავნა სახალხო დამცველის რეკომენდაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, რათა ჩატარებულიყო მოკვლევა და სანქციები გატარებულიყო იმ პოლიციელთა მიმართ, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ანგარიშში მოხვდა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში სახალხო დამცველის ოფისის მიერ სასჯელაღასრულების დაწესებულებებსა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში განხორციელებული მონიტორინგია. 650 გვერდიდან 300-მდე სწორედ ამ თემას ეხება. გვრჩება პრობლემები, რომლებიც მანამდე იყო: არასათანადო მოპყრობის ფაქტები, რომლებიც რამდენიმე დაწესებულებაში სისტემურად გვხვდებოდა. ესენია გლდანის მე-8 დაწესებულება და ქუთაისის სასჯელაღსრულების მე-2 დაწესებულება. თუმცა, იყო ინდივიდუალური შემთხვევებიც, რომლებიც გვხვდებოდა სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებებში. ანგარიშში ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთი ფაქტია მოყვანილი ინიციალებით.

პრობლემური იყო სიკვდილიანობა, რომელიც უთანაბრდებოდა წინა წლის მაჩვენებელს, მხოლოდ ერთ ადამიანშია სხვაობა. ესეც საგანგაშოა. სიკვდილიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ არასათანადო ჯანდაცვითი მომსახურებაა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. აღსანიშნავია დადებითი ტენდენცია, რაც გამოიხატება ტუბერკულოზთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გატარებაში. ეს გახლავთ სკრინინგის პროგრამა, რომელმაც საშუალება მისცა სასჯელაღსრულების სამინისტროს, ტუბერკუ-

ლოზის სხვადასხვა ფორმით დაავადებული პირების იდენტიფიცირება მომხდარიყო. ამ თემასთან დაკავშირებით რეკომენდაციით სახალხო დამცველის აპარატი ჯერ კიდევ ორი წლის წინ მიმართავდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს. მაშინვე რომ მიეღოთ ზომები, ბევრ ახალ შემთხვევას თავიდან ავიცილებდით.

სასჯელაღსრულებითი კუთხით ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს გადატვირთულობა, რომლის აღმოფხვრის საკმარის გზად არ განვიხილავთ ახალი სასჯელაღსრულების დაწესებულებების გახსნას. ამან შეიძლება მხოლოდ დროებით მოაგვაროს პრობლემა. აუცილებელია შეიცვალოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა. მიგვაჩნია, რომ ის ბევრად უფრო ლიბერალური უნდა გახდეს და არასაპატიმრო სასჯელთა გამოყენების მაჩვენებელმა უნდა მოიმატოს. დღეისათვის, როგორც ჩვენთვის ცნობილია, მათი გამოყენება სასამართლოში განხილული საქმეების 50%-ს სცილდება, თუმცა ფაქტია, რომ ეს არ არის საკმარისი. სხვადასხვა ღონისძიებების გამოყენება უნდა გაიზარდოს. ეფექტურად უნდა ამოქმედდეს ე.წ. უდოს გამოყენება. ვგულისხმობ პირობით ვადამდე გათავისუფლებას, უამისოდ წარმოუდგენელია სასჯელაღსრულების დაწესებულებების განტვირთვა არსებული მკაცრი სასჯელების ფონზე.

ერთი-ერთი საკითხი, რომელიც ჯანდაცვასთან არის დაკავშირებული, ეხება იმას, თუ რამდენად ხელმისაწვდომი იყო დაწესებულებებში მყოფი პაციენტებისთვის სისტემის გარეთ მყოფი ექიმების დახმარება. სხვადასხვა პრაქტიკაა დადგენილი, ზოგან ხელმისაწვდომია, ზოგან – არა. მნიშვნელოვანია რამდენიმე კერძო აფთიაქის გახსნა, რითაც პატიმრებს ალტერნატიულ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა გაუჩნდათ. მაგრამ ამან არ უნდა ჩაანაცვლოს ის ვალდებულებები, რომლებიც სახელმწიფოს გააჩნია პაციენტების ხარისხიანი მედიკამენტებით უზრუნველყოფის კუთხით.

სახალხო დამცველის ანგარიშში ასევე აისახა შეკრება-მანიფესტაციებთან დაკავშირებული უფლებები. ამ მხრივ პრობლემური წელი იყო, 3 იანვრის ვეტერანების აქციის დარბევიდან მოყოლებული. სახალხო დამცველმა მაშინვე მიმართა წერილით შინაგან საქმეთა სამინისტროს, თუმცა ეფექტური რეაგირება არ მოჰყოლია. მხოლოდ ერთი თანამშრომელი გაათავისუფლეს სამსახურიდან, რომელმაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა აქციის მონაწილე ერთ-ერთ ქალს. ანგარიშში ასახულია ჟურნალისტებთან დაკავშირებული სა-

კითხები. არაერთი ფაქტია მოყვანილი იმისა, თუ როგორ ექვემდებარებოდნენ ისინი ინფორმაციის გავრცელებისათვის შეზღუდვის დაწესებას, იყო მათ მიმართ მუქარის ფაქტებიც. სამწუხაროდ, ამ საქმეების უდიდესი ნაწილი კვლავ გამოუძიებელია.

ანგარიშში შესულია თავი ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებითაც. მიგვაჩნია, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა განსაზღვრავს სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხს და ამ კუთხით საქართველოში არის პრობლემები. არა გვაქვს პრობლემები საკანონმდებლო ბაზის კუთხით, მაგრამ ძალიან პრობლემატურია პრაქტიკა, როცა საჯარო დაწესებულებები თავიანთ ვალდებულებებს არ ასრულებენ.

აქვე მინდა აღვნიშნო უმცირესობების საკითხი. ანგარიშში არ არის ცალკე თავი დათმობილი სექსუალური უმცირესობების უფლებებისთვის, რადგან მომართვიანობა სახალხო დამცველის აპარატში ამ თემაზე არ ყოფილა. ჩვენ ღია ვართ ამ საკითხებისთვის და დიდი სურვილი გვაქვს, აქტიურად ჩავერთოთ ამ პროცესებში, რათა უკეთესად იყოს უზრუნველყოფილი სექსუალური უმცირესობების უფლებები საქართველოში. კარგად გვესმის, რომ საზოგადოებაში არაჯანსაღი დამოკიდებულებაა ამ საკითხებთან დაკავშირებით და ჩვენს როლს ვხედავთ, ამ საკითხებთან დაკავშირებით, როგორც სამოქალაქო განათლების კუთხით, ისე მათი უფლებების თვალსაზრისით, აქტიურად ვიმოქმედოთ. სამწუხაროდ, მომართვის არარსებობა ძალიან გვაბრკოლებს.

მნიშვნელოვანი თავი ეთმობა ეროვნული უმცირესობების საკითხს. პარლამენტის მიერ რელიგიური ორგანიზაციებისათვის სტატუსის განსაზღვრას სახალხო დამცველი აფასებს, როგორც დადებით და წინგადადგმულ ნაბიჯს, მან მოხსნა ის დისკრიმინაციული შეგრძნებები, რომლებიც გააჩნდათ რელიგიურ უმცირესობებს, თუმცა რჩება პრობლემები საგადასახადო სამართლის კუთხით – კანონმდებლობით მათთვის საქართველოს მართლმადიდებლური ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესიისგან განსხვავებული რეჟიმია დადგენილი. როგორც კი პარლამენტის მიერ შესაბამისი ცვლილებები აისახა სამოქალაქო კოდექსში, ამას მოჰყვა დისკრიმინაციული განცხადებები. ძალიან ხშირად გვესმოდა არმენოფობიური განცხადებები, სამწუხაროდ, იმ პირების მხრიდანაც, რომლებსაც მაღალი საჯარო გავლენა აქვთ და მათი განცხადებები მედიით ვრცელდებოდა. ამ ფაქტს ჩვენი მხრიდან მოჰყვა შეფასება. აღ-

ნიშნული საკითხის შესწავლა ომბუდსმენმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო.

ანგარიშში ასევე არის თავები, რომლებიც შეეხება საჯარო სამსახურიდან მოხელეთა გათავისუფლებას, ბავშვის უფლებათა მდგომარეობის შეფასებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს და ამ კუთხით არსებულ საკანონმდებლო პრობლემებს. ასახულია ასევე ჯანმრთელობის უფლების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა უფლებები, ეკომიგრანტების პრობლემები და სხვა.

თეა წულუკიანი – საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ქვეყანაში ძალიან დაბალია. ყველას გვიჭირს ზუსტი ციფრების მოპოვება და მათი ერთმანეთთან შეჯერება. ამიტომ, ის დიაგრამები, სქემები და ციფრები, რომლებიც არის მოცემული ანგარიშში, ძალიან მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, როგორც აღნიშნეთ, პირველ ადგილზე დგას სამართლიანი სასამართლოს უფლება. ადამიანის უფლებები ყველა ქვეყანაში ირღვევა, თუმცა არადემოკრატიულ ქვეყნებში უფრო ხშირად, მაგრამ მთავარი ის არის, ეს დარღვევები როგორ სწორდება და არსებობს თუ არა ქვეყანაში ადგილი, სადაც სწორდება დარღვეული უფლებები. ეს ადგილი სასამართლოა. ჩვენთან, და ეს ამ ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, საბოლოოდ მივიდა სისტემა იმ მდგომარეობამდე, რომ ადგილი, სადაც უნდა სწორდებოდეს დარღვეული უფლებები, მაინცდამაინც წესრიგში ვერ არის. სასამართლო საქმეებს სათანადოდ ვერ იხილავს. ეს ეხება სისხლის სამართლის და, პირველ რიგში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებს. ანგარიშში მოყვანილი დასკვნები პირდაპირ ემთხვევა სტრასბურგის სასამართლოში არსებულ სტატისტიკას, სადაც ათი წელი ვმუშაობდი და ვაკვირდებოდი იმას, თუ როგორი ტიპის საქმეები შემოდიოდა. სამოქალაქო კატეგორიის საქმეები თითქმის არ შემოდიოდა. ამასვე ამბობს ეს ანგარიში 2011 წელს, რომ ძირითადი პრობლემები დგას სისხლის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებთან. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, რომლებიც მთავრდება თუნდაც ნახევარსაათიანი პატიმრობით ან დიდი ჯარიმით, სტრასბურგის სასამართლოს მიერ გაიგივებულია სისხლის სამართლის კატეგორიის საქმეებთან. აქედან გამომდინარე, როდესაც მანიფესტანტს აკავებენ და სასამართლოში მიაქანებენ, ქართულ

სამართალში ამას ადმინისტრაციული კატეგორიის საქმე ჰქვია, სტრასბურგის სასამართლო კი სისხლის სამართლის კატეგორიის საქმედ მიიჩნევს და მოთხოვნებიც ზუსტად ისეთივე მკაცრია, როგორც სისხლის სამართლის პროცესში. მოთხოვნებში იგულისხმება შეჯიბრებითობა, მხარეთა თანასწორობა, და ეს ანგარიში სავსებით სამართლიანად ამბობს, რომ მხარეთა უფლებები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე ირღვევა და, მგონი, პირველად არის სახალხო დამცველის ანგარიშში ნათქვამი, რომ ყველა სავარაუდო სამართალდამრღვევი, ვინც კი იქნა სასამართლოში წარდგენილი, გამოვიდა „გამამტყუნებელი" განაჩენით. ბრჭყალებში იმიტომ, რომ ეს სისხლისსამართლებრივი ტერმინია. ყველას ან ჯარიმა ან ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდეს. ამ კატეგორიის საქმეებზე, როგორც ჩანს, ვერცერთმა ადამიანმა ვერ დაამტკიცა საკუთარი უდანაშაულობა.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე, ძირითადად, პოლიციელი აფორმებს სამართალდარღვევის ოქმს, რომელიც გვევლინება ბრალმდებლად, რაც წინააღმდეგობაში მოდის ევროკონვენციის მე-6 მუხლთან. მეორე დიდი პრობლემა ამ ტიპის საქმეებთან დაკავშირებით ისიც არის, რომ როდესაც შეგიძლიათ სასამართლოს წარუდგინოთ ვიდეომასალა, სადაც ნათლად ჩანს, გაუწიეთ თუ არა წინააღმდეგობა პოლიციას, მოსამართლე ამ სახის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარს ამბობს. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი იმავე პირობებში იმყოფება, როგორშიც არის სისხლის სამართლის საქმეზე მსჯავრდებული პირი. ყოველივე ეს არღვევს ევროკონვენციის მე-6 მუხლს.

თქვენ შენიშნეთ, რომ შეცვლილია რიტორიკა ხელისუფლების მხრიდან. მოკლედ რომ აღვნიშნოთ, ყველას ვგულისხმობ ამაში, მათ შორის, სასამართლოსაც. რიტორიკის შეცვლა, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ მაგალითად ადმინისტრაციულ საქმეებზე ახალი არგუმენტი აქვთ, ყველამ დაიწყო იმის თქმა, რომ კოდექსია მოძველებული და იძულებულები არიან დაარღვიონ თქვენი უფლება იმიტომ, რომ კოდექსია ძველი. ამჟამად საზოგადოების ზურგს უკან მიმდინარეობს ახალი კოდექსის შემუშავება. როგორც ვიცი, ეს კოდექსი გადის ექსპერტიზას ევროკავშირში და, კულუარული ინფორმაციის თანახმად, ექსპერტებთან მიდის იმის მტკიცება, რომ ძველი კოდექსის განახლებისთვის საკმარისია ძველი დებულებების შენარჩუნება და თავიდან მიღება, თარიღი

იქნება ახალი და შიგთავსი იქნება ძველი. ძალიან სერიოზული მონიტორინგია საჭირო იმისთვის, თუ ახალ კოდექსში რა ჩაიწერება. ადმინისტრაციულს რომ თავი დავანებოთ, ზოგადად, სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებითაც მთავარი პრობლემა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, საქმეების არასწორად განხილვა და გამამტყუნებელი განაჩენების დაუსაბუთებლობაა. სტრასბურგის სასამართლო ყველა ამ ტიპის გადაწყვეტილებაზე ამბობს, რომ კონვენციის მე-6 მუხლი ავალდებულებს მოსამართლეს, დაასაბუთოს, თუ რატომ გაამტყუნა ესა თუ ის განსასჯელი. საზოგადოებამ უნდა გაიგოს, განსასჯელი რატომ დაისაჯა და განსასჯელმაც უნდა იცოდეს დასჯის მიზეზი. დღეს განსასჯელები ვერც თვითონ იგებენ რატომ დაისაჯნენ და, მით უმეტეს, საზოგადოება სრულ გაურკვევლობაში იმყოფება. ეს საშუალებას აძლევს მართლმსაჯულებას, რომ არა მხოლოდ ის პირები აღმოჩნდნენ გრძელვადიანი პატიმრები, ვისაც ბრალი არ უდასტურდებათ, არამედ ისინიც, რომლებსაც დანაშაული არ ჩაუდენიათ. ანგარიშშიც არის შეხსენებული, რომ ნებისმიერი მცირედი ეჭვიც კი უნდა გადაწყდეს განსასჯელის სასარგებლოდ. აქ მივდივართ ლიბერალური და დემოკრატიული საზოგადოების მთავარ პრინციპამდე, რომ თავისუფლება არის წესი, პატიმრობა კი – გამონაკლისი. დღეს ეს შებრუნებულია. პატიმრობა არის წესი, და ვინც თავისუფლები ვართ, დილით უნდა ვიღვიძებდეთ ლოცვით, რომ თავისუფლები ვართ. თუ გვინდა, რომ ჩვენს ქვეყანაში საზოგადოება იყოს დამოუკიდებელი, ეს უნდა შეტრიალდეს.

ახლა შევეცდები ანგარიშის კრიტიკას, თუმცა ეს მსუბუქი კრიტიკაა, რადგან სახალხო დამცველის ინსტიტუტის დიდი თაყვანისმცემელი ვარ. წლების განმავლობაში უფლებადამცველი ვიყავი და ძალიან მეამაყება, რომ სტრასბურგის სასამართლო, როცა ქართულ საქმეებზე გამოაქვს გადაწყვეტილებები, ომბუდსმენის ანგარიშებს იყენებს, როგორც ავტორიტეტს. თუკი რაღაც საკითხზე სასამართლოს არ აქვს სათანადო ინფორმაცია, პირველი, რასაც მიმართავს, არის წამების წინააღმდეგ კომიტეტი, და მეორე – საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში. ეს არის უკვე ევროპულ დონეზე სერიოზულ დოკუმენტად ცნობილი ინსტიტუტი. მაგრამ არის პატარა დეტალები. მაგალითად, მოხსენიებულია ვინმე რამაზ პ.-ს საქმე, სადაც თქვენ საუბრობთ, რომ როდესაც ხდება ძალის გადამეტება და, ვთქვათ, ციხეში პატიმარს არასათანადოდ მოეპყრობიან, თქვენ იცით, არასათანადო მოპყრობის 3 კატეგორია

არსებობს ევროპული სტანდარტით, ესაა წამება, არაადამიანური მოპყრობა და დამამცირებელი მოპყრობა. როდესაც ამ სამი კატეგორიიდან რომელიმეს მსხვერპლი გახდება პატიმარი, ავტომატურად, მიუხედავად იმისა, იჩივლებს თუ არა, უნდა დაიწყოს გამოძიება. ეს არის ევროპული სტანდარტი, ჩივილი არ არის აუცილებელი. ამ საქმეზე თქვენ სავსებით მართებულად ამბობთ, რომ ერთადერთი საქმეა, სადაც ქუთაისის ციხის ორი თანამშრომელი იქნა თანამდებობიდან გათავისუფლებული და დაკავებული. მაგრამ არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რატომ მოხდა ეს. ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ პოზიტიური მიდგომა და ტენდენცია შეინიშნება, არამედ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რამაზ პ.-ს საქმე სტრასბურგის სასამართლოდან გაიგზავნა იუსტიციის სამინისტროში და სახელმწიფოს პასუხი მოეთხოვა იმისათვის, რატომ მოხდა, რომ პატიმარს ცემაში წელი მოწყვიტეს და ინვალიდად აქციეს. ამ ფაქტს რეაგირება მოჰყვა და ორი თანამშრომელი, სავარაუდოდ, ისინი, ვინც სცემა პატიმარს, დააკავეს. აქაც, მიზეზი გარე ფაქტორი იყო და არა შიდა დამოკიდებულება საკითხის მიმართ. სისტემა არ არის გამართული საიმისოდ, რომ ავტომატურად იქნეს გამოძიებული ამგვარი საქმეები. აქ კვალიფიცირების საკითხიც დგას. ეს ფაქტი წამებად არ არის კვალიფიცირებული, არამედ განიხილება, როგორც ძალაუფლების ბოროტად გამოყენება ან გადამეტება.

2009 წელს სტრასბურგის სასამართლოს მოთხოვნით, ორ საქმეში, „ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ“ და „პოღოსიანი საქართველოს წინააღმდეგ“, ითქვა, რომ ჯანმრთელი პატიმრები არ უნდა მოათავსონ ავადმყოფ პატიმართან. სკრინინგის სისტემა არ არსებობდა, ნელ-ნელა მკვიდრდება. ეს იქნება ერთ-ერთი წინაპირობა იმისათვის, რომ დაიძლიოს ტუბერკულოზი, რომელიც რჩება სიკვდილიანობის მთავარ მიზეზად (ანგარიშში ნათქვამია, რომ შიდსის მრავალი შემთხვევაა ქართულ ციხეებში). ვინც ავად არის, იმას უნდა მოუაროს სახელმწიფომ, ჯანმრთელს კი არ უნდა გადაედოს დაავადება.

კიდევ ერთი საკითხი, რაც თვალში მომაკლდა, სინოდის თემა იყო. თქვენც აღნიშნეთ, ვნებათაღელვის საგნად იქცა კანონის მიღება. როგორც კონკრეტულ სინოდის სხდომაზე დამსწრე პირმა, შემიძლია ვთქვა, რომ სინოდმა თავისი გადაწყვეტილებით საზოგადოებაზე დამამშვიდებელი როლი ითამაშა, მაგრამ არ არის აღნიშნული ის, რომ ეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა იყო. თითქოს საყვედურია ნათქვამი მოქალაქეებისადმი, რომ ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კი-

დევ არ არის მაღალი შემწყნარებლობა ამგვარი ფაქტებისადმი. გეთანხმებით, ეს ფაქტია, მაგრამ მოქალაქეს არ ესაყვედურება. მაგალითად, დევნილთა 92%, თქვენც ამბობთ, რომ შემწეობებით ცხოვრობს. ასეთ ადამიანს ვერ უსაყვედურებ იმის გამო, რომ ლიბერალური ღირებულებებით არ აზროვნებს. ის გულწრფელად ამბობს იმას, რასაც ფიქრობს და ესეც დემოკრატიაა. მთავარი როლი სახელმწიფოს ეკისრება, თუ ის რეალურად ლიბერალურია. კოკინაკისის საქმეზე საბერძნეთის წინააღმდეგ ევროპული სასამართლო ამბობს, რომ სახელმწიფოს ვალია და არა სინოდის, დამამშვიდებელი როლი ითამაშოს საზოგადოებაზე, ერთმანეთთან დაპირისპირებულ ან პოტენციურად დაპირისპირებულ ჯგუფებზე. ამ კანონის მიღებამდე და მიღების შემდეგაც სწორედ სახელმწიფოს უნდა დაემშვიდებინა საზოგადოება, ახსნა-განმარტებითი და საგანმანათლებლო საქმიანობა ჩაეტარებინა, რაც ამგვარ საკანონმდებლო მოვლენას უნდა ახლდეს თან. არცერთ ქვეყანაში ასეთ დიდ საკანონმდებლო სიახლეს, როგორიც ეს წინგადადგმული რელიგიური კანონი იყო, ასე არ იღებენ. ის შოკური ეფექტის მქონეა საზოგადოებაზე და სახელმწიფოს ათმაგი პასუხისმგებლობა მოეთხოვება. კოკინაკისის საქმეში ვკითხულობთ: სახელმწიფოს ვალია, რელიგიურ სფეროში ისეთი ატმოსფერო შექმნას ყველა დონეზე, რომ სხვადასხვა რელიგიურმა ჯგუფებმა ერთმანეთთან მშვიდობიანი თანაცხოვრება შეძლონ.

26 მაისთან დაკავშირებით ანგარიშში მართლაც ბევრ ადგილას არის საუბარი. უბრალოდ, მაინტერესებს და ვერ მოვიპოვე ინფორმაცია, თუ არ ვცდები, არც ამ ანგარიშშია ამაზე ნათქვამი, ვინ იყო ის ოთხი გათავისუფლებული პოლიციელი და რა ტიპის გადაცდომაში ედებოდათ ბრალი, ან რატომ არის ეს საკითხი გასაიდუმლოებული.

რაც შეეხება პატიმრებთან დაკავშირებულ ციფრებს, კიდევ ერთხელ მადლობა მინდა გითხრათ ამომწურავი ინფორმაციისა და ციფრებისთვის. ქართულ დოკუმენტში უკვე შეგვიძლია ვნახოთ, რამდენი უვადო პატიმარია საქართველოში, ოთხი ქალი გვყოლია, ეს არ ვიცოდი, და ა.შ. აქ საუბარია ლიმიტზეც. ლიმიტი ყოფილა 23 630. დოკუმენტებში კი ვკითხულობთ, რომ 24 244 პატიმარია. რეალური ლიმიტის დასახელებისთვისაც დიდი მადლობა. იმედს გამოვთქვამ, სახალხო დამცველის ინსტიტუტი კიდევ უფრო გაძლიერდება და მას მხედველობაში მიიღებენ ის უწყებები, ვისაც ეს ეხებათ. ალბათ, ეს იქნება მომავალი მუშაობის თემა.

ზვიად ქორიძე – ვფიქრობ, წელს უფრო რთული მდგომარეობა იყო პარლამენტში – ეს იყო არა დაუინტერესებლობა ომბუდსმენის გამოსვლით, არამედ დაცინვა ცალკეული დეპუტატების გამოსვლებში. როდესაც ომბუდსმენის ამ გამოსვლის მერე სასჯელაღსრულების მინისტრს მადლობა გადაუხადეს, ეს ცინიზმი უფროა, ვიდრე სადეპუტატო მოვალეობის შესრულება. მაგრამ ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ვინც უნდა ითამაშოს ამ თემის აქტუალიზებაში, თავად ომბუდსმენია, რომელიც უფრო პროაქტიური, მკაცრი და ხშირად, რადიკალურიც უნდა იყოს თავის შეფასებებში. ამას ყოველთვის გავურბივართ. ომბუდსმენი, რომელიც ზედმეტად რაფინირებული იქნება თავის შეფასებებში, ადამიანის უფლებების თემას ყოველთვის გადააქცევს ბიუროკრატიულ ინსტიტუციად. ადამიანის უფლებები, ჩემი აზრით, არ არის ბიუროკრატიული სისტემა, ეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული სივრცეა, სადაც სწორედ ასეთი ძლიერი პათოსის მქონე ომბუდსმენი გვჭირდება.

ომბუდსმენის ინსტიტუტს საქართველოში არ აქვს დიდი ხნის ისტორია. გვყავდა ორი ომბუდსმენი, რომელსაც ნაკლები გაგება ჰქონდა ამ თანამდებობისა და, ზოგადად, ადამიანის უფლებებისა და გვყავს ორი შემდგომი ომბუდსმენი, რომელიც გამოირჩევა, ჩემი აზრით, საკმაოდ სერიოზული „ჟამთააღმწერლური“ ფუნქციით, და ეს ძალიან მნიშვნელოვანია ქართული სახელმწიფოსთვისაც, როდესაც ასეთ წლიურ დოკუმენტებს დებენ, მაგრამ ეს დოკუმენტები ისტორიის საგანია.

ისეთ საკითხებს შევეხები, რომლის პრეისტორიაც ყველას გვახსოვს. ეს ყველაფერი 2011 წელს მოხდა. როგორი იყო ომბუდსმენის რეაქცია ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაზე „ირინა ენუქიძე საქართველოს წინააღმდეგ“? შეიძლება გაკეთდა განცხადება, გამოითქვა შენიშვნა, მაგრამ რამდენად პროაქტიური იყო ომბუდსმენი, როდესაც ეს თემა საქართველოს საზოგადოებაში შემოვიდა? ამ უზარმაზარ დოკუმენტში ეს თემა მოხსენიებული არ არის. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა და მან უნდა შეცვალოს ძალიან ბევრი რამ ქართულ საზოგადოებაში. ყოველ შემთხვევაში, პარლამენტის სხდომათა დარბაზში ველოდი, რომ ის ამ თემაზე უფრო ვრცლად ისაუბრებდა.

ასევე მიმაჩნდა, რომ ძალიან ვრცელი იქნებოდა ომბუდსმენის დაგვიანებული გამოსვლა ფოტორეპორტიორების საქმეზე, რადგან ივლისში, სამწუხა-

როდ, ომბუდსმენმა დააგვიანა. ეს საქმე გამოხატვის თავისუფლების თავშია წარმოდგენილი, მაგრამ იქ არის ერთი რეპლიკა, რომ ეს საქმე საერთოდ არ უკავშირდება გამოხატვის თავისუფლებას, მაგრამ ომბუდსმენმა მაინც საჭიროდ ჩათვალა მასზე აქ საუბარი. ამის შემდგომ ის საერთოდ აღარ უბრუნდება ამ თემას. რეკომენდაციებიც, სხვა ნაწილებისგან განსხვავებით, გამოხატვის თავისუფლების ნაწილს არ ახლავს. როდესაც ომბუდსმენი ამ კონკრეტულ ისტორიაზე საუბრობს, ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორებს ასახელებს, თუ რა უშლიდა ხელს მას შესულიყო ციხეში ან საგამოძიებო პროცედურებში ჩარეულიყო, ან გაცნობოდა საქმეს.

ვსაუბრობ აქცენტებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოებისთვის. ომბუდსმენმა უნდა შეძლოს წინმსწრებად დაიწყოს მოქმედება და არა წლის ბოლოს – შემაჯამებელი და მრავლისმომცველი დოკუმენტით. ეს უკან მიდევნებული ქვაა იმ პროცესებისა, რომლებიც საქართველოში 2011 წელს განვითარდა. ველოდი, რომ ომბუდსმენი უფრო ვრცლად ისაუბრებდა „თედო ჯორბენაძის საქმეზე". 2009 წლიდან მოყოლებული ეს საქმე ომბუდსმენის დასკვნებში გვხვდებოდა, და იმედი მქონდა, რომ ბოლომდე შეინარჩუნებდა ამ პათოსს. საუბარია საქმეზე, რომელიც ბათუმში 2009 წელს დაიწყო. ადგილი ჰქონდა ჟურნალისტის მიმართ შანტაჟს პოლიციელების მხრიდან. ორი წელი თავად გაზეთის ჟურნალისტები და არა საგამოძიებო უწყებები ეძებდნენ ამ პოლიციელებს. მიაგნეს, დაადგინეს და ამ რთულ პროცედურაშიც კი, სახალხო დამცველისგან პროაქტიური მხარდაჭერა ვერ მიიღეს.

წავიკითხე ნიკა ალექსიძის, 53-ე სკოლის მოსწავლის თაობაზე სახალხო დამცველის ოფისის ძალიან საინტერესო დასკვნა, მაგრამ მისი მოკლე შინაარსიც კი არ მოხვდა წლიურ მოხსენებაში. რეკომენდაცია, რომელსაც სთავაზობს სახალხო დამცველი ბავშვის უფლებების დაცვისას განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ის არის, რომ ხელი უნდა შეუწყოს დისციპლინარული კომიტეტების ეფექტურ მუშაობას და მოსწავლეები ინფორმირებულები უნდა იყვნენ თავიანთი უფლებების შესახებ. პრინციპულად მიმაჩნია საკითხი, რომ, დიახაც, სახალხო დამცველი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც არც მაშინ მოისვენებს, როდესაც საპატიმროში სხედან ფოტორეპორტიორები და თვითონ შევა საპატიმრო დაწესებულებაში მათ სანახავად, არც მაშინ, როდესაც 15 წლის მოსწავლე სასწავლო დაწესებულების მიღმა რჩება სკოლის დირექტო-

რის ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებით და არ გამოვა სკოლიდან, ვიდრე არ აღადგენინებს მოსწავლეს და არ მისცემს მას სრულფასოვანი სწავლა-განათლების უფლებას. არც მაშინ მოისვენებს, როდესაც ჟურნალისტები იმყოფებიან იმ კორპუსში, სადაც არის შანტაჟისტი და მოძალადე პოლიციელი და ეუბნებიან, რომ ეს არის მოძალადე პოლიციელი და მის მიმართ უნდა განახორციელონ სამართლებრივი დევნა. პატრული კი გარბის. ამ გაზეთის ჟურნალისტები დღემდე აწარმოებენ სასამართლო პროცედურებს და პასუხს ვერ იღებენ იმის შესახებ, პატრულმა რატომ არ შეასრულა თავისი ფუნქცია, ადგილზე მივიდა, მაგრამ აქტიც კი არ გააფორმა.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ დოკუმენტში არ მოხვდა ორი საინტერესო და ქართული საკანონმდებლო სივრცისთვის ძალიან მნიშვნელოვანი კანონი, რომელიც 2011 წლის მიწურულს მიიღო საქართველოს პარლამენტმა. ერთია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონი, რომელშიც ცვლილებების შეტანაც ამ მოხსენების დროს ჯერ კიდევ საზოგადოებრივი დისკუსიების თემა იყო, და მეორე – პერსონალური ინფორმაციის დაცვის შესახებ კანონი. ეს კანონი გუშინ შევიდა ძალაში და ის ძალიან სერიოზული გამოწვევა იქნება ქართული საზოგადოებისათვის. მე, როგორც ერთ რიგით მოქალაქეს, მიმაჩნდა, რომ მოხსენების დროს აქცენტი უნდა გაკეთებულიყო იმაზე, რომ ეს კანონი საკმაოდ უადგილო იყო და მიმაჩნია, რომ ის საქართველოში ადამიანის უფლებების და მისი პერსონალური ინფორმაციის არა დაცვისთვის, არამედ დარღვევისთვის არის შექმნილი.

ეს არის დოკუმენტი, რომელიც დაიწერა ისტორიისთვის და ეს ძალიან კარგია, მაგრამ დღევანდელობისთვის საჭიროა მეტი პროაქტიურობა.

გიორგი მშვენიერაძე – ჯერ ქალბატონი თეას კითხვებს ვუპასუხებ. ჩემს გამოსვლაში მოკლედ ვისაუბრე სასამართლო ხელისუფლების იმ პრობლემებზე, რომლებიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას არის და ანგარიშში გვიწერია, რომ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე საკმაოდ მწირი ინფორმაცია მოგვეპოვებოდა. ეს განპირობებულია ორი მომენტით: საპროცესო შეთანხმებების რიცხვი სახელმწიფოში ძალიან მაღალია, 90%-ს მიუახლოვდა. ეს იმას ნიშნავს, რომ იმდენად მცირეა იმ საქმეთა რაოდენობა, რომელზეც არსებითი განხილვა მიმდინარეობს, რომ პრაქ-

ტიკულად მონიტორინგის ეტაპზეც ვერ შევძელით ასეთ პროცესს დავმთხვეოდით. რაც შეეხება საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს მიმდინარე კანონით გათვალისწინებულ პროცედურებს, მინდა გითხრათ, რომ მოსამართლეები პუნქტობრივად იცავდნენ იმ სტანდარტს, რომელიც ჩვენი კანონმდებლობით არის დადგენილი. ამიტომ საქმეები, რომლებიც შინაარსობრივი კუთხით შევიდა ანგარიშში, ეფუძნება მხოლოდ მოქალაქეთა განცხადებებს და მათ საფუძველზე შესწავლილ საქმეებს.

კარგად მახსოვს, ჯერ კიდევ 2006 წელს დავიწყეთ წერა და დასკვნების მომზადება სისხლის სამართლის საქმეებზე, მათ ევროსასამართლოც ხშირად იყენებდა, რამდენიმე საქმეში მიუთითა კიდეც. მაგრამ, სამწუხაროდ, ამგვარმა პრაქტიკამ, რომელიც პირადად მე გავაკეთე გირგვლიანის, ბათიაშვილის საქმეებზე, ინსტიტუტი ჩიხში შეიყვანა. ეს იმით იყო განპირობებული, რომ მოქალაქეთა ძალიან დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ მათ მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებები უსამართლო იყო და ყველა მიმართავდა ომბუდსმენს მისი მასალების შესწავლის მოთხოვნით. ამან გამოიწვია ის, რომ აპარატში ერთდროულად 500-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმე შემოვიდა. ომბუდსმენს უნდა შეესწავლა ისეთი საქმეები, როგორიც იყო მტკიცებულებათა შინაარსობრივი საკითხები და მოსამართლეთა შეფასების კანონზომიერება. ამან ჯერ კიდევ ბატონი სოზარის მოღვაწეობის პერიოდში მიგვახვედრა, რომ აპარატი სცდებოდა თავის კომპეტენციას. ბატონმა ზვიადმა ახსენა, რომ ზოგიერთ ქვეყანას ომბუდსმენის ინსტიტუტის ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს პირველ რიგში შვედეთზე უნდა ითქვას, სადაც ომბუდსმენი არ არის ტიპური ომბუდსმენი და, რეალურად, პროკურორია, რადგან სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს. მაგრამ იმ კომპეტენციაში, მაგალითად, ესპანეთის ომბუდსმენის ინსტიტუტი რომ ავიღოთ, რომელიც ყველაზე ახლოს დგას ქართულ მოდელთან, ასეთი პრაქტიკა არ არსებობს. შევეცადეთ დაგვეცვა ზღვარი, სადაც აპარატი შეჩერდებოდა. ჯერ კიდევ ბატონი სოზარის დროს ინიცირებული იყო პარლამენტში ცვლილებები, სადაც მკაფიოდ გაიწერა საკითხების ნუსხა, რომლებიც ომბუდსმენის კომპეტენციაში შედიოდა. ეს არის სასამართლო განხილვის დროს მხარეთა პროცესუალური უფლებების დაცვაზე ზედამხედველობა, როგორიც არის დაცვის უფლება, მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს თანასწორობა და შეჯიბრებითობა. ამაზე კეთდება ჩვენი აქცენტები.

რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ გამოვხატავ ჩემს პოზიციას, რომ ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. თუმცა, არ ჩანდა, რა პროცესები უძღოდა წინ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებას. ამ საკითხებზე მსჯელობა ჯერ კიდევ 2000 წელს დაიწყო, როდესაც კონსულტაციები წარმოებდა საქართველოს მართლმადიდებლურ ავტოკეფალურ სამოციქულო ეკლესიასთან. გეთანხმებით, უკეთესი იქნებოდა, საზოგადოებას უფრო დეტალური ინფორმაცია ჰქონოდა ამ საკითხებზე. მიუხედავად იმისა, ეს გააკეთა თუ არა სახელმწიფომ, საზოგადოების დიდი ნაწილის რეაქცია მაინც ძალიან არაადეკვატური იყო. არ შეიძლება, რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციული და ჰომოფობიური განცხადებები საჯაროდ კეთდებოდეს. ამ ვნებათაღელვას ნამდვილად მალამოდ დაედო სინოდის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. არ შეიძლება, ამაზე დადებითი არ ითქვას.

თავისუფლება და შიში

მომხსენებლები:

თათა ცოფურაშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ასოცირებული პროფესორი, ფილოსოფოსი

გიორგი თაბაგარი
სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი, „ლგბტ საქართველო“,
თავმჯდომარე

მოდერატორი:

ნინო დანელია

16 მაისი, 2012

ნინო დანელია – დღევანდელი დისკუსია ჰომოფობიის და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით იმართება. დისკუსიის პარალელურად გვაქვს საქართველოსა და კავკასიაში სოციალური ფოტოგრაფიის ფონდთან თანამშრომლობით მოწყობილი ფოტოგამოფენა, სახელით „აღიარება იწყება შენით“.

ვფიქრობ, ძალიან მრავალმხრივი დისკუსია შეიძლება გვქონდეს, თავისუფლება და შიში მრავალი პლასტის მომცველი ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური კონცეპტებია, რომლებიც, შეიძლება ითქვას, რომ უმეტესწილად, განაპირობებს ინდივიდის და მთელი საზოგადოების განვითარებას. ბუნებრივია, შეიძლება ვისაუბროთ პოლიტიკურ დონეზე, საზოგადოებრივ დონეზე, რელიგიის დონეზეც, ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია ამ ორი კონცეფციის განხილვა. ძალიან ხშირად სწორედ ავტორიტეტის შიში განაპირობებს თავისუფლების დაკარგვას. შეგვიძლია ასევე ვიფიქროთ თემებზე, სჭირდება თუ არა თავისუფლებას საზღვრები, თუ ეს უსაზღვრო კონცეპტია?

თათა ცოფურაშვილი – დღევანდელ შეხვედრას ჰქვია „თავისუფლება და შიში“, მაგრამ სათქმელს ცოტა შორიდან დავიწყებ.

გავიხსენებ 6 მაისს თავისუფლების შესახებ დეკანოზ თეოდორე გიგნაძის მიერ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციას, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმმართველობის მოწვევით გაიმართა. ეს იყო ქართულ საჯარო სივრცეში ბოლოს გაჟღერებული თეორიული თვალსაზრისი თავისუფლების შესახებ და, ამდენად, ალბათ უპრიანია, რომ დღევანდელი დისკუსიის კონტექსტში მასზე რეფერირება მოვახდინოთ.

წავიკითხავ ციტატას ამ ლექციიდან: „რა იყო კომუნიზმი. ვისაც როგორ შეუძლია, ისე იმუშავებს, მაგრამ რამდენსაც უნდა, იმდენს შეჭამს. ანუ ყველას თანაბარი უფლებები აქვს. სინამდვილეში ეს არის შეგნებული ტყუილი. საზოგადოება, სადაც ამბობენ, რომ ყველანი უნდა ვიყოთ თავისუფალნი და თანაბარუფლებიანნი, ეს არის ტყუილი. არ არსებობს ასეთი რამ. სოციალური თანაბარუფლებიანობა დედამიწაზე ვერ იარსებებს. დედამიწაზე რაც არ უნდა დემოკრატიული საზოგადოება იყოს, არსებობს იერარქია. იერარქია ფასეულობათა, იერარქია სოციალური და პოლიტიკური წყობის. ეს არის კანონი, რომელიც ერთ-ერთია ბუნებით კანონებს შორის“.

თეოდორე გიგნაძის ეს სიტყვები ნამდვილად არ იქნებოდა ყურადღების ღირსი, რომ არა ერთი თვალშისაცემი გარემოება. მისი რიტორიკა, რომელიც დღეს წარმოადგენს საეკლესიო წრეების იდეოლოგიას, რარიგ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ლიბერტარიანელი იდეოლოგების რიტორიკას დაემთხვა. გიგნაძემ გვითხრა, რომ სოციალური თანასწორობის იდეა საბჭოთა კავშირის რეალობაა და არა განვითარებული თანამედროვე დასავლეთის ქვეყნების და ლიბერტარიანელებსაც სოციალურ სამართლიანობაზე მსჯელობისას მაშინვე კონტრარგუმენტად სწორედ საბჭოთა კავშირი ახსენდებათ ხოლმე. გიგნაძემ ასევე თქვა, რომ არ არსებობს საზოგადოება, სადაც მისი ყველა წევრი შესაძლებელია იყოს თავისუფალი და თანაბარუფლებიანი. როდესაც თანაბარუფლებიანობაზეა საუბარი, ბუნებრივია, რომ არათანაბარუფლებიანებში, პატრიარქალურ საზოგადოებაში რეპრესირებული სოციალური ჯგუფები: ტრადიციულად, ქალები და ლგბტ თემი მოიაზრება ხოლმე, გარდა კიდევ სხვა მრავალი ასპექტისა, რასაც ის გულისხმობდა. ამგვარ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ ლიბერტარიანელები, შეიძლება ითქვას, რომ დგანან რა ველური კაპიტალიზმის სადარაჯოზე, იმას გვეუბნებიან, რომ საზოგადოება არ უნდა იყოს მოწოდებული მისი წევრების უფლებებზე ზრუნვისთვის და ამ უფლებების გათანაბრებისთვის.

გიგნაძემ ასევე თქვა, რომ სოციალური თანასწორობა შეუძლებელია, რომ დემოკრატიაც კი იერარქიების გარეშე ვერ იარსებებს. მის რიტორიკაში, იერარქიებზე მინიშნებაში იოლია ამოვიკითხოთ წანამძღვარი იმ იდეისა, რომელმაც დღეს აქტუალობა დაკარგა, მაგრამ რომელსაც რამდენიმე წელიწადში, სავარაუდოდ, კვლავ გაგვახსენებს ქართველი სამღვდელოება. ეს არის ქვეყნის კონსტიტუციური მონარქიის მოდელზე მოწყობა. მისი რიტორიკა ასევე იყო ლეგიტიმაცია იმ მოცემულობისა, მოვიყვან ერთი სტუდენტის ციტატას: „მღვდელი, კაციც რომ ჰყავდეს მოკლული, ჩვეულებრივ მოკვდავზე ასი თავით მაღლა დგას“. ამ რიტორიკით სამღვდელოება გვეუბნება, რომ ყველა ადამიანი არ არის თანასწორი დაბადებით და ღირსებით. და ეს რიტორიკა საკუთარი უფლებების ხელშეუხებლობის გარანტიისთვის სჭირდებათ.

იერარქიების კონტექსტში საინტერესოა, რომ, ერთი მხრივ, დემოკრატიული რიტორიკის მქონე მემარჯვენე ანუ ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკაც არსებული იერარქიების დაცვაზეა ორიენტირებული და ამ

ეკონომიკური პოლიტიკის თეორიული საფუძველი სწორედ ეკონომიკური უთანასწორობის ხედვაა, როგორც პროგრესის და ეკონომიკური ზრდა-განვითარების მამოძრავებელი ვექტორი. ამდენად, არსობრივ საკითხებზე, აღმოჩნდა, რომ სასულიერო პირების და ლიბერტარიანელების რიტორიკას გადამკვეთი წერტილი აქვს, მაშინ როდესაც საქმე სოციალური თანასწორობის იდეას ეხება. სოციალური თანასწორობის გარეშე არ არსებობს საზოგადოება, სადაც მისი ყველა წევრის თავისუფლების რეალიზაცია იქნებოდა შესაძლებელი.

თავისუფლება არ არსებობს უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობის გარეშე. რა უფლებებიც არ უნდა გვქონდეს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული, თუკი არ გვაქვს მათი რეალიზაციის შესაძლებლობა, მაშინ რიტორიკა ნებისმიერი უფლებების შესახებ მხოლოდ რიტორიკად დარჩება ისევე, როგორც რიტორიკაა დღესდღეობით საქართველოში გენდერული თანასწორობის შესახებ, რადგან ეს მხოლოდ რიტორიკის დონეზეა და არ არის რეალიზებული.

საეკლესიო წრეებიდან წამოსული რიტორიკის და ლიბერტარიანული რიტორიკის გადაკვეთის პრეცედენტი ქართულ რეალობაში კვლავ გვაყენებს იმის წინაშე, რასაც ლიბერალური ღირებულებების და ნორმების სწორად გაგების პრობლემა ჰქვია. ამ კონტექსტში არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ფრენსის ფუკუიამა და მისი ცნობილი „ისტორიის დასასრული“. ფორმულირებით „ისტორიის დასასრული“ ფუკუიამა, რა თქმა უნდა, არ გულისხმობდა იმას, რომ ადამიანების ცხოვრებაში არაფერი აღარ შეიცვლებოდა, ან რომ ადგილი აღარ ექნებოდა ხდომილებებს. ეს ფორმულირება მისთვის აღწერდა იმ ახალ სიტუაციას, რომლის წინაშეც კაცობრიობა აღმოჩნდა სწორედ სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ, რომ ადამიანის უფლებების ლიბერალურ-დემოკრატიული მოდელი არის ის, რასაც მომავალში ვერაფერი დაუპირისპირდება და ამ მხრივ ისტორიაში ცვლილებები არ მოხდებოდა. დღეს, თუკი გავითვალისწინებთ არა მხოლოდ ქართულ რეალობას, არამედ მსოფლიოში გამართულ დისკუსიებსაც, შეიძლება ვთქვათ, რომ ფუკუიამა ნაწილობრივ შეცდა, რადგან მართალია ლიბერალური დემოკრატიის ღირებულებების უალტერნატივობაზე კამათი არ არის, მაგრამ საკამათო რჩება ამ ღირებულებებისა და ნორმების სწორად გაგება.

ლიბერალური დემოკრატიის უმთავრესი ღირებულება ადამიანის უფლებების უპირობო დაცვაა, რაც გადმოცემულია „ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის“ დასაწყისში, რომ ყველა ადამიანი დაბადებულია როგორც თავისუფალი და თანასწორი მათი ღირსებისა და უფლებების მიხედვით. ადამიანის უფლებების ამ ძირითად თეზას, ერთი მხრივ, მორალური, და მეორე მხრივ, პოლიტიკური კონცეფცია აქვს. ადამიანის უფლებების ძირითადი თეზის მორალური კონცეფცია გულისხმობს, რომ ყოველ ადამიანს იმიტომ აქვს სამართლიანი პრეტენზია საჯარო წესრიგზე, რომ იგი ფლობს მორალურ უფლებას ყველა სხვა ადამიანის მიერ იქნას პატივცემული და განხილული თანასწორად. ეს არის სწორედ ის ასპექტი, რომელიც ჩვენთან უგულებელყოფილია და არ განიხილება. ადამიანის უფლებების ძირითადი თეზის პოლიტიკური კონცეფცია გულისხმობს, რომ ყოველ ადამიანს აქვს სამართლიანი პრეტენზია საჯარო წესრიგზე, რადგან პოლიტიკური ერთობის წევრია, რომელიც ამ წესრიგს წარმოქმნის.

თუკი ადამიანის უფლებების ძირითადი თეზის რომელიმე კონცეფცია ირღვევა, იქნება ეს მორალური თუ პოლიტიკური, შეიძლება ვისაუბროთ საზოგადოებაში ადამიანის უფლებების დარღვევაზე.

სამწუხაროდ, ჩემ მიერ აღწერილია რიტორიკის ის ორი ნიმუში, რომელიც დღეს დომინანტია ქართულ საზოგადოებრივ დისკურსში. ერთ-ერთ წარმმართველ ძალად სწორედ რელიგიური წრეები გვევლინებიან და, მეორე მხრივ, ლიბერტარიანული ფრთა სწორედ რადიკალური უთანასწორობის აპოლოგიას ემსახურება. თუმცა, აქაც არის სხვაობა. თუკი სოციალური თანასწორობა ორივე ფრთისთვის მიუღებელია, ლგბტ თემთან მიმართებაში მათ რიტორიკაში არის სხვაობა. საეკლესიო წრეების მიერ სახეზეა ჰომოფობიური დისკურსის წახალისება და სტიმულირება ქრისტიანულ მორალზე აპელირებით. ლიბერტარიანელები რიტორიკის დონეზე ინარჩუნებენ ტოლერანტობას ლგბტ თემის მიმართ. ამაზე მეტყველებს 2011 წლის მაისში „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ მიერ ჩატარებული მედიამონიტორინგის შედეგები, სადაც ლგბტ თემაზე დაწერილი 5 პოზიტიური სტატიიდან 3 „ტაბულაში“ იყო გამოქვეყნებული, ნეიტრალური 9 სტატიიდანაც 4 ამავე ჟურნალში გამოქვეყნდა.

ადამიანის უფლებებისადმი მორალური თუ პოლიტიკური მიდგომის გვერდით, ასევე, არსებობს ამ უფლებების გაგების ორგვარი პარადიგმა. ადამია-

ნის უფლებების ე.წ. მინიმალისტური ინტერპრეტაცია და მეორე – ადამიანის უფლებების ე.წ. მაქსიმალისტური ინტერპრეტაცია. მინიმალისტური ინტერპრეტაცია წარმოდგენილია ჯონ როულსის მიერ, რომელსაც ადამიანის უფლებების ქვეშ ესმის ადამიანის ძირითადი უფლებები – სიცოცხლის უფლება, თავისუფლების უფლება, საკუთრების უფლება და ფორმალური თანასწორობის უფლება. ანუ, ფაქტობრივად, მინიმალისტური პარადიგმა გვთავაზობს ადამიანის უფლებების ისეთ გაგებას, როგორც ეს საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორეტიკოსების მიერ იქნა ჩამოყალიბებული მე-18 საუკუნეში.

ადამიანის უფლებების ინტერპრეტაციის მეორე პარადიგმა, მაქსიმალისტური პარადიგმა, არის იურგენ ჰაბერმასის მიერ მოცემული ინტერპრეტაცია. მას ადამიანის უფლებების ქვეშ ესმის ისეთი უფლებები, რომლებიც აუცილებელია თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოებისათვის. ამ ძირითადი უფლებების – სიცოცხლის თავისუფლების, ქონების და ფორმალური თანასწორობის უფლების გარდა, ის ასევე ასახელებს გამოხატვის თავისუფლებას და პოლიტიკური მონაწილეობის უფლებას, ახალი იდეების განვითარების შანსს, რაც გულისხმობს საზოგადოებაში ალტერნატიული, ინოვაციური მოსაზრებების დამკვიდრების შესაძლებლობას. ასევე, თავისუფალ სივრცეს ცხოვრების არანორმატიული ექსპერიმენტული ფორმებისათვის. საქართველოში, როდესაც საუბარია ადამიანის უფლებების დაცვაზე თუ დარღვევაზე, ყოველთვის გამოდიან ხოლმე ადამიანის უფლებების მინიმალისტური პარადიგმიდან და არა მაქსიმალისტურიდან, რომელიც ჰაბერმასის მიერ არის ჩამოყალიბებული და რომელიც ცხოვრების არანორმატიული ექსპერიმენტული ფორმებისთვის თავისუფალი სივრცის შექმნის თვალსაზრისით, სწორედ რომ გულისხმობს ლგბტ თემის ხილვადობის გაზრდას და შეიძლება ითქვას, რომ მას გადააქცევს დემოკრატიის გაზომვის ერთ-ერთ კრიტერიუმად თანამედროვე სამყაროში.

შეიძლება ვიკითხოთ, რა შედეგს გვაძლევს ამ კრიტერიუმით დემოკრატიის შეფასება და გაზომვა დღევანდელ საქართველოში. უკანასკნელი კვლევების მიხედვით, ლგბტ თემის მიმართ ტოლერანტულად არის განწყობილი საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 10%, რაც, ჩემი აზრით, საგანგაშო ციფრია. კონტრარგუმენტად იმის თქმა, რომ ოცი წლის წინ ნულოვანი ტოლერანტობა იყო, ალბათ არ არის დასამშვიდებელი. მაშინ ასეთი კვლევები არ ტარდებოდა და მეორეც, რომც ყოფილიყო ნულოვანი ტოლერანტობა,

ამ ხნის განმავლობაში ოთხი თაობის ცვლილება გავიარეთ, ისევე როგორც მოხდა საინფორმაციო საშუალებების რევოლუცია. ვგულისხმობ ალტერნატიული მედიაწყაროების გაჩენას და, ამ ცვლილებების გათვალისწინებით, 10%-იანი ტოლერანტობა ნუგეშის საფუძველს არ იძლევა. ამ სტატუსკვოს შექმნაში და შენარჩუნებაში ძალიან დიდი როლი აქვს ჰომოფობიური განწყობების წახალისებას, რაც საეკლესიო წრეების და ქართული მასმედიის მხრიდან ხდება. ვგულისხმობ სიძულვილის ენას, რომელიც მედიის გზით დომინირებს საჯარო სივრცეში. ეს კარგად აისახა ზემოხსენებულ კვლევაში, რომელიც 2011 წლის მაისში „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერმა ჯგუფმა“ ჩაატარა და სადაც მხოლოდ მაისში, ლგბტ თემაზე გამოქვეყნებული 38 სტატიიდან, 24-ში ეს თემა ნეგატიურად იყო გაშუქებული. დანარჩენი სტატიებიდან, როგორც გითხარით, 5 იყო პოზიტიური და 9 ნეიტრალური. პოზიტიური გულისხმობს იმას, რომ ჰომოფობია წარმოდგენილი იყო, როგორც სოციალური პრობლემა.

ეს კვლევა აჩვენებს, რომ ქართული მედია არათუ იცავს ადამიანის უფლებების უპირველეს პრინციპს, რომ ყველა ადამიანი დაბადებით თანასწორია უფლებებისა და ღირსების მიხედვით, არამედ სისტემატურად არღვევს მას, მაშინ როცა მოწოდებული უნდა იყოს იმისკენ, რომ აკონტროლებდეს აღმასრულებელ ხელისუფლებას, რამდენად იცავს იგი ადამიანის უფლებებს. როდესაც დღეს საქართველოში მედიის თავისუფლებაზე ვსაუბრობთ, მე მგონი, თავისუფლების თემა და თუნდაც იგივე შიშის თემა, რომელიც შეიძლება ლგბტ თემს ჰქონდეს დღევანდელ საქართველოში, როდესაც იცი, რომ მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტია შენ მიმართ ტოლერანტული, უშუალოდ უკავშირდება მედიის საკითხს. ჩვენნაირ საზოგადოებაში, სადაც კრიტიკული აზროვნების დონე დაბალია, მის მთავარ ჩამომყალიბებლად სწორედ მედია გვევლინება. როგორც კი რეგულაციების შემოღების საკითხი დგება, ან საკითხი, თუ რა შეიძლება იყოს გამოსავალი, ფაქტია, რომ ამ ჩაკეტილი წრიდან ვერ გამოვდივართ უკვე ოცი წელია, საუბარია ხოლმე იმაზე, რომ მედიის თავისუფლება ხელშეუხებელია. ნამდვილად ხელშეუხებელია, ამას მეც ვადასტურებ, მაგრამ საუბარია იმაზე, როდესაც მედიის თავისუფლებაზე ვსაუბრობთ, თავისუფლების რომელი განსაზღვრებით ვხელმძღვანელობთ, თავისუფლების ნეგატიური თუ პოზიტიური განსაზღვრებით.

თავისუფლების ეს ორი განსაზღვრება კაცობრიობის ცივილიზებული ნაწილისთვის, მე-18 საუკუნის განმანათლებლობიდან მოყოლებული, მკვეთრად არის ერთმანეთისგან გამიჯნული. თომას ჰობსს თავისუფლება ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით ესმის, როგორც გარე შეზღუდვების არარსებობა, და ამით თავისუფლების ნეგატიურ გაგებას გვაძლევს. ლოკი, ფიხტე, ჰეგელი აყალიბებენ თავისუფლების პოზიტიურ დეფინიციას, რომელიც შემდეგ თეზაზე შეიძლება იქნეს დაყვანილი, რომ შეზღუდო შენი თავისუფლება, რათა ადგილი დატოვო სხვისი თავისუფლებისათვის. თავისუფლების პოზიტიური გაგება გულისხმობს, რომ საზოგადოებაში ცხოვრებისას, თავისუფლების ის ხარისხი, რომელსაც საკუთარ თავს მივაწერ, უნდა დავუშვა საზოგადოების სხვა წევრებისთვისაც და ამდენად ვაღიარო ისინი ჩემს თანასწორად. ვიდრე სხვებისთვისაც არ ვუშვებ თავისუფლების ისეთსავე ხარისხს, როგორსაც მივაწერ საკუთარ თავს, მანამდე საზოგადოების დანარჩენ წევრებს არ ვაღიარებ ჩემს თანასწორად და მსგავს არსებებად, როგორც ფიხტე იტყოდა. სხვისთვის დაშვებული თავისუფლების ხარისხი არის ის, რაც ზღუდავს ჩემს თავისუფლებას, ისევე როგორც სხვის თავისუფლებას ზღუდავს ჩემი თავისუფლება. ეს მომენტი წარმოქმნის კიდეც საკუთარ თავისუფლებაზე პასუხისმგებლობას, რამდენადაც, ხარ რა თავისუფალი, ამავდროულად, თავადვე უნდა დააწესო შენი საკუთარი თავისუფლების საზღვრები და პასუხისმგებელი იყო ამ საზღვრებზე.

პასუხისმგებლობის ეს მომენტი ქართული მედიის მხრიდან უგულებელყოფილია. ამაზე კარგად მეტყველებს ის, რომ საქართველოში ბეჭდვითი პრესის დიდ ნაწილს ჟურნალისტური ეთიკის კოდექსზე ხელი არა აქვს მოწერილი. შესაბამისად, ჩვენ ისიც კი არ ვიცით, ინფორმაცია, რომელსაც ისინი ავრცელებენ, რამდენად არის ობიექტური და გადამოწმებული, და შეესაბამება თუ არა სინამდვილეს. ჟურნალისტური ეთიკის კოდექსი არა მარტო იმას ავალდებულებს მედიასაშუალებას, რომ სიძულვილის ენა არ გამოიყენონ, არამედ ავალდებულებს იმასაც, რომ ობიექტური ინფორმაცია გაავრცელონ. მოსაზრებები იმის შესახებ, რომ მედიაში დაიწეროს ყველაფერი განურჩევლად იმისა, თუ რა საზოგადოებრივი განწყობების გაღვივებას უწყობს ის ხელს, ჩემი აზრით, მიამიტურია. მით უმეტეს, რომ ამისი მაგალითებიც არსებობს ისტორიულად და, მით უმეტეს, საზოგადოებაში, სადაც კრიტიკული აზროვნების დონე დაბალია და სადაც მედია ახდენს მასების ცნობიერების რეალობის უალტერნა-

ტივო კონსტრუირებას. ძალიან შორს რომ არ წავიდეთ მსოფლიო მაგალითებით, ამის ძალიან კარგი მაგალითი ჩვენს საკუთარ წარსულში მოგვეპოვება. 80-იანი წლების საქართველოს ვგულისხმობ, როდესაც პრესაში ეთნიკური უმცირესობებისადმი გადმონთხეულმა სიძულვილის ენამ პოლიტიკური კატასტროფების წინაშე დაგვაყენა 90-იან წლებში და შეიძლება ითქვას, რომ „ლიტერატურული საქართველოს" გვერდებზე დაიწყო ქსენოფობიური განცხადებების ტირაჟირება „ადამონ ნიხასის" მიმართ და შემდეგ ეს ქმედით პოლიტიკაში გადაიზარდა.

გასაოცარია, რომ ამ გამოცდილების უგულებელყოფა ხდება დღევანდელ რეალობაში. მით უმეტეს, რომ ამ გამოცდილებას სულ რაღაც ოცი წელი გვაშორებს და ეს მენტალობის ცვლილებისთვის ძალიან ცოტა დროა. ამაზე ჰომოფობიური განწყობების დიდი დოზაც მეტყველებს ჩვენს საზოგადოებაში და ისიც, რომ ლგბტ თემისადმი მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტია ტოლერანტული. ამ სიტუაციიდან გამოსავალი შეიძლებოდა ყოფილიყო სწორედ ჟურნალისტური ეთიკის კოდექსის რეალური ამუშავება საქართველოში და იმის ცოდნა ჩვენი მხრიდან, რომ ყველა მედიასაშუალება არის პასუხისმგებელი იმაზე, რასაც გვთავაზობს. თუკი ამ საკითხებზე საუბრისას ვიხელმძღვანელებთ თავისუფლების ნეგატიური განსაზღვრებით და გავიგებთ თავისუფლებას, როგორც ყველაფრის უფლებას, მაშინ, რა თქმა უნდა, თუნდაც ჟურნალისტური ეთიკის კოდექსზე ხელმოწერა მათი თავისუფლების შეზღუდვად მოგვეჩვენება. მაგრამ თავისუფლების პოზიტიური განსაზღვრების თანახმად, რომლის რეალიზებაზეც არის აგებული მთელი ცივილიზებული სამყაროს საკანონმდებლო სისტემა, თავისუფლება არის იმის გაცნობიერება, რომ საკუთარ უფლებებს აქვს ზღვარი და მედიისთვის ასეთი ზღვარი შეიძლება გახდეს ეთიკის კოდექსი.

დასასრულ, ორიოდ სიტყვას ვიტყვი თავისუფლებისა და საზოგადოებაში აპრობირებული თავისუფლების რეპრესირების მექანიზმებზე. როგორც წესი, მორალური რეპრესიაა ის, რითაც დღევანდელ საქართველოში ადამიანის სექსუალობასთან დაკავშირებული თავისუფლების წინააღმდეგ გალაშქრება ხდება. ეს თანაბრად ეხება როგორც ქალების სექსუალურ თავისუფლებას, ისე ლგბტ თემის წარმომადგენლებს. გასაგებია, რომ ჩვენი, როგორც დასავლური ცივილიზაციის სააზროვნო სივრცეს მიკუთვნებულების, სააზროვნო

პარადიგმაში თავისუფლება პრინციპულად განსაზღვრულია ქრისტიანობით და იმთავითვე დაკავშირებულია მორალურობასთან, რომ თავისუფლება არის არჩევანი კარგს და ცუდს, კეთილს და ბოროტს შორის. მაგრამ ამ არჩევანის გამო თავისუფლების ცნება თავის თავში მოიცავს მორალის ცნებასაც. მორალის, როგორც კრიტერიუმის, რომლითაც იზომება კარგი და ცუდი, კეთილი და ბოროტი.

როდესაც მიშელ ფუკო მორალის შესახებ საუბრობს, აღნიშნავს, რომ ყოველ მორალურობაში გვაქვს ქცევის კოდები და ინდივიდის სუბიექტივაციის ფორმები. ფორმები, რომლითაც ინდივიდი თავადვე გადააქცევს საკუთარ თავს სუბიექტად. მორალურობის ამ სახეში მნიშვნელოვანია ის, რომ იგი ფოკუსირებულია ავტორიტეტის ინსტანციაზე. ავტორიტეტის, რომელიც აწესებს ქცევის კოდებს, მოითხოვს, რომ ისინი იქნას დასწავლილი, და ამასთან აკვირდება, როგორ სრულდება ისინი. და ავტორიტეტის, რომელიც ამავდროულად აჯარიმებს ქცევის კოდების დამრღვევს. ამ პირობებში ინდივიდის სუბიექტივაცია, ინდივიდის მიერ საკუთარი თავის სუბიექტად გადაქცევა, ვლინდება, როგორც კვაზიიურიდიული ფორმა, სადაც ეთიკური სუბიექტი მიმართავს თავის ქცევას კანონთა ნაკრებისადმი, რომელსაც უნდა დაუქვემდებაროს საკუთარი თავი იმ რისკით, რომ თუკი ასე არ მოიქცევა, დაისჯება. მორალურობის ასეთი პარადიგმის განხილვისას, საინტერესოა, რომ ფუკო დასძენს, რომ არასწორი იქნებოდა ქრისტიანული მორალის ასეთ მოდელზე დაყვანა.

აქ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნეტარ არიან ევროპელები, იმიტომ რომ ფუკოსგან განსხვავებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღევანდელ ქართულ საეკლესიო წრეებს ქრისტიანული მორალი სწორედ ასეთ კონსტრუქციამდე დაჰყავთ. ქრისტიანობა საქართველოში სწორედ რომ ხდება დასჯის და სუბორდინაციის რელიგია. ეკლესიის მიერ დასჯის რიტორიკა გამოიყენება ჰომოფობიური განწყობების წასახალისებლად და არა მარტო ამისთვის. სულ უფრო მრავლდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ნაცნობების საბავშვო ბაღიდან დაბრუნებული ბავშვები ამბობენ, რომ ღმერთი დასჯის, თუკი ასე არ მოიქცევა. მაგრამ ჰომოფობიური განწყობების წასახალისებლად დასჯის რიტორიკა მაინც ყველაზე უფრო გამოკვეთილია. აპელირება ხდება ხოლმე ძველი აღთქმიდან ცნობილ გომორისა და სოდომის ისტორიაზე. ქალებთან, როგორც მეორე რეპრესირებულ ჯგუფთან მიმართებაში, ქართული მართლმადიდებლური ეკლე-

სია იყენებს სუბორდინაციის რიტორიკას. პატრიარქის ცნობილ განცხადებას, რომ მრევლი ცოლები ქმრებს ფეხებს უნდა ბანდნენ, აღარ მოვიყვან ციტატის სახით. როდესაც ასეთი სუბორდინაციული მოდელის შემოთავაზების გამო საზოგადოების ნაწილი აღშფოთდა, ითქვა ასეთი რამეც – რა გაშფოთებთ, თქვენ ხომ არ ხართ მრევლიო. ამაზე ალბათ უნდა ითქვას, რომ გასაგებია, პირადად მე არ ვარ მრევლი და არ ვიღებ ამ განაცხადს საკუთარ თავზე, მაგრამ, როგორც ცნობილია, თუმცა ამისი ზუსტი აღწერა არ არსებობს, მრევლია საქართველოს მოსახლეობის 80%. და ის, თუ როგორია ჩემ გარშემო მყოფი საზოგადოების 80%, ნამდვილად მეხება. მათი ქცევა ასევე ახდენს გავლენას ჩემზე. საზოგადოება არ არის ის სხეული, სადაც შეიძლება ერთმანეთისაგან მოკვეთილად განვიხილოთ საკუთარი თავი. მეც, როგორც ამ საზოგადოების რიგითი წევრი, ვგრძნობ პასუხისმგებლობას მრევლი ცოლების მიმართ და მიმაჩნია, რომ მათ მიმართ არ შეიძლება ასეთი ადამიანის უფლებების დამრღვევი განცხადების გაკეთება.

გიორგი თაბაგარი – სოციალური წნეხი და პრობლემები საკმაოდ კომპლექსურია და ბევრ გვერდით პრობლემას წარმოშობს. როგორც უკვე აღვნიშნე, თითოეული ადამიანი აწყდება სტიგმას, რომელიც გარანტირებულად ელის „ქამინგ აუთის“ შემთხვევაში. და ის პარალელურ რეჟიმში ავითარებს სიყალბეს, რომელშიც ამ ადამიანების დიდ ნაწილს უწევს ცხოვრება. იქმნება საკუთარ წრეში ჩაკეტილი მიკროსამყარო, რომელშიც ეს ადამიანები ცხოვრობენ და უწევთ ურთიერთობა, და ვიღებთ ინდივიდების ჯგუფს, რომელიც არც ახდენს იდენტიფიცირებას ლგბტ თემთან. პირიქითაც შეიძლება იყოს, ესენი დიდი ალბათობით შეიძლება წარმოადგენდნენ იმ ადამიანების ჯგუფს, რომლებიც განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩევიან ლგბტ თემის მიმართ. შესაბამისად, ტერმინი „ინტერნალიზებული ჰომოფობია“ ცალსახად გვაქვს საქართველოშიც, ისევე როგორც იდენტიფიცირების პრობლემა, რომელიც წარმოდგენილია ლგბტ თემში.

ხელოვნურად ხდება მორგება გარემოსთან, და თავისუფლებას, რომელიც ჰეტეროსექსუალ წყვილს შეიძლება ჰქონდეს, ლგბტ პირები მოკლებულნი არიან. ისეთი მინიმალური მოთხოვნებიც კი, როგორიც შეიძლება იყოს ხელჩაკიდებული სეირნობა, შეიძლება მიუღწეველ ოცნებად რჩებოდეს ლგბტ ადა-

მიანისთვის. საუბარი არ არის „სივილ ფარტნერშიფზე“ ან „გეი მერიჯზე“, რომელიც საქართველოში ტაბუირებულია და საზოგადოება ამისთვის მზად არ არის.

მინდა შევეხო საქართველოში არსებულ საკანონმდებლო გარემოსაც. ჩემი აზრით, ცოტა წინ ვუსწრებთ კიდეც თავად თემში არსებულ გარემოს. ანუ, საკანონმდებლო კუთხით ქვეყანა ბევრად უფრო წინ არის წასული, ვიდრე მოსახლეობის და ლგბტ თემის ცნობიერებაა ამ საკითხთან დაკავშირებით. ჰომოსექსუალური აქტის დეკრიმინალიზაცია, წლების წინ მოხდა საქართველოში, ასევე რამდენიმე თვის წინ მიიღეს კანონი, რომელიც ჰომოფობიით მოტივირებულ დანაშაულს დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს. ამას ფეხი უნდა აუწყოს ქართულმა საზოგადოებამ, პირველ რიგში კი თავად ლგბტ თემმა, და ამის მერე უნდა ვისაუბროთ ცვლილებებზე, რომლებიც უფრო გვიან უნდა მოვიდეს ამ ქვეყანაში. თითოეული ჩვენგანი, ლგბტ ორგანიზაციები და მედია, რომლის როლიც ძალიან მნიშვნელოვანია, და საკანონმდებლო ორგანოც, უნდა მივიდეს კონსენსუსამდე სიძულვილის ენასთან დაკავშირებით, თუ როგორ გავუმკლავდეთ ამ პრობლემას.

მიუხედავად იმისა, რომ ნელი ტემპებით, მიმაჩნია, რომ რაღაცები პოზიტიურად იცვლება და, ბოლო წლების ჩემი პირადი დაკვირვების შედეგად, უკეთესი ვითარებაა. არსებობს რამდენიმე ლგბტ ორგანიზაცია, რომელიც იცავს ამ ადამიანების უფლებებს. სიძულვილის ენის დაფიქსირების შემთხვევაში ამ ადამიანებმა თვითონ უნდა მოახერხონ წინააღმდეგობების გადალახვა, რათა დაფიქსირდეს ყველა ასეთი შემთხვევა, თავად უნდა აიმაღლონ ხმა და მიმართონ იმ ინსტიტუციებს, რომლებიც იცავს და ზრუნავს მათ უფლებებზე. ამის შემდეგ უნდა გავრცელდეს დღევანდელი გამოფენის სლოგანი მთელ საზოგადოებაზე.

ნანა კალანდარიშვილი – მართალია, საქართველოში 80% იდენტიფიკაციას აცხადებს ქრისტიანულ რელიგიასთან, მაგრამ აქედან აქტიური მრევლი მხოლოდ 15-20 პროცენტია. მინდა შევეხო ეროვნული იდენტობის და სექსუალური ორიენტაციის გაიგივების საკითხს ჩვენთან. ლაპარაკია იმაზე, რომ ქართველისთვის ეს არ შეიძლება, თუმცა, უცხოელების მიმართ უფრო მაღალი მიმღებლობაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჩვენთან მამაკაცი ჰო-

მოსექსუალების მიმართ უფრო უარყოფითი დამოკიდებულებაა, ვიდრე ქალი ჰომოსექსუალების მიმართ.

მაინტერესებს, თქვენი აზრით, როგორ შეიძლება ამ იდენტობების გაყოფა, ჩვენთან ასევე განუყოფელია ქრისტიანობა და ქართველობა. ჩემთვის წარმოუდგენელია, რომ უახლოეს წარსულში ეს მოახერხოს ქართულმა საზოგადოებამ.

ვახტანგ ბახტაძე, ჟურნალისტი, „ჩვენი მწერლობა“ – ითქვა, რომ 80% მართლმადიდებელი ქრისტიანია საქართველოში. აქვე ბრძანეთ, რომ ფეხი უნდა ავუწყოთ და ჩავდგეთ ცივილიზებულთა რიგებში, მაინტერესებს, თქვენი მოდელი როგორია? აქ ლაპარაკია ქრისტიანობაზე, რომელსაც აქვს თავისი ტრადიცია და წესი. გარდა ამისა, საქართველო ტრადიციების ქვეყანაა. როგორ წარმოგიდგენით ამ ყველაფრის შეთავსება. როგორია თქვენი საოცნებო ქვეყანა?

თათა ცოფურაშვილი – ორივე კითხვა თემატურად დაკავშირებულია ერთმანეთთან. რაც შეეხება სინკრეტულ აზროვნებას, რომ რიგითი ქართველისთვის მართლმადიდებლობა, რელიგიური იდენტობა, ნაციონალური იდენტობა და სექსუალური იდენტობა სინკრეტულ, განუყოფელ ერთიანობად მოიაზრება. გამოსავალი არის სამოქალაქო ცნობიერების ზრდაში და იმის აღიარებაში, რომ ამ ქვეყანაში გვყავს არა მხოლოდ მართლმადიდებელი მოქალაქეები, არამედ სხვა აღმსარებლობის მოქალაქეებიც და როდესაც ამაზე დავიწყებთ ლაპარაკს, კვლავ დავდგებით ისეთივე ფაქტის წინაშე, როგორის წინაშეც აღმოვჩნდით შარშან ზაფხულში, როდესაც სხვა დენომინაციების ეკლესიებისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭებას მოჰყვა დიდი გამოსვლები. რაც შეეხება იმ საკითხს, რომ საქართველოს მოსახლეობის 80% მართლმადიდებელია. მე ვთქვი, რომ მრევლი არ ვარ, მაგრამ მეც მართლმადიდებელი ვარ, რამდენადაც სამი წლის ასაკში მომნათლეს. საქართველოს ეკლესია ალბათ მეც და კიდევ სხვა მრავალს ამ 80%-ს მიგვაწერს. ის, თუ რამდენი ადამიანი დადის დღეს რეალურად ეკლესიაში და რამდენია აქტიური მორწმუნე, ამისი აღრიცხვა არ არსებობს. ამ 80%-ის შესახებაც ისევ და ისევ სასულიერო პირებისგან ვიცით. მორწმუნეების აღრიცხვა, როგორც ჩანს, არ არის თავად ეკლესიის ინტერე-

სებშიც კი. იმიტომ რომ ყოველთვის კარგია მოახდინო აპელირება იმაზე, რომ შენ უკან დგას მოსახლეობის 80% და რეალურად არ იცოდე, რამდენი მხარდამჭერი გყავს.

ტრადიციების ქვეყანაა, მაგალითად, გერმანიაც. რატომ გვგონია, რომ მათზე უკეთესი ტრადიციები გვაქვს, ან რატომ გვგონია, რომ ჩამოგვრჩება კულტურული ან სახელმწიფოებრივი განვითარების თვალსაზრისით? მაგრამ რელიგიის და თუნდაც რელიგიური ტოლერანტობის და პლურალიზმის შეთავსება აბსოლუტურად შესაძლებელი აღმოჩნდა იმ საზოგადოებაში, ისევე როგორც რეფორმაცია ეკლესიის შიგნით. ასე რომ, ყველაფერი შესაძლებელია და არაფერი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება თანამედროვე საზოგადოებაში, რომელიც უნდა ამოდიოდეს 1948 წლის ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციიდან. ეს დეკლარაცია არავის ჩაგრავს, ამბობს, რომ ყველა ადამიანი თანასწორია თავისი უფლებებითა და ღირსებით.

ნინო დანელია – ბუნებრივია, სამოთხე არ არსებობს ქვეყანაზე, ამაზე უნდა შევთანხმდეთ, მაგრამ მე დიდი ბრიტანეთი გამახსენდა, რომელიც ძალიან ტრადიციული ქვეყანაა, მაგრამ იქაც ძალიან თავსებადია ადამიანის უფლებები, ტრადიციები და კულტურა. მთავარია, რომ ჩვენს ცნობიერებაში გავყოთ სეკულარული სახელმწიფო და ყველაფერი დანარჩენი.

გიორგი თაბაგარი – ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს სიძულვილის ენის მონიტორინგი. შედეგები სამივე ანგარიშის მიხედვით სავალალოა. გაზეთების საკმაოდ დიდი ნაწილი სისტემატიურად იყენებს სიძულვილის ენას. ახლა თან არ მაქვს სტატისტიკური მონაცემები. საკმაოდ რთულია შეთანხმება იმაზე, გვინდა თუ არა სიძულვილის ენის რეგულირება და როგორ უნდა მოხერხდეს ეს, საკმაოდ რთული საკითხია და შეიძლება სასწორზე აყენებდეს მედიის თავისუფლებას. ამაზე იყო დებატები. ბევრი კითხვა შეიძლება დაისვას, გვინდა თუ არა ეს. საუკეთესო გამოსავლად მაინც ეთიკის ქარტია და კოდექსი მიმაჩნია, რომელიც სავალდებულო შეიძლება გახდეს ყველა ჟურნალისტისთვის და გახდეს შიდა სარეგულაციო მექანიზმები, რომელიც დაარეგულირებს მედიის სტანდარტს, თუ როგორ უნდა იმუშაონ ჟურნალისტებმა თავიანთ გამოცემებში.

ვეთანხმები მოსაზრებას, რომ განათლება არის ის საწყისი, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ყველაფრის შეცვლა. რადგან დღეს ლგბტ საკითხებზე ვსაუბრობთ, აუცილებელია, სექსუალური განათლება იყოს საშუალო სკოლის კლასებში მოსწავლეებისთვის მიწოდებული. განათლებიდან უნდა დაიწყოს ის, რაც ნაციონალიზმს და რელიგიურ ექსტრემიზმს შეაკავებს.

რაც შეეხება ტრადიციების საკითხს, ბევრ დასავლურ ქვეყანაში ლგბტ საკითხები და ტრადიციები, გვერდიგვერდ, ერთ გარემოსა და სივრცეში არსებობს. მას შემდეგ, რაც პროგრესს განვიცდით, ალბათ ეს ასე იქნება საქართველოშიც.

აღნიშნული დებატები ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში: ლაკმუსის ტესტი სოციალური ტოლერანტობისა და ადამიანის უფლებებისათვის“ ფარგლებში.

პოლიტიკა და რელიგია: დესეკულარიზაციის ტენდენცია

მომხსენებლები:

რუსუდან გოცირიძე
საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი

ნიკოლოზ ლალიაშვილი
საქართველოს პარლამენტის წევრი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრობა

გიორგი მაისურაძე
ლიტერატურის და კულტურის კვლევითი ცენტრი, ფილოსოფოსი (ბერლინი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა)

რატი ამაღლობელი
პოეტი

მოდერატორი:

გოგი გვახარია

20 ივნისი, 2012

გოგი გვახარია – დღევანდელი დისკუსიის იდეა დაიბადა მას მერე, რაც „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ გამოვიდა საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატივით. ეს ცვლილებები ეხებოდა სწორედ იმ თემას, რომელზეც დღეს ვსაუბრობთ. მას შემდეგ ერთი თვე გავიდა და დესეკულარიზაციის ტენდენცია გარკვეული თვალსაზრისით გამძაფრდა. მხედველობაში მაქვს ბაგრატის ტაძრის გარშემო მომხდარი ამბები, პატრიარქის ბრძანება, ბატონი შაშკინის ინტერვიუ, რომელმაც ასევე გამოიწვია დისკუსია საზოგადოებაში. დღეს ალბათ ყველა ამ თემაზე ვისაუბრებთ.

რადგან ამ ცვლილებების ინიციატორი „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ იყო, სიტყვას ბატონ ნიკას გადავცემ. იქნებ განგვიმარტოს, რა აქვს მხედველობაში პარტიას, რა იდეებით გამოდის.

ნიკოლოზ ლალიაშვილი – არ მეგონა, თუ ჩვენი პარტიის საკონსტიტუციო ინიციატივა იქნებოდა დღეს განხილვის მთავარი საგანი. მინდა ჩემი პოზიცია გითხრათ თავად ამ ტერმინებთან დაკავშირებით. საქართველოში დესეკულარიზაციის პროცესი არ მიმდინარეობს იმ მარტივი მიზეზით, რომ არ შეიძლება მოხდეს იმის დესეკულარიზაცია, რისი სეკულარიზაციაც არ მომხდარა. მოდით, ჯერ დავფიქრდეთ ამ ტერმინზე. არ არის ეს მარტივი ტერმინი. საკმაოდ გადღაბნილია მისი მნიშვნელობები და განმარტებები. ვფიქრობ, რომ არსებულ უამრავ კონცეფციას შორის, რომელიც განმარტავს ტერმინს „სეკულარიზაცია“, ყველაზე რაციონალურია ის კონცეფცია, რომელიც სეკულარიზაციაში გულისხმობს კონკრეტულ საზოგადოებაში მორწმუნეთა რაოდენობის შემცირებას. ბუნებრივია, არ შეიძლება ლაპარაკი იყოს სეკულარიზაციაზე იქ, სადაც არიან მორწმუნე ადამიანები, თუნდაც უკვე მომხდარი იყოს რელიგიის პრივატიზაცია, როცა რელიგია ხდება თითოეული ადამიანის პირადი საქმე და არა კოლექტივის არსებობის აუცილებელი პირობა.

მიჩიგანის უნივერსიტეტის მკვლევრის და მეცნიერის რონალდ ინგლჰარდტის კოლოსალური კვლევის მიხედვით, რომელსაც საფუძვლად დაედო ძალიან დიდი რაოდენობის ფაქტობრივი მასალა, საქართველო უფრო წინ არის სეკულარულ-რაციონალისტური ღირებულებებისკენ, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები და ერთ დონეზეა კანადასა და ესპანეთთან.

თუ სეკულარიზმში კონსტიტუციაში იმ ჩანაწერს ვგულისხმობთ, რომ სახელმწიფო და რელიგია ერთმანეთისგან გაყოფილია და ერთმანეთის საქმეებში არ ერევა, მაშინ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო სეკულარული სახელმწიფოა. 1921 წლის კონსტიტუციამ ეს ძალიან მკაფიოდ აჩვენა. მაგრამ იმ პერიოდშიც კი, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ხელისუფლებაში ცალსახად სოციალ-დემოკრატები მოვიდნენ, ძალიან აქტიური თანამშრომლობა იყო რელიგიურ ინსტიტუტებთან, ეკლესიასთან. შეგახსენებთ, როდესაც აფხაზეთში 1919 წელს დროებით გამოცხადდა სოციალისტური რესპუბლიკა, რამხელა როლი ითამაშა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, გენერალ მაზნიაშვილის და მაშინდელი ეპისკოპოსის ამბროსი ხელაიას თანამშრომლობამ. მერე ამბროსი ხელაია უკვე კათოლიკოს-პატრიარქი გახდა. ეს ყველაფერი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ფურცელზე კი ეწერა, მაგრამ რეალურად მაინც რელიგია და ეკლესია საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად რჩებოდა.

საბჭოთა პერიოდში შეიძლება ვილაპარაკოთ სეკულარიზაციაზე, პირდაპირ ხდებოდა იერიში სამღვდელოებაზე, რელიგიაზე, ეკლესიაზე. პოსტსაბჭოთა საქართველოშიც, საბჭოთა კავშირის დანგრევისთანავე, შეიძლება ითქვას, რომ მომენტალურად დაიწყო ეროვნული მოძრაობა და მან ისევ შემოიტანა რელიგია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ეკლესია რამდენად ინსტიტუციონალიზებული, რამდენად ძლიერი იყო. ეროვნული მოძრაობის ლიდერები მაშინ საჯაროდ კითხულობდნენ ლოცვებს, მიტინგების უმეტესობა იწყებოდა სიტყვებით „ჩვენთან არს ღმერთი“ და ა.შ.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაახლოებით სამი წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ მისი ერთ-ერთი ავტორი და დღეს საქართველოს პრეზიდენტი იყო ინიციატორი კონკორდატისა, მართლაც გაძლიერდა სეკულარიზაციის პროცესი. ეკლესიამ ცენტრიდან პერიფერიაზე გადაინაცვლა. ალბათ, ყველას გახსოვთ პერიოდი, როდესაც აღარ იყო რელიგიური რიტუალების ტრანსლირებები, ნაკლებად ჩანდა საპატრიარქო. მას არც პოლიტიკაზე და არც სხვა სფეროებზე აღარ ჰქონდა გავლენა. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდა. 2007 წლის შემდეგ ეს მიდგომები შეიცვალა და რელიგიამ კვლავ დაიკავა ერთ-ერთი ცენტრალური როლი. აუცილებელი გახდა პატრიარქის ფაქტორი საერო ხელისუფლების ლეგიტიმაციისთვის. შეიძლება ვთქვათ, რომ

მოხდა ეკლესიის „აპდეითი“, მოხდა შეწყობა არსებულ რეალობასთან. ეკლესიამ გაიძლიერა თავისი პოზიციები და მივიღეთ ის, რაც დღეს გვაქვს. კლასიკური, ლეგალისტური გაგებით, საქართველო, რა თქმა უნდა სეკულარული სახელმწიფოა, მაგრამ თუ ისევ ინგლჰარდტს დავესესხებით, საქართველო არ შეიძლება ჩაითვალოს სეკულარულ საზოგადოებად, იმიტომ რომ ამ საზოგადოებაში არ მომხდარა რელიგიის პრივატიზაცია, მას არ გადაუნაცვლებია პრივატულ სფეროში, არ მოხდარა მისი დიფერენციაცია, სახელმწიფო და ეკლესია გარკვეულ მომენტებში ერწყმის ერთმანეთს, ისევე როგორც რუსეთში ან ლათინური ამერიკის რიგ ქვეყნებში. და, რაც ყველაზე მთავარია, არ შემცირებულა მორწმუნეთა რაოდენობა საზოგადოებაში. ამიტომ, შეიძლება ვთქვათ, რომ ლაპარაკი არ შეიძლება იყოს დესეკულარიზაციაზე, რელიგიის დაბრუნებაზე, რევანშზე, მის ისევ შემოსვლაზე პერიფერიიდან ცენტრში, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არ მომხდარა საზოგადოების სეკულარიზაცია. რონალდ ინგლჰარდტის პოზიციებს ვიზიარებ. ეს არის ადამიანი, რომელმაც 70-იანი წლების ბოლოს შექმნა პოსტმატერიალიზმის კონცეფცია.

დესეკულარიზაციასაც აქვს თავისი პარამეტრები. რომც ჩავთვალოთ, რომ ეს სეკულარული სახელმწიფოა, თუ გადახედავთ, დესეკულარიზაციის ნიშანწყალი არ არსებობს, რადგან არაფერი არ წასულა ცენტრიდან. იგივე პოზიციები აქვს რელიგიას და ეკლესიას, რაც ყოველთვის ჰქონდა.

სწორედ ამ რეალობის გათვალისწინებით გადავწყვიტეთ, რომ სწორი იქნებოდა, თუ კონსტიტუცია ასახავდა იმ ვითარებას, რაც არის დღეს საქართველოში, ჩვენს სახელმწიფოში და მიზანშეწონილად ჩავთვალეთ კონსტიტუციის პრეამბულაში უფლის სახელის მოხსენიება. სიტყვები „ღმერთისა და ერის წინაშე“, ჯერ კიდევ 1995 წელს მიღებულ კონსტიტუციაში გაჩნდა. გადავწყვიტეთ, კიდევ უფრო წარმოგვეჩინა ქრისტიანობის როლი, მიუხედავად იმისა, რომ მე-9 მუხლში ეს არის ნახსენები. ჩვენი ინიციატივით, ეს სიტყვები უნდა ავიდეს პრეამბულაში და უნდა გაჩნდეს ასეთი ჩანაწერი: „ქრისტიანული ტრადიციები“, ამაზე დაფუძნებული სახელმწიფო. ჩვენს პარტიაშიც ძნელად მივაღწიეთ შეთანხმებას ამ ფორმულირებასთან დაკავშირებით. პირადად მე მომხრე ვიყავი, უფრო ფართოდ ყოფილიყო ეს ყველაფერი წარმოჩენილი, როგორც არის ეს უნგრეთის ახალ კონსტიტუციაში, რომელიც 2012 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში. იქ მოხსენიებულია მეფე, რომელმაც პირველმა მიიღო

ქრისტიანობა და მისი დამსახურებაა, რომ უნგრეთი დღეს არის ცივილიზებული, ქრისტიანული, დემოკრატიული სამყაროს ნაწილი. მე მინდოდა, რომ ჩვენთანაც ასე ყოფილიყო, მაგრამ ვერ გავიტანე ჩემი პოზიცია. საბოლოოდ, შევჯერდით იმ რედაქციაზე, რომელიც მოგახსენეთ.

რუსუდან გოცირიძე – თუკი შევთანხმებით, რომ სეკულარიზაცია ნიშნავს სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნას, არც ეს იქნება ცხადი ცნება, იმიტომ რომ რთული სათქმელია, რას ნიშნავს გამიჯვნა, სად გადის ზღვარი საკრალურსა და სეკულარულს ან მიწიერს შორის. „სეკულარულის“ ზუსტი შესატყვისიც კი არა გვაქვს ქართულად. და, ზოგადად, როგორ განისაზღვრება, სახელმწიფო ან საზოგადოება არის თუ არა სეკულარული, რა განსაზღვრავს ამას, სახელმწიფო მოწყობა, კანონმდებლობა, ფასეულობები თუ ყოველდღიურობა? თუ ასე მივუდგებით, როგორ ფიქრობთ, არის თუ არა სეკულარული ქვეყანა, სადაც კანონის დონეზე არსებობს სახელმწიფო რელიგია, სადაც ყოველი ახალშობილი ავტომატურად ითვლება ამ სახელმწიფო რელიგიის მიმდევრად და სადაც საზოგადოების წევრების რელიგიური კუთვნილება დოკუმენტურად არის დაფიქსირებული. მიხარია, რომ ეს საქართველოს მოდელს არ შეესაბამება. მაგრამ, რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, ეს დანიის მოდელია.

არის თუ არა სეკულარული სახელმწიფო, სადაც არსებობს სახელმწიფო რელიგია, ამ რელიგიის მეთაური არის მონარქი, ამ სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოში რელიგიის იერარქები სხედან – არც ეს არის სახარბიელო მოდელი და ესეც ერთ-ერთი ევროპული წარმატებული ქვეყნის მოდელია. საუბარია ბრიტანეთზე. არის თუ არა სახელმწიფო სეკულარული, როდესაც არ არსებობს სახელმწიფო რელიგია, როდესაც ცხადად არის გამიჯნული რელიგიური და სეკულარული სივრცე, როდესაც კანონის დონეზე ყველა რელიგია თანასწორია, როდესაც არცერთ რელიგიასთან არ არსებობს სახელმწიფოს ფინანსური ან პოლიტიკური გადაჯაჭვულობა, მაგრამ ამავდროულად, ამ სახელმწიფოში შეიძლება არსებობდეს ხალხის მხრიდან არაფორმალური დაკვეთა, რომ სახელმწიფოს მეთაური აუცილებლად იყოს კონკრეტული რელიგიის და ხანდახან კონკრეტული დენომინაციის მიმდევარი, ან როდესაც ამ სახელმწიფოს მეთაური სწორედ ღვთის ნებას მოიშველიებს მილიტარისტული მსოფ-

ლიო დონის ინტერვენციის განსახორციელებლად. აქ ამერიკის მოდელზეა ლაპარაკი. გამახსენდა, როგორი ვნებათაღელვა იყო ობამას გაპრეზიდენტების დროს, როდესაც ცხადად არ იყო ნათქვამი, რომელი რელიგიის და რომელი დენომინაციის მიმდევარი იყო იგი. ჩემი ამერიკელი კოლეგების ნაწილიც ძალიან შეშფოთებული იყო და ამბობდა, როგორ შეიძლებოდა მათი ქვეყნის მეთაური სულაც მუსლიმი ან ათეისტი ყოფილიყო.

ამდენად, იმას, არის თუ არა რომელიმე სახელმწიფო სეკულარული, კანონი ვერ განსაზღვრავს. ძნელია იმის თქმა, რომ დანია არ არის სეკულარული სახელმწიფო, როდესაც მისი სტრუქტურა და მოწყობა სრულიად არასახარბიელოა. მახსოვს, როდესაც გასულ ზაფხულს მიღებულ იქნა კანონი რელიგიური ჯგუფების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, სწორედ ამ მოდელებით ხდებოდა აპელირება. საუბარი იყო იმაზე, რატომ უნდა არსებობდეს ჩვენთან ასეთი მოდელი, როდესაც ისეთ წინწასულ და დემოკრატიულ სახელმწიფოებში, როგორიც არის დანია და ინგლისი, არსებობს სახელმწიფო რელიგია და სულ სხვა მოწყობა.

ვერც იმას ვიტყვით, რომ თუკი ჩვენს კანონმდებლობაში ცხადად არის გაწერილი, რომ რელიგია და სახელმწიფო გამიჯნულია, ეს რეალურად ასეა. ვერც იმის მომხრე ვიქნები, რომ რაკი რეალურად ასე არ არის, მაშინ ეს კანონმდებლობამაც ასახოს. გამახსენდა ერთი უცნაური ამბავი, როდესაც სვანეთში ბიძაშვილებმა მოკლეს ქალი, რომელზეც ეჭვი ეპარებოდათ, რომ მეუღლეს ღალატობდა. მახსოვს ერთი იურისტის კომენტარი, რომელიც ამბობდა, რომ ეს არ არის კანონდარღვევა და აუცილებელია ადგილობრივი წეს-ჩვეულებები და კულტურა ასახული იყოს კანონმდებლობაში. ჩემთვის ამგვარი ასახვა იქნებოდა იმის ტოლფასი, ვთქვთ, რომ თუკი ქვეყანაში არ არის სეკულარული სიტუაცია და არ არის გამიჯნული სახელმწიფო და რელიგია, ბარემ ეს კანონმდებლობაშიც აისახოს. ჩემი აზრით, ერთი ხელმოსაჭიდი და ჯანსაღი, რაც შეიძლება არსებობდეს ჩვენს ქვეყანაში ამ თვალსაზრისით, არის კანონმდებლობა და იქნებ როგორმე დავეწიოთ მას. იქნებ რეალობა დავაწიოთ კანონს და არა პირიქით, კანონი ჩამოვწიოთ რეალობამდე.

ვერც იმას გავიზიარებ, რომ სეკულარიზმი და ათეიზმი რელიგიის დაკნინებაა ან დესეკულარიზმი მაინცდამაინც სახელმწიფოს ირანიზაციაა. სეკულარიზმის რამდენიმე ვარიანტზეა ლაპარაკი. ერთ-ერთია საფრანგეთის ვარიან-

ტი, როდესაც რელიგია პრივატულ სივრცეშია გადატანილი. თუ გელოცება, ადექი და ილოცე, და ამას საქმე არა აქვს საჯარო სივრცესთან. მაგრამ მიმაჩნია, რომ თუკი ასეთი სეკულარიზაციის დესეკულარიზაციაზე იქნება საუბარი, შეიძლება ირანიზაციაზე არ იყოს ლაპარაკი, რადგან, როგორც ბაპტისტური ეკლესიის წინამძღოლს, როგორც პროტესტანტს და, ზოგადად, როგორც ამ ქვეყნის შვილს, მიმაჩნია, რომ რელიგია არ არის პრივატული სივრცის საქმე. ერთი მხრივ, არის პრივატული, ეს არის პირადი ურთიერთობა ადამიანსა და ღმერთს შორის, მაგრამ მეორე მხრივ, რელიგია თავის თავში მოიაზრებს თემის რელიგიურ პრაქტიკას, თემად ყოფნას. და რაკი არსებობს ადამიანთა ერთობა რელიგიის გარშემო, შესაბამისად, ისინი რაღაც როლს თამაშობენ საზოგადოებაში.

მინდა გითხრათ ჩემი ეკლესიის დამოკიდებულება რელიგიისა და სახელმწიფოს გამიჯვნასთან დაკავშირებით. ბაპტისტური ეკლესია პროტესტანტული ოჯახის წევრია, მაგრამ ის რადიკალური რეფორმაციის შვილია. რადიკალურია იმიტომ, რომ როდესაც ცხადი გახდა, რა ფორმები მიიღო ლუთერისეულმა რეფორმაციამ, მაშინვე წამოვიდა რადიკალური რეფორმაცია. ლუთერის რეფორმაციის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი მისმა დაახლოებამ საერო ხელისუფლებასთან. რადიკალური რეფორმაცია სწორედ ამას დაუპირისპირდა. რამდენადაც პოლიტიკურად და არარელიგიურადაც არ უნდა ჟღერდეს, ერთ-ერთი ფუნდამენტი, რაზეც ბაპტისტური რელიგია დგას, არის სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნა და ადგილობრივი ეკლესიების დამოუკიდებლობა, რაც ასევე რელიგიის, როგორც პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბებას ხელს შეუშლის, და მესამე – მორწმუნეთა ნათლობა, რაც თავისთავად რელიგიას პირად საქმედ აცხადებს.

ჩემი ეკლესიის მიდგომა ასეთია, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ სახელმწიფოსთან კრიტიკულ სოლიდარობაში და ამისი მაგალითი რელიგიების ისტორიას ახსოვს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანო მარტინ ლუთერ კინგი, რომელიც თავისი მოღვაწეობით არ ჩაკეტილა პრივატულ სივრცეში, ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობაში და მან ხმა აიმაღლა სოციალურ უსამართლობაზე – ჩემი ეკლესიის მიდგომაც ასეთია. იგივე შეიძლება ითქვას დესმონდ ტუტუზეც, რომელიც თავისი მოღვაწეობით დაუპირისპირდა არსებულ რეჟიმს. იგივე შეიძლება ითქვას განდიზე, როდესაც რელიგიური წინამძღოლი ძალიან

სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურად იქცა. ამდენად, თუ დესეკულარიზაციაზეა ლაპარაკი, ეს ირანიზაცია არ უნდა იყოს, არამედ უნდა იყოს რელიგიის არა პრივატულ ჩარჩოებში მოქცევა, არამედ საჯარო სივრცეში გამოტანა, რომ რელიგიამ თავისი წინასწარმეტყველური სიტყვა თქვას იმ საზოგადოებაში, რომლის წევრებიც მისი მიმდევრები არიან.

გიორგი მაისურაძე – თუ საქართველოს ისტორიაში მართლმადიდებლობის განსაკუთრებულ როლზეა საუბარი, ამავე ლოგიკით შეგვიძლია საუბარი არმაზის რელიგიის განსაკუთრებულ როლზეც, იმიტომ რომ მინიმუმ 6-7 საუკუნე, საქართველოს სახელმწიფოს შექმნას დაედო ეს რელიგია საფუძვლად. საერთოდ, რომელიმე კონფესიის „განსაკუთრებული როლი“ იმ ტიპის ფორმულა და განსაზღვრება მგონია, რომელიც ისტორიულად არის განპირობებული. საქართველოს არ აურჩევია მართლმადიდებლობა. ის მოხვდა ამ გარემოში და გახდა მართლმადიდებელი სახელმწიფო. ეს იგივე იქნებოდა, ბაგრატიონთა დინასტიის ან ქართველ თავად-აზნაურთა განსაკუთრებული როლი დაგვეკანონებინა კონსტიტუციით. ჩვენ ვაზროვნებთ და ვფიქრობთ გარკვეული კრიტერიუმებით, ფორმულებით, განსაზღვრულობებით და, სამწუხაროდ, არ ვსვამთ შეკითხვას, მართლა ასეა? რაიმე ლოგიკა დევს ასეთ განსაზღვრებაში?

გერმანია რომ ავიღოთ, თუკი რომელიმე კონკრეტულ კონფესიას მართლა განსაკუთრებული როლი მიუძღვის ამ კონკრეტული ნაციის, ერის ცხოვრებაში, ეს ლუთერანული პროტესტანტიზმია. თანამედროვე გერმანული ენა უშუალოდ უკავშირდება პროტესტანტიზმის გავრცელებას გერმანიაში, მაგრამ არავის აზრად არ მოსდის ილაპარაკოს მის განსაკუთრებულ როლზე გერმანული ნაციის ისტორიაში. თავისთავად, ასეთი განსაზღვრება, ასეთი ფორმულა, რომელიც რატომღაც აქსიომურ ჭეშმარიტებად მივიღეთ, აბსურდია და რაციონალურ ლოგიკას არ შეიცავს. შეგვიძლია მისტიკაზე ვილაპარაკოთ და ტრადიციებზე, თუმცა, ასევე გაუგებარია, რომელ ტრადიციებზე ვლაპარაკობთ. იმის უმეტესობა, რასაც დღეს ტრადიციად გვთავაზობენ, იქნება ეს ეკლესია თუ პოლიტიკოსები, თუ სხვა, ბოლო 15-20 წლის განმავლობაში შეიქმნა. შეგვიძლია უფრო ღრმადაც წავიდეთ და ქართულ ეროვნულ ტრადიციად გამოვაცხადოთ მარჯვენის მოკვეთა, სისხლის აღება. ესეც ტრადიციებია და მაშინ ამავე ლოგიკით მათაც მოვუფრთხილდეთ.

ძირითად თემას დავუბრუნდები – პოლიტიკა და რელიგია: დესეკულარიზაციის ტენდენცია. პატარა კორექტურას შევიტანდი. ჩემი შთაბეჭდილებით, საქმე ეხება რესაკრალიზაციას და კონტრსეკულარიზაციას. რესაკრალიზაციის პროცესი საქართველოში დაიწყო 1987 წელს, ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვით. საქართველოც და მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა დღეს სეკულარულია. მათ შორის, ამერიკაც, სადაც რელიგიას ძალიან დიდი როლი ენიჭება, შვეიცარიაშიც ძალიან დიდი როლი ენიჭება. არასეკულარული სახელმწიფოებია ირანი, ბირმა, საუდის არაბეთი. ეს იმას ნიშნავს, რომ საკრალური წიგნი ან კანონი სახელმწიფოზე მაღალი ავტორიტეტია. გასამიჯნია ისეთი ლაიცისტური სახელმწიფოები, როგორიც არის საფრანგეთი ან თურქეთი, სადაც ძალიან მკაცრად და მკვეთრადაა გამიჯნული სახელმწიფო და რელიგია.

დავუბრუნდები 1987 წელს. რა იყო მანამდე? გადავხედოთ საბჭოთა და წინასაბჭოთა ისტორიასაც. საქართველოში თუ სეკულარიზაციაზე და მის ისტორიაზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ, ეს პროცესი ყველაზე მეტად ილია ჭავჭავაძეს უკავშირდება. საქართველოს სეკულარიზაციის პროცესის ფუძემდებელი ილია ჭავჭავაძეა. საკრალური წესრიგი, დამყარებული ღვთის მიერ ხელდასმულ მეფის იდეაზე და, შესაბამისად, ამ წესრიგზე, იცვლება ახალი პრინციპით. ეს არის ნაციის, ერის გაჩენა. იმაში, რასაც დღეს ჩვენს ნაციას, ერს ვგულისხმობთ, ერი არის სეკულარული მოვლენა. არ არსებობს პრესეკულარული ერის იდეა. იმ სახით, როგორითაც ქრისტიანობა გაჩნდა, უშუალოდ მისი სახელის მატარებლიდან დაწყებული, პავლე მოციქულით გაგრძელებული, წმინდა მამებად წოდებული ავტორების მიერ, ეს არის უნივერსალური რელიგია, რომელიც არ ცნობს ერს. ის ზეეროვნულია.

ეს იდეა ყველაზე კარგად შემოინახა კათოლიკურმა ეკლესიამ. რატომ ვერ შემოინახა მართლმადიდებლობამ, ეს ცალკე საკითხია და კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებს უკავშირდება და არა იმიტომ, რომ მართლმადიდებლობა სეპარატისტული იყო. მართლმადიდებლობა იყო ბიზანტიის სახელმწიფოსთან კავშირში გაჩენილი ქრისტიანობის განაკვეთი, რომელიც ასრულებს არსებობას ბიზანტიასთან ერთად, მასთან ერთად ქრება. მის მემკვიდრეობას იბრალებს რუსეთი, მაგრამ ამას ვერ ახერხებს და ამის მიზეზი არის ის, რომ ერთი ეთნოსი თავის მისიად იღებს, იყოს მატარებელი იმისა, რაც არ არის

ნაციონალური, რაც არის ზენაციონალური და ტრანსნაციონალური. ბიზანტია არ არის ერთი ეთნოსის სახელმწიფო. ეს არის ბერძნულენოვანი, მაგრამ არა ბერძენი ეთნოსის სახელმწიფო. ნაციის გაჩენა სეკულარიზმის შედეგია. ნაციის აღიარება ნიშნავს სეკულარული წესრიგის ქონას. ამის რესაკრალიზაცია იწყება ილია მეორის გადაწყვეტილებით, ეს იყო ეროვნული მოძრაობის იმდროინდელი ლიდერების სურვილიც, რომ ილია ჭავჭავაძის, სეკულარიზაციის ავტორის საკრალიზაცია მომხდარიყო. ჩემი აზრით, ეს ძალიან ჭკვიანური ნაბიჯი იყო საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურის მხრიდან.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ მოხდა სწორედ იმ პიროვნების, იმ სიმბოლური ფიგურის ოკუპაცია, პრივატიზაცია, საკრალიზაცია, რომელიც ქართველი ერის, მამულის ცნების შემქმნელია. შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენი აზროვნება სხვა მიმართულებით წავიდა. შემდეგ ამას ინფლაციური პროცესიც კი მიჰყვა. ადამიანებს დამსახურების მიხედვით აცხადებდნენ წმინდანებად, მაგალითად, ექვთიმე თაყაიშვილის წმინდანად შერაცხვა და ა.შ. ანუ ეკლესია საკრალიზაციის რესაკრალიზაციის მეშვეობით იპყრობს იმ სივრცეს, რომელიც მას სეკულარიზაციამ წაართვა. სეკულარიზაცია რევოლუციური პროცესი არ ყოფილა. ეს თავისთავადი პროცესია. ნაციად ჩამოყალიბების სურვილი თავისთავად უკვე გულისხმობს სეკულარიზაციას, ანუ შუა საუკუნეების ფეოდალური წესრიგიდან გამოსვლას.

რაც შეეხება საბჭოთა ეპოქას, ვიზიარებ იმ თეორიებს და აზრებს, ერთს დავასახელებ, ეს არის მართლმადიდებელი რუსი ფილოსოფოსი ნიკოლაი ბერდიაევი, რომელიც ამბობდა, რომ საბჭოთა სისტემა, სტალინიზმი, ბოლშევიზმი სახეცვლილი მართლმადიდებლობა იყო და ის რუსული მესიანიზმის იდეიდან წარმოიშვა და ჩაენაცვლა მას. ამიტომ გაჩნდა ტერმინი „წითელი ბიზანტინიზმი“. სტალინმა აჩუქა საქართველოს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია 1943 წელს, ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. ამ დროს სტალინის მითითებით რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ აღიარა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია და ეს არის სამართლებრივი საფუძველი იმისა, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ავტოკეფალურია. ეს მოხდა კალისტრატე ცინცაძის პატრიარქობის დროს, რომლის შთამომავალი, რატი ამაღლობელი აქ იმყოფება.

ტერმინი „პოსტსეკულარიზმი“ გაჩნდა სწორედ იმ პროცესებთან დაკავშირებით, რაზეც თქვენ ისაუბრეთ, ქალბატონო რუსუდან. კერძოდ, ამერიკაში, როდესაც უმცროსი ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის დროს ჩნდება ტენდენციები, რომ მოხდეს მისი პოლიტიკური გადაწყვეტილებების ლეგიტიმაცია ღმერთის სახელით ერაყის სადამ ჰუსეინისაგან გათავისუფლების შესახებ. ამან გროტესკული ხასიათი მიიღო. 90-იან წლებში, ცივი ომი, იდეოლოგიური კონფლიქტი აღარ არსებობს საბჭოთა და დასავლურ სისტემებს შორის და იწყება სხვა ტიპის, ეთნიკური, რელიგიური თუ კულტურათა დაპირისპირების პერიოდი.

იმგვარი ჩარევა, საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატივა, რაც „ქრისტიან-დემოკრატიულიმა მოძრაობამ“ შემოიტანა, აბსურდულად მიმაჩნია. სახელმწიფოებრიობის, სამართლიანობის პრინციპზე თავდასხმაა, როდესაც პატრიარქი ინიციატივით გამოდის და აცხადებს, რომ ბრძანებს. პატრიარქის ავტორიტეტი ეჭვქვეშ არ დგას. უდიდესი ავტორიტეტია საქართველოში, მაგრამ მისი კომპეტენცია არ არის გამოსცეს ბრძანება და მას სახელმწიფო ინსტიტუცია დაემორჩილოს. როდესაც სახელმწიფო ინსტიტუცია ემორჩილება არასახელმწიფო ინსტიტუციის წარმომადგენლის, რაოდენ დიდი ავტორიტეტიც არ უნდა იყოს ის, მითითებას, სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძველი ინგრევა.

მახსენდება ორი წლის წინანდელი ლამის პარანოიდული ისტორია, როდესაც შეითხზა გეი-აღლუმის შესაძლო ჩატარების ამბავი. პირველყოფილი შამანური რიტუალებივით რომ დადიოდნენ და ლოცვის გაძლიერებით რომ ცდილობდნენ გეი-აღლუმის წარმომადგენლების განდევნას. ასეთი ტიპის აბსურდები ჰომოსექსუალთა მიერ ქვეყნის გასარყვნელად დესანტის გადმოსხმის შესახებ, შესაძლოა, საინტერესოა ეთნოგრაფების და ეთნოფსიქოლოგების თვალსაზრისით, მაგრამ ამ დროს გამოდის ბათუმის თვითმმართველობის წარმომადგენელი და ამბობს, რომ, რა თქმა უნდა, ამას არ დაუშვებენ, რადგან მართლმადიდებლები არიან. ეს არის სამართლებრივი სახელმწიფოს ნგრევის სინდრომი. სახელმწიფო მოხელე ემორჩილება კანონმდებლობას და კონსტიტუციას და არა თავის აღმსარებლობას. როდესაც ხდება სხვადასხვა სფეროების აღრევა, რომლებსაც ერთმანეთთან კავშირი არა აქვთ, მაშინ სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძვლები ინგრევა.

ძალიან დიდი შეცდომა იყო 2002 წელს კონკორდატის შექმნა და ვფიქრობ, ვიდრე ეს კონკორდატი იარსებებს, ჩვენ კიდევ ძალიან ბევრი რთული პრობლემა შეგვექმნება. თავისთავად ასეთი იდეა, რომ საქართველო გამოვაცხადოთ გენეტიკურად მართლმადიდებლების თუ ქართველების ეთნოცენტრისტულ ქვეყნად, ანგრევს საქართველოს მთლიანობას, იმიტომ რომ საქართველო არ არის მხოლოდ მართლმადიდებლების ქვეყანა. თუნდაც 5-10% იყოს არამართლმადიდებელი, თუ გვინდა, რომ ეს მათი სახელმწიფოც იყოს და მათ იგრძნონ თავი საკუთარ სახელმწიფოში, არ შეიძლება უთხრა, რომ ის მეორეხარისხოვანია, იმიტომ რომ შენ უმრავლესობა ხარ, „თემს რაც სწადია, მას იზამს თავის თემობის წესითა“ – ეს არის პირველყოფილი აზროვნება და ბევრ უბედურებას მოგვიტანს, თუ დროზე არ შევცვლით. თუმცა, დღევანდელ პირობებში ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რადგან საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტზე ნადირობა აქვთ გამოცხადებული პოლიტიკურ პარტიებს. ვერ ვიტყვი, რომ მარტო ქრისტიან-დემოკრატების სურვილი იყოს ამის გამოცხადება. ასევეა ნაციონალური მოძრაობაც, და სხვა ოპოზიციური პარტიებიც, სოციალ-დემოკრატების ჩათვლით.

რატი ამაღლობელი – პირველი მოტივი იქნება ქრისტიანობის სრული ინფლაცია და, როგორც ქრისტიანი ადამიანი, ძალიან ვწუხვარ, რაც ქრისტიანობას ემართება საქართველოში, რა ტრაგიკული მდგომარეობის წინაშეც ვართ. ქრისტიანობის ძირითადი არსი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის, ყოველ ნაბიჯზე დარღვეულია. ძალიან მარტივი გახსენებით შეიძლება შევეხოთ იმას, თუ რა არის ქრისტიანობა და როგორ და რად აღიქმება დღეს იგი, როგორ იყიდება დღეს ქრისტიანობა საქართველოში, თანამედროვე პოლიტიკურ ენაზე რომ ვთქვათ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. გიორგიმ ნაციონალიზმი ახსენა და აბსოლუტურად ვეთანხმები, იმიტომ რომ ქრისტიანობა თავისი განვითარების წიაღიდანვე ზენაციონალურია. ის გამორიცხავს სისხლისმიერ კავშირებს, ტომობრივ, თემობრივ კავშირებს. სახარების ძალიან ბევრი იგავი, სიუჟეტი თუ მაცხოვრის სიტყვა ამაზე მეტყველებს. ქრისტიანობა და სახარება გაჯერებულია იმით, რომ ადამიანი უნდა დაეუფლოს ყველაზე მთავარს, საკუთარ თავს და გახდეს ავტონომიური არსება. არა ნაციონალური, არა თუნდაც მხოლოდ წარსულის მემკვიდრეობის წევრი, არამედ პირადად შე-

ეხოს საკუთარ თავს და საკუთარ თავისუფლებაში აღიქვას სამყარო და იქაც არის ქრისტე.

ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი თემაა ქრისტიანობისა და ძალაუფლების კავშირი. ნაციონალობა, ძალაუფლება და ფული – სახარებაში ამ ყველაფერზე არის საუბარი. ჩვენი პოლიტიკური ისტებლიშმენტის თუ მთლიანად საზოგადოების მთავარი პრობლემა ქრისტიანობის და სახარების უცოდინრობაა. როდესაც ქრისტიანობის არსზე ვლაპარაკობთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა სახელმწიფო და რელიგიური ინსტიტუტიდან ის დევნილია. ის არის სრულ დევნილობაში. იმიტომ რომ ქრისტიანობის ნარჩენი არ არის იქ, სადაც ლაპარაკია ნაციონალიზმზე, სადაც ქრისტიანობა იყიდება, როგორც პოლიტიკური მომავალი, როგორც პოლიტიკური რეიტინგი, ან ეკლესიის მსახურებისგან – როგორც ძალაუფლების სფერო. ვისაც ასეთი სურვილი ჰქონდა თორმეტ მოწაფეთაგან, ვისაც ყულაბა ებარა და ვინც ნაციონალისტურ იდეებს ატარებდა და ქრისტესთან ვერ ახამებდა თავის ინტერესებს, გახსოვთ მისი სახელიც და ისიც, თუ როგორ დაამთავრა მან. მას ერქვა იუდა ისკარიოტელი. ის ნაციონალურ საკითხებზე მაშინდელ იუდაისტურ სასულიერო პირებთან თანამშრომლობდა, ფულსაც იღებდა. სერიოზული ნაციონალური ინტერესები გააჩნდა მაშინდელი მტრის წინააღმდეგ. როგორც დღეს რუსეთს ვახსენებთ, ასეთივე თავზარდამცემი რამ იყო მაშინდელი ისრაელისთვის რომი. მთავარი მტრის ხატი ისრაელში რომი იყო და გახსოვთ ფარისევლების მიერ დასმული მნიშვნელოვანი შეკითხვა, რომელიც ცდილობდნენ მაცხოვრის კუთხეში დაყენებას – გადაეხადათ თუ არა კეისრისთვის ხარკი. თუ მაცხოვარი იტყოდა, რომ არ გადაეხადათ, ამით მაშინდელი პროტექტორატის წყრომას გამოიწვევდა და სიკვდილით დასჯიდნენ, როგორც რომის წინააღმდეგ მეამბოხეს და თუ იტყოდა, რომ უნდა გადაეხადათ, მაშინდელი ნაციონალისტების წყრომას დაიმსახურებდა და იმავე შედეგს მიაღწევდნენ. გახსოვთ სრულიად გენიალური პასუხი – „კეისარს კეისრისა და ღმერთს – ღმრთისა“.

ფული, ძალაუფლება და სისტემა – სამწუხაროდ, რომ ვაკვირდები, ჩვენი რეალობა ეს არის. რაოდენ მორგებულია ერთმანეთთან თანამედროვე პოლიტიკური ისტებლიშმენტი, ძალაუფლება და ეკლესია, როგორია ჰარმონიაა. ვერ ნახავთ ზღვარს, სად იწყება ბიზნესინტერესი, ძალაუფლებრივი პოლიტიკური ინტერესი და სად იწყება ან მთავრდება რელიგიური ინტერესი. ეს არის

დიდი ჰიბრიდი, რომლის ნახვაც შეგიძლიათ რომელიმე „კურიერში“, როდესაც მოსალოცად მიდიან ბიზნესმენები, პოლიტიკოსები და მღვდლები. სწორედ ქრისტიანული პოზიციიდან გამომდინარე მიკლავს ეს გულს. მოოქროვილი წმინდა გიორგი დაგვყურებს თავისუფლების მოედანზე. ეს არის საინტერესო მხატვრის, ზურაბ წერეთლის გაკეთებული, რომელსაც ძალიან საინტერესო ცხოვრებისეული ბედი აქვს. მას საბჭოთა კავშირში უამრავი შემოქმედებით-მ-ხატვრული ნაგებობა ჰქონდა აგებული, რომელიც მისივე ცხოვრების განმავ-ლობაში თვალწინ დაესხვრა. თბილისის შემოსასვლელში იყო გეორგიევსკის ტრაქტატი, წმინდა ნინოს ადგილზე უცნაური ბურთი იყო თხუთმეტი რესპუბ-ლიკის დროშებით. აქვე ის ახალ-ახალ შემოქმედებით ნაგებობებს ჩეკავს. ეს იყო ადამიანი ქართული კონიუნქტურის ხელოვნებაში, რომელმაც მიაღწია აპოგეას და საბჭოთა კავშირის დროინდელი ყველა თავისი ნაწარმოები დაენ-გრა. ახლა, აეროპორტთან რომ ძეგლია, ის ენგრევა.

საქართველო უნიკალურია იმითაც, რომ წმინდა გიორგის ფრესკებსა და ხა-ტებზე არა მარტო გველეშაპია გამოხატული, არამედ მეფეც. ანუ სისტემის თავი, დიოკლეტიანე. წმინდა გიორგი ყოველთვის არის სახე იმისა, თუ როგორ ამარცხებს ადამიანურობა სისტემას, ძალაუფლებას. წმინდა გიორგის ხატში გვაქვს ადამიანის გამარჯვება სისტემაზე, ძალაუფლებაზე, იმაზე, რაც ჭამს, რაც გველეშაპურია და სტიქიურია ადამიანთან მიმართებაში. ეს არის წმინდა გიორგი, რომელსაც დღეს ყველაზე არასწორად იყენებს სისტემა, სახელმწი-ფო და იყენებენ ქრისტიანული სახელმწიფოების დიოკლეტიანეები, რომლე-ბიც ქმნიან ამა თუ იმ სისტემას.

დღეს, ყველაზე ტრაგიკულია ის, რომ ადამიანები ამ დამახინჯებულ ქრის-ტიანობასთან ვერ ამყარებენ კავშირს და აქვთ პროტესტი. ისინი, ბუნებრივია, მართლმადიდებლობას და ქრისტიანობას აიგივებენ იმასთან, რასაც ბატონი ნიკა გვთავაზობს ამ კანონპროექტით. ბუნებრივი პროტესტი ჩნდება, არ არის განათლება. ადამიანები, ყველაზე ქრისტიანი ქართველები ყველაზე ნაკლე-ბად რასაც კითხულობენ და იცნობენ, სწორედ ქრისტიანული ლიტერატურაა. ყველაზე ნაკლებად წაკითხული ტექსტი დღეს საქართველოში ალბათ სახარე-ბაა. ბევრჯერ გამიმეორებია ეს ფაქტი, იმიტომ რომ კალისტრატე ცინცაძეს თავის ჩანაწერებში, რომელიც ჩვენთან სახლში ინახება, მოთხრობილი აქვს, რომ 1937 წელს მხოლოდ ორი ადამიანი დაესწრო ეკლესიაში აღდგომას. ამის

მიზეზებზე აღარაფერს ვიტყვი. ამ დიდი ქრისტიანული ქვეყნიდან ორი ადამიანი იდგა ლიტანიობაზე. აქედან ერთი 80 წლის ქალი იყო, მეორე – 45 წლის კაცი. ბუნებრივია, ის კაცი წაიყვანეს და დახვრიტეს, მოხუცი ქალი გზაში გარდაიცვალა, ვიდრე დააპატიმრებდნენ. ასე შეხვდა ქრისტიანული საქართველო 1937 წელს აღდგომას.

ეს არის სიმბოლო ჩვენი დამოკიდებულებისა, კონფორმიზმისა, რომლითაც გაჯერებულია საქართველო. ანუ სისტემა ყოველთვის თავშია. წმინდა გიორგის მაგივრად დგას გველეშაპი, და კარგად რომ დავაკვირდეთ წმინდა გიორგის ხატს საქართველოში, წმინდა გიორგი იქნება ქვემოთ და გველეშაპი – ზემოთ. იმიტომ რომ სისტემა ყველას აზის თავზე და ყველა კონფორმულად ცდილობს მოერგოს იმას, რასაც საქართველოში სისტემა ჰქვია. ქრისტიანობა ამ სისტემის დამარცხების ინდივიდუალური გზაა, ხოლო ეკლესია, ანუ ერთობა არის კრებსითი მცდელობა ამ სისტემის დამარცხებისა. ეს არის ინდივიდების ერთობა და არა ნაცრისფერ, დამონებულ ადამიანთა ერთობა. თითოეულ მათგანს აქვს კავშირი უნივერსუმთან. თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს კავშირი მაცხოვართან. შესაბამისად, ეს უკვე გულისხმობს იმას, რომ ადამიანი არის თავისუფალი, სრულფასოვანი და დამარცხებული აქვს შიში, სისტემა, ძალაუფლება და ის შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა, რომელზე საუბარიც შორს წაგვიყვანს.

მთავარი საკითხი არის განათლებაში, ცოდნაში, თუ რა არის ჩვენი ტრადიცია და ისტორია. გიორგის თქმისა არ იყოს, ხშირად, რაც ჩვენი ტრადიცია გვგონია, ეს არის უახლესი „წეს-ჩვეულებები“, რომელსაც ქრისტიანობად და მართლმადიდებლობად ვასაღებთ. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ერთ-ერთი დიდი გერმანელი თეოლოგი ამბობდა, რომ ქრისტეს ძალაუფლება ჰგავს ბავშვის ძალაუფლებას, ჩვილის ძალაუფლებას, რომელსაც არც კბილები აქვს, არც თმა, ატრიბუტები ეგზისტენციალური ცხოველმყოფელობისა, საუბარიც არ შეუძლია, მაგრამ მის ოთახში ფეხაკრეფით და მოწიწებით შევდივართ. და ეს ფეხაკრეფა ჩვენი არჩევანია. ეს მოწიწება, სიყვარული და პატივისცემა, რომელიც ადამიანს ჩვილისადმი უჩნდება, მისი თავისუფალი არჩევანია. ასეთია სოციალურ სივრცეში ქრისტეს ძალაუფლება. ის ყრმის ძალაუფლებას ჰგავს.

ვფიქრობ, რომ ყველა პოლიტიკურმა პარტიამ და ეკლესიის წარმომადგენლებმაც უნდა გაიხსენონ, თუ როგორია ქრისტეს ძალაუფლება. ის ჰგავს

ჩვილის ძალაუფლებას და არა კოლექტიურ პირჯვრისწერას, არა საკანონმდებლო ცვლილებებს, არა ხოტბის შესხმას და ოდას ქრისტიანობის მიმართ, არამედ მოწიწებას, რომელიც სამწუხაროდ დავკარგეთ.

გოგი გვახარია – მაინც მგონია, რომ 1937 წელს, როცა ლიტანიობაზე არ წავიდნენ მლოცველები, იმიტომ კი არა, რომ კონფორმისტები იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ სიკვდილის ეშინოდათ და სიცოცხლის სიყვარული და ჰედონიზმი, ძალიან ხშირად, ქართულ კულტურაში უპირისპირდება იმას, რასაც რელიგიურობა ჰქვია და საერთოდ, მე თუ მკითხავთ, საერთოდ არ არის ჩვენი კულტურა რელიგიური. ის, რაც ხდებოდა და ხდება დღეს, უფრო თეატრია და თეატრალურობისკენ მიდრეკილებაა ერშიც და ბერშიც, ქართულ საზოგადოებაში, პოლიტიკაშიც. ჩემი აზრით, ეს კონსტიტუციური ცვლილებაც თეატრალურობაა. ეს ინიციატივაც თეატრია და, რაც ყველაზე უფრო სერიოზული და პრობლემატურია ჩემი აზრით, ის არის, რომ ეკლესია ქართულ საზოგადოებას სთავაზობს იმას, რასაც ვერავინ, ვერც პოლიტიკოსები, ვერც ხელოვნების მოღვაწეები და ვერც თეატრი, სამწუხაროდ, ვერ აძლევს მას.

ოთარ ზოიძე, ნოტარიუსი – აღმსარებლობით მართლმადიდებელი ვარ და ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩემი მოსაზრებები, ცხადია, ამით არის განპირობებული.

გოგი გვახარიამ დაიწყო და გიორგი მაისურაძემ გააგრძელა ბაგრატის ტაძრის თემა. მაგრამ მისი განცხადება, რომ პატრიარქის ბრძანება ბაგრატის ტაძართან დაკავშირებით, დესეკულარიზაციის გამოხატულებაა, უსაფუძვლოა. ბაგრატის ტაძარი, ისევე როგორც ყველა სხვა ეკლესია მთელ საქართველოში, ნანგრევები, კონსტიტუციური შეთანხმებით, გამოცხადებულია ეკლესიის საკუთრებად. სახელმწიფო ამას აღიარებს. მესაკუთრემ და მისმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა, რომელსაც ცნობს სახელმწიფო, განაცხადა, რომ ის ჩარევები, რაც ხდება ბაგრატის ტაძარში, არ შეესაბამება იმ შეთანხმებას, რომელიც არის დამტკიცებული სახელმწიფოს და ეკლესიის მიერ. ბუნებრივია, მესაკუთრემ მოითხოვა ამის შეწყვეტა. ბრძანება არცერთი ნორმატიული აქტით, არც სჯულის კანონით და არც სახელმწიფოს აქტით არ არის აკრძალული. არა აქვს მნიშვნელობა, პატრიარქის ბრძანებას რა ერქმევა, ბრძანება, განჩინება

თუ ლოცვა-კურთხევა, ეს პატრიარქზეა დამოკიდებული, მთავარია, რომ ეს აქტი გამოიცა, როგორც მესაკუთრისა. როგორც ნებისმიერ კერძო მესაკუთრეს შეუძლია ხელოსანი გააჩეროს თავის სახლში რემონტის დროს და გაუშვას, ზუსტად ასეა. ასე რომ, ეს დესეკულარიზაციის პროცესის გამოხატულება კი არა, მესაკუთრის აქტია.

რაც შეეხება სეკულარიზაციის და დესეკულარიზაციის პროცესს, ეჭვიც კი გამოითქვა, საქართველო არის თუ არა სეკულარული სახელმწიფო. სამწუხაროდ, არის და ეს პროცესი ღრმად არის წასული და ის საბჭოთა პერიოდამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. ეს პროცესი დღემდე არ შეჩერებულა. მოხდა ფსევდომორფოზა და არა მეტამორფოზა. არა შინაგანი გაქრისტიანება, შინაგანი დაბრუნება ქრისტესთან, არამედ გარეგნულ, რიტუალურ დონეზე დაბრუნება. ამ თვალსაზრისით, ვიზიარებ რატის სულისკვეთებას.

საქართველოში ხშირად ქრისტიანობა არის ქრისტეს გარეშე. ამიტომ იქ, სადაც არ არის ქრისტიანული ფასეულობებით ცხოვრება, შეუძლებელია დესეკულარიზაციის პროცესის დაწყება.

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია მსოფლმხედველობრივი სეკულარიზაცია და დესეკულარიზაცია. ეს პროცესები ცნობიერებაში იწყება. თუ არ დაიწყო ქრისტიანული ფასეულობებით ცხოვრება, დესეკულარიზაციის პროცესი შეუძლებელი იქნება. სამწუხაროდ, საქართველოში ეს პროცესი არ ჩანს.

რაც შეეხება ინსტიტუციურ სეკულარიზაციას, ეს არის ის სეკულარიზაცია, რომელიც ჩემთვის, როგორც მართლმადიდებლისთვის, მისაღებია. პირიქით, აბსოლუტურად მიუღებელია სახელმწიფო სტრუქტურებში აღრევა. ამიტომ არის მიუღებელი პროტესტანტული მოდელები დანიაში, შვედეთში, ინგლისში.

ეკლესიის განსაკუთრებული სტატუსის თემა არ არის ხელწამოსაკრავი, პირიქით, ეს არის აპრობირებული ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში. კონკორდატების სისტემა არსებობს იტალიაში, ესპანეთში, კათოლიკურ სამყაროში. და ეს არის მათი ისტორიის ბუნებრივი განვითარების შედეგი. მაგრამ ეს არ ნიშნავს რომელიმე რელიგიური აღმსარებლობის დისკრიმინაციას. შემიძლია მოვიტანო ევროსასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც მკაფიოდ წერია, რომ ბუნებრივად განსხვავებულ მდგომარეობაში არსებული ინსტიტუციისადმი ერთგვაროვანი დამოკიდებულება არის სწორედ დისკრიმინაციული ამ სუბიექტის მიმართ. კიდევ ბევრი საკამათო თემაა.

პაატა საბელაშვილი – ქრისტიან-დემოკრატების საკონსტიტუციო ინიციატივას კავშირი არა აქვს არც კონსტიტუციურობის ცნებასთან, არც რელიგიურობასთან. იმიტომ რომ მათ თავად მშვენივრად იციან, რომ ის პათოსი, რომლითაც უნდათ ამ ცვლილებების შეტანა, ანტიკონსტიტუციურია. ასევე იციან ის, რომ ამ ცვლილებების გატანის თეორიული შანსიც კი არა აქვთ. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ მედიის ყურადღება მიიპყრონ წინასაარჩევნო ბრძოლაში. მაგრამ მინდა მათ მოვუწოდო, რომ ვინც ყველაზე აგრესიულად დაიწყო ჰომოფობიური კამპანირება, მან ვერცერთი დამატებითი ხმა ვერ მოიპოვა ბოლო სამი-ოთხი წლის განმავლობაში და მეორე, მოგიწოდებთ, რომ ყველა ჰომოსექსუალს, მათ შორის პირადად მეც, მოუხადოთ ბოდიში იმ შეურაცხყოფისთვის, რაც გააჟღერეთ.

ნიკოლოზ ლალიაშვილი – პრეამბულა არის კონსტიტუციის დანარჩენი ტექსტის ერთგვარი კონცენტრატი. ხშირად მარტო პრეამბულის წაკითხვა საკმარისია ხოლმე იმისთვის, რომ იმსჯელო სახელმწიფოზე. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, პრეამბულაში შეგვეტანა ის, რაც უკვე წერია კონსტიტუციის მე-9 მუხლში. ის, რაც ამ მუხლში წერია, ოდნავი სახეცვლილებით აგვაქვს პრეამბულაში. რატომ გამოიწვია ამან ასეთი აჟიოტაჟი, ჩემთვის გაუგებარია. თუმცა, ამას არანაირი კონკრეტული ცვლილება ჩვენს საზოგადოებაში არ მოჰყვება. ამით უბრალოდ ვადასტურებთ ქრისტიანობის კოლოსალურ როლს ჩვენს „აიდი-ბარათში“. ის, რა თქმა უნდა, გაამყარებს კონკორდატს და კონსტიტუციურ რანგში აიყვანს იმ გარანტიებს, რომელიც კონკორდატით მიცემული აქვს მართლმადიდებელ ეკლესიას. აქ მხოლოდ მართლმადიდებლობაზე არ არის საუბარი, ჩვენ ქრისტიანულ ტრადიციებზე ვლაპარაკობთ. რასაკვირველია, აქ იგულისხმება მართლმადიდებლობა, რადგან საქართველოს მთელი ისტორია არის ამ ერთი კონკრეტული რელიგიის ბეჭდით აღბეჭდილი.

რატი ამაღლობელი – პოლიტიკური აზრის შეუწყნარებლობა, რელიგიას რომ თავი დავანებოთ, ყველგან იგივეა. შარშანდელი 26 მაისი რომ ავიღოთ, კლასიკური ბართლომეს ღამე. პოლიტიკური შეუწყნარებლობა, აზრის შეუწყნარებლობა თავისთავად გულისხმობს საზოგადოებაში არსებულ შეუწყნარებლობას. გადავიტანოთ ეს რელიგიაში, სქესთა შორის შეუწყნარებლობაში

და ა.შ. ეს არის ტოტალური შეუწყნარებლობა. ქრისტიანობაზე ნუღარაფერს იტყვითო და აღარ ვიტყვი. ქრისტიანული კულტურის დრამა გვაქვს.

21-ე საუკუნის მოაზროვნის მთავარი გამოწვევა შინაგანი გამოწვევაა. ეს არის განსხვავებული ადამიანის დაშვება თუნდაც პოლიტიკურ სივრცეში, რელიგიურ სივრცეში, შენგან განსხვავებულის არსებობის დაშვება. კონსტიტუციის პრეამბულაში მთავარი ადგილი უნდა ეკავოს იმას, რომ განსხვავებულთა ერთობა ვართ – მუსლიმების, მართლმადიდებლების, კათოლიკეების, ბაპტისტების და ა.შ. და სახელმწიფო ამაზე დგას. ქრისტიანობას და მართლმადიდებლობას, ბუნებრივია, აქვს თავისი ისტორიული როლი, მაგრამ თანამედროვე სახელმწიფო ამ განსხვავებულობაზე შენდება. ამას უნდა იცავდეს კანონი და სახელმწიფო. თუ ვერ დაიცავენ, სახელმწიფო არ გვექნება. მაგრამ, სამწუხაროდ, კანონი განსხვავებულს ვერცერთ ეტაპზე ვერ იცავს, იქნება ეს პოლიტიკური ნიშნით დევნა, საზოგადოების მხრიდან ზიზღი და ბოღმა რელიგიური ნიშნით განსხვავებულის მიმართ, თუ სექსუალურად განსხვავებული ადამიანების მიმართ აგრესია.

ქალური ტრადიცია ქართულ ლიტერატურაში: ახალი სახეები და მემკვიდრეობითობა

მომხსენებლები:

ნინო ხარატიშვილი

მწერალი

სალომე ცოფურაშვილი

დოქტორანტი გენდერის კვლევებში,

თსუ გენდერის ფაკულტეტი

დავით გაბუნია

მთარგმნელი, დრამატურგი

მოდერატორი:

გოგი გვახარია

4 ოქტომბერი, 2012

გოგი გვახარია – „ქალური ტრადიცია ქართულ ლიტერატურაში: ახალი სახეები და მემკვიდრეობითობა“ – ასე ეწოდება დღევანდელ დისკუსიას, თუმცა ვფიქრობ, რომ გავცდებით ლიტერატურის ფარგლებს და ვისაუბრებთ ზოგადად ქართულ კულტურაზე, მენტალობაზე, პოლიტიკაზე, სადაც ქალური ტრადიციაც და ახალი სახეებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

დავით გაბუნია – ვნახოთ, რა ხდება უახლეს ქართულ ლიტერატურაში, მოყოლებული 2000 წლიდან დღემდე. ლიტერატურული პროცესების ციფრებით გაზომვა ალბათ ცოტა ძნელია, და ეს ის შემთხვევაა, როდესაც რაოდენობრივ კვლევებს თვისებრივი სჯობია, მაგრამ რიცხვებს მაინც აქვს მნიშვნელობა. ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია გავზომოთ ქალების მონაწილეობა რაოდენობრივი თვალსაზრისით, ლიტერატურული კონკურსებია. საინტერესო იყო დაკვირვება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ლიტერატურულ კონკურსზე „საბა“, რომელიც 2003 წელს დაარსდა და სულ 10-ჯერ ჩატარდა. ამ ათი წლის განმავლობაში გაიცა 85 პრემია, მათგან 17 მიენიჭა ქალებს. აქ იგულისხმება ქალსა და მამაკაცს შორის გაყოფილი პრემიები, ან შემთხვევები, როდესაც ქალი და მამაკაცი თანაავტორები იყვნენ ან პრემია გადანაწილდა ორ ქალს შორის. ვნახოთ, რაში მიიღეს ქალებმა ეს პრემიები. მოგეხსენებათ, არსებობს დაუწერელი რანჟირება პრემიებს შორის, იმის შესახებ თუ რომელია უფრო მნიშვნელოვანი ან პირიქით. მაგალითად, რომანის ნომინაცია, საუკეთესო პოეტური ან პროზაული კრებული ამ იერარქიაში ყველაზე მაღლა დგას. რომ ვნახოთ ნომინაციების მიხედვით რამდენმა ქალმა მიიღო ათი წლის განმავლობაში ეს პრემია, მივიღებთ სურათს, რომელიც პირადად მე ცოტა სახალისოდ მეჩვენება, თუმცა შესაძლოა ამაში სახალისო არაფერი იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ თარგმანი არის ნომინაცია, სადაც ძირითადად ქალები არიან ხოლმე წარდგენილები, საუკეთესო თარგმანისთვის ათი წლის განმავლობაში პრემია მიღებული აქვს ერთადერთ ქალს. დოკუმენტურ პროზაში, კრიტიკასა და ესეისტიკაში პრემია ასევე მხოლოდ ერთ ქალს აქვს მიღებული, ისიც მხოლოდ მამაკაცთან თანაავტორობით. საუკეთესო პროზაული კრებული – 1 ქალი, საუკეთესო პოეტური კრებული – 1, საუკეთესო რომანი – 2, ლიტერატურაში შეტანილი წვლილისთვის ასევე ერთ ქალს, ანა კალანდაძეს აქვს მინიჭებული. 9 ქალს აქვს მიღებული დებიუტის პრემია და 3 მამაკაცს.

„საბას“ ჟიურის წევრი ათი წლის განმავლობაში სულ 61 ადამიანი იყო და აქედან 8 ქალი და 53 მამაკაცი. მათგან ორი ქალი ორჯერ იყო, ორი თითო-თითოჯერ. რეალურად მხოლოდ ოთხი ქალი იყო ჟიურიში. არამეცნიერული, მაგრამ რაღაც დასკვნის გაკეთების საშუალებას მაინც გვაძლევს ეს ყველაფერი.

ფაქტია, რომ 2003 წლიდან მოყოლებული, როდესაც პირველი პრემია გაიცა და ქართულ ლიტერატურულ არენაზე გამოჩნდა სოფიო კირვალიძე, იგივე ანა კორძაია-სამადაშვილი, ქალები იღებენ დებიუტის პრემიას, მაგრამ იგივე ქალები, რომლებიც ასევე განაგრძობენ წერას, უმეტეს შემთხვევაში, ერთი გამონაკლისის გარდა, შემდეგ ამ პრემიას ვეღარ იღებენ. ამას ბევრი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. ცალსახად რაიმეს მტკიცება ალბათ სწორი არ იქნებოდა.

ძალიან საინტერესოა დაკვირვება სხვა ლიტერატურულ მოვლენებზე, ანთოლოგიური ხასიათის გამოცემებზე, როგორიც არის, მაგალითად, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის კრებული „15 საუკეთესო“. აქ ცოტა უკეთესი სიტუაციაა. ეს კრებული დიდი ხანია გამოდის და თუ პირველი ორი წლის კრებულებში ერთი ან ორი ქალი იყო, ახლა უკვე ხუთზე დაბლა ეს რიცხვი აღარ ჩამოდის. თუმცა იქ საქმე გვაქვს მიკერძოებულ სელექციასთან, რადგან კრებულს ადგენს ორი ადამიანი, თუმცა ლიტერატურაში ობიექტურობაზე ლაპარაკი ძალიან ძნელია.

კიდევ ერთი „სტატისტიკური“ მონაცემი – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ გამოსცა კრებული „XXI საუკუნის ქართული მოთხრობა“, რომელშიც 30 მოთხრობაა შეტანილი და აქედან ქალებს ეკუთვნით 7 და მამაკაცებს – 23. ეს რიცხვი რომ შევადაროთ სხვადასხვა ლიტერატურულ პროცესებს, ლიტერატურულ კონკურსს, ანთოლოგიებსა თუ კრებულებს, ძალიან კარგად აჩვენებს საშუალო მაჩვენებელს. დაახლოებით ასეთია პროპორცია პროზაში. რადგან ჩვენი თემაა ტრადიცია და თანამედროვე სახეები, საინტერესო იქნება ვნახოთ, რა დგას ამის მიღმა.

გამოვყოფ ანა კორძაია-სამადაშვილს. 1980-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, გულზე ხელი დაიდეთ და გაიხსენეთ ცნობილი ქართველი ქალი მწერალიო, რომ იკითხოთ, ალბათ ბევრი ნაირა გელაშვილს დაგისახელებთ. მაგრამ ნაირა გელაშვილი ალბათ არის მეოცე საუკუნის ერთადერთი მწერალი ქალი, რომელმაც მამაკაცურ მეინსტრიმში გაჭრა მოახერხა. მას ხშირად მოიხსენიებენ ეპოქალურ ანთოლოგიებში, ისეთში, როგორიც არის გია ქარჩხა-

ძის გამომცემლობის „ყველა დროის საუკეთესო ქართული მოთხრობა“, სადაც ქართველი ქალი მწერლებიდან მხოლოდ ნაირა გელაშვილია შესული. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობასაც აქვს კრებული „ათი საუკეთესო მოთხრობა“, სადაც ქალი მწერლებიდან ასევე მხოლოდ ნაირა გელაშვილი შედის. საინტერესოა, რომ ნაირა გელაშვილის, ჩემი ძალიან საყვარელი ადამიანის და მწერლის პერსონაჟები ძალიან ხშირად მამაკაცები არიან. ის პირველ პირში ჰყვება ამბავს, როგორც არის ეს „ამბრნი, უმბრნი და არაბნის“, „დედის ოთახის“ შემთხვევაში. თხრობა არის გაწონასწორებული, კლასიკური და ჰყვება მამაკაცი, მამაკაცური ენაა.

ძალიან მნიშვნელოვანია პირადად ჩემთვის თანამედროვე ქართველი ქალი მწერლების ენა, თუ როგორ ეპყრობიან ენას. იმიტომ რომ როცა მათ ნაწერებს ვკითხულობ, ყოველთვის მახსენდება მონიკ ვიტიგი და მისი ცნობილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ენა არის მტერი და ის უნდა დაანგრიო, როგორც სისტემა, როგორც სტრუქტურიზებული ორგანიზმი, ისევე როგორც გრამატიკა. თავის ტექსტებში მას ჰქონდა ამის მცდელობები, არ ჰქონდა წერტილი, წერდა დარღვეული სინტაქსით და ა.შ. ის ახალ ფორმებზე, ახალი ენის შექმნაზე ლაპარაკობს. ვიტიგის რადიკალიზმს რომ თავი დავანებოთ, თანამედროვე ქალ მწერლებს თუ შევხედავთ, მე მათ ორ კატეგორიად დავყოფდი – კლასიკად და ბაროკოდ. ადამიანები, რომლებიც მისდევენ გაკვალულ გზას, და მეორენი, რომლებიც ცდილობენ ამ ფორმის დარღვევას და ხშირად უმწიფარი ექსპერიმენტებით ცდილობენ სხვა გზით სიარულს – პირობითად მათ ბაროკოს მივაკუთვნებ. ნაირა გელაშვილი მიმაჩნია კლასიკის ნიმუშად, და დღეს გვყავს მისი ტრადიციის მიმდევარი, სტანდარტული ნარატიულობის გამგრძელებელი ქალი მწერლები. მახსენდება ნინო სურამელაშვილი, რომელიც მამაკაცის ფსევდონიმით წერს. მის პროზას ახასიათებს ასეთი ნარატიულობა.

ბოლო წლების საინტერესო დებიუტი იყო თამთა მელაშვილის მცირე რომანი „გათვლა“, თუმცა ვისაც თამთას სხვა ტექსტები წაუკითხავს, იქაც ვხვდებით მსგავს ექსპერიმენტებს. მას მივაკუთვნებ მეორე ჯგუფს, რომელიც არ მიჰყვება ტრადიციას იმ ნიშნით, რომ არ წერს სტანდარტიზებული ლიტერატურული ენით და ცდილობს ამოაყირავოს სინტაქსი, ეძებოს ახალი ფორმები.

თუ ამ ყველაფერს ჩემ მიერ მოყვანილ სტატისტიკას შევადარებთ, დავინახავთ, რომ მაღალი ჟანრი, რომანი, დაპყრობილი აქვთ მამაკაცებს, საინტერე-

სო წამოწყებების, დებიუტების პრიზებს კი იღებენ ქალები. ათი წელი ძალიან მცირე დროა იმისათვის, რომ რაღაც ტენდენციები გამოვიყვანოთ და ლიტერატურის განვითარების მიმართულებებზე ვილაპარაკოთ, მაგრამ კიდევ ათი წელიც ჩვენია და ვნახავთ, როგორი დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვეცემა.

ძალიან საინტერესო მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში ლალი მოროშკინა. ეს არის ძალიან გაყიდვადი ავტორი. შეიძლება მის ნაწერს ზემოდან ვუყურებთ როგორც დაბალ ჟანრს, მაგრამ ფაქტია და ნიშანდობლივია, რომ ეს უცხო ხილი ქართულ ლიტერატურაში ქალმა აითვისა. რამდენიც ზემოდან სნობურად არ უნდა გადავხედოთ, წაკითხული მაქვს მისი ერთ-ერთი წიგნი და ის არცთუ ისე ცუდია. ეს ჟანრიც, რომელიც კლასიკის ტრადიციაში არ ჯდება იმ გაგებით, რომ ეს არის მცდელობა, იყოს სკანდალურად ავტობიოგრაფიული, თუმცა, მაინცდამაინც სკანდალური არც არის, ეს მცდელობაც სწორედ ქალს ეკუთვნის.

დასასრულს დავძენ, როგორც ვთქვი, პრიზი საუკეთესო რომანისთვის აღებული აქვს ორ ქალს, მათგან ერთ-ერთი არის ნაირა გელაშვილი. მეორეა თეონა დოლენჯაშვილი, რომანისთვის „მემფისი“, რომელიც თითქოს არის მცდელობა, იყოს ექსპლიციტური, სპეკულაციური, მაგრამ ენობრივი თვალსაზრისით კლასიკური რომანის ფორმას მიჰყვება. პირობითად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არის მამაკაცური ხაზი და ქალური ხაზი, კლასიკა და ბაროკო, ტრადიცია და ექსპერიმენტი. და ის, რომ 12 შესაძლებლიდან 9 დებიუტანტი ქალია, რაღაცისკენ გვიბიძგებს.

სალომე ცოფურაშვილი – ფემინისტმა მკვლევრებმა და თეორეტიკოსებმა გადახედეს ლიტერატურის ისტორიას და გადაწყვიტეს აღმოეჩინათ მიკარგული ქალი მწერლები, რომლებიც ძალიან პოპულარულები იყვნენ თავიანთ თანამედროვეებში. ვირჯინია ვულფსაც, როდესაც „საკუთარ ოთახს“ წერს, იქ მხოლოდ მამაკაცი ავტორების წიგნები ხვდება, ქალების თაროები ცარიელია, რაც ფიგურალურ მეტაფორად არის ქცეული გენდერის მკვლევრებისთვის. აღმოჩნდა, რომ როდესაც რომანი ფეხმოუკიდებელი და ახალი ჟანრი იყო, სწორედ ქალები ლიდერობდნენ მის ავტორობაში. ძალიან ბევრი რომანისტი ქალი იყო და იყო ტენდენცია, მაგალითად, მე-19 საუკუნის ბრიტანეთში, სა-

დაც ძალიან ბევრი ქალი წერდა რომანებს, კაცები რომანს ქალის ფსევდონიმით წერდნენ, რადგანაც მიჩნეული იყო, რომ თუ რომანი ქალის მიერ იქნებოდა დაწერილი, ის უფრო იოლად მოიპოვებდა პოპულარობას. მას შემდეგ რაც რომანი გახდა მამაკაცების ჟანრი და მათ თავი დაიმკვიდრეს რომანის სტილში, ვითარება შეიცვალა და უკვე გამოჩნდნენ ქალები, რომლებმაც, პირიქით, მამაკაცის ფსევდონიმით დაიწყეს წერა.

პირადად მე დისკომფორტი მექმნება, როდესაც ქალ მწერალს ვახსენებთ. როდესაც მწერლებზე ვლაპარაკობთ, თუ მწერალი ქალია, აუცილებლად მოვიხსენიებთ მას, როგორც მწერალ ქალს, მაშინ როცა, როდესაც მამაკაც მწერალზე ვლაპარაკობთ, უბრალოდ ვამბობთ მწერალს. ეს უკვე არის დადასტურება, რომ სიტყვა „მწერალს“ ჩვენს არაცნობიერში აქვს სქესი და ეს სქესი მამრობითია. იმიტომ რომ სიტყვათშეთანხმება „მამაკაცი მწერალი“ არ არსებობს. ეს უკვე ნიშნავს, რომ არის გენდერული დისბალანსი. ეს უკვე არის შემთხვევა, როდესაც ენა ფალოცენტრიზმს არის დაქვემდებარებული. სხვათა შორის, ამ ნეოლოგიზმის შემქმნელი, ჟაკ დერიდა, იყო კაცი, რომელსაც ზეგენდერული მიდგომების დამკვიდრებაში დიდი წვლილი მიუძღვის. გამოდის, რომ გენდერულობისგან დაცლა, რაც ერთი შეხედვით არის ჩვენს ენაში, სინამდვილეში ძალიან მოჩვენებითია. რადგან პატრიარქალურ კულტურებში, და ქართულიც ამ კულტურას განეკუთვნება, უნივერსალურად მიჩნეულია მამაკაცის თვალთახედვა, რასაც აკადემიურ ენაზე ანდროცენტრიზმს უწოდებენ. ასე რომ, „ქალური ენა“, რომელზეც დათომ ისაუბრა და რომელიც ჩემამდე სიქსუს [ელენ სიქსუ – ფრანგი ფემინისტი მწერალი და მეცნიერი] ნაწერებით მოვიდა, არის ფალოცენტრული ენის რღვევის საპირისპიროს წარმოჩენა.

„მამაკაცური ენა“ და „ქალური ენა“ – როგორია ჩემი ინტერპრეტაცია, თუ რას გულისხმობდა სიქსუ „ქალურ ენაში“. არის „მამაკაცური ენა“, რომელსაც სულ იყენებდნენ მამაკაცები და ქალებიც, რომლებიც მამაკაცის ენით წერდნენ. სიქსუ ხაზს უსვამს, რომ „ქალური ენა“ არ ნიშნავს იმას, რომ ამ ენით მხოლოდ ქალმა შეიძლება წეროს. „ქალური ენის“ მაგალითად ასახელებს ის ჯეიმს ჯოისს და მისი ექსპერიმენტული ტექსტები „ქალური ენის“ გამოხატულებად მიაჩნია. ლინეარულობა, თანმიმდევრულობა, რაციონალიზმი, სტოიკურობა, ემოციებისაგან დაცლა ენის მხრივ – ამ ყველაფრის ანტიპოდია „ქალური ენა“, რომელიც არის არათანმიმდევრული, დატეხილი

წინადადებებით, დატეხილი სინტაქსით. იმისთვის, რომ ქალი გახდეს შემდგარი მწერალი, მას ახალი ენა და ძლიერი, ფალოცენტრული წინადადებების რღვევა სჭირდება.

გენდერის მაგისტრატურაზე ლიტერატურის ფემინისტურ კრიტიკას ვასწავლი და როდესაც „ქალურ ენაზე" გვაქვს ლექცია, სტუდენტებს, რომლებიც თამთა მელაშვილის ნაწერს არ იცნობენ, ვაკითხებ მის მოთხრობას „ერთი და ორი", ისე, რომ არ ვეუბნები, ვისი ნაწერია და ვაძლევ დავალებას, იმსჯელონ ამ ტექსტის ენაზე. ერთადერთი გამოსაკლისის გარდა, და ისიც იმიტომ იყო, რომ სტუდენტმა სტილი მიამსგავსა სხვა ტექსტებს, და თქვა, რომ ავტორი არის ქალი, სხვა ყველამ ავტორად მამაკაცი მიიჩნია. ეტყობა, მაინც, როდესაც „ქალურ ენაზეა" ლაპარაკი, ეს სინაზესთან, ვარდებთან და ყვავილებთან ასოცირდება. მიუხედავად იმისა, რომ მათ უკვე აქვთ წაკითხული რაღაც ტექსტები და ჩემთვისაც მოუსმენიათ, მაინც მიაჩნიათ, რომ ეს მამაკაცის დაწერილი უნდა იყოს.

ლიტერატურის ისტორიაში ქალის რეპრეზენტაცია მუზის, დამხმარეს, მარადიული დედის თუ ცოლის სახესთან ასოცირდება, ქალი არის მისი [მამაკაცის] ცხოვრების თანამგზავრი და მას კომფორტს უქმნის. მაგრამ საქმეც ის არის, რომ მარტო კომფორტის შექმნით არ ამოიწურებოდა მამაკაცი მწერლებისთვის ქალის როლი. ფემინისტმა მკვლევრებმა დადეს ფაქტები, რომ მამაკაცი მწერლები ძალიან ხშირად ეწეოდნენ ქალის კრეატიული რესურსის ექსპლუატაციას და ითვისებდნენ მათ ნააზრევს. ეს საკითხი უშუალოდ უკავშირდება ქალთა სოციალურ თუ პოლიტიკურ მდგომარეობას. მათ არ ჰქონდათ ისეთივე უფლებები, როგორიც მამაკაცებს. ქართული რეალობიდანაც შეგვიძლია ასეთი მაგალითის მოხმობა. 1934 წელს მიხეილ ჭიაურელმა გადაიღო ფილმი „მასკარადი". როდესაც ფილმი გამოვიდა, დრამატურგმა ქალმა ნატალია აზიანმა მას უჩივლა იმის გამო, რომ ფილმის ტიტრებში საერთოდ არ ყოფილა მისი სახელი და გვარი ნახსენები, მაშინ როცა ფილმის ლიბრეტო მას ეკუთვნოდა. გავიხსენოთ თუნდაც „სულიკოს" მელოდია, რომელიც დაწერა ვარინკა მაჭავარიანმა-წერეთელმა. თუმცა შემდგომში ის გამოქვეყნდა როგორც ხალხური და მას სასამართლო პროცესები და მოწმეთა ჩვენებები დასჭირდა საავტორო უფლების აღსადგენად. დავუბრუნდეთ ლიტერატურას. ცნობილია, რომ ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის ნაწარმოებების უმეტესობა მისი ცოლის

დღიურებიდან იღებს სათავეს. ზოგი პერსონაჟი პირდაპირ მისი დღიურებიდან ჰყავს აღებული. ასეთია ზელდა, რომელიც არის ჭირვეული, ისტერიული ქალის გამოხატულება და ვერ ჯდება მარიამის ხატში, ევას განასახიერებს. თავად ფიცჯერალდის ცოლს არ უბეჭდავდნენ თავის ნაწერებს, მისი მცდელობა, მწერალი გამხდარიყო, წარუმატებელი აღმოჩნდა. ეს ფაქტი უკვე გასაგებს ხდის მის მონსტრულ სახე-ხატს.

რაც შეეხება თანამედროვე ქართულ ტექსტებს, მინდა გამოვყო მაკა მიქელაძის „ახალგაზრდა მწერალი ქალის ვნებანი". მიმაჩნია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი ტექსტია თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. აქ საუბარია იმ დაყოფაზე, რომელიც ვახსენე – მწერლად, ქალ მწერლად და კაც მწერლად და ზოგადად მწერლად, რომელიც არის უნივერსალური კატეგორია. სასიყვარულო სამკუთხედი აქ უკვე არა მწერალ ქალსა და მწერალს კაცს შორის, არამედ ლიტერატურულ ტექსტებს შორისაც ებმება. ძალიან ირონიზირებულად და კარგად არის ეს ყველაფერი გაკეთებული.

როგორი ტენდენციები შეინიშნება თანამედროვე ქალურ ტრადიციაში – ძალიან გვხვდება თვალში თვითირონიზაციის ტენდენცია. ეს, ჩემი აზრით, იმით აიხსნება, რომ ასოცირება არ მოხდეს „ქალურ კრუსუნთან" და ემოციურობასთან. წავიკითხავ ციტატას: „უკვე გითხარით, პრობლემა გვაქვს, გრძნობიერი ისტორია. და მისი მოყოლა შეუძლებელია სხვანაირად, ანუ პათეტიკის გარეშე. პათეტიკა კი თავიდან მხოლოდ და მხოლოდ ვნებას ნიშნავდა, რაც საგანგებოდ გადავამოწმე. გასაგებია? ზოგზოგიერთების გასაგონად ვამბობ, რომ არ დაიწყონ მერე ინტელექტუალური გატრაკება და მომაკვდინებელი არგუმენტების მოყვანა, ქალები არაფრის აზრზე არ არიან, მხოლოდ გრძნობებით ხელმძღვანელობენ, ამიტომ საერთოდ უნდა მოკეტონ. ჩვენ კლიშეებით რომ არ შეგვაფასონ-ჩამოგვაფასონ, სიამოვნებით დავდგებოდით სიყვარულზე მაღლა და საქმიანად წარმოგიდგენდით ჭკვიანური ციტატებით სავსე მოხსენებას, თეორიულ კვლევებზე დაფუძნებულს, რაც უდავოდ შეუწყობდა ხელს მაყურებელთა ცოდნის გაღრმავებას და ახლებურ ხედვას". ეს არის ემოციურობისა და მიჯაჭვულობისგან შორს დადგომა. ამიტომაც მიმაჩნია, რომ არ იღებენ თამთა მელაშვილის ტექსტს, როგორც ქალის ნაწერს, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტულია და ენაც ქალურია, ის სენტიმენტებისგან დაცლილია.

ნინო ხარატიშვილი – სამწუხაროდ, თანამედროვე ქართველი მწერალი ქალების შემოქმედებას ისე არ ვიცნობ, რომ თავს ობიექტური აზრის ჩამოყალიბების უფლება მივცე, ამიტომ იმით შემოვიფარგლები, რაც ვიცი. გერმანიაში ვცხოვრობ და ვმოღვაწეობ და გერმანულად ვწერ. აქედან გამომდინარე, ამ თემის დასავლურ პრობლემატიკაზე ვისაუბრებ.

გერმანიაში, რა თქმა უნდა, არ არის ასეთი სიტუაცია, თუმცა ეს მარტო ერთი შეხედვით. იქ იმართება ბევრი ფესტივალი, არის ბევრი ლიტერატურული პრიზი, პრემია. შეიძლება ითქვას, რომ ზედმეტად ბევრიც, ამიტომ ეს არ უწყობს ხელს ხარისხის გაზრდას. თითქმის ყველას, ვინც წერს, ეძლევა შანსი, რომ რამენაირად თავი წარმოაჩინოს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა კარგად წერს. სპეციალურად გადავხედე და შეიძლება ითქვას, რომ შეიძლება კაც მწერლებზე მეტი პრემია აქვთ აღებული მწერალ ქალებს. ძალიან ბევრი მწერალი ქალის რომანი გამოდის ყოველწლიურად, ითარგმნება და ა.შ. ეს, ერთი მხრივ, ძალიან კარგია, მაგრამ იქ ჩნდება ერთი ახალი პრობლემა, რაც, ჩემი აზრით, ევროპის ლიტერატურულ ბაზარზე აქტუალურად დგას. ეს არის ეგზოტიკის პრობლემა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ქალი ხარ, თან გერმანიაში არ ხარ დაბადებული, კიდევ უკეთესი, თუ გერმანული არ არის შენი მშობლიური ენა, ხარ ახალგაზარდა, იდეალურ შემთხვევაში – ლამაზი, უფრო დიდი შანსი გაქვს, რომ თავი კარგად წარმოაჩინო. თუმცა დრო მაინც ყველაფერს ახარისხებს. ერთი-ორი წელი ვიღაცას გაავარსკვლავებენ, მაგრამ შემდეგ ამ ადამიანმა შეიძლება დროს ვერ გაუძლოს და რამდენიმე წელიწადში ყველამ დაივიწყოს.

გერმანიაში რეჟისურაზე ჩავაბარე, ექვს გოგოსთან ერთად ვსწავლობდი. თითოეულ ჩვენგანს ინსტიტუტში გვცნობდნენ, როგორც გოგოების ჯგუფის წევრს. თითქოს ახალი ტენდენცია დაიწყო და მამაკაცურ პროფესიას მხოლოდ ქალები ვეუფლებოდით. მაგრამ ერთ წელიწადში მივხვდი, რომ ეს ძალიან დამთრგუნველი იყო. იმიტომ რომ ჩვენი ყველა პროექტი, სპექტაკლი თუ ფესტივალზე ჩვენი მიწვევა – ყველაფერი ამ კონტექსტიდან გამომდინარეობდა. დავფიქრდი ამის მიზეზებზე. ერთი მხრივ, კარგია, რომ ქალს მეტი შანსი ეძლევა, ლამაზ და ახალგაზრდა ქალს კიდევ უფრო მეტი, ყველაფერს ჯობია ისეთი ქვეყნიდან იყო, სადაც ომი და უბედურებაა, ეს კიდევ ერთი პლუსია. მაგრამ, ვიმეორებ, მგონი დრო კარგად ფილტრავს ამ ყველაფერს.

რამდენიმე თვეში უნდა გამოვიდეს ჩემი რომანი. გერმანიაში ჯერ გამოდის მყარყდიანი წიგნი და თუ კარგად გაიყიდება, მერე უკვე გამოდის რბილყდიანი. ის სურათი, რომელიც იყო ორიგინალზე, ძალიან მომწონდა. მაგრამ რატომღაც გამომცემლობამ რომანტიკული სერიალების ესთეტიკის ყდის ახალი დიზაინი გამომიგზავნა. შევძრწუნდი, იმიტომ რომ ამას ჩემი წიგნის შინაარსთან საერთო არაფერი აქვს, ძალიან დიდი დისკუსია მქონდა ამაზე გამომცემლობასთან. ისინი ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ეს უკეთ გაიყიდებოდა. ყოველთვის გადაწყვეტილი მქონდა, არ დამერქვა „ნინა“ და „ნინოდ“ დავრჩენილიყავი, ამიტომ დღემდე ბევრს კაცი ვგონივარ. შეიძლება ეს გაყიდვას ეხმარება, მაგრამ მკითხველი რომ არ დაბნეულიყო, გადაწყვიტეს, იმდენად „ქალური“ ქავერი გაეკეთებინათ, რომ ყველა მიმხვდარიყო სქესს. ჩემი აზრით, ესეც მიანიშნებს იმაზე, რომ არც დასავლეთშია იდეალური სიტუაცია.

ასევე ძალიან საინტერესოა სექსი და სქესობრივი სცენები ლიტერატურაში. მიუხედავად იმისა, რომ იქ შეიძლება ნაკლებად შეშფოთდნენ კრიტიკოსები, თუ ქალი სექსზე თავისუფლად დაწერს, მაინც თითქმის ყველა რეცენზიაში ხაზგასმულია, რომ ბოლო რომანში გამოკვეთილი სექსის სცენებია და არის ძალადობა. ელფრიდ იელინეკი [2004 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ავსტრიელი მწერალი] ამ მხრივ მართლაც კარგი მაგალითია. მას აქვს თეორია, რომელიც მოისაზრებს ლიტერატურაში „ცარიელი ადგილების ძიებას“, ენაში ისეთი ნიშების პოვნას, რომელიც არა აქვთ კაცებს დაპყრობილი. ეს ტრადიცია ნეგაციაშია მამაკაცების ტრადიციასთან და გულისხმობს, რომ ყოველთვის დაპირისპირება უნდა იყოს. ბევრი კომპონენტი მიუძღვის წინ ამ თეორიას, მაგრამ დღეს თანამედროვე ქალი მწერლები ამას უარყოფენ. წიგნების ფესტივალზე, როდესაც ინტერვიუს იღებენ, ხშირად გამიგონია, როდესაც ქალ მწერლებს ეკითხებიან, გრძნობენ თუ არა თავს ფემინისტურ ან პოსტფემინისტურ დისკურსში, ისინი ყოველთვის ცდილობენ თავის დაძვრენას. მყარი პოზიცია ძალიან ცოტას უკავია, თითქოს ინფლაცია მოხდა ამ სიტყვის. ისეთი ადამიანებიც კი, რომლებიც გარკვეულები არიან ამ თემაში, მაინც დაბნეულები არიან ამ ასპარეზზე. მეინსტრიმულ ბაზარზე ეს იშვიათი გახდა, რაც ძალიან მაფიქრებს. იმიტომ რომ ერთ ჟურნალისტთან მეც მისაუბრია ამ თემაზე. როცა მკითხა, ვარ თუ არა ფემინისტი, კითხვა შევუბრუნე და ვთხოვე, აეხსნა, რას გულისხმობდა ამ სიტყვაში.

ჩემს პირველ რომანს „ჟუჟა“ ჰქვია, იმედი მაქვს, ოდესმე ეღირსება ქართულად თარგმნა და გამოცემა, ნამდვილ ამბავზეა აგებული, რომელიც შემთხვევით აღმოვაჩინე. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო, იმიტომ რომ ეს ისტორია არის თითქმის იდენტური გოეთეს „ვერთერის“ ისტორიისა. ის მეოცე საუკუნეში მოხდა, არცთუ ისე დიდი ხნის წინ. ანტონენ არტოზე [ფრანგი დრამატურგი, პოეტი და მსახიობი] ვამზადებდი მოხსენებას და სრულიად შემთხვევით წავაწყდი ამ წიგნს, უფრო დღიურს. არსებობდა ერთი გოგო, სახელად დანიელ სარერა. ეს არის ომის შემდგომი პერიოდი, 1940-იანი წლები. ომი ახალი დამთავრებულია. ის არის 17 წლის, სახლიდან გამოქცეული, უპატრონო, ძალიან რადიკალური და წერს დღიურს, შემდეგ კი თავს იკლავს. პარიზში მატარებელს უვარდება. ეს დღიური მერე სადღაც იკარგება, ბოლოს ერთ კაცთან ხვდება. მას მემარცხენე გამომცემლობა აქვს. ეს უკვე 1968 წელია, იწყება კულტურული რევოლუცია, ფემინიზმის აყვავების ხანაა. კაცი აქვეყნებს ამ დღიურს და ამას მოჰყვება ის, რომ ათი წლის განმავლობაში ამ დღიურის გამო თოთხმეტი ქალი იკლავს თავს. ამ ამბავს 50-წლიანი ისტორია აქვს. 1980-იან წლებში ჰოლანდიელი ლიტერატურათმცოდნე ამსტერდამიდან ამ ისტორიის შესასწავლად პარიზში მიემგზავრება და აღმოაჩენს, რომ დანიელ სარერა არ არსებობდა. დიდი ხნის ძიების შემდეგ თითქმის ირკვევა, რომ ეს არის თავად იმ გამომცემლის მიერ შექმნილი მითი და ეს დღიურიც მისი დაწერილია. რაღაც წრეებში ამას დიდი ამბავი მოჰყვა. ჩემი აზრით, ეს ისტორია საინტერესოა თუნდაც იმით, თუ როგორ იქმნება მითები. ჩემთვის ძალიან ძნელი იყო ამ თემაზე მასალის მოძიება, იმიტომ რომ თითქმის არაფერი არ არსებობს. მერე პარიზში გავიცანი ერთი კაცი, ამ გამომცემლის მეგობარი, თუმცა ამ კაცს არ უნდოდა ჩემთან შეხვედრა. პრესა ამ თემაზე ძალიან ცოტაა, მაგრამ რაც არის, თოთხმეტი ქალის თვითმკვლელობას იმით ხსნის, რომ ისინი, ისევე როგორც ის გოგო, მიხვდნენ, რომ რადიკალური, ანარქიული რევოლუცია ქალებისთვის, რაც მათ სურდათ, შეუძლებელი იყო, ამ ნიადაგზე იმედი გაუცრუვდათ და თავიც ამიტომ მოიკლეს. ეს ამბავი იმის საჩვენებლად მოვყევი, რამდენად მარგინალიზებულია ეს თემა.

ამბივალენტური თემაა, ძალიან ძნელია ცალსახად კარგის და ცუდის თქმა. მაგრამ, ჩემი აზრით, მაინც სახიფათოა შტამპის დადება: „ქალი მწერლები“. მე მინდა აღმიქვან როგორც მწერალი და არა როგორც ქალი მწერალი. მინდა,

ასევე იყოს რეჟისურაშიც. ჩემთვის ძალიან საყვარელი ციტატით მინდა დავასრულო გამოსვლა. ძალიან კარგი გერმანელი მსახიობია, სოფი როისი. მან ითამაშა ჰამლეტის როლი. ერთ-ერთ ინტერვიუში მან თქვა, რომ ჰამლეტის ტრაგედია არის ზოგადსაკაცობრიო, ადამიანის ტრაგედია, ოფელიას ტრაგედია კი არის ქალის და მხოლოდ ქალის ტრაგედია და ამიტომ უნდოდა მას ამ როლის [ჰამლეტის] თამაში.

ანი ჭანკოტაძე, ჟურნალი „ლიბერალი“ – მე მინდა შემოვიტანო პოლიტიკის საკითხი. თქვენ საუბრობდით, როგორი მარგინალიზებულები არიან ქალები კულტურის სივრცეში. მაინტერესებს, რამდენად უკავშირდება ეს პოლიტიკიდან ქალების განდევნას და რას შეცვლიდა ამ სივრცეში მათი დაბრუნება კულტურის სფეროში?

სალომე ცოფურაშვილი – ჩემი აზრით, ეს თემები ურთიერთკავშირშია იმ მხრივ, რომ კულტურაც და პოლიტიკაც, ორივე მნიშვნელოვანი ძალაუფლების სფეროა. რაც შეეხება ქალების პოლიტიკიდან განდევნას, ჩვენ სულ გვესმის რეფრენი, რომ პოლიტიკა ჩვენი საქმე არ არის.

ნინო თარხნიშვილი, რადიო „თავისუფლება“ – ნინომაც აღნიშნა და ბევრი ქალი მწერალი ამბობს, რომ მათ არ უნდათ, რომ „ქალ მწერლებს“ უწოდებდნენ. დავანებოთ ტერმინებს თავი და შევხედოთ რეალობას. რაში უშლის ხელს ქალ მწერალს წოდება „ქალი მწერალი“, უშლით მათ ეს ხელს წერონ ისე, როგორც უნდათ?

ნინო ხარატიშვილი – როდესაც ყოველთვის ამ პრიზმის მიღმა გიყურებენ, და ძალიან ბევრ რამეს იმით ხსნიან, რომ შენ ქალი ხარ, როგორც ჩემს შემთხვევაში ხშირად ფიგურირებს სიტყვა „ემოციური“, გერმანიაში, სადაც ეშინიათ ემოციის და უყვართ ირონია და ცინიზმი, მხოლოდ ორი წლის მერე მივხვდი და გავეცი პასუხი, რომ მათთვის ეს კრიტიკაა, ჩემთვის კი კომპლიმენტი. მაგრამ მუდმივად თავის მართლება და ახსნა, რომ მე მაქვს ამის უფლება, იმიტომ რომ ქალი ვარ და ემოციური უნდა ვიყო, რას ნიშნავს? ძალიან ბევრი უემოციო და ემოციური ქალი ვიცი, ისევე როგორც მამაკაცი.

ხელს ეს არაფერში მიშლის, არც კაცად გადაკეთება მსურს, მაგრამ მინდა, რომ მაქსიმალურად კრიტიკულად და ობიექტურად შემაფასონ ჩემი საქმით. მე უფრო მეტ სიმკაცრეს მოვითხოვ. არ მინდა გამამართლონ იმის გამო, რომ ქალი ვარ. მაღიზიანებს ის, რომ როგორც კი ომის და ძალადობის თემას შეეხები არა მსხვერპლის კუთხიდან, ესეც ეუცნაურებათ და კრიტიკულად ხვდებიან. კარგი იქნება, თუ ყველაფერი ნაკლებად აიხსნება იმით, ვის რა სქესი და ბიოგრაფიული მონაცემები გვაქვს, თუ ჩვენს საქმეს კარგად ვაკეთებთ.

თამთა მელაშვილი – მე ვფიქრობ, მაინც კონტექსტს გააჩნია, როგორ მოიაზრებ საკუთარ თავს. თავიდან, როცა ამბობდნენ, რომ ჩემი ტექსტი კაცის დაწერილი ეგონათ, ძალიან მაგარი მეგონა ჩემი თავი. მერე საკუთარი დამოკიდებულებისადმი პროტესტი გამიჩნდა. მოგვიანებით, როდესაც „გათვლა“ წარმატებული წიგნი გამოდგა და ის ბევრმა მამაკაცმაც მიიღო, ინსტრუქციასავით მივაყოლე, რომ ეს ფემინისტური ტექსტი იყო. ამან ბევრ მამაკაცს შეუქმნა დისკომფორტი, როგორ შეიძლებოდა მოსწონებოდათ ფემინისტური ტექსტი. სასაცილო სიტუაცია შეიქმნა. ამის მერე პროტესტის გრძნობა გამიჩნდა და ახლაც ვამბობ, რომ ჩემი ტექსტი ქალური ტექსტია. მე ქალი ვარ და სქესი ისეთი რამ არის, რაზეც აგებ შენს იდენტობას. ვისაც უნდა უწოდოს ქალური პროზა, მე ამაში პრობლემას ვერ ვხედავ.

თათა ცოფურაშვილი, ფილოსოფოსი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი – საქართველოში ყველა სფეროში, სადაც არის საჯარო ხილვადობა, პოლიტიკაც ამ სფეროებს განეკუთვნება და სამწერლო ასპარეზიც, არის ქალების რეპრეზენტაციის პრობლემა. ქალებს უჭირთ საქართველოში ბარიერების გარღვევა. აქედან გამომდინარე, სპეციალური ზომა ჩვენთან აუცილებელია. დათომ ძალიან კარგად ჩამოაყალიბა ის, თუ რატომ ვერ იქნება ჯერჯერობით ჩვენთან იმ ფორმის პოზიტიური დისკრიმინაცია, რომელიც შესაძლოა დღევანდელ გერმანიაში შემაწუხებელი იყოს. ჩვენთან პროფესიული თვითდამკვიდრების პრობლემაა ხშირად იმ თვალსაზრისით, რომ როდესაც ერთნაირი შესაძლებლობის ქალი და მამაკაცი მიდის დამსაქმებელთან, ის მამაკაცს ირჩევს. იგივეა, როდესაც მამაკაცური ჟიური მამაკაცურ ტექსტებს ანიჭებს

უპირატესობას. ასე რომ, დღევანდელ საქართველოში ამ კონტექსტის გაუთვალისწინებლობა ძალიან უკან დაგვხევს.

დავით გაბუნია – ისეთ პატარა ქვეყანაში, სადაც ბაზარზე ლაპარაკი ზედმეტია, ლალი მოროშკინას გარდა, შემოსავალი, მგონი, არცერთ მწერალ ქალს არა აქვს. ისიც, ვეჭვობ, რომ მხოლოდ ამ შემოსავლით ცხოვრობდეს. როდესაც პროფესიული განვითარება ისედაც ძალიან ძნელია, ეს კიდევ უფრო ძნელი ხდება ქალებისთვის. მე მგონი ყველა ვხვდებით, ეს რატომ ხდება, ამ აუდიტორიაში ამის ახსნა არ არის საჭირო.

ადამიანის უფლებების პრიორიტეტი: სახალხო დამცველის როლი და მისია – საზოგადოებრივი მოლოდინები და შესაძლებლობები ცვლილებისათვის

ძირითადი მომხსენებლები:

თამარ გურჩიანი

იურისტი

ლია მუხაშავრია

ადვოკატი, „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი“,
აღმასრულებელი დირექტორი

გელა ნიკოლაიშვილი

უფლებადამცველი, ადვოკატი

მოდერატორი:

გოგი გვახარია

24 ოქტომბერი, 2012

გოგი გვახარია – ჩვენს საზოგადოებაში ძალიან დიდია ინტერესი სახალხო დამცველის კანდიდატის არჩევის მიმართ, რაც ნამდვილად სასიხარულოა. მეჩვენება, რომ საზოგადოება დღეს ყველაზე მეტად ამ სფეროში აქტიურობს და ეს გასაგებიც არის, იმიტომ რომ ყოველი ჩვენგანი ვეძებთ ჩვენს დამცველს ამ საზოგადოებაში, პირველ რიგში, ხელისუფლებისგან.

გელა ნიკოლაიშვილი – ალბათ, ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მდგომარეობა გაუარესდა. შევარდნაძის პერიოდის მიმართ არავის აქვს ნოსტალგია და დადებითად იმ ხელისუფლებას არავინ ახასიათებს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, სამოქალაქო თავისუფლებათა დაცვის კუთხით, თუნდაც არასამთავრობო ორგანიზაციების საზოგადოებაზე ზეგავლენის თვალსაზრისით გაცილებით მეტი საშუალება იყო შევარდნაძის დროს, ვიდრე ბოლო წლებში.

ძალიან ბევრი რამეა გამოსასწორებელი. ის პროპაგანდა, რომელიც ძალიან ბევრს თვალს უხვევდა, მე მაგონებდა 1930-იანი წლების გერმანიას და ამავე წლების ბოლშევიკურ რუსეთს, როდესაც გრანდიოზულ მშენებლობებზე, ჰიდროელექტროსადგურებზე, გზებზე, სკოლებსა და საბავშვო ბაღებზე კეთდებოდა მთავარი აქცენტი და უკანა პლანზე იყო გადასული ადამიანი და მისი უფლებები. ყველამ იცის, რომ ეს ღირებულებები, ადამიანის უფლებები, ძირითადად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იქნა აღიარებული, მაგრამ სწორედ 1930-იანმა წლებმა და შემდეგ მეორე მსოფლიო ომმა მისცა მთელ მსოფლიოს იმაზე დაფიქრების საფუძველი, რომ წინა პლანზე წამოეწიათ ეს ღირებულებები. სამწუხაროდ, ჩვენ დავბრუნდით იმ მდგომარეობაში, როდესაც ადამიანის უფლებები არაფერს ნიშნავდა და ყველაფერი მხოლოდ პროპაგანდა იყო.

მდგომარეობის შესაცვლელად რამდენიმე მიმართულებით არის საჭირო მოძრაობა. პირველ რიგში, ეს გახლავთ საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს ადამიანის უფლებებს და განუსაზღვრელ უფლებას ანიჭებს სახელმწიფო მოხელეებს, სტრუქტურებს და განუსაზღვრელად არის შეზღუდული ერთი კონკრეტული ადამიანის უფლებები. ხშირად მეკითხებიან, რომელია ჩემთვის პრიორიტეტული სფერო. დღეს ჩვენს საზოგადოებას ადა-

მიანის უფლებათა დაცვის კუთხით ყველა მიმართულებით აქვს პრობლემები. ერთ საერთო პრობლემაზე უკვე ვისაუბრე, ეს არის ადამიანის, როგორც ღირებულების დაყენება ცენტრალურ ადგილზე.

პენიტენციარული სფერო ჩემი საქმიანობის სფეროა და ამ თემაზე საუბრით არ გადაგღლით. დღეს საზოგადოება უკვე საკმაოდ ინფორმირებულია ამ კუთხით, მაგრამ ახლაც ციხიდან მოვდივარ და ვფიქრობ, რომ შეიძლება მეორე უკიდურესობისკენ გადავიხაროთ. ფაქტობრივად, დღეს ციხეში რეჟიმი აღარ არსებობს. ამაზე სოზარ სუბარსაც ვესაუბრე რამდენიმე დღის წინ. ეს საკმაოდ დიდი საფრთხეა, იმიტომ რომ იმდენი ჰაერი მიაწოდეს უჟანგბადობაში, რომ თავიდან არის რეჟიმი დასამყარებელი. ოღონდ ეს რეჟიმი, რასაკვირველია, სწორედ მათი უფლებების დაცვაზე, საერთაშორისო ნორმებზე, საქართველოს კანონმდებლობასა და კონსტიტუციაზე უნდა იყოს დამყარებული.

ასევე მკვეთრად იყო შეზღუდული ჟურნალისტების უფლებები თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ შეუძლებელი იყო ინფორმაციის მოპოვება. მიმაჩნია, რომ კანონმდებლობაც დასახვეწია. ფორმალურად კი არის მითითებული, რომ საჯარო სამსახური ვალდებულია ათდღიან ვადაში გასცეს დოკუმენტი, მაგრამ იცით, რომ პრაქტიკაში ასეთი ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელი ხდებოდა. მე არაოფიციალურ გასაიდუმლოებაზე ვსაუბრობ, თორემ გრიფით საიდუმლოს დადება არც სჭირდებოდათ. ეს ეხება სასამართლოების დახურვასაც.

სასამართლოებში გარკვეული წესით ისევ უნდა იქნას დაშვებული ვიდეოკამერები, ეს მხოლოდ ხელს შეუწყობს სასამართლო პროცესების საჯაროობას და მოსამართლეებსაც არ მისცემს მითითებებით გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. ასეთი მოსამართლეებიც, რომლებიც დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას არ არიან შეჩვეულები, უნდა შეიცვალონ. უნდა ითქვას, რომ კანონმდებლობით, „გაიდლაინებით“, ახალი ნორმებით და შეზღუდვებით ამის უფლებაც აღარა აქვთ. ვფიქრობ, სახალხო დამცველმა ამ მიმართულებითაც უნდა მიმართოს თავისი ძალისხმევა. უმთავრესი პრობლემაა, სასამართლოს დაუბრუნდეს თავისი ფუნქცია. სადაც არ არსებობს მართლმსაჯულება, არ არსებობს დემოკრატია და ადამიანის უფლებათა დაცვის მცირე გარანტიებიც კი.

რაც შეეხება საპროცესო შეთანხმებას, ადრეც ვამბობდი, რომ საპროცესო შეთანხმება კარგი ინსტიტუტია, მაგრამ ჩვენთან ცუდად არის გამოყენებული. ნორმალურ ქვეყნებში მას ნორმალურად იყენებენ და კარგი ეფექტიც აქვს. ჩვენთან ის ბიუჯეტის შევსების წყაროდ იქცა.

ბევრია სამუშაო დევნილთა უფლებებზეც, აქაც სჭირდება დახვეწა საკანონმდებლო ბაზას. ვიღაცამ შეიძლება იკითხოს, პარლამენტში ხომ არ ვარ, რომ საკანონმდებლო ბაზაზე ვიზრუნო, მაგრამ ვფიქრობ, რომ სახალხო დამცველმა ორი მიმართულებით უნდა იმუშაოს. სადაც მასობრივად ხდება დარღვევები, ეს საკანონმდებლო ბაზით არის განპირობებული და არა კონკრეტული მოხელეების ქცევით და ამ მიმართულებით რეკომენდაციები უნდა შესთავაზოს პარლამენტს, ასევე უნდა იმუშაოს კონკრეტული მოხელის მხრიდან კონკრეტული პიროვნების უფლებების დარღვევის ფაქტებზე.

დაბოლოს, კარგია სახალხო დამცველის მიერ წელიწადში ერთხელ ანგარიშის მომზადება, შეიძლება ორჯერაც იყოს, როგორც ადრე, მაგრამ, ჩემი აზრით, სახალხო დამცველმა ყოველთვიურად უნდა მოაწყოს საჯარო შეხვედრები აუდიტორიასთან და შეაჯამოს ყოველი თვის შედეგები. საზოგადოებას თავისი მუშაობის შედეგები უნდა ჩააბაროს. ეს უფრო იქნება პულსზე ხელის დადება იმის გასაგებად, თუ რა ხდება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქართველოში. ღმერთმა ქნას, უინტერესო გახდეს ყოველთვიური ანგარიშები, იმიტომ რომ აღარ იყოს დარღვევები, მაგრამ ამის ილუზია არავის აქვს. არ არსებობს ხელისუფლება, რომელსაც ეს პრობლემები და მიდრეკილებები არ ჰქონდეს. თავისი ბუნებით ხელისუფლება ასეთია.

ლია მუხაშავრია – მიმაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, ჩემთვის როგორ დამთავრდება ეს კამპანია, ეს ძალიან დიდი მონაპოვარია. ვხუმრობ ხოლმე, რომ დემოკრატიის ჯინი ბოთლიდან არის ამოსული და მას ბოთლში ვეღარავინ ჩააბრუნებს.

ვიდრე პარლამენტს სრულად დაუწყია თავისი საქმიანობა, ვიდრე მთავრობა შეუქმნია და სათანადო მინისტრები დაუმტკიცებია, იწყება პატიმართა გათავისუფლება. მეც ციხიდან მოვდივარ. იქ მართლაც არის ფეთქებადსაშიში სიტუაცია. ამას ძალიან ბევრი მიზეზი აქვს, მაგრამ, ჩემი აზრით, უმთავრესი ის არის, რომ პატიმრები ხედავენ, რომ ყოველდღე ვიღაც ისე გადის, რომ

გათავისუფლების საფუძველი უცნობია. ბევრი ადამიანი აცნობიერებს, რომ ის არის პოლიტიკის მსხვერპლი და არა დანაშაულის ჩამდენი პირი. არ შემეშინდება ამ დარბაზში ვთქვა ჩემი მოსაზრება, რომ პოლიტპატიმარია ყველა, ვინც პოლიტიკის შეცვლის შედეგად გახდა პატიმარი და სხვა დროს, როდესაც ასეთი პოლიტიკა არ იყო ამ ქვეყანაში, ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს, როდესაც მან კორუფციასთან ბრძოლის საბაბით დაიწყო დაპატიმრებები და დახვრეტებიც კი, მაშინაც კი პენიტენციარული სისტემის პოპულაციის რაოდენობა 6 ათასზე მეტი არ ყოფილა. როდესაც 2000 წელს 6 ათასს გადააჭარბა, მოხდა დიდი შეწყალება და ბევრი პატიმარი გამოუშვეს, რომ მათი რაოდენობა 6 ათასამდე დასულიყო. დღეს 25 ათასია და ვამტკიცებ, რომ ამისი მიზეზი ის კი არ არის, რომ მოსახლეობამ დანაშულის ჩადენა გადაწყვიტა, არამედ ის, რომ შეიცვალა პოლიტიკა. ის, რაც დასჯადი არ იყო წინა პერიოდში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დასჯადი გახდა და ეს არის პირდაპირი შედეგი ნულოვანი ტოლერანტობისა.

მე „წამების ექსპერტი“ გახლავართ. და ხშირად მიწევს წამების თემაზე ტრენინგებზე ტრენერად წასვლა. როდესაც აქ ჩამოდიან ექსპერტები, ყველას უჩნდება კითხვა, რატომ ხდება წამება საპყრობილეებში, მას შემდეგ რაც მათ უკვე მისჯილი აქვთ სასჯელი. გასაგებია, რომ გამოძიების ეტაპზე შეიძლება არსებობდეს ახსნა, რატომ შეიძლება დასჭირდეთ აღიარებითი ჩვენება, მაგრამ რაღა აზრი უნდა ჰქონდეს წამებას, როდესაც უკვე მსჯავრდებულია პირი? მახსოვს, ამ კითხვაზე პასუხი ერთობლივად გავეცით იმ მოტივით, რომ მასობრივი ტერორისტული პოლიტიკის გარეშე, რაც წამებაში გამოიხატებოდა, შეუძლებელია ამ რაოდენობის პატიმარს მოუაროს იმ ადმინისტრაციამ, რომელიც დღეს პენიტენციარულ სისტემაში ჰყავს სამინისტროს. ანუ ასეთ ვითარებაში სრულიად დასაშვები და აუცილებელი ხდება წამება.

ვფიქრობ, რომ ასეთ სიტუაციაში სახალხო დამცველი უნდა იყოს სწორედ ის პირი, რომელსაც არ შეეშინდება და ამ მოსაზრებებს და ვარაუდებს საჯაროდ გამოიტანს. ამას გააკეთებს ყოველთვის, მთელი თავისი საქმიანობის პერიოდში, ეს არის თანამდებობა, რომელმაც პირველმა უნდა მიიტანოს ხელისუფლების ყურამდე, რომ ისინი რაც შეიძლება დროულად და ქვეყნის შიგნით გადაწყდეს და არ გახდეს საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღებისა და განგაშის საგანი.

თუ შევდექით დემოკრატიული სახელმწიფოს გზაზე, სახელმწიფოს დემოკრატიულობის ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი და მახასიათებელი გახლავთ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა. რაც იმის კვალობაზე, რამდენად ავლენდა ან არ ავლენდა ჩვენი ხელისუფლება ამ მონაცემებს, ბოლო დროს მკვეთრად გაუარესდა და ახალ ხელისუფლებას სჭირდება დაამტკიცოს თავისი დემოკრატიულობა სწორედ იმითი, რომ მკვეთრად უნდა გააუმჯობესოს ადამიანის უფლებათა მდგომარეობა. ეს კი შეუძლებელი იქნება სახალხო დამცველის აქტიურობის, მისი პერსონის და საქმიანობის გარეშე იმ ვითარებაში, როდესაც ამ ქვეყანაში პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს სასამართლო ხელისუფლება. როდესაც ამას ვამბობ, პასუხს ვაგებ ამ საშინელ დასკვნაზე. ერთ-ერთი ჩემი ბოლო საქმე არის „გიორგი ამოევი საქართველოს წინააღმდეგ“, რომლის შესახებ თავის დროზე ვუამბე ბატონ ჰამარბერგს [თომას ჰამარბერგი, ადამიანის უფლებების საკითხებში ევროპის საბჭოს კომისარი 2006-2012 წლებში], რომელიც შეისწავლიდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საკითხებს და შემდგომ ანგარიშიც გამოაქვეყნა. მოგეხსენებათ, რომ ეს ორი წლის წინ იყო. ამ საქმეში მივედი დასკვნამდე, რომ სასამართლო, როგორც ხელისუფლება, აღარ წარმოადგენს სამართლებრივი დაცვის ქმედით, ეფექტურ საშუალებას. ეს ახალგაზრდა არ არის უბრალო ახალგაზრდა, „ბრალიანია“ იმის გამო, რომ არის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი კიგბოქსინგში, სტუდენტი, ძალიან წესიერი ადამიანი. ის არასოდეს ყოფილა შემჩნეული კრიმინალში, დააკავეს. მისი ბრალი უბრალოდ იყო ის, რომ არის ეთნიკურად ქურთი, ცხოვრობს გლდანში, და მიამსგავსეს ვიღაცას, რომელსაც სავარაუდოდ აქვს კრიმინალური წარსული. პოლიციაში, ვინაიდან არ აღიარა ყაჩაღური ფაქტი, რომელიც არ ჩაუდენია, საშინლად აწამეს. მარტო ერთი ეპიზოდით არ დაკმაყოფილდნენ, რაკი ვერ გატეხეს, მეორე ეპიზოდიც მიაკერეს, და ორი ყაჩაღობის ეპიზოდით 22 წლის მსჯავრდებული დღეს სასჯელს იხდის. ადამიანი, რომელიც თავისი ბიოგრაფიისა და ცხოვრების წესის გამო, ხვდებით, როგორი ჯანმრთელი უნდა ყოფილიყო, სწორედ ციხეში დაავადდა ტუბერკულოზით. მართალია, უმკურნალეს და დღეს ტუბერკულოზი არ ემუქრება მის ჯანმრთელობას, მაგრამ წამების შედეგად დაკარგა 6 კბილი. როდესაც განვიხილეთ მისი საქმე, პირველი ინსტანციის სასამართლომ ორი ყაჩაღობის ეპიზოდისთვის მას 22 წელი მიუსაჯა, აპელაციამ უცვლელად დატოვა ძალა-

ში ეს განაჩენი. როდესაც უზენაეს სასამართლოში წავიდა საქმე, ეს საკასაციო საჩივარი განიხილეს და დააბრუნეს სააპელაციო სასამართლოში საქმე პირდაპირი მითითებით. სიტყვასიტყვით უწერიათ, რომ განიხილონ დაცვის არგუმენტები და გამამართლებელი პოზიცია, რომელიც დაცვას აქვს. იმის ნაცვლად, რომ უზენაესი სასამართლოს, უმაღლესი სასამართლო ინსტანციის ეს პირდაპირი მითითება გაეთვალისწინებინა, აპელაციამ „გადააკოპირა" გაუქმებული სააპელაციო სასამართლოს განაჩენი და კვლავინდებურად 22 წელი მიუსაჯა. იმისათვის, რომ დამემტკიცებინა, რომ ეს დოკუმენტი, რომელსაც ხელს სამი მოსამართლე აწერდა, „ქოფი-ფეისთით" იყო შესრულებული, აბზაცები დავნომრე და 22-გვერდიან განაჩენში 28 აბზაცი აბსოლუტურად იდენტურია. მათ შორის ორ აბზაცში გაპარული ორი ტექნიკური შეცდომაც მეორდება.

როდესაც სასამართლოც კი არ არის, არანაირი ფილტრი, ორგანო არ არსებობს, რომელიც ადამიანის უფლებათა ასეთი უხეში ფორმით დარღვევაზე რაიმენაირად მოახდენდა რეაგირებას, მართლაც გადამწყვეტია ამ ქვეყნისთვის და სახელმწიფოსთვის, ჰყავდეს ჭეშმარიტად ღირსეული სახალხო დამცველი, რომელიც შეძლებს იმას, რომ რამდენადმე შეამსუბუქოს ვითარება. ეს ქვეყნისთვის მართლაც სახიფათო მდგომარეობაა, რომლის შესახებაც, რა თქმა უნდა, ყველას არ მოეხსენება.

რაც შეეხება მოვლენებს, რომელმაც შეძრა ქვეყანა, ამ ფაქტებს ახლა გამოძიება სჭირდება. თქვენ იცით, რომ საზოგადოებისთვის არაფერია ცნობილი იმის შესახებ, როგორ მიმდინარეობს გამოძიება, ვინ არის დაკავებული, ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დამკვეთი. ჩვენ, ადამიანის უფლებათა დამცველებმა, ადვოკატებმა და დაინტერესებულმა პირებმა გავაკეთეთ კომენტარი და ვთქვით, რომ ეს არის ნულოვანი ტოლერანტობის პირდაპირი შედეგი და ვიცით, ვინ არის ამ ნულოვანი ტოლერანტობის ავტორი და გამხმოვანებელი, მაგრამ ბრალდების მიმართულება არ არის შესაბამისი. უნდა დაისაჯონ არა შემსრულებლები, არამედ დამკვეთები, ორგანიზატორები და იდეის სულისჩამდგმელები. ამიტომ ამ ქვეყანას მართლაც კრიტიკულად ესაჭიროება ისეთი სახალხო დამცველი, რომელსაც არ შეეშინდება ბრალდების წაყენება ამ ქვეყნის პირველი პირისთვის. მე თავს უფლებას ვაძლევ, სააკაშვილი დავადანაშაულო არა მარტო ასეთ დარბაზებსა და მედიაში, არამედ ჩემს საქმე-

ებში, რომლებიც გასაჩივრებული მაქვს სტრასბურგის სასამართლოში კარგა ხანია.

მართალია, სახალხო დამცველის შესახებ კანონში პირდაპირ არ წერია „გამოძიების უფლებამოსილება“, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ის უფლებამოსილება, რომელსაც კანონი აძლევს სახალხო დამცველს, მას აძლევს შესაძლებლობას, აქტიურად იმოქმედოს, შეისწავლოს, განიხილოს, გააანალიზოს საქმის მასალები, გამოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი, ასევე მოითხოვოს ახსნა-განმარტება ნებისმიერი პირისაგან. ეს არის სიტყვები, რომელიც ჩაწერილია კანონში. ხოლო ყოველი საჯარო პირი და თანამდებობის პირი ვალდებულია ყოველმხრივ ხელი შეუწყოს (ეს სიტყვები სხვა კანონში არ წერია) სახალხო დამცველის საქმიანობას. ამიტომ ეს არის უზარმაზარი შესაძლებლობა, რომელიც, ღრმად ვარ დარწმუნებული, აქამდე არ ყოფილა გამოყენებული ამ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. და თუ იქნება ის გამოყენებული, პირობას გაძლევთ, რომ ეს იქნება ძალიან კარგი შესაძლებლობა ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესაცვლელად.

ის ვიდეომასალა ჩვენთან ერთად ნახა მთელმა მსოფლიომ და ათეული წლები დაგვჭირდება მთელ საზოგადოებას იმისათვის, რომ ჩამოვირეცხოთ ის საშინელი რეპუტაცია, რომელიც ამის შედეგად შეგვექმნა მიუხედავად იმისა, ვმონაწილეობდით მასში რაიმე ფორმით თუ არა. ეს არის მთელი ერის, ქვეყნისა და საზოგადოების სირცხვილი და ვფიქრობ, რომ ეს შესაძლოა ამგვარად არ იყოს გაცნობიერებული ამ ეტაპზე.

ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ევროსასამართლოს 38 გადაწყვეტილებიდან საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, არცერთი სათანადოდ აღსრულებული არ გახლავთ. და სახალხო დამცველს ამისათვის არასდროს მიუქცევია ყურადღება. ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს მომავალი სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი, იმიტომ რომ უფლებადამცველები იმისათვის ვასაჩივრებთ საქმეებს სტრასბურგის სასამართლოში, რომ იმ პრეცედენტულმა გადაწყვეტილებამ შეცვალოს და აღადგინოს არა მარტო ჩვენი ერთი კონკრეტული კლიენტის დარღვეული უფლება, არამედ შეცვალოს ქვეყანაში სიტუაცია, კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომელმაც გამოიწვია ეს დარღვევა.

ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა, ვინ გახდება სახალხო დამცველი, საკმარისზე მეტი საზოგადოებრივი მხარდაჭერა უკვე არსებობს, რომ მან განახორციელოს ყველაზე თამამი და დაუჯერებული მოსაზრებები იმისათვის, რომ ამ ქვეყანაში ყველამ ერთად თავი ვიგრძნოთ უფრო მეტად დაცულად და აღარ ვიყოთ მომსწრე იმ საშინელი მოვლენებისა.

თამარ გურჩიანი – ციტატით დავიწყებ, რომელიც დაახლოებით 15 წლის წინ წავიკითხე საჯარო ბიბლიოთეკის გაყინულ სამკითხველო დარბაზში: „ჩვენთვის თავისთავად ცხადია ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანები შექმნილები არიან, როგორც თანასწორი არსებები, რომ მათ ღმერთმა მიანიჭა გარკვეული ხელშეუვალი უფლებები, როგორიც არის სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ ლტოლვა, რომ ამ უფლებათა განსამტკიცებლად იქმნებიან მთავრობები, რომლებიც თავიანთ კანონიერ ძალაუფლებას იღებენ იმათი თანხმობით, ვისაც ისინი განაგებენ. რომ თუ გამგებლობის რაიმე ფორმა ამ მიზნის შემლახავი გახდება, ხალხს ენიჭება უფლება, შეცვალოს ან გააუქმოს იგი და შექმნას ახალი მთავრობა. დააფუძნოს იგი ისეთ პრინციპებზე და ისეთი ძალაუფლებით აღჭურვოს, როგორიც მისი აზრით ყველაზე ხელსაყრელი იქნება მისი უსაფრთხოებისა და ბედნიერებისათვის“. ეს არის ციტატა ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციიდან, რომელიც მიღებულ იქნა 1776 წლის 4 ივლისს. დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი იურისტი ან უფლებადამცველი ასე არ დაიწყებდა თავის მოხსენებას, ის გაიხსენებდა ჯერ საფრანგეთის რევოლუციას, შემდეგ აუცილებლად შეეხებოდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიპეტიებს და დაასრულებდა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის საბჭოს რეგიონული მექანიზმით. მაგრამ ეს არ არის კლასიკური ლექცია ადამიანის უფლებათა შესახებ. ამას არ ვაპირებ დღეს. როგორც გულწრფელმა ადამიანმა, მინდა ჩემი დამოკიდებულების შესახებ მოგახსენოთ.

15 წლის წინ გავიაზრე ის, რომ ადამიანის სიცოცხლე, თანასწორობა და თავისუფლება და მისი სწრაფვა ბედნიერებისკენ არის სახელმწიფოს საზრისი. მე კიდევ უფრო შემძრა იმ ფაქტმა, რომ იმავე საჯარო ბიბლიოთეკის გაყინულ დარბაზში წავიკითხე და შევადარე ის 1918 წლის 26 მაისის ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტს, რომელიც გასაოცრად ემთხვევა ამერიკის

შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციას. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა“. არც 1918 და არც 1921 წელს ჩვენს დამფუძნებელ მამებს არ შეპარვიათ ეჭვი იმაში, რომ ადამიანის ღირსება, თანასწორობა და თავისუფლება წარმოადგენს სახელმწიფოსთვის ფუნდამენტს. მაგრამ თქვენ იცით, რომ 1921 წლის კონსტიტუციამ სულ რაღაც ოთხი დღე იცოცხლა. ძალიან დიდი დრო დავკარგეთ. ჩვენს ქვეყანას კი გააჩნია მრავალსაუკუნოვანი ისტორია, მაგრამ ჩვენი სახელმწიფო ძალიან ახალგაზრდაა. მე პირადად თერთმეტი წლის ვიყავი, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ამ დამოუკიდებლობის ოცდაერთი წლის განმავლობაში არასოდეს მინახავს ადამიანი პოლიტიკური იდეოლოგიის და ღირებულებათა სისტემის ცენტრში. არც არავისგან მომისმენია, რომ ადამიანს აქვს უფლება, ისწრაფოდეს ბედნიერებისკენ და სახელმწიფო იმისთვის უნდა არსებობდეს, რომ ადამიანმა თავისი პოტენციალი გამოიყენოს. ჩვენს ქვეყანაში ეს გასაგები მიზეზების გამო ხდებოდა. ჩვენ წინაშე ყოველთვის იდგა დილემა თავისუფლებისა და უსაფრთხოებისა, და ის ყოველთვის უსაფრთხოების სასარგებლოდ წყდებოდა.

ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი მოვიყვანე, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ის იდეალური ქვეყანაა. ეს არის ქვეყანა, რომელიც ჯერ კიდევ იყენებს სასჯელის ისეთ არაადამიანურ და უმკაცრეს ზომას, როგორიც არის სიკვდილით დასჯა. ამერიკის შეერთებულ შტატებს ხელი არა აქვს მოწერილი ბავშვის უფლებათა და ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციაზე, მაგრამ ამერიკა ნამდვილად არის სამაგალითო ქვეყანა, სადაც ხელისუფლების წონასწორობა გახდა შესაძლებელი. როგორც ბენჟამინ ფრანკლინი ამბობდა, „ის, ვინც თავისუფლებას შესწირავს უსაფრთხოებას, არც თავისუფლებას იმსახურებს და არც უსაფრთხოებას“. ბევრისთვის არის ეს გამონათქვამი გაუგებარი. ჩვენთვის თანაბრად მნიშვნელოვანია თავისუფლებაც და უსაფრთხოებაც. მაგრამ ამ ბალანსის შენარჩუნება ამ ორ ინტერესს შორის შესაძლებელია მხოლოდ ხელისუფლების დანაწილების შემთხვევაში, რაც ჩვენს სახელმწიფოში არ გვქონია.

სახალხო დამცველის ინსტიტუტი სწორედ იმიტომ შეიქმნა 1995 წელს, ჩვენს უკვე მოქმედ კონსტიტუციაში იმიტომ იქნა ის გათვალისწინებული, რომ ხელისუფლების დანაწილება, გაწონასწორება და კონტროლი ყოფილიყო შესაძლებელი. დღეს ვისმენთ სახალხო დამცველის ინსტიტუტის შეფასებებს და გასაგებია, რომ ძალიან დიდი მოლოდინი არსებობს ამ ინსტიტუტის მიმართ. მაგრამ ეს მოლოდინი ისევ იმ ტრავმას ეფუძნება, რაც გვქონდა წინა ხელისუფლების პირობებში, როდესაც ძალაუფლება კონცენტრირებული იყო ერთ ხელში, არ არსებობდა მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლო და არანაირ ფუნქციას არ ახორციელებდნენ გამოძიების და ზედამხედველობის ორგანოები. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, გასაგებია რატომ არსებობს ამ ინსტიტუტის მიმართ ასეთი მოთხოვნები. მაგრამ თავის დროზე ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციით გათვალისწინებული სახალხო დამცველი არ იყო ის, ვინც ყველა ფუნქციას თავის თავზე აიღებდა. ეს გახლდათ სახალხო დამცველი, რომელსაც უნდა ეკონტროლებინა და ზედამხედველობა გაეწია ადამიანის უფლებების დაცვაზე.

ზოგადად, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით კრიზისი, თუ შეიძლება ამას კრიზისი ეწოდოს, მსოფლიოში არსებობს. მილან კუნდერას ნათქვამი რომ გავიხსენოთ იმასთან დაკავშირებით, რომ „ყველა სურვილს ადამიანის უფლებას ვუწოდებთ“, საბოლოო ჯამში, ეს შინაარსისგან ცლის თავად ამ უფლებებს. როდესაც სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებზე ვაკეთებდი აქცენტს, ადამიანებს შევამჩნიე სკეპტიციზმი. ხალხი მადანაშაულებდა იმაში, რომ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებზე ხაზგასმა შეიძლება სწორედ იმას ნიშნავდეს, რომ გაუფასურება მოხდეს და როგორც პირველი ომბუდსმენი სარალიძე არაფერს აკეთებდა არცერთი უფლების, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკური უფლებების ნაწილში, იგივე განმეორდება. ეს ნიჰილიზმი ჩემთვის გასაგებია, მაგრამ თუ ჩვენ არ ავირჩიეთ სახალხო დამცველი, რომლისთვისაც თანაბრად პრიორიტეტული იქნება ყველა უფლება, მათ შორის, სოციალური და ეკონომიკური უფლებები, ის სისტემა არასოდეს დაინგრევა. იმიტომ რომ ის სწორედ იმაზე იდგა, რომ კონსტიტუცია არ იყო დაცული და კანონმდებლობას არავინ სცემდა პატივს.

ოპტიმისტური არ იქნება განცხადება, რომელსაც ახლა გავაკეთებ, მაგრამ სისტემა კიდევ შენარჩუნდება, თუკი მხოლოდ სახალხო დამცველზე გავაკე-

თეთ აქცენტი, თუკი მხოლოდ ამ თემაზე გვექნება ასეთი დისკუსიები. იმიტომ რომ კონტექსტი, რომელიც გვაქვს ქვეყანაში, სავალალოა. ჩვენ გვქონდა სასამართლო, რომელმაც საქმეების 93%-ისთვის გამამატყუნებელი განაჩენი მიიღო. საქმეების 50% იმით სრულდებოდა, რომ ადამიანები ციხეში მიდიოდნენ. ჩვენ გვყავს 25 ათასამდე პატიმარი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ეს, ბუნებრივია, აბსოლუტურად წარმოუდგენელი კონტექსტია, რაც თუ არ შეიცვალა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს შექმნით და პროკურატურის პოლიტიკური გავლენისგან გათავისუფლებით, არაფერი ეშველება. ამას სახალხო დამცველი საკუთარ თავზე ნამდვილად ვერ აიღებს. მაგრამ როდესაც ვამბობ, რომ არცერთი ადამიანი არ არის მეორეხარისხოვანი და ყველა პირველხარისხოვანია, ვგულისხმობ ზუსტად იმას, რასაც ვამბობ. იმიტომ რომ ჩვენ გვყავს მეორეხარისხოვანი ადამიანები, რომლებიც შეიძლება საპატიმროებში მყოფ 25 ათას ადამიანში არ შედიან, მაგრამ გვყავს 300 ათასი დევნილი, რომელთა საცხოვრებელი პირობები პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტებსაც არ აკმაყოფილებს.

ჩვენ გვყავს 152 ათასი სიღარიბის ზღვარს მყოფი ოჯახი. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ არ აქვთ საკვები და ელემენტარული საცხოვრებელი პირობები. ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს, როდესაც კონკრეტულ ადამიანებზე ციფრებით ვსაუბრობ, მაგრამ ეს რეალობაა. ამიტომ გვჭირდება სახალხო დამცველი, რომელიც ყველა ადამიანის ინტერესს თანაბრად დაიცავს, უფრო სწორად, ზედამხედველობას გაუწევს იმას, რომ სახელმწიფომ ყველა ადამიანის უფლება თანაბრად დაიცვას. მესმის, ისიც ძალიან კონტრავერსულია, როდესაც ვამბობ, რომ არ არსებობს პრიორიტეტი და პრიორიტეტი სწორედ მათ არარსებობაში მდგომარეობს. მაგრამ თუ ეს არ შეიცვალა, ჩვენს ქვეყანაში აღარაფერი შეიცვლება უკეთესობისკენ.

რაც შეეხება იმას, თუ რა უნდა გააკეთოს თავად სახალხო დამცველმა, ამაზე ჩემმა კოლეგებმა უკვე ისაუბრეს. პირველი, და ყველაზე მნიშვნელოვანი გარანტია, რაც სახალხო დამცველს სჭირდება, არის პოლიტიკური ნეიტრალიტეტი. სახალხო დამცველმა საკუთარი ქცევა უნდა აქციოს მაქსიმად სხვებისთვის. თუ ჩვენ ამ ეთიკური ნორმების და კანონმდებლობის დარღვევა დავიწყეთ, ვერასოდეს ვერ გავხდებით კარგი სახალხო დამცველები. მას ხმა უნდა მისცეს ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებულმა, მაგრამ იმ ასორმოც-

დაათმა პარლამენტარმა, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ. ვეთანხმები ქალბატონ ლიას, ჩვენი საზოგადოება დღეს ნამდვილად მეტს იმსახურებს, იმიტომ რომ მან არა მარტო აირჩია თავისი ხელისუფლება, არამედ იმიტომაც, რომ გააფთრებული იბრძოდა თავისი საარჩევნო ხმის დასაცავად. ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ასევე უპრეცედენტო შემთხვევა იყო.

სახალხო დამცველს უფრო მეტის გაკეთება შეუძლია. მე უკვე ვისაუბრე იმაზე, რომ მისი მიდგომა უნდა იყოს ისეთი, რომ ყველა უფლების მიმართ უნდა იყოს მგრძნობიარე. სახალხო დამცველმა ისეთივე ყურადღება უნდა მიაქციოს პატიმართა უფლებებს, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. ყველაზე დიდი საშინელება ის არის, რომ, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ სტატისტიკის მოპოვებაც კი შეუძლებელია.

სახალხო დამცველი ვერ გახდება ვერც გამომძიებელი, ვერც პროკურორი და ვერც მოსამართლე. მან თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უნდა იმოქმედოს. თუმცა ის უფრო პროაქტიური უნდა გახდეს. მაგალითად, როდესაც ვსაუბრობთ სიღატაკეზე, რომელშიც ცხოვრობენ ადამიანები, მათ შორის ბავშვები, გვჭირდება სახალხო დამცველი, რომელიც ბიუჯეტირების პროცესშიც იქნება ჩართული და სახელმწიფოს ამ ეტაპზეც აიძულებს ამ ფუნდამენტური უფლებების დაცვას. სახალხო დამცველმა ასევე უნდა ითანამშრომლოს პარლამენტთან. ვეთანხმები ჩემს კოლეგებს, ჩვენ გვაქვს კანონმდებლობა, რომელიც შესაცვლელია. და რაც ყველაზე მთავარია, ამ გარდამავალ ეტაპზე სახალხო დამცველმა ასევე არ უნდა დაუშვას ის, რომ იგივე შეცდომები გამეორდეს. მაგალითად, თუკი პოლიტიკური პატიმრები დაკავებულები არიან ზარის საფუძველზე, ისინი ასევე ზარის საფუძველზე არ უნდა გათავისუფლდნენ. სახალხო დამცველმა აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა იმ მექანიზმის შემუშავებაში, მაგალითად, ეს იქნება ახლადაღმოჩენილი გარემოებების საფუძველზე გარკვეული სამართლებრივი პროცედურის დაწყება. და შემდეგ აუცილებლად მონიტორინგი უნდა გაუწიოს იმას, რომ ეს ყველაფერი ნამდვილად კანონით გათვალისწინებული წესით მოხდება, ბუნებრივია, არცერთი უკანონო პატიმარი არ უნდა დარჩეს საპატიმროებში. ჩვენ არ უნდა დავტოვოთ ისინი იქ წუთების განმავლობაშიც კი. მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ პროცედურა ამ ეტაპზეც დაცული იყოს. ამიტომ ამას აუცილებლად უნდა

შეუწყოს ხელი სახალხო დამცველმა. სხვა კონკრეტულ თემებზე შეკითხვების დასმის შემდეგ ვისაუბრებ.

თაკო კაკაბაძე, „ახალი მემარჯვენეები“ – სამივე კანდიდატს ვუსვამ კითხვას. მაინტერესებს რა პრობლემებს გამოკვეთდით ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით. კანდიდატები ძირითადად მაინც სასჯელაღსრულების სისტემასა და სასამართლოზე საუბრობდნენ. ასევე მაინტერესებს თქვენი პოზიციები სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებით.

ნინია კაკაბაძე – „კავკასიის“ ეთერში, როდესაც სწორედ სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებით დაისვა შეკითხვა, ბატონი დიმიტრი ლორთქიფანიძე სწორედ ამას ამბობდა, რომ თამარ გურჩიანი არის მათი უფლებების დამცველი. მაშინ ბატონმა გელამ და ქალბატონმა ლიამ დიპლომატიურად აარიდეს თავი ამ თემაზე საუბარს. ამიტომ იქნებ დღეს უფრო კონკრეტულად ისაუბროთ. ბატონმა გელამ თქვა, რომ მას ძალიან ბევრი ჰომოსექსუალის უფლება აქვს დაცული და ამით თქვა, რომ ის არ ერჩის მათ.

ეკა ქრისტესაშვილი, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი – ვუბრუნდები ციხის თემას, იმიტომ რომ ძალიან დიდი ინტერესის სფეროა. მაინტერესებს, სახალხო დამცველობის კანდიდატები როგორ ხედავთ მონიტორინგის მექანიზმის გაუმჯობესების სქემას. მოგეხსენებათ, რომ სახალხო დამცველის მანდატი არის ეროვნული პრევენციის მექანიზმი, რომელიც ძალიან კარგად მუშაობდა. არაჩვეულებრივია სტაფი ჰყავს სახალხო დამცველის აპარატს, მაგრამ მაინც აღმოჩნდა, რომ ეს მექანიზმი არ იყო საკმარისი, იმიტომ რომ მთელი რიგი ფაქტები ზედაპირზე არ ამოსულა. ბიუჯეტის გაზრდა ძალიან სერიოზული პრობლემაა. რა ტიპის თანამშრომლობას ხედავთ სამოქალაქო საზოგადოებასთან. ამავე კონტექსტში თუ შეეხებით თემას, მადლობელი დავრჩები – ერთი კვირის წინ სასჯელაღსრულების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა 51 ადამიანის სია დადო, რომელთაც არა აქვთ მანდატი, ზუსტად როგორ და რა ვითარებაში უნდა დააკვირდნენ. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ მონიტორინგის უფრო სრულყოფილი მექანიზმი, რა რეკომენდაციით აპირებთ შესვლას მომავალ მინისტრთან.

და მეორე, ძალიან დიდი მადლობა თამარს, რომ ახსენეთ სოციალურ-ეკონომიკური უფლებები. თქვენ ასევე ახსენეთ ადეკვატური საცხოვრებლის უფლება. როგორ გეგმავთ კონკრეტულად უსახლკაროების თემის წინ წამოწევას. იმიტომ რომ ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ მისამართი, არ არსებობს მათი სტატისტიკა, ეს არის ყველაზე მარგინალური ჯგუფი, რომელიც იყინება ზამთარში, ზამთარი კი მოდის.

ირაკლი ვაჭარაძე, „იდენტობა“ – ბოლო პერიოდში ისეთი ტენდენცია გამოიკვეთა, რომ ადამიანის უფლებათა დამცველები საუბრობენ ადამიანის უფლებებზე, მაგრამ სამწუხაროდ გამორჩენილია ხოლმე კომპონენტი, რომელიც ეხება ადამიანის ღირსებას. მაინტერესებს, როგორ ხედავთ ადამიანის უფლებას ადამიანის ღირსებასთან დაპირისპირებაში და საერთოდ, რატომ არის ასეთი დამოკიდებულება.

მეორე კითხვა – იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე თქვენგანი გახდება სახალხო დამცველი, რა მექანიზმებს შემოგვთავაზებთ იმისთვის, რომ დაგვრჩეს თქვენთან ეფექტური კომუნიკაციის შესაძლებლობა.

თამარ ქებურია – შევა თუ არა კანონმდებლობაში ცვლილებები მასმედიით გავრცელებულ სიძულვილის ენასთან დაკავშირებით?

მანანა შარაშიძე, საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია – ათი წლის წინ სახალხო დამცველმა თქვა, რომ ის არ იცავს მანიაკის უფლებებს. მაშინ დაიჭირეს ადამიანი, რომელიც, შემდეგ გაირკვა, რომ სულაც არ იყო მანიაკი. მას შემდეგ ქურდებმა ყური მოაჭრეს, აწამებდნენ. ერთი წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ ადამიანმა თავი ვერ დაიცვა იმიტომ, რომ მას მწვავე ფსიქოზი ჰქონდა, ფსიქიკურად დაავადებული ადამიანია და ახლაც ჩვენთან იმყოფება. მანიაკის დაცვა არ იქნება პოპულარული. ის არ იქნება მოსაწონი არც ხელისუფლებისთვის, არც ხალხისთვის. რას გააკეთებთ ასეთ საკითხებთან დაკავშირებით.

ასევე მაინტერესებს, რა ცოდნა და გამოცდილება გაქვთ ფსიქიკურად დაავადებული ადამიანების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. მათი მკურნალობისთვის არ არის სათანადო პირობები. როგორ წარმოგიდგენიათ, ხომ

არ გეყოლებათ ომბდუსმენის აპარატში ადამიანი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ საკითხებზე.

რუსუდან გოცირიძე, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია – რელიგიურ უფლებებზე არაფერი თქმულა და მაინტერესებს თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. როგორ აპირებთ რელიგიური უფლებების დაცვას, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც კულტურის მომავალმა მინისტრმა უკვე გამოთქვა ინიციატივა, რომ შეიქმნას კომისია კულტურის ძეგლებთან დაკავშირებით. თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე, და როგორ აპირებთ თანამშრომლობას [სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ] რელიგიისა და ეთნიკური უმცირესობების საბჭოსთან.

ბაია პატარაია, იურისტი – ქალბატონ ლიასთან მაქვს კითხვა. თქვენ ბრძანეთ, რომ ნახევარზე მეტი, ანუ 12-13 ათასი პატიმარი ახლავე გამოსაშვებია ციხიდან. ეს ძალიან სერიოზული განცხადებაა, იმიტომ რომ თავისთავად ძალიან სერიოზული პროცესია. რაზე დაყრდნობით, რა კრიტერიუმებით იქნებიან შერჩეულები ეს ადამიანები. სასჯელის მოხდას ხომ აქვს თავისი მიზნები და ნაწილები. არიან ეს ადამიანები მზად გათავისუფლებისთვის?

დავით შუბლაძე – „ასავალ-დასავალის“ 2012 წლის 2 თებერვლის ნომერი – „თუნდაც ჰომოსექსუალი ან იეღოველი თავის იდეებს თუ ძალით ახვევს ვინმეს ან ოჯახში უვარდება მოქალაქეს, სრული იურიდიული უფლება აქვს ხელისკვრით მოიშოროს და ამის გამო ის კანონმა არ უნდა გაამტყუნოს“. თქვენგან, იურისტისა და უფლებადამცველისგან, რამდენად მართებულია ასეთი კომენტარების გაკეთება. ამით, ჩემი აზრით, მოქალაქეებს ძალადობისკენ უბიძგებთ, ირიბად მაინც.

თამარ შოშიაშვილი – მე გახლავართ ასოციაცია „ნერგის“ დამფუძნებელი. ეს არის ბავშვთა სახლის ექიმთა ასოციაცია, რომელიც 2009 წელს დაფუძნდა. ვარ ბავშვთა სახლის ყოფილი ექიმი და ამ სისტემას აქტიურად ვადევნებდი თვალს. სახალხო დამცველის მიერ შუქდებოდა ეს სისტემა, მაგრამ ბოლო წლებში განსხვავებული სახელმწიფო პროგრამა წამოვიდა. ეს არის სახელმწი-

ფო ბავშვთა სახლების გაუქმება და ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლების შექმნა და ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნება. რეკომენდაციის სახით ვიტყოდი, რომ საჭიროა მონიტორინგი. ძალიან დაბალი სოციალური მდგომარეობის ოჯახებში ბავშვების დაბრუნება რამდენად უწყობს ხელს ამ ბავშვების უფლებებს? რამდენად აქვთ მათ სწავლის, განათლების საშუალება. ხომ არ მივა სახელმწიფო ისევ ძველი სისტემის აღდგენამდე. დამერწმუნეთ, იქ არც ისეთი საშინელი სიტუაცია იყო.

მეორე საკითხია ხანდაზმულთა უფლებები. ვარ იმის შემსწრე, როგორ შეიძლება უნებართვოდ იყოს განკარგული ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსიები ახლობელთა და ოჯახის მიერ. ცალკე საკითხია მემკვიდრეობის განკარგვა.

კობა ნადირაძე – ერთადერთი, ქალბატონმა თამარმა მოახერხა, ეხსენებინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები. მაინტერესებს არა ის, რამდენად ნაცნობია თქვენთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები და უფლებები, თუმცა ესეც საინტერესოა, არამედ ის, რამდენად პრიორიტეტულია ეს თემა თქვენთვის. სახალხო დამცველის ანგარიშს თუ გადავხედავთ, იქ საუბარია შეზღუდვებზე, იზოლაციაზე დანარჩენი საზოგადოებისგან.

ანა არგანაშვილი – მინდა გთხოვოთ გაგვიკრიტიკოთ ერთი ეპიზოდი თქვენი პროფესიული გამოცდილებიდან.

გელა ნიკოლაიშვილი – ბრძანეთ, რომ ომბუდსმენს ძალიან დიდი ძალაუფლება აქვს, მაგრამ ეს პირობითია. ალბათ ბევრმა იცის ვაცლავ ჰაველის წერილი „ძალა უძალოთა“, ეს ის ძალაა, რომელსაც რეალური ძალა კი არა აქვს, მისი ძალა სხვა რამეში მდგომარეობს და ალბათ თქვენც ამას გულისხმობდით. ეს ძალა უნდა იყოს თავად სახალხო დამცველი, მისი აპარატი და მისი ავტორიტეტი.

კვლევებს რაც შეეხება, ვეთანხმები, რომ უნდა ტარდებოდეს. რატომ უნდა იყოს პატიმართა უფლებები პრიორიტეტი, ასევე უნდა იყოს პრიორიტეტი ჯარისკაცთა უფლებებიცო, გიპასუხებთ, ერთადერთი მიზეზის გამო,

რომ ისინი არიან სივრცეში, სადაც თავისუფლება შეზღუდული აქვთ. ნებისმიერი სხვა ადამიანი თავისუფალ, საჯარო სივრცეში იმყოფება. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები, რა თქმა უნდა, პრიორიტეტულია, მაგრამ ისინი უფლებაშეზღუდულები არიან თავისი არსით, მდგომარეობით.

სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებში სწორედ უსახლკაროების უფლებას გამოვყოფდი, რაზეც სახალხო დამცველს ნამდვილად შეუძლია ზემოქმედება, თუნდაც უსახლკაროთა თავშესაფრების გახსნის თვალსაზრისით. სხვა მხრივ, სოციალურ-ეკონომიკური უფლებების გაუმჯობესებაზე პირდაპირი ზემოქმედება სახალხო დამცველს არ შეუძლია. ეს ბიუჯეტის საქმეა, მას კი სახალხო დამცველი არ ადგენს.

რა თქმა უნდა, მისახედია შრომის უფლება. ჩვენი შრომის კოდექსი ფაქტობრივად მონობის კოდექსია, რომლის მიხედვითაც დამქირავებელს ყველაფრის უფლება აქვს, დაქირავებულს კი – არაფრის.

სიძულვილის ენა, რა თქმა უნდა, მიუღებელია, განსაკუთრებით ჟურნალისტების საქმიანობაში. რელიგიური უფლებებიც, რა თქმა უნდა, დასაცავია.

ლია მუხაშავრია – დავიწყებ ყველაზე მწვავე შეკითხვიდან, თუ რა დამოკიდებულება მაქვს სექსუალური უმცირესობების მიმართ. აქ იმყოფება ბატონი ირაკლი ვაჭარაძე, რომელიც არ მაპატიებს, თუ რაიმე არასწორს ვიტყვი, მასთან მქონდა შეხვედრა და საუბარი და მაშინაც შევთავაზე, რომ თუ აქვთ კონკრეტული საქმე ამგვარი უფლების დარღვევის, მზად ვარ დავიცვა ამ ადამიანის უფლება. ამის თქმის საბაბს და საფუძველს მაძლევს ის, რომ ჩემი 25-წლიანი საადვოკატო და უფლებადაცვითი საქმიანობის განმავლობაში ეს რამდენჯერმე გამიკეთებია და ამის შესახებ არის ინფორმაცია, რა თქმა უნდა, კონკრეტულ მაგალითებს არ დავასახელებ. გარდა ამისა, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ვმუშაობდი სწავლის დასრულების შემდეგ, კვაკერებთან, ფილადელფიაში, ვთანამშრომლობდი ლესბოსურ ჯგუფთან, რომელიც მუშაობდა აფროამერიკელი ქალების მიმართ სქესობრივი ძალადობის ფაქტებზე და ამის შესახებაც ცნობილია საზოგადოებისთვის. ამ ეპიზოდზე ვისაუბრე ინტერვიუში ჟურნალ „ცხელ შოკოლადში“. ამიტომ მივიჩნიე, რომ აღარ იყო საჭირო დამატებით ამ თემაზე კიდევ მესაუბრა. მით

უმეტეს, რომ „კავკასიაში“ ვერ მოვიპოვებდი ამ უფლებას გაცხარებული დებატების ფონზე.

სწორედ იმიტომ ვარ უფლებადამცველი, რომ დავამტკიცო ამ ქვეყანაში, რომ ჩემისთანა ზომის ქალებს შეუძლიათ წარმატებით დაიცვან ძალიან ზორბა მამაკაცების უფლებები ძალიან დიდი წარმატებით და, მათ შორის, ორი მთავრობის წინააღმდეგ. მაქვს პატივი, ევროსასამართლოში დამეცვა ცამეტი ჩეჩენი მამაკაცი, „ტერორისტი“, როგორც მათ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი უწოდებდა, სწორედ იმისაგან, რომ მათი ფუნდამენტური უფლებები დაარღვიეს.

რაც შეეხება მწვავე კითხვას ქალბატონ ბაია პატარაიასგან. ქალბატონი ბაია თვითონ არის პროკურორი, იუსტიციის სამინისტროს საჯარო მოხელე, და ძალიან კარგად მესმის მისი რიტორიკა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ პატიმრების რაოდენობა 10 ათასიც რომ დარჩეს, ჩვენი სასჯელაღსრულების სისტემას გაუჭირდება მათი მოვლა. იმიტომ რომ, გარწმუნებთ, ძალიან ბევრი შემთხვევა ვიცი, როდესაც, თუ შეკრების პრინციპი გაუქმდება და ამის საფუძველზე გადაისინჯება საქმეები, არარეალისტური იქნება, რომ მხოლოდ 5 ათასი ადამიანი გამოვიდეს ციხიდან. გარწმუნებთ, რომ თუ გადამოწმდება მათი ჯამრთელობის მდგომარეობა, მინიმუმ 5 ათასი დაემატება. და თუ გადამოწმდება, წამების შედეგად რამდენს აქვს შერყეული ჯანმრთელობა, წამების პროცედურა კი სამწუხაროდ ყველამ გაიარა 2006 წლიდან გლდანის მე-8 საპყრობილეში, და სახელმწიფომ თუ აღიარა ეს უბედურება, ახალმა ხელისუფლებამაც, რომელმაც ამომრჩეველთა ხმები სწორედ იმის გამო მოიპოვა, რომ საზოგადოება მაშინ არ იყო დარწმუნებული ვისთვის მიეცა ხმა, და ხმა „ქართულ ოცნებას“ მხოლოდ იმიტომ მისცა, რომ მოელოდა, რომ წამების მსხვერპლები გათავისუფლდებოდნენ, კეთილი ინებოს და ანგარიში გაუწიოს თავის ამომრჩეველს. მე კი, როგორც იურისტი, გეუბნებით, რომ წამების შედეგად მიღებული ჩვენება და მტკიცებულება დაუშვებელია. ხოლო რადგან ეს გლდანში ხდებოდა, ანუ გამოძიების ეტაპზე, ყველა ის პირი, ვისი განაჩენის საფუძვლადაც არის მათი ჩვენება ან საპროცესო შეთანხმებაზე მათი ხელმოწერილი დოკუმენტი, ყველა დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. უნდა გადაისინჯოს როგორც ახლადგამოვლენილი გარემოება და იხელმძღვანელოს გაეროს კონვენციით, წამების

წინააღმდეგ ევროპული კონვენციით და დაადგინოს ეს ფაქტი. სხვაგვარად ეს სახელმწიფო ამ სირცხვილს ვერ მოიშორებს. გარწმუნებთ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ამას მივაღწიო და ყველგან მივიტანო ამ ხმას საერთაშორისო ასპარეზზე. მე იმას ვემხრობი, რომ ნებისმიერ ფასად დასრულდეს ამ ქვეყანაში ადამიანების წამება და თუ ვინმეს ეშინია, რომ კრიმინოგენური სიტუაცია შეიცვლება, წამება გაცილებით უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე ციხიდან გამოსულის მიერ ჩადენილი თუნდაც მკვლელობა. თუ გინდათ, ვიდავოთ ამ საკითხზე.

შრომითი უფლებები. ძალიან კარგად ვიცი ILO-ს [შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია] შესახებ. ისიც ვიცი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ძალიან სერიოზული პრეტენზიები აქვს ჩვენს მთავრობასთან იმის გამო, რომ არ ვასრულებთ შრომის საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. და შეიძლება სერიოზული საერთაშორისო პრობლემები შეგვექმნას იმის გამო, რომ არ ვასრულებთ დადგენილ სტანდარტებს, რომელიც მინიმალურია. ამიტომ, ყოფილი სახალხო დამცველისაგან განსხვავებით, ვფიქრობ, რომ შრომითი უფლებები და უსაფრთხოება სწორედაც რომ არის სახალხო დამცველის მანდატი და თუ მე ვიქნები სახალხო დამცველი, გარწმუნებთ, რომ ამ უფლებების დასაცავად ვიბრძოლებ.

რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, მე მაქვს გასაჩივრებული საქმე „ჭაღიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც დასრულებულია ევროსასამართლოში. ეს გახლავთ საქმე იმის შესახებ, როგორია კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ. ჭაღიაშვილი გახლავთ პირველი ჯგუფის ინვალიდი. ის 1989 წლის აპრილის ბოლოს ჩააგდო გამცილებელმა მატარებლიდან, მატარებლის ქვეშ მოყვა და ორივე კიდური დაკარგა. ეს არის ჩემი ასაკის ახალგაზრდა კაცი, რომელიც 1989 წელს, 23 წლის ასაკში გახდა პირველი ჯგუფის ინვალიდი. დეტალურად აღვწერე, რა გააკეთა სახელმწიფომ მის მიმართ. პოლიტიკოსების დღის წესრიგში დაზღვევა-ჯანმრთელობის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საქმეების წინ წამოწევა ჭაღიაშვილის საქმეზეა მიბმული, იმიტომ რომ დღეს უნდა გამოვიდეს ეს გადაწყვეტილება და გთხოვთ თვალყური მიადევნოთ ევროსასამართლოს პრაქტიკას ამასთან დაკავშირებით.

მთელი ჩემი მოსწრება ვიცავდი და ვიცავ ჟურნალისტებს, მაგრამ დღევანდელი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კანონის პირობებში, როდესაც შეუძლებელია სასამართლოში უჩივლო ჟურნალისტს და მოუგო საქმე, ასეთი გახლავთ კანონმდებლობა და ასეთია პრაქტიკა, ამან გამოიწვია მედიის გაყვითლების პროცესი. ამიტომ ეს საკითხები ძალიან სერიოზულად არის დასარეგულირებელი. ამან გამოიწვია ის, რომ ასე მომრავლდა ჩვენში სიძულვილის ენის გამოხატვა მედიაში. ვფიქრობ, სახალხო დამცველი ყოველ ჯერზე ინდივიდუალურად უნდა გამოეხმაუროს სიძულვილის ენის გამოხატვის ფაქტებს. თუმცა მარტო სახალხო დამცველის გამოხმაურება არ იქნება საკმარისი. მე ვფიქრობ, რომ იმისათვის, რათა დამკვიდრდეს ქვეყანაში ურთიერთპატივისცემა, ურთიერთსიყვარული და ურთიერთმიმტევებლობა, ამ საკითხში უნდა ჩაერთოს ეკლესია. ჩემი აზრით, ეს არის ყველა ეკლესიის და კონფესიის უპირველესი მოვალეობა.

აღმსარებლობის თავისუფლებაზეც შემიძლია ვთქვა ორიოდე სიტყვა. მე ვიცავდი ევანგელისტებს 1997 წელს ჩვეულებრივ სასამართლოში. შემდეგ მოვიგეთ ერთად „ნინო და ზაალ ტყეშელაშვილები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სწორედ შეკრებებისა და მანიფესტაციების კანონის ორი მუხლის ანტიკონსტიტუციურად ცნობის საქმე. შეგიძლიათ მას გაეცნოთ საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე. ასე რომ, ჩემთვის რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა სიახლე არ გახლავთ.

რაც შეეძლება ფსიქიკურად დაავადებული პაციენტების უფლებების დაცვას, ვიცი, რომ ეს უზარმაზარი პრობლემაა. მჭიდროდ ვთანამშრომლობ „ემპათიასთან“ და „წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრთან“. მათთან ვაგზავნით წამების მსხვერპლებს და ისინი ამზადებენ შესაბამის დასკვნებს სტამბოლის ოქმის მიხედვით. ყველა საერთაშორისო სტანდარტი უნდა იყოს გამოყენებული და ის პროცედურები, რომლებიც არღვევს ფსიქიკური ავადმყოფების უფლებებს, უნდა იყოს ამოქმედებული რეალობაში. სრულად გეთანხმებით და თუ მექნება ამის შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, ვითანამშრომლებ, იმიტომ რომ წამების საკითხების მტკიცება და მათი წარმატებით დასრულება იურისტისთვის შეუძლებელია ექიმებისა და სამედიცინო პროფესიების ადამიანებთან თანამშრომლობის გარეშე.

თამარ გურჩიანი – დავიწყებ ანა არგანაშვილის კითხვით, რომელიც ჩემთვის ყველაზე მძიმე კითხვაა. ასე ვთარგმნიდი ამ კითხვას – რა არის ჩემი შიშები. ისევ კუნდერას რომ დავუბრუნდეთ, როგორ შეიძლება უფლება შინაარსისგან დისტანცირდეს, ეს არის ჩემი პრობლემა. ერთი კვირაა, რაც ამ დისკუსიებში ვმონაწილეობ და სულ უფრო მეშინია, რომ თანდათან ვხდები ნაკლებად მგრძნობიარე და ეს ჩემს წინაშე ძალიან დიდი გამოწვევა იქნება.

მინდა ქალბატონ მანანას შევეხმიანო, რომელმაც იკითხა, რა გამოცდილება გვაქვს ფსიქიკურად დაავადებული ადამიანების დაცვის სფეროში. უნდა ვაღიაროთ, რომ რაღაც საკითხებზე არ გვექნება ინფორმაცია და გამოცდილება. მე არ მაქვს გამოცდილება ამ სფეროში, მაგრამ ქალბატონმა მანანამ თავად უპასუხა კითხვას, როდესაც იკითხა, ვაპირებთ თუ არა, რომ გვყავდეს ჯგუფი სპეციალისტებისა. სახალხო დამცველს თუ ექნება პრეტენზია, რომ ყველაფერი იცის, ის, ჩემი აზრით, ცუდი სახალხო დამცველი იქნება.

ბატონ კობასთან მქონდა საუბარი, ბევრს ჰგონია, რომ სოციალურ ქსელებში რომ ლანძღვა-გინების კორიანტელს აყენებს, ჩვენ არ ვრეაგირებთ ამაზე. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვასთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებაზეც იგივე პასუხი მაქვს. მე შეიძლება აქამდე რაღაც უფლებაზე ვიყავი კონცენტრირებული. უკვე სახალხო დამცველი უნდა იყო, რომ ყველა უფლებაზე გქონდეს ნამუშევარი. მთავარი ის არის, რომ ყოველთვის ღია ვიქნები იმისათვის, რომ ვისწავლო. ვიცი, ეს ცუდად ჟღერს, მაგრამ ჩვენ ყველა ვსწავლობთ. მზად ვიქნები დავეყრდნო ადამიანებს, რომლებმაც უკეთესად იციან. სახალხო დამცველის ინსტიტუტი კი არის მონოკრატიული ინსტიტუტი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთი ადამიანი წერს ანგარიშებს. სახალხო დამცველის ანგარიშებს მისი აპარატი წერს. ბატონ კობასაც ეს ვუთხარი, რომ ყოველთვის ღია ვიქნებოდი და არავის მოვატყუებდი. ვიცი, რომ თავდაჯერებულები უნდა ვიყოთ, მაგრამ ჯობია არასოდეს მოვიტყუოთ, რომ რაღაცაზე უფრო მეტი ინფორმაცია გვაქვს, ვიდრე რეალურად გვაქვს.

რაც შეეხება „ასავალ-დასავალს“ და სიძულვილის ენას, პირადად მე სიტყვის თავისუფლების მომხრე უფრო ვარ, თუმცა აბსოლუტურად არ ვეთანხმები ძალადობის პროპაგანდას და სახელმწიფომ ყველა ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ ყველა ადამიანის უსაფრთხოება გარანტირებული იყოს. არის კითხვები, რომელზეც ცალსახა პასუხები არ ექნება სახალხო დამცველს და ესეც არის

გამოწვევა და შიში. ეს არის ის საკითხი, რაზეც ცალსახა პასუხი არ მაქვს. იმიტომ რომ მთელი ჩემი არსებით სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მომხრე ვარ და მეშინია იმ შედეგების, რაც შეიძლება შეზღუდვამ მოიტანოს.

ბაია პატარაიას კითხვას ეკა ქრისტესაშვილის კითხვას დავუკავშირებდი. რა თქმა უნდა, არცერთ წუთს არ უნდა ატარებდეს პატიმარი ციხეში, თუ ის უკანონოდ არის დაპატიმრებული, მაგრამ აუცილებლად გვჭირდება პროცედურები იმისათვის, რომ ისინი კანონით დადგენილი წესით გათავისუფლდნენ. როგორც დაუშვებელია კოლექტიური დასჯა, ისევე დაუშვებელია კოლექტიური გასამართლება და იცით, რატომ? იმიტომ რომ სამართალში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპი გვაქვს. ყველა საქმე ინდივიდუალურად უნდა გადაისინჯოს. აბსოლუტურად ცხადი მექანიზმი უნდა არსებობდეს. თუ ადამიანი ზარის საფუძველზე დააკავეს, ზარის საფუძველზევე არ უნდა გათავისუფლდეს. რაც შეეხება იმას, რამდენად ეფექტურია მონიტორინგის მექანიზმი და, ზოგადად, ციხის თემას რომ მივუბრუნდეთ, რისთვის მიდიან ადამიანები ციხეში? იმისთვის, რომ მათი რესოციალიზაცია მოხდეს. ისინი უკან უნდა დაგვიბრუნდნენ.

ეკას მეორე კითხვა ადეკვატური საცხოვრებლის უფლებას ეხებოდა. ადეკვატური საცხოვრებლის უფლება არის საკვები, ტანსაცმელი, თავშესაფარი. თავშესაფარზე უკვე ითქვა და ვეთანხმები ბატონ გელას. სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს. არის საუბარი ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობაზე, არიან ადამიანები, რომლებიც საერთოდ ფიქრობენ, რომ ყველამ თვითონ უნდა მიხედოს საკუთარ თავს, მათ შორის, ხანდაზმულებმაც და ბავშვებმაც, მაგრამ ბუნებრივია ამას არ ვეთანხმები. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ის, რომ ადამიანები ადამიანურ პირობებში იმყოფებოდნენ.

თაკო კაკაბაძემ იკითხა ქალთა და ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე. ეს საკითხი ჩემთვის განსაკუთრებით მტკივნეულია. სახალხო დამცველის ანგარიშებში ვხვდებით ოჯახში ძალადობის შესახებ ჩანაწერებს, მაგრამ ქალთა უფლებრივ მდგომარეობაზე არა გვაქვს ადეკვატური პასუხები. მოგეხსენებათ, იყო დრო, როცა გაეროში მიდიოდა ანგარიშები, სადაც ეწერა, რომ ქალის უფლებები არ ირღვევა, იმიტომ რომ ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში ქალი მეფე გვყავდა. ქალების დისკრიმინაციას განსაკუთრებით ვხვდებით შრომითი უფლებების კონტექსტში. სახალხო დამცველმა ამ საკითხსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს. პირველ რიგში, ის სოციალური სტერეოტიპები უნდა დაიძლიოს, რაც გვაქვს ქალების წინააღმდეგ.

საბჭოთა წარსულის გააზრება:
კოლექტიური მეხსიერება და იდენტობა

ადამიანი და ადამიანობის სივრცე ტოტალურ ერთობაში: რა ცოდნას გვაძლევს არქივები

მომხსენებლები:

ვალენტინ გეფტერი
ადამიანის უფლებების ინსტიტუტი / რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან არსებული სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და ადამიანის უფლებების საბჭოს წევრი (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია)

დავით ჯიშკარიანი
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (თბილისი, საქართველო)

ირაკლი ხვადაგიანი
საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია (თბილისი, საქართველო)

ირინა ოსიპოვა
სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საერთაშორისო საზოგადოება „მემორიალი“ (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია)

ომარ თუშურაშვილი
შსს არქივის დირექტორი (თბილისი, საქართველო)

მოდერატორი:

ლაშა ბაქრაძე

12 ივლისი, 2012

ლაშა ბაქრაძე – საქართველოში ხშირად გვგონია, რომ რუსეთში არქივებში მუშაობა უფრო გაძნელებულია, ვიდრე საქართველოში. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ჩვენთან მუშაობა უფრო იოლია, რუსეთში გამოდის უამრავი კრებული, დოკუმენტი, ძალიან საინტერესო წიგნები საბჭოთა კავშირის ისტორიაზე, საქართველოში კი ამ მიმართულებით არაფერი კეთდება. ერთადერთი, შსს არქივის დირექტორი, ომარ თუშურაშვილი გამოსცემს ჟურნალს, სადაც იბეჭდება საინტერესო დოკუმენტები, მაგრამ ცალკე სერიოზული კრებულები ამ თემაზე, თითებზე ჩამოსათვლელი თუ გვექნება.

ვალენტინ გეფტერი – ჩვენ წარმოვადგენთ ფონდს „მემორიალი", რომელიც დაარსდა 1988 წლის ბოლოს, 1989 წლის დასაწყისში. მისი მთავარი ამოცანა იყო საბჭოთა ტოტალიტარიზმის პერიოდში რეპრესირებულთა ხსოვნის უკვდავყოფა და იმ ადამიანების დახმარება, ვინც გახდა ამ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი, დარწმუნებული ვარ, ამ ადამიანების ნაწილი ჯერ კიდევ ცოცხალია, მათიც, ვინც პოლიტიკური ტერორის არაპირდაპირი მსხვერპლი იყო და რეპრესირებულთა შვილები არიან. „მემორიალი" თავიდან დაფუძნდა, როგორც მოსკოვური ორგანიზაცია, შემდეგ როგორც რუსეთის, ახლა კი იგი საერთაშორისო ორგანიზაციაა. მასში გაერთიანებულნი არიან „მემორიალის" წევრები ისეთი ქვეყნებიდან, როგორიც არის ლატვია, ყაზახეთი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, უკრაინა, ასევე რუსეთის ფარგლებში არსებული ორგანიზაციების ან ცალკეული ჯგუფების წარმომადგენლები. არ არის აუცილებელი იურიდიული სტატუსი ჰქონდეთ. არიან ახალგაზრდა ადამიანებიც, რომლებიც მუშაობენ ამ თემებზე.

წლევანდელ ზაფხულამდე, ოთხი წლის განმავლობაში, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და ადამიანის უფლებების რუსეთის პრეზიდენტთან არსებულ საბჭოში ვმუშაობდი, საიდანაც შეიძლება ითქვას, რომ პერმანენტული გამოსვლის სტადიაში ვარ. რაც უფრო ცუდად იქცევა ხელისუფლება სამოქალაქო საზოგადოებისა და ადამიანის უფლებების კუთხით, მით მეტად გამოვდივარ იქიდან. ვფიქრობ, მოსკოვში რომ დავბრუნდები, დავწერ განცხადებას „გთხოვთ გამათავისუფლოთ დაკავებული თანამდებობიდან". ეს რასაკვირველია ხუმრობაა. საბჭოში მედვედევის პრეზიდენტობის ბოლო პერიოდისთვის დაახლოებით ორმოცამდე ადამიანი ვიყავით. ჩვენ იქ არაფერს

გამოვიმუშავებდით, მხოლოდ ვხარჯავდით დროს და ნერვებს იმისათვის, რათა ცოტათი მაინც გაგვეკეთილშობილებინა ჩვენი ხელისუფლება სამოქალაქო საზოგადოების გავლენისა და კანონის უზენაესობის თვალსაზრისით. როგორ ვახერხებთ ამას, გამიჭირდება ამის შეფასება, თავადაც თვალს ადევნებთ რუსეთში მიმდინარე პროცესებს. შეგვიძლია დისკუსიის დასრულების შემდეგ არაფორმალურად ამ თემაზეც ვისაუბროთ.

ის, რასაც ორგანიზაცია „მემორიალი“ მთელი ამ ოცი წლის განმავლობაში აკეთებდა, მთლიანად საზოგადოებრივ საწყისებზე იყო დამყარებული. ორგანიზაციის ვრცელი სახელწოდება ასეთია: „სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საზოგადოება „მემორიალი“. დასახელებული ორი მიმართულება გულისხმობს მუშაობას საზოგადოებაზე, ეს არის, პირველ რიგში, სოციალური და უფლებრივი მხარდაჭერა საბჭოთა პერიოდში რეპრესირებულთა მიმართ. ხოლო მესამე მიმართულება, რომელშიც 90-იან წლებში მე ვმუშაობდი, იყო უფლებადაცვითი ცენტრი „მემორიალი“, რომელიც თანამედროვე უფლებრივ საკითხებს სწავლობს, ძირითადად, რუსეთის ტერიტორიაზე, მაგრამ 90-იან წლებში ჩვენ მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცეს შევისწავლიდით. სწორედ იმ პერიოდში ვიმყოფებოდი საქართველოში პოლიტპატიმრებთან და პოლიტიკურ დევნასთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად. ეს სამი მიმართულებაა, მაგრამ დღეს მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით მიმართულებაზე ვისაუბრებ, რომელიც წარმოადგენს კიდეც ამ ორგანიზაციის უმთავრეს მიმართულებას.

როგორც მოგახსენეთ, ეს ორგანიზაცია საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდა, იყო შემთხვევები, როდესაც ცალკეულ რეგიონებში მათ დახმარებას აღმოუჩენდა ადგილობრივი ხელისუფლება, ან ბიზნესის სფერო, ან ცალკეული ადამიანები სამეცნიერო წრეებიდან. ოცი წლის საქმიანობის შემდეგ ალბათ გვაქვს უფლება, ვთქვათ, რომ წარმატებებსაც მივაღწიეთ, თუმცა რაღაცები ჯერ კიდევ არის გასაკეთებელი, იყო წარუმატებლობაც, განსაკუთრებით მემარცხენე კომუნისტური წრეების შემოტევების გამო. კი მაგრამ, რამდენ ხანს შეიძლება, ეს საქმიანობა, ამ ადამიანების ხსოვნის უკვდავყოფა, ტოტალიტარული წარსულის შეფასება ეფუძნებოდეს მხოლოდ საზოგადოებრივ მცდელობებს. მივედით იმ დასკვნამდე, და ეს პრეზიდენტთან არსებული საბჭოს მეშვეობით მივიტანეთ პრეზიდენტამდე და საზოგადოებამდე, რომ დროა, ამ

საქმიანობას სახელმწიფოც შეუერთდეს სისტემურად, და შეასრულოს თავისი აუცილებელი ფუნქცია.

რა არის პირველ რიგში გასაკეთებელი – ამდენი ხნის განმავლობაში ქვეყანაში არ არის ტოტალიტარული რეპრესიების მსხვერპლთა სახელმწიფო მემორიალი. არის მთელი ქვეყნის მასშტაბით ცალკეული ქანდაკებები იმ ადგილებზე, სადაც ეწყობოდა დახვრეტა, სადაც იყო განლაგებული საკონცენტრაციო ბანაკები, მაგრამ საერთოეროვნული მემორიალი, სამწუხაროდ, არ არსებობს. იყო მცდელობები, მაგრამ ახლა ამაზე აღარაფერს ვიტყვი. ალბათ მოგეხსენებათ, მოსკოვში არის ისტორიული ადგილი ლუბიანკა. მე არ ვგულისხმობ იქ განლაგებულ „კგბ"-ს და „ფსბ"-ს შენობებს, არამედ თვითონ მოედანს. იქ, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, პატარა სკვერში, დევს სოლოვეცკის ქვა. ეს ქვა ენთუზიასტების ძალისხმევით სოლოვეცკის კუნძულებიდან იქნა ჩამოტანილი, სადაც საბჭოთა პერიოდის პირველი საკონცენტრაციო ბანაკი იყო. ეს ქვა დაიდო, როგორც სამახსოვრო ნიშანი, ყველას მოგეხსენებათ, რისიც. გაჩნდა ერთი საამაყო ტრადიცია, ყოველ 30 ოქტომბერს იქ ვიკრიბებით, ეს თარიღი ჯერ კიდევ 1990 წლიდან რსფსრ-ს უმაღლესი საბჭოს მიერ არის დამტკიცებული პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა დღედ. ადრე ეს იყო პოლიტიკური პატიმრების დღე საბჭოთა კავშირში, რომელიც ბანაკებში მყოფმა დისიდენტებმა მოიგონეს. შემდეგ კი საერთო-სახელმწიფოებრივ დღედ გადაიქცა. აი, სწორედ ამ დღეს ვიკრიბებით ლუბიანკაზე, სოლოვეცკის ქვასთან და დილის 10 საათიდან ღამის 10 საათამდე ყველა მომსვლელი კითხულობს რეპრესირებულთა გვარებს და ამ ადამიანების მოკლე ბიოგრაფიას, იმ სიებიდან, მონაცემთა ბაზიდან, რომელიც ამ წლების განმავლობაში „მემორიალმა" შეაგროვა. იმ ადამიანების რაოდენობა, რომელსაც უმაღლესი სასჯელი – დახვრეტა მიესაჯა, რუსეთის ტერიტორიაზე ორ მილიონს სცდება.

სახელმწიფოსგან, მემორიალიზაციის გარდა, ამ ადამიანების უკვდავყოფას ვითხოვთ – ქუჩებისთვის მათი სახელების დარქმევას, სხვადასხვა აბრების გაკეთებას, იმ ადგილებზე, სადაც განაჩენი იყო გამოტანილი. ეს არის „ტერორის ტოპოგრაფია", ის, რითიც ხართ თქვენ დაკავებულები. ჩვენ გვაქვს სპეციალური პროგრამა, რომელიც შეიძლება შეიტანონ საექსკურსიო ფონდში და ეს ექსკურსიები მხოლოდ საზოგადოებრივ საწყისებზე აღარ უნდა ეწყობოდეს.

სახელმწიფო თუ ძალას არ დაატანს, შეუძლია პროპაგანდა მაინც გასწიოს საექსკურსიო ბიუროებთან ამ თემატურ ექსკურსიებთან დაკავშირებით.

სხვა საკითხია საფლავების მემორიალიზაცია. რუსეთში ბევრი ასეთი საერთო საფლავია ტყეებში და სხვა ადგილებზე, სადაც ხვრეტდნენ ან ასაფლავებდნენ გარდაცვლილ პატიმრებს. გარდა იმისა, რომ საფლავების უმრავლესობა არ არის დამუშავებული, მათ არც იურიდიული სტატუსი გააჩნიათ. და, რაც მთავარია, არ არსებობს სახელმწიფოს მხარდაჭერა, რომ მოუარონ. დროა, სახელმწიფომაც იტვირთოს ეს საქმე. თუმცა, არის რამდენიმე ადგილი, მაგალითად, ბუტოვოს პოლიგონი, სადაც ბევრი მოსკოველი იყო დახვრეტილი. იქ დაკრძალულთა შორის უმრავლესობა სასულიერო პირი იყო. ისევე როგორც გვაქვს სამამულო ომის მსხვერპლის სტატუსი, შემოსაღებია სპეციალური სტატუსი საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთათვის.

კიდევ ერთი მიმართულებაა არქივები. ამ თემაზე დაწვრილებით ირინა ისაუბრებს. მე არ მიმუშავია ამ მიმართულებით და განსაკუთრებული წარმოდგენა არც მქონდა მათ მდგომარეობაზე. ამ გაზაფხულზე პრეზიდენტთან არსებული საბჭოს სპეციალური სხდომა მიეძღვნა თავდაცვის სამინისტროსთან არსებულ არქივებს. თუმცა, ზოგადად, სახელმწიფო არქივებზე ვსაუბრობდით. და გაირკვა, რომ 90-იან წლებში პრეზიდენტ ელცინის ბრძანება და კანონიც არქივების 25 ან განსაკუთრებული შემთხვევებისთვის 30 წლის შემდეგ ავტომატურად გახსნის შესახებ, არ მოქმედებს. რუსეთში სხვა პარადიგმა მუშაობს. არასაუწყებო სახელმწიფო კომისია წყვეტს, გაიხსნას თუ არა ამა თუ იმ უწყების არქივი. სხვადასხვა უწყების ჩინოვნიკები მაინცდამაინც არც ცდილობენ გახსნან ჩვენი ისტორიის სამწუხარო ფურცლები. ასე რომ, არქივები ავტომატურად არ გახსნილა არც მკვლევრებისთვის და არც ცალკეული პირებისთვის. და არა მარტო არ გახსნილა, ბევრი მათგანი არც აღუწერავთ ბოლომდე. ჩვენს მიმართვაში პრეზიდენტისადმი აღვწერეთ ეს სიტუაცია და გამოვთქვით აღშფოთება ამის გამო. წესით, არქივების გახსნა პრობლემა არ უნდა ყოფილიყო, იმიტომ რომ არსებობს კანონი. თუ რომელიმე სახელმწიფო უწყება საჭიროდ ჩათვლიდა რომელიმე დოკუმენტის გასაიდუმლოებას, მაშინ ეს უნდა დაესაბუთებინა კიდეც. აი, ასეთი სიტუაციაა არქივების გახსნასთან დაკავშირებით. ჩვენ მოვახსენეთ ამის შესახებ პრეზიდენტს, რომელმაც მიმართა ჩინოვნიკებს, შეესწავლათ ეს საქმე და მოეხსენებინათ მისთვის საქმის

ვითარება. ამის შემდეგ, როგორც ხდება ხოლმე, ერთი წელი შეისწავლიდნენ ამ საქმეს, ასახელებდნენ სხვადასხვა მიზეზს და ა.შ. ეს ვითარება დღემდე გრძელდება, შემდეგ უკვე პრეზიდენტიც შეიცვალა.

ამ პროგრამაში სულ 42 სხვადასხვა მნიშვნელობის და მასშტაბის პუნქტია. იყო ორი პუნქტი, რომელზეც შეიძლება ოფიციალური უარი არ მიგვიღია, მაგრამ განხილვის დონეზეც კი არ გამოუჩენიათ დაინტერესება მათ მიმართ. ერთ-ერთი მათგანი ეხება რეპრესირებულთა ოჯახის წევრებისთვის საპენსიო დანამატებს. 2003 წლიდან, მას შემდეგ რაც გატარდა რეფორმა შეღავათების შესახებ, და ის ძირითადად რეგიონულ დონეზე იქნა გადატანილი, ამან ჯერ ერთი გამოიწვია უთანასწორობა, იმიტომ რომ შეღავათები ზოგ რეგიონში მეტი იყო, ზოგან ნაკლები, რაც სამართლის კუთხით ნონსენსია. მაგრამ ყველაზე უარესი ის არის, რომ ხშირად თანხა საერთოდ არ არის საკმარისი ამ საქმისთვის, ან დამატებით კიდევ სხვა მიზეზები ჩნდება, ის ხალხი კი დროთა განმავლობაში იხოცება. ჩვენ გვინდოდა, სახელმწიფოს ამ კუთხით ინტენსიურად ემუშავა. როგორც ჩემთვის ცნობილია, დანამატს იღებდა ძირითადად ის ხალხი, ვინც 50-იან წლებში იყო რეაბილიტირებული, ან 1991 წელს სტალინური ტერორის მსხვერპლთა შესახებ კანონის შესაბამისად, მაგრამ მათ რიგებში ვერ მოხვდა საკმაოდ ბევრი კატეგორიის ადამიანი, რომლებიც გასაბჭოების პირველი წლების რეპრესიებს შეეწირა, ვინც 30-იან წლებში გააკულაკეს და ა.შ., რაც უსამართლობაა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ 1991 წლის კანონში ცვლილებები უნდა შევიდეს. მართალია, სახელმწიფო თითქოს წამოვიდა ამ წინადადებაზე, მაგრამ ძალიან ფრაგმენტულად და დაიწყო ვაჭრობა, რას შევცვლით ამ კანონში და როგორ.

არის კიდევ ერთი საინტერესო საკითხი. იგი ეხება უცხოელ მოქალაქეებს, რომლებიც გახდნენ საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლნი და რომლებსაც ეს კანონი საერთოდ არ ითვალისწინებს. ეს არ ეხება მხოლოდ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მოქალაქეებს, არამედ გერმანიის, პოლონეთის და ბევრი სხვა ქვეყნის მოქალაქეებს. პოლონეთის კატინის ამბები კიდევ ცალკე თემაა.

და კიდევ ერთი პრობლემა, რაც მდგომარეობს საბჭოთა წარსულის სამართლებრივ შეფასებაში. ამ პროგრამაზე მუშაობისას შევისწავლე ეს თემა. ჩვენ გვინდოდა სახელმწიფოს ეღიარებინა, რომ ეს არის დანაშაული, რომელსაც

არა აქვს ხანდაზმულობის ვადა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს გენოციდი ან კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული. არსებობს მრავალი გრადაცია, თუ როგორ შეიძლება განისაზღვროს ეს უმძიმესი დანაშაული. მაგრამ გარდა იმისა, რომ „გარდაქმნის“ პერიოდში და 90-იან წლებში შეაფასა სახელმწიფომ ეს ქმედებები, იურიდიულად ისინი არ გამყარებულა. ბევრჯერ გამიგონია მასწავლებლებისგან, გინდათ, რომ ბავშვებს ვასწავლოთ და ვუამბოთ სტალინურ თუ საბჭოთა ტერორზე? მაგრამ როგორ გავაკეთოთ ეს, როცა არცერთი ნორმატიული აქტი არ გვაქვს იმის შესახებ, რომ მაგალითად კოლექტივიზაციის კამპანია დანაშაულებრივი იყო. ეს ჩვენთან პოლემიკის დროს არგუმენტად მოჰყავთ დღევანდელ კომუნისტებსაც. გვეუბნებიან, რომ ეს ჩვენი შეფასებაა, ჩვენი შეხედულებაა და მეტი არაფერი. ჩვენ შევიმუშავეთ ნაბიჯების ჩამონათვალი, რაც სახელმწიფოს უნდა გადაედგა – ზოგიერთი მოვლენის იურიდიულ ფაქტად აღიარება, ცალკეული ორგანოები პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ მომხდარზე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვიღაცას ჩასვამენ, მით უმეტეს, რომ იმ წლების შემდეგ დიდი დრო გავიდა, და აღარც ჯალათები არიან ცოცხლები და აღარც განკარგულების გამცემი პირები. ეს არ არის ჩვენი მიზანი. ჩვენი მიზანია ავუხსნათ თანამედროვეებს, რომ პასუხისმგებლები ვართ, გვახსოვდეს ეს ყველაფერი და ვუთხრათ სახელმწიფოს, რომ თანამედროვე სახელმწიფოს მიმართ ბევრი პრეტენზია გვაქვს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების კუთხით, ის ხშირ შემთხვევაში იმეორებს იმ ძველ პრაქტიკას და მიდგომებს. იმისათვის, რომ ეს არ განმეორდეს, სახელმწიფომ საზოგადოებასთან ერთად უნდა აღიაროს, რომ ეს პრაქტიკა დანაშაულებრივია. სამწუხაროდ, ამაში არ გვაქვს მხარდაჭერა, ზოგჯერ ობიექტური, უმეტესად კი სუბიექტური მიზეზების გამო. თანამედროვე სახელმწიფოს, მისი უმაღლესი ხელისუფლების, როგორც საპარლამენტო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების სახით, არ შეუძლია ანგარიში გაუსწოროს წარსულს.

ირინა ოსიპოვა – ჩვენი ჯგუფი არქივებში მუშაობას 1991 წელს შეუდგა. პირველად დავიწყეთ მუშაობა „ფსბ“-ს არქივებში, მოსკოვის ოლქის არქივში, რომელიც არის სახელმწიფო არქივი. როდესაც ვიწყებდით მუშაობას, ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, შეგვესწავლა ბოლშევიკური ტერორის დამყარების მიმართ საზოგადოებრივი წინააღმდეგობა. ეს 1918 წლიდან 1930 წლამდე პე-

რიოდს მოიცავს. ჩვენს ჯგუფს დასაწყისში ნაკლებად აინტერესებდა 1937-38 წლების საქმეები. მოგვიანებით აგიხსნით ამის მიზეზს. უმთავრესი იყო 1918-21 წლები. მოსკოვის ოლქის, ანუ სახელმწიფო არქივი სრულიად გასაოცარი იყო იმით, რომ იქ აღმოვაჩინეთ 1918-19 წლების დოკუმენტები მონასტრების განადგურების შესახებ, როგორც მოსკოვის, ისე მოსკოვის შემოგარენის პატარ-პატარა მონასტრების. ეს არის გამოძიების სტანდარტული საქმეები, მონასტრების წინამძღვრების დაპატიმრების საქმეები. მათ სვამდნენ ციხეში და ბერებს და მონაზვნებს ყრიდნენ მონასტრიდან. ამისი მიზეზი ის იყო, რომ მონასტრებს ამზადებდნენ საკონცენტრაციო ბანაკებისთვის. ეს მოგვიანებით გახდა გასაგები. ბოლშევიკებს ამ ადგილების გათავისუფლება მომავალი პატიმრებისთვის სჭირდებოდათ.

1919 წლის გაზაფხულიდან 1921 წლის ჩათვლით იყო პატიმრების კოლოსალური რაოდენობა, განსაკუთრებით თეთრი გვარდიის მოახლოებისას. პირველ რიგში აპატიმრებდნენ თავადაზნაურობას, ოფიცრებს, მიუხედავად იმისა, იბრძოდნენ თუ არა. მთავარია, რომ პირველ მსოფლიო ომში იყვნენ ნამყოფი. თუ თეთრი გვარდია ჯერ არ იყო მოახლოებული, მათ ციხეში სვამდნენ, მათი მოახლოებისთანავე გადაჰყავდათ ისინი მოსკოვში, ძირითადად ბუტირკის ციხეში. ჩვენთვის უნიკალური დოკუმენტების კოლოსალური რაოდენობა მოგვცა „პოლიტიკური წითელი ჯვრის“ ფონდმა. ეს იყო დაპატიმრებულთა ანკეტები. თავადაზნაურობა და ოფიცრები ბუტირკის ციხეში ჰყავდათ, ქალები – ტაგანკის ციხეში. თითოეულ პატიმარს ეძლეოდა ანკეტა, რომელსაც თვითონ ავსებდა. აქ იწერებოდა სახელი და გვარი, განათლების მიღების ადგილი, საქმიანობის ადგილი თებერვლის რევოლუციამდე, რევოლუციის დროს და შემდეგ.

„პოლიტიკურ წითელ ჯვარს“ ხელმძღვანელობდა გორკის ცოლი ეკატერინა პავლოვნა პეშკოვა. ბევრ ანკეტას მისივე ხელით აწერია – დახვრეტილი. ეს არ არის მხოლოდ მოსკოვის ოლქის საქმეები, ყველა რეგიონს ეხება. ეს იყო შემკრები პუნქტი, თავადაზნაურობას და ოფიცრებს მოსკოვში უყრიდნენ თავს. 1921 წელს, ვიცით, რომ მოხდა ტამბოვის ცნობილი აჯანყება. მოსკოვის საკონცენტრაციო ბანაკში მოჰყავდათ მთელი ოჯახები, მათ შორის, ბავშვები მძევლებად. ეს ანკეტები ერთადერთია, რაც გადარჩა. შემდეგ ამ ბავშვებსაც ხოცავდნენ. ასე განადგურდა რუსეთის იმპერიის საუკეთესო ნაწილი.

ყველაზე საშინელი ის იყო, რომ 1922 წელს ოფიცრებისთვის ამნისტია გამოაცხადეს, მათთვისაც კი, ვინც თეთრ გვარდიაში მსახურობდა. ოფიცრები სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდნენ რეგისტრაციის გასავლელად, წოდების მიუხედავად, დაწყებული პორუჩიკებიდან, დამთავრებული გენერლებით. არავის აზრად არ მოსვლია, რომ ეს პროვოკაცია იყო. ყირიმში მათ მოსვლისთანავე ხვრეტდნენ. რუსეთის ცენტრალური ნაწილებიდან მოსკოვში გადმოჰყავდათ და იქიდან არხანგელსკის ბანაკში მიჰყავდათ. ბევრმა იქვე დალია სული. ვინც გადარჩა, სოლოვეცკის კუნძულებზე გადაასახლეს.

მოგვიანებით დაიწყო ჯგუფური პროცესები. 1923-25 წლებში, პეშკოვას ფონდის მასალებით, ესენი ძირითადად იყვნენ სხვადასხვა კონფესიის სასულიერო პირები. კათოლიკე სასულიერო პირებს ასახლებდნენ, მართლმადიდებლებს ბანაკებში ამწყვდევდნენ. ბევრი მათგანი მოხვდა სოლოვეცკის ბანაკში.

მომდევნო პერიოდი პეშკოვას ფონდის მიხედვით არის 1925-29 წლები და ამ დროს დაიწყო ინტელიგენციის ჯგუფური პროცესები. ამასობაში დავიწყეთ მუშაობა ცენტრალურ არქივშიც. ესენი პირველ რიგში იყვნენ ახალგაზრდები, რომლებიც ბინებში იკრიბებოდნენ, თუნდაც საცეკვაოდ. ძირითადად, ესენიც თავადაზნაურთა შვილები არიან. ისინი ძირითადად გადაასახლეს.

1929-32 წლები ყველაზე ტრაგიკული პერიოდია, როდესაც გამოცხადდა მიტროპოლიტ სერგეის ცნობილი დეკლარაცია, რომელიც აცხადებდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების სიხარული მათი სიხარული იყო. სამღვდელოების ნაწილმა უარი თქვა ამ დეკლარაციის მიღებაზე. შესაბამისად, 1930-32 წლებში სამღვდელოების საშუალო ფენა დახვრიტეს, უმაღლესი სამღვდელოება კი გადაასახლეს, რათა მათი მეშვეობით შემდეგ გამოევლინათ ისინი, ვინც მათ ეხმარებოდა.

ამავე პერიოდში დაიწყო ძალიან სერიოზული პროცესები – სხვადასხვა პროფესიის ინტელიგენციის წარმომადგენლების, რომლებიც ან გადაასახლეს, ან ბანაკებში გადაიყვანეს.

მომდევნო პერიოდი, რომელიც კარგად არის ასახული პეშკოვას ფონდის მასალებში – თუკი ვინმე იყო შემორჩენილი ინტელიგენციის ან თავადაზნაურობის წარმომადგენელი, ოჯახებითურთ, 1935 წლის გაზაფხულზე, ყველა ერთად გადაასახლეს შუა აზიაში, უფასა და სარატოვში. წარმოიდგინეთ 1917-

18 წლებში დაბადებული ახალგაზრდების მდგომარეობა, რომლებმაც პეტერბურგში დაამთავრეს სკოლა, და უცებ აულში ხვდებიან, მარტო იმიტომ, რომ მათი პაპა თავადიშვილი იყო, ან თანამდებობაზე მუშაობდა. მათი წერილები ყველაზე გულშიჩამწვდომია, იმიტომ რომ არ ესმით გადასახლების მიზეზი.

1937-38 წლები, ჩემი აზრით, შეეხოთ მათ, ვინც ამ ყველაფრის ორგანიზება მოახდინა. ესენი არიან პარტიის წევრები, ჩეკისტები, მუშები, გლეხები. ეს წლები ჩვენთან „დიდი ტერორის“ პერიოდად მიიჩნევა.

არქივებში ასევე არის იმ მღვდლების საგამოძიებო საქმეები, რომლებიც გადაურჩნენ ტერორს და შექმნეს მიწისქვეშა, არალეგალური, კატაკომბური ეკლესიები. მსახურება მიმდინარეობდა ან ბინებში, ან მიწისქვეშა ეკლესიებში. ჩვენ გვაქვს ამ ეკლესიების შესახებ საოცარი დოკუმენტები, ციმბირის ტყეებში საიდუმლო თემის მთელი დასახლება არსებობდა.

ეს ადგილები გაანადგურეს. ომისშემდგომ პერიოდში ასეთი არალეგალური დასახლებები იყო ვორონეჟისა და რიაზანის ოლქებშიც. 1943-44 წლებში მთელი ეს არალეგალური სოფლები ბერიას ბრძანებით ციმბირში გადაასახლეს. 1944 წლის მერე, როგორც კი გერმანელები განდევნეს ამ მხარიდან და წითელი არმია შემოვიდა, მთელი ეს სოფლები აყარეს და გადაასახლეს, იმიტომ რომ გერმანელების დროს ისინი ღიად ასრულებდნენ მსახურებას.

პეშკოვას ფონდის ინტერნეტსაიტი გავაკეთეთ [http://pkk.memo.ru/index.html] და შეგიძლიათ ნახოთ უამრავი წერილი, რომელიც 1919 წლიდან 1938 წლამდე ამ ადამიანების მიერ დაიწერა.

ლაშა ბაქრაძე – პრობლემებს თუ აწყდებოდით არქივებში მუშაობისას. თქვენ რომ გისმენთ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ პრობლემები არც შეგქმნიათ.

ირინა ოსიპოვა – „ფსბ“-ს არქივში მხოლოდ 2000 წლამდე ვმუშაობდით. პუტინის მოსვლისთანავე არქივები, როგორც ცენტრალური, ისე რეგიონული, ოფიციალურად დაიკეტა. დაახლოებით ერთი წელი მაინც გვაძლევდნენ მუშაობის საშუალებას, შემდეგ ძალიან მკაცრად გააფრთხილეს და ამის შემდეგ უკვე ვეღარ შევდივართ. პეშკოვას ფონდი ღიაა, იქ მუშაობა შესაძლებელია. მის აღწერას 15 წელი მოვანდომეთ. წარმოიდგინეთ ორი ათასი საქაღალდე,

თითო ხუთასი გვერდით. არც საძიებელი ჰქონდა, არც არაფერი. ჯერ ეს უნდა აღგვეწერა, იმიტომ რომ ცენტრალური არქივი ამას არ აკეთებდა.

ირაკლი ხვადაგიანი – საბჭოთა ისტორიის ხსენებაზე ყველას მაშინვე რეპრესიები და ადამიანის უფლებების დარღვევები ახსენდება. ეს ასეც არის, იმიტომ რომ დიდწილად ამაზეც იდგა ეს რეჟიმი, განსაკუთრებით თავისი არსებობის პირველ ნახევარში. ეს არ არის ამოჩემება და ამ პერიოდის შავ-თეთრად გაყოფა. ეს არის ხსოვნის საკითხი. ადამიანების უზარმაზარი მასა უკვალოდ გაქრა. და საჭიროა, ვილაპარაკოთ ამ მოვლენებზე და მინიმალური ბიოგრაფია, სახელი და გვარი მაინც დავდოთ იმ ადამიანებისა, ვინც ამ რეჟიმის მსხვერპლი გახდა, როგორც სამართლიანობის აღდგენის ჟესტი. რეჟიმი ცდილობდა ამოეშალა მათი სახელი ისტორიიდან და მეხსიერებიდან. გარკვეულწილად, მიაღწია კიდეც ამას, მაგრამ არის საშუალებები ამის გამოსასწორებლად.

რაც შეეხება ტოტალიტარულ რეჟიმს, აქ ყველაზე კარგად ჩანს საზოგადოების ცუდი მახასიათებელი, საზოგადოებრივ ინსტიტუტებს და კერძო ურთიერთობებს შორის, როდესაც ტერორის ჩარჩოს, რომელიც საბჭოთა რეჟიმის პირველი წლების მოცემულობა იყო, ადამიანები იყენებდნენ ერთმანეთის ხარჯზე საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად.

აქედან მოდის ორი მიმართულება: ვიმუშაოთ ხსოვნის აღსადგენად, მაგრამ ამას თან ახლავს საზოგადოების მხრიდან შიშები, რომლებიც დაკავშირებულია ამ ადამიანურ მხარესთან. ეს არის ამ პერიოდის ჰუმანიზაცია, კონკრეტულ პიროვნებებამდე დასვლა და მათი როლის წარმოჩენა. ეს არის თანამონაწილეობის ხაზგასმა, ეს არ ყოფილა საიდანღაც მოსული უცხო ძალა, რომელმაც წლების განმავლობაში აწამა ქართული საზოგადოება. თანამშრომლობის უზარმაზარი ხარისხი იყო, დავარქვათ ამას „კოლაბორაცია“. მთელი ნიუანსებია აქ გასათვლელი. თავისთავად კონფორმიზმიც, რომელიც მეორე პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი, როდესაც სხვა ღირებულებების მატარებელი წინა თაობა ფიზიკურად განადგურდა რეჟიმთან ბრძოლაში და გაჩნდა ახალი თაობა საბჭოთა მოქალაქეებისა, რომლებსაც წარმოდგენა არ ჰქონდათ ალტერნატივაზე, მაგრამ ვერც ამ სისტემაში არსებობა შეძლეს და ეს სისტემა, დღევანდელი პოპულარული ტერმინით რომ ვთქვათ, „ჩამოიშალა“.

აქ წარმოჩნდება ძალიან სერიოზული პრობლემები საზოგადოებრივი დისკუსიის სფეროში, ყველას უნდა, იცოდეს თავისი წინაპრის შესახებ, რა ბედი ეწია, ვინ იყო ამაში დამნაშავე. შემდეგ ჩნდება დილემა, სხვები ძალიან მტკივნეულად რეაგირებენ საკუთარი წინაპრის სახელის მოხსენიებაზე. ყველამ ვიცით, რომ ვიღაც თანამშრომლობდა რეჟიმთან, ვიღაც კი ემსხვერპლა მას. მეორე – იმსხვრევა საკრალურობის შეგრძნება, მითები, მსხვერპლის გაიდეალიზება, რომელსაც ამ წლების განმავლობაში ჰქონდა ადგილი. და მესამე, და ყველაზე მტკივნეული საკითხი, ვინ კიდებს ხელს ამ ისტორიის დამუშავებას, რამდენად ადეკვატურად ხდება ამის გაშუქება. ეს ფუნდამენტური პრობლემაა, იმიტომ რომ გვქონია ცხარე დისკუსიები, ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს თუ არა ეს მასალები, თუ მხოლოდ რაღაც „კასტისთვის“, მაგალითად, სამეცნიერო ხარისხის მქონე ადამიანებისთვის უნდა იყოს ის ხელმისაწვდომი, რომ ეს საკითხები პროფესიონალურად გაშუქდეს.

რაც შეეხება მთავარ უფლებას, ინფორმაციის ქონის უფლებას ამ პერიოდზე, მინდა ძალიან მარტივი დოკუმენტების გამოყენებით მარტივი მაგალითი გიჩვენოთ, დღეს მოქალაქეების აბსოლუტურ უმრავლესობას რა ინფორმაცია აქვს ამ პერიოდზე და კონკრეტულად რეპრესიებზე. ჩვენ გვაქვს შეხება ბევრი რეპრესირებულის შთამომავალთან და შეგვიძლია ძალიან ტიპური მაგალითი განვიხილოთ, რომ არის უამრავი განცხადება 40-იან წლებში, ამა თუ იმ ადამიანის მშობელი, და-ძმა დაიჭირეს ამა და ამ წელს და ითხოვდნენ მათზე ინფორმაციას. პასუხი ერთი იყო, რომ გადასახლებულები იყვნენ მიმოწერის უფლების გარეშე. შემდეგ უკვე ჩნდებოდა გარდაცვალების მოწმობები ამ ადამიანებზე, სადაც ეწერა, რომ გარდაიცვალა კუჭის კიბოთი, გულის დამბლით და ა.შ. შემდეგ უკვე დადგა 50-იანი წლები, დესტალინიზაციის შემდეგ რეაბილიტაციის პროცესები დაიწყო და ოჯახში მიდიოდა სტანდარტული „სპრავკა“, რომ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ, საბჭოთა ტრიბუნალმა განიხილა თავის დროზე „ნკვდ-ს ტროიკის“ მიერ შექმნილი საქმე თქვენს წინაპარზე და ნახა, რომ ის უსაფუძვლოდ იყო რეპრესირებული და რეაბილიტირებულია.

დღეს, როდესაც კომპენსაციის ტალღა აგორდა, იმავე ტიპის სტანდარტული ცნობა გაიცემა არქივების მხრიდან, რომ რეპრესირებულია ამა და ამ დროს, რეაბილიტირებულია ამა და ამ დროს. ძალიან ცოტა ადამიანს შეუძლია ნახოს უშუალოდ დოკუმენტი, იქნება ეს „ტროიკის“ თუ განსაკუთრებული სა-

თათბიროს ოქმი, ან სისხლის სამართლის საქმე მის წინაპარზე და საკუთარ თავზეც კი. ან, რაც ყველაზე საინტერესოა, რეაბილიტაციების 50-იანი, 60-იანი, 80-იანი წლების ბოლოს პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის ამ საქმეების გადასინჯვის მასალები, სადაც კონკრეტულად არის მითითებული, რა დარღვევები იყო ძველ საქმეებში რეპრესირების დროს. ეს სამი საარქივო დოკუმენტი იძლევა ყველა პასუხს ფუნდამენტურ კითხვებზე, „ვინ“, „სად“, „რა“, „როდის“, „როგორ“ და „რატომ“. ამ ორ კითხვაზე, „როგორ“ და „რატომ“, ჩვენს საზოგადოებას ნათელი წარმოდგენა არა აქვს. იმიტომ რომ არ არის საკმარისი ინფორმაცია და, რაც მთავარია, ამ თემაზე არ არის ჩატარებული პროფესიონალური კვლევები.

მეორე საკითხია, ჩვენ, დაინტერესებულმა ადამიანებმა რა უნდა გავაკეთოთ. ცხადია, უნდა ვიკვლიოთ.

ინფორმაციის უმთავრესი ბაზა არქივებშია თავმოყრილი. მაგრამ ერთნაირი სიტუაცია არ არის საქართველოს სხვადასხვა არქივში. ერთი და იგივე არქივის სხვადასხვა განყოფილებაშიც კი განსხვავებული სიტუაციაა. შეგვიძლია გამოვყოთ ორი მხარე, ტექნიკური და იურიდიული. საქართველოში ორი მთავარი არქივი არსებობს, ერთი მხრივ, შსს არქივი თავისი „კგბ“-ს არქივით და კომუნისტური პარტიის არქივით, და მეორე მხრივ, ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის სახელმწიფო არქივი. პროცედურა ასეთია, ითხოვ ინფორმაციას ამა თუ იმ საკითხზე და მოგდის პასუხი, არის, არ არის ან სად არის და შემდეგ იწყებ მათზე მუშაობას. ეს იმის ბრალია, რომ მკვლევრისთვის არ არის დამოუკიდებლად ხელმისაწვდომი კატალოგები, სისხლის სამართლის საქმეების კონკრეტული სიები, და მასალებთან მკვლევარი დისტანციურადაც კი ვერ მუშაობს. ეს არის გამჭვირვალობის საკითხი, რომელიც განსაკუთრებულად დიდ პრობლემას წარმოადგენს უახლესი ისტორიის არქივში.

იურიდიულ მხარეს რაც შეეხება, აქ მთავარი დამაბრკოლებლებია ფასები და კანონმდებლობა. ის პრეისკურანტები, რაც დღეს არქივებში არსებობს, და არის გამართლებული იმით, რომ არქივი გიწევს სერვისს და შენ უნდა აუნაზღაურო, თუკი შევადარებთ არქივის ბუჯეტს და იმ თანხას, რომელსაც მკვლევრები წლების განმავლობაში იხდიან, სრულიად სასაცილო თანხებია არქივის ბიუჯეტთან შედარებით. მაგალითად, ეროვნული არქივის შემთხვევაში ეს არის 0,5% მთელი ბიუჯეტის, წლის განმავლობაში, რაც არაფერს ნიშ-

ნავს ამ არქივისთვის. ეს არქივები სახელმწიფო ბიუჯეტზეა მიბმული, თითოეული თქვენგანის გადასახადებზე არსებობს და მკვლევრები კიდევ დამატებით ვიხდით ჩვენი ჯიბისთვის მძიმედ ასატან თანხას, იმისთვის, რომ უბრალოდ მივიღოთ ინფორმაცია. აქ არ არის საუბარი ასლების მიღებაზე, საუბარია ნახვაზე. დღეისთვის ყველა არქივში არსებობს გადასახადი, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა.

მეორე პრობლემაა კანონმდებლობა, რომელიც სრულიად ქაოტურია, და დაბრკოლების მთელ ხაზს ქმნის. იგი პროფესიონალ იურისტებსაც კი აბნევს, როდესაც დახმარებისთვის მივმართავთ. მაგალითად, ეროვნულმა არქივმა დოკუმენტურად გვითხრა უარი გვემუშავა პროკურატურის ფონდში არსებულ ე.წ. საზედამხედველო საქმეებზე, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სისხლის სამართლის საქმეებზე. ეს არის 30-40-იან წლებში რეპრესირებული ადამიანების საქმეების გადასინჯვის მასალები. ამაზე ხელმისაწვდომობა დღეს მკვლევრისთვის არ არსებობს, ამბობენ, რომ პერსონალურ ინფორმაციას შეიცავს და თუ მკვლევარი უშუალოდ ამ ადამიანისგან ან მისი მემკვიდრისგან არ მოიტანს ნოტარიული წესით დამოწმებულ თანხმობას, რომ შეუძლია გაეცნოს ამ პერსონალურ ინფორმაციას, ვერ მიწვდება ამ მასალას. თუმცა, ვიცით, რომ უამრავი ასეთი საორიენტაციო თვალსაზრისით პირველი რიგის მნიშვნელობის მასალა დევს. კარგი იქნებოდა, აქ ეროვნული არქივის წარმომადგენელიც ყოფილიყო.

არის სხვა კანონებიც, რომლებსაც შეუძლია ამ პერიოდის მკვლევარი შეაფერხოს. ასეთია „კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“. თუმცა, მაქსიმალური ვადა, რომელსაც ის აწესებს სახელმწიფო საიდუმლოებაზე, 20 წელია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1992 წლიდან აბსოლუტურად ყველა მასალა გახსნილი უნდა იყოს. თუკი არ არსებობს პრეზიდენტის ჰიპოთეტური ბრძანებულება, რომელიღაც მასალისთვის ვადის გაგრძელების შესახებ, რაც სადმე უნდა იყოს გამოქვეყნებული. ბევრჯერ გავმხდარვარ იმის მოწმე ეროვნულ არქივში, რომ 1920-30-იანი წლების მასალებზე მკვლევრებს ეუბნებიან, რომ ეს საიდუმლო მასალაა და კონტრდაზვერვიდან ცნობის მოტანას სთხოვენ. როდესაც ასაკოვან ხალხს კონტრდაზვერვა ესმის, ყველაფერი იქ მთავრდება.

რაც შეეხება კანონს „პერსონალური ინფორმაციის დაცვის შესახებ“, პერსონალურ ინფორმაციად ჩაითვლება ყველა სახის ინფორმაცია, რომლითაც

პირის იდენტიფიცირება შეიძლება. და შემდეგ ამ პირზეა დამოკიდებული, მის შესახებ ინფორმაციას გაასაიდუმლოებს თუ არა. ახლა შეიცვალა ეს კანონი და ასეთი ფორმულირება შემოვიდა, რომ პირის გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ, ყველა სახის ინფორმაცია მის შესახებ უნდა განსაჯაროვდეს.

ომარ თუშურაშვილი – საქმეების განსაიდუმლოების თემით დავიწყებ. 25 წელი იმის მიხედვით წესდება, თუ რა გრიფი აქვს საქმეს. ზოგიერთი საქმე ხუთი წლის შემდეგაც უნდა განსაიდუმლოვდეს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ განსაიდუმლოებული საქმე საჯარო გახდება და სადმე დაიდება. ნებისმიერი საქმის განსაიდუმლოების პერიოდში იქმნება საექსპერტო კომისია, რომელიც განიხილავს ამ საქმის განსაიდუმლოების საკითხს. თუ გადაწყდა მისი განსაიდუმლოება, განიხილავენ, ის წარმოადგენს თუ არა ისტორიულად და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან დოკუმენტს. თუ წარმოადგენს, დარჩება, თუ არა – განადგურდება. შეიძლება ასეთი ძალიან ბევრი მოგროვდეს და აზრი არ ჰქონდეს მათ შენახვას.

უშიშროების არქივში წარმოუდგენელია კატალოგის გაკეთება, იქ ფონდები ცოტა სხვანაირი პრინციპით და სტრუქტურით არის აგებული. ჩვენ გვაქვს სისხლის სამართლის საქმეების ფონდი, რომელსაც კატალოგს ვერ გაუკეთებ. გვაქვს უბრალოდ სარჩევი პიროვნებების შესახებ, რომელთა მოძიებაც უნდა მოხდეს პირის გვარის მოწოდების შემთხვევაში. კატალოგები გვაქვს პარტიულ არქივში. იქ არსებობდა ეს კატალოგები.

გვაქვს ჩვენი შიდა სისტემები, ჩვენი სამუშაო პროგრამები, მაგრამ მკვლევრებს იმ ბაზებში ვერ შევუშვებთ. იმიტომ რომ დაზღვეულები არ ვართ, რომ ბაზას არაფერი მოუვა. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში, ერთ წელიწადში მკვლევარს არათუ მონაცემთა ბაზებს მივცემთ, არამედ ეს ყველაფერი ვებგვერდზეც დაიდება. საცდელ ვარიანტზე მუშაობა დავიწყეთ. დაიდება ყველა საქმის აღწერა, სისხლის სამართლის აღწერა, რას ეხება და ვინ გადიან ამ საქმეში და რა ნომერი აქვს, ასე რომ, ადამიანს მოსვლაც კი აღარ დასჭირდება. შეუძლია სახლიდან გაეცნოს და იქიდან გამოაგზავნოს შეკვეთა არქივებში.

მინდა ჩვენი არქივების შესახებ მოკლე ინფორმაცია მოგაწოდოთ. ჩვენს არქივს ადრე უშიშროების არქივი ერქვა. ახლა არის შსს არქივი, რომელიც

აერთიანებს სამი უწყების საარქივო ფონდებს. ესენია შსს-ს, ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და ყოფილი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის არქივები. ეს არქივები კარგად იყო მოვლილი 1990 წლამდე. სამწუხაროდ, ამ არქივებისთვის ძალიან მძიმე პერიოდი იწყება 1991 წელს, თბილისის ომის დაწყებით. ამ ომის დროს უშიშროების და შსს-ს არქივებმა დაკარგეს თავიანთი საარქივო ფონდების დაახლოებით 80%. მინდა გიამბოთ უშიშროების არქივზე, იმ პერიოდში იქ ვმუშაობდი და კარგად ვიცი, რა მოვლენები განვითარდა. ფაქტობრივად, გადარჩა ის დოკუმენტური მასალა, რომელიც უნდა დამწვარიყო, იმიტომ რომ ისეთ შენობაში იყო, რომელიც მთლიანად განადგურდა. მაგრამ ამ საარქივო ფონდებს იმ გარემოებამ უშველა, რომ არქივი გადახურული იყო მონოლითური გადახურვით და, საბედნიეროდ, შენობა რომ ჩამოწვა, ბეტონის ბლოკებმა დაიჭირა და არქივები განადგურებას გადაურჩა. ის რამდენიმე არქივი, რომელიც ერთად იყო საცავში, და რომელსაც ბუნკერული ხასიათი ჰქონდა და, წესით, არ უნდა დამწვარიყო, სამწუხაროდ, სულ გამოიწვა.

თუ დაგაინტერესებთ, გეტყვით, რა მასალები იყო ამ არქივებში, რამდენიმეს ჩამოგითვლით და მერე დასკვნები თქვენით გამოიტანეთ, თუ რატომ განადგურდა ეს ყველაფერი. ერთ-ერთი მთავარი ფონდი აქ იყო საქართველოს სუკ-ის ყოფილ თანამშრომელთა პირადი საქმეები, დაახლოებით 22 ათასი საქმე. აქ ასევე იყო საიდუმლო საქმისწარმოების მასალები – 7 ათასამდე საქმე. აქ იყო იაპონური დაზვერვის, თურქეთის, ირანის, იტალიის, გერმანიის საკონსულოების საიდუმლო საქმისწარმოებები, სამამულო ომის პერიოდის ტყვეთა ფილტრაციის და სახელმწიფო შემოწმების 45 ათასი საქმე, სისხლის სამართლის წარმოებით შეწყვეტილი საქმე რეაბილიტირებულ პირებზე – 48 ათასი საქმე. ესენი იყვნენ პირები, რომლებმაც რეაბილიტაცია მიიღეს 1989 წლის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გამოცემული კანონის მიხედვით. ალბათ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, განადგურდა აგენტურის სამუშაო და პირადი საქმეები, ასევე დიდი მოცულობით. იმის მტკიცებას ვერ დავიწყებთ, რომ ვიღაცამ ეს შეგნებულად დაწვა, მაგრამ ეჭვს იწვევს ის, რომ ეს საქმეები არ უნდა დამწვარიყო, რადგან საცავს რკინის კარი ჰქონდა და ცეცხლს შეხება არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ მეორე დღეს ეს კარი ღია იყო და საცავი ფერფლით იყო სავსე.

ისიც უნდა ითქვას, რომ ალბათ შინაგანი კულტურაც არა გვაქვს. ხალხს ალბათ ეგონა, რომ თუ გადარჩენილ საქმეებს დაიტაცებდა და სახლში წაიღებდა, მერე მილიონებად გაყიდდა. 1991 წლის 28 დეკემბრიდან მომდევნო წლის 6-7 იანვრამდე უპატრონოდ იყო დარჩენილი გადარჩენილი მასალები. ხალხმა დაიტაცა ეს მასალები. მერე, ხანი რომ გავიდა, ჩვენამდე აღწევდა ინფორმაცია, რომ ესა თუ ის საქმე ვიღაცასთან ოჯახში ინახებოდა. იყო რუსეთში, ბალტიისპირეთში მათი ფოსტით გაგზავნის შემთხვევებიც. ვიცი, რომ შალვა ნუცუბიძის საქმე, 7 ტომი ვიღაცასთან ინახება სახლში. ბევრი ვეცადეთ, რომ ან თანხის საფასურად, ან სხვა გზით ეს საქმე დაგვებრუნებინა, თავიდან თითქოს წამოვიდნენ თანამშრომლობაზე, მაგრამ მერე დაგვეკარგნენ. არიან თვითმხილველებიც, რომლებსაც ოჯახებში უნახავთ ამ საქმეებით სავსე კარადები, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მივა, ფეხს ითრევენ, ავიწყდებათ ვისთან ნახეს და ა.შ. ტელევიზიით და ინტერნეტითაც გავავრცელეთ განცხადება, რომ არსად გავამხელდით მათ ვინაობას, იმაზეც თანახმა ვართ, რომ ასლი გადაგვაღებინონ. უბრალოდ, ეს არის საქართველოს ისტორია, ირაკლი ხვადაგიანი და დავით ჯიშკარიანი ჩვენთან არქივში ხშირად არიან და დამეთანხმებიან, როგორი უნიკალური მასალაა თავმოყრილი. ქალბატონმა ირინა ოსიპოვამ ჩამოგვიტანა რამდენიმე ფურცელი და მიმაჩნია, რომ უნიკალურია ეს ყველაფერი. ჩვენთან ასეთი ათასობით დოკუმენტი განადგურდა.

დავით ჯიშკარიანი – პირველი პრობლემა, რაც აღინიშნა, მაგრამ არ განვრცობილა, არის საქართველოში არსებული უნივერსიტეტების მხრიდან ზერელე დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. უნივერსიტეტი თავიდან იჩენს ინიციატივას, აქტიურად წერს ამის შესახებ თავის ოფიციალურ ვებგვერდზე, რომ ამდენი და ამდენი სტუდენტი მიდის არქივში, მაგრამ არქივში მისულს სულ სხვა სურათი გხვდება. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. მთავარი მიზეზი ის არის, რომ უნივერსიტეტებში არ არიან კვალიფიციური კადრები, რომლებმაც ეს ეპოქა უნდა ასწავლონ სტუდენტებს.

პრობლემაა დისკუსიების ნაკლებობაც. თუ არ ჩავთვლით ცალკეულ შემთხვევებს, სისტემურად საქართველო აბსოლუტურად არის მოწყვეტილი დისკუსიას, რომელიც ეხება ამ პერიოდს. საქართველო ამ დისკუსიის მიღმაა დარჩენილი. ერთ-ერთი საშუალება, რომ ეს სივრცე გაირღვეს და მეტი ადამიანი

დაინტერესდეს, საერთაშორისო სამეცნიერო დისკუსიებში ქართველების აქტიური ჩართულობაა. გამოდის უამრავი ნაშრომი ამ ეპოქაზე და საქართველოს მხრიდან ერთი-ორი თუ იქნება. მართალია, ჩემს ინსტიტუტს აქვს ბედნიერება, რამდენიმე პროექტში იყოს ჩართული საერთაშორისო დონეზე, მაგრამ ესეც ცალკეული შემთხვევაა.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც არქივებთან და საბჭოთა პერიოდთან არის დაკავშირებული, სახელმწიფოს დამოკიდებულებაა. მაგალითად, სტალინის მუზეუმი გადაკეთდა სტალინიზმის მუზეუმად, მაგრამ იქ არაფერი შეცვლილა, რას გულისხმობს ეს ცვლილება, მუზეუმის თანამშრომლებისთვის გაუგებარია.

სახელმწიფო ცდილობს საბჭოთა ისტორიის შესწავლა მოახდინოს ოკუპაციის ქოლგის ქვეშ. სახელმწიფოსთვის ინტერესს წარმოადგენს ის კვლევები, რომლებიც ასახავს ოკუპაციის სიმძაფრეს. დანარჩენი პრობლემები, რაზეც ირაკლიმ ისაუბრა, გვერდზეა გადადებული.

დიდ პრობლემას ვაწყდებით ეროვნულ არქივში. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა ეროვნულ არქივში რეგიონულ დონეზე. ჩვენი ორგანიზაცია ახორციელებს პროექტს, რომელშიც გვჭირდებოდა ეროვნულ არქივებში რეგიონებში გასვლა. ეს ორგანო იმდენად ცენტრალიზებულია, რომ თუ ადამიანს რეგიონში სჭირდება მუშაობა, თბილისიდან უნდა ჰქონდეს თანხმობა. მსგავსი ბიუროკრატია მოქმედებს ყველა რგოლში.

კიდევ ერთი საშიში ტენდენცია, რომელიც იკვეთება, ხდება არქივების ოპტიმიზაცია. ეროვნულ არქივს 2012 წლის იანვრის მონაცემებით ჰქონდა გეგმა, რომ გაეკეთებინა აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებული არქივი ლილოს ტერიტორიაზე და იმის გამო, რომ შენობა პატარა აღმოჩნდა და ყველა მასალას ვერ დაიტევდა, „მტს“-ის მასალების განადგურება გადაწყვიტეს. ეს არის სამანქანო-სატრაქტორო დეპოების მონაცემები. ასე რომ, თუ ოდესმე ვინმე დაინტერესდება ეკონომიკის შესწავლით საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, ეს მასალები აუცილებლად დასჭირდება, მაგრამ ხელი ვეღარ მიუწვდება. იქმნება კომისია, რომელიც თავად წყვეტს, რა უნდათ და რა არა. ამის შესახებ არც ვებგვერდზე იდება ინფორმაცია, არც დისკუსია იმართება. შემიძლია ვთქვა, რომ ეროვნული არქივი ერთ-ერთი ყველაზე დახურული არქივია და მასთან თანამშრომლობა ძალიან რთულია.

გადასახადებთან დაკავშირებითაც ვეთანხმები ირაკლის. მეც მქონდა ასეთი შემთხვევა, როდესაც ერთ უცხოელთან ერთად, ერთ დღეში 150 ევრო გადავიხადეთ ეროვნულ არქივში, მხოლოდ საქმეების ნახვაში. კიდევ ერთი პრობლემა გახლავთ ე.წ. საბინაო წიგნები, რომლებიც ჰქონდათ სახლმმართველობებს. ახლა ისინი, წესით, ურბანულ არქივში უნდა იყოს, მაგრამ როდესაც მოვიკითხე, მითხრეს, რომ მათი აღწერა არ მომხდარა. სხვადასხვა სახლმმართველებისაგან გამოჟონა ხმამ, რომ 2004 წელს, თბილისის რამდენიმე რაიონში ადგილობრივმა თვითმმართველობებმა ეს დოკუმენტები გაანადგურებინეს, რადგან უსარგებლოდ მიიჩნიეს. მოგვიანებით, როდესაც იმავე რაიონებში წარმოიქმნა „ატსტუპნიკების“ თემა, რომლებსაც ამ დოკუმენტებით შეეძლოთ იმის დამტკიცება, რომ ამ ადგილას ცხოვრობდნენ, ამის შემდეგ დაიწყეს კონკრეტულმა ორგანოებმა ამ წიგნების მოძიება, მაგრამ, როგორც ვიცი, ბევრმა ვერაფერს მიაღწია.

იგივე ბედი ელოდა საქართველოს „მემორიალის“ არქივს, როდესაც ოფისი დაკარგეს. მათი არქივი სარდაფში გადაისროლეს, სადაც მკვლევრების მუშაობა შეუძლებელი იყო. მართალია, მოვახერხეთ და „მემორიალის“ არქივი დღეს ჩვენს ორგანიზაციაშია, მაგრამ მსგავს დამოკიდებულებას სახელმწიფოს და საზოგადოების მხრიდან არქივების მიმართ სავალალო შედეგამდე მივყავართ.

კიდევ ერთი საკითხი – უდიერი დამოკიდებულება სახელმწიფოს მხრიდან ისეთი ძეგლების მიმართ, როგორიც იყო ორთაჭალის ციხე. ისე დაანგრიეს, რომ ჟურნალისტებს შიგ შესვლის და ფოტოების გადაღების საშუალებაც არ მისცეს. ახლა, როდესაც კვლევისთვის დაგვჭირდა, როგორ იყო მოწყობილი ციხე, რომ გაგვეგო პატიმართა გადაადგილება 1937 წელს, გვაინტერესებდა მე-2 და მე-3 სართული, სადაც გამომძიებლები ისხდნენ, ასეთი ფოტო ვეღარ მოვიძიეთ.

ილამაზ მიწიშვილი, საქართველოს „მემორიალი“ – პირადად ჩემთვის დღევანდელი შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ სასიხარულოც არის და გულსატკენიც. დღეს იუბილეს დღეა. ოღონდ ვის უნდა მივულოცო ან ვუთანაგრძნო, არ ვიცი. ზუსტად 20 წლის წინ, 1992 წლის 12 ივლისს დაფუძნდა საქართველოს „მემორიალი“. ძალიან გვინდოდა ფართო საზოგადოებისთვის გაგვეცნო ჩვენი ოცწლიანი მუშაობის შედეგები. სამწუხაროდ, ამის

საშუალება არა გვაქვს, იმიტომ რომ ოფისი არა გვაქვს. ამიტომ ორიოდე სიტყვით ახლა მოგახსენებთ. მით უმეტეს, რომ რეპრესიებთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა შესწავლაც ჩვენი საზოგადოების ძირითად მიზანს წარმოადგენს, თქვენთვისაც საინტერესოა.

რაღაცის გაკეთება შევძელით, მაგრამ დღეს ყურადღებას იმაზე გავამახვილებ, რაც ვერ გავაკეთეთ. ჩვენ ვერ შევძელით რეგიონებში გასვლა, რათა მოგვეპოვებინა მასალები რეპრესირებულთა შესახებ. მაგრამ მარტო თბილისში მოხმობილ პირთა მიერ შევსებული გვაქვს 6 ათასამდე ანკეტა, ანუ თბილისის მასშტაბით გვაქვს მონაცემი ამდენ რეპრესირებულზე და გვაქვს დაახლოებით 50 ათასი დოკუმენტი რეპრესიული აქტის შესახებ.

ბატონმა გეფტერმაც ბრძანა რეპრესირებულთა ხსოვნის ნიშნად მემორიალის აღმართვის საჭიროებაზე. ამას ჩვენც ვითხოვთ უკვე 15 წელია. არსებობს მთავრობის დადგენილება, რომ ფონიჭალაში, თბილისი-რუსთავის მე-18 კილომეტრზე, იქ, სადაც ყველაზე დიდი მასშტაბებით ხვრეტდნენ, მოეწყოს მემორიალი. ამ ადგილს ძმათა სასაფლაო შეიძლება ვუწოდოთ. არის მიწის ნაკვეთი, შედგენილი გვაქვს ამ ადგილის კეთილმოწყობის პროექტი, მემორიალური პარკის სახით. მაგრამ ამის განხორციელების საშუალება არა გვაქვს.

გარდა ამისა, დაარსების დღიდან ვიბრძოდით იმისათვის, რომ საქართველოში შექმნილიყო კომუნისტური რეპრესიების ამსახველი მუზეუმი, რადგან მიგვაჩნდა, რომ ასეთი მუზეუმი საშუალებას მოგვცემდა ყოველმხრივ დაგვეხასიათებინა ის პროცესები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს გასაბჭოების პირველი დღიდან საბჭოთა კავშირის არსებობის განმავლობაში. ჩვენი ყველა მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. საუკეთესო მომენტი ამ პრობლემის გადაწყვეტისა იყო, როდესაც გადაწყდა ორთაჭალის ციხის დანგრევა, მივმართეთ მთავრობას, მინისტრებს, გამოვაქვეყნეთ ღია წერილი მოწოდებით, რომ ეს ციხე გადაკეთებულიყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად, მაგრამ დაანგრიეს.

ჩვენი საზოგადოების ოცი წლისთავთან დაკავშირებით, გვსურდა, გამოგვეცა მთელი რიგი კრებულებისა, მაგალითად, რეპრესირებულთა ლექსები, მოგონებები, რამდენიმე ამგვარი პროექტი გვაქვს გამზადებული, მაგრამ დღეს ჩვენი იუბილეა და ეს გამოცემები, სამწუხაროდ, არა გვაქვს.

2007 წელს ხელისუფლებას თხოვნით მივმართეთ, აღგვენიშნა 1937 წლის რეპრესიების იუბილე. მით უმეტეს, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ეს თარიღი საკმაოდ მასშტაბურად აღინიშნა. ისეთმა ქვეყანამაც კი, როგორიც არის ყაზახეთი, რომელიც უფრო მეტად რეციპიენტი იყო რეპრესიების მსხვერპლთა, ანუ იქ იყო განლაგებული იმ ბანაკების უმრავლესობა, სადაც სასჯელს იხდიდნენ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლნი, მათაც კი აღნიშნეს ეს დღეები.

საქართველოში მხოლოდ ერთი მემორიალური ძეგლი გვაქვს, ქუთაისში, საღორიის ტყეში გაკეთდა პატარა ძეგლი. ფონიჭალაში, ამ პატარა მონაკვეთზე ჩვენც გვინდოდა დადგმულიყო ისეთი ქვა, რომელზეც ჩვენმა სტუმარმა ისაუბრა, რომელიც სიმბოლურად ასახავდა რეპრესიებს.

ჩემთვის სავსებით გასაგებია ყველას, და მათ შორის ბატონი ომარის, გულისტკივილი, რომ ხელოვნური დაბრკოლებები იქმნება არქივით სარგებლობასთან დაკავშირებით და ყველაზე სახიერი მაგალითი იმისა, როგორი კარგი შედეგის მომტანია შსს არქივთან ინტენსიური მუშაობა, არის მათივე დახმარებით შექმნილი მშვენიერი წიგნი ბატონ ავთანდილ ქურხულისა, საკმაოდ სქელტანიანი, რომელიც მოიცავს დაახლოებით 500-მდე რეპრესირებული პირის მონაცემებს. იგი თვითონვე აღნიშნავდა, რომ ეს შესაძლებელი გახდა სწორედ არქივის თანამშრომლების ხელწყობით. თუ მომავალში ხელოვნური ბარიერები მოიხსნება, დარწმუნებული ვარ, ეს საქმე გზას მონახავს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ აქ მყოფი ორი ახალგაზრდა ინტენსიურად შეისწავლის ამ პრობლემას, რაც არის ჩვენი წარსულის შესწავლის პრობლემა და აუცილებელია, თუკი გვაქვს პრეტენზია, რომ ვართ კულტურული ერი.

ნაციონალურის კონტურები საბჭოთა იმპერიაში: საქართველოს აღქმა რუსული ლიტერატურის ნაწარმოებებში 1920-1930-იან წლებში

მომხსენებელი:

ფრანცისკა თუნ-ჰოჰენშტაინი

ლიტერატურისა და კულტურის კვლევის ცენტრი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ბერლინი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა)

მოდერატორი:

გიორგი მაისურაძე

27 სექტემბერი, 2012

1934 წელს, საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველ ყრილობაზე ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი მკაცრად გააკრიტიკეს. თუმცა ამ პერიოდში ითარგმნებოდა მათი თხზულებები, ეწყობოდა მათი შემოქმედებითი საღამოები, კითხულობდნენ მათ ლექსებს. ეს გრძელდებოდა საბჭოთა კავშირში მასობრივი ტერორის დაწყებამდე და თავად ამ პოეტების ფიზიკურ განადგურებამდე. 1934 წლის მწერალთა ყრილობა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ საქართველოს დელეგაციის წევრმა და მთავარმა მომხსენებელმა მალაქია ტოროშელიძემ თავის მოხსენებაში შექმნა მოდელი, რომლის მიხედვითაც უნდა დაწერილიყო ცალკეული ხალხების ლიტერატურის ისტორია. ამ მოდელის მიხედვით წარმოჩინდა სხვა ხალხების ლიტერატურაც.

„ნაციონალურის კონტურები საბჭოთა იმპერიაში: საქართველოს აღქმა რუსული ლიტერატურის ნაწარმოებებში 1920-1930-იან წლებში“ – ამ თემაზე ესაუბრა ქართველ მსმენელს ბერლინის ლიტერატურისა და კულტურის კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ფრანცისკა თუნ-ჰოჰენშტაინი. ამავე ცენტრის თანამშრომელმა და შეხვედრის მოდერატორმა გიორგი მაისურაძემ ასე გაგვაცნო სტუმარი: „მას უმუშავია ისეთი მწერლების შემოქმედებაზე, როგორებიც არიან პასტერნაკი, პლატონოვი, მანდელშტამი, ხლებნიკოვი, მაგრამ იგი მაინც ვარლამ შალამოვის განსაკუთრებულ სპეციალისტად ითვლება. ფრანცისკა თუნ-ჰოჰენშტაინის კომენტარებით და რედაქციით გამოდის გერმანულ ენაზე ვარლამ შალამოვის თხზულებათა სრული კრებულის პირველი კომენტირებული გამოცემა. მისი ერთ-ერთი მონოგრაფია, „ტეხილი ხაზები“, ბანაკებში შექმნილ საბჭოთა ლიტერატურას ეძღვნება. ფრანცისკა თუნ-ჰოჰენშტაინი მრავალი წელია ბერლინის ლიტერატურისა და კულტურის კვლევის ცენტრში ხელმძღვანელობს აღმოსავლეთ ევროპის პროექტებს, პლურალურ კულტურათა ტოპოლოგიას“.

„ნაციონალურის კონტურები საბჭოთა იმპერიაში“ არის ერთ-ერთი ნაწილი წიგნისა, რომელსაც ფრანცისკა თუნ-ჰოჰენშტაინი და გიორგი მაისურაძე გამოსაცემად ამზადებენ. ეს წიგნი მთლიანად ეძღვნება საქართველოს. ეძღვნება 1921-დან 1953 წლებს, იმას, თუ როგორ ჩამოყალიბდა საბჭოთა ლიტერატურაში ნაციონალობის კონფიგურაცია საბჭოთა საქართველოს მაგალითზე, როგორ ჩამოყალიბდა რუსულ საბჭოთა ლიტერატურაში საქართველოს სახე. ამ თემაზე, საბჭოთა მწერლობაში ასახულ საქართველოზე და ქართულ მწერ-

ლობაზე, საქართველოში დღეს იშვიათად ან თითქმის საერთოდ არ საუბრობენ. ჩვენმა საზოგადოებამ თითქოს ტაბუ დაადო იმ წლების გამოცდილებაზე საუბარს, ვარლამ შალამოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოცდილებაზე, რომლისგანაც ვერაფერს გამოიტან ან, ცოტათი რომ შევცვალოთ, კარგს ვერაფერს გამოიტან.

და მაინც, როგორ მოხდა რუსული ლიტერატურის მაგალითებზე დაყრდნობით, საქართველოს გასაბჭოება და როგორ შეიქმნა საქართველოს სახე საბჭოთა ლიტერატურაში? პირველი ფიგურა, რომელზეც მკვლევარმა ისაუბრა, ირაკლი აბაშიძეა. ფრანცისკა თუნ-ჰოჰენშტაინის თქმით, მას აქვს ასეთი ფრაზა – „საქართველომ გადააბიჯა კავკასიის ქედს". ამგვარად აღწერდა ის 1930 წლისთვის არსებულ სიტუაციას, და ეს არის იმის მაგალითი, რომ რუსეთი კი არ მიუთითებს საქართველოს ახალ მიმართულებას, არამედ თავად ქართული კულტურა ახერხებს იმას, რომ ჩრდილოეთის მიმართულებით გადადგას ნაბიჯი. „ფაქტობრივად, ამით იწყება ქართული კულტურის ექსპანსია საკუთარი თავის რეპრეზენტაციისაკენ, ერთი მხრივ, ტერორისა და ძალადობის, მეორე მხრივ კი, ოფიციალურად დეკლარირებული ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ინსცენირების პირობებს ქვეშ".

ირაკლი აბაშიძე არ ყოფილა ერთადერთი, ვისაც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ამგვარი წარმოდგენა ჰქონდა და ამ ფორმით აჩვენა საქართველოს განვითარების ახალი პერსპექტივა. თუმცა, ირაკლი აბაშიძისგან განსხვავებით, რომელიც მიანიშნებდა „ექსპანსიაზე, ქართული კულტურის გასვლაზე ჩრდილოეთით", იყო მეორე პერსპექტივაც, როდესაც გარედან შემოსულს უნდა მიეცა ფორმაც და მიმართულებაც ადგილობრივი კულტურისთვის. ამ კონტექსტში მკვლევარმა გაიხსენა ცნობილი რუსი სიმბოლისტი, ანდრეი ბელი, რომელმაც კავკასიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებები 1928 წელს ასახა თხზულებაში „ქარი კავკასიიდან", და რომელშიც ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურთან აგებულ ლენინის უზარმაზარ, 11-მეტრიან ფიგურას, ადგილობრივი ლანდშაფტის გაგრძელება უწოდა. ბელის თქმით, ლენინის ეს ქანდაკება, რომელსაც ხელი აქვს გაშვერილი ქვემოთ, ახალი ჰიდროელექტროსადგურისკენ, იმის ნიშანია, რომ ქანდაკება არის ფესვგადგმული ქართულ მიწაში და სიმბოლურად უკავშირდება იმ პოლიტიკურ მიმართულებას, რომელსაც შემდეგ „კორენიზაცია" ეწოდა.

„იური სლიოზკინმა, ამერიკაში მოღვაწე ისტორიკოსმა და სოვეტოლოგმა, საბჭოთა კავშირი კომუნალურ ბინას შეადარა, სადაც სხვადასხვა ხალხები იძულებით ერთად ცხოვრობდნენ და იძულებულები იყვნენ ერთ ტერიტორიაზე ეცხოვრათ, ერთი სივრცე გაეზიარებინათ. ამ ტიპის განვითარებამ მიგვიყვანა იმ შედეგებამდე, რომელმაც საკუთარი თავი განსაკუთრებული სიმძაფრით 1991 წელს აჩვენა, როდესაც იძულებითმა ერთად ცხოვრებამ იფეთქა და მძიმე კონფლიქტებში გადაიზარდა“, განმარტავს ფრანცისკა თუნ-ჰოჰენშტაინი. მაგრამ მანამდე, როგორ ვითარდებოდა მოვლენები, როგორი იყო გაბატონებული რიტორიკა – ხალხთა ძმური ოჯახი, რომელსაც სათავეში ყველა ხალხის მამა სტალინი ედგა. რას გულისხმობდა სტალინის პროექტი – ნაციონალური ფორმა და სოციალისტური შინაარსი, როგორ უნდა გადაზრდილიყო ერთი მეორეში:

„ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულება ჩნდება – ეს არის ერთი მხრივ საქართველოს ეგზოტიკურ-დეკორატიული თვალსაზრისით წარმოჩენა, მეორე მიმართულებაა თავად ენაში გარკვეული სტრატეგიის შექმნა, ნაციონალური დისკურსის იმ მიმართულებით წაყვანა, რომ სოციალისტურ შინაარსში ნაციონალური ფორმის რეპრეზენტაცია ყოფილიყო შესაძლებელი“, – ამბობს ფრანცისკა თუნ-ჰოჰენშტაინი. ამავე პერიოდიდან იწყება საქართველოზე საუბარი, როგორც ერთი მხრივ არქაულზე და მეორე მხრივ, როგორც სამოთხეზე, „მზიურ მხარეზე“. მკვლევარი იხსენებს სერგეი ტრეტიაკოვს, საბჭოთა მწერალს, რომელმაც 1927-29 წლებში იმოგზაურა საქართველოში. ის განსაკუთრებით მოხიბლულა სვანეთით. სერგეი ტრეტიაკოვი იყო თანაავტორი მიხეილ კალატოზოვის (კალატოზიშვილის) ცნობილი ფილმისა „მარილი სვანეთს“.

„შეგვიძლია წამოვიდგინოთ, რომ ტრეტიაკოვის პირით თავად საბჭოთა ხელისუფლება ლაპარაკობს... კავკასიის რომანტიკულ თემას, რომელიც რუსულმა ლიტერატურამ შექმნა, ფილმში ერწყმის სვანეთის დანარჩენი სამყაროსგან იზოლირებულობის თემა, რაც მას ისეთ მხარედ აქცევს, სადაც ადამიანები გამომწყვდეულები არიან, როგორც საპყრობილეში... ფილმის კულმინაცია ბოლო სცენაშია გადატანილი, როდესაც ანგრევენ მთებს, აფეთქებენ, შემოდის საბჭოთა ხელისუფლება, ანგრევს კლდეებისა და მთების გალავანს, გაჰყავს გზა და ათავისუფლებს იზოლაციისგანაც და ციკლური მითოსური დროიდანაც. სვანეთი, საბჭოთა ხელისუფლების სამშენებლო ღონისძიებების

შედეგად, თანამედროვე აღმშენებლობით რიტმში გადადის. ეს სცენა გადაიქცევა პირველად სცენად ახალი შესაქმისა, სვანეთი შთაინთქმება საბჭოთა ხელისუფლების მიერ და იქცევა საბჭოთა ცივილიზაციის ნაწილად".

საქართველოს გასაბჭოების, რეგიონის „გაცივილიზებულების" თემას ეძღვნება კონსტანტინე პაუსტოვსკის თხზულებაც, „კოლხეთი", სადაც ფრანცისკა თუნ-ჰოჰენშტაინის თქმით, ჭაობების დაშრობა, არხების მშენებლობა არგონავტების მითს და ანტიკურ წარსულს უკავშირდება – „საბჭოთა ქართული კულტურა ჩნდება როგორც უნივერსალური ანტიკურის მემკვიდრე. უნივერსალური ანტიკური ცოცხლობს თანამედროვე საქართველოში. ეს თანამედროვე საქართველო არის გაგრძელება და ახალი შესაქმე ძველისა საბჭოთა თანამედროვეობაში, მისი ტრანსფორმაცია, მისი სახეცვლილი ვარიანტი".

რა განსხვავება შეინიშნება პოლიტიკაში ხელოვნების მიმართულებით 1934 წლამდე, საბჭოთა მწერლობის პირველ ყრილობამდე და მას შემდეგ, როგორ გადაიქცა საქართველო რუსი მწერლებისთვის იმის გამოთქმის საშუალებად, რასაც რუსულ მაგალითზე ვერ იტყოდნენ, რა როლი მიუძღვით თავად ქართველებს „მზიური საქართველოს" სახის შექმნაში, რა ფუნქციის მატარებელია ის როლი, რაც რუსებმა ითამაშეს ამ ხატის შექმნით და ქართველმა მწერლებმა შემდეგ მიიღეს და გაითავისეს, როგორ აისახა რუსულ მწერლობაში „ვეფხისტყაოსნის" იუბილე და შეიცვალა თუ არა ქართველის და საქართველოს იმიჯი რუსულ ლიტერატურაში მისი გამართვის შემდეგ, როგორ დაიწყო „ვეფხისტყაოსნის" თარგმნა სხვადასხვა ენაზე და მისი იძულებით წაკითხება საბჭოთა რესპუბლიკებში – დისკუსიის დასასრულს ფრანცისკა თუნ-ჰოჰენშტაინმა დარბაზიდან დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი გერმანიის მწვანეთა პარტიასთან ასოცირებული, იურიდიულად დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომლის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს პოლიტიკურ და სამოქალაქო განათლებას გერმანიასა და მის ფარგლებს გარეთ; აგრეთვე, დემოკრატიულ პროცესებში საზოგადოების ჩართულობას, სოციალურ და პოლიტიკურ აქტივობას და განსხვავებულ კულტურებს შორის ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი ცდილობს, დაეხმაროს ხელოვნებასა და კულტურას, მეცნიერებასა და კვლევებს, აგრეთვე, განვითარების სფეროში თანამშრომლობას. მისი საქმიანობა განისაზღვრება ეკოლოგიის, დემოკრატიის, სოლიდარობისა და არაძალადობის ფუნდამენტური პოლიტიკური ღირებულებებით.

ფონდის საქმიანობა მიმართულია განსხვავებული წარმომავლობის, კულტურული თუ გენდერული იდენტობის, ან, პოლიტიკური შეხედულებების ადამიანთა შორის ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებისაკენ.

თავის მრავალრიცხოვან პარტნიორებთან თანამშრომლობით ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი მიისწრაფვის გააძლიეროს გლობალური ეკოლოგიური და სამოქალაქო აქტივობა, იდეებისა და გამოცდილების გაცვლა და ხელი შეუწყოს ადამიანების გახსნილობას ცვლილებებისადმი.

ფონდის საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია ჰაინრიჰ ბიოლის მაგალითი – მისი იდეები და პოლიტიკაში მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობის მხარდაჭერა.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო 2003 წელს გაიხსნა თბილისში და ცდილობს, საკუთარი წვლილი შეიტანოს რეგიონში თავისუფალი, სამართლიანი და ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებაში. ფონდი ხელს უწყობს ცალკეული პიროვნებებისა და ორგანიზაციების თანამშრომლობას; ასევე, ადამიანის უფლებების ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით, ცდილობს საზოგადოებისა და პოლიტიკის არადემოკრატიული და არატოლერანტული განწყობის შეცვლას.

სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო ხელს უწყობს ეთნო-პოლიტიკური და ტერიტორიული კონფლიქტების ტრანსფორმაციას სამართლიანი და არაძალადობრივი გზით და მხარს უჭერს ადამიანებისა და საზოგადოების მდგრად განვითარებას. ფონდი ხელს უწყობს საჯარო დისკუსიების კულტურის ამაღლებას, რათა გადაწყვეტილების მიღების პროცესი უფრო სამართლიანი და გამჭვირვალე გახდეს.

კორექტორი: ნინო საითიძე | დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე
გარეკანის ილუსტრაცია: დავით კუხალაშვილი | დაბეჭდილია შპს „სეზანში“

Proof-reader: Nino Saitidze | Layout: Tornike Lordkipanidze
Cover illustration: David Kukhalashvili | Printed at the Cezanne Ltd

ISBN 978-9941-0-5125-8

9 789941 051258 >